


VII-XII

ქართული ენა და ლიტერატურა

კლასები

2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი მასწავლებლებისთვის



2013 წელი



ეროვნული
სასწავლო
გეგმვის
დეპარტამენტი



საქართველოს
განათლების
და მეცნიერების
სამინისტრო



ქართული ენა და ლიტერატურა

VII-XII კლასები

საგნობრივი გზამკვლევი

2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით

თბილისი, 2013

ავტორები:

ირინა სამსონია, თინათინ ცერაძე

ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ქართული ენისა და ლიტერატურის ექსპერტები.

თანაავტორები:

თინათინ ბოლქვაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი.

სამეცნიერო
რედაქტორი:

რუსუდან მეგრელიშვილი

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

შინაარსი

შესავალი.....	8
თავი I. საგნის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები.....	9
სწავლა-სწავლების ორგანიზება საბაზო და საშუალო საფეხურებზე...9	
თავი II. საგნის სწავლების შინაარსობრივი საკითხები საბაზო და საშუალო საფეხურებზე.....	13
II.1. ენის სწავლების საკითხები ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში	13
II.2. ტექსტები ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში	32
ზეპირი ფორმით გადმოცემული ტექსტები საბაზო და საშუალო საფეხურზე.....	33
წერილობითი ფორმით გადმოცემული ტექსტები	33
მხატვრული ლიტერატურა	33
სავალდებულო ლიტერატურა საბაზო და საშუალო საფეხურებზე ..39	
არამხატვრული ტექსტები	43
ვიზუალური და მულტიმედიური ტექსტები.....	47
მედიაწიგნიერება	49
თავი III.....	51
საგნობრივი მიმართულებები.....	51
III. 1. მიმართულება: ზეპირმეტყველება	51
ზეპირი კომუნიკაციის სახეები და ელემენტები	52
მოსმენა	55
ლაპარაკი	57
არაფორმალური ზეპირი მეტყველება და მისი მოდელები	58
ფორმალური ზეპირი მეტყველება და მისი მოდელები.....	62
III. 2. მიმართულება: კითხვა.....	103
კითხვის წინა ეტაპი: წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის	
წინაპირობის შექმნა	104
კითხვის პროცესი: ტექსტის კითხვა	105
კითხვის შემდგომი ეტაპი: გახსენება, პირადი და კრიტიკული და- მოკიდებულების გამოხატვა, წაკითხულის გააზრება-გაანალიზება ..106	
მეთოდური მიდგომები კითხვის სწავლებაში	108
ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.....	111
ტექსტის კრიტიკული ანალიზი.....	114
წაკითხულის განზოგადება	117
ტექსტი და კონტექსტი.....	117
ტექსტი და ინტერტექსტი.....	120
III.3. მიმართულება: წერა	124

ნერის პროცესი და მისი ეტაპები.....	126
ნერის პროცესი.....	126
ნერის წინა ეტაპი.....	128
ნერის ეტაპი.....	130
ნერის შემდგომი ეტაპი.....	131
მეთოდოლოგიური მიდგომები ნერის სწავლებაში.....	138
ნერილობითი ტექსტის სტრუქტურა.....	143
აბზაცი.....	143
აბზაცის რაობა და სტრუქტურა.....	143
აბზაცის სახეები.....	148
ნერითი ნამუშევრები.....	154
ნერითი ნამუშევრების ძირითადი სახეები.....	159
III. 4. კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის მიმართულეებს შორის.....	174
თავი IV.....	176
სანიშნული აქტივობები.....	176
საბაზო საფეხური.....	177
მიმართულება: ზეპირმეტყველება.....	177
აქტივობა № 1: მიაბზეთ!.....	177
აქტივობა № 2. სასაუბრო წრეები.....	178
აქტივობა № 3. აბა, გამოიცანი!.....	179
მიმართულება: ზეპირმეტყველება, წერა.....	180
აქტივობა № 1. დავაკვირდეთ სხეულის ენას.....	180
აქტივობა № 2. მსმენელის გზამკვლევი.....	183
აქტივობა № 3. არაფორმალური კამათი.....	184
აქტივობა № 1. კონკურსი გამომეტყველებით კითხვაში.....	186
აქტივობა № 2. მხატვრული კითხვის დღე.....	186
აქტივობა №3. ლიტერატურული წრე.....	187
აქტივობა № 4. მეორე პლანის პერსონაჟების საიდუმლო ცხოვრება.....	188
აქტივობა № 5. ემოციური კომენტარი.....	189
მიმართულება: ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა.....	190
აქტივობა № 1. დისკუსია.....	190
აქტივობა № 2: მიაბზეთ!.....	193
მიმართულება: კითხვა, წერა.....	194
აქტივობა №1. ვქმნით რეკლამას.....	194
აქტივობა № 2. ვწერთ თხრობით ტექსტს.....	198
აქტივობა № 3. მე და ჩემი თანაავტორი.....	200
აქტივობა № 4. დავარწმუნოთ პატარები, დავარწმუნოთ დიდები.....	202
აქტივობა № 5. მოდიოთ, აღვწეროთ.....	205
აქტივობა № 6. მოვემზადოთ ნერისათვის: ვადგენთ გეგმას.....	210

აქტივობა № 7. ვმუშაობთ აბზაცზე: ვადგენთ დამხმარე წინადადებებს.....	211
აქტივობა № 8. ფაქტები და მოსაზრებები.....	213
აქტივობა № 9. ვმუშაობთ წერილობით წყაროებზე.....	217
აქტივობა №10. ვწერთ ბიოგრაფიას.....	221
აქტივობა № 11. მოვემზადოთ წერისათვის: ვსწავლობთ ინფორმაციის დახარისხებასა და დაგეგმვას.....	223
აქტივობა № 12. პოეზიის 15 წუთი: ვქმნით მეტაფორას.....	227
აქტივობა № 13. პოეზიის 15 წუთი: ვწერთ ეპიტაფიას.....	230
აქტივობა № 14. გაპიროვნებული ლექსი.....	231
აქტივობა № 15. გამოვხატოთ ჩვენი თვალსაზრისი.....	233
მიმართულება: წერა.....	236
აქტივობა № 1: ტავტოლოგიის დამარცხებისათვის.....	236
აქტივობა № 2: სიტყვების „რახარუხის“ წინააღმდეგ.....	238
აქტივობა № 3. მოვემზადოთ წერისათვის: ვირჩევთ თემას.....	239
აქტივობა № 4. დავეხმაროთ მკითხველს გზის გაკვალვაში.....	242
საშუალო საფეხური.....	244
მიმართულება: ზეპირმეტყველება, წერა.....	244
აქტივობა. მოვუსმინოთ და გავიაზროთ.....	244
მიმართულება: კითხვა, წერა.....	247
აქტივობა № 1. გადმოვცეთ მხოლოდ არსებითი – ვადგენთ რეზიუმეს.....	247
აქტივობა № 2. ვადგენთ თემატურ წინადადებას.....	249
აქტივობა № 3. ვსწავლობთ ინფორმაციის ორგანიზებას – ამოტრიალებული პირამიდა.....	252
აქტივობა № 4. ვსწავლობთ სინთეზირებას.....	258
აქტივობა № 5. ვწერთ სინთეზურ ესეს.....	263

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო და საშუალო საფეხურების (VII-XII კლასები) მასწავლებელთათვის. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ იგი სასარგებლო და გამოსადეგი რესურსი იქნება სახელმძღვანელოებზე მომუშავე ავტორთა ჯგუფებისთვის, თავად მოსწავლეთათვის და მათი მშობლებისთვის, განათლების სპეციალისტებისთვის, ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხით დაინტერესებული ყველა მკითხველისთვის.

გზამკვლევის მიზანია, დაეხმაროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური მიზნების სიღრმისეულად გააზრებაში, რათა მათ წარმატებით შეძლონ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების პრაქტიკაში განხორციელება.

გზამკვლევი განხილულია ყველა ის პრინციპული საკითხი, რომლებიც საფუძვლად უდევს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

გთავაზობთ გზამკვლევის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვას:

გზამკვლევი შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისაგან. პირველ თავში მკითხველი გაეცნობა საბაზო და საშუალო საფეხურებზე საგნის სწავლების მეთოდებსა და სწავლა-სწავლების ორგანიზების საკითხებს; მეორე თავში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი შინაარსობრივი საკითხები, როგორებიცაა: საბაზო და საშუალო საფეხურებზე დასამუშავებელი ტექსტების სახეები და ტიპები, სავალდებულო ლიტერატურა და მისი სწავლება, ზეპირი და წერიითი, ასევე ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის სახეები, მიდგომები ენის სწავლებაში და ა.შ. გზამკვლევის მესამე თავი მთლიანად ეთმობა სტანდარტის მიმართულებების: ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის აღწერასა და რეკომენდაციებს მოსწავლეებში შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით; მეოთხე თავში მოცემულია სანიმუშო საკლასო აქტივობები, რომლებიც, ჩვენი აზრით, გაამდიდრებს მასწავლებლების გამოცდილებას და დაეხმარება მათ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში.

თავი I

საზნის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები

სწავლა-სწავლების ორგანიზება საბაზო და საშუალო საფეხურებზე

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დროს მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ არ არსებობს ერთი მიდგომა, რომელმაც შეიძლება ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის საჭიროება დააკმაყოფილოს. აქედან გამომდინარე, სასურველია, დავებმართო მოსწავლეებს შეძლებისდაგვარად მრავალფეროვანი გამოცდილების მიღებაში. სწავლების პროცესის დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსწავლეთა ნაწილი უკეთ სწავლობს შეჯიბრობითობის პირობებში, ნაწილი – თანამშრომლობის რეჟიმში, ნაწილი კი უპირატესობას დამოუკიდებლად მუშაობას ანიჭებს. შესაბამისად, შეჯიბრობითობასა თუ თანამშრომლობაზე დამყარებული აქტივობების, აგრეთვე, დამოუკიდებელი სამუშაოების შეთავაზებისას აუცილებელია გონივრული ბალანსის დაცვა. დაბალანსებული მიდგომა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, უფრო მეტად განივითარონ ძლიერი მხარეები, მეორე მხრივ კი, დაეხმარება მათ თავიანთი ნაკლოვანებების/სუსტი მხარეების დაძლევაში.

სწავლა-სწავლების ორგანიზების თვალსაზრისით სამი ძირითადი მიდგომა გამოიყენება. ესენია: ა) ჯგუფებში სწავლება; ბ) მუშაობა მთელ კლასთან; გ) ინდივიდუალური/დამოუკიდებელი მუშაობა.

ა) ჯგუფებში სწავლება – ჯგუფში მუშაობა ეხმარება მოსწავლეს, გახდეს გუნდის სრულფასოვანი წევრი და გამოუმუშავდეს ეფექტიანი და პროდუქტიული ინტერაქციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. მრავალფეროვანი წევრული თუ ჯგუფური სამუშაოების ჩასატარებლად მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საკმაოდ დრო, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, ივარჯიშონ და განივითარონ ენობრივი კომპეტენციები.

ჯგუფებში მუშაობის მეთოდის გამოყენება ავალდებულებს თითოეულ მოსწავლეს, ითანამშრომლოს ჯგუფის წევრებთან და მიაღწიოს მათთან გარკვეულ შეთანხმებას. ჯგუფის წევრები ერთად განიხილავენ მათ წინაშე მდგარ სასწავლო ამოცანას და პოულობენ გზას მის შესასრულებლად. ამისათვის მათ უნდა: ჩამოაყალიბონ და სხვებს გაუზიარონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები, ასევე გაიზიარონ სხვებისაც; გამოკვეთონ და გადაჭრან პრობლემები; დაგეგმონ ნაბიჯები და მიიღონ გადაწყვეტილებები; გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა და შეაფასონ საკუთარი წვლილი ჯგუფურ მუშაობაში.

ჯგუფებში მუშაობის გამოყენება შესაძლებელია სწავლების სხვადასხვა დროსა და ეტაპზე. სამუშაო ჯგუფების მოცულობას (დიდი ჯგუფი, მცირე ჯგუფი, სამუშაო წყვილები) მთლიანად განსაზღვრავს ის, თუ კონკრეტულად რა სახის სამუშაოა შესასრულებელი. თავდაპირველად, სანამ მოსწავლეებს არ გამოუმუშავდებათ ჯგუფური მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, უფრო მიზანშეწონილია სამუშაო ჯგუფების ორგანიზება წყვილებში ან მცირე ჯგუფებში, რომლებშიც სამი მოსწავლეა გაერთიანებული. თანდათანობით, მოსწავლეების კომუნიკაციური და თანამშრომლობითი უნარების განვითარე-

ბასთან ერთად, შესაძლებელია ჯგუფების ნევრთა რაოდენობის გაზრდა 4-5 მოსწავლემდე. ჯგუფების ორგანიზებისას აგრეთვე გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა დროა გამოყოფილი კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. თუკი დრო მცირეა, დიდი ზომის ჯგუფების დაკომპლექტება მიზანშეწონილი არ არის, რადგან დიდ ჯგუფებში მუშაობა მეტ სამუშაო დროს მოითხოვს.

ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე წინასწარ უნდა ვაცნობოთ მოსწავლეებს, რა დრო ეძლევათ მათ სამუშაოს შესასრულებლად. ამას გარდა, მასწავლებელმა მოსწავლეებს ცხადად და გასაგებად უნდა განუმარტოს, რა კონკრეტულ შედეგს ელის იგი ჯგუფისაგან, ანუ რა უნდა წარადგინოს ჯგუფმა სამუშაოს დამთავრების შემდეგ (მაგ., ზეპირი მოხსენება, წერილობითი შემაჯამებელი დასკვნა, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ზეპირად ან წერილობით თუ სხვ.); რას ელის იგი ჯგუფის თითოეული წევრისაგან (მაგ., რიგითობის დაცვას, სხვისი აზრის მოსმენას, კორექტულობას, საკუთარი იდეებისა და შექმნილი მასალის ჯგუფის წევრებისთვის გაზიარებას, ჯგუფში ფუნქციების გადანაწილებასა თუ კონკრეტული დავალების შესრულებას, სხვ.). ამას გარდა, მოსწავლეები წინასწარ უნდა გაეცნონ ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმებსაც, თუნდაც ზოგადად.

ჯგუფური სამუშაოს ჩატარებისას მასწავლებლის როლი გარკვეულწილად იცვლება. ამ შემთხვევაში იგი უფრო მეტად არის მრჩეველი, ფასილიტატორი¹ თუ გზის გამკვალავი და არა სასწავლო პროცესის წამყვანი ექსპერტილიდერი. მისი მოვალეობაა, შეძლებისდაგვარად შეუნყოს ხელი მოსწავლეთა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას, საჭიროების შემთხვევაში კი კონკრეტული დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს. მასწავლებელი აკვირდება მუშაობის მთელ პროცესსა და თითოეული მოსწავლის ქცევას; სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი აფასებს ჯგუფურ ნამუშევარს, გააცნობს მოსწავლეებს (ზეპირად ან წერილობით) დაკვირვების შედეგებს შენიშვნების, კომენტარებისა თუ რჩევების სახით, გამოკვეთს დადებით მხარეებს. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ამ მიზნით მოსწავლეებს შეიძლება დაურიგდეთ წინასწარ მომზადებული კითხვარები როგორც ჯგუფური სამუშაოს შესაფასებლად, ისე თვითშეფასებისათვის.

გონივრულად დაგეგმილი და სათანადოდ წარმართული ჯგუფური სამუშაოების შედეგად მოსწავლე სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული ხდება მასწავლებელზე; მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ყალიბდება თანამშრომლობითი, უფრო კეთილგანწყობილი ურთიერთდამოკიდებულება. მოსწავლეები აღმოაჩენენ საკუთარ ძლიერ მხარეებს, ემატებათ საკუთარი ძალების

¹ ფასილიტატორი (ლათ. სიტყვიდან *facilis* – ადვილი) – პირი, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ამა თუ იმ პროცესის ხელშეწყობა. ტერმინი ფასილიტატორი გამოიყენება განათლების სისტემაში და ნიშნავს სპეციფიკური გამოცდილების მქონე ადამიანს, რომელიც ეხმარება სხვებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. ჩვენს შემთხვევაში, ფასილიტატორმასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ჯგუფური კომუნიკაციისა და ჯგუფური სამუშაოს წარმატებით განხორციელება.

რწმენა, ეზრდებათ თვითშეფასება, რაც მათ დაეხმარება დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში.

ბ) მთელ კლასთან მუშაობა – ესაა მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც გამოიყენება ექსპლიციტური სწავლებისათვის – ინფორმაციის მისაწოდებლად და კონკრეტული სტრატეგიების² სასწავლებლად. მაგალითად, სანამ მოსწავლეები მცირე ჯგუფებში ან დამოუკიდებლად შეუდგებიან მუშაობას, მასწავლებელმა შეიძლება მთელ კლასს მისცეს ინსტრუქციები და სათანადო ახსნა-განმარტებები, მოახდინოს კონკრეტული სასწავლო ამოცანის მოდელირება მთელი კლასისათვის, სხვ.

მთელ კლასთან მუშაობა გულისხმობს სხვადასხვა სასწავლო ქმედებების ჩატარებას. ესენია: მინი-ლექცია, გამოკითხვა (ცოდნის შემოწმება კითხვების დასმის გზით), დემონსტრირება, მოდელირება, მინი-გაკვეთილების ჩატარება, ზოგადი მიმოხილვა, პირდაპირი სწავლება³.

ზემოაღნიშნული მიდგომა მასწავლებელზეა ორიენტირებული, მაგრამ ინფორმაცია და ინსტრუქციები, რომლებიც პირდაპირ მიეწოდება მთელ კლასს, მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს იმაში, რომ მათ თანდათანობით დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვა.

მიუხედავად იმისა, რომ ლექციის ტიპის გაკვეთილის შინაარსი მოსწავლეებს შეიძლება სრულად არ დაამახსოვრდეთ, აუცილებელია, რომ მასწავლებელმა გარკვეული პერიოდულობით ჩაატაროს ასეთი გაკვეთილი, რადგან იგი: ხელს უწყობს მოსწავლეების წარმოსახვისა და რეფლექსიის უნარების განვითარებას; უღვიძებს ახლის შეცნობის სურვილს; ამდიდრებს მათ ლექსიკას; უვითარებს სტილის შეგრძნებას, თხრობის კულტურასა და მოვლენებისა თუ ფაქტების თანამიმდევრობით გადმოცემის უნარს; აჩვენებს მსჯელობასა და ვრცელ თხრობას. მინი-ლექციის გამოყენება შეიძლება მოსწავლეთათვის დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად, ამა თუ იმ თემის ან საკითხის შესაჯამებლად, აგრეთვე ახალ თემაზე/საკითხზე მუშაობის დასაწყებად. იმავედროულად, შეიძლება მოენწყოს დისკუსიებიც – აზრთა გაცვლა-გამოცვლა და სხვების მოსმენა უთუოდ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად. ხმამაღლა წაკითხვა მთელი კლასისთვის (იგივე დემონსტრირება) საშუალებას აძლევს მოსწავლეებს,

² საზოგადოდ, ესა თუ ის კონკრეტული სტრატეგია უნდა შეირჩეს დასახული სასწავლო მიზნის შესაბამისად. მხოლოდ მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სასწავლო მიზანი, უნდა შეირჩეს: ა) სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს მიზნის მიღწევაში; ბ) სათანადო მასალა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ სტრატეგიების ცოდნა საკმარისი არ არის – აუცილებელია, მასწავლებელს გააჩნდეს სათანადო ჩვევები, რომლებიც საჭიროა სტრატეგიების ეფექტურად განხორციელებისათვის. დაბოლოს, არსებითია იმის განსაზღვრა, მზად არიან თუ არა მოსწავლეები, ანუ აქვთ თუ არა მათ სათანადო ცოდნა, უნარ-ჩვევები და შესაბამისი მოტივაცია.

³ აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ გაკვეთილებზე ამ მხრივ ერთგვარი დეფიციტი შეინიშნება. ინტერაქტიული მეთოდებით მეტისმეტად გატაცებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მასწავლებლის როლის ნიველირება, რაც მიზანშეწონილი არ არის – მასწავლებლის მინი-ლექცია მოსწავლეებისთვის ზეპირი პრეზენტაციის ერთგვარი ნიმუშადაც შეიძლება გამოდგეს. მეორე უკიდურესობას წარმოადგენს ტრადიციული „მონოლოგური“ გაკვეთილი.

მოუსმინონ და დააკვირდნენ, როგორ ზემოქმედებს ადამიანი სხვა ადამიანზე ენის მეშვეობით – ენის გამომხატველობითი უნარის გამოყენებით; ზოგადად, რამდენად დამაჯერებლად იყენებს ადამიანი ენას, როგორც ინსტრუმენტს.

გ) დამოუკიდებლად მუშაობა – ესაა სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული მეთოდი, ამას გარდა, საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მოახდინოს დავალებათა დივერსიფიცირება თითოეული მოსწავლის ცოდნის დონის გათვალისწინებით. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კონცეფცია ითვალისწინებს, რომ მოსწავლეებს გარკვეული პერიოდულობით მიეცეთ საშუალება, თავად მოიპოვონ და შეარჩიონ თემები, მასალა, წყაროები საკუთარი გემოვნების, ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით.

დამოუკიდებლად კითხვისა და წერის ორგანიზებისათვის მასწავლებელმა უნდა გამოყოს დრო, რათა მოსწავლეებმა შეძლონ დამოუკიდებლად და/ან მენყვილებთან ერთად მუშაობა. ეს შეიძლება დამატებით მოითხოვდეს სასწავლო სივრცის სათანადოდ მოწყობასა და განაწილებას, ასევე სათანადო რესურსებს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ არჩევის გაკეთება.

თავი II

საგნის სწავლების შინაარსობრივი საკითხები საბაზო და საშუალო საფეხურებზე

II.1. ენის სწავლების საკითხები ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში

(ქვეთავი მოამზადა თინათინ ბოლქვაძემ)

ენის სწავლების სხვადასხვა მეთოდი არსებობდა ისტორიულად. საქართველოში ყველაზე ხანგრძლივი ისტორია ენის იზოლირებულად სწავლებას აქვს, როცა იქმნებოდა და იქმნება ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც მიზნად ისახავენ ქართული ენის ფონეტიკის, ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სწავლებას არა ტექსტთა კორპუსზე დაფუძნებით, არამედ მხოლოდ ტექსტის რომელიმე მცირე მონაკვეთის, ძირითადად კი ერთი წინადადების ფარგლებში. ამის გამო ქართული ლიტერატურის ქრესტომათიებსა თუ სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტები შორდება ენობრივ საკითხებს, რაც ქმნის არასწორ აზრს ცოცხალი ენისა და ლიტერატურის ცალ-ცალკე არსებობის შესახებ. თუმცა გადაჭრით ამ მეთოდის უარყოფა სწორი არ იქნება, რადგან გარკვეულ ასაკში კონკრეტული მიზნების მისაღწევად იგი შეუცვლელია თავისი შედეგებით. ასევე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი მოვლენა არ არის. ჯერაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისწავლება ენა და ლიტერატურა ბევრ ქვეყანაში.

ენისა და ლიტერატურის (ლიტერატურა ამ შემთხვევაში გამოყენებულია ფართო გაგებით და მხოლოდ მხატვრულ ტექსტებს არ გულისხმობს) მიმართების თვალსაზრისით ყველაზე სანდო მაინც სემიოტიკური მიდგომაა, რომლის მიხედვით ენა არის პირველადი მამოძღვრებელი სისტემა, ხოლო ადამიანის მთელი დანარჩენი შემოქმედება, როგორცაა სიტყვიერი (პროზა, პოეზია, მითოლოგია და სხვ.) და არასიტყვიერი ხელოვნება (ფერწერა, ქანდაკება, არქიტექტურა და სხვ.), მეორადი მამოძღვრებელი სისტემებია. რადგან ლიტერატურა ენაზე იქმნება, ბუნებრივად, მხატვრული ნაწარმოები უნდა ასახავდეს ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედ კანონზომიერებებს, ხოლო არამხატვრული ტექსტები კი კიდევ უფრო ნათლად უნდა აჩვენებდნენ ენისა და ლიტერატურის ერთიანობას. სწავლების საბაზო ეტაპზე მხოლოდ გარკვეული დოზით შეიძლება ამ ერთიანობის ჩვენება, რადგან ეს ის დროა, როცა მოსწავლეს ჯერ კიდევ უყალიბდება ენობრივი ალლო. ამიტომ იგი ენობრივ ფორმათა სწორ არჩევანს მიზეზის გაუცნობიერებლად ახდენს. ასეთი შერჩევა-შეფარდება გულისხმობს ფორმათა (სიტყვათა) გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებას და ქართული ენის სწავლების მიზანიც სწორედ აქ ისახება – მოსწავლის ენობრივ ალლოს (ენის ლატენტურ ცოდნას) შეაგებოს ისეთი აქტივობები, რომლებიც განავითარებს მისმეხსიერებას, შესაძლებლობებს, გაააქტიურებს მასში ანალიზის, შედარების, მსჯელობის, აბსტრაქტული აზროვნების უნარებს.

ეს უზრუნველყოფს მოზარდის ინტელექტუალურ განვითარებას, რითაც დედების გაუცნობიერებელი სიყვარული შეგნებული და გააზრებული გახდება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის თავისუფალ, ღირსეულ, მოაზროვნე და საქმის მცოდნე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

სალიტერატურო ენას ძირითადად ახასიათებს ავტომატიზაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სალიტერატურო ენა ცდილობს ნორმა ბოლომდე გაატაროს, ანუ იგი გახადოს ავტომატური. ამის საპირისპიროდ პოეტურ ენას მიზნად, უფრო მეტიც, თვითმიზნადა აქვს ენობრივ ფორმათა აქტუალიზაცია, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტი ხაზს უსვამს, ესე იგი ენის პოტენციას სხვადასხვა პოეტური მიზნით გამოყოფს. მაგალითად, ტაეპში – „მთავაზობდით დანი ვარდთ“ – გალაკტიონ ტაბიძე ახდენს ნართანიანი მრავლობითის აქტუალიზაციას. მიუხედავად მრავლობითი რიცხვის ასეთი წარმოების არქაული ელფერისა, არის შემთხვევები, რომლებიც ასეთ არქაულ ნიუანსს არ ავლენს. ეს განსაკუთრებით ითქმის თანიანი მრავლობითის ნათესაობით ბრუნვაზე. მაგალითად, ფორმებს – მწერალთა კავშირი (მწერლების კავშირი) ან ქალთა საბჭო (ქალების საბჭო) არ დაჰკრავს არქაულობის ელფერი, მაგრამ იმავე თანიანი მრავლობითის გამოყენება მიცემით ბრუნვაში (მთავაზობდით ვარდთ – მთავაზობდით ვარდებს) დიდ მხატვრულ ეფექტს იძლევა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ჟანრის ტექსტებზე დაკვირვებისა და განსხვავებული მიზანდასახულობის ტექსტების შექმნისას მოსწავლისთვის ცხადი უნდა გახდეს, რა არის ნორმა და რა ფუნქციით შეიძლება მისი „დარღვევა“ ან როდის მიეცემა ნორმის დარღვევას შეცდომის კვალიფიკაცია. ეს ხდება თანდათანობით სწავლებისას საბაზო და საშუალო საფეხურზე.

ენობრივი სისტემის, ენობრივი მასალისა და სამეტყველო მოქმედებების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით ყოველი გაკვეთილი იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ ენობრივი სისტემა მოსწავლეს მზა სახით კი არ მიეწოდოს, არამედ მან თვითონ გააკეთოს გარკვეული დასკვნები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ცალკეულ წინადადებებსა თუ ტექსტზე მუშაობის პროცესში, რასაც თან სდევს თავად მოსწავლის სამეტყველო მოქმედება. ეს კი მთლიანად განსაზღვრულია პრაქტიკული მიზნებით. მართლწერა (ორთოგრაფია და პუნქტუაცია) და მართლმეტყველება (ორთოეპია) უშუალოდ ერწყმის ფონეტიკის, ლექსიკისა და მორფოლოგიის საკითხებს. მაგრამ მხოლოდ მართლმეტყველი, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების დამცველი მოსწავლის აღზრდა როდია ჩვენი მიზანი. სასწავლო პროცესში გატარებული უნდა იყოს აღზრდისა და ენის სწავლების ერთიანობის პრინციპი და ყოველნაირად უნდა შეეწყოს ხელი მოსწავლის მორალის, ესთეტიკური გემოვნების ფორმირებასა და მისთვის ქართული ენის დიდი გამომსახველობითი ძალის ჩვენებას.

ენობრივი სისტემა ყალიბდება ტექსტთა კორპუსების შესწავლის შედეგად. ტექსტები, რომლებიც გარდა ლიტერატურის მცოდნეობითი მიზნებისა სწავლების დროს უნდა გამოვიყენოთ როგორც ენობრივი მასალა, რომელიც თავის მხრივ, სამეტყველო ქმედების შედეგია ენობრივი სისტემის, ენობრივი მასალის ანუ ტექსტთა კორპუსისა და სამეტყველო მოქმედებების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესი იგება იმგვარად, რომ ენობ-

რივი სისტემა მოსწავლეს მზა სახით კი არ მიეწოდოს, არამედ მან თვითონ გააკეთოს გარკვეული დასკვნები ცალკეული წინადადებებისა თუ კონკრეტულ ტექსტზე მუშაობის პროცესში, რასაც თან სდევს ტექსტის გაგება-გააზრება მოსწავლის სამეცნიერო ქმედებებითა და წერით. ორივე შემთხვევაში მიზანი პრაქტიკულია. მართლწერა (ორთოგრაფია და პუნქტუაცია) და მართლმეტყველება (ორთოეპია) უშუალოდ ერწყმის ფონეტიკის, ლექსიკის, სემანტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სტილის საკითხებს, მაგრამ რადგან მხოლოდ მართლმეტყველი, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების დამცველი მოსწავლის აღზრდა არ არის სასწავლო პროცესის მიზანი, ამიტომ ეს პრაქტიკული მიმართულება დაკავშირებულია სხვადასხვა ჟანრის ტექსტთა მრავალმხრივ ანალიზთან, რითაც საფუძველი ეყრება აღზრდისა და ენის სწავლების ერთიანობის პრინციპს და ყოველნაირად ეწყობა ხელი მოსწავლის მორალის, ესთეტიკური გემოვნების ფორმირებასა და მისთვის ქართული ენის გამომსახველობითი ძალის ჩვენებასა და ამ ძალის გამოყენებას მოსწავლის მიერ სხვადასხვა მიზანდასახულობის წერილობით და ზეპირ ტექსტებში. ამგვარად მიღწეული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზნები ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენებისა და მხატვრული ტექსტის გაგებისა და თვითგამოხატვის თვალსაზრისით. კერძოდ, მოსწავლე აითვისებს იმ სტრატეგიებს, რომლებიც მიღებულია მოცემულ კულტურულ გარემოში კამათის, დისკუსიის, დებატებისა და საკუთარი აზრის გამოთქმისას და ლიტერატურის მნიშვნელობის გააზრებისას ადამიანის შემეცნებითი, შემოქმედებითი და ეთიკური განვითარებისათვის, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეს ამზადებს ისეთი წერილობითი ტექსტების შექმნისთვის, რომლებშიც გამოიყვანდება მისი ლიტერატურული გემოვნება, შემეცნებითი ინტერესები და შემოქმედებითი უნარი.

საბაზო საფეხურზე დედაენაზე შექმნილი ტექსტები მოსწავლეს უმყარებს თვალსაზრისს, რომ სწორედ ეს ენა ასახავს ყველაზე ადეკვატურად გარესამყაროს, ამიტომ შედარება-შეპირისპირება მხოლოდ ამ ენის ფარგლებში და თანაც ძალიან ნთელი მაგალითებით უნდა ხდებოდეს. „დედაენა“ ლინგვისტური ტერმინია. რადგან ადამიანის ენას შეუძლია არსებული სამყაროს (გარე-ენობრივი სინამდვილის) ცნობიერების ფაქტად ქცევა, ამდენად, დედაენა ის ძალაა, რომელიც მეტყველს პირველად აწვდის ენობრივ მნიშვნელობათა თავისებურ აგება-განაწილებას.

მოსწავლის აქტივობას შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზემოქმედება განაპირობებს. მოსწავლის აქტივობისათვის საჭიროა, რომ მას შესაბამისი ინტელექტუალური მოთხოვნები გაუჩნდეს. ინტელექტუალური მოთხოვნების, ანუ შინაგანი ფაქტორის დაკმაყოფილება კი გაკვეთილზე შექმნილმა გარემომ, ანუ გარეგანმა ფაქტორმა, სოციალურმა წრემ უნდა უზრუნველყოს. გაკვეთილზე უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთდროული, მიზანმიმართული ერთიანობით მოსწავლის სასწავლო განწყობა გამოიწვიოს. ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვათა აზრის მოსმენის, დიალოგში ჩაბმის, ნაფიქრალის დახვეწის უნარი.

სწავლის მოტივი პირდაპირ განსაზღვრავს მოსწავლის გონებრივი აქტი-

ვობის დონესა და მიმართულებას. მას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული და დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე – „რატომ ვხარჯავ დროსა და ენერგიას?“ სხვა ფაქტორებთან ერთად მოსწავლე სასწავლო პროცესმა უნდა მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ იგი ცოდნის მიღებისკენ ისწრაფვის, შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილება სურს, იმაზე მეტის ცოდნა უნდა, ვიდრე აქამდე იცოდა; უნდა ესმოდეს, რომ მიღებულ ცოდნას ახალი ცოდნის დაუფლებისათვის გამოიყენებს. აღმოჩენის სიხარული მოსწავლეში მოვლენებისა და ფაქტების მიმართ ხშირად განსხვავებულ დამოკიდებულებას დაბადებს, რაც ყველაზე ღირებულია სასწავლო პროცესში. სწორედ ამიტომ გზა, რომლითაც მოსწავლე სწორ პასუხამდე მიდის, ყველაზე მეტად ფასობს.

ადამიანისა და სხვა სულიერი არსებების საკომუნიკაციო სისტემების შედარება-შეპირისპირება, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ბგერისა და ფონემის ფუნქციათა გამიჯვნა მნიშვნელოვანია სწავლების ყველა საფეხურზე. ბგერათა ამ ფუნქციებზე დაკვირვება ყველაზე შედეგიანი პოეტურ ტექსტში იქნება, რადგან სარიტმო ტაეპებში ბგერათა ურთიერთჩანაცვლებას განსაკუთრებული სემანტიკური ღირებულება აქვს. მაგალითად ავილოთ ფრაგმენტი იორამ ქემერტელიძის ლექსიდან „ბუზი ბუზანკალი“:

– ცხრა მთას იქით?

– არა!

არც დიდი ხნის უნინ . . .

აგერ ცხოვრობს მეზობლად

ერთი ძუნწზე ძუნწი.

მის ეზოში ძროხაც ბლავის,

დეკეულიც ზმუის ...

– ღრუტ . . . ღრუტ . . .

– მეე . . . მუუ . . .

სულ დგას ჰაი-ჰუი.

რომ კვდებოდე, არც ყველს

მოგცემს,

არც ნაღებს და რძეს . . .

მაგრამ, მაგრამ

ერთ მშვენიერ დღეს

– ბზზ . . . ბზზ . . .

– ბზზ . . . ბზზ . . .

ბუზანკალი ბზუის.

– ღრუტ . . . ღრუტ . . .

– მე . . . მუუ . . .

ატყდა ჰაი-ჰუი.

ბუზანკალმა შემოხაზა წრე
და ზედ შუბლზე დაასკუპდა . . .
ცხენს !

– როგორ თუ ცხენს დააჯდაო? -
შეიშალა ძუნწი,
მოუღერა ნალდი, წამოვიდა ძურწვით,
დაუმიზნა,
დაუმიზნა,
მოუქნია, ჰოპლა!
ბუზანკალი?
აფრინდა!
ცხენი?
ცხენი მოკლა...

ამ ლექსზე დაკვირვება გვჭირდება სამეტყველო ბგერის მახასიათებლების გარკვევისათვის. რადგან მხოლოდ ადამიანის სამეტყველო ბგერას შეუძლია სიტყვის მნიშვნელობისა და ფორმის შეცვლა, ხოლო სხვა ცოცხალი არსებების სასიგნალო კომუნიკაცია შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას ინტერპრეტირებული. ეს ლექსი გამოდგება ერთი მხრივ, ხმაბაძვით სიტყვებზე (ბზზ... ბზზ; ღრუტ... ღრუტ; მეეე... მუ; ჰაი-ჰუი) და, მეორე მხრივ, რითმაზე დასაკვირვებლად (უნწი – ძუნწი; ბღავის – ზმუის, ჰაი-ჰუი; რძეს – დღეს და სხვა). ეს ლექსი ასევე კარგი საშუალებაა ტროპის ერთ-ერთ სახეზე – გამეორებაზე – დასაკვირვებლად. აქ გამეორება ხდება ლექსის ყველა დონეზე, როგორც ტაეპში, ისე მთელი სტროფიც მეორდება ექსპრესიისთვის.

ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსებების სასიგნალო კომუნიკაციის მახასიათებელთა გასამიჯნად მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ დავალება – შექმნან ინფორმაცია კედლის გაზეთისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მოსწავლეებს უნდა მიეცეთ დანვრილებით განერილი ინსტრუქცია და თვალ-ყური უნდა ვადევნოთ, როგორ ასრულებენ სამუშაოს ყველა დონეზე, სანამ მოძიებული ინფორმაცია უკვე კედლის გაზეთის ნაწილი გახდება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოამზადონ მასალა თემაზე: როგორ გადასცემენ ინფორმაციას მწერები, ფრინველები, ცხოველები თუ წყლის ბინადრები და ამის საფუძველზე შექმნან კედლის გაზეთი. მასწავლებელი მოსწავლეებს მუშაობის დანყებამდე აძლევს რჩევებსა და რეკომენდაციებს:

1. ინფორმაციული ტექსტის დაწერამდე:

ა) მოსწავლეებმა უნდა შექმნან რამდენიმე თანაკლასელთან ერთად სამუშაო ჯგუფი;

ბ) მათ ბიბლიოთეკაში უნდა მოიძიონ წიგნები, რომლებშიც მოთხრობილია საინტერესო ამბები მწერების, ფრინველებისა თუ ცხოველების შესახებ, აღწერილია მათი თვისებები ან მოცემულია სხვა სახის ინფორმაცია. მოსწავლეებს შეუძლიათ საჭირო ინფორმაცია მოიძიონ ან გაიხსენონ საბუნებისმეტყველო

საგნების სახელმძღვანელოებიდან, რითაც გავხზავთ საგანთა შორის კავშირს.

გ) მოსწავლეებმა უნდა დაამუშაონ ეს წიგნები: ბარათებზე ამონერონ მათთვის საჭირო მასალა, მიუთითონ რომელი წიგნიდან ამოიწერეს იგი, ვინ არის წიგნის ან წერილის ავტორი, რომელ წელს არის წიგნი გამოცემული, რომელ გვერდზეა ინფორმაცია.

დ) ამის შემდეგ ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს უნდა გააცნონ მასალა, იმსჯელონ და შეარჩიონ უფრო საინტერესო საკითხები (მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მასალის მოძიებასა და დამუშავებას უნდა მოანდომონ არაუმეტეს ერთი კვირისა, ამიტომ მათ უნდა დაგეგმონ სამუშაო ისე, რომ დროში ჩაეტიონ).

II. მას შემდეგ, რაც მასალას დაამუშავებენ, ჯგუფის წევრები ერთად მოიფიქრებენ გაზეთის სახელწოდებას. მიუთითებენ რიცხვსა და წელს; დანომრავენ გაზეთს. ტექსტს გაუკეთებენ ისეთ სათაურს, რომ დააინტერესონ მკითხველი. მოსწავლეები ყოფენ მასალას ნაწილებად, ასათაურებენ თითოეულ ნაწილს (სათაურები იწერება განსხვავებული ასოებით) და გადააქვთ მასალა დიდი ფორმატის ქაღალდზე.

ამის შემდეგ მოსწავლეები გააფორმებენ ნაწერს რაც შეიძლება მეტი ნახატი, ფოტოთი, გაუკეთებენ მათ წარწერებს; ბოლოს მიუთითებენ, ვინ იმუშავა ტექსტის შედგენასა და გაზეთის გაფორმებაზე და გამოფინენ მას კლასში.

III. გაზეთის გამოფენის შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან თანაკლასელთა ნამუშევრებს, დანერენ ფურცელზე საკუთარ შთაბეჭდილებებს და ნაწერს ჩააგდებენ სპეციალურად მომზადებულ ყუთში, რათა ყველას ჰქონდეს საშუალება, გაეცნოს ერთმანეთის მოსაზრებას და გაითვალისწინოს გაზეთის შემდეგი ნომრის მომზადების დროს.

ეს აქტივობა ძირითადად მეშვიდეკლასელებისთვის არის გამიზნული და მოსწავლეებს აძლევს საშუალებას აუდიტორიის წინაშე წარმოადგინონ საკუთარი აზრი, ამას გარდა, საზოგადოებას გააცნონ, როგორ მოიპოვეს ესა თუ ის ინფორმაცია და რა გზა გაიარეს, სანამ იმ სახეს მისცემდნენ ტექსტს, რომ იგი კედლის გაზეთისთვის გამოსადეგი ყოფილიყო. ამით მიღწეული იქნება კითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი – **სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.**

ლექსიკოლოგია

სალიტერატურო ენა და დიალექტიზმები

ლექსიკის სწავლების დროს საბაზო საფეხურზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია დიალექტურ და სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ სიტყვებს შორის მიმართების ჩვენება. აქტივობათა დიდი ნაწილი ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ მოსწავლეთა მეტყველება გათავისუფლდეს დიალექტური სიტყვებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია თვით სალიტერატურო ენის განვითარებისათვის. ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული აქტივობა უნდა იყოს ცხრილების გამოყენება, რომლებშიც ნაჩვენებია

იქნება დიალექტური თვალსაზრისით რა წარმოშობისაა ის სიტყვები, რომლებიც დამკვიდრდნენ სალიტერატურო ქართულში. მაგალითად:

სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული	აღმოსავლურ დიალექტებში გავრცელებული	დასავლურ დიალექტებში გავრცელებული
პაპა/ბაბუა	პაპა	ბაბუა
ლოქო	ლოქო	ლლავი
თათარა/ფელამუში	თათარა	ფელამუში
ჩურჩხელა	ჩურჩხელა	ჯანჯუხა
ორლობე	ორლობე	შუკა
ბებია/დიდედა	დიდედა	ბებია

ამას გარდა, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ დავალებად სინონიმური სიტყვებიდან თვითონ ამოიცნონ, რომელია სალიტერატურო ქართულში მიღებული ლექსიკური ერთეული. მაგალითად, ამ წყვილებიდან ძნელი არ უნდა იყოს, სალიტერატურო სიტყვების ამოცნობა.

კნუტი — ცინდალი თირკმელი — ჭაჭა ჩრდილი — ჩერო
ხოშკაკალა — სიტყვა თხუნელა — ფულუ საინი — თეფში

თუ კლასში იქნება მოსწავლე, რომელსაც გაუჭირდება დიალექტური და სალიტერატურო სიტყვების გამიჯვნა, მაშინ საჭიროა შემდეგ გაკვეთილებზე ასეთი დავალებების გამეორება.

მოსწავლეთა ლექსიკის სრულყოფისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი მეტყველების განმეორება დისფემიზმებისაგან. ამისთვის ხშირად უნდა ხდებოდეს ისეთ დუბლეტურ ან ტრიპლეტურ სიტყვებზე ყურადღების გამახვილება, რომელთაგან ერთ-ერთი ნეიტრალური და ევფემისტური ფორმაა. ეს აუცილებელია, რათა მოსწავლე შეეჩვიოს ზრდილობიან მეტყველებას, დაიცვას სამეტყველო ეტიკეტი, ეს თვისება გადაეზარდოს ჩვევაში. ამისთვის ერთ-ერთი აქტივობა შეიძლება იყოს მოსწავლეებთან ევფემიზმისა და დისფემიზმის განმარტება სათანადო საილუსტრაციო მასალის ჩვენებით.

სამეტყველო სიტუაცია: ევფემიზმი და დისფემიზმი

ეუფემიო ბერძნული სიტყვაა და მორიდებას, მოკრძალებას ნიშნავს. ევფემისტური სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით მეტყველება მოკრძალებული, მორიდებული, ზრდილობიანი ხდება.

ევფემიზმის საპირისპირო ცნებაა **დისფემიზმი**, რომელიც მოურიდებელ სიტყვებსა და გამოთქმებს გულისხმობს.

მაგალითისთვის გთავაზობთ სიტყვებისა და გამოთქმების ცხრილს:

ნეიტრალური	ევფემისტური	დისფემისტური
მოდი	მობრძანდი	მოეთრიე
დაჯექი	დაბრძანდი	დაეგდე
ჭამე	მიირთვი	ხეტქე
რა თქვი?	რა ბრძანეთ?	რა წამოროშე?

სასურველია აქ მოცემული თითოეული სიტყვისა და გამოთქმის გამოყენების დისტრიბუციის ჩვენება კონკრეტული სოციალური ვითარების შესაბამისად.

სიტყვის მნიშვნელობის ცვლა

ლექსიკოლოგიის საკითხების სწავლებისას სასურველია ყურადღების გა-
მახვილება სიტყვათა მნიშვნელობების ისტორიულ ცვალებადობაზე.

დროთა განმავლობაში სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს. ამის
საილუსტრაციოდ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ სიტყვის
მნიშვნელობის ცვლის მაგალითებს ცხრილში:

სიტყვა	ახალი მნიშვნელობა	ძველი მნიშვნელობა
მეცნიერი	სწავლული, მკვლევარი	ნაცნობი
საყდარი	ქრისტიანული ღვთისმსახურების შენობა	მეფეთა, მღვდელმთავართა ტახტი
ცხედარი	მიცვალებულის გვამი	სანოლი
მედგარი	ძლიერი, მტკიცე, მამაცი, შეუპოვარი	ზარმაცი
ნიჭი	ადამიანის ბუნებრივი უნარი	საჩუქარი

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება გაფართოვდეს. მაგალითად:

- **რვეული** აღნიშნავდა რვა ფურცლის შეკვრას. დღეს რვეული შეიძლება
ასფურცლიანიც იყოს.
- **მელანი** აღნიშნავდა შავი ფერის სანერ სითხეს, დღეს მელანი ნებისმი-
ერი ფერის სანერი სითხეა.

ლექსიკოლოგია-სემანტიკის საკითხების სწავლება მოსწავლეს სა-
შუალებას მისცემს ამოიცნოს ტექსტის ენობრივი მახასიათებლები ან/და
ავტორის ენობრივი მიზანდასახულობა (იხ. ქართული ენისა და ლიტერატურის
საგნობრივი სტანდარტი, შედეგი VII.9).

მორფოლოგია

ფორმაცვალებადი სიტყვები

ქართული ენის სწავლების საბაზო საფეხურზე საჭიროა მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილთა გრამატიკულ კატეგორიებზე. მაგალითად, სახელების შემთხვევაში, ასეთია ბრუნვა და რიცხვი. სასურველია, ამ ორ კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები შედარებით დანვრილებით იქნეს განხილული, რადგან კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით ქართული ენის აღმოსავლური და დასავლური დიალექტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ქართული სალიტერატურო ენა აღმოსავლურ დიალექტებს მისდევს მაშინ, როცა დასავლურ დიალექტებს სახელის კუმშვა და კვეცა არ ახასიათებს. მაგალითად, იმერული დიალექტისთვის ბუნებრივია: *ფოთოლის, მგელის, წყალის, ხეის* და ასე შემდეგ, რაც, თავის მხრივ, მეგრულის გვალენის შედეგი უნდა იყოს. ამის საპირისპიროდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში ძალიან ხშირია კუმშვა თვით ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა სალიტერატურო ქართული კუმშვას არ უშვებს. მაგალითად, *ოპერის-ოპრის*. აქედან გამომდინარე, გაკვეთილის დაგეგმვის დროს პროვოცირების ეტაპზე შეიძლება მოსწავლეებს გამოვაცენებინოთ სქემა „ვიცი – მინდა ვიცოდე – ვისწავლე“. მასწავლებელმა მოსწავლეებს სქემის პირველი („ვიცი“) და მეორე („მინდა ვიცოდე“) სვეტები უნდა შეავსებინოს. მოსწავლეები ჩამოწერენ თეზისების სახით ყველაფერს, რაც იციან ან სურთ, რომ იცოდნენ მითითებული თემის შესახებ. მაგალითად:

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე
არსებითი სახელი იბრუნვის	როგორ იცვლება ფუძე ბრუნვის დროს	სახელის ფუძე შეიძლება შეიკუმშოს ან შეიკვეცოს

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ეცოდინებათ ყველა სახელის ბრუნვა და რიცხვის წარმოების თავისებურებანი, საჭიროა სახელების ტიპოლოგიური ერთიანობის ჩვენება, რისთვისაც გამოდგება დამახასიათებელი ნიშნების ანალიზი.

უფრო შედეგიანი იქნება ტექსტში გამოყენებული ფორმების განზოგადება მათი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, როცა მოსწავლეს უკვე ნასწავლი აქვს სახელები, მაშინ კონკრეტულ ტექსტზე დაფუძნებით შეიძლება შევთავაზოთ ასეთი აქტივობა: ერთ-ერთი მოსწავლე დაფაზე ვერტიკალურად ჩამოწერს შესაძარებელ მეტყველების ნაწილებს, მეორე მოსწავლე მთელი კლასის თანამონაწილეობით ჰორიზონტალურად დაწერს სახელებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთა ქონება-უქონლობით უნდა გაიმიჯნოს სახელები ქართულში.

მაგალითად:


მეტყველების ნაწილები	ფორმა- ცვალ.	ფორ- მა-უცვ.	იბრუნ- ვის	აქვს მრ. რ.	კითხვები					
					ვინ?	რა?	რო- გორი?	რომე- ლი?	რამ- დენი?	მერამ- დენე?
არსებითი სახელი	+	+	+	+	+	+	-	-	-	-
ზედსართავი სახელი	+	+	+	+	-	-	+	+	-	-
რიცხვითი სახელი	+	+	+		-	-	-	-	+	+

შენიშვნა: + ნიშნით აღინიშნება ის მახასიათებელი, რომელიც ბუნებრივია ამა თუ იმ სახელისთვის, - ნიშანი შესაბამისად ამ მახასიათებლის არქონაზე მიუთითებს. ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს კითხვის ნიშანი - ? იმ მახასიათებლის აღსანიშნავად, რომელიც არ ახსოვთ ან არ გაუვლიათ, რათა შემდეგ ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის საგნად იქცეს.

ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ პროვოცირების ეტაპზეც იმ შემთხვევაში, როცა, მაგალითად, რიცხვითი სახელი ჯერ არ არის სრულად შესწავლილი საბაზო საფეხურზე და მოსწავლეებს მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეუძლიათ. საკითხის გაანალიზების შემდეგ კი, ანუ გააზრების ეტაპზე, აუცილებელია სქემაში შესწორებების შეტანა.

როცა საკუთრივ კონკრეტული სახელების შედარება გვინდა შევთავაზოთ მოსწავლეებს, მაშინ ძალიან შედეგიანი იქნება ვენის დიაგრამის გამოყენება. ამ აქტივობით გამოჩნდება სახელების მსგავსება-განსხვავება. მასწავლებელი წინასწარ ირჩევს შესადარებელ სიტყვებს მთელი კლასის აქტივობით და დაფაზე დაწერილი თითოეული სიტყვის ქვემოთ ხაზავს ორ ურთიერთგადამკვეთ წრეს. წრეში ჩაინერება თითოეული სიტყვის მახასიათებლები, ხოლო წრეთა გადაკვეთის ადგილას ჩაინერება ორივე სიტყვისთვის საზიარო მახასიათებლები.

ვენის დიაგრამის ნიმუში:



საბაზო საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს სწორად წერისა და მართლმეტყველების უნარ-ჩვევებს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია კომპოზიტა შედგენილობა და მართლწერა. კომპოზიტა შექმნისა და მათი იდენტიფიცირებისათვის გამოდგება ასეთი აქტივობა. მოსწავლეებს ეძლევათ კომპოზიტა ჩამონათვალი და მოეთხოვებათ წყვილებად ან ჯგუფურად გაანანილონ ისინი წინასწარ მომზადებულ ცხრილში.

კომპოზიტების მართლწერა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააჯგუფონ ჩამოთვლილი რთული სიტყვები ცხრილის მიხედვით:

სულთამხუთავი	ჭიკჭიკი	თავისუფალი
ღულუნი	წვერხმელი	ახალგაზრდა
მორთულ-მოკაზმული	წკაპწკაპი	ხელ-ფეხი
თანამოძმე	ძირფესვიანად	ყოფა-ცხოვრება
დედამინა	თავდაპირველად	ქამარხანჯლიანი

მარცვალთა გამეორებით მიღებული ხმაბაძვითი კომპოზიტები	სიტყვათა შეერთებით მიღებული კომპოზიტები	
	კომპოზიტის პირველი ნაწილი ფუძეა	კომპოზიტის პირველი ნაწილი ამა თუ იმ ბრუნვის ფორმაა

კომპოზიტა შედგენილობისა და დაწერილობის შესახებ ცოდნის გასამყარებლად შეიძლება ანალოგიების გამოყენება, რაც ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ასეთი მიზნის მისაღწევად:

ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ნიმუშებს და დაადგინონ, რა მიმართებაა კომპოზიტებს შორის. მათ უნდა იპოვონ ნიმუშის მსგავსი წყვილი.

ნიმუში I: ზნე-ჩვეულება – სიცილ-კისკისი

- ა. ფარ-ხმალი – თვალ-წარბი
- ბ. მინდორ-ველი – უნარ-ჩვევა
- გ. დილა-სალამო – მთა-ბარი

ნიმუში II: ხუროთმოძღვარი – ვარსკვლავთმრიცხველი

- ა. საჭეთმპყრობელი – კაცთმოყვარე
- ბ. სწორუპოვარი – ფეხმარდი
- გ. კეთილსინდისიერი – პირმრგვალი.

ნიმუში III: ლუკმაპური – პურმარილი

- ა. გუთნისდედა – ცისარტყელა
- ბ. ფილთაქვა – მკათათვე
- გ. ციხესიმაგრე – ხარირემი

ზმნა

ზმნის სერიებისა და მწკრივების ტრადიციული ფორმით მიწოდება მოსწავლეებისთვის შექმნის სხვადასხვა სახის სირთულეს. ამიტომ უმჯობესია მოსწავლეები სპეციალურად შერჩეული ტექსტის მიხედვით დააკვირდნენ ზმნის დროს, კილოსა და ასპექტს ისე, რომ ყურადღება მიაქციონ, როდის ხდება მოქმედება, რა მიმართებაა ზმნით გამოხატულ მოქმედებას, თქმის მომენტსა და მოქმედების შედეგს შორის. ამ თვალსაზრისით ყველაზე შედეგიანი წარსული დროის ზმნებზე დაკვირვება იქნება.

წარსული დრო	კითხვები	ზმნის ფორმა
მოქმედება ხდებოდა თქმამდე გარკვეული დროის განმავლობაში	რას შვრებოდა?	წერდა
მოქმედება მოხდა, მაგრამ შედეგი თქმის მომენტში გაურკვეველია.	რა ქნა?	წერა
მოქმედება დასრულდა და შედეგი სახეზეა თქმის მომენტში.		დაწერა
შედეგი მიგვითითებს წარსულში (თქმამდე) მომხდარ ფაქტზე.	რა უქნია?	დაუწერია (თურმე)
სასურველი ან აუცილებელი იყო ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულება წარსულში.	რა ექნა?	დაეწერა (ნეტავ / უნდა / რომ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამ ცხრილის გამოყენებით განსაზღვრონ, რას გამოხატავს ქვემოთ მოცემულ ტექსტში გამოყენებული თითოეული ზმნის ფორმა.

„მე კასპიდან ვბრუნდებოდი გიგლას მანქანით. გიგლამ გზისკენ მიმახედა. ფერდობზე შვლის ქანდაკება იდგა. გამიკვირდა, რადგან თბილისიდან მომავალს ეს ქანდაკება არ შემიძინებია. მანქანის გაჩერება ვთხოვე გიგლას. მივუახლოვდი თუ არა, სასწაული მოხდა. ქანდაკება დაფრთხა და ფრუტუნითა და ჩლიქების თქარათქურით ჯაგნარში შევარდა. განა მარტო იყო, მთელი ჯოგი მიჰყვა თან.“

მალე გავიგე, იქაურობა ნაკრძალად გამოუცხადებიათ და ამიტომ შვლის ჯოგიც კარგა ხანია გამოჩენილა და მომრავლებულა“.

(ნოდარ დუმბაძე)

მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ნყვილებად, ნაიკითხონ ტექსტი და თითოეულ ზმნასთან დაკავშირებით გააკეთონ კომენტარი: ცხრილის მიხედვით რა კითხვა პასუხობს ზმნა და როგორია ზმნით გაოხატული მოქმედების დამოკიდებულება თქმის მომენტთან და მოქმედების შედეგთან.

ცალკე საუბრისა და დაკვირვების საგნად უნდა იქცეს ფუძემონაცვლე ზმნები. ცალკე-ცალკე უნდა გამახვილდეს ყურადღება პირში მონაცვლე, დროში ფუძემონაცვლე და რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნებზე, რას საბოლოოდ შეიძლება ჩამოყალიბდეს ცხრილის სახით, რომლის ცარიელი უჯრები მოსწავლეებმა უნდა შეავსონ:

№	ზმნები	პირში მონაცვლე	დროში ფუძემონაცვლე		რიცხვში ფუძემონაცვლე
1.	არის	გახლავს	იყო	იქნება	-
2.	ვაგდებ				
3.	მიდის				
4.	თქვა				
5.	დაჯდა				
6.	ხარ				
7.	ჭამა				
8.	აბია				
9.	აძლევ				
10.	ვტეხ				

როცა მოსწავლეებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ კონკრეტულ ტექსტებში გამოყენებული ზმნების პირიანობის, რიცხვის, დრო-კილოსა და ასპექტის დადგენა, სასურველია ზმნის გარჩევა ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით:

ზმნა	პირთა რაოდენობა			გარდამავლობა		რიცხვი		დრო			კილო			ასპექტი	
	ერთ.	ორ.	სამ.	გარდ.	გარდაუვ.	მს.	მრ.	ახლ.	წარს.	მომ.	თხრ.	ბრძ.	კავშ.	სრ.	უსრ.
ააღწევდა	+	-	-	-	+	+	-	-	+	-	+	-	-	+	-
დაჰყვებოდა															
მოთვლის															
შეებრძოლა															
დაძლია															
მიაპობდა															
მიიწევდა															

სინტაქსი

წინადადების გავრცობა

სინტაქსის სწავლებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია **წინადადების გავრცობა**.

1. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს განავრცონ ისეთი წინადადებები, რომელთა წევრები მხოლოდ ქვემდებარე და შემასმენელია. თან მოსწავლეებს აძლევს ამ სახის ინსტრუქციებს:

გავრცობისას: ა) გაარკვიეთ, რამდენპირიანი ზმნით არის გადმოცემული შემასმენელი. აღადგინეთ წინადადებაში ყველა პირის ფარდი სახელები; ბ) დაუმატეთ სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ საგნის თვისებაზე და მოქმედების დროზე, ადგილზე ან ვითარებაზე, კუთვნილებაზე.

ნიმუში:

მეფემ მოიხმო. მოიხმო მან ის (შვილი)

როგორ? – სასწრაფოდ

ვისი? – თავისი

როდის? – ერთ დღეს

როგორმა მეფემ? – დაუძღურებულმა

ერთ დღეს დაუძღურებულმა მეფემ სასწრაფოდ მოიხმო თავისი შვილი.

1. მამა დარწმუნდა.

2. უფლისწულმა დაარწმუნა.

3. ქვეშევრდომებმა მოახსენეს.

2. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მოიფიქრონ ოთხი სამპირიანი ზმნა და მათი საშუალებით შეადგინონ წინადადებები, რომლებსაც შემდეგ გამოიყენებენ შემასმენლად და ზმნის პირების ფარდ სახელებად. ამას მოსდევს მასწავლებლის ინსტრუქციები: **განავრცეთ თქვენ მიერ შედგენილი წინადადებები: ზედსართავი სახელებით, ნაცვალსახელებით, მოქმედების დროს, ვითარებისა და ადგილის გამომხატველი სიტყვებით.**

სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა

მართალია, ტექსტის მახასიათებლებზე მსჯელობა და დაკვირვება უფრო ეფექტიანი სწავლების საშუალო საფეხურზეა, მაგრამ მცირე ფორმატის ტექსტების შედგენაზე მუშაობა საჭიროა სწავლების ყველა დონეზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეგრეთ წოდებული საქმიანი ქალაქების შედგენა, რადგან მოსწავლეს ყოველდღიურად უხდება ასეთი სახის საინფორმაციო ტექსტების კითხვა.

ახსნა-განმარტებითი ბარათის შედგენა

მოსწავლეებს ეძლევათ ასარჩევად ორი შემთხვევა:

1. ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნის დაკარგვა.
2. გაკვეთილების დროს სკოლის შენობის უნებართვოდ დატოვება.

სანამ მოსწავლეები წერას დაიწყებენ, მასწავლებელი აძლევს რჩევას, მოიფიქრონ, რა ვითარებაში შეეძლოთ დაეკარგათ წიგნი ან რის გამო შეიძლებოდა გაეცდინათ გაკვეთილები.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, შეარჩიონ ერთ-ერთი შემთხვევა და დაწერონ ახსნა-განმარტებითი ბარათი პირველ შემთხვევაში ბიბლიოთეკის გამგის სახელზე, მეორეში – სკოლის დირექტორის სახელზე. ბარათში აუცილებლად უნდა აღნიშნონ, რას ითხოვენ.

ასეთივე საქმიან ტექსტებს მიეკუთვნება **გამაფრთხილებელი განცხადებაც.**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს ისეთი გამაფრთხილებელი განცხადებების შედგენას, რომლებიც გაიკვრება ბალებთან, გაზონებთან, საცხოვრებელ შენობებთან ან დაწესებულებებში.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს შემდეგ ინსტრუქციებს:

- იმუშაონ ჯგუფურად;
- წაიკითხონ ქვემოთ მოცემული ნიმუშები. ცალ-ცალკე ამონერონ კატეგორიული აკრძალვისა და თხოვნის გამომხატველი გამაფრთხილებელი განცხადებები;
- ისაუბრონ ჯგუფის წევრებთან, ჩამოთვლილთაგან რომელ განცხადებაში არ ჩანს კეთილგანწყობა:

არ იხმაუროთ!

ნუ იხმაურებთ!

ხმაური აკრძალულია!

გთხოვთ, ნუ იხმაურებთ!

გმადლობთ, რომ არ ხმაურობთ!

- იმუშაონ დამოუკიდებლად. ნიმუშის მიხედვით შეადგინონ განცხადებები.
- გამაფრთხილებელი განცხადებებისთვის გამოიყენონ წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი წინადადებები. ეცადონ, რომ მათ მიერ შედგენილ განცხადებებში ჩანდეს კეთილგანწყობა მკითხველისადმი.
- იმუშაონ ჯგუფურად, შეარჩიონ საინტერესო განცხადებები და გადაიტანონ დიდი ფორმატის ქაღალდზე, გააფორმონ შესაბამისად და გააკრან საკლასო ოთახში.
- კლასელებმა შეაფასონ ერთმანეთს ნამუშევრები და ისაუბრონ, რატომ შეირჩა ესა თუ ის ბრძანებითი წინადადება; სად და რა მიზნით შეიძლება ამა თუ იმ განცხადების გამოყენება.

ანოტაცია და კატალოგი

ერთია ტექსტის გამამთლიანებელ საშუალებებზე მსჯელობა და მათზე დაკვირვება, მაგრამ, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, სხვა მკითხველებისთვის ინფორმაციის მიწოდება ამა თუ იმ წიგნის შესახებ ანოტაციის სახით და ბიბლიოთეკაში წიგნის მოძიება კატალოგის გამოყენებით. ეს ჩვევები წიგნიერი ადამიანისათვის აუცილებელია. შესაბამისად, ამ სახის დავალებები მოსწავლეებს სწავლების ყველა დონეზე უნდა მიეცეთ მათი ასაკისა და აქტივობის სირთულის გათვალისწინებით.

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ანოტაციაში მოცემულია რამდენიმე ინფორმაცია ავტორზე და წიგნის მოკლე შინაარსი შეფასების დართვით.

ამის შემდეგ მოსწავლეებს დავალებად ეძლევათ მათ მიერ უკვე შესწავლილი ნაწარმოების ანოტაციის შედგენა ჯგუფური მუშაობის გზით.

მოსწავლეებს დავალების შესრულებამდე ეძლევათ შემდეგი ინსტრუქციები:

- ცალ-ცალკე ბარათებზე ამოიწერეთ მოთხრობების, ლექსების, იგავების ავტორები, სათაურები, სახელმძღვანელოს თავი და გვერდები.
- მოკლედ ჩამოაყალიბეთ ამავე ბარათებზე:
 - რა თემაზეა ნაწარმოები;
 - რას ექცევა მთავარი ყურადღება;
 - ვის დააინტერესებს იგი.

მასწავლებელი სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, წაიკითხონ კლასში მათ მიერ შექმნილი ანოტაციები.


ამის შემდეგ მოსწავლეები ალაგებენ ბარათებს ანბანზე ავტორთა გვარების მიხედვით, რის შედეგადაც მიიღებენ კატალოგს.

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს კატალოგის ფუნქციას, მაგალითად, ასე: **კატალოგი წიგნების გარკვეული წესით შედგენილი ჩამონათვალია.**

ამის შემდეგ მასწავლებელი ავალეს, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში კატალოგის გამოყენებით მოძებნონ რომელიმე მათთვის საინტერესო წიგნი და დააკვირდნენ, როგორ იპოვეს ეს წიგნი კატალოგში; რა წესები დაიცვეს წიგნის უშეცდომოდ მიგნებისათვის. მიღებული გამოცდილება მათ მეორე დღეს უნდა გაუზიარონ თანაკლასელებს. ყურადღება უნდა მიექცეს წიგნის ძიებას ავტორის, რედაქტორის ან სათაურის მიხედვით. განემარტოს მოსწავლეებს თემატური კატალოგის გამოყენების შემთხვევები.

ტექსტის ლინგვისტიკის საკითხები

საშუალო საფეხურზე სწავლებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ „ვეფხისტყაოსნის“ მოცემული ნაწყვეტი და დააკვირდნენ 83-ე სტროფის პირველი ტაეპი რომელი სტროფის ტაეპებთან ამყარებს კავშირს მინდა ლექსიკურ დონეზე.



83-ე სტროფის პირველ ტაეპში ხაზგასმულია სამი ერთეული: *ნახეს*, სინტაგმა – *უცხო მოყმე* და *მტირალი*. შემდეგ დაძებნილია ეს ლექსიკური ელემენტები რომელ ტაეპებში მეორდება და რა სახით. მაგალითად, *ნახვა* და *უცხო* სხვადასხვა სახით მეორდება შემდეგ ტაეპებში:

83,1: *ნახეს უცხლ მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა*

84,4: *ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა*

პირველ ტაეპში მოცემული ინფორმაცია სხვადასხვა ვარიაციით მეორდება დანარჩენ ტაეპებში. *ნახეს* და *ნახვა* მოუნდათ უცხოსა სანახავისა – ალიტერაცია. *უცხო* ამ ორი ტაეპის გარდა მეორდება 87-ე სტროფის მესამე ტაეპშიც.

არა მხოლოდ ერთი და იმავე სიტყვის ან სინტაგმის გამეორება ხდება, არამედ ერთმანეთთან გადაძახილი აქვთ საერთო მნიშვნელობის სიტყვებსაც, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა ხარისხით გამოხატავს ერთსა და იმავე მნიშვნელობას. მაგალითად, 83-ე სტროფის მეოთხე ტაეპის „*გულსა მდულრად ანატირსა*“ მეორდება 85-ე სტროფის პირველ ტაეპში „*ყმისა გულმდულარი-სად*“, თუმცა სიტყვა „*ტირილი*“ და მასთან სემანტიკურად დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები განსახილველ ნაწყვეტში ცოტა ნამდვილად არ არის:

83,3: *ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა;*

85,2: *თავჩამოგდებით მტირლისა;*

86,4: *იგი ტირს;*

87,4: *ცრემლსა სისხლი ერეოდა;*

88,3: *არცა დააგდო ტირილი.*

აქვე სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს **გამდიდრებული მინილექციის მეთოდი** და მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია ტირილის აღმოსავლური მეტაფორის საშუალებით გადმოცემის თაობაზე, მით უმეტეს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ განსახილველად აღებულ ნაწილში გამოყენებულია აღმოსავლური მეტაფორა: „*ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა*“. ამ ტიპის მეტაფორები რუსთველისთვის ჩვეულებრივია:

თვალთა ცრემლნი გარდმოცვივდეს, გული უფრო აუჩუქდა,

მონაქროლმან ვარდი დაზრა, ნამწამთაგან ბუქი ბუქდა (986, 2-3);

ან კიდევ:

მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია,

გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია (1254, 1-2).

გამდიდრებული მინილექციის დროს მოსწავლეებთან ამ საკითხზე საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ რუსთველი განიცდის სპარსულ სამიჯნურო თხზულებათა ყველაზე არსებითი შტრიხის გავლენას – უკიდურესობამდე მისული გრძნობის ქცევას ესთეტიკურ ფაქტად. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ტირილის აღმოსავლური მეტაფორებით გადმოცემის შემთხვევებს. მაგალითად:

გიჯობს, ცუდად ნულარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე? (382 (379), 3)

ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა (48 (47), 3)

ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი (1143,4)
ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭევრსა ათრთოლებდა (139
(138), 3)

ვარდსა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აკურებდა (1362, 3)

ამ ტაეპებში ვარდი, ბალი ვარდისა და მინა სახეს აღნიშნავს, ნარგისნი – თვალეbs, ხოლო ბროლი და თხელი ნამი – წამწამებს. სპარსულ პოეზიას სავალდებულო სახეების, მეტაფორა-შედარებების მთელი სისტემა აქვს, რისთვისაც სიტყვების მუდმივი ფონდი გააჩნია. ბევრი მათგანი დამკვიდრდა ქართული ენის ლექსიკაში სპარსული კულტურის გაცნობისა და ათვისების პროცესში. ეს სიმბოლოები იმდენად არიან დაკავშირებული საგანთან, რომლის მეტაფორას ისინი წარმოადგენენ, რომ თავისი ძირითადი მნიშვნელობის გვერდით პოეზიის ენით შექმნილ მეორეულ მნიშვნელობასაც იძენენ. ასე მაგალითად, ნარგიზი ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც ყვავილი და, ამავე დროს, როგორც ლამაზი თვალი. მეორე მნიშვნელობა ნარგიზისა მეტაფორულია. სპარსულ ლირიკაში საყოველთაოდ გავრცელებული ეს მეტაფორა-შედარებები განპირობებულია სპარსული აზროვნების ძირითადი პრინციპებით – დეკორატიულობით, ხატოვნებითა და ფერადოვნებით. როგორც აღმოსავლეთმცოდნე დავით კობიძე წერს, მართალია, ირანელი პოეტები ფირდოუსამდე და ფირდოუსის შემდეგაც თვალეbs აღმნიშვნელად ნარგისებს იყენებენ და ტირილს, ცრემლებს ღვრას ნარგისთაგან მარგალიტების, წყლის ან ვერცხლისწყლის გადმოღვრას ადარებენ, მაგრამ არც ერთი ირანელი პოეტი არ ასულა ამ მეტაფორის (თვალი-ნარგისი) მხატვრული გააზრების (და ამრიგად ტირილის მხატვრულად წარმოდგენის) თვალსაზრისით რუსთველის სიმალღებზე: ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა (975,4) .

ხშირად რეალობის რომელიმე ფაქტის (ამ შემთხვევაში – ტირილის) გადმომცემი ზმნის ან ფრაზეოლოგიზმის აზრს მომდევნო ტაეპში შლის და ავრცობს აღმოსავლური მეტაფორა, მაგალითად:

ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,

ნარგისთა იძვრის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია (1455 (1456), 3-4)

წვიმა ცხარე ტირილით გამოწვეული ცრემლებია, თოვლი – თეთრი პირისახე; ნარგიზნი – თვალეbs, ნარგიზებიდან (თვალეbsიდან) აძრული ბორიო ცრემლების წვიმით სუსხავს, ზრავს ღანვებს (ვარდს). ჭეშმარიტად სუსხიანი იანვრის პეიზაჟიაო, – ასკვნის რუსთველი მშვენიერი პოეტური შედარების ნიადაგზე. „ვეფხისტყაოსანში“ აშკარაა სპარსული ესთეტიკური გემოვნების გავლენის კვალი. მაგრამ რუსთველი არ არის სპარსული სკოლის ბრმა მიმდევარ, იგი შემოქმედებითად ითვისებს და გარდაქმნის აღმოსავლურ მეტაფორას.

II.2. ტექსტები ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში

სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ, დაამუშაონ, გაიაზრონ და შექმნან ისეთი ტექსტები, რომლებიც თანამედროვე სამყაროში მათ სრულფასოვანი კომუნიკაციისა და ენობრივი ოპერირების საშუალებას მისცემს. ამდენად, საგნის სწავლების სამივე მიმართულება, რომლებიც ითვალისწინებს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარებას, სწორედ ამგვარ ტექსტებს ეფუძნება.

ენის სწავლების, ზოგადად, ენობრივი კომპეტენციების სრულფასოვნად განვითარების ძირითად საყრდენს წარმოადგენს ტექსტი. მასალა, რომლის სწავლებაც გათვალისწინებულია სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე, მოიცავს ურთიერთგანსხვავებული ფორმებით გადმოცემული სხვადასხვა ტიპის მხატვრულ თუ არამხატვრულ ტექსტებს. ეს ფორმებია: **ზეპირი, წერილობითი (ბექდური), ვიზუალური, მულტიმედიაური**, ან შერეული. სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ტექსტებს მოსწავლეები თავადაც ქმნიან.

ზეპირი ტექსტები (თხრობა, მოხსენება, დისკუსია, საუბარი და ა.შ.) გამოიყენება ბევრ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (იგივე სამეტყველო კონტექსტში), მათ შორის, ყოფით, არაოფიციალურ თუ ფორმალურ გარემოში, მოსაუბრესთან ან მსმენელთან უშუალო თუ დისტანციური ურთიერთობისას. გაკვეთილზე მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, ლაპარაკისა და მოსმენისთვის გამოიყენონ სხვადასხვა პრაგმატული თუ ესთეტიკური მიზნის მქონე, სხვადასხვა აუდიტორიისათვის განკუთვნილი ზეპირი ტექსტები. სხვადასხვაგვარი ზეპირი ტექსტების მოსმენისა და შექმნის გზით, ინფორმაციის მიღებასთან და გადაცემასთან ერთად, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, დაამყარონ ურთიერთობები სხვა ადამიანებთან და, რაც მნიშვნელოვანია, ჩამოუყალიბდეთ საკუთარი თავის რწმენა, უკეთ გაეცნონ საკუთარი თავი და განუვითარდეთ თვითშეფასების უნარი.

მოსწავლეები არა მხოლოდ კითხულობენ, არამედ ქმნიან კიდევ წერილობით ტექსტებს. ისინი კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას სიამოვნების მიღების თუ ცოდნის გაღრმავების მიზნით. მათ ასევე უწევთ მრავალგვარი საინფორმაციო, დარგობრივი თუ პრაგმატული ხასიათის ტექსტების გაცნობა სხვადასხვა მიზნით. ამასთანავე, მოსწავლეები თავად ქმნიან განსხვავებული ტიპის ტექსტებს, რომლებშიც ისინი გადმოსცემენ საკუთარ მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებს შესწავლილი მხატვრული ნაწარმოებებისა თუ სხვადასხვა აქტუალური თემების შესახებ, აღწერენ კონკრეტულ მოვლენას, გვანჯდიან ინფორმაციას, გვიზიარებენ საკუთარ თუ სხვათა გამოცდილებას ან გვარწმუნებენ საკუთარი შეხედულებების მართებულობაში. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მიიღონ მდიდარი ენობრივი გამოცდილება და წარმატებით გადაწყვიტონ საკითხავი თუ წერიითი ამოცანები, აუცილებელია, რომ სასწავლო პროცესში მათ შეხება ჰქონდეთ რაც შეიძლება მრავალფეროვან წერილობით ტექსტებთან.

ვიზუალური ტექსტები, ისევე როგორც ზეპირი და წერილობითი, განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციაში გამოიყენება სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისთვის. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს ასეთ ტექსტებზე მუშაობის საშუალებაც უნდა მიეცეთ, რათა ამოიცნონ, გააანალიზონ და გაიაზრონ, თუ როგორ და რა ხერხებით ასახავს, ეხმიანება ვიზუალური ტექსტი რეალობას ან ახდენს ზემოქმედებას ადამიანების შეგონებებსა და ცნობიერებაზე.

ნებისმიერი ტექსტი, რომელიც წარმოადგენს ზეპირი და ვიზუალური, წერილობითი (ბეჭდური) და ზეპირი, ან წერილობით (ბეჭდური) და ვიზუალური კომპონენტების კომბინაციას, არის მულტიმედიური ტექსტი. ბევრი ასეთი ტექსტი მოიცავს სამივე ტიპის – ზეპირი, წერილობითი (ბეჭდური) და ვიზუალური – ტექსტის კომპონენტებს.

გთვავობთ ტექსტების ჩამონათვალს, რომელთა მიზნობრივად გამოყენება როგორც საკლასო გარემოში, ისე სკოლის გარეთ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის წარმატებით დაძლევის საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

ზეპირი ფორმით გადმოცემული ტექსტები საბაზო და საშუალო საფეხურზე

- თხრობა;
- ზეპირი კითხვა;
- კითხვის დასმა;
- დიალოგი;
- ინტერვიუ;
- კომენტარი;
- შეჯამება / რეზიუმე;
- გამოსვლა / მოხსენება;
- დისკუსია;
- კამათი / დებატი;
- არგუმენტირებული მსჯელობა;
- როლური თამაში / იმიტაცია;
- დრამატული მონოლოგი;
- პრეზენტაცია;
- სხვა.

წერილობითი ფორმით გადმოცემული ტექსტები

მხატვრული ლიტერატურა

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მხატვრულ ლიტერატურას, რადგან სწორედ იგი აყალიბებს ჩვენს წარმოდგენას გარესამყაროზე, სწორედ ის გვაძლევს ამოუწურავ საფიქრალს

მარადიულ თემებზე – ცხოვრების არსზე, სამყაროსა და ადამიანურ ურთიერთობებზე; გვიბძგებს, რომ ჩავწვდეთ ადამიანის განცდებსა და გრძნობებს, მის ბუნებას და ავხსნათ მისი ქმედებები.

ლიტერატურის უპირველესი ღირებულება მისი ესთეტიკური მხარეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მკითხველს სიამოვნებას ანიჭებს მხატვრული ენის სიღრმე, მოქნილობა და ექსპერსიულობა, მას უჩნდება თანაგანცდა პერსონაჟების მიმართ, შეუძლია მათთან ერთად „გაიაროს“ ცხოვრების გზა, გახდეს ცხოვრებისეული ისტორიებისა და თავგადასავლების მონაწილე. ნაწარმოების ემოციური და ინტელექტუალური გააზრების საფუძველზე მკითხველს უყალიბდება **პირადი დამოკიდებულება** ნაკითხულის მიმართ.

კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგებთან:

ქართ. VII.7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

ქართ. VIII.5. მოსწავლეს შეუძლია გაიზაროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავს გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხზე.

ქართ. IX.6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ქართ. X.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების ნაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ლიტერატურა უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, გაიგოს, განიცადოს და გაიზიაროს უამრავი ადამიანური ცხოვრებისეული გამოცდილება. ლიტერატურის წყალობით მკითხველი შეიძლება უეცრად აღმოჩნდეს სხვა ეპოქაში, მისთვის უცხო ადგილას, განსხვავებულ კულტურაში, სრულიად მოულოდნელ სიტუაციაში. საინტერესო ამბებისა და თავგადასავლების გაცნობის გარდა, ეს გამოცდილება საგრძნობლად აფართოებს მის თვალსაწიერს, გეოგრაფიულ, ისტორიულ თუ კულტურულ-სოციალურ არეალს და ამით ეხმარება მას კითხვის დროს **კონტექსტის გააზრებაში**.

კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგებთან:

ქართ. VIII.7. მოსწავლეს შეუძლია ნაწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება.

ქართ. IX.6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ქართ. X.9. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.

ქართ. XI.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ქართ. XII.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ქართ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

რიგ შემთხვევებში ლიტერატურული ნაწარმოების სრულყოფილად გააზრებისათვის, ნაწარმოების თემის, იდეის, პერსონაჟების ქცევის, მოტივაციის და მისთ. უკეთ გასაგებად აუცილებელია პოლიტიკური, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინება. ასეთ ნაწარმოებებს ქართული ლიტერატურიდან მიეკუთვნება, მაგ., „ბედი ქართლისა“, „25 თებერვალი“, „დიდი იოსები“, „ჯაყოს ხიზნები“, „ჰაკი აძბა“ და მრავალი სხვა.

მხატვრული ლიტერატურა ხელს უწყობს მოსწავლეთა **თვითრეფლექსიის** უნარის ჩამოყალიბებას. ამ ტიპის ტექსტების კითხვა გზას უხსნის ადამიანს, უკეთ შეიმეცნოს საკუთარი თავი, შეიცნოს, გაიაზროს და შეაფასოს მის ირგვლივ არსებული სამყარო – დრო, რომელშიც მას უწევს ცხოვრება, ქვეყანა, რომელშიც ის დაიბადა და/ან გაიზარდა, წრე, რომელთანაც აქვს ურთიერთობა, ასევე დაფიქრდეს, რა სურს ან რა აღელვებს. სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ ასაკის შესაბამისი ლიტერატურის კითხვა ეხმარება მოსწავლეებს, დააკავშირონ წაკითხული საკუთარ ცხოვრებასთან, მიიღონ ახალი გამოცდილება და ამ გამოცდილების მეშვეობით გარკვეული მიმართულება მისცენ საკუთარ ცხოვრებას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართვა საუბრებში და დისკუსიებში. ამგვარი აქტივობების საშუალებით მათ შეუძლიათ გაიგონ, რამდენად ემთხვევა ერთმანეთს მისი და თავისი თანატოლების

წარმოდგენები ისეთი ფუნდამენტური ზნეობრივ-ეთიკური ცნებების შესახებ, როგორებიცაა, მაგალითად: მეგობრობა, სიყვარული, სიძულვილი, შურისძიება, ეჭვიანობა, შური, ერთგულება, კეთილშობილება, პატიოსნება, ვერაგობა, ეთნიკური, რელიგიური თუ პიროვნული იდენტობა, განსხვავებულობა, თავისუფლება, იმედი და სასონარკვეთა და ა.შ. ძველი და თანამედროვე, მოზრდილებისათვის განკუთვნილი, ეროვნული თუ მსოფლიო ლიტერატურულ ტექსტებში ასახული იდეების და ღირებულებების გაცნობა და შეფასება დიდად ეხმარება მკითხველს საკუთარი შეხედულებებისა და ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებაში, გააზრებასა და მათ დაცვაში.

კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგებთან:

ქართ.VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გაანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავს გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხზე.

ქართ.X.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ქართ. XII.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

თუკი მოსწავლეებს შევთავაზებთ მრავალფეროვან ლიტერატურულ ტექსტებს და ვასწავლით მათ ამ ტიპის ტექსტების სხვადასხვა **ენობრივ თუ სტრუქტურულ მახასიათებლებზე დაკვირვებას**, ისინი თანდათანობით აღმოაჩენენ სხვადასხვა ჟანრისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, დააკვირდებიან და გაიაზრებენ, რა აუცილებელი ელემენტების ერთობლიობა ქმნის ამა თუ იმ ჟანრის მხატვრულ ტექსტს. რა თქმა უნდა, მოსწავლეები თავიანთ დაკვირვებას და ცოდნას გამოიყენებენ, როგორც მოდელს საკუთარი წერიტი ნამუშევრების შექმნისას, რისი საშუალებაც მათ აუცილებლად უნდა მიეცეთ. ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვის დროს მისი ენობრივ-გამომსახველობითი და სტრუქტურული ასპექტების გაანალიზება უშუალოდ უკავშირდება წერიტი უნარების განვითარებას და სტანდარტის შესაბამისი შედეგების დაძლევას.

ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება **ლიტერატურის თეორიის საკითხების სწავლებას სკოლაში**. ლიტერატურის კითხვის საშუალებით მოსწავლეები იძენენ ცოდნას თავად ლიტერატურის, როგორც კულტურული ფენომენის შესახებ და შეძლებენ ამ გადასახედიდან გაიაზრონ და შეაფასონ იგი. ამდენად, მხატვრული ლიტერატურის სწავლებისას გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული ტექსტისა და ავტორის შესახებ რაფინირებული ინფორმაციის მიღებისა ან ლიტმცოდნეობითი ტერმინების დასწავლაზე მეტად მნიშვნელო-

ვანია, რომ მოსწავლეებისთვის ლიტერატურის კითხვა იყოს აღმოჩენებითა და განცდებით სავსე ცოცხალი პროცესი. მკითხველისთვის ლიტერატურული ტექსტი უპირველესად არის თავგადასავალში მონაწილეობის, პიროვნული გამოცდილების მიღების და არა თეორიული ცოდნის დაგროვების საშუალება ან ინფორმაციის წყარო.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ლიტმცოდნეობითი საკითხებისა და ტერმინების სწავლება მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს თვითმიზანი. მხატვრული ხერხებისა თუ ლიტერატურული ფორმების ამოცნობის სწავლება აზრს იძენს მაშინ, თუკი ამას უფრო დიდი მიზანი უდევს საფუძვლად. ამ ცოდნის საშუალებით მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებების, მხატვრული ხერხების ფუნქციის ამოცნობა და გააზრება;
- ავტორის მიერ გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ეფექტურობის შეფასება მთლიანად ტექსტში ან კონკრეტულ ადგილას;
- ზოგადად, ენის მდიდარი გამომსახველობითი შესაძლებლობების, მისი ექსპრესიული ბუნების გაცნობიერება;
- მხატვრული ტექსტის ესთეტიკური მხარის ობიექტურად აღქმა და კრიტიკულად შეფასება.

მხატვრული ნაწარმოებების ჟანრული მახასიათებლების სწავლებისას კი მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მისი უპირველესი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ტექსტის ღრმად და საფუძვლიანად გააზრებაში. მოსწავლისთვის თვითმიზანი არ უნდა იყოს ლიტერატურის თეორიის საკითხების ზედმიწევნით და დანვრილებით ცოდნა. მას ეს ცოდნა უპირველესად სჭირდება ლიტერატურულ ტექსტთან მაქსიმალურად ახლოს მისასვლელად ინტელექტუალური და ემოციური თვალსაზრისით.

კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგებთან:

კითხვა	წერა
ქართ. VII.9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.	ქართ. VII.11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტების შექმნა სხვადასხვა მიზნით.
ქართ. XI. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს, როგორ გამოიყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ელემენტები მისი ინტერპრეტაციის დროს.	ქართ. VIII.10. მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.
ქართ. IX.7. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების ანალიზისას.	ქართ. IX.12. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი ტექსტის სტრუქტურა და ენობრივი ნორმები.
ქართ. X.6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით.	ქართ. X.12. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექსტის შექმნა მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით.
ქართ. X.9. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.	ქართ. XI.13. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.
ქართ. XI.7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების გაანალიზება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.	
ქართ. XII. 8. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ენის სხვადასხვა ასპექტების გაანალიზება.	
ქართ. XII.9. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს, რა გავლენას ახდენს ავტორის ენობრივი არჩევანი მკითხველზე.	

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის მიხედვით, სკოლამ მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს ლიტერატურის თეორიაში აღიარებული ყველა ძირითადი ჟანრის – ეპიკური, ლირიკული და დრამატული – მხატვრული ნაწარმოებების ფართო არჩევანი.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის მიხედვით, საბაზო საფეხურზე გათვალსწინებულია შემდეგი სახის მხატვრული ტექსტების ნაკითხვა და დამუშავება:

საბაზო საფეხური:

- მითი;
- ლეგენდა;
- ხალხური და ლიტერატურული ზღაპარი;
- ლექსი (სხვადასხვა ჟანრის);
- პოემა;
- იგავ-არაკი;
- მოთხრობა;
- ნოველა;
- სხვ.

საშუალო საფეხურზე აქცენტი მეტად ინაცვლებს შინაარსობრივად მრავალპლანიანი, ვრცელი, ჟანრობრივად და მხატვრული ფორმით გამოკვეთილი, ასევე პოლიჟანრული ნაწარმოებების შესწავლაზე. ასეთებია:

- რომანი;
- ეპიკური პოემა;
- პიესა (დრამა);
- მემუარი / ავტობიოგრაფია;
- ლიტერატურული ესე;
- სხვ.

სავალდებულო ლიტერატურა საბაზო და საშუალო საფეხურებზე

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის შემუშავებულია სავალდებულო პროგრამა, რომელიც მთლიანად ქართველ ავტორთა თხზულებებისაგან შედგება.

ქართულ სკოლებში ბოლო წლებში დამკვიდრდა ორგვარი მიდგომა ეროვნული და უცხოური ლიტერატურის სწავლებაში – ქრონოლოგიური და თემატური და შეიქმნა შესაბამისი პრინციპით აგებული სახელმძღვანელოებიც. ამ ორივე მიდგომის გამოყენების საშუალებას იძლევა ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამა. მოკლედ განვიხილოთ, რა უდევს საფუძვლად თითოეულ მათგანს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერო ნაციონალურმა ლიტერატურამ (მანამდე მხოლოდ პოეზია და სასულიერო ლიტერატურა ისწავლებოდა). ამ ფაქტს განათლების თეორეტიკოსები გერმანელ რომანტიკოსთა გავლენას მიაწერენ. მაგალითად, გერმანელი ფილოსოფოსის, თეოლოგის, პოეტისა და ლიტერატურის კრიტიკოსის, იოჰან გოტფრიდ ჰერდერის (1744-1803) მტკიცებით, ერი (ნაცია), მისი ენა და ლიტერატურა ერთმანეთისაგან განუყოფელია და მათ შორის ურყევი მთლიანობაა. ის მიიჩნევდა, რომ ლიტერატურა არის ერის (ნაციის) სულის (Volkgeist) საუკეთესო გამოხატულება. სწორედ ამ იდეის მხარდამჭერთა წყალობით თავდაპირველად ლიტერატურათმცოდნეო-

ბაში, როგორც აკადემიურ დისციპლინაში, წარმოიშვა ახალი მიმართულება – ლიტერატურის ისტორია, რომელმაც შემდგომში სასკოლო განათლებაშიც დაიმკვიდრა ადგილი. ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი მკვეთრად ეთნოცენტრისტულ მიდგომებს ლიტერატურის სწავლებაში. საბჭოთა სკოლაში ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთ მიზნად გაცხადებული იყო შემდეგი; „მოსწავლეს უნდა ესმოდეს ლიტერატურის ისტორიული განვითარების კანონზომიერებები“, ანუ მთავარი იყო ლიტერატურის ისტორიულ ქრილში შესწავლა, მისი განვითარების ეტაპების ცოდნა.

ლიტერატურის ამგვარი ისტორიულ–ნაციონალისტურ ქრილში განხილვა დროთა განმავლობაში ეჭვქვეშ დააყენა კომპარატივისტიკამ, როგორც ახალმა მიმდინარეობამ ლიტერატურათმცოდნეობაში. ამ მიმართულების წარმომადგენლებმა ვინრო, ნაციონალისტური ხედვა ჩაანაცვლეს უნივერსალური ფორმებისა და მოდელების, იდეების, მოტივებისა და სიმბოლოების ძიებითა და შესწავლით. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ლიტერატურათმცოდნეობა მთლიანად თქვეს უარი ლიტერატურის კრიტიკის ნაციონალისტურ და შეფარულად ელიტურ მემკვიდრეობაზე. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სკოლებში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის არსებობაც, ხოლო სასკოლო სასწავლო პროგრამებში გაჩნდა ე.წ. „არაკანონიკური“ ტექსტებიც. ამალღებული, „რომანტიკული“ სულიერება ჩაანაცვლა განსხვავებულმა ტენდენციამ – ლიტერატურის კრიტიკის მკითხველზე ორიენტირებამ და სტრუქტურალისტურმა მიდგომებმა. სასწავლო პროგრამებში დოკუმენტური პროზის, სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების, ასევე მულტიმედიის ჩართვა ამგვარი მიდგომის ერთ-ერთ გამოვლინებად შეგვიძლია განვიხილოთ.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, ლიტერატურის ფენომენი დღესაც აღიქმება, როგორც ნაციონალური იდენტობის გამოვლინების გამორჩეული და შეუცვლელი საშუალება. სასწავლო პროგრამებში ლიტერატურას კვლავინდებურად განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია და იგი დღეს თანაარსებობს თანამედროვე ტენდენციების შედეგად აღმოცენებულ ყველაზე რადიკალურ იდეებთანაც კი.

ლიტერატურის სწავლების თანამედროვე თეორიების საფუძველზე შეიქმნა ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამაც. ამ დოკუმენტის ზოგად ნაწილში, სადაც ჩამოყალიბებულია საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები, გაცხადებულია, რომ ლიტერატურის შესწავლამ მოსწავლე **ეროვნულთან ერთად ზოგადსაკაცობრიო კულტურასაც უნდა აზიაროს**; მან უნდა შეძლოს ეროვნულისა და უნივერსალურის ერთმანეთთან დაკავშირება მშობლიური და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების, პრობლემატიკისა და ფასეულობების განაალიზების და შეფასების საფუძველზე. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი ამოცანაა **„ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრება“** (იხ. საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბ) ქვეპუნქტი: „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები“).

ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ქართ. XII. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.

ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

ლიტერატურის სწავლება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გულისხმობს ლიტერატურის გააზრებას არა მხოლოდ ნაციონალურ ქრილში, ან ტრადიციულად დამკვიდრებული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას, არამედ მის გაანალიზებას მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში, საერთო და განსხვავებული თემების, პრობლემების, იდეალებისა და ფასეულობების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე.

ეს განსაკუთრებით აქტუალურია ქართული ლიტერატურის იმგვარი ნიმუშების შესწავლის დროს, რომლებიც ეხება მარადიულ თემებს, პრობლემებს, ასახავს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და/ან უნივერსალურ სიმბოლოებს. მაგ., ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე მსოფლიო ლიტერატურული პროცესების კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ქართული რომანტიზმი, სიმბოლიზმი, პოსტმოდერნიზმი (შესაბამისად, ევროპული რომანტიზმის, ევროპული და/ან რუსული სიმბოლიზმის, უცხოური პოსტმოდერნიზმის კონტექსტში); „ვეფხისტყაოსნის“ ღირებულებები (მაგ., სიყვარული უდიდესი ნიჭია) განვიხილოთ კრეტიენ დე ტრუას შემოქმედების გათვალისწინებით; დავით გურამიშვილისა და/ან ილია ჭავჭავაძის ნააზრევი ცოდნის, განათლების ძალაზე შეიძლება დასავლელი განმანათლებლების, მოაზროვნეებისა და მწერლების თვალსაზრისის გათვალისწინებით. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ უნივერსალური სიმბოლო¹ – მთა, როგორც მიღმური, ტრანსცენდენტური ად-

1 უნივერსალური სიმბოლო – უნივერსალური ესთეტიკური კატეგორია, რომელიც საერთოა სხვადასხვა კულტურისათვის (მაგ., გველი, როგორც ბოროტება, სიბრძნე, ცთუნება; წყალი – სიცოცხლე, მოძრაობა, დამანგრეველი ძალა; კვერცხი – აღორძინება, ხელახლა დაბადება; ღამე – სიკვდილი, სხვ.). ამის საპირისპიროა კონტექსტური სიმბოლო, რომელიც შექმნილია ავტორის მიერ ერთი ნაწარმოების ფარგლებში და სხვაგან არ გამოიყენება (მაგ., „თვითმოძრავი ქური“ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“).

გილი, რომელიც ხან საკრალურ სივრცედ წარმოგვიდგება, ხან – ავი სულების საუფლოდ, მათ შეუძლიათ ერთმანეთს შეუდარონ ნიკოლოზ ბარათაშვილისეული მთანმინდა („შემოღამება მთანმინდაზედ“) და გოეთესეული ბლოკ-სბერგის მთა („ფაუსტი“) და სხვ.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ლიტერატურის სწავლება განიხილება, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების, მისი ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარების, ასევე, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან ზიარების საშუალება.

სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, ქართულ სასწავლო გეგმაშიც პლურალისტულ მიდგომებთან ერთად თანაარსებობს მკვეთრად ნაციონალური სავალდებულო ლიტერატურის კორპუსი, რომელიც სასკოლო განათლების ბოლო ექვსი წლის (VII-XII კლასებს) 60 პროცენტს შეადგენს და მთლიანად ქართველ ავტორთა ნაწარმოებებისაგან შედგება (იხ. 2011-2016 წ.წ. ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამა).

თავად სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს ორი განზომილება აქვს და იგი სწორედ ამ ორ სიბტყეზე უნდა განვიხლოთ. ერთია მისი შინაარსობრივი მხარე (კონკრეტული ავტორები, ნაწარმოებები, ჟანრები თუ ისტორიული ეპოქები), ხოლო მეორეა მისი პრაქტიკული მხარე (რამდენად იძლევა ამა თუ იმ ნაწარმოების შესწავლა სახელმწიფოს მიერ დადგენილი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის საშუალებას). ეს ორი განზომილება თანაბრად მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესში. მაგრამ ფაქტია, რომ ლიტერატურის ჩამონათვალის შეფასება, ზოგადად, მხოლოდ მის შინაარსს უკავშირდება. ლიტერატურის სწავლება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ტექსტების ჩამონათვალი, რადგანაც ის ასევე გულისხმობს თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების გამოყენების აუცილებლობასაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის შემუშავებისას ნაწარმოებების შერჩევის მთავარი კრიტერიუმი ტრადიციულად მისი მაღალმხატვრული ღირებულებაა, ასევე მნიშვნელოვანია ნაწარმოების მკვეთრად ეროვნული და ზოგადკულტურული მნიშვნელობაც. შერჩევის კრიტერიუმებად მოიაზრება, აგრეთვე, ეპოქაც, რომელშიც შეიქმნა ეს ნაწარმოები, ასევე მისი ჟანრული და ენობრივი მახასიათებლები. მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ამგვარი ჩამონათვალი უპირველესად მიზნად ისახავს ყველაზე ფასეული ლიტერატურული ნაწარმოებების აღიარებას ეროვნულ დონეზე, მის შენარჩუნებასა და მომავალი თაობებისთვის გადაცემას. მისი უპირველესი დანიშნულება მაინც ერის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაა.

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა უტოვებს არჩევანის თავისუფლებას სკოლის პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს. განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო, რომ სწავლების შინაარსი უფრო მეტად მორგებოდა თანამედროვე ახალგაზრდების ინტერესებს და მასში ექსკლუზიურად მხოლოდ წერილობითი ტექსტები არ ყოფილიყო წარმოდგენილი. რეფორმების შედეგად საქართველოს ეროვნულმა სასწავლო გეგმამ, სხვა ქვეყნების კურიკულუმების მსგავსად,

ხელი შეუწყო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას სასკოლო სივრცეში. წერილობითი ტექსტებთან ერთად მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ვიზუალური და მულტიმედია ტექსტების გამოყენების შესაძლებლობაც მიეცათ.

ცხადია, რომ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი თავისი ბუნებით უფრო კონსერვატიულია და უმეტესად ეფუძნება ტრადიციულად დამკვიდრებულ მოსაზრებებს ლიტერატურის შესახებ. ამიტომ, მასწავლებლის მოვალეობაა, გააცოცხლოს თანამედროვე კონტექსტში ეს ტექსტები და ამ გზით თავიდან აიცილოს საფრთხე იმისა, რომ სკოლაში მათი სწავლება მექანიკურ პროცესად არ იქცეს და ამით ხელი არ შეეშალოს კრიტიკული აზროვნების განვითარებას მოსწავლეებში, რაც თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

არამხატვრული ტექსტები

არამხატვრული ტექსტების კითხვა ეხმარება მოზრდილ მკითხველებს, გამოუმუშავდეთ წიგნიერების ფუნდამენტური უნარ-ჩვევები, რომელთაც ფლობაც სრულიად აუცილებელია დღევანდელ საზოგადოებაში წარმატებული ცხოვრებისათვის. ამიტომაც, თანამედროვე მოსწავლეებს დღეს სასკოლო პროგრამებით გათვალისწინებული აურაცხელი ინფორმაციის დამახსოვრებაზე მეტად ესაჭიროებათ სწორედ ინფორმაციის მოძიების, ინტერპრეტირების, შეფასების, ორგანიზების, გამოყენებისა და გადაცემის უნარ-ჩვევების განვითარება. სხვაგვარად ამ უნარ-ჩვევების ერთობლიობას საინფორმაციო წიგნიერება ეწოდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს არამხატვრული ტექსტების არაერთი კლასიფიკაცია მათი ტიპებისა და დანიშნულების მიხედვით. აქ წარმოგიდგინთ შეჯერებულ ვერსიას, რომელიც ითვალისწინებს და ესადაგება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე მეტად გავრცელებულ მოდელს და, რაც მთავარია, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის მიხედვით ტექსტების დამუშავების პრაქტიკას.

არამხატვრული ტექსტებიდან გამოვყოფთ ექვს ძირითად ტიპს, რომელთა დამუშავებაც მოეთხოვებათ მოსწავლეებს საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ესენია:

1. **საინფორმაციო.** როგორც სახელწოდება გვეუბნება, ასეთი ტექსტის ძირითადი დანიშნულება მკითხველის ინფორმირებაა. ამ ტიპის ტექსტები ამოიცნობა კონკრეტული ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლებით. მაგალითად: საინფორმაციო ტექსტებში ზმნები უმეტესად (მაგრამ არა ყოველთვის) გვხვდება ანმყო დროში, გამოყენებულია ზმნის III პირის ფორმები; ინფორმაცია მოწოდებულია პირდაპირ და გასაგებად, გამოტანილია ქვესათაურები; შედგება მოკლე აბზაცებისაგან; ტექსტი გამდიდრებულია ვიზუალური ელემენტებით – დიაგრამებით, ფოტოებით, რუკებით და ა.შ.

2. **თხრობითი** (იგივე ნარატიული). ამ ტიპის ტექსტი შეიძლება იყოს მხატვრულიც და არამხატვრულიც. განსხვავება ისაა, რომ არამხატვრული თხრობითი ტექსტი მკითხველს მოუთხრობს რეალურად მომხდარ ამბავს, მაგალითად,

ისტორიიდან, ადამიანის ცხოვრებიდან და ა.შ. თუმცა გვხვდება ტექსტებიც, რომლებიც ნაწილობრივ არ ასახავენ რეალურ ისტორიას (ასეთებია, ძირითადად, სატელევიზიო შემეცნებითი გადაცემები, რომლებშიც ზოგჯერ რეალური ამბავი ან რეალური ადამიანის ცხოვრება გამოგონილი დეტალებითაა გაძდიდრებული). სტრუქტურული თვალსაზრისით, თხრობითი ტექსტები ხშირად შეიცავს აღწერის ელემენტებსაც; მოვლენები გადმოცემულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. მისი ენობრივი მახასიათებლებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი: ამ ტიპის ტექსტებში ზმნები უმეტესად წარსული დროის ფორმით გვხვდება; გამოყენებულია ზმნის I ან III პირის ფორმები; გვხვდება მოვლენათა დროში დამაკავშირებელი ენობრივ-გრამატიკული კონსტრუქციები, მაგალითად: *თავდაპირველად, ჯერ, (ამის) შემდეგ, მოგვიანებით, ამ დროს, ამას მოჰყვა* და ა.შ.

3. ინსტრუქცია. ამ ტიპის ტექსტების მიზანია ასწავლოს მკითხველს, თუ როგორ მოიქცეს და რა გააკეთოს. ასეთი ტექსტები ხშირად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. სტრუქტურული თვალსაზრისით მათთვის დამახასიათებელია მკაცრი თანამიმდევრულობა; ინფორმაციის ზედმიწევნითი სიზუსტე (როგორ, სად, როდის); ცალკეული წინადადებები გამოყოფილია ბულეტებით, დაცულია ნუმერაცია, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით გამოყენებულია მინიშნებები, ნახაზები და ილუსტრაციები. ამ ტიპის ტექსტების ამოცნობა შესაძლებელია კონკრეტული ენობრივი ნიშნების მიხედვით, კერძოდ: გამოიყენება ზმნის II პირის (ზოგჯერ I პირის, მაგალითად, რეცეპტებში), უმეტესად, მრავლობითის ფორმები, ანმყო დრო, ბრძანებითი კილო; გვხვდება შესაბამისი მოქმედების თანამიმდევრობის გამომხატველი მაკავშირებელი სიტყვები: *ჯერ, შემდეგ, როდესაც* და ა.შ.

4. ახსნა-განმარტება. ამ ტიპის ტექსტებს ბევრი აქვს საერთო საინფორმაციო ტექსტებთან. მათში დაწვრილებით არის ახსნილი საკითხები, სხვადასხვა მოვლენები და მათი გამომწვევი მიზეზები. ასეთ ტექსტები მრავლად გვხვდება სახელმძღვანელოებში, გზამკვლევებში და ა.შ. ახსნა-განმარტებითი ხასიათის ტექსტები პასუხობენ ორ კითხვას: „როგორ?“ (მაგალითად, როგორ ხდება მთების წარმოქმნა? როგორ მუშაობს კომპიუტერი? როგორ ქსოვს ობობა ქსელს? მისთ.) და „რატომ / რა მიზეზით?“ (მაგალითად, რატომ ჟანგდება რკინა? რატომ სჭირდება ცოცხალ ორგანიზმს ჟანგბადი? რა ინვევს ოზონის შრის გათხელებას? მისთ.). გამოვყოფთ ამ ტიპის ტექსტების ზოგიერთ ენობრივ სტრუქტურულ მახასიათებელს: მისი შინაარსი ვითარდება ლოგიკურად; ემყარება მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და შეიცავს შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებს (*ეს იმიტომ მოხდა, რომ..., ამის მიზეზია, იგი ინვევს, რ-ის შედეგად, აქედან გამომდინარე, თუ... მაშინ..., რადგან / იმიტომ, რომ...*); დაცულია დროითი თანამიმდევრობა; ზმნები გვხვდება ანმყო დროის ფორმით; უმეტესად გამოყენებულია საზოგადო, კრებითი და ნივთიერებათა არსებითი სახელები და ა.შ.

5. დამარწმუნებელი. ამ ტიპის ტექსტების მიზანია, გავლენა მოახდინოს მკითხველზე და დაარწმუნოს ისინი რაიმე ფაქტისა თუ მოვლენის მართებულობაში ან სიმცდარეში, ან იმოქმედოს ავტორის სურვილის შესაბამისად. ამი-

სათვის ავტორს მოჰყავს შესაბამისი არგუმენტები და ამყარებს მათ მაგალითებით, იყენებს მიზეზ-შედეგობრიობაზე დაფუძნებულ მსჯელობას, იშველიებს სტატისტიკურ მონაცემებს ან მოიხმობს ექსპერტთა მოსაზრებებს, კვლევების შედეგებს და ა.შ. არგუმენტებზე, ლოგიკურ მსჯელობასთან ერთად დამარწმუნებელი ხასიათის ტექსტებისთვის დამახასიათებელია მკითხველის ემოციების გამოწვევა, რისთვისაც გამოყენებულია სხვადასხვა რიტორიკული ხერხები და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგალითად, კონტრარგუმენტის არგუმენტად გამოყენება, რიტორიკული კითხვების დასმა, გამეორება, სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, ეპითეტების გამოყენება, მეტაფორული მეტყველება და სხვ.). სტრუქტურის თვალსაზრით საგულისხმოა, რომ ამ ტიპის ტექსტები წარმოადგენს ფაქტებისა და მოსაზრებების კომბინაციას.

6. არგუმენტირებული მსჯელობა. ამ ტიპის ტექსტი იმით განსხვავდება დამარწმუნებელი ტექსტისაგან, რომ ის გაცილებით დაბალანსებული და ობიექტურია. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ერთ რომელიმე შეხედულებას უჭერს მხარს, იგი მოიხმობს და განიხილავს ორივე მოსაზრების გამამყარებელ არგუმენტებს, ეთანხმება ან უარყოფს მათ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვს დასკვნა. ამ ტიპის ტექსტები, როგორც წესი, უმთავრესად ლოგიკურ მსჯელობას ეფუძნება, თუმცა მასში ხშირად არის გამოყენებულია მიზეზ-შედეგობრივი მსჯელობის ელემენტებიც შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციებით. ასეთ ტექსტებში ზმნები გვხვდება როგორც ანმყო, ისე წარსული და მომავალი დროის ფორმით, მათთვის ასევე დამახასიათებელია შემდეგი ფრაზების გამოყენება: *მე ვფიქრობ, ჩემი აზრით, დარწმუნებული ვარ, არ ვეთანხმები, ვიზიარებ მოსაზრებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ...*

არამხატვრული ტექსტების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი სტილური, ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობისა და გააზრების უნარების განვითარებას. ეს ცოდნა მოსწავლეებს დაეხმარება არა მხოლოდ ამ ტიპის ტექსტების საფუძვლიანად აღქმასა და გაგებაში, არამედ წერიტი უნარების განვითარებაში. ამდენად, განსხვავებული ტიპის ტექსტების ფორმალურ-სტრუქტურული და ენობრივი ასპექტების ცოდნა პირდაპირ უკავშირდება წერის მიმართულებით გათვალისწინებული შედეგების წარმატებით დაძლევას.

კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგებთან:

კითხვა	წერა
ქართ. VII.9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.	ქართ. VII.11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტების შექმნა სხვადასხვა მიზნით.
ქართ. IX.7. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების ანალიზისას.	ქართ. VIII.12. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურებისა და ხერხების მართებულად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.
ქართ. X.6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით.	ქართ. IX.12. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი ტექსტის სტრუქტურა და ენობრივი ნორმები.
ქართ. XI.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს, როგორ გამოიყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ელემენტები მისი ინტერპრეტაციის დროს.	ქართ. XI.12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის არამხატვრული ტექსტების შეთხზვა.
	ქართ. XI.13. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის მიხედვით, საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია შემდეგი სახის არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და დამუშავება:

სამეცნიერო:

- სასწავლო დარგობრივი ტექსტები – სახელმძღვანელოებში და/ან სხვა სასწავლო რესურსებში წარმოდგენილი შესასწავლი ტექსტები;
- ენციკლოპედიებისა და ცნობარების სტატიები;
- სამეცნიერო-პოპულარული (შემეცნიებითი) ტექსტები;
- სხვ.

ოფიციალურ-საქმიანი:

- განცხადება;
- რეკლამა;
- ახსნა-განმარტება;
- რეზიუმე;

- ანოტაცია;
- ინსტრუქცია;
- ოფიციალური წერილი;
- სხვ.

პუბლიცისტიკა:

- საინფორმაციო ქრონიკა;
- საგაზეთო სტატია;
- ბიოგრაფია;
- გამოსმაურება;
- სხვ.

საშუალო საფეხურზე ზემოთ წარმოდგენილ ჩამონათვალს ემატება შემდეგი ტიპის ტექსტები:

სამეცნიერო:

- სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატიები;
- რეფერატი;
- ლიტერატურული კრიტიკა;
- კვლევა და/ან კვლევის ისტორია;
- სხვ.

პუბლიცისტიკა:

- ესე;
- საგაზეთო სტატიები;
- პუბლიცისტიკა (სხვადასხვა პერიოდის);
- სხვ.

ვიზუალური და მულტიმედიური ტექსტები

ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გამოყენება წიგნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის განვითარებასაც სწორედ სხვადასხვა ტიპის არამხატვრულ, განსაკუთრებით, საინფორმაციო ხასიათის ტექსტებზე მუშაობა უწყობს ხელს. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბოლო პერიოდში მსოფლიოში რადიკალურად იცვალა სახე ინფორმაციამ, მისი მიწოდების ფორმებმა. დღეს მოსწავლეებს, ისევე როგორც მათ გარშემო მყოფ ადამიანებს, ინფორმაციის უამრავ განსხვავებულ წყაროსთან აქვთ საქმე, მათ შორისაა, სხვადასხვა სახის ბეჭდური, ელექტრონული, აუდიო, ვიდეო თუ კომბინირებული საშუალებები. რა თქმა უნდა, ინფორმაციის ეს ახალი წყაროები ვერ ჩაანაცვლებენ წიგნს, მაგრამ მათთან ურთიერთობა გარდაუვლად მოითხოვს ამ ტიპის – ვიზუალური და მულტიმედიური – ტექსტების გაგება-გააზრების უნარ-ჩვევების გამომუშავებას ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გამოყენების მიზნით. თანამედროვე სამყაროში ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე იყოს არა მხოლოდ მომხმარებელი ამ ტიპის ტექსტების.

ქსტებისა, არამედ შეეძლოს თავად შექმნას ისინი ინფორმაციის მიწოდების, საკუთარი იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარებისა თუ რაიმე პრაგმატული მიზნით. ამ უნარ-ჩვევების გამომუშავებას სასკოლო სწავლების დაწყებითი საფეხურიდანვე ეყრება საფუძველი.

მედია, ციფრული და სემიოტიკური კომპეტენციები ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია გამჭოლი კომპეტენციების სახით, რომელთა განვითარებასაც ემსახურება ყველა სასკოლო საგნის სწავლება (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა, **თავი VIII. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები**, პუნქტები: ბ) მედიანიგნიერება; გ) ციფრული ნიგნიერება და ზ) სემიოტიკური კომპეტენცია).

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას საბაზო და საშუალო საფეხურებზე სასურველია შემდეგი სახის ვიზუალური და მულტიმედიური ტექსტების გამოყენება:

ვიზუალური:

- ფოტო;
- ილუსტრაცია;
- სურათი/ნახატი;
- რუკა;
- დიაგრამა;
- კოლაჟი;
- პლაკატი;
- სარეკლამო ფარი (იგივე „ბილბორდი“);
- კომიქსი;
- სარეკლამო ლიფლეტი / ბროშურა;
- პანტომიმა;
- არავერბალური კომუნიკაციის სხვა ფორმები.

მულტიმედიური:

- კინოფილმი (მხატვრული, დოკუმენტური);
- სატელევიზიო სიუჟეტი / კოლაჟი;
- ვიდეორგოლი;
- ანიმაცია;
- რეკლამა;
- სატელევიზიო გადაცემები / შოუები;
- კომპიუტერული პროგრამები;
- ინტერნეტ გვერდები და თამაშები;
- ელექტრონული ტექსტები;
- სხვ.

მედიანიგნიერება

თანამედროვე ეპოქაში მაღალი ტექნოლოგიების განვითარებამ ძალზე მრავალფეროვანი გახადა ინფორმაციის მოპოვების რესურსები და მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სწავლა-სწავლების პროცესში. ტრადიციული სახის ნაბეჭდი ტექსტების გვერდით გაჩნდა ახალი ტიპის ელექტრონული რესურსები (ვებგვერდები, ონლაინ-ენციკლოპედიები, სხვა მულტიმედია ელექტრონული რესურსები), რომლებსაც აქტიურად გამოიყენებენ მოსწავლეები და მასწავლებლები ახალი საკითხების შესწავლის, კვლევითი სამუშაოების განხორციელების, პროექტების/პრეზენტაციების მომზადებისა თუ ნამუშევრების გაზიარების მიზნით. ამან ძალზე აქტიურად გახადა მოსწავლეთა მედიანიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარების საკითხი.

მედიანიგნიერება გულისხმობს, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ინტერაქცია აუდიო-, ვიზუალურ-, აუდიოვიზუალურ რესურსებთან, აგრეთვე ახალი პროდუქტის შექმნა მრავალფეროვანი მულტიმედია რესურსების გამოყენებით. თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის: მედიანიგნიერება მოსწავლეებისაგან მოითხოვს არა მხოლოდ ინფორმაციის მოძიებას, არამედ მედიაგზავნილების კრიტიკულად გააზრებას კითხვების დასმის გზით, მათ გაანალიზებასა და შეფასებას. მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ აუცილებელია მედიარესურსების გაანალიზება მათი შინაარსის, ღირებულებებისა და მიზნის თვალსაზრისით. კითხვარის სახით წარმოგიდგენთ პარამეტრებს, რომლებიც გამოიყენება მულტიმედიური რესურსების კრიტიკული ანალიზისათვის:

ელექტრონული რესურსები:

- რა დრო სჭირდება გვერდის გახსნას ან ჩამოტვირთვას?

ავტორის გამოცდილება:

- ვინ არის რესურსის ავტორი?
- ფლობს თუ არა ავტორი შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას (არის თუ არა იგი ექსპერტი ამ საკითხში)?

შენიშვნა: ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გავეცნოთ ინფორმაციას ავტორის განათლების, კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების, აგრეთვე მის მიერ შექმნილი სხვა ნამუშევრების შესახებ.

მიზანი:

- არის თუ არა ავტორის მიზანი ნათლად გამოკვეთილი?
- შეესატყვისება თუ არა შინაარსი ავტორის მიერ დასახულ მიზანს?

სტრუქტურა:

- არის თუ რესურსი გამოსაყენებლად მარტივი?
- არის თუ არა მასალა დაყოფილი თავებად, ქვეთავებად, პარაგრაფებად?
- ახლავს თუ არა მასალას სარჩევი/შინაარსი?

- არის თუ არა გამოკვეთილი ვიზუალურად მნიშვნელოვანი ცნებები და ტერმინები (მაგ., მსხვილი და/ან მუქი ფერი შრიფტის გამოყენებით, სხვ.)?
- ახლავს თუ არა ინფორმაციას შესაბამისი ვიზუალური მასალა – სურათები, სქემები, დიაგრამები, სხვ.?
- არის თუ არა ვიზუალური მასალა მკითხველისათვის გამოსადეგი?

შენიშვნა: გამოსადეგია ის ვიზუალური მასალა, რომელიც მკითხველს ეხმარება, უკეთ გაიგოს, გაიაზროს და/ან წარმოიდგინოს მონოდებული ინფორმაცია. წმინდა დეკორატიული ფუნქციის მქონე ვიზუალურ მასალას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება.

სანდოობა:

- რა წყაროებს იყენებს ავტორი?
- როდისაა შექმნილი (რამდენად ახალია) რესურსი?
- უკანასკნელად როდის განახლდა რესურსი?

შესაბამისობა

- თანხვედბა თუ არა ეს რესურსი ჩემს მიზანს?
- რატომ უნდა გამოვიყენო ეს რესურსი?
- რითი სჯობს ეს რესურსი სხვას? რითია იგი ღირებული?

კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად მასწავლებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოსწავლეებმა აითვისონ როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსების პატიოსანი, კორექტული გამოყენების წესები (მაგ., მითითებები გამოყენებულ ბეჭდურ და ელექტრონულ წყაროებზე, სხვ.). ამ მიზნით მასწავლებელი შეიძლება გაესაუბროს მოსწავლეებს საავტორო უფლებების არსზე, მათი დაცვის აუცილებლობაზე (საჭიროებისამებრ, შეიძლება გააცნოს მათ საავტორო უფლებების დაცვის კანონის ზოგადი დებულებები). ამ გზით მოსწავლეები გაეცნობიან რესურსების კორექტულად გამოყენების წესებს, გაიაზრებენ პლაგიატობის ნეგატიურ მხარეებს.

თავი III

საზნოპრივი მიმართულება

III. 1. მიმართულება: ზეპირმეტყველება

ზეპირმეტყველება (ლაპარაკი და მოსმენა) ემსახურება როგორც სოციალური, ისე კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ზეპირმეტყველება ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა. მოსწავლეები თავდაპირველად სწორედ ზეპირი მეტყველების მეშვეობით შეიმეცნებენ გარესამყაროს, ეზიარებიან იმ კულტურული გარემოში მოქმედ წეს-ჩვეულებებს, ქცევის ნორმებს, ღირებულებებსა და ტრადიციებს, რომლებშიც ისინი იზრდებიან და ყალიბდებიან.

საბაზო-საშუალო საფეხურების მოსწავლეებს უკვე სერიოზულად აფიქრებს პიროვნული იდენტობის პრობლემა. ისინი ისწრაფვიან ნიჭის გამოვლინებისაკენ, თავიანთი შესაძლებლობების აღმოჩენისაკენ, მათ აღელვებთ საკუთარი მომავალი და პირადი ურთიერთობები. ამ კონტექსტში სწორედ მშობლიური ენის გაკვეთილები იძლევა საუკეთესო საშუალებას იმისათვის, რათა მოზარდებმა შეძლონ ენის გამოყენება თვითგამოხატვისათვის, სოციალური და პიროვნული განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას მნიშვნელოვნად განაპირობებს ლაპარაკისა და მოსმენის უნარები, რომლებიც ხელს უწყობს შინაგანი მეტყველების სტიმულირებას, ეხმარება მოსწავლეს, დახვეწოს საკუთარი აზრები გონებაში და განავრცოს ისინი. საუბრის საშუალებით მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, მიიღოს ინფორმაცია, შეიქმნას აზრი, მოიფიქროს არგუმენტები და დაიცვას საკუთარი მოსაზრებები; გაუზიაროს მსმენელს საკუთარი გრძნობები და დამოკიდებულებები. ლაპარაკი და მოსმენა ეხმარება მოსწავლეს, გადაახალისოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, დაამყაროს კავშირი ახლად შეძენილ ცოდნასა და უკვე არსებულს შორის. მოსწავლეები უკეთესად იგებენ შესასწავლ მასალას, თუკი მათ მიეცემათ შესაძლებლობა, ხმამაღლა გაიმეორონ დავალების პირობა, აღწერონ და განმარტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანა, სიტყვიერად ახსნან, რას აკეთებენ მის შესასრულებლად; აუხსნან და/ან გაუზიარონ მსმენელს, რა გაიგეს ან ვერ გაიგეს, რა იყო მათთვის სიახლე. შეძენილი ცოდნის ხელახალი ინტერპრეტაციის უნარის განვითარებას ლაპარაკისა და მოსმენის გზით უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სწავლის პროცესში.

დისკუსიებსა და დიალოგებში მონაწილეობა საუკეთესო საშუალებას აძლევს მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრებებისა და იდეების ვერბალიზების, კითხვების დასმისა და ინფორმაციის გაცვლისათვის. ამ ტიპის აქტივობები მოსწავლეებს უყალიბებს დიალოგის კულტურას, გონივრული კომპრომისის, საკუთარი მოსაზრების კორექტირებისა და სხვისი მოსაზრების გაზიარების უნარს.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე აუცილებელია წარმართოს თავისუფალი, ძალდაუტანებელი საუბრები, რომელთა მიმდინარეობის

დროს მოსწავლეები შეძლებენ ჩაუღრმავდნენ ამა თუ იმ პრობლემას, გაარკვიონ მათთვის ბუნდოვანი საკითხები, გამოთქვან თავიანთი ეჭვები, ვარაუდები, თვალსაზრისი, დასვან შეკითხვები და მიიღონ პასუხები.

ისეთ ზეპირ აქტივობებში მონაწილეობა, რომლებიც გულისხმობს თვით-გამოხატვის განსხვავებული საშუალებების გამოყენებას (მაგ., იმპროვიზაცია, დრამატიზაცია, მულტიმედიაური პროდუქტის შექმნა), ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას, საკუთარი თავისადმის რწმენის განმტკიცებას, შემოქმედებითი მონაცემების განვითარებას; ენის თავისუფლად გამოყენების, მკაფიოდ, სწრაფად და მოქნილად საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებას.

მასწავლებელმა გარკვეული დრო უნდა დაუთმოს იმგვარი საკლასო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლეები საუბრისას თავისუფლად, დაცულად და კომფორტულად იგრძნობენ თავს – ესაა პირველი ნაბიჯი. ამის შემდეგ აუცილებელია, რომ არაფორმალური საუბრების ეს პროცესი თანდათანობით გადაიზარდოს უფრო მიზანმიმართულ, მკაცრად ფოკუსირებულ ზეპირ აქტივობებში, რომლებიც განხორციელდება კონკრეტული მიზნით და კონკრეტულ სიტუაციაში.

ლაპარაკისა და მოსმენის უნარები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გარე სამყაროს შემეცნებისათვის, არამედ კითხვისა და წერის უნარების განვითარებისათვისაც. მოსწავლე, რომელიც მონაწილეობს წერილობით ტექსტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში, როგორც მსმენელი ან როგორც მოსაუბრე, უკეთ გააცნობიერებს ამგვარი ტექსტების ფორმალურ-სტრუქტურულ, სტილურ მახასიათებლებს, ასევე სხვადასხვაგვარ ტექსტებში გამოყენებულ ენობრივ ნორმებს. მას თანდათანობით განუვითარდება უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ამ საკითხებში ცოდნის გასაღრმავებლად.

ზეპირი კომუნიკაციის სახეები და ელემენტები

ზეპირმეტყველება ანუ ზეპირი კომუნიკაცია ინტერაქციის პროცესია, რომელსაც გარკვეული დროითი ხანგრძლივობა აქვს. იგი საჭიროებს ორ ან მეტ ადამიანს, რომლებიც გამოხატავენ და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს, გრძნობებს, დამოკიდებულებებს, სხვ. გაზიარება ხდება გარკვეული მნიშვნელობების მქონე გზავნილების გაცვლა-გამოცვლის მეშვეობით. გზავნილები შეიძლება იყოს როგორც ვერბალური (სიტყვიერი), ისე არავერბალური (უსიტყვო), მაგ.: სახის გამომეტყველება, ყესტი, სხეულის პოზა, სხვ. ვერბალურ და არავერბალურ გზავნილებს შორის შორის მტკიცე ურთიერთკავშირი არსებობს.

საკომუნიკაციო გზავნილის მნიშვნელობის ამოცნობა გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების გაგებას, არამედ, ზოგადად, გზავნილების სწორ ინტერპრეტაციასაც. მაგ., როდესაც მასწავლებელი ამბობს, რომ რთული გაკვეთილი ჰქონდა, „რთული“ ამ შემთხვევაში, შეიძლება ნიშნავდეს, რომ მოსწავლეები არ იყვნენ მობილიზებულნი და მასწავლებელს დიდი ძალისხმევა დასჭირდა საგაკვეთილო პროცესის წარსამართავად; მაგრამ როდესაც მოს-

ნავლე ამბობს, რომ რთული გაკვეთილი ჰქონდა, ამ შემთხვევაში „რთულში“ შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ სასწავლო მასალაში მისთვის ბევრი რამ აღმოჩნდა გაუგებარი, ვერ გაიგო მასწავლებლის ახსნილი, მისთ.

კომუნიკაციის დამყარება ადამიანებს უხდებათ მთელი ცხოვრების მანძილზე – ისინი მსჯელობენ, სახავენ გეგმებს, უზიარებენ სხვებს გულისნადებს, სვამენ შეკითხვებს, ასაბუთებენ თვალსაზრისს, იძლევიან რჩევებს, ანუგეშებენ სხვებს და ა.შ. ყველაფერ ამას ადამიანი შეიძლება თანაბარი წარმატებით ვერ ახერხებდეს – მაგ., რომელიმე ჩვენგანი შეიძლება ძალზე ლოგიკურად ასაბუთებდეს საკუთარ თვალსაზრისს, მაგრამ ცუდი მრჩეველი აღმოჩნდეს; პირი, ვინც ლალად გრძნობს თავს ინტერპერსონალური კომუნიკაციის დროს (მაგ. კლასელის დაბადების დღის ზეიმზე), შეიძლება ძალზე სუსტი საჯარო პრეზენტატორი იყოს და ა.შ. გააზრებული, სისტემური და მიზანმიმართული მუშაობის წყალობით შესაძლებელია როგორც სუსტი მხარეების დაძლევა, ისე პოზიტიური საკომუნიკაციო უნარების შემდგომი განვითარებაც.

ზეპირ კომუნიკაციასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ: 1. ლაპარაკი და მოსმენა ერთდროულად მიმდინარეობს. ამასთან, ზეპირი კომუნიკაცია თანაბრად მოითხოვს ყურადღებას როგორც მოსაუბრისგან, ისე მსმენელისგან – ეს უკანასკნელი ისეთივე აქტიურია, როგორც მოსაუბრე; 2. მოლაპარაკესა და მსმენელს უნდა შეეძლოთ როგორც ვერბალური, ისე არავერბალური საკომუნიკაციო გზავნილების გაგება-ამოცნობა; 3. წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელია, რომ მოლაპარაკეცა და მსმენელიც საკომუნიკაციო გზავნილებს ერთსა და იმავე მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ზეპირი კომუნიკაციის ძირითადი სახეები: 1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია – ინტერაქცია ცალკეულ ადამიანებს შორის. მას უნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ყოველდღიურ ყოფაში; 2. ჯგუფური კომუნიკაცია – ინტერაქცია მცირე ჯგუფებში, მაგ., ამა თუ იმ საკითხის ჯგუფური განხილვა, დისკუსია, მისთ.; 3. საჯარო კომუნიკაცია – სიტყვის წარმოთქმა აუდიტორიის წინაშე, დებატებში მონაწილეობის მიღება, სხვ.; 4. ინტერპრეტაციული კომუნიკაცია – ამა თუ იმ თხზულების (ნაშრომის) ვინმესთვის ხმამაღლა წაკითხვა, ლექსის წარმოთქმა აუდიტორიის წინაშე, ვისიმე გამონათქვამის ციტირება ლაპარაკის დროს.

ზეპირი კომუნიკაციის არსებითი ელემენტებია:

1. ვერბალური გზავნილები – სიტყვები, რომლებსაც ლაპარაკის დროს ვიყენებთ;

2. არავერბალური გზავნილები – არასიტყვიერი გზავნილები: გარეგნული იერსახე (მაგ., ტანსაცმელი, ვარცხნილობა, მაკიაჟი, აქსესუარები, სხვ.), სახის გამომეტყველება, კონტაქტის დამყარება თვალებით, სხეულის პოზა, ყესტი, ხმა (ხმის ტონალობა, რეგისტრი, დინამიკა, ტემბრი, მეტყველების ტემპი) – ეს ყველაფერი ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იქნება აღქმული ჩვენი სიტყვები, რა მნიშვნელობას მიანიჭებს მსმენელი ჩვენს სიტყვებს. გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა კულტურაში არავერბალური გზავნილები შეიძლება ძალზე განსხვავებული იყოს. მაგ., ბულგარეთში თავის დაქნევას უარყოფის მნიშვნელობა აქვს; ახლო აღმოსავლეთში მოსაუბრენი ბევრად უფრო ახლო დისტანციაზე დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ევროპელები და ა.შ.

3. აღქმა – ყველა ჩვენგანი განსხვავებულად აღიქვამს სამყაროს, განსხვავდება ჩვენი პერსონალური აღქმაც; ამიტომაცაა, რომ ერთი და იგივე ნათქვამი ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიქვან – მაგ., რასაც ერთი ადამიანი ხუმრობად ჩათვლის, მეორემ შეიძლება შეურაცხყოფად აღიქვას. ამდენად, გზავნილის მნიშვნელობა ცვალებადობს იქიდან გამომდინარე, რომ აღქმის პროცესს ძალზე ინდივიდუალური ხასიათი აქვს.

4. კომუნიკაციის საშუალებები – სხეულის ნაწილები და გრძნობის ორგანოები, რომელთა მეშვეობით ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ ვერბალურ და არავერბალურ გზავნილებს;

5. უკუკავშირი – ვერბალური და არავერბალური გზავნილები, რომლებითაც მოსაუბრები გამოხატავენ, ესმით თუ არა ერთმანეთისა. უკუკავშირი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური (მაგ., გამამხნეველი ან თანხმობის გამომხატველი რეპლიკები, მოწონების გამომხატველი შორისდებულები, გაღიმება, თავის დაქნევა თანხმობის ნიშნად, გაცინება ხუმრობით ნათქვამზე, სხვ.), ისე ნეგატიური (წარბების შექმუხვნა, სახის მოღუშვა უკმაყოფილების ნიშნად, თავის გაქნევა უარყოფის ნიშნად, მხრების აჩეჩვა შეცბუნების გამოსახატავად, დაეჭვებული მზერის მიპყრობა, უარყოფითი ემოციების ან ეჭვის გამომხატვა რეპლიკებით და/ან შორისდებულებით, სხვ.).

პოზიტიური უკუკავშირის ნიშნები მოსაუბრეს მიუთითებს, რომ მან წარმატებით გაართვა თავი საკომუნიკაციო ამოცანას – კომუნიკაცია „შედგა“; უარყოფითი უკუკავშირის ნიშნები კი იმის ნიშანია, რომ მოსაუბრემ რაღაცა უნდა შეცვალოს – ვთქვათ, ახსნას თავისი მოტივაცია, მოიყვანოს დამატებითი არგუმენტები თავისი აზრის დასასაბუთებლად, მოსაუბრის დასარწმუნებლად გაიხსენოს მაგალითები პირადი გამოცდილებიდან და ა.შ. კომუნიკაციის დროს გამოიყენება აგრეთვე თვითკონტროლი – უკუკავშირზე რეაგირება, როდესაც კომუნიკაციაში ჩართული ადამიანი მსმენელის რეაქციაზე დაკვირვებით ხვდება საკუთარ ნაკლს, ყურადღებას ამახვილებს საკუთარ ქცევაზე, კრიტიკულად აფასებს საკუთარ ვერბალურ და არავერბალურ გზავნილებს (მაგ., „მე მგონი, ძალიან ხმამაღლა ვლაპარაკობ, ცოტა ხმას უნდა დაუწიო“).

6. კონტექსტი – ესაა გასაღები საკომუნიკაციო გზავნილების ადეკვატურად გაგებისა და ინტერპრეტირებისთვის; საკომუნიკაციო გზავნილების ფონი (დრო, ადგილი, კონკრეტული შემთხვევა, ადამიანები, სხვ.), რომელშიც თავს იყრის კომუნიკაციის ხუთივე ზემომოყვანილი ელემენტი. მაგ., საახალწლო ზეიმზე არ წამოვინწყებთ ლაპარაკს საკუთარ ავადმყოფობაზე, მაგრამ დაწვრილებით მოვეყვებით მის შესახებ ექიმის კაბინეტში (დრო, ადგილი); თუკი ვხედავთ, რომ ადამიანი ჩქარობს, მოკლედ ვეტყვით მას სათქმელს (კონკრეტული შემთხვევა); არ ვიტრაბახებთ წარმატებით ჩაბარებული გამოცდით მეგობართან, რომელიც ჩაიჭრა (ადამიანები) და მისთ., თუმცა კი აქ ანგარიშგასაწევია ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა: კულტურის კოდი, კომუნიკატორის ფსიქოტიპი, აღზრდა და სხვ.

კომუნიკაციის არსებითი ელემენტების გაცნობიერება და გააზრება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა საკომუნიკაციო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ხმაურიანი გარემო (სირენების ხმა, ქუჩის ხმაური, ხველება, ხმამაღალი მუსიკა, შეფერხებები სატელეფონო კავშირის დროს, სხვ.) შეიძლება სერიოზულ ბარიერად გადაიქცეს ინტერაქციის დროს. ამას გარდა, ინტერაქციისას ბარიერი შეიძლება წარმოქმნას მოლაპარაკის უჩვეულო გარეგნულმა იერმა, მეტყველების მანერამ და/ან ხმის სპეციფიკურმა რეგისტრმა; აგრეთვე მოლაპარაკის და/ან მსმენელის არაკომპეტენტურობამ, წინასწარმა განწყობამ, შეზღუდულმა თვალთახედვამ, წინასწარ შემუშავებულმა, აკვიატებულმა იდეებმა; გადაღლილობამ, უყურადღებობამ, სხვ.

მოსმენა

მოსმენა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას, ინტერპრეტაციას, შეფასებასა და მოსმენილზე რეაგირებას. ამასთან, მოსმენისას ინფორმაციის მიღება ხდება როგორც სმენის, ისე მხედველობის ორგანოების მეშვეობით – არავერბალური გზავნილების უმეტესობის აღქმა ხომ თვალთაა შესაძლებელი. ყურადღებიანი და კვალიფიციური მსმენელი, ძირითადად, იყენებს მოსმენის ოთხ ტიპს. თითოეული მათგანი მსმენელისაგან გარკვეულ ძალისხმევასა და ცოდნას მოითხოვს. ეს ტიპებია, კერძოდ:

მოსმენა ინფორმაციის მისაღებად – მოსმენა რაიმე ინფორმაციის (მაგ. ახსნა-განმარტების, ინსტრუქციის, ახალი სასწავლო მასალის, სხვ.) აღქმის მიზნით. მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს, რამდენად მნიშვნელოვანია მუშაობა ამ მიმართულებით – სწავლის პროცესში წამოჭრილი პრობლემების უმრავლესობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ მოსწავლეები ყურადღებით არ (ან ვერ) ისმენენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ მოსმენა **ინფორმაციის მისაღებად**, ამავდროულად, მოსმენის დანარჩენი სამი ტიპის (ემოციური, კრიტიკული, კრეატიული მოსმენის ტიპები, მათ შესახებ იხ. ქვემოთ) საფუძველსაც წარმოადგენს, რადგან გზავნილის ადეკვატურად გაგების გარეშე შეუძლებელია მთქმელის იდეების გაანალიზება და/ან მისი ემოციების გაზიარება.

იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ინსტრუქციას იღებს მსმენელი მოსმენის დაწყებამდე, მოსმენა შეიძლება იყოს ზოგადი ან დეტალური. ზოგადი მოსმენის დროს მსმენელი მოსმენილს აღიქვამს მთლიანად, დეტალებში ჩაღრმავების გარეშე. მაგ., ა) „მოისმინეთ და მითხარით, რაზეა ლაპარაკი ტექსტში. შეეცადეთ, დაასათაუროთ ტექსტი“ (ზოგადი მოსმენა); ბ) „მოისმინეთ ტექსტი. მოსმენის დროს ჩაინერეთ სინონიმები სიტყვისა *ლამაზი*“ (დეტალური მოსმენა) და ა.შ.

ინფორმაციის მისაღებად მოსმენის დროს ახალი ინფორმაციის უკეთ დამახსოვრების მიზნით, ჩვეულებრივ, მიმართავენ ჩანაწერების კეთების მეთოდს. ჩანაწერები მსმენელს უადვილებს ახალი ინფორმაციის დამახსოვრებასა და შემდგომში გამოყენებას; ეხმარება მას, უკეთ გაიგოს მოსმენილი ინფორმაცია, შეაჯამოს და გაიაზროს იგი, გამოიტანოს დასკვნა, ხელახლა მიუბრუნდეს და გადახედოს მას გამეორების ან სხვა მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ ჩანაწერი არ წარმოადგენს მოსმენილის სტენოგრამას – იგი

უნდა ასახავდეს მთავარ იდეას და/ან სანყის თეზას, ძირითად მოსაზრებებს; შეიცავდეს ცხად მითითებებს, ციფრებს ან რაიმე მაორგანიზებელ ელემენტებს (სქემებს, გონებრივ რუკებს, ჩამონათვალს, სხვ.). ზოგადად, ჩანაწერები ლაკონიური უნდა იყოს; სიტყვები, განსაკუთრებით გრძელი სიტყვები, ხშირად შემოკლებულია. ამასთან, ჩანაწერების პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე, სიტყვების შემოკლების დამკვიდრებული წესების დაცვა ამ დროს სავალდებულო არ არის; სიტყვების ნაცვლად უფრო მეტად გამოიყენება სიმბოლოები (მაგ., %, \$ და სხვ.).

არსებობს ჩანაწერების სხვადასხვა ტიპი, მათგან ძირითადია: ა) მიმდევრობის ამსახველი ჩანაწერები, როგორებიცაა: სია/ჩამონათვალი, მოკლე ტექსტები (მოკლე და/ან არასრული წინადადებების სახით). ამ ტიპის ჩანაწერებში, როგორც წესი, წარმოდგენილია სათაურები და/ან ქვესათაურები, ძირითადი იდეა, თემები; არსებითი ადგილები შეიძლება გამოყოფილი იყოს სიტყვებს ქვემოთ ხაზის გასმით ან ფერადი მარკერების მეშვეობით, სხვ.; ბ) ჩანაწერები გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენებით, რომელთაც გარეგნულად სხვადასხვა სახე შეიძლება ჰქონდეს. მაგ., ამ ჯგუფში გაერთიანდება ჩანაწერები, რომლებშიც გამოყენებულია ობობისმაგვარი დიაგრამა, დროის ხაზი, ვენის დიაგრამა, სხვ.¹; გ) ჩანახატები – გრაფიკული ჩანახატები სიტყვების გარეშე (ნახატები, სურათები, სიმბოლოები, სხვ.); დ) შერეული ტიპის ჩანაწერები – ჩანაწერები, რომლებშიც ერთდროულადაა გამოყენებული ზემოთ აღნიშნული და/ან სხვ. მეთოდები და საშუალებები – დიაგრამები, სიები, მოკლე წინადადებები, ცალკეული სიტყვები, ნახატები, სიმბოლოები, სხვ.

კრიტიკული მოსმენა – გზავნილის გაანალიზება და შესაბამისი რეაგირება ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით (მაგ., შეკითხვის დასმა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაფიქრება მოსმენილ არგუმენტებზე, აზრის შექმნა, დასკვნის გამოტანა, შეფასება, მისთ.). კრიტიკული მოსმენა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გამიჯვნას და გზავნილის/ინფორმაციის წყაროს გადამოწმებას. კრიტიკულად მოსმენისათვის მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ფაქტი არის მტკიცებულება, რომელიც შეიძლება შემოწმდეს და დადასტურდეს ან არ დადასტურდეს; მოსაზრება კი არის მტკიცებულება, რომელიც ეყრდნობა ადამიანის შეხედულებას, რწმენას, მის განცდასა თუ ემოციას. მაგ., ფაქტია ის, რომ 2012 წლის 10 მაისს თბილისში ტემპერატურა იყო 28° C – ჩვენ შეგვიძლია ეს ინფორმაცია გადავამოწმოთ, უარყოთ ან დავადასტუროთ; მოსაზრება კი არის ის, რომ 2012 წლის 28 მაისს თბილისში მშვენიერი ამინდი იყო – სხვები შეიძლება თვლიდნენ, რომ იმ დღეს ძალზე ცხელოდა და სხვ.

კრიტიკული მოსმენის უნარის განვითარების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მაგ., მოსწავლეთა მიერ თანაკლასელის ზეპირი პრეზენტაციის შეფასება და ამ შეფასების დასაბუთება.

¹ ამ და სხვა გრაფიკული მაორგანიზებლების შესახებ დამატებით იხ. ქართული ენა და ლიტერატურა, 2011-2016 წ.წ.-ის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გამკვლევი დანყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბილისი, 2011, გვ. 317-328.

შემოქმედებითი მოსმენა – გულისხმობს, რომ გზავნილის ინტერპრეტირებისათვის მსმენელი საკუთარ წარმოსახვას მიმართავს. მაგ., თხრობის ან მუსიკის მოსმენისას შესაძლებელია, წარმოგვიდეს გარკვეული სურათ-ხატები (აღლევებული ზღვა, დაბურული ტყე...); თვალწინ გაგვიცოცხლდეს მოსმენილი და თავი წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, შუა საუკუნეების ციხე-კოშკში, უკაცრიელ კუნძულზე, მდ. ამაზონის ჯუნგლებში და ა.შ. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის მსმენელებს კარგად აქვთ განვითარებული მოსმენის უნარი.

ემპათიური (თანაგანცდითი) მოსმენა – გულისხმობს სხვა ადამიანის გრძნობების, განცდების, ემოციების გაზიარებას მოსმენისას. ეს მსმენელისაგან ხშირად დიდ თავშეკავებასა და მოთმინებას მოითხოვს. ზოგ შემთხვევაში მოლაპარაკეს მსმენელისგან რჩევის მიღება სურს, ზოგჯერ კი მისი მიზანი მხოლოდ თვითგამოხატვა, ემოციების გაზიარება და/ან ემოციებისგან „დაცლაა“. ყველა შემთხვევაში მსმენელი ფრთხილად და ტაქტიანად უნდა მოექცეს მოსაუბრეს.

სმენის უნარ-ჩვევების გასავითარებლად მასწავლებელმა უნდა გააცნობიერებინოს მოსწავლეებს, რომ კარგი მსმენელი:

- ვერბალური გზავნილების მოსმენისას ყურადღებას აქცევს არავერბალურ გზავნილებსაც (ჟესტ-მიმიკას, სახის გამომეტყველებას, ხმის აწვე-დანევას, სხეულის პოზას, სხვ.);
- ცდილობს, დაინახოს მოვლენები მოსაუბრის თვალთ;
- უყურადღებოდ არ ტოვებს ახალ და/ან მოულოდნელ იდეას, მოსაზრებას, თვალსაზრისს;
- პასუხობს მოსაუბრეს სათანადო რეაქციით (სათანადო დროს თავის დაქნევით, სიცილით, ტაშის დაკვრით, შესაბამისი რეპლიკით, შორისდებულით, მისთ.);
- ცდილობს, დაუკავშიროს მოსმენილი საკუთარ თავს, პირად გამოცდილებას;
- ყურადღებას აქცევს მოსმენილი ინფორმაციის სტრუქტურასა და ორგანიზაციულ მახასიათებლებს;
- გაიაზრებს ძირითად თეზისებს; გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, კიდევ რის თქმას აპირებს ორატორი.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი – მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნობიერებინოს, რომ საჭიროების შემთხვევაში (საკითხის დასაზუსტებლად, გადასამოწმებლად, დამატებითი ინფორმაციისათვის, სხვ.) მათ ყოველთვის შეუძლიათ სათანადო შეკითხვების დასმა.

ლაპარაკი

ზეპირ მეტყველებას განსაზღვრავს სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ა) ადგილი – ის, თუ სად მიმდინარეობს კომუნიკაცია; ბ) მიზანი – რა არის ჩვენი მიზანი კომუნიკაციის დროს; გ) მსმენელი და/ან აუდიტორია – ვინ არის პირი (ვინ არიან პირები), რომელთანაც კომუნიკაციას ვამყარებთ.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ზეპირი მეტყველება შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. მაგ., მეგობარს შეიძლება დავემშვიდობოთ ამგვარად: „კარგად“, „აბა, კარგად“, ხოლო კონფერენციაზე, ტრენინგსა თუ სემინარზე ახალგაზრდობილ კოლეგას კი ასე – „კარგად ბრძანდებოდეთ“. ამდენად, ფორმალური ზეპირი მეტყველება მიზანშეწონილია საქმიან, სამსახურებრივ, ოფიციალურ გარემოში; ოფიციალურ პირებთან, რომლებსაც მოლაპარაკე ახლოს არ იცნობს. არაფორმალური ზეპირი მეტყველება კი გამოიყენება ოჯახში, ყოველდღიურ ყოფაში; ადამიანებთან, რომელთაც მოლაპარაკე ახლოს იცნობს.

არაფორმალური ზეპირი მეტყველება და მისი მოდელები

არაფორმალური ზეპირმეტყველებითი აქტივობებისათვის დამახასიათებელი არაოფიციალურობისა და ბუნებრიობის წყალობით, მოსწავლეები თამამად, ძალდაუტანებლად ერთვებიან ამ ტიპის სასწავლო ქმედებებში, უფრო გახსნილები არიან ურთიერთობებისათვის. ეს კარგ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლეთა საკომუნიკაციო უნარებს, აღმოაჩინოს თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა შემდგომში უფრო ეფექტიანად დაეხმაროს მათ ნაკლოვანებების აღმოფხვრასა თუ ძლიერი მხარეების განვითარებაში.

არაფორმალური ზეპირმეტყველებითი მოდელების ძირითადი სახეებია:

- საუბარი;
- არაფორმალური დისკუსია;
- გონებრივი იერიში;
- ჯგუფში მუშაობა;
- ლიტერატურული წრე;
- სხვ.

არაფორმალური საუბარი მრავალი სასწავლო მიზნის განხორციელების საშუალებას იძლევა და მას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ზეპირი ენობრივი კომპეტენციების განვითარებაში. საუბარი არის ერთგვარი ასპარეზი მოსწავლეთათვის, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ მათგანს, აიმაღლოს თვითშეფასება, დარწმუნდეს საკუთარ ძალებში, დაამყაროს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან; მოიძიოს და გადასცეს ინფორმაცია, შეაფასოს საკუთარი გრძნობები და დამოკიდებულებები. სწორედ საუბარი ეხმარება მოსწავლეს, შეიქმნას საკუთარი სამყარო და ერთმანეთს შეადაროს თავისი და სხვების გამოცდილება; მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები, მოახდინოს ახლად შექმნილი ცოდნისა და სასწავლო მასალის კონცეპტუალიზაცია.

არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ მოსწავლე ითვისებს როგორც მაგალითების საფუძველზე, ისე პრაქტიკული გავარჯიშების საშუალებით. ამიტომ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები ჩართოს სასაუბრო როლურ თამაშებშიც – ამით ისინი მიეჩვევიან კარგ მანერებს, რიგითობის დაცვას, ყურადღებით მოსმენას, გამოიმუშავენ საუბრისათვის საჭირო სხვა ქცევებს.

დაბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არაფორმალური საუბარი, როგორც ასეთი, წარმოადგენს არა მიზანს, არამედ საშუალებას იმისათვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს გარკვეულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს კითხვების დასმის, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და საკუთარი შეხედულებებისა თუ გრძნობების სიტყვიერად გადმოცემის გზით. არაფორმალური საუბრების დროს მოსწავლე ნაკლებად დაძაბულია და შებოჭილი, დიალოგები ბუნებრივია და სპონტანური, მაგრამ ეფექტურია მხოლოდ მაშინ, თუ ის ორიენტირებულია კონკრეტული ამოცანის გადაჭრაზე და გააჩნია მიზანდასახულება. არაფორმალური საუბრები ყოველთვის უფრო შედეგისმომტანია მაშინ, როცა მასწავლებელი მკაფიოდ განსაზღვრავს სასწავლო მიზანს, კონკრეტულ ამოცანას და მოსწავლეებს აწვდის გასაგებად, მარტივად ჩამოყალიბებულ ინსტრუქციებს.

არაფორმალური დისკუსია

დისკუსია კარგ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, აითვისოს ახალი ლექსიკა, გაიგოს ახალი ინფორმაცია, გამოიმუშაოს სოციალური უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია ზეპირმეტყველების კომპეტენციების – მოსმენისა და ლაპარაკის დასაუფლებლად.

კლასში დისკუსიის მოწყობის არაერთი გზა არსებობს. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია მთელი კლასი ჩართოს საკითხის განხილვაში, ან დაეყოს კლასი მცირე ჯგუფებად. ამ მცირე ჯგუფებს შესაძლებელია დაევალოთ დისკუსიის გამართვა ერთსა და იმავე საკითხზე ან თემაზე; ერთი და იმავე თემის სხვადასხვა ასპექტზე. სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, დისკუსია მთელ კლასში შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს დისკუსიას მცირე ჯგუფებში, რადგან მოსწავლეებს სხვადასხვა კომპეტენციის გამოყენება სჭირდებათ სხვადასხვა სახის დისკუსიებში მონაწილეობის დროს (დისკუსიის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ).

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიშის საშუალებით მოსწავლეები სპონტანურად ერთვებიან იდეების გენერირებაში. ამ ტიპის აქტივობები სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ თითოეულ მონაწილეს უხდება იყოს მოსაუბრეც და მსმენელიც, რადგანაც, ერთი მხრივ, სთავაზობს დანარჩენებს საკუთარ იდეებსა თუ მოსაზრებებს და, მეორე მხრივ, ისმენს და ინერს სხვებისას. პროცედურა დაახლოებით ასეთია:

- თემის განსაზღვრა;
- მოსწავლის შერჩევა წამოყენებული იდეების ჩასაწერად;
- იდეების გაზიარება (ამ ეტაპზე ყველა იდეა მისაღებია. ამ დროს იდეების გენერირების პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი ღირებულება);
- იდეების დეტალურად განხილვა.

„გონებრივი იერიშის“ გამოყენება შესაძლებელია როგორც შესწავლილი მასალის გასამეორებლად, ასევე ახალი მასალის შესწავლის დაწყებამდე, ადრეული ცოდნის გასააქტიურებლად. ეს სტრატეგია ერთი შეხედვით

მარტივი ჩანს, თუმცა, ამ დროს, ძალიან ადვილია სწორი გზიდან გადახვევა. ეს მოხდება მაშინ, თუკი წამოყენებული იდეებისა თუ მოსაზრებების შეფასება -კატეგორიზაცია დაიწყება „გონებრივი იერიშის“ დასრულებამდე. ამ დროს სასწავლო პროცესი შეწყდება, რადგან დაიკარგება ძირითადი მიზანი – რაც შეიძლება მეტი და განსხვავებული იდეების გენერირება, რათა „გონებრივი იერიშის“ დასრულების შემდეგ მოხდეს მათი სრულფასოვანი განხილვა, შეფასება-კატეგორიზაცია, აღინიშნოს თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები და შეირჩეს საუკეთესო. ამასთან, თუკი შეფასება-კატეგორიზაციის პროცესი „იერიშის“ დასრულებამდე დაიწყება, ზოგიერთ მოსწავლეს არ ექნება საშუალება, გაუზიაროს დანარჩენებს საკუთარი ნაფიქრი, ზოგიერთს კი გაუჩნდება განცდა, რომ მის მოსაზრებას აკრიტიკებენ. ეს ჩაკლავს მათში ინიციატივის გამოჩენის სურვილს, შეაფერხებს სააზროვნო უნარების განვითარების პროცესს.

ჯგუფური მუშაობა

ჯგუფური მუშაობა, არაფორმალური ზეპირმეტყველებითი აქტივობის სახით, გულისხმობს ჯგუფების წევრების მოსმენასა და მათთან ლაპარაკს, ასევე გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებათა და შეხედულებათა გაცვლა-გამოცვლას. ამგვარი მუშაობის დროს მოსწავლეები ფოკუსირებული არიან პრობლემის გადაჭრაზე, ინფორმაციის სისტემატიზაციასა და ნაკითხულის საფუძვლიანად გააზრებაზე. ჯგუფური განხილვის სწორად და ეფექტიანად დაგეგმვისთვის აუცილებელია, რომ მასწავლებელმა:

- მისცეს ჯგუფს ისეთი დავალება, რომლის შესრულება არ იქნება არც ძალზე ადვილი, არც ძალზე რთული;
- ზუსტად განსაზღვროს აქტივობისათვის გამოყოფილი დრო;
- ნათლად და გასაგებად განუმარტოს მოსწავლეებს დავალების პირობა;
- შეეცადოს, გააგებინოს მოსწავლეებს, რისთვის არის საჭირო დავალების შესრულება (რა არის მისი მიზანი);
- შეარჩიოს კონკრეტული ზეპირი აქტივობის შესაბამისი ფორმატი ჯგუფის შესაქმნელად (მაგ., მცირე ან დიდი ჯგუფი);
- დააკომპლექტოს ჯგუფები იმგვარად, რომ მათ შეძლონ შეუფერხებლად მუშაობა და მუშაობის დასრულება აქტივობისათვის გამოყოფილ დროში.

შეიძლება გამოვიყენოთ მეთოდი, რომელიც ამ ტიპის ჯგუფურ აქტივობებს ინტეგრირებული და კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული სწავლების ელემენტებით ამდიდრებს. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ნაკითხული ტექსტის საფუძველზე დასვამს პრობლემას, რომლის გადაჭრასაც ისინი ისურვებდნენ. აქ მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსწავლეებმა განსაზღვრონ და შეარჩიონ პრობლემები. პრობლემა დაიყოფა რამდენიმე შემადგენელ ნაწილად, მაგალითად: მიზეზები, შედეგები, გადაჭრის გზები და ხანგრძლივ დროზე გათვლილი შედეგები. ამის შემდეგ კლასი დაიყოფა მცირე ჯგუფებად, ხოლო ამ ჯგუფების წევრ თითოეულ მოსწავლეს დაეკისრება პრობლემის რომელიმე ერთი კომპონენტის შესწავლა და დამუშავება. ისინი ტოვებენ თავიანთ ჯგუფს და მუშაობენ სხვა ჯგუფების წევრებთან, რომელთაც ამავე კომპონენტის შესწავლა

აქვთ დავალებული. მათი მოვალეობაა, მაქსიმალური ინფორმაცია მიიღონ და შეისწავლონ პრობლემის ეს კომპონენტი. აქტივობის ბოლო ეტაპზე თითოეული მოსწავლე ბრუნდება თავის ჯგუფში და გააცნობს თანაჯგუფელებს მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, ამა თუ იმ ცნობას. შემდეგ ისინი თავს უყრიან მთელ ინფორმაციას ყველა კომპონენტთან დაკავშირებით და შეჯამებული სახით წარადგენენ აუდიტორიის წინაშე.

აუცილებელია, რომ ჯგუფური სამუშაო გონივრულად იყოს შერჩეული. ეს შეიძლება იყოს აქტივობა, რომელიც მოითხოვს საქმის გადანაწილებას ან რეალურად იმგვარი საქმე, რომელსაც ერთი მოსწავლე დამოუკიდებლად ვერ შეასრულებს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმასაც, რომ ჯგუფში ყველა წევრი მუშაობდეს. ადეკვატურად შერჩეული ჯგუფური სამუშაო უვითარებს მოსწავლეებს თანამშრომლობის უნარ-ჩვევებს, ასწავლის მათ სამუშაოს გონივრულად გადანაწილებას; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სწავლასწავლების პროცესში აუცილებელია ერთგვარი ბალანსის დაცვა ჯგუფურ და ინდივიდუალურ სამუშაოებს შორის: არსებობს იმის რისკი, რომ ჯგუფური სამუშაოების ქარბი გამოყენების შედეგად მოსწავლე გადაეჩვიოს დამოუკიდებლად მუშაობას, გახდეს სხვაზე დამოკიდებული.

ლიტერატურული წრე

საკუთარი ლიტერატურული გამოცდილების გასაზიარებლად აპრობირებულია ისეთი ჯგუფური სტრატეგიის გამოყენება, როგორცაა „ლიტერატურული წრე“. იგი შეიძლება მოეწყოს როგორც მცირე ჯგუფებში, ისე მთელ კლასში. ამ დროს აუცილებელია, მოსწავლეები ისხდნენ წრეში, რათა საუბრის დროს ყველა უყურებდეს ერთმანეთს. ეს შესაფერის ატმოსფეროს შექმნის აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის, ასევე ეფექტური კომუნიკაციისთვის.

„ლიტერატურული წრე“ არ გულისხმობს წაკითხული წიგნის შესახებ პრეზენტაციის ან მოხსენების გაკეთებას. ამ დროს მოსწავლეებმა ღიად და თავისუფლად უნდა გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი ფიქრები, შთაბეჭდილებები, გრძნობები, ასევე ცოდნა და ერუდიცია, რომელიც შეიძინეს ამ თუ იმ წიგნის ან ნაწარმოების წაკითხვის შედეგად. მოსწავლეებმა თავად უნდა ამოიჩიონ თხზულება, რომელიც მათ ახალი წაკითხული აქვთ და მოეწონათ. ისინი საუბრობენ ამ წიგნის თუ ნაწარმოების თემის, რომელიმე პერსონაჟის ან ეპიზოდის შესახებ. მოსწავლე უნდა ეცადოს, რომ დააინტერესოს თანაკლასელები და დაარწმუნოს ისინი, რომ თავადაც წაკითხონ ეს წიგნი. ამისათვის კი აუცილებელია, რომ მოსწავლეს წინასწარ ჰქონდეს ინსტრუქცია მიღებული მასწავლებლისგან, რათა წიგნზე საუბრისას შეეხოს ყველაზე მნიშვნელოვან, დამაინტერესებელ დეტალებს, მაგრამ არ გასცეს საჭიროზე მეტი ინფორმაცია (მაგალითად, არ გაამხილოს ამბის დასასრული), რათა მსმენელებს არ დაეკარგოთ ამ წიგნის წაკითხვის სურვილი. „ლიტერატურული წრის“ მონაწილეებს შეუძლიათ წაკითხონ მათთვის ყველაზე საყვარელი ადგილები წიგნიდან.

„ლიტერატურულ წრეში“ მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია, კერძოდ: ა) სხვადასხვა ჟანრის ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოებების ერთად კითხვა (ამისათვის უნდა შეირჩეს მცირე

ზომის თხზულება ან ფრაგმენტი ვრცელი თხზულებიდან). ერთად კითხვაში მონაწილეობს მთელი ჯგუფი. კითხვა მიმდინარეობს პაუზებით, გარკვეული მონაკვეთის შემდეგ გამოითქმება აზრები, დასახელებები პარალელები ლიტერატურიდან, კინოფილმებიდან, მხატვრობიდან და ა.შ.; ბ) ფოკუსირებული კითხვა, რაც გულისხმობს საინტერესო ფსიქოლოგიური დეტალების (პერსონაჟის ფსიქოტიპის, ქცევის მოტივაციის ამსახველი, სხვ.), მწერლის სტილის, მხატვრული ქსოვილის კვლევას; გ) კითხვა პაუზებით – კითხვა შეწყდება ყველაზე დაძაბულ და/ან დამინტრიგებელ მონაკვეთში. დაისმება კითხვები და გამოითქმება ვარაუდები სიუჟეტის შესაძლო განვითარების შესახებ: „რა მოხდება ამის შემდეგ? რატომ?"; დ) წაკითხულისადმი ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა წერილობითი ფორმით – ეს განსაკუთრებით ეფექტურია პოეტური ნაწარმოების კითხვისას. მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოსწავლეებს, რომ მათ ამ შემთხვევაში ევალებათ არა ანალიზის დაწერა, არამედ საკუთარი პერსონალური დამოკიდებულების, კითხვის დროს მიღებული ემოციური შთაბეჭდილების, ასოციაციების გამოხატვა. მოსწავლეებს შეუძლიათ დაწერონ, რა მოგონებები აღეძრათ, რა სურათ-ხატები დაიბადა მათ წარმოსახვაში, რა ფერი, მუსიკა, მისთ. გაახსენათ ნაწარმოებმა. საწყის ეტაპზე, სანამ მოსწავლეები კარგად აულებენ ალღოს ამ სამუშაოს, მასწავლებელს შეუძლია, წინასწარ მოამზადოს ერთგვარი კითხვარი, რომელიც დაეხმარება მათ ამ სამუშაოს შესრულებაში.

„ლიტერატურული წრის“ მეშვეობით მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთს აჩვენონ, როგორი სიამოვნებით და ენთუზიაზმით შეიძლება წიგნის კითხვა, რაც ამ სტრატეგიის ერთ-ერთ პოზიტიურ შედეგს წარმოადგენს. ამავდროულად, თავიანთი მოსაზრებების, შეხედულებების ერთმანეთისათვის გაზიარებისა და რჩევების მიცემის გზით მოსწავლეებს უფითარდებათ ლაპარაკისა და მოსმენის უნარ-ჩვევები. კონკრეტული აქტივობებისათვის მოსწავლეებმა შეიძლება შექმნან სხვადასხვა ვიზუალური მასალაც, მაგ., პოსტერები, სანიშნები, წიგნის გადასაკრავი ყდა და სხვ.

ფორმალური ზეპირი მეტყველება და მისი მოდელები

ფორმალური ზეპირმეტყველება მოსწავლისაგან უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე არაფორმალური ზეპირმეტყველება. ფორმალური კომუნიკაციის დროს მოსწავლეებმა უნდა შეძლონ დახვეწილი გამოთქმით (დიქციით) საუბარი, საკუთარი გამოთქმის (დიქციის), ხმის ტემბრისა თუ სიმაღლის გაკონტროლება. თუ არაფორმალური ზეპირი აქტივობები თავისი ბუნებით უფრო მეტად კვლევასა და ინფორმაციის მოძიებაზეა ორიენტირებული, ფორმალური ზეპირმეტყველებითი აქტივობები მეტწილად ორიენტირებულია ისეთი შედეგების მიღწევაზე, როგორებიცაა: ინფორმაციის სხვებისათვის მიწოდების, საკუთარი იდეისა თუ შეხედულებების პრეზენტირებისა თუ სხვების დარწმუნების, აუდიტორიაზე ზემოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავება. აქედან გამომდინარე, ფორმალურ ზეპირმეტყველებაში სჭარბობს წარმოდგენის („პერფორმანსის“) ელემენტები, რაც ნაკლებად ახასიათებს არაფორმალურ სამეტყველო სიტუაციებს.

ფორმალური ზეპირმეტყველებითი მოდელების ძირითადი სახეებია:

- ინტერვიუ;
- გუნდური კითხვა;
- ექსპრომტი;
- დრამატიზაცია;
- როლური თამაში;
- როლური კითხვა;
- იმიტირებული სასამართლო;
- მკითხველის თეატრი;
- ზეპირი მოხსენება / პრეზენტაცია;
- დამარწმუნებელი საუბარი;
- დებატები;
- საპანელო დისკუსია;
- სხვ.

ინტერვიუ

ინტერვიუს ჩატარება მოსწავლისგან მოითხოვს კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად შეკითხვების მოფიქრებას, მათ ჩამოყალიბებას და დასმას, ასევე სხვის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას. ინტერვიუს, მისი მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება ჰქონდეს ოფიციალური და არაოფიციალური ხასიათი.

ინტერვიუ, როგორც საკლასო აქტივობა, ხელს უწყობს მოსწავლის კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კითხვების დასმასა და მათზე პასუხის გაცემას, არამედ მოსაუბრის ყურადღებით მოსმენას, ადეკვატურ რეაგირებას მის რეპლიკებსა და კომენტარებზე, ასევე ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმების გამოყენებას და ა.შ. ამასთანავე, ინტერვიუს ჩატარება ეხმარება მოსწავლეს, შეიძინოს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: მონაცემების შეგროვება, დახარისხება და გამოყენება, ინფორმაციის გაანალიზება და თანამშრომლობა.

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გაანალიზებს როლებს, ინტერვიუს ჩატარების მოსამზადებელი ეტაპი შეიძლება დაიგეგმოს მასწავლებლის ინსტრუქციების თანახმად, მაგ., ამ თანამიმდევრობით:

- ინტერვიუერი უკავშირდება რესპონდენტს და უთანხმდება მას შეხვედრაზე (მასწავლებელმა უნდა მოსთხოვოს მოსწავლეებს, ზუსტად ჩაინიშნონ ინტერვიუს ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი);
- ინტერვიუერი წინასწარ განსაზღვრავს, ინტერვიუს აუდიოჩანაწერს გააკეთებს თუ ვიდეოს;
- ინტერვიუერი წინასწარ მოიპოვებს ინფორმაციას რესპონდენტის შესახებ;
- ინტერვიუერი გადაწყვეტს და მკაფიოდ განსაზღვრავს ინტერვიუს ჩატარების მიზანს;

- ინტერვიუერი წინასწარ ამზადებს კითხვების ჩამონათვალს (ამ ეტაპისათვის შესაძლებელია გონებრივი იერიშის გამოყენებაც).

თუკი მოსწავლეებს არ აქვთ ინტერვიუს ჩატარების გამოცდილება, სასურველია, მასწავლებელმა გარკვეული დრო დაუთმოს ინტერვიუების გათამაშებას კლასში, სადაც ერთი მოსწავლე ინტერვიუერის როლს შეასრულებს, მეორე კი – რესპონდენტისას. მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ მოსწავლეებმა გაცვალონ როლები, რათა ყველას მიეცეს საშუალება, დასვას კითხვები და უპასუხოს მათ, იფიქროს მომდევნო კითხვაზე, პასუხებზე, მოუსმინოს მოსაუბრეს და ჰქონდეს ადეკვატური რეაქცია მის კითხვაზე, პასუხზე, რეპლიკასა თუ კომენტარზე, დააზუსტოს ინფორმაცია და დაიცვას საუბრის რიგი. მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების დროს მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ საჭირო და არსებითი ინფორმაციის ჩანიშვნას, რომელსაც შემდგომ შეაჯერებენ და გააანალიზებენ.

გუნდური კითხვა

გუნდური კითხვა – გართმული სტროფებისა და ლექსების წაკითხვა, რეჩიტაცია ან წამღერება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ახალი კუთხით გაიაზრონ ტექსტი, განივითარონ არაერთი ფიზიკური თუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევა, მათ შორის: ბგერებისა და სიტყვების წარმოთქმა, გამოთქმით კითხვა, დიქცია, ინტონაცია და სუნთქვის კონტროლი. გუნდური კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ, თუ როგორ შეიძლება აზრის და/ან შინაარსის გადმოცემა მეტყველების ისეთი არავერბალური საშუალებებით, როგორებიცაა: ინტონაცია, ხმის სიმალლე, მახვილი, მეტყველების ტემპი და რიტმულობა. გუნდურ კითხვაში უმნიშვნელოვანესია ის, თუ როგორ ისმინება ტექსტი, როგორია წაკითხულის სმენითი მხარე. სწორედ ამიტომ, ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, კარგად აღიქვან და გაითავისონ, თუ როგორ ჟღერს პოეტური თუ სხვა ჟანრის ტექსტები, რის საშუალებასაც ჩუმი, ინდივიდუალური კითხვა არ იძლევა.

რადგანაც გუნდური კითხვა მოითხოვს ხმების ჰარმონიულად შეწყობასა და ერთგვარად თეატრალურ დადგმას ჰგავს, იგი საჭიროებს წინასწარ დაგეგმვას. მასწავლებელმა წინასწარ უნდა განიხილოს მოსწავლეებთან შემდეგი საკითხები: წასაკითხი ტექსტის პუნქტუაცია, რომელი სიტყვები და ფრაზები უნდა წარმოითქვას ხმადაბლა, რომელი – ხმამაღლა, ნელა ან სწრაფად, რომელი მათგანზე უნდა გაკეთდეს მახვილი და სად უნდა იყოს პაუზა. ამასთანავე, მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, ტექსტი მთელმა კლასმა უნისონში უნდა წაკითხოს ან დაამღეროს, თუ აჯობებს მისი ცალკეული ადგილების განაწილება როლებად ცალკეულ მოსწავლეებსა ან მოსწავლეთა ჯგუფებს შორის. ამის შემდეგ მოსწავლეებს აუცილებლად დასჭირდებათ რეპეტიციების გავლაც.

ექსპრომტი

ექსპრომტი გულისხმობს მოუმზადებელ, სპონტანურად წარმოთქმულ სიტყვას ან საუბარს. სწორედ მისი დაუგეგმავი და მოულოდნელი ხასიათი იძლევა შანსს, რომ მოსწავლეს განუფითარდეს ინფორმაციის სწრაფად ორგანიზებისა და გაანალიზების უნარი.

დრამატიზაცია

დრამატიზაცია აერთიანებს ზეპირმეტყველებითი აქტივობების ფართო სპექტრს. იგი მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ზეპირ აქტივობებს და კარგ საშუალებას იძლევა მათი სხვადასხვაგვარად კომბინირებისათვის.

დრამატიზაცია ენობრივი და პიროვნული ზრდის მძლავრ იარაღადაა მიჩნეული და ინტერაქტიური სწავლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მისი ცალკეული აქტივობები ზოგჯერ საუკეთესო საშუალებაა ზეპირმეტყველების (ლაპარაკისა და მოსმენის) არაერთი უნარის გასავითარებლად. დრამატიზაციის შემოქმედებით აქტიურდება და ვითარდება მოსწავლის წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარები. ამასთან, მისი საშუალებით მოსწავლეები ეუფლებიან გართობის საკმაოდ რთულ ხელოვნებასაც. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ესაა სასწავლო პროცესი, როდესაც მოსწავლეები მუშაობენ ერთად, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ იდეებსა და მოსაზრებებს, ჭრიან პრობლემებს და ქმნიან ახალ პროდუქტს.

მოზარდებისთვის უნდა შეირჩეს ისეთი აქტივობები, რომლებიც განავითარებს მათ სოციალურ უნარ-ჩვევებს, ხელს შეუწყობს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების დახვეწასა და სრულყოფას, აღმოაჩინებენ მათ სამყაროს ხედვის ახალ კუთხეს და სხვ. (შერჩევა უნდა მოხდეს მოზარდების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით).

დრამატიზაცია არა მხოლოდ ააქტიურებს მოსწავლის წარმოსახვის უნარს, არამედ აძლევს მას სტიმულს, უფრო თავდაჯერებულად და შემოქმედებითად წარმოაჩინოს თავი. სხვა სიტყვებით, ესაა სწავლის პროცესი ხელოვნების გზით, როდესაც მოსწავლეები საფუძვლიანად გაიაზრებენ მასალას, გამოთქვამენ და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებსა და იდეებს, მუშაობენ ერთობლივად და ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს.

დრამატიზაციის აქტივობების შერჩევისას მასწავლებელმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ იმუშაოს მოსწავლეთა სოციალური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე, დახვეწასა და სრულყოფაზე; როგორ დაეხმაროს მათ, ახალი, განსხვავებული პერპექტივიდან დაინახონ მოვლენები და ფაქტები, აღმოაჩინონ სამყაროს ხედვის მანამდე უცნობი კუთხე.

იმპროვიზაცია, როლური თამაში, მხატვრული კითხვა, პანტომიმა, მკითხველთა თეატრი, პიესის დაწერა, სცენარის შექმნა, ინტერვიუ, ცეკვა, თეატრალური წარმოდგენები – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია აქტივობებისა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია შემოქმედებითი უნარების ინტეგრირება ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში.

როლური თამაში

როლური თამაში აქტიური სწავლების ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგიაა. ამ ტიპის აქტივობები ეხმარება მოსწავლეს პიროვნულ განვითარებაში, რადგან საშუალებას აძლევს მას, განასახიეროს სხვა ადამიანი. ამ დროს მოსწავლეს შეუძლია, თავისუფლად, ღიად გამოხატოს საკუთარი გრძნობები; გადმოსცეს პირადი დამოკიდებულებები და შეხედულებები. როლური თამაში მრავალმხრივად უწყობს ხელს მოსწავლის თვითგამოხატვას, მისი ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობების, ლოგიკური აზროვნებისა და ეთიკური დამოკიდებულებების გამოვლენას. ლიტერატურული თხზულებების შესწავლისას როლური თამაშების საშუალებით მოსწავლეები უფრო ღრმად გაიაზრებენ თითოეული პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, მათ მოტივაციას და სხვ.; ზოგადად, ჩასწვდებიან ადამიანური კონფლიქტების არსს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე როლური თამაშის გამოყენების მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის შესაბამისი სამეტყველო ქცევის არჩევის უნარი, დაეხმაროს მათ ლინგვისტური კომუნიკაციისა და ზოგადად, ენის არაპროგნოზირებადი ბუნების გაცნობაში. ესაა ძალზე მოქნილი და მოსწავლეებისთვის სახალისო საკომუნიკაციო ტექნოლოგია, რომელიც ხელს უწყობს მათი (მოსწავლეების) სოციალური უნარების განვითარებას და ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს მოსწავლეებს სამეტყველო უნარ-ჩვევების სრულყოფისთვის; ინდივიდუალური ვარიაციების წარმოსადგენად, პირადი ინიციატივების გამოსავლენად, წარმოსახვის უნარის გასავითარებლად.

როლური თამაში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს, როგორც სწავლების აქტიური ფაზის ეფექტური რესურსი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ფორმალურად ნასწავლი მასალა „გააცოცხლოს“ ზეპირი კომუნიკაციის დონეზე, მოახდინოს მისი ავტომატიზება და „დაამკვიდროს“ იგი პირად გამოცდილებაში. ამისთვის მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, ჩაატარონ ენობრივი ექსპერიმენტები, გაიმეორონ უკვე ათვისებული ან ახლად ნასწავლი მასალა (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, ლექსიკა, ინტონაციური მოდელები, სხვ.).

როლური თამაში არ წარმოადგენს იზოლირებულ აქტივობას. ესაა გაკვეთილის ნაწილი, რომლის გამოყენება მასწავლებელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, კერძოდ: როლური თამაში შეიძლება იყოს გაკვეთილის კულმინაცია, რომლის დროსაც მოსწავლეები იმეორებენ გაკვეთილის მსვლელობისას ათვისებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ასევე გაკვეთილის ერთ-ერთი ნაწილიც, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს გაკვეთილის ძირითად ნაწილში დასახული სასწავლო მიზნის მიღწევაში. იგი შეიძლება წარიმართოს მთელი კლასის მონაწილეობით, ჯგუფებში, წყვილებში ან ინდივიდუალურად.

როლური თამაშის დროს ძალზე აქტიურდება მოსწავლეთა წარმოსახვის უნარი: ისინი ფანტაზიორობენ, მიმართავენ იმპროვიზაციას, თამამად ავლენენ ინიციატივებს, რაც ხშირად სასარგებლო ლინგვისტურ ექსპერიმენტადაც შეიძლება გადაიქცეს მათთვის. მასწავლებლის ძირითადი მოვალეობაა როლური თამაშის ორგანიზება და მოსწავლეებზე დაკვირვება. საჭიროების

შემთხვევაში – ვთქვათ, თუკი თამაში კარგავს დინამიკას, უინტერესო ხდება მოსწავლეთათვის, ან წარმართება დაუგეგმავი მიმართულებით, მასწავლებელი შეიძლება ჩაერიოს პროცესში: დასვას შეკითხვა მოსწავლეთა გასააქტიურებლად, გეზის მისაცემად, სხვ.).

როლური თამაშების დაგეგმვა მრავალგვარად შეიძლება სასწავლო მიზნისა და დასამუშავებელი მასალის გათვალისწინებით. ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა, ვთქვათ, მოსწავლე ატარებს პრეზენტაციას საქართველოს გაქრისტიანების შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებზე დაყრდნობით (მირიანის ნადირობა, ტაძრის აშენება, სხვ.), მას შეუძლია აირჩიოს მირიან მეფის ან ნანა დედოფლის როლი და ისაუბროს მათი პირით. ასევე შეუძლია კახელთა აჯანყების შესახებ ინფორმაცია გააცნოს თანაკლასელებს, როგორც ბაში-აჩუკმა ან აბდუშაჰილმა და სხვ. ამ დროს მოსწავლე ცდილობს, გაითვალისწინოს შესაბამისი პერსონაჟის თვისებები და პიროვნული მახასიათებლები, ასევე მისი პოზიცია და ხედვის კუთხე.

როლური კითხვა

როლური კითხვა საკმაოდ მოსახერხებელი მეთოდია გაკვეთილის გასაცოცხლებლად. იგი მოსწავლეებისათვის ზოგჯერ მოსაწყენ ტექსტების კითხვას სახალისო და საინტერესო პროცესად აქცევს. შესაძლებელია, რომ ერთ-ერთ მოსწავლეს დაევალოს ტექსტის ნაწყვეტის წაკითხვა რომელიმე პერსონაჟის მაგივრად. ამავდროულად მას უწევს, წარმოიდგინოს ეს პერსონაჟი, გაითავისოს მისი ხასიათი და კითხვისას განასახიეროს იგი. მაგალითად, შეიძლება მოსწავლემ წაკითხოს რომელიმე ნაწყვეტი „ბაში-აჩუკიდან“ ზაალ არაგვის ერისთავის ან ბიძინა ჩოლოყაშვილის პირით. ამავე პერსონაჟების „როლის მორგებით“ მოსწავლეებს შეიძლება წავაკითხოთ ნაწყვეტი სხვა ნაწარმოებიდან, რომელშიც ასახულია იგივე ეპოქა (მაგ., ლევან გოთუას „გმირთა ვარამიდან“), ასევე რომელიმე თემატურად დაკავშირებული არამხატვრული ტექსტიდან (მაგ. სათანადო ადგილები ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“, სხვ.). ამავე ტიპის აქტივობისათვის შესაძლებელია მოსწავლეებმა მოირგონ გამოგონილი, წარმოსახვითი როლებიც, მაგალითად, რომელიმე სოციალური კლასის წარმომადგენლისა².

როლურ თამაშებში გაერთიანებული აქტივობების მასალად შეიძლება გამოვიყენოთ მოთხრობები, ნაწვეტები დიდი ზომის მხატვრული თხზულებებიდან, პიესებიდან ან ფილმებიდან, ასევე ლექსები და პოემები.

იმიტირებული სასამართლო

მხატვრული ნაწარმოების განხილვის მიზნით დაგეგმილი ამ ტიპის აქტივობა ქართულ სასკოლო პრაქტიკაში ცნობილია „ლიტერატული სასამართლო“.

² ამ მიზნით, მაგ., შეიძლება შეირჩეს მინდიასა და მზიას დიალოგი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „გველისმჭამელი“. ეს ეპიზოდი კარგი მასალაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ კონფლიქტის არსი (დაპირისპირება მატერიალურსა და სულიერს შორის), იმსჯელონ მასზე, შეაფასონ და გამოიტანონ დასკვნები.

თლოს“ სახელით. „იმიტირებული სასამართლო“ კი აქტივობების უფრო ფართო სპექტრს მოიცავს, რადგან იგი შეიძლება დაეფუძნოს რეალურ ცხოვრებისეულ შემთხვევებსაც და გამოგონილ „საქმეებსაც“, რომლებიც, თავის მხრივ, სასწავლო მასალას ეფუძნება. იმიტირებული სასამართლოს მოსაწყობად პირდაპირ შეიძლება იქნას გამოყენებული სასწავლო მასალა – თხზულებები, რომლებშიც დასმულია პრობლემა ან ასახულია ადამიანური კონფლიქტები. ასეთ მასალად თანაბრად შეიძლება გამოდგეს როგორც არამხატვრული (პუბლიცისტური წერილი, საინფორმაციო ტექსტი, სხვ.), ისე სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტები. მოსწავლეები ინანილებენ როლებს და ცდილობენ, ერთი მხრივ, მაქსიმალურად ზუსტად განასახიერონ საკუთარი პერსონაჟი, მეორე მხრივ კი, დაიცვან მისი პოზიცია სასამართლო პროცესზე. მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მიეცეთ მოსამზადებელი დრო, რათა მათ შეძლონ არგუმენტების მოფიქრება საკუთარი პერსონაჟის პოზიციის დასაცავად, ასევე სხვა პერსონაჟის გამამართლებელი ან გამამტყუნებელი მტკიცებულებების მოსაფიქრებლად და ა.შ. „იმიტირებული სასამართლო“ ზეპირმეტყველებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეთა კვლევადიებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც.

მკითხველთა თეატრი

მკითხველთა თეატრი ეწოდება ტექსტის ზეპირ და დრამატულ წარმოდგენას რეალური აუდიტორიის (მაგ., თანაკლასელების, თანასკოლელების, მშობლებისა და მასწავლებლების) წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტივობა ხმამაღალი კითხვის ნაირსახეობას წარმოადგენს, მკითხველთა თეატრი არ შეიძლება მივიჩნიოთ გუნდური კითხვის იდენტურ აქტივობად, რადგან ამ შემთხვევაში მასწავლებელი არ არის ცენტრალური ფიგურა, იგი არ უწევს კოორდინირებას და არ წარმართავს ზეპირ წარმოდგენას ისე, როგორც ამას აკეთებს გუნდური კითხვის დროს. მკითხველთა თეატრი უფრო მეტად თავად მონაწილეს (პრეზენტატორს) მიჰყავს, ამასთან, მას უფრო სპონტანური ხასიათი აქვს, ვიდრე გუნდურ კითხვას.

მკითხველთა თეატრი, დრამატიზაციის მსგავსად, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გამოსცადოს და „მოირგოს“ არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები და გამოვლინებები: უესტი, მიმიკა, ხმის ტონის მონაცვლეობა და ა.შ., მაგრამ დრამატიზაციისგან განსხვავებით, მკითხველთა თეატრისათვის არ არის აუცილებელი დრამატურგიული დადგმისათვის აუცილებელი ისეთი ელემენტები, როგორებიცაა დეკორაცია, სასცენო რეკვიზიტები და ქორეოგრაფია. ამასთან, მკითხველთა თეატრი უფრო თავისუფალი და მოქნილი ფორმაა, ვიდრე თეატრალური წარმოდგენა, რადგან მასში შესაძლებელია ტექსტების უფრო ფართო სპექტრის გამოყენება; შესაძლებელია ისიც, რომ ერთმა მონაწილემ შეასრულოს სხვადასხვა პერსონაჟის ან მთხრობლის როლი (მრავალრიცხოვანი კლასის შემთხვევაში ერთი როლი შესაძლოა რამდენიმე მოსწავლეს გაუნაწილდეს).

მკითხველთა თეატრის წარმოდგენისათვის აუცილებელია შერჩეული ტექსტის ადაპტირება. ადაპტირების პროცესი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- თუ ნაწარმოები (რომანი, მოთხრობა, სხვ.) მეტისმეტად ვრცელია იმისათვის, რომ ერთ ნარმოდგენაში ჩაეტიოს, მასწავლებელმა (ან თავად მოსწავლეებმა) უნდა შეარჩიოს მნიშვნელოვანი და საინტერესო ადგილები;
- უნდა შეირჩეს, რომელი პერსონაჟებია აუცილებელი ნარმოდგენის გასამართავად;
- უნდა განისაზღვროს, საჭიროა თუ არა ნარმოდგენაში მოთხრობელი, რომელიც წარადგენს ნამუშევარს, წინასწარ შექმნის განწყობას და შეამზადებს მაყურებელს მოსასმენად;
- მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, თავად შეარჩიონ როლები;
- მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, ივარჯიშონ, გამოსცადონ და დაარეგულირონ საკუთარი ხმის სიმაღლე, ტონალობა, საუბრის ტემპი, პაუზები ეფექტის მოსახდენად და ა.შ.;
- მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, წინასწარ განიხილონ და იმსჯელონ იმ შინაარსობრივი ნიუანსების შესახებ, რომლებიც გადმოიცემა მათი ხმის არავერბალური ასპექტებითა და სახის გამომეტყველებით.

მკითხველთა თეატრი ეხმარება მოსწავლეებს, დახვეწონ თავიანთი დიქცია, საუბრის მანერა, ივარჯიშონ გაბმით, შეუფერხებლად მეტყველებაში, გამოიყენონ ენა, როგორც საკუთარი წარმოსახვის ხორცშესხმის საშუალება; საბოლოოდ კი, მეტი თავდაჯერებულობა შეიძინონ ლაპარაკის დროს.

ზეპირი გამოსვლა

ზეპირი გამოსვლის ტექსტის მომზადებისას გასათვალისწინებელია ზეპირი მეტყველების სპეციფიკა: გამომსვლელს, კერძოდ, უნდა ახსოვდეს, რომ ესაა ერთგზისი აქტი – მსმენელებს არ ექნებათ საშუალება, ხელახლა დაუბრუნდნენ ზეპირი გამოსვლის ტექსტს ცალკეული საკითხების დასაზუსტებლად, როგორც ეს, ვთქვათ, წიგნის/გაზეთის, ზოგადად, წერილობითი ტექსტის მკითხველს შეუძლია გაააკეთოს.

ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გამოსვლას ჰქონდეს ცხადად გამოკვეთილი მიზანი და ადვილად აღსაქმელი სტრუქტურა. იმისათვის, რომ ზეპირი გამოსვლა უფრო დამაინტერესებელი და შთამბეჭდავი იყოს, სასურველია, მოსწავლემ გამოიყენოს რაიმე თვალსაჩინოება, მაგალითად, დიაგრამები, მინიკლიპი, სურათები, სხვადასხვა რეკვიზიტი, ასევე აუდიო- და ვიდეომასალა. ეს დაეხმარება მსმენელს, კარგად გაიგოს და/ან ადვილად გაიხსენოს მოსმენილი ინფორმაცია. კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი ურჩევს გამომსვლელს, რომ გამოსვლისას ტექსტის წაკითხვის ან გაზეპირებული ტექსტის მონოტონურად წარმოთქმის ნაცვლად ისაუბროს თამამად და დაამყაროს კონტაქტი აუდიტორიასთან. გამოსვლის დროს ორატორს შეუძლია გამოიყენოს მოკლე ჩანაწერები (თეზისები) ფურცელზე ან ბარათებზე. ასეთი გამოსვლა, ცხადია, უფრო ცოცხალი და საინტერესო იქნება მსმენელებისათვის.

დაბოლოს, აუდიტორიის ყურადღების შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია, ზეპირი გამოსვლისათვის შეირჩეს ისეთი ადგილი, რომ გამომსვლელს მთე-

ლი აუდიტორია ხედავდეს. ხმადაბლა და გაუბედავად მოსაუბრე მოსწავლეებს მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ხმის ტემპრისა და სიმაღლის რეგულირებაში.

ზეპირი გამოსვლის ტექსტის მომზადება ხუთი ეტაპისაგან შედგება. ესენია, კერძოდ: 1) თეზისის ნათელყოფა – თეზისი, ესაა მოსაზრება/დებულება, რომელსაც ვასაბუთებთ. მას სხვაგვარად მიზნის განაცხადსაც უწოდებენ. ეს გულისხმობს იმგვარი წინადადების/წინადადებების შედგენას, რომელშიც მომხსენებლის მიზანია გაცხადებული (მაგ., „მსურს დაგარწმუნოთ, რომ კომპიუტერულ თამაშებს დიდი სარგებლობა მოაქვთ ბავშვებისათვის“, სხვ.); 2) ადეკვატური ორგანიზაციული ყალიბის შერჩევა; 3) სიტყვის გეგმის შედგენა; 4) ადეკვატური ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შერჩევა; 5) შესავალი ნაწილისა და დასკვნის ჩამოყალიბება.

თეზისის განაცხადი – მასში შეჯამებულია ზეპირი გამოსვლის ძირითადი მიზანი ან იდეა. თეზისის განაცხადი, როგორც წესი, მოიცავს ერთ-სამ წინადადებას და მსმენელებს აცნობს: ა) ზეპირი გამოსვლის თემას, ბ) ძირითად დებულებებს და/ან სტრუქტურულ-ორგანიზაციულ მხარეს, გ) მიზანს. მაგ., დავუშვათ, რომ ორატორმა თავისი გამოსვლა დაიწყო ამგვარად: „ფეხბურთს შეუძლია ძალზე სასარგებლო გამოცდილება შესძინოს მოსწავლეებს, რადგან იგი ავითარებს მათ სპორტულ მონაცემებს, აჩვენებს მოსწავლეებს ჯანმრთელი ცხოვრების წესს და აძლევს მათ საშუალებას, მეგობრების წრეში გაატარონ თავისუფალი დრო“. კვალიფიციური მსმენელი ამის მოსმენისას უკვე ხვდება, რომ: ა) ორატორი, სავარაუდოდ, ილაპარაკებს სასკოლო საფეხბურთო გუნდზე (თემა); ბ) ზეპირი გამოსვლა, სავარაუდოდ, შედგება სამი ნაწილისაგან და ფოკუსირებულია სამ ძირითად დებულებაზე (1. სპორტული მონაცემების განვითარება; 2. ჯანმრთელი ცხოვრების წესი, 3. თავისუფალი დროს გატარება მეგობრების წრეში). მსმენელისთვის ნათელია აგრეთვე ორატორის მიზანიც – გააცნოს აუდიტორიას ფეხბურთის თამაშის სამი დადებითი მხარე.

ტრადიციულად, ზეპირი გამოსვლის ტექსტი შედგება სამი ძირითადი სტრუქტურული ნაწილისაგან. ესენია: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

ორგანიზაციული ყალიბი თავს იჩენს ტექსტის ძირითად ნაწილში. ზეპირი გამოსვლის ძირითადი ყალიბებია: ა) *ქრონოლოგიური* (ფაქტები/მოვლენები წარმოდგენილია მათი დროითი მიმდევრობის დაცვით), ბ) *სივრცითი*, გ) *პროცესუალური* (მსვლელობის თანამიმდევრობის დაცვით), დ) *თემატური*, ე) *პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული*.

ზეპირი გამოსვლის დროს ორატორი დასახულ მიზანს მიაღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი ძირითადი თეზისი განმტკიცებულია სანდო, სარწმუნო და ადეკვატური *დამადასტურებელი მასალით*, როგორებიცაა: მაგალითები, ციტატები, სტატისტიკური მონაცემები, მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, ვიზუალური მასალა, სათანადო აღწერა (პიროვნების, ადგილის, საგნის, მოვლენის, ხელოვნების ნიმუშის, სხვ.). დამადასტურებელი მასალის შერჩევასას ორატორმა უნდა განსაზღვროს და გაითვალისწინოს: ა) ფაქტია იგი თუ მოსაზრება; ბ) სანდოა თუ არა წყარო – ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ადეკვატური წყაროს შერჩევას (მაგ., უსაფრთხოების ღვედების ეფექტიანობის საკითხში გასარკვევად სანდო წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს

ავტოსაგზაო ინსპექტორი, სატრანსპორტო მიმოსვლის ექსპერტი, და არა, ვთქვათ, ბანკის მოხელე); გ) შეესატყვისება თუ არა იგი გამოსვლის მიზანს (მაგ., თუკი მიზანს წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შედეგების მიმოხილვა, დამადასტურებელ მასალად არ შეიძლება გამოვიყენოთ მაგალითები თამარ მეფის ეპოქის ქართული სამონასტრო ცხოვრებიდან); დ) შერჩეულია თუ არა ადეკვატური დროის პერიოდი (მაგ., თუკი ვლასპარაკობთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამონვეულ სიკვდილიანობაზე, არ შეიძლება გამოვიყენოთ მე-19 ს-ის მონაცემები – გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამონვეული სიკვდილიანობა დღეისათვის ბევრად უფრო მაღალია, ასე რომ მე-19 ს-ის სტატისტიკა ამ შემთხვევაში მხოლოდ შესადარებლად თუ გამოდგება); 2) რამდენად რეპრეზენტატიულია იგი. კერძოდ, დამადასტურებელი მასალა არ ჩაითვლება სარწმუნოდ, თუკი გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთეული, გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა განზოგადება არ მოხერხდება (მაგ., თუკი კლასში ერთი ჰიპერაქტიური მოსწავლეა, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჰიპერაქტიულობა ამ კლასის მოსწავლეთა უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს).

საინფორმაციო ზეპირი გამოსვლა

ესაა ზეპირი გამოსვლა, რომელიც გვანდის ამა თუ იმ სახის ინფორმაციას. მისი მიზანია, აამაღლოს მსმენელთა ცოდნის დონე თუ ინფორმირებულობის ხარისხი. ამ ტიპის ზეპირი გამოსვლების ჯგუფს მიეკუთვნება, მაგ., მასწავლებლის სალექციო ტიპის ზეპირი გამოსვლა (ამა თუ იმ მწერლის ბიოგრაფიაზე, ლიტერატურულ მიმდინარეობაზე, სხვ.), ასევე ინფორმაციის მიმწოდებელი ნებისმიერი სხვა ზეპირი შეტყობინება (მაგ., ჭადრაკის წრის მეცადინეობების განრიგის მსმენელთათვის გაცნობა).

საინფორმაციო ზეპირი გამოსვლა მიზანს მიაღწევს იმ შემთხვევაში, თუკი: ა) მსმენელები დაინტერესებულნი არიან მონოდებული ინფორმაციით. მაგ., როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, რა საკითხები უნდა გაიმეორონ მნიშვნელოვანი ტესტირების წინ, მას გარანტირებული აქვს მოსწავლეების ყურადღება; ბ) ინფორმაცია დაკავშირებულია მსმენელების წინარე ცოდნასთან. მაგ., იმისათვის, რომ მოსწავლეები დაინტერესდნენ არგუმენტირების, ადამიანების დარწმუნების სტრატეგიებით, მასწავლებელს შეუძლია მაგალითები მოიყვანოს მოსწავლეთათვის კარგად ნაცნობი სატელევიზიო თუ სხვ. სახის რეკლამებიდან და აჩვენოს მათ, რამდენად დიდ ზეგავლენას ახდენენ ისინი ადამიანებზე; გ) ინფორმაცია კარგადაა ორგანიზებული – ეს ძალზე მნიშვნელოვანია მისი აღქმისა და დამახსოვრებისთვის. კარგი ორგანიზება გულისხმობს შესაბამისი ორგანიზაციული ყალიბის შერჩევას და ადეკვატურად გამოყენებას. ორგანიზაციული ყალიბი შეიძლება იყოს, კერძოდ: დროითი, სივრცული, პროცესუალური (რაიმე თანამიმდევრობის დაცვით) და თემატური (ორგანიზაციული ყალიბების შესახებ დამატებით იხ. არგუმენტირებული ზეპირი გამოსვლა); დ) ინფორმაცია განმეორებადია – განმეორებადობა მსმენელებს უადვილებს ინფორმაციის დამახსოვრებას. ეს არ ნიშნავს, რომ ორატორმა სიტყვასიტყვით უნდა გაიმეოროს ადრე ნათქვამი – საკმარისი იქნება, თუკი იგი სხვა სიტყვებით, განსხვავებული აქცენტის დას-

მით გაიმეორებს თავის იდეას/იდეებს; ე) ინფორმაცია ფოკუსირებულია ერთ თემაზე – რაც უფრო მეტია მიწოდებული მასალა, მით უფრო გაუძნელებათ მსმენელებს მისი აღქმა.

საინფორმაციო ზეპირი გამოსვლის ძირითადი ტიპებია: აღწერა, განსაზღვრა, დემონსტრირება.

1. აღწერა – ორატორის მიზანია რაიმეს (პიროვნების, ადგილის, საგნის/ მოვლენის, გამოცდილების, ემოციის, სხვ.) აღწერა. ამ ტიპის სიტყვების თემები შეიძლება იყოს, მაგ., „2011 წლის მუსიკის ფესტივალი თელავში“; „სამი დღე ხევსურეთში“, სხვ.

2. განსაზღვრა – ორატორის მიზანია, მსმენელებს დეტალურად აუხსნას რაიმე სიტყვა ან ცნება. მაგ., აუხსნას მსმენელს, რას ნიშნავს პირადად მისთვის ცნება „მეგობრობა“ ან „ოჯახი“ და სხვ.

3. დემონსტრირება – ორატორის მიზანია, მსმენელებს განუმარტოს ცალკეული ცნება, გააცნოს საგანი ან მოვლენა, რისთვისაც იყენებს მიწოდების სხვადასხვა საშუალებას (პოსტერს, შესტიკულაციას, მოძრაობას, სხვ.). მაგ., ახალი მოდელის მანქანაზე საუბრისას ორატორმა შეიძლება გამოიყენოს მანქანის სარეკლამო პოსტერი და/ან ფოტო; ჭადრაკის პარტიაზე საუბრისას – საჭადრაკო დაფა, ამა თუ იმ ცეკვის სწავლებისას კი მოახდინოს ცალკეული მოძრაობების დემონსტრირება და ა.შ.

დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლა

არგუმენტირება მსმენელის დარწმუნების მიზნით წარმოადგენს საკომუნიკაციო პროცესს (ზეპირი და/ან წერილობითი სახის), რომლის მიზანია, შეცვალოს მსმენელის აზრი (თვალსაზრისი, შეხედულება, წარმოდგენა, მისთ.) და შეძლოს მისი დარწმუნება. მას, ვინც თავის პოზიციას ასაბუთებს, არგუმენტატორი ეწოდება, იმ ადამიანს კი, ვისკენაც არის მიმართული არგუმენტირებული ზეპირი საკომუნიკაციო გზავნილი – რეციპიენტი (ლათ. მიმღები).

დამარწმუნებელ საკომუნიკაციო გზავნილებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ადამიანის ყოველდღიურ ყოფაში: ჩვენ ხშირად გვინევს ამ ტიპის საკომუნიკაციო გზავნილების შექმნა ამა თუ იმ პირის (კოლეგის, ოჯახის წევრის, სხვ.) დასარწმუნებლად; სხვები, თავის მხრივ, ცდილობენ ჩვენს დარწმუნებას რალაცაში; ამას გარდა, ამ ტიპის გზავნილებს ყველა ჩვენგანს დიდი რაოდენობით სთავაზობს მედია, სარეკლამო-საინფორმაციო სააგენტოები და სხვ.

არგუმენტაციის სტრატეგიების გაცნობა და გააზრება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას; აღნიშნული სტრატეგიების ეფექტურად გამოყენების შესწავლა კი ერთ-ერთი წინაპირობას წარმოადგენს წარმატებული კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

წარმატებული, სასურველი შედეგის მქონე დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლის მოსამზადებლად გამომსვლელმა უნდა გაითვალისწინოს 5 ძირითადი ფაქტორი. ესენია, კერძოდ:


1. სათანადო თემის შერჩევა – საუკეთესო შედეგები მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც შერჩეულია: ა) საკამათო თემა, რომლის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს; ბ) თემა, რომელიც პერსონალურადაა მნიშვნელოვანი ორატორისათვის. მართლაც, თუკი ორატორს თვითონ არ აინტერესებს სალაპარაკო თემა, მას ძალზე გაუჭირდება სხვების დარწმუნება; აზრთა სხვადასხვაობის არარსებობის შემთხვევაში კი, საერთოდ, არც წარმოიშვება ამ ტიპის კომუნიკაციის საჭიროება.

თემის შერჩევის შემდეგ გამომსვლელმა უნდა გაიაზროს და განსაზღვროს თავისი პოზიცია, თუმცა ამისთვის მას შეიძლება წინასწარი მცირე მოკვლევის ჩატარებაც დასჭირდეს – მაგ., წინასწარ შეისწავლოს გარემოს დაცვის პრობლემატიკა (ეკოლოგიური საფრთხეები: ჰაერის დაბინძურება, ტყეების უკანონო მოჭრა, გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას, სხვ.) და გამოიმუშაოს აზრი, თუ კონკრეტულად რა აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო გარემოს დასაცავად.

2. ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად გამომსვლელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მსმენელთა მოთხოვნილებები და საჭიროებები; ზოგადად, აუდიტორიის სპეციფიკა. ეფექტური არგუმენტირებული ზეპირი გამოსვლის მოსამზადებლად ორატორისათვის სასარგებლო იქნება ადამიანის მოტივაციისა და მოთხოვნილებების მამოძრავებელ ძალებზე თუნდაც ზოგადი წარმოდგენის შექმნა.

ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ამერიკელი ფსიქოლოგის, აბრაჰამ მასლოუს (1908-1970) თეორია, რომელიც მეცნიერმა შეიმუშავა ადამიანის მოტივაციისა და ქცევის ასახსნელად. მასლოუს თანახმად, ადამიანის ქცევას მთლიანად განსაზღვრავს მოთხოვნილებები, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) თანდაყოლილ ანუ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებად და ბ) შეძენილ ანუ სოციალურ და პიროვნულ მოთხოვნილებებად. კავშირი ამ მოთხოვნილებებს შორის, მკვლევარის აზრით, ხუთსაფეხურიანი იერარქიის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამის გამო მასლოუს თეორიას მოტივაციის იერარქიულ თეორიას უწოდებენ. ტრადიციულად, მოთხოვნილებათა მასლოუსეულ იერარქიას პირამიდის ფორმის გრაფიკული ნახაზის სახით წარმოადგენენ (იხ. ქვემოთ).

ნახაზი. ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდა.



მასლოუს პირამიდის ქვედა საფეხური უკავია ადამიანის ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს (წყალი, საკვები, ძილი, სქესობრივი ლტოლვა, მისთ.); მეორე საფეხური – უსაფრთხოების მოთხოვნილებებს (სტაბილურობა, უსაფრთხოება, კომფორტი, წესრიგი, ცხოვრების პირობების მდგრადობა, მისთ.); მესამე საფეხური – სოციალურ მოთხოვნილებებს, აგრეთვე, სიყვარულის მოთხოვნილებას (სოციალური კავშირები, სიყვარული, სხვებზე ზრუნვა, თანამშრომლობა, ჩართულობის განცდა, თანაგანცდა, მისთ.); მეოთხე საფეხური – პატივისცემისა და პრესტიჟის მოთხოვნილებებს (საკუთარი თავის პატივისცემა, დადებითი თვითშეფასება; დაფასება, აღიარება და პატივისცემა სხვების მხრიდან, წარმატების მიღწევა, მისთ.); მეხუთე, ზედა საფეხური კი უკავია თვითრეალიზაციის მოთხოვნილებებს (საკუთარი პოტენციალის განვითარება და რეალიზება, თვითიდენტიფიკაცია, თვითგამოხატვა, მისთ.). მასლოუს მიხედვით, ადამიანებს მაღალი დონის მოთხოვნილებები უჩნდებათ მხოლოდ საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ³. სხვა სიტყვებით, ადამიანს, რომელსაც სახსრები არ ჰყოფნის ოჯახის გამოსაკვებად, ვერ დავარწმუნებთ იმაში, რომ მისთვის უახლესი მოდელის კომპიუტერის შეძენას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასლოუს თეორია არ არის უნივერსალური. გარკვეულ შემთხვევებში, ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს დაკმაყოფილებული ქვედა საფეხურის მოთხოვნილება, მაგრამ მის ქცევას წარმართავდეს ზედა საფეხურის მოთხოვნილება.

ამდენად, დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლის მომზადების დროს, დასახული მიზნის მისაღწევად, ორატორმა სწორად უნდა განსაზღვროს და გაითვალისწინოს აუდიტორიის მოთხოვნილებები და პრიორიტეტები.

3. საკუთარი თავის წარმოჩენა საკითხში კომპეტენტურ, სანდო პირად – მსმენელების დასარწმუნებლად მათი ნდობის მოპოვებაა აუცილებელი, ნდობას კი აღძრავს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც: ა) ერკვევა განსახილველ საკითხში (აქვს სათანადო გამოცდილება და/ან საგანგებოდ შეისწავლა იგი); ბ) დაკავშირებულია ამა თუ იმ კუთხით განსახილველ საკითხთან (მაგ., არის თვითმხილველი, აქვს ნაცნობობა სათანადო წრეებში და ფლობს უტყუარ ინფორმაციას, სხვ.); გ) ამჟღავნებს ინტერესს განსახილველი საკითხის მიმართ, ლაპარაკობს ენთუზიაზმით (ამ მიზნით იყენებს სათანადო ჟესტიკულაციას, ხმის ტემბრს, სხვ.), რაც მსმენელებს აფიქრებინებს, რომ ორატორის თვალსაზრისი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

4. არგუმენტირება – მსმენელების დარწმუნება ორატორის სიტყვების ჭეშმარიტებაში შეუძლია მხოლოდ ისეთ არგუმენტს, რომელსაც ახლავს სათანადო მტკიცებულება/მტკიცებულებები (დამადასტურებელი მასალა, ფაქტები, მაგალითები, მისთ.), თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია, ორატორმა შეძლოს მტკიცებულებების ცალკეულ ელემენტებს შორის ლოგიკური კავშირების დამყარება და გააზრებული, არგუმენტირებული მსჯელობის წარმართვა.

არგუმენტირებას გააჩნია ტრადიციულად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სამ ელემენტს. ესენია: ა) თეზისი – თვალსაზრისი/დებულება, რომელიც უნდა დასაბუთდეს. ამდენად, არგუმენტაციის პროცესი სწორედ მასზეა ფოკუსირებული; 2) არგუმენტი – მტკიცებულება, რომლებითაც ხდება თეზისის დასაბუთება. არგუმენტების შერჩევა შემოქმედებითი პროცესია, რომელზედაც ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი: არგუმენტატორის მსოფლმხედველობა, ცოდნის დონე, იდეოლოგია, ღირებულებები და ფასეულობები, კონკრეტული ფაქტორები და სხვ. გასათვალისწინებელია აუდიტორიის, ანუ ინფორმაციის მიმღების ფაქტორი. ის, რაც ერთი მსმენელისთვის (რეციპიენტისათვის) გასაგები და მისაღებია, მეორისათვის სრულიად მიუღებელი და/ან არასარწმუნო აღმოჩნდეს; 3) დემონსტრირება (იგივე არგუმენტირება) – ლოგიკური კავშირის წარმოჩენა თეზისსა და არგუმენტს შორის (ამასთან დაკავშირებით აგრეთვე იხ. ქვემოთ, ქვეთავში 6.2 „შესაძლო ლოგიკური შეცდომები არგუმენტირების დროს“).

5. დასაბუთება, ძირითადად, სამი ტიპისაა. ესენია: ა) *ინდუქციური* – იგი იყენებს სხვადასხვა კონკრეტულ ფაქტს/ინფორმაციას, რომლებსაც დასკვნაში განაზოგადებს (მაგ., „ჩემს კლასელებს – ელენეს, გიორგის, თაკოს, ნინოს, მარიამსა და ირაკლის ძალიან უყვართ თხილამურებზე სრიალი. სპორტის ეს სახეობა საკმაოდ პოპულარულია ჩემს კლასში“); ბ) *დედუქციური* – იგი იყენებს ზოგად ინფორმაციას იმ მიზნით, რომ გაიაზროს, შეაფასოს, ახსნას და/ან დასკვნა გამოიტანოს რაიმე კონკრეტულის (ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის, პიროვნების, სხვ.) შესახებ (მაგ., „სპორტსმენი მოსწავლეები დიდი პოპულარობით სარგებლობენ თანატოლებში. ირაკლი, რომელიც წლევანდელი

სათხილამურო ჩემპიონატის მონაწილეა, ძალიან პოპულარულია მთელ სკოლაში“); გ) მიზეზშედეგობრივი – იგი გამოკვეთს მიზეზშედეგობრივ კავშირებს საგნებს, მოვლენებსა თუ ფაქტებს შორის (მაგ., „აქ წლების განმავლობაში მასიურად იჩეხებოდა ტყე, რის გამოც წყლის რესურსების რაოდენობა ძალზე შემცირდა“).

ზეპირი გამოსვლის ორგანიზება – პრობლემის გადაჭრაზე ფოკუსირებული ორგანიზაციული ყალიბი ყველაზე ფართოდ გამოიყენება არგუმენტირებული ზეპირი გამოსვლის წარმოქმნისას.

ორგანიზების აღნიშნული ფორმა გულისხმობს, რომ ორატორი მსმენელებს გააცნობს/წამოჭრის პრობლემას და აღუწერს მათ პრობლემის გადაჭრის გზებს. ორატორის მიზანია, დაარწმუნოს აუდიტორია, რომ: ა) პრობლემა სერიოზულია, ბ) პრობლემის გადაჭრის გზა, შეთავაზებული ორატორის მიერ, საუკეთესოა ყველა შესაძლო ვარიანტს შორის (აღნიშნული ორგანიზაციული ყალიბის საჩვენებლად იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ნიმუში).

არგუმენტირებული მსჯელობა აუცილებელად საჭიროებს, აგრეთვე, კარგად გააზრებულ, ლოგიკურად გამართულ მიმართებებს.

ლოგიკური მიმართებები – მიმართებები ყოველი მსჯელობის აუცილებელ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ცნებები, საგნები, მოვლენები და ფაქტები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობს. ისინი ერთმანეთთან მრავალნაირ მიმართებებში იმყოფებიან. ეს მიმართებები შეიძლება იყოს: მიზეზშედეგობრივი („ა მიზეზია b-სი“; „b შედეგია a-სი“), დროითი („ბოლონიის უნივერსიტეტი პარიზის უნივერსიტეტზე უფრო ადრე დაარსდა“), სივრცითი („თურქეთი საქართველოს სამხრეთით მდებარეობს“), იგივეობრივი („გულადი იგივეა, რაც მამაცი“); საგანსა და მის ნიშან-თვისებას შორის არსებული („ეს ვაშლი წითელია“), ცალკეულ საგანსა და საგანთა კლასს შორის არსებული („პეტრე ადამიანია“) და სხვ. ნებისმიერი მსჯელობა არის აზრი, რომელიც ასახავს საგანთა შორის არსებულ მიმართებებს.

ამდენად, სტრუქტურულად და ორგანიზაციულად გამართული არგუმენტირებული ზეპირი გამოსვლა აუცილებელად გულისხმობს ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული ლოგიკური მიმართებების წარმოჩენას, რომლებიც ამ მიმართებების ამსახველი შესაბამისი ენობრივი საშუალებებით არის ხოლმე წარმოდგენილი. ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი საშუალებები (ე.წ. გადასვლები) შეიძლება იყოს ცალკეული სიტყვა, შესიტყვება, ფრაზა, რომლის ფუნქციას წარმოადგენს გარკვეული მიმართებების დამყარება იდეებს, საგნებს, ფაქტებს, მოვლენებს შორის, მათი ერთმანეთთან დაკავშირება რაიმე ნიშნის მიხედვით – ამა თუ მოსაზრების წამოყენების შემდეგ ორატორს სათანადო ენობრივი კონსტრუქციის მეშვეობით შეუძლია გამოკვეთოს, რომ „გადადის“ ახალ მოსაზრებაზე, რომელიც ამა თუ იმ სახით უკავშირდება უკვე გამოთქმულს (იდეას/ცნებას, სხვ.).

ლოგიკური მიმართებების ამსახველი ტრადიციული ენობრივი საშუალებებია:

- ამავე დროს; მაშინ როცა; იმ დროს, როცა;
- უფრო ადრე; უფრო გვიან;
- ერთი მხრივ...; მეორე მხრივ...;
- ჯერ..., შემდეგ...
- ჯერ ერთი..., მეორეც...;
- აგრეთვე;
- მეორეც;
- დასასრულ;
- შედეგად;
- ამასთან ერთად;
- გარდა ამისა; ამას გარდა;
- მაგალითად;
- ამის საპირისპიროდ;
- სხვა საკითხია...; სულ სხვაა...;
- ...-თან შედარებით;
- მეორე მხრივ;
- ამიტომ; ამდენად; ასე რომ;
- ეს იგივეა, რაც...;
- რომ შევაჯამოთ;
- მაშასადამე;
- უნდა დავასკვნათ; დასკვნის სახით..., აქედან გამომდინარე,
- სხვ.

ნიმუში. დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლა (გეგმა-მონახაზი)

თემა: ვანდალიზმი.

ორგანიზაციული ყალიბი: პრობლემის გადაჭრაზე ფოკუსირებული.

1. შესავალი

დასაწყისი: უხეში ვანდალიზმის გამოვლინების ერთი კონკრეტული ფაქტი (სასურველია, უახლესი წარსულიდან).

მიზანი: მსმენელების დარწმუნება იმაში, რომ ამ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კანონის გამკაცრებას შეუძლია შეამციროს ვანდალიზმის ფაქტების რაოდენობა.

2. პრობლემა

ა) ვანდალიზმში ბრალდებულთა სასჯელი ძალზე მსუბუქია: დამნაშავეებს არ აშინებთ შესაძლო პასუხისმგებლობა.

ბ) ვანდალიზმში ბრალდებულებისათვის გათვალისწინებულ სანქციებში

შემსუბუქების ტენდენციას იკვეთება.

გ) საზოგადოებაში შეიძლება თავი იჩინოს საკუთრების, კულტურისა და ბუნების ძეგლების, სხვ. დაუცველობის განცდამ.

დ) ვანდალიზმის ფაქტები უფრო მცირეა მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც ვანდალიზმი ძალზე მკაცრად ისჯება.

3. პრობლემის გადანყვეტა

ა) ვანდალიზმის წინააღმდეგ მიმართული კანონის გამკაცრება იმ ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სადაც მცირეა/სულ უფრო მცირდება ვანდალიზმის ფაქტები.

ბ) საინფორმაციო სამუშაოების ჩატარება ვანდალიზმის თემაზე (სათანადო ბუკლეტების, პლაკატების, სარეკლამო-საინფორმაციო რგოლების მომზადება ტელევიზიისათვის, სხვ.), საზოგადოების ყურადღების გამახვილება ამ პრობლემაზე.

გ) სათანადო ღირებულებებისა და ფასეულობების სწავლება (საკუთრების პატივისცემა, კულტურისა და ბუნების ძეგლების მნიშვნელობის გაცნობიერება, სხვ.).

4. დასკვნა

ა) არგუმენტებისა და იდეების შეჯამება.

ბ) არ დავუშვათ, რომ კვლავ განმეორდეს ის ინციდენტი, რომლითაც დავინწყეთ საუბარი.

როგორც ვხედავთ, ორატორმა მსმენელებს შესთავაზა ოთხი მოსაზრება იმის საჩვენებლად, რომ პრობლემა სერიოზულია, მის გადასაჭრელად კი დასახა სამი გზა.

5. მცდარი არგუმენტირება

მსმენელების დასარწმუნებლად ორატორმა შესაძლებელია მიმართოს სტრატეგიას, რომელსაც *მცდარი არგუმენტირება* ეწოდება. ამას გარდა, შესაძლებელია, რომ არგუმენტაციაში დაშვებული იყოს ლოგიკური ხასიათის შეცდომები.

ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მსმენელებს შეეძლოთ როგორც ორატორის სტრატეგიის, ისე ლოგიკური შეცდომების ამოცნობა, რათა არ დაუშვან შეცდომა და/ან მისცენ ორატორს მანიპულირების საშუალება.

5.1. მცდარი არგუმენტირების სტრატეგიები:

- ✓ ზოგადი მტკიცებულებები – გამოყენება მტკიცებულებებისა, რომელთაც არ ახლავთ სათანადო არგუმენტები, კონკრეტული დამადასტურებელი მასალა. მაგ., „ქალები ცუდი მძღოლები არიან“. თუკი ამ სიტყვების ავტორი არ დაასაბუთებს ნათქვამს ფაქტით/ფაქტებით, ავ-

ტოსაგზაო შემთხვევებისა თუ საავტომობილო წესების დარღვევების სტატისტიკით, მისთ., იგი ვერ შეძლებს კვალიფიციური მსმენელის დარწმუნებას.

- ✓ ცალმხრივი ან არასრული არგუმენტირება – იგი გულისხმობს, რომ მაგალითები არასაკმარისია, არგუმენტები არასრულია ან საერთოდ არ არის მოყვანილი, საკითხის ყველა მხარე წარმოჩენილი არ არის. მაგ., დასაქმების ფირმის თანამრომლის ნათქვამში „ჩვენი ფირმა უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ჩვენ შეგვიძლია დავასაქმოთ ყველა მსურველი მაღალანაზღაურებადი სამუშაოთი საზღვარგარეთ“ ინფორმაცია არასაკმარისია – არაფერია ნათქვამი მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, კერძოდ: კონკრეტულად, რომელ ქვეყანაში სთავაზობს ფირმა მსურველებს დასაქმებას, რა ტიპის სამუშაოებს სთავაზობს, როგორი იქნება სამუშაოს გრაფიკი, რა თანხა იგულისხმება სიტყვებში „მაღალანაზღაურებადი სამუშაო“, რა სტატუსი ექნება დასაქმებულს საზღვარგარეთ ცხოვრებისას. განაცხადს ფირმის ავტორიტეტის შესახებ კი არ ახლავს არანაირი არგუმენტაცია (მაგ., სათანადო მონაცემები, მაგალითები, ფაქტები, სხვ.).
- ✓ სხვადასხვა პროდუქციის რეკლამირების დროს („ყველა ქალი, ვინც ზრუნავს თავის გარეგნობაზე, იყენებს ...-ის კოსმეტიკას“).
- ✓ დაუკავშირებელი დამონებები – არგუმენტაციის მიზნით გამოყენება იმგვარი ფაქტების, რეალიების, მონაცემების, საგნებისა და სხვ., რომლებიც გასახილველ საკითხთან კავშირში არ არის. მაგ., დავუშვათ, რომ ცნობილი სპორტსმენი მშობლებს ბავშვების აცრისკენ მოუწოდებს. კვალიფიციური მსმენელებისთვის მისი სიტყვები სარწმუნო არ იქნება, რადგან იგი (სპორტსმენი) ბავშვების აცრის საკითხთან კავშირში არ არის. იგივე მოწოდება ეფექტიანი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი მისი ავტორი იქნება პედიატრი – სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, ვინც პროფესიულადაა დაკავშირებული ამ საკითხთან. რაც შეეხება სპორტსმენს, მისი მოწოდება შეიძლება ეფექტიანი იყოს, ვთქვათ, იმ შემთხვევაში, თუკი იგი წარმოგვიდგება როგორც მშობელი, რომლის შვილი აუცრელობის გამო სერიოზულად დაზარალდა (კავშირი პირადი გამოცდილების საფუძველზე).

5.2. შესაძლო ლოგიკური შეცდომები არგუმენტირების დროს

- ✓ მსჯელობის ჭეშმარიტების ცხადყოფას დასაბუთება ეწოდება. დასაბუთება სამი ნაწილისაგან შედგება. ესენია: 1. თეზა – აზრი/დებულება, სხვ., რომელსაც ვასაბუთებთ; 2. საფუძველი (იგივე არგუმენტი/არგუმენტები) – მსჯელობა ან მსჯელობები, რომელთაც ვეყრდნობით დასაბუთების დროს; 3. არგუმენტაცია (იგივე დემონსტრირება) – ლოგიკური კავშირი თეზისსა და საფუძველს შორის.
- ✓ შეცდომების დაშვება არგუმენტირებისას შესაძლებელია დასაბუთების სამივე ნაწილში. დასაბუთების შემადგენელი ნაწილების მიხედვით განარჩევენ შემდეგი სახის შეცდომებს:

ა) შეცდომები თეზისთან მიმართებით: თეზისის შეცვლა

- ✓ ერთი თეზისის ნაცვლად სხვა თეზისის დასაბუთება – ამგვარ შეცდომასთან გვექნება საქმე იმ შემთხვევაში, თუკი მაგ.: ა) მოსწავლე, რომელსაც ჩადენილი უღირსი საქციელის გამო საყვედურობენ, უპასუხებს, სხვა მოსწავლეებიც ასე მოიქცნენო – ცხადია, ის ფაქტი, რომ სხვებიც ასე მოიქცნენ, არ ასაბუთებს იმას, რომ მოსწავლის საქციელი უღირსი არ არის; ბ) ამა თუ იმ ლექსის ნეგატიურ შეფასებას დავასაბუთებთ იმით, რომ მისი ავტორი უღირსი პიროვნება და ცუდი მამაა.
- ✓ უფრო მეტის ან უფრო ნაკლების დასაბუთება – დასაბუთება იმაზე მეტის ან იმაზე ნაკლების, რასაც თეზისი საჭიროებს. მაგ., გვსურს დავამტკიცოთ, რომ ხმოვანფუძიანი სახელები იკვეცება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. ჩვენ კი დავამტკიცებთ, რომ ა-ზე დამთავრებული ფუძის მქონე სახელები იკვეცება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში, ანუ მოვიყვანთ მხოლოდ ა-ფუძიანი სახელების ბრუნვის მაგალითებს (უფრო ნაკლების დასაბუთება). და პირიქით, თუკი გვსურს დავამტკიცოთ, რომ რომ ა-ფუძიანი სახელები იკვეცება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში, დავამტკიცებთ, რომ ხმოვანფუძიანი სახელები იკვეცება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში, ანუ მოვიყვანთ ყველა ტიპის ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნვის მაგალითებს (უფრო მეტის დასაბუთება).

ბ) მცდარი საფუძველი

- ✓ დასაბუთება მცდარია, თუკი შეცდომა საფუძველშია დაშვებული. მაგ., თუკი თეზისი „არსებითი სახელი არ იუღლება“ დასაბუთებისათვის გამოვიყენებთ საფუძველს „იუღლება მხოლოდ ზმნიზედები, ხოლო არსებითი სახელი ზმნიზედა არ არის“, დასაბუთება მცდარად უნდა ჩაითვალოს. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ თეზისი მცდარი არ არის (არსებითი სახელი არ იუღლება), მისი საფუძველი მცდარია (ზმნიზედები არ იუღლება).

გ) შეცდომები არგუმენტაციაში

- ✓ ნაჩქარევი ინდუქცია – სხვაგვარად, ნაჩქარევი განზოგადება. გულისხმობს, რომ განზოგადება ხდება მხოლოდ ერთი-ორი კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე. მაგ., თუკი კლასის სამი მოსწავლე სუსტია მათემატიკაში, დავასკვნით, რომ ეს კლასი მათემატიკაში მოიკოჭლებს.
- ✓ დროით თანამიმდევრობაში მიზეზშედეგობრივი კავშირის დანახვა. ამ ტიპის ლოგიკურ შეცდომასთან გვექნება საქმე იმ შემთხვევაში, თუკი მოვლენათა ქრონოლოგიური მიმდევრობის საფუძველზე მათ შორის მიზეზობრივ კავშირს დავინახავთ. მაგ., „აქ იმის მერე აირია საქმე, რაც ამ კაცმა დაიწყო ჩვენთან მუშაობა“, „გათბობის სისტემაში პრობლემები დაიწყო მას შემდეგ, რაც თქვენ გადმოხვედით ამ ბინაში“, სხვ. ალსანიშნავია, რომ ამ ტიპის ლოგიკური შეცდომა უდევს საფუძველად სხვადასხვა ცრურწმენას, მაგ., რწმენას „ცუდი თვალის“ (გათვალვის) შესახებ.

ვთქვათ, თუკი ნაცნობს შევხვდებით ჩვენთვის მნიშვნელოვან გასაუბრებამდე, რომელიც წარუმატებლად ჩაივლის, გამოვიტანთ დასკვნას, რომ ამ ნაცნობმა გაგვთვალა („ცუდი თვალი“ გამოგვაყოლა).

- ✓ „წრე დასაბუთებაში“ – ამ შემთხვევაში თეზისი მტკიცდება დებულებით, რომელიც თავის მხრივ, მტკიცდება თეზისით. მაგ., „კონკურენცია საუკეთესო სტიმულს წარმოადგენს ეკონომიკის განვითარებისათვის, რადგან კონკურენცია ნიშნავს, რომ პროდუქციის ყველა მწარმოებელს სურს, იყოს ყველაზე უკეთესი, ყველაზე სწრაფი და ყველაზე იაფად გაყიდოს თავისი საქონელი. რადგან, საბოლოო ჯამში, ყველა მწარმოებელს უნდა ამ პროცესში მონაწილეობის მიღება სხვებისათვის მეტოქეობის გასაწევად, კონკურენციას დიდი სარგებლობა მოაქვს ეკონომიკის განვითარებისათვის“. ადვილი შესამჩნევია, რომ მოყვანილ მაგალითში პირველი და ბოლო პუნქტები იდენტურია – წრე შეიკრა ისე, რომ წამოყენებული თეზისი (1-ლი პუნქტი) არ დასაბუთდა.

დ) აუდიტორიით მანიპულირების ხერხები

მსმენელზე ზემოქმედების მიზნით, ძირითადად, გამოიყენება შემდეგი სტრატეგიები:

- ✓ „ყველა ერთის წინააღმდეგ“ – გამოყენება არგუმენტისა „ყველა ასე აკეთებს“. მაგ., „ქერტლის საწინააღმდეგოდ ყველა ამ შამპუნს იყენებს“, „ყველა ჩვენი თანამშრომელი ამ ფირმაშია დაზღვეული“, „ყველას ასე აცვია“ და მისთ. არაკვალიფიციურმა მსმენელმა ამ დროს შეიძლება აწონ-დაწონვის გარეშე, დაუფიქრებლად მოიმოქმედოს რაღაც („თუ ყველა, მაშინ მეც“). დარწმუნების აღნიშნული ხერხი ხშირად გამოიყენება, მაგალითად, სარეკლამო ტექსტებში, სხვადასხვა სახის კამპანიების დროს და ა.შ.
- ✓ „ნეგატიური იარლიყები“ – მოლაპარაკის ავტორიტეტის შელახვა მისთვის ნეგატიური იარლიყის მიწებების გზით. მაგ., „ეს ხომ წამდვილი რეტროგრადაა, მისი მოსმენა როგორ შეიძლება?“, „ვინც ამას ამბობს, ის, უბრალოდ, იდიოტია და მეტი არაფერი“, „შენ რა, ამ დემაგოგს უსმენ?“ და მისთ. ამ სტრატეგიის მიზანია, ნეგატიურად განაწილოს მსმენელი და ჩაუხშოს მას მოსმენილის ობიექტურად გააზრება-გაანალიზებისა და შეფასების სურვილი.

III. სოციალურ-რიტუალური ზეპირი გამოსვლა

ამ ტიპის გამოსვლების ჯგუფს განეკუთვნება განცხადება, მისასალმებელი სიტყვა; სიტყვები, წარმოთქმული: დაჯილდოებისას (ჯილდოს გადაცემის ან მიღების დროს), ნომინირებისას, დაკრძალვისას, იუბილეებზე, ამა თუ იმ პირის აუდიტორიის წინაშე წარდგენისას, რაიმე ფაქტის/მოვლენის აღსანიშნავად და მისთ. ტრადიციული ქართული სადღეგრძელოც ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ. თითქმის ყველა მათგანისათვის არსებობს დასაწყისის ტრადიციული ფორმულები, როგორებიცაა, მაგ.: „მოგესალმებით ყველას და მადლობას გიხ-

დით მოზრდანიებისათვის...“, „დიდ მადლობას მოგახსენებთ ჯილდოსათვის, რომელიც...“, „ჩემთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ...“, სხვ.

ჯგუფური კომუნიკაცია – კომუნიკაციის დამყარება ჯგუფში სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს. ჯგუფებს გააჩნიათ გარკვეული სტრუქტურა, წესები; ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს ქვეჯგუფებისაგან, რომლებიც აერთიანებს ჯგუფის წევრების ნაწილს, შერჩეულს ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე სამუშაოდ. რაც უფრო კარგად აქვთ განვითარებული საკომუნიკაციო უნარები ჯგუფის წევრებს, მით უფრო გაუადვილებათ დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრა.

სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებს. ფორმალურ ჯგუფს ახასიათებს ორგანიზაციის მაღალი ხარისხი და განვითარებული სტრუქტურა – ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობები და პოზიციები განაწილებულია, შემუშავებულია გარკვეული წესები და პროცედურები (ამგვარ ჯგუფებს მიეკუთვნება, მაგ., მოსწავლეთა საბჭო). არაფორმალური სტრუქტურის ჯგუფებს არ აქვთ შემუშავებული რაიმე პროცედურა და/ან წესები, შეხვედრები შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს ორგანიზებული, ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობები მკაცრად განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, არსებობს ჯგუფები, რომლებიც ატარებენ ნაწილობრივ ფორმალური, ნაწილობრივ კი არაფორმალური სტრუქტურის ჯგუფებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს (მაგ., არ აქვთ გაწერილი პროცედურა, მაგრამ განსაზღვრული აქვთ ჯგუფის წევრების პასუხისმგებლობები, სხვ.).

ჯგუფები იქმნება გარკვეული მიზნით – ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, სოციალური აქტივობებისთვის, სხვ. ჯგუფის წევრები მოვალენი არიან, დაიცვან დადგენილი ნორმები, მაგ., ქცევის გარკვეული სტანდარტები კომუნიკაციის დროს (როგორ გამოხატონ უთანხმოება, რამდენ ხანს ილაპარაკონ, ვინ უნდა ილაპარაკოს ამა თუ იმ საკითხზე, სხვ.). თითოეული წევრი გარკვეულ როლს ასრულებს ჯგუფში: მაგ., ერთი წევრი შეიძლება ჯგუფის წამყვანი ინტელექტუალური ძალა („ცოდნის სალარო“) იყოს, მეორე – კრიტიკულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიმღები („გაჭირვების ტალ-კვესი“), მესამე – კოლორიტი, მეოთხე – იდეების „გენერატორი“, მეხუთე – ჯგუფის ლიდერი და ა.შ.

როგორც წესი, ჯგუფი ყალიბდება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემის გადაჭრის გზების ძიების დროს ჯგუფის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს. ეს პროცესი 5 ეტაპისგან შედგება. ესენია:

1) **პრობლემის განსაზღვრა** – პრობლემის განსაზღვრისათვის აუცილებელია საკითხის დაკონკრეტება ანუ შემოსაზღვრა. მაგ., თემა „უსაფრთხო მგზავრობა“ მეტისმეტად ფართოა და ნათელი არ არის, კონკრეტულად, რას გულისხმობს იგი; საჭიროა თუ არა ტრანსპორტის ყველა სახეობის განხილვა? უნდა განვიხილოთ თუ არა ცალ-ცალკე მძღოლების/პილოტების და მგზავრების/ფეხით მოსიარულეების ვალდებულებები და/ან პასუხისმგებლობები?, სხვ. ამის თავიდან ასარიდებლად შეიძლება განსახილველი თემის შეთავაზება კონკრეტული შეკითხვის სახით. მაგ., როგორია ავტოსაგზაო მოძრაობის მონაწილეთა ვალდებულებები? საჭიროა თუ არა ავტოსაგზაო მოძრაობის კა-

ნონის გამკაცრება იმისათვის, რომ მგზავრობა უფრო უსაფრთხო გახდეს? და მისთ.

2) **პრობლემის ანალიზი** – ჯგუფის წევრებმა მეტნაკლებად უნდა წარმოიდგინონ პრობლემის ისტორია, ამჟამინდელი მდგომარეობა; გაიაზრონ, რატომ იჩინა თავი კონკრეტულმა პრობლემამ და მისთ.

3) **კრიტიკიუმების შემუშავება** – პრობლემის გადასაჭრელად ჯგუფმა უნდა განსაზღვროს, რა კრიტიკიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება (კრიტიკიუმად გამოსაყენებელი ლექსიკური ერთეულები: *ეფექტურია, ხელს შეუწყობს, მნიშვნელოვანია*). საჭირო შემთხვევებში შეიძლება განისაზღვროს ბიუჯეტი (რა დაჯდება პრობლემის გადასაჭრელად შეთავაზებული ღონისძიება), დრო (რამდენი დრო დასჭირდება პრობლემის მოგვარებას), ადამიანური რესურსი (რამდენი ადამიანი დასჭირდება პრობლემის მოგვარებას და/ან რამდენი ადამიანი ისარგებლებს შედეგებით).

4) **პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტების წამოყენება** – ჯგუფის წევრები უნდა შეეცადონ, მოიფიქრონ პრობლემის გადაჭრის ყველა შესაძლო გზა. ეს პროცესი სხვადასხვაგვარად შეიძლება წარიმართოს. მაგ., ჯგუფის წევრებს შეუძლიათ წამოაყენონ თავიანთი მოსაზრებები, რომლებსაც მათი განხილვა მოჰყვება, ან გამოიყენონ ე.წ. გონებრივი იერიშის სტრატეგია: ჯგუფის წევრების მიერ წამოყენებული იდეები ჩამონათვლის სახით ჩამოინერება დაფაზე და/ან დიდი ფორმატის ქაღალდზე. ამ დროს საჭიროა შემდეგი წესების დაცვა – ა) ჩამონათვალში უნდა აისახოს უკლებლივ ყველა იდეა, თუნდაც ერთმანეთის მსგავსი; ბ) დისკუსიის დაწყებამდე არ შეიძლება წამოყენებული იდეების შეფასება ან გაკრიტიკება. გონებრივი იერიშის დასრულების შემდეგ ჯგუფის წევრები განიხილავენ და შეაფასებენ ჩამონათვალში წარმოდგენილ ყველა იდეას.

5) **ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა** – ჯგუფის წევრებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი ვარიანტი აკმაყოფილებს შემუშავებულ კრიტიკიუმებს; აწონდაწონონ თითოეული ვარიანტის ძლიერი და სუსტი მხარეები (ვთქვათ, საჭიროებს დიდ დროს და/ან მატერიალურ დანახარჯებს; არ არის პრაქტიკული, განუხორციელებელია, რადგან არ არსებობს საკმარისი ადამიანური რესურსი; შედეგებით სარგებლობას შეიძლება ძალზე მცირე ჯგუფი და სხვ.).

IV. ჯგუფური კომუნიკაცია

დისკუსია

საპანელო⁴ დისკუსია – ღია დისკუსია, რომელიც ეწყობა აუდიტორიის წინაშე წინასწარ შერჩეულ თემაზე. საპანელო დისკუსია არაოფიციალური ხასიათისაა, დისკუსიის მონაწილეები ერთმანეთთან ურთიერთობენ ძალდაუტანებლად, თავისუფალ რეჟიმში – ისე, თითქოს აუდიტორიის გარეშე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ტრადიციულად, საპანელო სადისკუსიო ჯგუფში (პანელში) შედის 4 ან 8 წევრი. ფორმატი იგივეა, რაც არაფორმალური დისკუსიის დროს: მონაწილეები იხსენებენ ფაქტებს, მოყავთ მონაცემები, სვამენ კითხვებს, წამოაყენებენ იდეებს და სხვ. (ზეპირი გამოსვლა ამ ფორმატით გათვალისწინებული არ არის).

საზოგადოდ, საპანელო დისკუსია ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ამა თუ იმ საკითხის სხვადასხვა კუთხით განსახილველად, მოსწავლეთა საკომუნიკაციო უნარების (მოსმენა, ლაპარაკი) და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გასავითარებლად; ხელს უწყობს სხვისი აზრის პატივისცემის უნარის გამომუშავებას.

საპანელო დისკუსია ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი ეთმობა უშუალოდ დისკუსიას, მეორე ნაწილში კი აქტიურდება აუდიტორიაც – მსმენელები შეკითხვებს უსვამენ დისკუსიის მონაწილეებს. პირველ ნაწილს, როგორც წესი, ეთმობა საკითხის განსახილველად გამოყოფილი მთლიანი დროის $\frac{3}{4}$, მეორე ნაწილს კი – $\frac{1}{4}$. ამდენად, თუკი საკითხის განხილვისთვის გამოყოფილია სულ 1 საათი, საპანელო დისკუსია გაგრძელდება 40 წუთი, დარჩენილი 20 წუთის განმავლობაში კი ჯგუფის წევრებმა უნდა უპასუხონ მსმენელების მიერ დასმულ კითხვებს. გასათვალისწინებელია, რომ ამ ფორმატის დისკუსია უფრო ეფექტურია მაშინ, როცა მას შეძლებისდაგვარად ფართო აუდიტორია ჰყავს⁵.

მიმდინარეობა: ჯგუფის წევრები სხდებიან ერთმანეთის გვერდით, აუდიტორიის პირისპირ (სახით აუდიტორიისაკენ) და იწყებენ დისკუსიას ამა თუ იმ თემაზე – აყალიბებენ თეზას, წამოაყენებენ მოსაზრებებს, ერთმანეთს უსვამენ კითხვებს, ცვლიან რეპლიკებს, აკეთებენ კომენტარს იმაზე, რასაც ჯგუფის სხვა წევრები იტყვიან. ყველა აღნიშნული საქმიანობა უნდა მიმდინარეობდეს თვითგამოხატვის თავისუფლების, თანამშობლობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. დისკუსიის წარმართვის წესებზე მონაწილეები თანხმდებიან წინასწარ და ემორჩილებიან მათ.

საპანელო დისკუსიას ჰყავს წამყვანი (თავმჯდომარე), რომლის მოვალეობაა, წარმართოს დისკუსია წინასწარ შეთანხმებული წესების დაცვით, დაიცვას წესრიგი, გააცნოს აუდიტორიას დისკუსიის მონაწილენი და სადისკუსიო თემა;

⁴ პანელი – საუბარი გარკვეულ საკითხებზე რამდენიმე პირს შორის „მრგვალ მაგიდასთან“. სწორედ ამ ფორმატს ეყრდნობა საპანელო დისკუსია.

⁵ თანაკლასელების გარდა, დისკუსიას შეიძლება დაესწრონ სხვა კლასების მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, აგრეთვე სხვა მოწვეული სტუმრები.

საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს ან დააზუსტოს ესა თუ ის საკითხი თუ მნიშვნელოვანი ტერმინი, მიმართოს ჯგუფის წევრებს (დაუსვას შეკითხვები გასააქტიურებლად, რაიმეს დასაზუსტებლად, სხვ.), შეაჯამოს გამოთქმული მოსაზრებები, გააკეთოს საბოლოო კომენტარი დისკუსიის დასასრულს და სხვ.

საპანელო დისკუსიის მონაწილენი კარგად უნდა იცნობდნენ განსახილველ თემას, რისთვისაც მათ შეიძლება გარკვეული წინასწარი სამუშაოების ჩატარება დასჭირდეთ (მაგ., სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით ჩაატარონ გამოკითხვა, გაეცნონ შესაბამის მასალებს, მოიძიონ შესაბამისი ინფორმაცია, სტატისტიკური მონაცემები; მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, მოამზადონ დამატებითი რესურსები – სქემები, დიაგრამები, სხვ.). როგორც წესი, დისკუსიის ჩატარებამდე ჯგუფის წევრები და წამყვანი წინასწარ თანხმდებიან იმაზე, თუ კონკრეტულად რა საკითხს წამოაყენებს ჯგუფის ესა თუ ის წევრი. ჯგუფის წევრები უნდა შეეცადონ, რომ დისკუსიის ბოლოსათვის საერთო აზრი გამოიმუშაონ.⁶

სიმპოზიუმი – დისკუსია, რომლის მონაწილენი საკუთარ თვალსაზრისს ხანმოკლე ზეპირი გამოსვლების სახით წარუდგენენ აუდიტორიას. სიმპოზიუმის თემა წინასწარაა ცნობილი, მისი მონაწილეები, რომლებიც ამ შემთხვევაში ექსპერტების ფუნქციას ასრულებენ, მსმენელებს სთავაზობენ განსხვავებულ მოსაზრებებს ერთსა და იმავე თემაზე. საპანელო დისკუსიისაგან სიმპოზიუმს განასხვავებს ოფიციალურობა და ზეპირი გამოსვლები, რომელთაც საპანელო დისკუსიის ფორმატი არ ითვალისწინებს. ასევე, დისკუსიისგან განსხვავებით, სიმპოზიუმის მსვლელობისას არ ხდება ინტერაქცია მონაწილეებს შორის – ყველა მონაწილე ინდივიდუალურად წარდგება აუდიტორიის წინაშე წინასწარ მომზადებული ზეპირი გამოსვლის ტექსტით.

სიმპოზიუმი, საპანელო დისკუსიის მსგავსად, ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მთლიანად ეთმობა მონაწილეთა საექსპერტო გამოსვლებს, მეორე ნაწილი კი – კითხვა-პასუხს: მონაწილენი პასუხობენ მსმენელთა კითხვებს (ცხადია, ამ დროს სიმპოზიუმის მონაწილეებსაც შეუძლიათ ერთმანეთისათვის კითხვების დასმა).

სიმპოზიუმს ჰყავს წამყვანი, რომლის მოვალეობაა სიმპოზიუმის მონაწილეებისა და თემის აუდიტორიისათვის წარდგენა, გამოსვლების მოკლე შეჯამება, აგრეთვე სიმპოზიუმის შედეგების შეჯამება და დახურვა.

პანელი-ფორუმი, სიმპოზიუმი-ფორუმი – თუკი გვსურს, რომ მსმენელები უფრო აქტიურად ჩაერთონ დისკუსიაში, ორივე ფორმატში (საპანელო დისკუსია, სიმპოზიუმი) შესაძლებელია ე.წ. მსმენელთა ფორუმის ორგანიზებაც. ეს გულისხმობს, რომ პანელის/სიმპოზიუმის მსვლელობისას, თითოეული მონაწილის გამოსვლის დასრულების შემდეგ შესაძლებელია გარკვეული პერიოდი დაეთმოს აქტიურ კითხვა-პასუხს.

⁶ ლიტერატურის სწავლების თვალსაზრისით, საპანელო დისკუსია ეფექტური სასწავლო საშუალებაა ამა თუ იმ საკითხის შესაჯამებლად და მიზანშეწონილი იქნება, მოეწყოს, მაგ., რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის, ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების, სხვ. შესწავლის დასრულების შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მონაწილე გამოიყენებს დადგენილი რეგლამენტის მხოლოდ ნახევარს ან უფრო ნაკლებ დროს, აუდიტორიის წევრებს შეიძლება ვთხოვოთ ე.წ. „მოჩურჩულეთა“ ჯგუფების ორგანიზება. „მოჩურჩულეები“ მსმენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფია, რომლის წევრები, ერთმანეთთან ხანმოკლე, ხმადაბლა წარმართული გასაუბრების (აზრთა გაცვლა-გამოცვლის) შედეგად მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გამოთქვამენ შენიშვნებს, აზრს გამოსვლასთან დაკავშირებით; შესაძლებელია, „მოჩურჩულეებმა“ წარმოადგინონ პრობლემის გადაწყვეტის ახალი ვარიანტი, განსაკუთრებული ხედვა და ა.შ. ამგვარი ჯგუფების ორგანიზება შეიძლება ძალზე მარტივად და სწრაფად, ვთქვათ, ასე: „გთხოვთ, გაესაუბროთ თქვენ გვერდით მსხდომებს (თქვენს მეზობლებს) და გაუზიაროთ / შეთანხმდეთ / მოიფიქროთ / შეაფასოთ....“

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფორუმის ფორმატის გამოყენება (პანელი-ფორუმი, სიმპოზიუმი-ფორუმი) შეიძლება რისკის შემცველი იყოს მოუმზადებელი, ნაკლებად ორგანიზებული აუდიტორიის, აგრეთვე არაადეკვატური წამყვანის შერჩევის შემთხვევაში, რის გამოც ფორუმმა შეიძლება მიიღოს ქაოტური სახე, დისკუსია გადაიზარდოს ჩხუბში და ა.შ. ამიტომ ფორუმის ფორმატის გამოყენებამდე მასწავლებელმა (დისკუსიის ორგანიზატორმა) ადეკვატურად უნდა შეაფასოს აუდიტორიისა და დისკუსიის წამყვანის შესაძლებლობები. წამყვანმა ძალზე კონკრეტულად უნდა განუმარტოს აუდიტორიას თითოეული პროცედურა და წესი. საჭიროების შემთხვევაში, მან უნდა მოუწოდოს დამსწრეებსა და მონაწილეებს წესრიგისაკენ, შეახსენოს წესები: „შეგახსენებთ, რომ...“, „გთხოვთ, დაიცვათ შეთანხმება...“, მისთ.

საპარლამენტო პროცედურა – მასშტაბური, გაფართოებული სხდომები, დიდი ჯგუფების (მოსწავლეთა კომიტეტები, საერთო შეხვედრა, მისთ.) შეხვედრები შეიძლება ჩატარდეს ე.წ. საპარლამენტო პროცედურის გამოყენებით.

საპარლამენტო პროცედურას ინგლისის პარლამენტში ჩაეყარა საფუძველი. იგი იცავს პარლამენტის უკლებლივ ყველა წევრის დემოკრატიულ უფლებებს და თანაბარ საშუალებას აძლევს მათ თვითგამოხატვისა და აზრის გამოსათქმელად; ეფექტური საშუალებაა შეხვედრის ორგანიზებულად წარმართვისათვის.

საპარლამენტო პროცედურა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს უმრავლესობას (ნახევარზე მეტს);
- უმცირესობას (ნახევარზე ნაკლებს) აქვს თვითგამოხატვისა და აზრის გამოთქმის უფლება; უმრავლესობა ვალდებულია, მოუსმინოს უმცირესობას;
- გადაწყვეტილების მიღებისას ერთ ადამიანს აქვს ერთი ხმა;
- გათვალისწინებული უნდა იყოს იმ წევრთა მოსაზრებები, რომლებიც არ ესწრებიან სხდომას;
- არ შეიძლება დისკუსია ერთდროულად ერთზე მეტ საკითხზე. ახალ საკითხზე დისკუსია იწყება მას შემდეგ, როცა დასრულდება დისკუსია

ერთ რომელიმე საკითხზე;

- ერთ ან ორ ადამიანს არ აქვს დისკუსიის შეწყვეტის ან დისკუსიის დროს დომინირების უფლება.

საპარლამენტო პროცედურის გამოყენებით ჩატარებული შეხვედრა საშუალებას აძლევს მონაწილეებს, მოუსმინონ სხვადასხვა თვალსაზრისს ერთ თემასთან დაკავშირებით, რათა ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღონ. მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ საპარლამენტო პროცედურის მნიშვნელობას, პატივს სცემდნენ და ემორჩილებოდნენ მის წესებს.

საჯარო გამოსვლა

საჯარო გამოსვლა ზეპირი გამოსვლაა, რომლის დროსაც ერთი პირი გარკვეული მიზნით მიმართავს მსმენელების ჯგუფს (დიდსა თუ მცირეს). საჯარო გამოსვლა შეიძლება იყოს როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური სახისა, ვრცელი ან ხანმოკლე, ჰქონდეს სერიოზული ან სახუმარო ხასიათი, ჰყავდეს მრავალი ან მცირერიცხოვანი მსმენელი.

საჯარო გამოსვლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსწავლეთა საკომუნიკაციო და საპრეზენტაციო უნარებს. ამ მიმართულებით სისტემური სამუშაოების წარმართვა გულისხმობს, რომ: ა) მოსწავლეებს უნდა შეეძინათ გარკვეული წარმოდგენა საჯარო გამოსვლის პროცესზე; ბ) მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, წარდგინდეს აუდიტორიის წინაშე სხვადასხვა მიზნით – ეს მათ დაეხმარება აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილების შექმნაში.

როგორც აღინიშნა, საჯარო გამოსვლა არ გულისხმობს მხოლოდ ვრცელი, ფორმალური სიტყვით გამოსვლას. ამ მცდარი, მაგრამ საკმაოდ გავრცელებული შეხედულების საფუძველზე ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება გადანწყვიტოს, რომ მას ამ გამოცდილების შექმნა არაფერში სჭირდება („მე არ ვაპირებ პოლიტიკოსობას, მასწავლებლობას ან ლექტორობას...“). მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ ყველა მათგანის ცხოვრებაში ბევრჯერ დადგება დრო, როცა მათ მოუწევთ მსმენელებისთვის სიტყვით მიმართვა (სადღესასწაულო სუფრაზე ოჯახურ წრეში, ოფიციალურ ბანკეტზე, ახალი თანამშრომლის წარდგენისას სამსახურში, საკონკურსო პროექტის პრეზენტაციისას, მეგობრებისთვის მოგზაურობის შთაბეჭდილებების გაზიარებისას, სხვ.).

საჯარო გამოსვლების უმთავრესი მიზანი მსმენელების ინფორმირება ან დარწმუნებაა. ამის შესაბამისად, განასხვავებენ საინფორმაციო და არგუმენტირებულ საჯარო გამოსვლებს.

საინფორმაციო საჯარო გამოსვლა: მისი მიზანია მსმენელთა ცოდნის დონის გაღრმავება და/ან ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლება. საინფორმაციო გამოსვლა მსმენელებს სთავაზობს მათთვის ახალ ან უკვე ნაცნობ თემას ახალი რაკურსით, განსხვავებული ინტერპრეტაციით ან უფრო სიღრმისეული წვდომით.

ინფორმაციის მოძიება და გამოყენება

ეფექტიანი ზეპირი გამოსვლა ყოველთვის ეფუძნება სერიოზულ იდეებსა და ინფორმაციას. მას მერე, რაც განსაზღვრულია თემა და აუდიტორიის მიზანი, ორატორის ამოცანაა, მოიძიოს შესაბამისი მასალა დასახული ამოცანის შესასრულებლად (მსმენელების ინფორმირება თუ დარწმუნება). ამისთვის ორატორს შეუძლია ჩაატაროს ინფორმაციის მოსაძიებელი წინასწარი სამუშაოები, შეისწავლოს სხვადასხვა სახის მასალა და ამ მიზნით: ჩაატაროს ინტერვიუ, ზეპირი გამოკითხვა, გამოიყენოს ბეჭდური და/ან ელექტრონული მასალები, ასევე პირადი გამოცდილება.

კარგი ორატორები ხშირად იწყებენ გამოსვლას მაგალითებით პირადი გამოცდილებიდან, მაგ., გამოსვლა თემაზე „როგორ უნდა დავგეგმოთ საზაფხულო არდადეგები“ ორატორს შეუძლია დაიწყოს ბავშვობის მოგონებით: „5 წლის ვიყავი, როდესაც მშობლებმა პირველად წამიყვანეს ზღვაზე....“ (ალწეროს თავისი შთაბეჭდილება, ემოციები, გაიხსენოს რაიმე ღირშესანიშნავი ფაქტი, მისთ.).

ინტერვიუ, ზეპირი გამოკითხვა

გამოსვლაზე მუშაობის დროს ორატორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ზოგიერთ ადამიანს შეუძლია ძალზე ღირებულ ინფორმაციას მიანოდოს მას დასამუშავებელ თემასთან დაკავშირებით. ორატორს შეუძლია ინფორმაციის წყაროდ გამოიყენოს ეს ადამიანები, მათი პირადი თუ სამუშაო გამოცდილება (მაგ., თუკი გამოსვლის თემაა ეროვნული მოძრაობის ისტორია საქართველოში, გამოკითხოს გასული საუკუნის 80-იან წლებში მიმდინარე აქციებისა და გამოსვლების მონაწილე ოჯახის წევრს, ნათესავს ან ნაცნობს იმდროინდელი რეაქციები, კონკრეტული ფაქტები და მოვლენები). საინტერესო ადამიანებისაგან ინფორმაციის მოსაკრებად ორატორს შეუძლია ჩაატაროს ინტერვიუ და/ან ზეპირი გამოკითხვა.

ინტერვიუ – ინტერვიუსთვის წინასწარი მომზადებაა საჭირო: ორატორმა წინასწარ უნდა შეისწავლოს თემა (საჭიროების შემთხვევაში, გაეცნოს სათანადო დარგობრივ ლექსიკას), მოამზადოს კონკრეტული შეკითხვები, შეარჩიოს და შეათანხმოს დრო ინტერვიუსთვის, ჩაატაროს ინტერვიუ (პასუხები ჩაიწეროს ხელით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) და დაამუშავოს მიღებული ინფორმაცია.

ზეპირი გამოკითხვა – ზეპირი გამოკითხვა უტარდება მრავალ სხვადასხვა ადამიანს, რომელთაც მიმართავენ წინასწარ მომზადებული ერთი და იმავე შეკითხვებით. ზეპირი გამოკითხვა კარგი საშუალებაა საკითხის ყველა მხრიდან შესასწავლად მანამდე, სანამ ორატორი საკუთარ აზრს გამოიმუშავებს ამა თუ იმ საკითხზე.

დებატები – საჯარო დისკუსიის ერთ-ერთი სახეობა, რომელშიც მონაწილეობს ორი მხარე: ორი ადამიანი ან ორი ჯგუფი (ტრადიციულად, ჯგუფში შედის 3-3 ან მეტი მონაწილე, აუცილებლად თანაბარი რაოდენობით). ამ შემთხვევაში, კამათში რიგრიგობით ერთვება თითო წარმომადგენელი ჯგუფებიდან).

მხარეები წარმოადგენენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ თვალსაზრისს ერთ რომელიმე საკითხზე, იცავენ მას სათანადო ლოგიკური არგუმენტაციის გამოყენებით; ცდილობენ, მწვავე შეკითხვების დასმის გზით გამოავლინონ მონინალმდეგე მხარის არგუმენტაციის სუსტი მხარეები და/ან ნაკლები ინფორმირებულობა (არაკომპეტენტურობა).



დებატების მონაწილეთა მიზანია, დაარწმუნონ მესამე მხარე – აუდიტორია საკუთარი თვალსაზრისის სისწორეში და ამისათვის წინასწარ ემზადებიან – გეგმავენ თავიანთ გამოსვლებს, ეცნობიან სათანადო მასალებს, აყალიბებენ არგუმენტებს, კითხვებს, რომლებიც უნდა დაუსვან მონინალმდეგე მხარეს, სხვ.

დებატებში მონაწილეობა სასარგებლო გამოცდილებას შესძენს მოსწავლეებს. დებატები მათ დაეხმარება, განივითარონ კრიტიკულად მოსმენის, ეფექტური კითხვების დასმის, სწრაფად აზროვნების, საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის, დასაბუთების, არგუმენტირებულად ლაპარაკის უნარ-ჩვევები.

დებატები არის ერთგვარი შეჯიბრი, რომელსაც აქვს თავისი წესები და გარკვეული დროითი ლიმიტი; ჰყავს გამარჯვებული და დამარცხებული – მათ გამოავლენენ მსმენელები ან საგანგებოდ შერჩეული ჟიური.

დებატების თემა საინტერესო დებატების ორგანიზებისთვის საჭიროა მწვავე და აუდიტორიისათვის საინტერესო თემის შერჩევა, რომელიც, როგორც წესი, წარმოდგენილია წართქმითი ფორმით (თუმცა შესაძლებელია კითხვითი ფორმის გამოყენებაც)⁷. თემა უნდა მოიცავდეს მხოლოდ ერთ საკითხს (მაგ., „საჯარო სკოლებში სასკოლო ფორმების ტარება სავალდებულო უნდა გახდეს“, „კერძო სკოლების სექტორის გაფართოება არ შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს“, „კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდები ყოველი სასწავლო წლის ბოლოს უნდა ჩატარდეს“, მისთ.). ამასთან, თემა იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ გულისხმობდეს მხოლოდ ორი პოზიციის არ-

⁷ ანგლოსაქსური ტრადიციით, დებატების თემა – განსახილველი დებულება წართქმითი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, სხვა ტრადიციებით, განსახილველ დებულებას შეიძლება შეკითხვის სახეც ჰქონდეს. მაგ., „უნდა ჩატარდეს თუ არა კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდები?“ „უნდა ატარონ თუ არა მოსწავლეებმა სასკოლო ფორმა?“ და მისთ.

სებობას: ვეთანხმები – არ ვეთანხმები. დებატების მონაწილეთა ერთი გუნდი მხარს უჭერს დებულებას, მეორე კი ეწინააღმდეგება მას. ორივე მხარემ უნდა მოიყვანოს სათანადო ლოგიკური არგუმენტები და დამადასტურებელი მასალა საკუთარი თვალსაზრისის დასასაბუთებლად. ამისათვის მხარეებს შეუძლიათ მოიშველიონ ექსპერტების, ცნობილი მწერლების, მოაზროვნეების, მეცნიერების, სხვ. მოსაზრებები, ამა თუ იმ პირის მონაცემი, სათანადო ფაქტები, მაგალითები, ანალოგიები, ლოგიკა და ა.შ. საწინააღმდეგო მხარის მოსმენისას მხარეებმა შეიძლება ჩაინიშნონ მოწინააღმდეგო მხარის არგუმენტები, ნააზრევი, რათა უყურადღებოდ არ დარჩეთ მოწინააღმდეგის არც ერთი არგუმენტი და ჩამოაყალიბონ ეფექტური კონტრარგუმენტები.

დებატების ჩატარების პროცედურა

დებატების ჩასატარებლად უნდა შეიქმნას ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფი მხარს უჭერს დებატების დებულებაში გამოთქმულ თვალსაზრისს და ასაბუთებს მას შესაბამისი არგუმენტების საფუძველზე (ესაა პირველი, დებულების მხარდამჭერთა ჯგუფი, ანუ ჯგუფი „Pro“), მეორე ჯგუფი ეწინააღმდეგება დებულებას და თავის პოზიციას ასაბუთებს შესაბამისი არგუმენტების საფუძველზე (ესაა მეორე, დებულების უარმყოფელთა ჯგუფი, ე.წ. ჯგუფი „Contra“)⁸. დებატებს წარმართავს წინასწარ შერჩეული წამყვანი (მასწავლებელი ან მოსწავლე). დებატების დასრულების შემდეგ თავმჯდომარე კენჭს უყრის დებულებას და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს (დებატების წამყვანი შეიძლება არ მონაწილეობდეს კენჭისყრაში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ხმები თანაბრად გაიყოფა, დებატების წამყვანიც უნდა ჩაერთოს ხმის მიცემის პროცედურაში. ამით შესაძლებელი გახდება იმ პოზიციის გამოვლენა, რომელსაც მსმენელთა უმრავლესობა მიემხრობა). წამყვანი აუდიტორიის წინაშე წარადგენს დებატების მონაწილეებს, სიტყვას აძლევს მათ, ზრუნავს დროის ლიმიტის და, ზოგადად, წესრიგის დაცვაზე.

ცნობილია სასკოლო დებატების ჩატარების სხვადასხვა პროცედურა. ქვემოთ წარმოვადგენთ დებატების ჩატარების ორ ფართოდ გავრცელებულ ფორმატს. ესენია: I. ოქსფორდის ტიპის დებატები (საპარლამენტო დებატები) და II. საუნივერსიტეტო დებატები.

I. საპარლამენტო დებატები.

დებატების ჩატარების პროცედურა:

- ✓ პირველი ჯგუფის სპიკერის სიტყვა – ხანგრძლივობა: 7 წუთი.
- ✓ მეორე ჯგუფის სპიკერის სიტყვა – ხანგრძლივობა: 7 წუთი.
- ✓ პირველი ჯგუფის მეორე სპიკერის სიტყვა – ხანგრძლივობა: 4 წუთი.
- ✓ მეორე ჯგუფის მეორე სპიკერის სიტყვა – ხანგრძლივობა: 4 წუთი.
- ✓ დებატები აუდიტორიის მონაწილეობით – ხანგრძლივობა: 5-7 წუთი.

⁸ ორი დაპირისპირებული პოზიციის მქონე ჯგუფის სახელწოდებები: „Pro“ და „Contra“ წარმოდგება ლათინური წინდებულებიდან: pro – თვის, -ის მხარდასაჭერად; contra – ის წინააღმდეგ).

ამ ეტაპზე მსმენელებს ეძლევათ საშუალება, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, თვალსაზრისი, პოზიცია დებატების თემასთან დაკავშირებით (ეს კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ დამსწრე საზოგადოება არ იყოს პასიური მაცურებლის როლში დებატების მიმდინარეობის დროს). ნებართვის მისაღებად მსმენელებმა უნდა მიმართონ დებატების წამყვანს. მსმენელებმა თავიანთი პოზიცია უნდა ჩამოაყალიბონ მოკლედ, რათა სხვებმაც მოასწრონ აზრის გამოთქმა. დებატებში მონაწილე ჯგუფების წევრები ვალდებული არ არიან, დაუყოვნებლივ უპასუხონ მსმენელთა შენიშვნებსა თუ მოსაზრებებს, მაგრამ თითოეული ჯგუფის შემაჯამებელ სიტყვებში მომხსენებელი აუცილებლად უნდა გამოეხმაუროს მსმენელთა მიერ გამოთქმულ ყველა მნიშვნელოვან და ყურადსაღებ მოსაზრებას.

- ✓ პირველი ჯგუფის შემაჯამებელი სიტყვა – ხანგრძლივობა: 4 წუთი.
- ✓ მეორე ჯგუფის შემაჯამებელი სიტყვა – ხანგრძლივობა: 4 წუთი.

შემაჯამებელ სიტყვაში თითოეული ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს დებატები. ამ ეტაპზე არ ხდება ახალი არგუმენტების წამოყენება ჯგუფის პოზიციის დასაცავად, შესაძლებელია მხოლოდ ახალი მაგალითების მოყვანა იმ არგუმენტების მხარდასაჭერად, რომლებზედაც ადრე ისაუბრეს ჯგუფის სპიკერებმა. მესამე წუთის ბოლოს დებატების წამყვანი ერთი ხმოვანი სიგნალით (მაგ., ზარის წკრიალით) მიანიშნებს მოლაპარაკეს, რომ მას დარჩა 1 წუთი, მეოთხე წუთის დამთავრების შემდეგ კი ორი ხმოვანი სიგნალით მიანიშნებს, რომ მოლაპარაკის დროს ამოწურულია.

- ✓ კენჭისყრის ჩატარება, მისი შედეგების გამოცხადება.
- ✓ რეზოლუციის/დადგენილების მიღება და გამოცხადება⁹.

დაბოლოს, აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: მასწავლებელი კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ ზეპირმეტყველების უნარების განვითარება ძალზე უწყობს ხელს კითხვისა და წერის უნარების განვითარებასაც. მოსწავლე, რომელიც მსმენელისა თუ მოსაუბრის სტატუსით მონაწილეობს წერილობით ტექსტებთან დაკავშირებულ აქტივობებში, უკეთესად გააცნობიერებს ამ ტექსტების ფორმალურ-სტრუქტურულ, სტილისტურ მახასიათებლებსა და ენობრივ ნორმებს. მონაწილეობა იმგვარ ზეპირ აქტივობებში, რომლებიც გულისხმობს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებების გამოყენებას (მაგ., იმპროვიზაციას, დრამატიზაციას, მულტიმედიური პროდუქტის შექმნას), ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებას, ასევე კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ენის თავისუფლად გამოყენების, მკაფიოდ, სწრაფად და მოქნილად საუბრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

⁹ აუცილებელი არ არის, რომ მოსწავლის პირადი შეხედულება ემთხვეოდეს იმ ჯგუფის პოზიციას, რომელსაც იგი წარმოადგენს: დებატების დროს მოსწავლის კონკრეტული ამოცანაა, შეძლოს არგუმენტების მოფიქრება, მოძიება და ჩამოყალიბება შეთავაზებული პოზიციის მხარდასაჭერად (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსწავლე ამის წინააღმდეგია ამა თუ იმ მოსაზრების გამო). მეტიც, გავარჯიშის სახით, არგუმენტაციის უნარების გასავითარებლად, ზოგჯერ მიმართავენ პოზიციების გაცვლის სტრატეგიასაც – მაგ., მოსწავლეებს, რომლებიც მხარდამჭერთა ჯგუფს წარმოადგენენ, შეიძლება დაევალოთ იმავე დებულების უარყოფა, „კონტრა“ ჯგუფის წევრებს კი – იმავე დებულების დაცვა.

მასწავლებელს გარკვეული დრო სჭირდება იმისათვის, რომ შექმნას ისეთი საკლასო გარემო, სადაც მოსწავლეები თავისუფლად, დაცულად და კომფორტულად იგრძნობენ თავს საუბრის დროს. ამგვარი გარემოს შექმნის შემდეგ კი აუცილებელია, რომ საუბრები გადაიზარდოს ამა თუ იმ კონკრეტულ სასწავლო მიზანზე ფოკუსირებულ აქტივობებში.

II. საუნივერსიტეტო დებატები.

ე.წ. საუნივერსიტეტო დებატების ფორმატი მოპაექრებს საშუალებას აძლევს, შეკითხვები დაუსვან ერთმანეთს. ამ სახის დებატებში პაექრობაში მონაწილეობს ორი გუნდი: 1. მხარდამჭერთა („პრო“) გუნდი, რომელიც ემხრობა განსახილველ დებულებაში გამოთქმულ აზრს; 2. უარმყოფელთა („კონტრა“) გუნდი, რომელიც არ იზიარებს განსახილველ დებულებაში გამოთქმულ აზრს. საუნივერსიტეტო დებატებში პირველ სიტყვას წარმოთქვამს „პრო“ გუნდის პირველი სპიკერი – ესაა პირველი სიტყვა განსახილველი დებულების მხარდასაჭერად. ამის შემდეგ სიტყვას წარმოთქვამს „კონტრა“ გუნდის პირველი სპიკერი – ესაა პირველი სიტყვა განსახილველი დებულების უარსაყოფად. მის გამოსვლას მოსდევს „პრო“ გუნდის მეორე წევრის მხარდამჭერი სიტყვა, შემდეგ – „კონტრა“ გუნდის მეორე წევრის სიტყვა განსახილველი დებულების უარსაყოფად. თითოეული სიტყვის დასრულების შემდეგ სიტყვების წარმომთქმელებს კითხვებს უსვამს საპირისპირო გუნდი – ესაა ე.წ. შეკითხვების რაუნდები. რაუნდები არ იმართება მხოლოდ ორი საბოლოო გამოსვლის შემდეგ¹⁰. საპასუხო გამოსვლაში სიტყვის წარმომთქმელს (სპიკერს) შეუძლია გააკრიტიკოს ოპონენტის არგუმენტები თავისი პოზიციის დაცვის მიზნით, თუმცა არ შეუძლია ახალი არგუმენტის წამოყენება.

ქვემოთ წარმოვადგენთ საუნივერსიტეტო დებატების პროცედურის ერთიან სქემას დროითი ლიმიტის მითითებით¹¹.

საუნივერსიტეტო დებატების სქემა.

I ნაწილი. ძირითადი სიტყვები:

➤ პირველი მხარდამჭერი სიტყვა – ხანგრძლივობა: 8 წუთი.¹²

შეკითხვების რაუნდი – მხარდამჭერი გუნდის პირველ სპიკერს კითხვებს უსვამს უარმყოფელი („კონტრა“) გუნდის მეორე სპიკერი – ხანგრძლივობა: 3 წუთი.

➤ პირველი უარმყოფელი სიტყვა – ხანგრძლივობა: 8 წუთი.

შეკითხვების რაუნდი – უარმყოფელი გუნდის პირველ სპიკერს კითხვებს უსვამს მხარდამჭერი („პრო“) გუნდის პირველი სპიკერი – ხანგრძლივობა: 3 წუთი.

¹⁰ დებატების იმ ფორმატს, რომელიც არ ითვალისწინებს შეკითხვების რაუნდებს, ცნობილია, როგორც ოქსფორდის დებატები.

¹¹ აქ მითითებულია ტრადიციული დროითი ლიმიტი. თუმცა, მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი შეცვლა.

¹² დებატების პირველი სიტყვა, ანუ პირველი მხარდამჭერი სიტყვა შედგენილი უნდა იყოს იმგვარად, რომ ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას მსმენელებს განსახილველი საკითხის არსზე.

➤ მეორე მხარდამჭერი სიტყვა – ხანგრძლივობა: 8 წუთი.

შეკითხვების რაუნდი – მხარდამჭერი გუნდის მეორე სპიკერს კითხვებს უსვამს უარმყოფელი („კონტრა“) გუნდის პირველი სპიკერი – ხანგრძლივობა: მაქს. 3 წუთი.

➤ მეორე უარმყოფელი სიტყვა – ხანგრძლივობა: 8 წუთი.

შეკითხვების რაუნდი – უარმყოფელი გუნდის მეორე სპიკერს კითხვებს უსვამს მხარდამჭერი („პრო“) გუნდის მეორე სპიკერი – ხანგრძლივობა: მაქს. 3 წუთი.

II ნაწილი. საპასუხო სიტყვები:

➤ პირველი უარმყოფელი – ხანგრძლივობა: 4 წუთი.

➤ პირველი მხარდამჭერი – ხანგრძლივობა: 4 წუთი.

➤ მეორე უარმყოფელი – ხანგრძლივობა: 4 წუთი.

➤ მეორე მხარდამჭერი – ხანგრძლივობა: 4 წუთი.

როგორც ვხედავთ, დებატების პირველ ნაწილს („ძირითადი სიტყვების“ სერიას) ასრულებს უარმყოფელი გუნდის სიტყვა, მეორე ნაწილს („საპასუხო სიტყვების“ სერიას) კი – მხარდამჭერი გუნდის სიტყვა. ამ გზით ორივე გუნდს თანაბარი შესაძლებლობები აქვს პასუხის გასაცემად.

დებატების ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია, რომ ორივე გუნდის წევრებს ნათლად ჰქონდეთ გააზრებული: ა) ყველა არგუმენტი, რომელსაც გამოიყენებენ თავიანთი პოზიციის დასაცავად; ბ) რომელია მათი მთავარი არგუმენტი ან არგუმენტები, რომელი – დამატებითი. დებატების დროს ეს დაეხმარება გუნდის წევრებს, გაიაზრონ მათი მოპაექრეების მთავარი და/ან დამატებითი არგუმენტები.

ამისათვის საჭიროა, რომ დებატების მონაწილეებმა შეადგინონ გეგმა-მონახაზი, რომელშიც მთლიანი სახით იქნება წარმოდგენილი დებატები მისი ფუნქციური ნაწილებით: განსახილველი საკითხი, არგუმენტები, დამამტკიცებელი საბუთები (იხ. ქვემოთ მოცემული ნიმუში).

ნიმუში. დებატების გეგმა:

განსახილველი საკითხი – საქართველოს საავტომობილო ტრასების სისტემა არადაამაკმაყოფილებელია, რადგან:

არგუმენტი 1.

საავტომობილო ტრასები არ შეესატყვისება საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან:

კონკრეტული დამადასტურებელი მასალა -

1. კონკრეტული მტკიცებულება (ფაქტი, მონაცემი, მაგალითი, მისთ.);
2. კონკრეტული მტკიცებულება
3. კონკრეტული მტკიცებულება

არგუმენტი 2:

საავტომობილო ტრასების არსებული სისტემის შემდგომი გაფართოება შეუძლებელია, იგი (სისტემა) არაა გათვლილი სამომავლო საჭიროებებისათვის, იმიტომ, რომ:

კონკრეტული დამადასტურებელი მასალა –

- | | |
|-------------------------------------|----------------------------|
| (ფაქტი, მონაცემი, მაგალითი, მისთ.): | 1. კონკრეტული მტკიცებულება |
| | 2. კონკრეტული მტკიცებულება |
| | 3. კონკრეტული მტკიცებულება |

არგუმენტი 3:

სახელმწიფო სათანადოდ არ ზრუნავს საავტომობილო ტრასების სისტემაზე, რადგან:

კონკრეტული დამადასტურებელი მასალა

- | | |
|-------------------------------------|----------------------------|
| (ფაქტი, მონაცემი, მაგალითი, მისთ.): | 1. კონკრეტული მტკიცებულება |
| | 2. კონკრეტული მტკიცებულება |
| | 3. კონკრეტული მტკიცებულება |

არგუმენტი 4:

საავტომობილო ტრასების სისტემის განვითარების არსებული პროგრამები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ვერ ამცირებს ქვეყანაში არსებული უმუშევრობას, იმიტომ, რომ:

კონკრეტული დამადასტურებელი მასალა

- | | |
|-------------------------------------|----------------------------|
| (ფაქტი, მონაცემი, მაგალითი, მისთ.): | 1. კონკრეტული მტკიცებულება |
| | 2. კონკრეტული მტკიცებულება |
| | 3. კონკრეტული მტკიცებულება |

საპირისპირო თვალსაზრისის დამცველი გუნდის პოზიციის გათვალისწინებით, მთლიანი დებატების გეგმა ამგვარ სახეს მიიღებს:

ნიმუში. დებატების გეგმა-მონახაზი:

მხარდამჭერი	უარმყოფელი
<p>საქართველოს საავტომობილო ტრასების სისტემა არადამაკმაყოფილებელია 4 მიზეზის გამო:</p> <p>1) საქართველოს საავტომობილო ტრასები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) კონკრეტული დამადასტურებელი მასალა (ფაქტი, მაგალითი, მონაცემი, მისთ.); ბ) კონკრეტული მტკიცებულება; გ) კონკრეტული მტკიცებულება. <p>2) საავტომობილო ტრასების არსებული სისტემის შემდგომი გაფართოება შეუძლებელია – იგი (სისტემა) არაა გათვლილი სამომავლო საჭიროებებისათვის, რადგან:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) კონკრეტული მტკიცებულება; ბ) კონკრეტული მტკიცებულება; გ) კონკრეტული მტკიცებულება; დ) კონკრეტული მტკიცებულება. <p>3) სახელმწიფო სათანადოდ არ ზრუნავს საავტომობილო ტრასების სისტემაზე, რადგან:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) კონკრეტული მტკიცებულება; ბ) კონკრეტული მტკიცებულება. <p>4) საავტომობილო ტრასების სისტემის განვითარების არსებული პროგრამები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ვერ ამცირებს ქვეყანაში არსებული უმუშევრობას, რადგან:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) კონკრეტული მტკიცებულება; ბ) კონკრეტული მტკიცებულება; გ) კონკრეტული მტკიცებულება. 	<p>მხარდამჭერ სიტყვაში აღინიშნა, რომ თანამედროვე სისტემას აქვს 4 მთავარი ნაკლი. მოდით, განვიხილოთ მხარდამჭერ სიტყვაში მოყვანილი მიზეზები საპირისპირო პოზიციიდან.</p> <p>1) საქართველოს საავტომობილო ტრასები ერთ-ერთი საუკეთესოა კავკასიის მთელ რეგიონში, რადგან:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) კონკრეტული დამადასტურებელი მასალა (ფაქტი, მაგალითი, მონაცემი, მისთ.); ბ) კონკრეტული მტკიცებულება. <p>2) საავტომობილო ტრასების არსებული სისტემის შემდგომი გაფართოება და განვითარება სავსებით შესაძლებელია, რადგან:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) კონკრეტული მტკიცებულება; ბ) კონკრეტული მტკიცებულება; გ) კონკრეტული მტკიცებულება; დ) კონკრეტული მტკიცებულება; ე) კონკრეტული მტკიცებულება. <p>3) სახელმწიფო ზრუნვა საავტომობილო ტრასებზე ადეკვატურია და დამაკმაყოფილებელი, რადგან:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) კონკრეტული მტკიცებულება; ბ) კონკრეტული მტკიცებულება; გ) კონკრეტული მტკიცებულება. <p>4) უმუშევრობის შემცირებასა და საავტომობილო ტრასების განვითარებას შორის არ არის პირდაპირი კავშირი, რადგან:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) კონკრეტული მტკიცებულება.

დავუშვათ, რომ დებატები წარიმართება ამ გეგმა-მონახაზის მიხედვით. მონახაზიდან ჩანს, რომ ორივე გუნდს აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრება – დაპირისპირება იდეებს შორის დაწყებულია. თითოეული გუნდის ამოცანა, დაარწმუნოს მსმენელი თავისი პოზიციის სისწორეში, რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მტკიცებულებები – ადეკვატურად შერჩეული, ეფექტური და დამაჯერებელი დამადასტურებელი მასალა უმოკლესი გზაა მსმენელების დასარწმუნებლად. ცალკე აღსანიშნავია „დ“ პუნქტი, რომელშიც უარმყოფელ გუნდს მხოლოდ ერთი მტკიცებულება აქვს. აქედან ჩანს, რომ უარმყოფელი გუნდისათვის უმუშევრობა მთავარ საკითხს არ წარმოადგენს. ეს ერთგვარად ავიწროებს დებატების არეს და გამოკვეთს ძირითად საკითხებს.

დებატების 4 ძირითადი ელემენტი:

დებატების 4 არსებითი, ძირითადი ელემენტი: ა) განსახილველი დებულება (ანუ დებულება, რომლის განსახილველაც იმართება დებატები), ბ) საკითხები; გ) არგუმენტები და დ) დამხმარე მასალა, მტკიცებულებები. დებატების წარმატებით წარსამართავად აუცილებელია, რომ მონაწილეებს კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული ამ ელემენტების ფუნქციური თავისებურებები. დასახელებულ ელემენტებს ერთმანეთთან აკავშირებს დასაბუთების პროცესი, რომელიც დებატების არსს წარმოადგენს. განვიხილოთ ეს ელემენტების ცალ-ცალკე.

ა) დებულება – თვალსაზრისი, რომელიც წარმოდგენილია მტკიცებითი ფორმით – წართქმითი წინადადებით. თვალსაზრისი უნდა იყოს მკაფიოდ, ნათლად ჩამოყალიბებული – ამისათვის საჭიროა სიტყვების გააზრებულად შერჩევა. დებულება ფორმულირებული უნდა იყოს იმგვარად, რომ იძლეოდეს მხოლოდ ორგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას (ვეთანხმები – არ ვეთანხმები). ქვემოთ სანიმუშოდ მოყვანილი დებულებები გვთავაზობს არსებული ვითარების (ე.წ. „სტატუს ქვოს“) შეცვლას. მაგ., საჯარო სკოლებში უნდა დაწესდეს სასკოლო ფორმების ტარება (არსებული ვითარება: საჯარო სკოლების მოსწავლეებს სასკოლო ფორმები არ აქვთ); არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს (არსებული ვითარება: არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეების ნება-სურვილზეა დამოკიდებული); მანქანის მართვის მოწმობის ასაღებად საჭირო ასაკი 16 წლამდე უნდა შემცირდეს (არსებული ვითარება: მანქანის მართვის მოწმობა გაცივმა 18 წლის ასაკიდან).

შინაარსის მიხედვით, ძირითადად, განარჩევენ 3 სახის დებულებებს. ესენია დებულებები: 1. ფასეულობების შესახებ (მაგ., „კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა ყველაზე მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო უფლებათა შორის“, „საზოგადოების უსაფრთხოება ადამიანის პირად თავისუფლებაზე უფრო მნიშვნელოვანია“, მისთ.); 2. ფაქტების შესახებ (მაგ., „განსასჯელს ბრალად ედება მკვლელობა“, „ვულკანის ამოფრქვევის მიზეზი იყო ძლიერი მიწისძვრა“. მისთ.); 3. კანონების, ნორმების, წესების, სტრატეგიის შესახებ (მაგ., „მასმედიის რეგულირების კანონი მნიშვნელოვნად უნდა გამკაცრდეს“, „საჯარო მოხელეთა სადაზღვევო ხარჯები სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს“, მისთ.).

ბ) საკითხი – ესაა თვალსაზრისი, რომელიც წარმოადგენს პაექრობის ძირითად საგანს. მისი დასაბუთება აუცილებელია იმისათვის, რომ აუდიტორიამ გაიზიაროს გუნდის პოზიცია. ამ საკითხებზე დაყრდნობით მხარს უჭერენ (ან უარყოფენ) დებატების დებულებას. დებულების შესატყვისი, რელევანტური საკითხების მოსაძებნად აუცილებელია ანალიზის ჩატარება, სათანადო ინფორმაციის მოძიება, მასალების გაცნობა. თუმცა ხშირად იმის წარმოდგენა, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მუშაობა, შეიძლება, უბრალოდ, საღაზრზე დაყრდნობითაც. მაგ., როდესაც დებულება გვთავაზობს არსებული ვითარების შეცვლას, მხარდამჭერი გუნდის მთავარი იდეა უნდა ეფუძნებოდეს 2 ძირითად ფაქტორს: 1. არსებულ ვითარებაში არის რაღაც მიუღებელი; 2. ვითარების შეცვლა ძალზე სასარგებლო იქნება საზოგადოებისათვის (მაგ., მატერიალური მოგება, სოციალური კეთილდღეობა, დისციპლინის დამყარება, მოსახლეობის დასაქმება, მისთ.).

გ) არგუმენტი – ესაა დასაბუთების გზით მიღებული მტკიცებულება. არგუმენტები აუცილებელია დებატების ცალკეული საკითხის დასასაბუთებლად.

დ) დამადასტურებელი მასალა – ესაა ფაქტი ან მოსაზრება, რომელიც ცხადად წარმოაჩენს არგუმენტის ჭეშმარიტებას.

გააზრებული დასაბუთება ნათლად გამოკვეთს ლოგიკურ მიმართებებს ცალკეულ ფაქტებს, მოსაზრებებს, მონაცემებს შორის, მათზე დაყრდნობით აყალიბებს არგუმენტებს, წამოაყენებს საკითხებს და მისთ. ამდენად, დასაბუთების პროცესში ზემონახსენები ოთხივე ელემენტი მჭიდრო ურთიერთკავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან.

დებატების ოთხივე ელემენტის „მუშაობის“ ნათელსაყოფად ქვემოთ წარმოვადგენთ დებატების გეგმა-მონახაზის ნიმუშს.

ნიმუში. დებატების გეგმა-მონახაზი:

დებულება: საგარეო ვაჭრობის რეგულაციის წესები უნდა გამკაცრდეს.	
პოზიცია: მხარდამჭერი	
I საკითხი	საგარეო ვაჭრობის კანონის გამკაცრება აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
1. არგუმენტი	ბაზარზე შემოტანილი გენმოდიფიცირებული პროდუქციის ნაწილი საზიანოა ქვეყნის ეკოსისტემისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის.
2. დამადასტურებელი მასალა	ა) ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, კვების პროდუქტებში გამოყენებული პალმის ზეთს ადამიანის ორგანიზმი ვერ გადაამუშავებს. ორგანიზმში პალმის ზეთის დაგროვება იწვევს სიმსივნურ დაავადებებს. ბ) ბუნების დაცვის ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ იმპორტირებული გენმოდიფიცირებული სიმინდის დათესვა დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკოსისტემას, რადგან ამ სიმინდის მტვრის მარცვლები სასიკვდილოა სხვადასხვა სახეობის მწერებისათვის.

II საკითხი	ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ადგილობრივი კულტურული მცენარეების დაცვისათვის საჭიროა იმპორტის რეგულირება.
1. არგუმენტი	საკვები პროდუქციის იმპორტი ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას და აგრიკულტურულ მემკვიდრეობას.
2. დამადასტურებელი მასალა	ა) ეკონომიკის ექსპერტთა განცხადებით, სულ უფრო მცირდება აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. ბ) აგრარული უნივერსიტეტის პროფესორის აზრით, ამერიკული ხორბლის მზარდი იმპორტი გადაშენებით ემუქრება ხორბლის ადგილობრივ უნიკალურ ჯიშებს.

მზადება დებატებისათვის

დებატებში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირველი ეტაპია წინასწარი კვლევა-ძიებითი სამუშაოების ჩატარება. დებატებში მონაწილე გუნდების წევრებმა უნდა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია და მასალა, რომლებსაც დაეყრდნობიან თავიანთი პოზიციის დასაბუთების დროს. დებატების დებულების განხილვა, საკითხებისა და არგუმენტების კრიტიკული ანალიზი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი მონაწილეებს ექნებათ შესაბამისი ცოდნა.

კვლევა-ძიებითი სამუშაოები შესაძლებელია წარიმართოს შემდეგი თანამიმდევრობით:

- თემის არეალის განსაზღვრა: თემის შესაბამისი სფეროების დადგენა; ყურადღების გამახვილება იმ ტერმინებზე, რომლებიც საჭიროებს დეფინიციას და/ან გაანალიზებას;
- რესურსების შერჩევა: თემის შესაბამისი ხელმისაწვდომი რესურსების (ინტერნეტ-გვერდები, წიგნები, ენციკლოპედიები, მისთ.) დადგენა. მასალის შერჩევისას ეფექტურია ბიბლიოგრაფიული ინდექსების, აგრეთვე ე.წ. ინტერნეტ-ბმულების გამოყენება – ამ გზით მოსწავლეები შეძლებენ ძიების ველის გაფართოებასა და ყველა საჭირო მასალის პოვნას.
- მასალის გაცნობა: ამ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოს უმთავრესი პრინციპი უნდა იყოს „მოძრაობა“ ზოგადიდან კონკრეტულსაკენ. ზოგადი პრობლემის გაცნობის გარეშე შეუძლებელია მისი (პრობლემის) ცალკეული ასპექტების კრიტიკულად გაანალიზება და შეფასება. დებატებისათვის მომზადების პროცესში ეს გულისხმობს, რომ მოსწავლეები ჯერ განსაზღვრავენ საკითხებს, ხოლო შემდეგ მუშაობენ არგუმენტების შემუშავებაზე და ოპტიმალური დამადასტურებელი მასალის შერჩევაზე. ამდენად, რესურსების გაცნობის დროს მოსწავლეები ჯერ უნდა გაეცნონ ზოგადი ხასიათის მასალებს, შემდეგ კი – მასალებს, რომლებშიც განხილულია პრობლემის კონკრეტული ასპექტები.

შეკითხვების რაუნდი – შეკითხვების რაუნდი საუნივერსიტეტო დებატების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი კარგ საშუალებას აძლევს კითხვების დამსმელს, აჩვენოს საპირისპირო პოზიციის სისუსტე, ცალმხრივობა თუ არაკომპეტენტურობა; ბიძგი მისცეს მსმენელებს, კრიტიკულად შეა-

ფასონ ოპონენტის მოსაზრება და/ან ეჭვი გაუჩინოს მსმენელებს ოპონენტის მოსაზრების ქეშმარიტებაში.

დებატების ამ ნაწილში, ძირითადად, გამოიყენება შემდეგი ტიპის კითხვები: ა) პირდაპირი შეკითხვები – ისინი მიემართება კონკრეტულ ინფორმაციას. მათ, როგორც წესი, მოკლე პასუხი მოსდევს (მაგ., „რა წყარო/წყაროები გამოიყენეთ ...-ის შედეგების დასადგენად?“, „მომხრე ხართ თუ არა, დანესდეს რაიმე სასჯელი იმ პირებისათვის, რომლებიც დაარღვევენ თქვენ მიერ შეთავაზებულ კანონს?“); ბ) ღია კითხვები – გამოიყენება რაიმეს დასაზუსტებლად, განსამარტავად, ცალკეულ საკითხში გასარკვევად (მაგ., „თუ შეიძლება, აგვიხსენით, რატომ ემხრობით საჯარიმო სანქციების დანესებას?“, სხვ.). ღია კითხვებზე პასუხის გაცემისას მონაწილემ თავი უნდა აარიდოს უკვე ნათქვამის სიტყვასიტყვით გამეორებას. იგი უნდა შეეცადოს, უფრო დამაჯერებელი გახადოს თავისი აზრი სხვა სიტყვების გამოყენებით, განსხვავებული აქცენტების დასმით, მოკლე დამატებითი კომენტარით, მისთ. გ) ძიებითი კითხვები – მათი მიზანია, ჩაულრმავდეს ოპონენტის მსჯელობას, რათა გამოავლინოს დასაბუთების ცალმხრივობა, სისუსტე, უსაფუძლობა, მისთ. (მაგ., „რატომაა, რომ მხოლოდ ქალაქის მერიის თანამშრომლები აფასებენ პოზიტიურად საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას?“, მისთ.). ამ ტიპის კითხვები ერთგვარი მონახაზია, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს საპირისპირო პოზიციის კრიტიკა. დ) მიმანიშნებელი შეკითხვები – ამ ტიპის კითხვები ძალზე წააგავს ანგლოსაქსური სასამართლო პრაქტიკისათვის ტრადიციულ ჯვარედინ დაკითხვას, რომლის დროსაც ფართოდ გამოიყენება ე.წ. მიმანიშნებელი შეკითხვები.¹³ გონივრული მიმანიშნებელი შეკითხვების დასმით შესაძლებელია ოპონენტის ჩიხში შეყვანა, მისი პოზიციის ცალმხრივობის, მსჯელობისას გამოყენებული დამხმარე მასალის – ფაქტების, მონაცემების და ა.შ. არამართებულობის ან საეჭვო ხასიათის ჩვენება და/ან არგუმენტირების დროს დაშვებული შეცდომების გამოაშკარავება. ქვემოთ სანიშნოდ მოვიყვანთ მიმანიშნებელი შეკითხვის დებატებზე გამოყენების მაგალითს.

კითხვა: თუ შეიძლება, შეგვახსენეთ, რა მონაცემს დაეყრდენით მეორე საკითხზე მსჯელობისას?

პასუხი: ჩვენ დავეყრდენით წლევეანდელი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს.

¹³ ტერმინით „ჯვარედინი დაკითხვა“ აღინიშნება შეკითხვების სერია, რომელსაც ანგლოსაქსური ტრადიციის სასამართლოში წარმართავენ ადვოკატი (დაცვის მხარე) და პროკურორი (ბრალდების მხარე). პროცედურულად ეს გულისხმობს, რომ მას მერე, რაც დაცვის ან ბრალდების მიერ გამოძახებული მონმე ჩვენებას მისცემს სასამართლოს, მას შეკითხვებს უსვამს საპირისპირო მხარის წარმომადგენელი – ბრალდების მონმეს შეკითხვებს უსვამს დაცვის მხარე, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მონმეს კი, პირიქით – დაკითხავს ბრალდების მხარე. როგორც აღინიშნა, ამ დროს ფართოდ გამოიყენებენ ე.წ. მიმანიშნებელ შეკითხვებს. მაგ., მიმანიშნებელია შეკითხვა: „იყავით თუ არა 20 ივნისის საღამოს კინო «რუსთაველში»?“ – მასში მინიშნებულია, სავარაუდოდ, რა ადგილზე იყო მოპასუხე 20 ივნისის საღამოს (შეკითხვის დამსმელმა წინასწარ იცის, სად იყო კონკრეტულ დროსა და ადგილზე მოპასუხე). განსხვავებული ტიპისაა შეკითხვა „სად იყავით 20 ივნისის საღამოს?“ – მასში არაა რაიმე მინიშნება. ასევე, მიმანიშნებელია: „შეხვდით თუ არა კინოთეატრში თქვენს მეზობელს?“, ზოგადია – „ვის შეხვდით კინოთეატრში?“ და მისთ.

კითხვა: იყო თუ არა წლევანდელი სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარებული სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ?

პასუხი: არა, სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის შედეგები ჩვენ გამოვიყენეთ, ჩატარებულია ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.

კითხვა: დააფინანსა თუ არა ეს სამუშაო (გამოკითხვის ჩატარება) სახელმწიფომ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: შეეძლო თუ არა სახელმწიფოსაგან მიღებულ დაფინანსებას ზეგავლენის მოხდენა გამოკითხვის შედეგებზე?

პასუხი: ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ.

კითხვა: ახლავე აგიხსნით. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ კედლის შესაღებად დაგიქირავეს. შელებავთ თუ არა კედელს იმ ფერის საღებავით, რომელსაც თქვენი დამქირავებელი მოისურვებს?

პასუხი: დიახ, რა თქმა უნდა.

კითხვა: შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ დამქირავებლის, ანუ სახელმწიფოს ნება-სურვილი გარკვეულწილად ასახულია გამოკითხვის შედეგებში?

პასუხი: (პაუზა) დიახ, ამგვარი ვარაუდის გამოთქმა შესაძლებელია.

კითხვა: ამგვარად, მოსალოდნელია თუ არა, რომ კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანს გარკვეული უნდობლობა გაუჩნდეს გამოკითხვის შედეგების მიმართ?

პასუხი: (პაუზა) არ ვიცი... (პაუზა) დიახ, ალბათ, მოსალოდნელია.

საპასუხო სიტყვები – საპასუხო სიტყვების წარმოთქმის ეტაპზე პარტნიორებს შეუძლიათ გადაინანილონ სამუშაო. მართლაც, თუკი რომელიმე ერთი მოპასუხე მოისურვებს საპასუხო სიტყვაში ყველა საკითხის დაფარვას, მისი ანალიზი ზედაპირული იქნება – ღრმა ანალიზის გაკეთების საშუალება მას არ ექნება შეზღუდული დროითი ლიმიტის გამო. აქედან გამომდინარე, უკეთესი იქნება, თუკი საკითხები გადანანილდება მოპასუხეებს შორის – ერთი მოპასუხე მსჯელობს ერთ რომელიმე საკითხზე, მეორე – სხვაზე. საპასუხო სიტყვები სპიკერებს აძლევს საშუალებას, გააგრძელონ ოპონენტების პოზიციის ნეგატიური მხარეების წარმოჩენა და ამ მიზნით გამოიყენონ შეკითხვების რაუნდის დროს დასმული კითხვების შედეგები; აგრეთვე გამოასწორონ რაუნდის დროს დაშვებული შეცდომები. მაგ., მიმანიშნებელი შეკითხვების გამოყენების ზემოთ მოყვანილ მაგალითში (იხ. ქვეთავი „შეკითხვების რაუნდი“) უპირატესობა მოიპოვა კითხვების დამსმელმა, რომელმაც მოპასუხე ჩიხში მოამწყვდია. მოპასუხეს რევანშის აღება შეუძლია საპასუხო სიტყვაში. მაგ., მას შეუძლია ყურადღება გაამახვილოს შეკითხვების დამსმელის მიერ მოყვანილი ანალოგიის (კედლის შეღებვის მაგალითი) არამართებულობაზე და მსმენელებს შესთავაზოს ანალოგიის კორექტირებული ვარიანტი – დამქირავებელი (სახელმწიფო) დაქირავებულს (არასამთავრობო ორგანიზაციას) უკვეთავს არა საღებავის ფერს (გამოკითხვის შედეგებს), არამედ კედლის შეღებვას (ანუ სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებას). რაც შეეხება ფერის შერჩევას (გამოკითხვის შედეგებს), ეს წარმოადგენდა მხოლოდ დაქირავებულის კომპეტენციას, მისთ.

აუდიტორია

დებატებში წარმატების მისაღწევად აუცილებელია ორი ფაქტორის გათვალისწინება: აუდიტორიის სპეციფიკისა და რაოდენობის. ვინ არიან მსმენელები? როგორია მათი ასაკი? რა პროფესიის არიან ისინი? თუკი მონაწილეები წინასწარ დაფიქრდებიან ამ საკითხებზე, შეძლებენ ადეკვატური ენის, სტილისა თუ არავერბალური საშუალებების შერჩევას. ადეკვატური ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენება კი დებატებში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა. აქვე უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – აუდიტორიის რაოდენობა. მართლაც, მეტყველების სტილი და არავერბალური საშუალებები შეიძლება საკმაოდ სხვაობდეს იმისდა მიხედვით, მსმენელებით სავსე დიდ დარბაზში იმართება დებატები თუ რამდენიმე მსმენელის წინ პატარა ოთახში. მართლაც, უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო არ იქნება ძალზე ხმამაღლა ლაპარაკი, ფართოდ გაშლილი ჟესტების გამოყენება; მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არავერბალური ენის ელემენტებს, როგორებიცაა: სახის გამომეტყველება, თვალებით კონტაქტი და მისთ.

დებატების ენა – დებატების მონაწილეთა მეტყველება ნათელი და გასაგები უნდა იყოს აუდიტორიისათვის. მონაწილეებმა თავი უნდა აარიდონ ჟარგონებისა და კლიშეების გამოყენებას, იმავდროულად, გაითვალისწინონ, რომ მეცნიერული ტერმინებით და/ან დარგობრივი ლექსიკით გადატვირთული მსჯელობა, რომელიც მხოლოდ ერთ ვიწრო სფეროზეა ფოკუსირებული, შეიძლება გაუგებარი იყოს სასკოლო დებატების დამსწრეთა უმრავლესობისთვის. ამიტომ მონაწილეებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ ძირითადი, აუცილებელი ტერმინები და დარგობრივი ლექსიკა; შეეცადონ, ილაპარაკონ ისე, რომ მათი აზრი გასაგები იყოს დამსწრეებისათვის. იმისათვის, რომ მსმენელებს გაუადვილდეთ მსჯელობის აღქმა, მონაწილეებს შეუძლიათ გამოიყენონ შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციები, – *მეორე მხრივ, ჯერ ერთი, თუმცა, ამის საპირისპიროდ, საბოლოოდ და ა.შ.* ამავე მიზნით შეიძლება დამხმარე საშუალებების – ვიზუალური მასალის (ფოტოს, რუკის, სხვ.), სქემების, დიაგრამების და/ან სხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენებაც.

არავერბალური ენა – დებატების შედეგებზე ზეგავლენას ახდენს აგრეთვე მონაწილეთა შესტიკულაცია, ხმის დინამიკა და ტემბრი, სხეულის პოზა, სახის გამომეტყველება, თვალებით კონტაქტი. ამიტომ მას მერე, როცა მონაწილეები მოამზადებენ დებატების გეგმა-მონახაზს, გაიაზრებენ ყველა შესაძლო შეკითხვასა და პასუხს, მათ უნდა იზრუნონ ადეკვატური არავერბალური საშუალებების შერჩევაზეც. ამისათვის სასარგებლო იქნება, თუკი სპიკერები წინასწარ რეპეტიციებს გაივლიან სარკის წინ.

არავერბალური ენის მნიშვნელობაზე ცხადად მეტყველებს ერთი საინტერესო ფაქტი გასული საუკუნის რეალიებიდან. 1960 წელს გაიმართა პირველი სატელევიზიო დებატები ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატებს – ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონსა და სენატორ ჯონ კენედის შორის, რომელიც გადაიციმოდა ასევე რადიოთი. გამარჯვებულის გამოსავლენად დებატების შემდეგ ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რადიომსმენელებში

უპირატესობა მოიპოვა რიჩარდ ნიქსონმა, ტელემაყურებლებში კი – ჯონ კენედიმ. რადიომსმენელებმა, რომლებიც ვერ ხედავდნენ მოპაექრებს, დასკვნები გამოიტანეს მათი არგუმენტირების უნარის, მეტყველების სტილის, სიტყვების შერჩევის, ტონის, ინტონაციის მიხედვით; ტელემაყურებლების შემთხვევაში ამ ფაქტორებს დაემატა ვიზუალური მხარეც – მათ შეეძლოთ დასკვნების გამოტანა მონაწილეების მიერ გამოყენებული არავერბალური საშუალებების, აგრეთვე, მოპაექრების ვიზუალური მონაცემების მიხედვითაც. გამოკითხვის შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ ვიზუალურ მხარეს შეუძლია გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს აუდიტორიაზე. საბოლოო ჯამში, დებატებში გაიმარჯვა ჯონ კენედიმ, რადგან ტელემაყურებლების რაოდენობა სჭარბობდა რადიომსმენელთა რაოდენობას.

მომზადება შეკითხვების რაუნდისათვის – დებატებისათვის მომზადების პროცესში აუცილებელია, რომ მონაწილეები კაგად მოემზადონ შეკითხვების რაუნდისათვის. ამის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა ისაა, რომ მონაწილემ წინასწარ განჭვრიტოს ოპონენტის ყველა შესაძლო პასუხი და გაიაზროს თავისი მოქმედების სტრატეგია: „ვთქვათ, ოპონენტი დამეთანხმა, რა შეკითხვები უნდა დავუსვა ამის შემდეგ? ვთქვათ, არ დამეთანხმა, რა შეკითხვებით უნდა გავაგრძელო რაუნდი? და ა.შ. შესაბამისად, ოპონენტიც ამავე გზით ემზადება შეკითხვების რაუნდისათვის – წინასწარ წარმოიდგენს ყველა შესაძლო შეკითხვას და გაიაზრებს პასუხების ოპტიმალურ ვარიანტებს.

მომზადების ეტაპზე ერთ-ერთ საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს მუშაობა თანაგუნდელებთან. გუნდის წევრები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს და პასუხობენ მათ; ეწყობა დისკუსიებიც, რაც ხელს უწყობს იდეების გენერირებისა და გაცვლა-გამოცვლის პროცესს, საკითხის მრავალმხრივად შესწავლას. ამ გზით მონაწილეები წინასწარ გაიაზრებენ ყველა შესაძლო შეკითხვასა და პასუხს, შეარჩევენ ოპტიმალურ ვარიანტებს, დახვეწენ სამოქმედო სტრატეგიას.

ძირითადი სიტყვების წარმოთქმისას, ასევე შეკითხვების რაუნდის მიმდინარეობის დროს აუცილებელია ოპონენტების ყურადღებით მოსმენა, სასარგებლოა მოკლე ჩანაწერების კეთებაც – ოპონენტის გამონათქვამების ჩანიშვნა. მათი გამოყენება შეიძლება საჭირო გახდეს საპასუხო სიტყვის წარმოთქმის დროს – ოპონენტის პოზიციის ნეგატიური მხარეების საჩვენებლად ძალზე ეფექტურია მისი გამონათქვამებისა თუ პასუხების ციტირება და გაკრიტიკება. ეს სამუშაო შეიძლება ითავონ გუნდის წევრებმა.

სამუშაოს გაადვილების მიზნით ამ დროს შესაძლებელია წინასწარ მომზადებული გრაფიკული მათემატიკის გამოყენებაც.

III. 2. მიმართულება: კითხვა

კითხვის განსაკუთრებული მნიშვნელობა სასწავლო გეგმაში განპირობებულია იმით, რომ კითხვა, როგორც კომპლექსური სააზროვნო უნარების ერთობლიობა, წარმოადგენს ფუნდამენტს, რომელიც ადამიანს დამოუკიდებელი და საქმიანობის ნებისმიერ სფეროში წარმატებული ცხოვრების საშუალებას აძლევს.

ცნობილია, რომ ნებისმიერი სახის ტექსტს მკითხველი, ძირითადად, ორი მიზნით კითხულობს: სიამოვნებისთვის ან ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად, დიდი და მცირე ფორმის მხატვრული ნაწარმოებები, კომიქსები, ანიმაციური ფილმები და მსგავსი ტიპის ტექსტები სიამოვნების მიღების მიზნით კითხვასთან არის ასოცირებული, ხოლო არამხატვრული საინფორმაციო ან სამეცნიერო-დარგობრივი ტექსტების, ბეჭდური თუ ელექტრონული ლექსიკონების, ასევე დოკუმენტური ფილმების გაცნობა, მიიჩნევა, რომ ინფორმაციის მიღებასთან არის დაკავშირებული.

ენისა და ლიტერატურის სწავლებისას კითხვის ეს ორი მიზანი სულაც არ განიხილება ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ისინი არ გამორიცხავენ ერთმანეთს. მაგალითად, რომანების, დრამატურგიული ჟანრის ნაწარმოებების, ლექსებისა და პოემების, საგაზეთო სტატიების კითხვით, ასევე ფოტოების, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების ნახვით მოსწავლეებმა შესაძლებელია ერთდროულად სიამოვნებაც მიიღონ და ინფორმაციაც.

კითხვა ზედმინვენით ინდივიდუალური და პირადული ქმედებაა. თითოეული ადამიანი კითხვისას ეყრდნობა საკუთარ ცხოვრებისეულ, ლიტერატურულ და ენობრივ გამოცდილებას. ასევე საყურადღებოა მკითხველის ინდივიდუალური სოციალური, კულტურული თუ ოჯახური წარმომავლობა. ამდენად, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ სხვადასხვა მკითხველმა ერთმანეთისაგან განსხვავებულად აღიქვას და გაიაზროს ერთი და იგივე ტექსტი.

სწორედ თავისი უაღრესად ინდივიდუალური და პირადული ხასიათის გამო კითხვის პროცესი შეგვიძლია ზედმინვენით სოციალიზებულ და თანამშრომლობით აქტივობად ვაქციოთ. **აზრთა გაზიარება, საუბრები და დისკუსიები** მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, მოისმინონ თავიანთი თანაკლასელების მოსაზრებები და ურთიერთგანსხვავებული ინტერპრეტაციები. ეს კი მათ უბიძგებს, კრიტიკულად შეაფასონ და განავრცონ თავიანთი თავდაპირველი შთაბეჭდილებები და შეხედულებები წაკითხულთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პირადი შთაბეჭდილებებისა და შეხედულებების ხმამაღლა გაცხადება და სხვებისთვის გაზიარება ძალიან სასარგებლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ხშირად ასეთი ქმედება ეხმარება თავად მოსწავლეს, რომ მის გონებაში დაბადებულმა აზრებმა, განცდებმა და შეგრძნებებმა უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღოს. შედეგად, მოსალოდნელია, რომ მოსწავლემ უკეთ გამოკვეთოს თავისი ემოციური თუ ინტელექტუალური მიმართება წაკითხული ტექსტისადმი და, შესაბამისად, უფრო კარგად შეძლოს საკუთარი განცდებისა და შეხედულებების ვერბალიზაცია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუშაობისას, სწავლა-სწავლების პროცესში, სას-

წავლო აქტივობების დაგეგმვის დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ინდივიდუალური (პერსონალური), სოციალური და ინტერაქტიური ელემენტების ერთობლიობა.

მუშაობა წაკითხულის გააზრებაზე

კითხვის პროცესის თეორიული ნაწილის განხილვისას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემისას წინამდებარე გზამკვლევეში ვეყრდნობით კლასიკურ კოგნიტივისტურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს კითხვის სწავლების სამფაზიან მოდელს. ეს მოდელი გულისხმობს საკლასო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და კითხვის დასრულების შემდეგ.

კითხვის წინა ეტაპი: წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის წინაპირობის შექმნა

მასწავლებელი ამ ეტაპზე ამზადებს კითხვისთვის ხელსაყრელ და მიმზიდველ გარემოს კლასში. იგი არჩევს საკითხავ მასალას, განსაზღვრავს მის მოცულობას, ადგენს, რა ინფორმაციას ან საბაზისო ცოდნას ფლობენ მოსწავლეები იმისათვის, რომ შეძლონ წასაკითხი ტექსტის გაგება. კითხვის წინა აქტივობები ეხმარება მოსწავლეებსაც, კიდევ ერთხელ გადახედონ თავიანთ შეხედულებებს კონკრეტულ საკითხთან თუ თემასთან დაკავშირებით, გამოკვეთონ საკუთარი მოსაზრებები და პირადი დამოკიდებულებები, ასევე უფრო მეტი გაიგონ ტექსტში ასახული მოვლენებისა და საკითხების შესახებ. კითხვის წინა ეტაპზე მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს ისეთი საკლასო აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დამოუკიდებელი კითხვისთვის მოამზადებს.

კითხვის წინა აქტივობებს რამდენიმე ძირითადი დანიშნულება აქვს. ესენია: *მოსწავლეთა ინტერესის გამონვევა და მათი მოტივირება კითხვისათვის:*

- იმის გამო, რომ მოზარდობის ასაკს ახასიათებს გარკვეული პრობლემები სოციალიზაციის თვალსაზრისით, მკვეთრი ფიზიკური ცვლილებები და თანმდევი ფსიქოლოგიური პრობლემები, ეს ყველაფერი, ბუნებრივია, გავლენას ახდენს მათ მოტივაციაზე სწავლის მიმართ. ამიტომ, თუკი მასწავლებელი ამ ასაკის მოსწავლეებს ჩართავს კარგად დაგეგმილ, ორგანიზებულ კითხვის წინა აქტივობებში, ისინი დაინტერესდებიან წასაკითხი ტექსტის თემით, აღმოაჩინენ მათთვის მიმზიდველ დეტალებს და მეტად აღეძვრებათ ტექსტის წაკითხვის სურვილი.

წასაკითხ ტექსტში ასახული თემების ან შესაბამისი ენობრივი საკითხების შესახებ მოსწავლეთა ადრეული ცოდნის შეფასება, საჭირო ცოდნის აგება ან არსებული აქტივაცია:

- მასწავლებელმა სწორედ კითხვის წინა ეტაპზე უნდა აუხსნას მოსწავლეებს ტექსტთან დაკავშირებული საკვანძო ცნებების მნიშვნელობა და გააცნოს მათ ახალი ლექსიკა. კითხვის წინა აქტივობების მეშვეობით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს მოსწავლეთა ფონური ცოდნა იმ საკითხების, თემების ირგვლივ, რომლებსაც ეხება წასაკითხი ტექსტი. თუკი საჭიროება მოითხოვს,

მასწავლებელს, ბუნებრივია, შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია, განუმარტოს და აუხსნას მოსწავლეებს ყველა ის საკითხი, რომელთა ცოდნაც მათ დასჭირდება წასაკითხი ტექსტის გასაგებად.

კითხვის მიზნის განსაზღვრა:

▪ კითხვაში უკეთესი შედეგები აქვთ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც იციან, თუ რა მიზნით კითხულობენ ამა თუ იმ ტექსტს და შეუძლიათ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მიაწვიოს მოსწავლეები, რომ კითხვის დაწყებამდე მათ კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული, რისთვის აკეთებენ ამას. შედეგი კი ის არის, რომ მოსწავლეები უფრო ყურადღებით კითხულობენ ტექსტს, აკვირდებიან და აზუსტებენ დეტალებს, რომელთა გაგებაც მათ კითხვის მიზნის მიღწევაში დაეხმარება. კითხვის მიზნებს შორის შეიძლება მოვიაზროთ:

- ინფორმაციის მიღება;
- გართობა / სიამოვნების მიღება;
- რაიმე საკითხის დაზუსტება;
- პირადი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება;
- თვალსაწიერის გაფართოება თემის ირგვლივ;
- სხვ.

კითხვის პროცესი: ტექსტის კითხვა

კითხვის პროცესში აუცილებელია ისეთი საკლასო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, სიღრმისეულად გაიაზრონ ტექსტის შინაარსობრივი, ენობრივი თუ გამომსახველობითი მხარეები. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს, რომ ისინი იყვენენ აქტიური მკითხველები, შეძლონ კითხვის დროს ტექსტთან დიალოგის დამყარება და ამის საფუძველზე აზრის გამოტანა ნაკითხულიდან. კითხვის დროს მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, რომ მათ ჩამოუყალიბდეთ რეფლექსიური დამოკიდებულება ავტორის ჩანაფიქრის, ტექსტის მთავარი სათქმელის მიმართ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ტექსტისა და მკითხველის ერთმანეთთან ემოციურ და ინტელექტუალურ დაახლოებას და, საბოლოოდ, ნაკითხული ტექსტის გააზრებას.

აქტივობებს, რომლებიც კითხვის პროცესში ხორციელდება, რამდენიმე ძირითადი დანიშნულება აქვს. ესენია:

ტექსტის, მასში გადმოცემული იდეებისა და თემების გაგება-გააზრებაზე მუშაობა მოსწავლეებთან:

▪ მოსწავლეები კარგი მკითხველები ხდებიან მხოლოდ მაშინ, როცა აქტიურად არიან ჩართულნი კითხვის პროცესში და შეუძლიათ ტექსტთან დიალოგის დამყარება, აგრეთვე, ფლობენ და კითხვის მიზნის შესაბამისად იყენებენ იმ სტრატეგიებს, რომლებიც მათ ნაკითხულის გააზრებაში ეხმარება.

მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება ტექსტის შემადგენელ ელემენტ-

ტებზე – მთავარ და მეორეხარისხოვან თემებზე, ძირითად საკითხებზე, დეტალებზე:

- ტექსტის სტრუქტურული თავისებურებებისა და ორგანიზაციული ელემენტების ამოცნობა, მათზე დაკვირვება, მოსწავლეებს, ბუნებრივია, ეხმარება უკეთ გაიგონ წაკითხული. მასთანავე, ისინი ახერხებენ ამ ცოდნის გადატანას (ტრანსფერს) წერით მეტყველებაში.

მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება ავტორის ენასა და ენობრივ-გამოსახველობითი საშუალებების (მაგ., ავტორის ენობრივი არჩევანის, წინადადებების აგების, მხატვრული საშუალებების) გამოყენების ეფექტურობაზე:

- როდესაც მოსწავლეები კითხის დროს კონტექსტში ეუფლებიან ცოდნას ენის ეფექტურად გამოყენების სხვადასხვა ტექნიკისა და საშუალებების შესახებ, ისინი უფრო ადვილად, ძალდაუტანებლად აღიქვამენ ენის ექსპრესიულ ბუნებას, უვითარდებათ ენობრივი ალლო და, შესაბამისად, არა მხოლოდ უკეთ გაიაზრებენ წაკითხულს, არამედ ახერხებენ შექმნილი ცოდნისა და უნარების გადატანას (ტრანსფერს) წერით და ზეპირ მეტყველებაში.

მოსწავლეთა წახალისება, გადმოსცენ საკუთარი შთაბეჭდილებები და გამოხატონ პირადი დამოკიდებულებები როგორც ტექსტის, ისე ავტორის ოსტატობის შესახებ:

- თუკი მასწავლებელი წახალისებს მოსწავლეებს, კითხვის პროცესშივე გამოხატონ თავიანთი პირადი დამოკიდებულებები და შთაბეჭდილებები წაკითხულთან დაკავშირებით, ეს მათ დაეხმარება, ერთი მხრივ, გამოკვეთონ საკუთარი შეხედულებები წაკითხულის მიმართ, რომლებსაც განამტკიცებენ ან გადახედავენ კითხვის გაგრძელებისას, მეორე მხრივ, უფრო კარგად შეაფასონ საკუთარი თავი – გააზრების უნარი, შეხედულებები, ფასეულობათა სისტემა, ცოდნა და გამოცდილება.

კითხვის შემდგომი ეტაპი: გახსენება, პირადი და კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვა, წაკითხულის გააზრება-გაანალიზება

წაკითხული ტექსტის გააზრება და მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა უტყუარი ნიშანია იმისა, რომ მოსწავლეებმა მოახერხეს მოცემულ ტექსტთან სრულფასოვანი ინტერაქციის დამყარება, მათ გონებაში კი აიგო ისეთი სქემები, რომლებიც შემდგომში მათ სხვა ტექსტების გააზრებაში დაეხმარება. მასწავლებლის მოვალეობაა, გააგებინოს მოსწავლეებს, რომ კითხვა აზროვნებას გულისხმობს და მისი მიზანი არა მხოლოდ ინფორმაციის ან შინაარსის დამახსოვრება, არამედ წაკითხულიდან აზრის გამოტანაა. ამიტომ, მასწავლებელმა უნდა წახალისოს მოსწავლეები, რომ მათ გაიაზრონ წაკითხული, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი დამოკიდებულებები, დაუბრუნდნენ ტექსტს დეტალების დასაზუსტებლად, დაამყარონ კავშირი ადრეულ და ახლად შექმნილ ცოდნას შორის და გამოიყენონ ეს ახალი ცოდნა საკითხების უფრო ღრმად გასააზრებლად.

კითხვის შემდგომი აქტივობების ძირითადი მიზნებია:

მოსწავლეების დახმარება წაკითხულ ტექსტში წარმოდგენილი იდეების, თემების, საკითხების, ცნებების, ავტორის მიერ გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გააზრებაში:

- ავტორის ენის, მის მიერ გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გააზრება მოსწავლეთა წერითი მეტყველების დახვეწის წინაპირობაა, ხოლო ტექსტში ასახული იდეების, თემების, საკითხების სათანადოდ გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ეხმარება მათ, ერთი მხრივ, თავად დაამყარონ კავშირი წაკითხულ ტექსტთან, მეორე მხრივ კი, დაინახონ კავშირები ამ ტექსტსა და გარესამყაროს შორის. ყველაფერი ეს ეხმარება მოსწავლეებს, უკეთ გაიციონ საკუთარი თავი და სამყარო, ამასთანავე, განუვითარდეთ ნებისმიერი სხვა ტექსტის გაგება-გააზრებისათვის აუცილებელი კოგნიტური უნარები.

მოსწავლეთა ჩართვა ანალიზის, სინთეზის, იდეების ორგანიზებისა და გადმოცემის პროცესში:

- თუკი მოსწავლეები დისკუსიებში მონაწილეობის საშუალებით თუ წერილობითი გზით გამოთქვამენ აზრს ან გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი აქტიური მკითხველები არიან და აქვთ წაკითხულის გააზრების უნარი. ეს კი კრიტიკული აზროვნების (ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარების) ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენს.

მოსწავლეთა მიბრუნება წაკითხულ ტექსტთან, საკითხების დაზუსტება, ტექსტში ჩაღრმავება:

- ტექსტის ხელახლა წაკითხვა და გააზრება მოსწავლეებს საშუალება აძლევს, უფრო ზედმიწევნით, დეტალურად და ღრმად გაიაზრონ წაკითხული. ასევე სასარგებლო იქნება, თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს მრავალფეროვან ზეპირ და წერით აქტივობებში მონაწილეობას. ამ გზით წაკითხული ტექსტის შინაარსი მოსწავლეებისთვის ბევრად უფრო გამჭვირვალე და ადვილად გასაგები გახდება.

მოსწავლეთა ხელშეწყობა, რომ მათ კავშირები დაამყარონ ადრეულ ცოდნასა და გამოცდილებას და ახლად შეძენილ ცოდნას (ინფორმაციას) შორის:

- კითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი და მისი დამაგვირგვინებელი ეტაპია, როცა მკითხველი ამყარებს კავშირს წაკითხულ ტექსტსა და პირად ან ლიტერატურულ გამოცდილებას, ასევე რეალურ ცხოვრებას შორის. ამიტომ, კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა დაგვემოს აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს ცოდნის ინტეგრირებისა და სინთეზირების უნარების განვითარებაში დაეხმარება. ამ გზით მოსწავლეები შეძლებენ გაიმდიდრონ საკუთარი ენობრივი გამოცდილება და გაიღრმავონ ცოდნა ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რაზეც შემდგომში ისინი ააგებენ ახალ ცოდნასა და გამოცდილებას.

მეთოდოლოგიური მიდგომები კითხვის სწავლებაში

როგორც ცნობილია, კითხვის საბოლოო მიზანი არის **ნაკითხულის გააზრება**. უპირველესად სწორედ ამ მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებდეს გაკვეთილზე დაგეგმილი ყველა საკითხავი აქტივობა.

რადგანაც საბაზო საფეხურის მოსწავლე ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული, როგორც სრულფასოვანი მკითხველი, საჭიროა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე კვლავ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სპეციალური მეთოდური მიდგომების გამოყენებას კითხვისთვის საჭირო სააზროვნო უნარების განვითარებისა და სტრატეგიების სწავლების მიზნით.

შეგვიძლია გამოვკვეთოთ, თუ რითი ხასიათდება კითხვის მიმართულებაზე მუშაობა საბაზო საფეხურზე: სწავლების ამ ეტაპზე თანდათანობით უნდა გაძლიერდეს დამოუკიდებელი კითხვის კომპონენტი, რაც ასევე გულისხმობს კითხვის დასრულების შემდეგ ერთმანეთისათვის საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების გაზიარების შესაძლებლობას საკლასო ან მცირე ჯგუფებში გამართულ დისკუსიებში მონაწილეობის გზით.

ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რამდენიმე ძირითად მიდგომაზე კითხვის სწავლებაში. მასწავლებელს თავისუფლად შეუძლია ამ მიდგომების მოდიფიცირება, ინტეგრირება ან კომბინირება კითხვის მიზნის შესაბამისად, ასევე მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე. ეს მიდგომებია:

დამოუკიდებელი კითხვა

ეს მიდგომა არ გულისხმობს მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული ან საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებული დასამუშავებელი ტექსტების დამოუკიდებლად ნაკითხვას. მისი საშუალებით მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავად შეარჩიონ საკითხავი მასალა საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ასევე იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ტექსტებს, რომელ ჟანრს ან თემატიკას ანიჭებენ უპირატესობას. ამავდროულად, მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მიეცეთ საშუალება, გამოხატონ თავიანთი დამოუკიდებულება ნაკითხულის მიმართ და მოისმინონ სხვათა შეფასებებიც.

დამოუკიდებელი კითხვის ორგანიზების ფორმები სხვადასხვაგვარია. ეს შეიძლება მოხდეს გაკვეთილზე, როდესაც მოსწავლეები ჩუმად, უწყვეტად კითხულობენ შეთავაზებულ ან მათთვის სასურველ ტექსტებს. მას ასევე შეიძლება მიეცეს საშინაო დავალების ან კითხვის სემინარების სახეც (იხ. ქვემოთ).

მართული კითხვა

დამოუკიდებელ კითხვასთან ერთად საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ასევე უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მართული კითხვის, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომის, გამოყენება. ამ დროს მასწავლებელი საკუთარ თავზე იღებს ნაკითხულ ტექსტთან დაკავშირებული განხილვებისა და დისკუსიების წარმართვას. მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად მუშაობენ ტექსტზე სხვადასხვა მიმართულებით. ისინი:

- ✓ უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ დამოკიდებულებებს კონკრეტული ტექსტის მიმართ, უსმენენ და აფასებენ სხვათა მოსაზრებებს;
- ✓ კითხვის დასრულებამდე წინასწარ ჭვრეტენ და აკეთებენ პროგნოზს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ან როგორ შეიძლება დასრულდეს ამბავი;
- ✓ საკითხავ ტექსტს აკავშირებენ ადრე წაკითხულთან და მსჯელობენ, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის, ადარებენ და/ან უპირისპირებენ ერთმანეთს ავტორთა ენას, სტილს, შეფასების საფუძველზე აკეთებენ არჩევანს და ცდილობენ ახსნან, რატომ მოეწონათ უფრო ერთ-ერთი მათგანი;
- ✓ ამოკრებენ უცნობ სიტყვებს და ადგენენ მათს მნიშვნელობას;
- ✓ განიხილავენ მათთვის საინტერესო ენობრივ-გამოსახველობით სა-შუალებებს, რომლებიც ტექსტში შეხვდათ, მაგალითად, მხატვრულ ხერხებს, ფრაზეოლოგიზმებს, რიტორიკულ ხერხებს და სხვ.;
- ✓ მსჯელობენ, რა გავლენას ახდენს ავტორის ენობრივი არჩევანი და მის მიერ შერჩეული სტილი კითხვის პროცესზე;
- ✓ განიხილავენ სხვადასხვა ტიპის და ჟანრის ტექსტების (მაგალითად, თხრობითი ან აღწერითი ტექსტის, ბიოგრაფიის, ლექსის, პიესის და სხვათა) ძირითად მახასიათებლებს;
- ✓ ამოიცნობენ და განიხილავენ ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვან ელემენტებს, მაგალითად:
 - ავტორის შეხედულებებს, მისი ხედვის კუთხეს და პოზიციას მოვლენების, პერსონაჟების მიმართ;
 - პერსონაჟის შინაგან ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც აისახება მის ქცევაზე;
 - იმ ფსიქოემოციურ და ზნეობრივ ცვლილებებს, რომლებსაც პერსონაჟი განიცდის;
 - განსაკუთრებით მნიშვნელოვან დეტალებს, რომლებიც ეხმარება მკითხველს საკვანძო მომენტების ახსნაში და ა.შ.

საზიარო ან ჯგუფებში კითხვა

ამ მიდგომას მასწავლებლები დანყებით საფეხურზე მიმართავენ მოსწავლეთა თავისუფლად კითხვაში გასავარჯიშებლად, მაგრამ მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია საბაზო საფეხურის პირველ ეტაპზეც. ეს ჯერ კიდევ ის ასაკია, როცა მოსწავლეებს მოსწონთ ერთად კითხვა და, ზოგადად, ერთობლივად მუშაობა. მოსწავლეები წყვილდებიან ან ქმნიან მცირე ჯგუფებს, სადაც ერთმანეთს უკითხავენ, ან მონაცვლეობით კითხულობენ ტექსტს. ეს მიდგომა სასარგებლოა მაშინ, როცა მცირე ჯგუფები ან წყვილები დაკომპლექტებულია განსხვავებული შესაძლებლობებისა და მიღწევების მქონე მოსწავლეებით. ამ დროს შედარებით სუსტი მოსწავლეები მოდელირებისა და გავარჯიშების გზით საგრძნობლად აუმჯობესებენ თავიანთ შედეგებს. წარმატებულ მოსწავ-

ლევს კი საშუალება ეძლევათ, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და, ამავდროულად, ვარჯიშისა და თვითმონიტორინგის საშუალებით უფრო მეტად დაიხვეწონ და განვითარდნენ, როგორც მკითხველები.

საზიარო კითხვა უნდა დასრულდეს საკლასო ან მცირე ჯგუფებში გამართული დისკუსიებით, რაც აუცილებელია კრიტიკული აზროვნების, ასევე მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

კითხვის სემინარი

ეს მიდგომა საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ კლასში ჩამოყალიბდეს თანამოაზრეთა, ანუ მკითხველთა გუნდი. ამ შემთხვევაში მოსწავლეები თავად ირჩევენ და კითხულობენ ტექსტებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, გამოკვეთონ და წარმოაჩინონ საკუთარი ინტერესები, გაიმდიდრონ გამოცდილება. ყველაფერი ეს კი მკითხველს წარმატების მეტ შანსს აძლევს, აძლიერებს მოსწავლის თავდაჯერებულობას და რწმენას საკუთარი თავისადმი.

კითხვის სემინარზე, ჩვეულებრივ, გამოყოფილია **დრო** ხანმოკლე **ინსტრუქტაჟისათვის**, როდესაც მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს გაკვეთილის მიმდინარეობას და აცნობს შესაბამის სტრატეგიებს; **კითხვისათვის**, როდესაც ყველა მოსწავლე დაკავებულია კითხვით და **ურთიერთგაზიარებისათვის**, რომლის დროსაც მოსწავლეები საკლასო ან მცირე ჯგუფებში გამართული დისკუსიების გზით ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ დამოკიდებულებებს მათ მიერ წაკითხული ნიგნების შესახებ.

კითხვის სემინარები ხელსაყრელი საშუალებაა მასწავლებლისათვის, გაიგოს, რა აინტერესებთ მის მოსწავლეებს, დაინახოს თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და ამის მიხედვით დაგეგმოს შემდგომი მუშაობა. ეს მიდგომა საბოლოოდ ორიენტირებულია წარმატებული მკითხველის აღზრდაზე, რომელსაც უყვარს და სიამოვნებს კითხვა და რომელსაც კარგად აქვს განვითარებული კრიტიკული აზროვნების უნარი.

საშუალო საფეხურზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლე უკვე ჩამოყალიბებული მკითხველია. იგი უკვე ფლობს და იყენებს სხვადასხვა სახის ტექსტების გაგება-გააზრებისთვის აუცილებელი სტრატეგიების მთელ რეპერტუარს და სათანადოდ იყენებს მათ. სწავლა-სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლეს უმეტესად უწევს უკვე შეძენილი კომპეტენციების – ენობრივი ცოდნისა და გამოცდილების, უნარ-ჩვევებისა და სწავლის სტრატეგიების – ეფექტურად გამოყენება, ხოლო აქცენტი გადადის უფრო მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე. ეს გულისხმობს ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასების, სინთეზირებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუშაობას, ასევე რეფლექსიური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების საბოლოოდ ფორმირებას მოსწავლეებში.

საშუალო საფეხურზე კითხვის მიმართულება ძირითადად, ეფუძნება **დამოუკიდებელი კითხვის მიდგომას**, რომელსაც თან უნდა ახლდეს მრავალფეროვანი ზეპირმეტყველებითი და წერიტი სასწავლო აქტივობები, მაგალითად, **დისკუსიები, განხილვები, ინსცენირება, აგრეთვე, სხვადასხვა სახის წერილობითი თუ მულტიმედიური ტექსტების შექმნა.**

ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბება

საბაზო საფეხური

როგორც ცნობილია, ტექსტი, როგორც თავისთავადი ღირებულება, არ არსებობს. მას აზრს და მნიშვნელობას მხოლოდ მკითხველი ანიჭებს. მკითხველი არის ის, ვინც დიალოგს ამყარებს იმ იდეებთან, თემებთან, ფასეულობებთან და შეხედულებებთან, რომლებსაც ტექსტში ამოიკითხავს. თითოეული ადამიანი ნებისმიერი ფორმით მონოდედებული ტექსტის კითხვისას თუ გაცნობისას ეყრდნობა საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, უკვე ჩამოყალიბებულ შეხედულებათა სისტემას და ცოდნას, რომელსაც იგი უკვე ფლობს. სწორედ ამიტომ, რამდენადაც უნიკალურია თითოეულ ჩვენგანი თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და შეხედულებებით, იმდენად განსხვავებულია თითოეული ჩვენგანის აღქმა და დამოკიდებულება ნაკითხულის მიმართ. როცა მოსწავლეებს ამ დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გამომხატვის საშუალება ეძლევათ, გაკვეთილი ყველა მონაწილისთვის უაღრესად საინტერესო ხდება, რადგან ამ დროს მათ უკეთ შეუძლიათ დაინახონ მცირედი განსხვავებებიც კი, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ტექსტის გაგებასა და ინტერპრეტაციაში.

ტექსტებზე მუშაობისას აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კომპლექსური სააზროვნო პროცესების გააქტიურებას. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ნაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების, პირადი მიმართების ჩამოყალიბება და გამომხატვა, გაკვეთილზე არაერთი გზის გამოყენება შეიძლება, მაგალითად: ნაკითხულის გარშემო დიალოგების, დისკუსიების, დებატების გამართვა, სხვადასხვა ტიპის წერიტი დავალებების შესრულება, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება საკუთრივ მოსწავლეთა შეხედულებები, ასევე განხილული იქნება განსხვავებული მოსაზრებებიც, ამასთანავე, თვითგამომხატვის ალტერნატიული ფორმების გამოყენება – ხატვა, კოლაჟების, დეკორაციების, კლიპების, ფილმების და ა.შ. შექმნა, ინსცენირება, მხატვრული კითხვა და მრავალი სხვა.

მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, კარგად დაფიქრდნენ, აწონ-დაწონონ, თუ რას ფიქრობენ, რას გრძნობენ ან რა ემოცია გამოიწვია მათში ნაკითხულმა, დააკავშირონ იგი საკუთარ გამოცდილებასა თუ სხვა, მათთვის ნაცნობ ტექსტებთან. შესაბამისი საკლასო აქტივობების წყალობით მოსწავლეები უფრო საფუძვლიანად, სიღრმისეულად იგებენ და გაიაზრებენ ნაკითხულს, ერთგვებიან სხვადასხვა დონის სააზროვნო პროცესებში და უჩინდებათ სურვილი, ნებისმიერი ფორმით გამომხატონ და გაუზიარონ სხვებს თავიანთი ნაფიქრ-ნაგრძნობი.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს მაქსიმალურად მიეცეთ თვითგამომხატვის საშუალება, საჭიროა ისეთი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება გაკვეთილზე, რომ მათ მოახერხონ ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების, შეხედულებებისა და კითხვით გამოწვეული ემოციების განსხვავებული ფორმებით გადმოცემა. ამგვარი მიდგომა მათ ცოდნის გამთლიანებაში ეხმარება, რადგან კითხვასთან ერთად მათ უვითარდებათ ზეპირმეტყველებისა და წერის უნარ-ჩვევები, იძენენ ახალ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მთლიანობაში მათ ენობრივ განვითარებას უწყობს ხელს.

გთავაზობთ საკლასო აქტივობათა ტიპოლოგიას, რომელიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს იმისათვის, რათა მოსწავლეებს ნაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ზეპირი და წერილობითი სახით, ასევე გამოხატვის ალტერნატიული ფორმებით გადმოცემის საშუალება მიეცეთ.

ზეპირი ფორმით გადმოცემული დამოკიდებულებები:

▪ **დისკუსიები მთელ კლასთან ან მცირე ჯგუფებში; აზრების გამოთქმა-გაზიარება.** ამ დროს მოსწავლეები სრული სისავსით ახერხებენ გამოთქვან აზრი, გადმოსცენ საკუთარი ემოციები და დამოკიდებულებები ნაკითხული მიმართ. მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ასეთ დისკუსიებში მაქსიმალურად ჩაერთოს თითოეული მოსწავლე.

▪ **მხატვრული კითხვა.** იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უფრო კარგად იგრძნონ, რეალურად გაითავისონ ნაკითხული ტექსტი, მათ შეუძლიათ შეარჩიონ რომელიმე ეპიზოდი ან მონაკვეთი და კლასის წინაშე მოაწყონ მხატვრული კითხვა ინდივიდუალურად ან წყვილებში. აქტივობისთვის მზადების პროცესში მოსწავლეები დაფიქრდებიან და განიხილავენ ერთმანეთთან, მაგალითად, როგორი ხმა, დიქცია ან გამომეტყველება შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ პერსონაჟს და რატომ. ეს კი, ბუნებრივია, აიძულებს მათ, უფრო კარგად ჩაუღრმავდნენ ტექსტს.

▪ **რეცენზირება.** მოსწავლეებს შეუძლიათ მოამზადონ რეცენზია ნაკითხულ წიგნსა თუ მოთხრობაზე და ზეპირი მოხსენების სახით წარმოადგინონ კლასის წინაშე. ეს დაეხმარება თითოეულ მოსწავლეს, გაიაზროს, რაზე დააფიქრა ნაკითხულმა, კითხვისას რამ იმოქმედა მასზე ყველაზე მეტად და რატომ არის სასურველი, რომ სხვებმაც წაიკითხონ ეს ნაწარმოები.

წერილობითი ფორმით გადმოცემული დამოკიდებულებები:

▪ **პირადი გამოხმაურება,** იგივე **პირადი დამოკიდებულების ამსახველი ესე** ყველაზე კარგად წარმოაჩენს მკითხველისა და ტექსტის ურთიერთობას, კავშირს ნაკითხულ ტექსტში გადმოცემულ იდეებს, დამოკიდებულებებსა და მკითხველის შეხედულებებს, ღირებულებებსა და გამოცდილებას შორის. სასურველია, რომ დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეებმა საკუთარი ნაშრომები განიხილონ მცირე ჯგუფებში, სადაც თითოეულ მათგანს მიეცემა შესაძლებლობა, გაუზიაროს თანაკლასელებს საკუთარი ნააზრევი, ისაუბროს და ჩამოაყალიბოს საკუთარი დამოკიდებულება ტექსტისადმი. ისინი აღმოაჩენენ მსგავსებებსა და განსხვავებებს ერთმანეთის ნააზრევში და შეეცდებიან გაარკვიონ, რატომ ემთხვევა ან არ ემთხვევა მათი შეხედულებები ერთმანეთს.

▪ **ტექსტის რეზიუმე** ასევე კარგად ასახავს, თუ რა დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა მკითხველს ნაკითხულის მიმართ და როგორია მისი ხედვის კუთხე ტექსტში ასახულ პრობლემატიკასთან, იდეებთან, შეხედულებებსა და ღირებულებებთან მიმართებით.

▪ **ახალი ტექსტის შექმნა.** მოსწავლეებს შეუძლიათ შეთხზან სხვადასხვა სახის წერილობითი (მაგალითად, ლექსი, ჩანახატი, ნოველა და ა.შ.) ან სხვა ფორმით გადმოცემული ტექსტები (მაგალითად, ნახატი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი და ა.შ.), რათა გამოხატონ საკუთარი

დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ. ასეთი ტექსტების შექმნის მთავარი მიზანი, ძირითადად, მკითხველში იმ ემოციის გამოწვევაა, რომელიც თავად მკითხველს დაებადა კითხვის დროს. წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გადმოცემის ეს გზა განსაკუთრებით უწყობს ხელს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

▪ **მოსწავლე მწერლის ადგილზე.** ტექსტებზე მუშაობისას, სასურველია, რომ მასწავლებელმა ზოგჯერ წაახალისოს მოსწავლეები, რომ მათ მწერლის ადგილზე წარმოიდგინონ თავი და შეავსონ ტექსტი გარკვეული მონაკვეთებით, დიალოგებით, ასევე შეცვალონ მისი დასასრული. მაგრამ იმისათვის, რომ მათ მიერ შეთხზული ტექსტები ისევე კარგად იკითხებოდეს და ისევე საინტერესო იყოს, როგორც თავად მწერლის მიერ დაწერილი ნაწილი და ორგანულად ეთავსებოდეს ორიგინალურ ტექსტს, მანამდე საჭიროა, რომ კითხვისას მოსწავლეები ყურადღებით დააკვირდნენ მწერლის ენას, მის მიერ გამოყენებულ ენობრივ-გამოსახველობით საშუალებებს, ნაწარმოების სტილურ თავისებურებებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მოსწავლეებს შეასრულონ დავალება ისე, რომ არ დაარღვიონ ნაწარმოების მთლიანი ქარგა.

▪ **მსგავსი ამბის გახსენება.** მოსწავლეებს შეუძლიათ გაიხსენონ და დაწერონ ყველაფრის შესახებ, რაც ტექსტში წაკითხულს უკავშირდება. ეს შეიძლება იყოს საკუთარი გამოცდილება, თავს გადახდენილი მსგავსი ისტორია, ასევე სხვებისგან გაგონილი, წაკითხული ან ნანახი თავგადასავლები. ამ გზით მოსწავლეები უფრო ყურადღებით კითხულობენ ტექსტს, აკვირდებიან თითოეულ ეპიზოდს თუ დეტალს, ცდილობენ პირადად განიცადონ ყველაფერი, რაც პერსონაჟის თავს ხდება. წერისას კი ისინი ცდილობენ გაამდიდრონ საკუთარი ნაწერი საჭირო დეტალებით, ასევე ენობრივი გამომსახველობითი საშუალებებით, რათა ნაწერი უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს მკითხველისთვის. ყოველივე ეს კი მოსწავლეებს ეხმარება არა მხოლოდ წაკითხული ტექსტის გაგება-გაზრებაში, არამედ ახალი ენობრივი გამოცდილების შექმნაში, თვალსაწიერის გაფართოებასა და წარმოსახვის უნარის განვითარებაში.

პირად გამოცდილებაზე როცა ვსაუბრობთ, ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ, რომ მოსწავლეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გამოცდილი ტექსტში აღწერილის მსგავსი ისტორია. ამის მოლოდინი არც მასწავლებელს უნდა ჰქონდეს. მაგალითად, კონკრეტული მოთხრობა შესაძლებელია ასახავდეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდს და მასში მოთხრობილი იყოს რთულ ვითარებაში პერსონაჟის მიერ გამოჩენილი სიმამაცის შესახებ. მოსწავლეთაგან ძალიან ცოტა შეიძლება იყოს ისეთი, ვისაც თავისი თვალთ უნახავს ომი ან პირადად საკუთარ თავზე გამოუცდია ომთან დაკავშირებული ამბები, მაგრამ ალბათ ყველა მოსწავლე გამხდარა გამბედავი საქციელის შემსწრე თავის ცხოვრებაში. ბუნებრივია, მოსალოდნელია, რომ განსხვავებული იყოს თავად სიტუაცია, ისევე როგორც სიმამაცის გამოვლინების ხარისხი, მაგრამ „სიმამაცის“, როგორც ეთიკური ცნების, გაგება ყველასათვის ერთია.

ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს მოსწავლეებს, დაწერონ სიტუაცია, სადაც ისინი ვინმეს სიმამაცის, გამბედაობის მონმენი გამხდარან. საკუთარი გამოცდილების გაზიარება, შემდეგ ამაზე საუბარი და

მსჯელობა ეხმარება მოსწავლეებს, უკეთ ჩასწვდნენ ავტორის სათქმელს, ტექსტის იდეას.

ტექსტის იდეის გასააზრებლად, აგრეთვე, შესაძლებელია მოსწავლემ მოიყვანოს საპირისპირო მაგალითიც, მაგალითად, აღწეროს სიტუაცია, სადაც ვიღაცამ კონკრეტულ მომენტში სიმბდალე გამოიჩინა და სწორედ ამ ხერხით გამოეხმაუროს ავტორის სათქმელს. ამგვარი ოპოზიციური სიტუაციის აღწერა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს გააგებინოს მსმენელს/მკითხველს, როგორ ჯობდა მოქცეულიყო ეს ადამიანი მოცემულ სიტუაციაში. საკითხის წარმოჩენის ამგვარი პერსპექტივა, რომელიც ავტორის სათქმელის ერთგვარ ანტითეზის წარმოადგენს, ასევე ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის იდეის ჯეროვნად გააზრებაში.

ტექსტის კრიტიკული ანალიზი

მოსწავლე ტექსტთან ურთიერთობის უფრო მაღალ დონეზე ინაცვლებს, როდესაც იგი წაკითხული ტექსტის მიმართ წმინდად პირადი და ემოციური დამოკიდებულებიდან მის უფრო კრიტიკულად და ანალიტიკურად გააზრებაზე გადადის. როდესაც მოსწავლე კრიტიკულად განიხილავს ტექსტს, ამ დროს იგი საკუთარი მტკიცებებისა და მოსაზრებების გასამყარებლად ყოველთვის ცდილობს დაეყრდნოს თავად ტექსტს. მას მოჰყავს შესაბამისი ციტატები, მოიხმობს კონკრეტულ ეპიზოდებს ან განიხილავს მის ცალკეულ ასპექტებს – საყრდენ სიტყვებსა და ფრაზებს, მხატვრულ ხერხებს, ავტორის ენას და ა.შ.

მოსწავლეებს მოსწავლეების შესამზადებლად შეუძლია დასვას საცდელი კითხვები, მაგალითად, ასეთი:

- თქვენ ამბობთ, რომ ამ მოთხრობამ სევდიან განწყობაზე დაგაყენათ. შეგიძლიათ დაასახელოთ, კონკრეტულად რომელმა ეპიზოდმა გამოიწვია თქვენში ეს გრძნობა?
- რა სიტყვები შეარჩია ავტორმა იმისათვის, რომ მკითხველის სევდა გამოეწვია?
- რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი ამისათვის?
- ახდენს თუ არა მკითხველზე გავლენას ავტორის მიერ შერჩეული მოქმედების ადგილი, ან თუნდაც დღის მონაკვეთი, როდესაც კონკრეტული მოვლენები ვითარდება?
- რა შეგვიძლია ვისწავლოთ ამ მოთხრობიდან? როგორ ფიქრობთ, ცხოვრებაში შეიძლება თუ არა გამოგადგეთ აქ მოთხრობილი ამბავი? და ა.შ.

მოსწავლეებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ წაკითხულით გამოწვეული პირადი ემოციები, დამოკიდებულებები თუ მოსაზრებები განსხვავდება ტექსტის ინტერპრეტაციისაგან. ადამიანის განწყობა და წაკითხულით გამოწვეული ემოციები იმდენად პირადულია, რომ ყოველთვის არც არის აუცილებელი მათი დასაბუთება ტექსტიდან მოხმობილი მაგალითებით ან არგუმენტებით. ინტერპრეტაცია კი, პირიქით, ტექსტის დაკვირვებით შესწავლისა და განხილვის საფუძველზე ჩამოყალიბებულ აზრს ეფუძნება.

ტექსტის ინტერპრეტირებისათვის მოსწავლეებს სჭირდებათ ლოგიკური მსჯელობის, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამოყენება. მოსწავლეები აქტიურად უნდა ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ასეთ აქტივობებზეად შეიძლება განვიხილოთ, მაგალითად,

- **ნაწარმოების წაკითხვა მწერლის თვალთ**, როდესაც მოსწავლე ყურადღებით აკვირდება და სწავლობს ავტორის წერის მანერას, სტილს, მის მიერ გამოყენებულ ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს;

- **ავტორის მიბაძვა** – წერისას ავტორის სტილის გამოყენება;

- **ტექსტის შეცვლა** – დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, ტექსტის გადაწერა სხვა ჟანრში;

- **მართულ დისკუსიებში მონაწილეობა** – როდესაც მასწავლებელი წინასწარ არჩევს განსახილველ საკითხებს, რომლებიც მოსწავლეებს ტექსტის კრიტიკულად გააზრებაში დაეხმარება;

- **შედარება** – მსგავსება – განსხვავებების პოვნა და გაანალიზება, მაგალითად, ორ პერსონაჟს, ორ ტექსტს, ორ მოვლენას და ა.შ. შორის.

კრიტიკული ანალიზი (გააზრება და შეფასება) არის მკითხველის ინტერაქცია ტექსტის იდეურ მხარესთან, მის მთავარ სათქმელთან და არა მასში გადმოცემულ ინფორმაციასთან. ეს არ არის სიუჟეტის მოკლე შინაარსი ან მკითხველის ზედაპირული თუ ემოციური რეაქცია წაკითხულ ტექსტზე. კრიტიკული ანალიზი გულისხმობს ტექსტის ღრმა ანალიზს. ამ დროს მკითხველი ყურადღებას ამახვილებს და ცდილობს პასუხი გასცეს, მაგალითად, შემდეგ კითხვებს:

- რა არის ტექსტის დედააზრი და როგორ, რა საშუალებებით არის იგი რეალიზებული?
- რა ხერხებს იყენებს ავტორი პერსონაჟების დასახასიათებლად?
- როგორია მწერლის ენა, უმეტესად რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს იგი და რა მიზნით?
- იძლევა თუ არა ტექსტი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას? როგორ აღწევს ავტორი ამას? და ა.შ.
- კრიტიკული ანალიზი ასევე გულისხმობს ტექსტის გააზრებას კონტექსტში. მოსწავლე უნდა დაფიქრდეს და პასუხი გასცეს, მაგალითად, შემდეგ კითხვებს:
- რა ადგილი უკავია მოცემულ ტექსტს თავისი ეპოქის მწერლობაში? მთლიანად ეროვნულ/მსოფლიო სამწერლობო ტრადიციაში?
- არის თუ არა ავტორი თავისი ქვეყნის კულტურული ტრადიციის გამგრძელებელი?
- არის თუ არა ეს ტექსტი რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის (მაგალითად, რომანტიზმის ან სიმბოლიზმის) კლასიკური ნიმუში?
- რამდენად ეხმიანება იგი მანამდე შექმნილ ან მის თანამედროვე ტექსტებს და რა მსგავსება ან განსხვავებაა მათ შორის?

- ასახავს თუ არა ეს ტექსტი იმ ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც შეიქმნა? მისთ.

ასევე გთავაზობთ რამდენიმე სანიმუშო საყრდენ კითხვას, რომლებიც მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად უნდა გასცენ პასუხი ტექსტის კრიტიკულად გასაანალიზებლად. ეს კითხვებია:

- რამ შთააგონა ავტორს ამ ნაწარმოების შექმნა? (თემა, იდეა, პრობლემა)
- როგორია ტექსტის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი?
- რისი თქმა სურს ავტორს მკითხველისათვის?
- როგორია ავტორის ხედვის კუთხე / რა პოზიციიდან განიხილავს ავტორი კონკრეტულ საკითხს?
- რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი თავისი პოზიციის გამოსახატავად / სათქმელის გადმოსაცემად? აღწევს თუ არა იგი საკუთარ მიზანს?
- შეიცავს თუ არა ტექსტი ურთიერთსაპირისპირო, წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს? რა არის ამის მიზეზი?
- რომელ საკვანძო მომენტებს გამოყოფდით ტექსტში? რატომ მიიჩნევთ მათ მნიშვნელოვნად? რა ფუნქციას ასრულებენ ეს ეპიზოდები ტექსტში?
- დაგეხმარათ თუ არა წაკითხული რომელიმე სხვა ტექსტის (წიგნის), ფილმის გაგებაში, ან რაიმე საკითხის გარკვევაში?
- შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ რაიმე მაგალითი რეალური ცხოვრებიდან, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს ან, პირიქით, უარყოფს ტექსტის ძირითად სათქმელს? მისთ.

ბუნებრივია, კითხვების შინაარსი და რაოდენობა შეიცვლება თავად დასამუშავებელი ტექსტის ტიპის, მისი მოწოდების ფორმის (მაგ., ბეჭდური, ელექტრონული, მულტიმედია) და ჟანრის გათვალისწინებით.

საშუალო საფეხური

საშუალო საფეხურზე გადასვლისას მოსწავლეები უკვე ჩამოყალიბებული მკითხველები არიან. ამიტომ, მათ შედარებით უფრო რთულ ტექსტებთან უნევთ ურთიერთობა. საფეხური დამამთავრებელ ეტაპზე შესასწავლი და დასამუშავებელი ტექსტები თანდათან უფრო კომპლექსური და მრავალპლანოვანი ხდება. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ამ ტექსტების არა მხოლოდ შინაარსობრივი მხარის გაგება-გააზრება, არამედ მათი გაანალიზება კონტექსტში, ინტერტექსტუალური კავშირების, ასევე ქვეტექსტურ და მეტაფორულ დონეებზეც.

სწავლა-სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რომ: ა) მკითხველი გააზრების პროცესის აქტიური მონაწილეა და არა ინფორმაციის პასიური მიმღები; ბ) მკითხველის აზრი უნიკალურია, რადგან მას თითოეული მკითხველი ხელახლა ქმნის და აყალიბებს საკუთარ გონებაში. კარგი მკითხველისთვის ცნობილია, რომ კითხვა ორმხრივი პროცესია, ეს არის ინტერაქციის შედეგი

მკითხველსა და ტექსტს შორის. აზრი კი მხოლოდ მაშინ იბადება, როდესაც ერთმანეთს კვეთს ორი შემხვედრი პროცესი – ის, რაც მკითხველის აღქმაში იბადება და ის, რასაც ავტორი სთავაზობს მკითხველს.

ნაკითხულის განზოგადება

ნაკითხულის სათანადოდ გაანალიზების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ტექსტის მთავარი იდეის, მასში წამოჭრილი საკითხებისა და პრობლემების განზოგადება.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიაზრებენ ნაკითხულს სუბიექტურ (ემოციურ-ინტელექტუალურ) დონეზე, მათ უნდა შეძლონ, რომ გასცდნენ ემოციურ შეფასებებს, პირად შეხედულებებს, პრობლემების გაანალიზებას საკუთარ ღირებულებათა ჭრილიდან და მოახერხონ ტექსტში ასახული თემების, იდეებისა და პრობლემატიკის განხილვა უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო დონეზე. მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია ტექსტში წამოჭრილი საკითხები და პრობლემები არა მხოლოდ ავტორისათვის ან რომელიმე კონკრეტული მკითხველისთვის, არამედ, ზოგადად, ადამიანებისათვის, და თუ ასეა, – რატომ. მოსწავლეები გაანალიზებენ, თუ რა ნიშნით არის ამა თუ იმ ნაწარმოების თემა უნივერსალური, რა თვალსაზრისით ასახავს იგი საზოგადო პრობლემებს და რამდენად ეხმიანება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

ასეთი ანალიზის დროს მოსწავლეს, რა თქმა უნდა, შეუძლია შეაფასოს ავტორის შეხედულებები და დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მათ. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ არ არის აუცილებელი, რომ მოსწავლემ აუცილებლად გაიზიაროს ავტორის ხედვის კუთხე.

ტექსტი და კონტექსტი

ნაკითხულის გააზრების პროცესში ტექსტი და კონტექსტი განუყოფელია ერთმანეთისაგან და ისინი დამოუკიდებლად არ არსებობენ. ეს იგივეა, რომ წინადადებაში ამოვიკითხოთ ცალკეული სიტყვები, გავიგოთ მათი მნიშვნელობა, მაგრამ არ აღვიქვათ იგი მთლიანობაში. მხოლოდ ტექსტისა და კონტექსტს შორის არსებული კავშირის საფუძველზე შეუძლია მკითხველს, გამოიტანოს აზრი ნაკითხულიდან.

ნებისმიერი ჟანრისა და ფორმის მხატვრულ ნაწარმოების კითხვისას მკითხველი, ბუნებრივია, მთელი ყურადღება გადააქვს ამ კონკრეტულ ტექსტზე და ცდილობს მის კარგად გაგებასა და გაანალიზებას. მაგრამ ფაქტია, რომ ტექსტები არ იქმნება ვაკუუმში და წარმოუდგენელია, რომ ისინი მხოლოდ თავისთვის, განყენებულად არსებობდნენ. მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას იმაზე, თუ რას, რატომ და როგორ წერს ავტორი ტექსტს. თუკი მკითხველი არ ითვალისწინებს ამ ფაქტორებს, ცხადია, იგი სრულყოფილად ვერასდროს გაიგებს და გაიაზრებს მას. საჭირო ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში კი, პირიქით, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა დაინახოს მთლიანი სურათი და აღიქვას ტექსტი, როგორც ორგანული ნაწილი ამ მთლიანობისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკითხველი ტექსტს კონტექსტში აღიქვამს.

არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც მოსწავლეს წაკითხული ტექსტის კონტექსტში გააზრების საშუალებას აძლევს. მათგან შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი:

- რა კავშირი არსებობს **ავტორის ცხოვრებასა** და ტექსტში ასახულ მოვლენებს შორის;
- რა ადგილი უკავია ამ კონკრეტულ ტექსტს **ავტორის შემოქმედებაში**;
- რამდენად ასახავს ეს ტექსტი იმ **ისტორიულ პერიოდს** და /ან **გეოგრაფიულ ადგილს**, რომელშიც ის შეიქმნა;
- წარმოადგენს თუ არა ეს ტექსტი თავისი **ჟანრის, ლიტერატურული მიმდინარეობის** ან მის **თანამედროვე** მწერლობაში გავრცელებული **სტილის** ნიმუშს;
- როგორ აისახება იმ დროის ან ლოკაციის შესაფერისი **ენა** ტექსტში;
- რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მკითხველზე, მის მიერ ტექსტის **აღქმაზე** სხვა მკითხველის ან კრიტიკოსის მიერ გამოთქმულმა აზრებმა და შეფასებებმა.

კონტექსტზე საუბრისას გასათვალისწინებელია, რომ მისი გააზრება უნდა მოხდეს ორ სიბრტყეზე, რაც დაეხმარება მოსწავლეს სრულფასოვანი ენობრივი და ლიტერატურული გამოცდილებას შეძენაში:

1. მოსწავლემ ტექსტი უნდა გაიაზროს საკუთრივ მოცემული ისტორიული ეპოქის, სოციალურ-კულტურული თავისებურებების, ასევე ლიტერატურული პერიოდის გათვალისწინებით. მან უნდა მოიძიოს არა მხოლოდ მშრალი ინფორმაცია, მხოლოდ ფაქტები ისტორიიდან, არამედ გაეცნოს იდეოლოგიურ და რელიგიურ ფონსაც, სოციალურ თუ ეთიკურ პრობლემებს, რომლებსაც შეეძლო შთაეგონებინა იმდროინდელი ავტორები ან გავლენა მოეხდინა მათს შემოქმედებაზე. თუმცა, ცნობილია, ეს პროცესი ცალმხრივად არ მიმდინარეობს. თავად ლიტერატურულ ნაწარმოებსაც შეუძლია გვითხრას ბევრი რამ იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების, შეხედულებებისა და პრობლემების შესახებ, დაგვანახოს ისეთი ნიუანსები, რომლებსაც ვერც ერთი ისტორიული წყაროდან ან საენციკლოპედიო სტატიიდან ვერ ამოვიკითხავთ.

2. ეროვნული ლიტერატურის შესწავლისას მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს, ტექსტის თემატიკა გაიაზროს არა მხოლოდ ამ კონკრეტული ტექსტის ან ავტორის შემოქმედების ჩრჩილში, არამედ განიხილოს იგი მთლიანად ქართული ლიტერატურის კონტექსტში, გაავლოს პარალელები სხვა ეპოქაში შექმნილ ქართველ ავტორთა ნაწარმოებებთან. გარდა იმისა, რომ ამ გზით მოსწავლეები ეჩვევიან თემებისა და პრობლემების სიღრმისეულად გაანალიზებას განსხვავებული პერსპექტივიდან, ისინი ამავე დროს იღრმავებენ ცოდნას სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების, აგრეთვე, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების შესახებ.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის შესავალში, სა-

ბაზო საფეხურის დახასიათებაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ მისი დასრულებისას მოსწავლეს უნდა შეეძლოს სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოკვეთილი პრობლემატიკის ერთმანეთთან დაკავშირება, შედარება და შეპირისპირება“. ამ მიზნის მიღწევის საშუალებები სტანდარტის კონკრეტულ შედეგებშია ასახული:

კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგებთან
საბაზო საფეხური
<p>ქართ.VII. 7.მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართსაკუთარი დამოკიდებულების გამოსატყვობა და ახსნა.</p> <p>ქართ.VIII. 5.მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავს გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხზე.</p> <p>ქართ.IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოსატყვობა.</p>

ქართული ენისა და ლიტერატურის IX კლასის პროგრამის შინაარსში ვკითხულობთ: „სასურველია, სახელმძღვანელოში შევიდეს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც მოზარდთათვის თვალსაჩინოს გახდის ლიტერატურაში ასახული კონკრეტული პრობლემის სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში, სხვადასხვაგვარად გააზრების აუცილებლობას...“

საშუალო საფეხურის ზოგად დახასიათებაში კი მითითებულია, რომ მოსწავლეს უნდა შეეძლოს „ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის აღქმა-გააზრება“.

XI კლასის პროგრამის შინაარსის მოთხოვნაა, რომ სწავლების ამ ეტაპზე შეირჩეს ისეთი ლიტერატურული მასალა, რომ „მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა პერიოდის ტექსტების გაანალიზება და შედარება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით, აგრეთვე, გააცნობიეროს, თუ რა თემები, იდეები და პრობლემებია დამახასიათებელი ამა თუ იმ ეპოქისათვის, რა გავლენას ახდენს კონკრეტული ეპოქა ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემის გადაჭრის გზებზე, რა ღირებულებებისა და ფასეულობების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს ეს პრობლემები“.

საგულისხმოა შემდეგი ჩანაწერიც: „ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად სასურველია უცხოური ლიტერატურის (როგორც პოეზიის, ისე

პროზის) იმ ნიმუშების წარმოდგენაც, რომლებიც იმავე ეპოქაშია შექმნილი და ტიპოლოგიისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით ახლოს დგას სწავლების ამ ეტაპისათვის შერჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებთან“.

XII კლასის პროგრამის შინაარსის მოთხოვნა კი შემდეგია: „თუ XI კლასში მოსწავლეს საშუალება ჰქონდა შეესწავლა, გაეანალიზებინა და შეედარებინა სხვადასხვა პერიოდის შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით, XII კლასში იმავე საქმიანობას ის ახორციელებს სხვადასხვა პერიოდის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების საფუძველზე. მან უნდა იკვლიოს და გააანალიზოს მსგავსი ან ერთნაირი პრობლემა სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ტექსტებში, კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტში განვითარებულ კონფლიქტსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე“.

კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგებთან:
საშუალო საფეხური
ქართ. X. 9. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.
ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.
ქართ. XII. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.
ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.
ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

ტექსტი და ინტერტექსტი

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამა სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოსწავლეებს სთავაზობს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს, რომელიც აერთიანებს ქართული მწერლობის განსაკუთრებით ფასეულ ნიმუშებს. ცხადია, მოსწავლეები დეტალურად და სიღრმისეულად შეისწავლიან ამ ნაწარმოებებს. თუმცა, ამავე საგნობრივ პროგრამაში თავისუფალი არჩევანისთვისაც რჩება ადგილი და, სასურველია, თუ არჩევანის გაკეთებაში მოსწავლეებიც მიიღებენ მონაწილეობას სახელ-

მძღვანელოების ავტორებთან და მასწავლებლებთან ერთად. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, დამოუკიდებლად მოიძიონ, წაკითხონ და დაამუშაონ როგორც საინფორმაციო ხასიათის ტექსტები, ისე სხვადასხვა ეპოქაში მშობლიურ ენაზე შექმნილი თუ უცხოურიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებებიც, რომლებიც თემატურად და/ან ჟანრობრივად უკავშირდება პროგრამით გათვალისწინებულ მასალას.

სწავლების საშუალო საფეხურზე კი განსაკუთრებით სასურველია, თუ მოსწავლეებს შეთავაზებთ შედარებით რთულ, მრავალპლანიან, პოლიჟანრულ ტექსტებზე მუშაობას, რომლებიც მათგან გარკვეული კულტურული და სოციალური კომპეტენციების გამოყენებასა და კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა შორის **ინტერტექსტუალური ანალიზისა** და სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ერთმანეთთან შედარების საწყისი უნარ-ჩვევები გამომუშავებას.

რა არის ინტერტექსტუალიზმი?

ფართო გაგებით, ინტერტექსტუალიზმი არის ტექსტის (მხატვრულს, არამხატვრულს, სოციალურს) მოხმობა ან გამოყენება სხვა ტექსტში. ინტერტექსტუალიზმი თანამედროვე კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებაა. მხატვრულ ლიტერატურაში ინტერტექსტუალობა გულისხმობს იმგვარ კავშირს ნაწარმოებებს შორის, როცა ერთი მათგანი ეხმიანება სხვა ნაწარმოებს სათაურით, პერსონაჟ(ებ)ით, მოქმედების დროითა და ადგილით ან სიუჟეტით. ინტერტექსტუალიზმის ფორმებია: ციტირება, პაროდია, ალუზია, პოპური და ა.შ.

ტერმინი ინტერტექსტუალიზმი პირველად გამოიყენა იულია კრისტევა, ფრანგმა ლიტერატურის მკვლევარმა 1967 წელს. ინტერტექსტუალიზმის კლასიკური განმარტება ეკუთვნის ფრანგ ლიტერატურათმცოდნეს, კრიტიკოს რ. ბარტს: „თითოეული ტექსტი ინტერტექსტია. მასში სხვადასხვა დონეზე, მეტნაკლებად ამოცნობადი ფორმითაა ასახული სხვა ტექსტები – წინამავალი კულტურისა და გარემომცველი კულტურის ტექსტები. თითოეული ტექსტი წარმოადგენს ახალ ქსოვილს, რომელიც მოქსოვილია ძველი ციტატებისაგან. კულტურული კოდების, ფორმულების, რიტმული სტრუქტურების ნაგლეჯები, სოციალური იდიომების ფრაგმენტები და ა.შ. – ტექსტში ეს ყველაფერი შთანთქმულია და ერთმანეთშია შერეული, რადგანაც ენა მუდამ არსებობს როგორც ტექსტის შექმნამდე, ისე ტექსტის გარშემო. ინტერტექსტუალიზმი, როგორც ნებისმიერი ტექსტის წინაპირობა, არ შეიძლება დავიყვანოთ წყაროებისა და გავლენების პრობლემამდე: იგი წარმოადგენს საერთო ველს ანონიმური ფორმულებისა (რომელთა წარმოშობის დადგენა იშვიათ შემთხვევებშია შესაძლებელი), ასევე არაცნობიერი ან ავტომატური ციტატებისა, რომლებიც ბრჭყალების გარეშეა მოცემული“.

ავტორი შესაძლოა დაეყრდნოს და გამოიყენოს რომელიმე კონკრეტული ჟანრის ან ლიტერატურული მიმდინარეობის გამოყენებულ ენობრივი ფორმულები, სახე-სიმბოლოები. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული სასულიერო მწერლობა, კერძოდ კი, ჰაგიოგრაფიული თხზულებები,

გაჯერებულია სახარებისეული კლიშეებითა და სახე-სიმბოლოებით. ასევე შეგვიძლია აღვნიშნოთ აღმოსავლური პოეზიის გავლენა ქართულ ე.წ. „აღორძინების ხანისა“ და ადრეული რომანტიზმის პერიოდის პოეზიაზე, მაგალითად, ვარდისა და ბულბულის, პეპლისა და სანთლის („შამფარვანიანი“), შირაზის ვარდის მეტაფორული სახეები და ა.შ. ზოგჯერ მწერალი ასევე ენობრივ რესურსად მიზანმიმართულად იყენებს სხვა ავტორის ენას.

მკითხველისთვის ნაცნობი ენობრივი ვარიაციების, გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ავტორმა შესაძლოა მკითხველში გამოიწვიოს იმ კონკრეტული ეპოქის, სოციალური ფენის ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ასოციაცია, სადაც ასეთი ენით და ენობრივი ფორმებით მეტყველებენ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ აკა მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, სადაც ავტორი იყენებს მე-20 საუკუნის თბილისური მეტყველებას ეპოქის გასაცოცხლებლად. ამავე ნაწარმოებში ინტერტექსტუალობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პლასტია ავტორის მიერ იმდროინდელი პუბლიცისტიკის ენის გამოყენება. შეგვიძლია გავიხსენოთ, აგრეთვე, გიორგი ერისთავის „გაყრა“ ან მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავახო ხიზნები“, რომელთა პერსონაჟების მეტყველება ზუსტად მიანიშნებს მკითხველს მათ ეთნიკურ წარმომავლობასა და სოციალურ წრეზე.

არსებობს ექსპლიციტური (პირდაპირი) და იმპლიციტური (შეფარული) ინტერტექსტუალური კავშირები ტექსტსა და სხვა, მანამდე შექმნილ და/ან მის თანამედროვე ტექსტებს შორის.

ქართულ ლიტერატურაში ექსპლიციტური ინტერტექსტუალიზმის საუკეთესო ნიმუშია, მაგალითად, ჰაგიოგრაფიის უმჭიდროესი კავშირი წმინდა წერილთან (პასაჟების ჩართვა, ციტირება, ალუზიები, ენობრივი ფორმულები, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები). პირდაპირი ინტერტექსტუალური კავშირია, მაგალითად, გურამ დოჩინაშვილის „თავფარავნელ ჭაბუკსა“ და ამავე სახელწოდების ქართულ ხალხურ ბალადას შორის.

ნაკლებად ექსპლიციტურია ინტერტექსტუალური კავშირი გურამ დოჩინაშვილის „სამოსელ პირველსა“ და სახარებისულ იგავს შორის („ძე შეცთომილი“). ამის მაგალითებია: გალაკტიონის „მთანმინდის მთვარე“, რომელიც ინტერტექსტუალურ კავშირშია ნიკოლოზ ბარათაშვილის და აკაკი წერეთლის ლექსებთან („შემოღამება მთანმინდაზედ“ და „განთიადი“), აგრეთვე, ინტერტექსტუალური კავშირი გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანსა“ და ხალხურ ბალადა „მუხრანულს“ („შემომეყარა ყივჩაღი...“) შორის. ავტორი შესაძლებელია შეფარულად ეყრდნობოდეს გავრცელებულ, აღიარებულ შეხედულებებს, იდეებსა და წარმოდგენებს, რომლებიც ხშირად არცკი საჭიროებს კონკრეტული ტექსტის მოხმობას ან ციტირებას. მაგალითად, ტექსტის მიზანი შეიძლება იყოს ადამიანთა მიმართ შემწყნარებლობის, ზოგადად, მოყვასის სიყვარულის, როგორც ღირებულების წარმოჩენა ისე, რომ მასში საერთოდ არ იყოს ნახსენები არ ახალი აღთქმა და არც რომელიმე ქვეყნის კონსტიტუცია.

ინტერტექსტუალიზმის გავრცელებულია ფორმებია, როდესაც ავტორი იყენებს:

- სხვა ტექსტის ან წიგნის სათაურს (მაგალითად, აკა მორჩილაძის მოთხრობა „ამბავი ნურადინ ფრიდონისა“, ან თომას მანის რომანის სათაური „იოსე-

ბი და მისი ძმები“, რომელიც პირდაპირ არის აღებული ძველი აღთქმიდან);

- პირდაპირ გადმოჰყავს მთავარი პერსონაჟი სხვა ნაწარმოებიდან, ან იყენებს მის სახელს ან ხასიათის ზოგიერთ ნიშანს. მაგალითად, აკა მორჩილადის მოთხრობების კრებულში „ნიგნი“ ვხვდებით არაერთ პერსონაჟს ქართული და უცხოური ლიტერატურიდან, მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძეს, ვარსკენ პიტიახშს, დოქტორ უოტსონს და ა.შ. ამ შეთხვევაში ავტორი არ იმეორებს სიუჟეტებს და იგი ამ პერსონაჟებს იყენებს ახალი ტექსტის შესაქმნელად.

- სხვა ტექსტიდან იღებს და საკუთარი მხატვრული ინტერპრეტაციით იმეორებს რომელიმე ცნობილ ეპიზოდს. მაგ., კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ მოხმობილი აქვს ბიბლიური იაკობის ღმერთთან შებრძოლების ეპიზოდი „დაბადების“ ნიგნიდან (დაბადება, 32: 24-32).

- მთლიანად იღებს სხვა ნაწარმოების სიუჟეტს ან გადმოაქვს რომელიმე ვრცელი პასაჟი. ასეთი ინტერტექსტუალური კავშირის მაგალითად გამოდგება ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომლის ძირითადი სიუჟეტური ხაზი ეყრდნობა არგონავტების მითს. უცხოურ ლიტერატურაში ამგვარი ინტერტექსტუალობის შესანიშნავი ნიმუშია ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ კავშირი ჰომეროსის „ოდისეასთან“.

სწავლების პროცესში სხვადასხვა ჟანრისა და ეპოქის ტექსტებზე მუშაობისას ინტერტექსტუალური ანალიზის მნიშვნელობა დიდია. მას მრავალი სხვადასხვა დანიშნულება აქვს, კერძოდ:

- მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, გაიხსენოს ან გაეცნოს კონკრეტულ ტექსტში მოხმობილ ან გამოყენებულ სხვა ტექსტს;

- მოსწავლეს საშუალება აქვს გააანალიზოს, გაამთლიანოს, შეაფასოს და შეადაროს ერთმანეთს ძირითადი და ინტერტექსტის შინაარსი, მათში გადმოცემული მოსაზრებები და იდეები;

- მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს, თუ რამდენად ადეკვატურად იყენებს ავტორი მოხმობილ ტექსტს მხატვრული მიზნის მისაღწევად;

- ინტერტექსტუალიზმი ზოგჯერ მთლიანად ანგრევს მკითხველის წარმოდგენას ადრე წაკითხულ ტექსტზე, რომელიც შესაძლოა სრულიად მოულოდნელ კონტექსტში და/ან განსხვავებული ინტერპრეტაციით შეხვდეს ინტერტექსტში. შესაძლებელია, პირიქით, მოსწავლემ ახალი რამ აღმოაჩინოს ამ ტექსტში და შეძლოს მისი უკეთ გააზრება;

- მოსწავლეს საშუალება ეძლევა თავიდან გაიაზროს როგორც ძირითადი ტექსტი, ისე ინტერტექსტი და შეაფასოს, რითი ავსებს ან ეწინააღმდეგება ისინი ერთმანეთს;

- ინტერტექსტუალური ანალიზი ავითარებს მოსწავლის მეტაკოგნიტურ უნარებს. ამ დროს მკითხველი ცდილობს შეაფასოს, თუ რამდენად ადეკვატურად გაიგო მან ადრე წაკითხული ტექსტი, რამდენად შეიცვალა მისი წარმოდგენა ამ ტექსტზე და რატომ, რა ახალი დეტალებით შეივსო მისი ცოდნა და ა.შ.

ინტერტექსტუალური ანალიზის დროს მთავარია არა ის, თუ რომელ ტექსტს ეხმიანება ავტორი, არამედ ის, თუ როგორ, რისთვის იყენებს იგი მას

და, რაც მთავარია, როგორ პოზიციონირებას აკეთებს იგი ამ ტექსტებთან, როგორც მწერალი, ამასთანავე, რამდენად კარგად ახერხებს საკუთარი სათქმელის გადმოცემას.

III.3. მიმართულება: წერა

წერა სწავლებისა და კომუნიკაციის მძლავრ იარაღს წარმოადგენს. მოსწავლეები სრულყოფილად მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიაზრებენ წერის პროცესს, თუკი ისინი წერენ ხშირად და სხვადასხვა მიზნით. წერისას საჭიროა გამოყოფილი დრო დაეთმოს წერის პროცესის ყველა ეტაპს: იდეაზე დაფიქრებას; აზრების, იდეების, თვალსაზრისის გენერირებასა და წინასწარ ჩამოყალიბებას, გამოთქმას; მათ ორგანიზებას წერილობითი სახით; ნაშრომის პირველადი ვერსიის გადახედვას, ჩასწორებას, რედაქტირებასა და პრეზენტაციას. საუკეთესო შედეგები მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეები წერენ მიზანმიმართულად კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული აუდიტორიისათვის, რომლის შესახებაც მოსწავლეს გარკვეული წარმოდგენა აქვს.

მასწავლებელს შეუძლია მრავალი საშუალება გამოიყენოს ყოველდღიური წერიტი აქტივობებისთვის. ძალზე ეფექტურია წერის პროცესის სხვადასხვა ასპექტის მოსწავლეებისთვის დემონსტრირება „ხმამალა ფიქრის“ სტრატეგიის გამოყენებით (კვირაში ერთხელ მაინც). ამგვარად მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს, როგორ უნდა იმუშაონ წერიტი ნამუშევრის შესაქმნელად, როგორ უნდა გამოიყენონ ამ პროცესში გრაფიკული მათემატიკები და სხვ. ამ დროს მოსწავლეები თვალნათლივ ხედავენ, როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა თანამიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ – მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით. მოსწავლეები უყურებენ და უსმენენ, მასწავლებელი კი განმარტავს, რატომ მიიღო მან ესა თუ ის გადაწყვეტილება, ყურადღებას ამახვილებს წერილობითი ფორმის ამა თუ იმ ასპექტზე (მაგ., იდეის გამოკვეთა, ადეკვატური სტილისა და ლექსიკის შერჩევა, მისთ.). ამ პროცესის თანამონაწილეები უნდა გახდნენ მოსწავლეებიც. მათ უნდა მიეცეთ საშუალება არა მხოლოდ დააკვირდნენ მასწავლებლის მუშაობას, არამედ შესთავაზონ მას თავიანთი იდეები და მოსაზრებები.

როგორც აღინიშნა, მოსწავლეებმა რაც შეიძლება ხშირად უნდა წერონ თავიანთი აზრების, შეხედულებების, გრძნობების გასაზიარებლად სხვადასხვა აუდიტორიისათვის. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია დაავალოს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა, მათ შორის: მოთხრობების, ლექსების, სამეცნიერო-დარგობრივი ხასიათის სტატიების, წერილებისა და ა.შ. მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი იქნებიან, თუკი ისინი თვითონ აირჩევენ მათთვის საინტერესო თემასა და ფორმას წერილობითი ტექსტის შესაქმნელად.

წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებისათვის სწავლასწავლების პროცესში აუცილებელია სამი პირობის დაცვა: 1. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, წერონ მათთვის საინტერესო თემებზე; 2. მოსწავლეებს უნდა უნდა მიეცეთ საკმარისი დრო და პრაქტიკული გავარჯიშე-

ბის საშუალება წერიტი მეტყველების განვითარებისთვის; 3. მასწავლებელმა გონივრულად უნდა წარმართოს წერის სწავლების პროცესი მკაფიო, ცხადი ინსტრუქციების მეშვეობით, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს წერის უნარ-ჩვევებს, აათვისებინებს მათ საჭირო სტრატეგიებს. მასწავლებელი გაკვეთილზე არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი ინსტრუქციებით – აუცილებელია წერის პროცესის მოდელირება. ამ დროს მოსწავლეები ჩართულნი არიან პროცესში, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტაში, მიზნის მისაღწევად ეფექტური გზების შერჩევაში. ეს მათ მომავალში დამოუკიდებლად მუშაობაში დაეხმარება (ამასთან დაკავშირებით უფრო დანვრილებით იხ. ქვემოთ, *წერის მოდელირება*).

როგორც წესი, მოსწავლეებს ჰგონიათ, რომ კარგად წერისთვის რაღაც განსაკუთრებული უნარია საჭირო – უნიკალური თანდაყოლილი ნიჭი ან უჩვეულო გამოცდილება (უჩვეულო თავგადასავლები, არაორდინალურ სიტუაციებში მოხვედრა, განსაკუთრებულ ადამიანებთან შეხვედრა და მისთ.). ამგვარი წარმოდგენა მოსწავლეებში ბადებს საკუთარი ძალებისადმი უნდობლობას, აჩენს ერთგვარ შიშს წერის პროცესის მიმართ. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ამ განცდის დაძლევაში: დაარწმუნოს ისინი, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, თითქოს არაფრით გამორჩეული ადამიანის ცხოვრებაც კი შეიძლება აღსავსე იყოს საინტერესო ამბებით, უჩვეულო გამოცდილებით – უბრალოდ, საჭიროა მათი დანახვა და აღქმა. „ელოდო შთაგონებას იმისათვის, რომ დანერო, იგივეა, რომ ელოდო მეგობრებს. მაგრამ თუკი სახლში იქნები გამოკეტილი, არ გახვალ გარეთ და არ დაამყარებ მათთან ურთიერთობას, ისინი არ მოვლენ შენთან. უნდა მოიქცე ისე, რომ რაღაცა მოხდეს. წერა არ გულისხმობს პასიურობას, წერა აქტიური ქმედებაა“ – წერდა ცნობილი ამერიკელი საბავშვო მწერალი ჯუდი დელტონი (1931-2001 წწ.).

„წერა შენც შეგიძლია“ – მასწავლებლის ამოცანაა, დაარწმუნოს მოსწავლეები ამაში. ამის მიღწევა შესაძლებელია სასწავლო მიზნის შესაბამისი, გონივრულად დაგეგმილი აქტივობების წყალობით, სათანადო საუბრებით. კარგი იქნება, თუკი ამ მიზნით მასწავლებელი მოაწყობს შეხვედრას პროფესიონალ მწერალთან და სთხოვს მას, მოუყვეს მოსწავლეებს, როგორ დანერა ესა თუ ის ნაწარმოები, გამოუყენებია თუ არა წერისას რეალური ცხოვრებისეული გამოცდილება, ჰგვანან თუ არა მისი პერსონაჟები რეალურ ადამიანებს, რომელთაც იგი ცხოვრებაში შეხვედრია (ზოგადად, ასაუბროს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას მისი შემოქმედებისათვის). ამდენად, მოსწავლეები გაიგებენ, რომ საინტერესო თხრობითი ტექსტის შესაქმნელად მათ შეუძლიათ გამოიყენონ, მაგალითად: საუბარი ადამიანთან, რომელიც მატარებელში დაემგზავრა; სიტუაცია, რომლის მოწმენი გახდნენ მაღაზიაში პროდუქტების ყიდვისას, დაკვირვება შინაურ ცხოველებზე და მისთ. ცხადია, აქ ვგულისხმობთ სასკოლო დავალების სახით შექმნილ თხრობით ტექსტებს და არა მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთა დასაწერად შემოქმედის ტალანტია საჭირო.

წერის ზოგიერთი სახეობა შეიძლება ისწავლებოდეს დამოუკიდებლად, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ წერა მასწავლებელმა გამოიყენოს კითხვის წინა

აქტივობის, კითხვის დროს ჩართული აქტივობის და/ან კითხვის შემდგომი აქტივობის სახით. ბოლო პერიოდის კვლევები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები, რომლებიც წერენ იმის შესახებ, რაც ნაიკითხეს, უკეთესად იმახსოვრებენ ნაკითხულს; ამასთან, ისინი ხდებიან უფრო კრიტიკული მკითხველები. მეტიც, ჯგუფური მუშაობა, რომელიც მოითხოვს კითხვასა და წერას, იმავდროულად, ავარჯიშებს მოსწავლეებს მოსმენასა და ლაპარაკში. ამდენად, გაკვეთილის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია კლასში შექმნას გარემო, რომელშიც კომბინირებულად წარიმართება მუშაობა მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის უნარების განვითარებაზე. ეს კი, თავის მხრივ, დააახლოებს სასწავლო აქტივობებს რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.


წერის პროცესი და მისი ეტაპები

წერის პროცესი აერთიანებს სამ ძირითად ეტაპს. ესენია:

1. წერის წინა ეტაპი – იდეების შემუშავება, წერითი ნამუშევრის დაგეგმვა;
2. წერის ეტაპი – წერითი ნამუშევრის პირველადი ვერსიის შექმნა;
3. წერის შემდგომი ეტაპი – პირველადი ვერსიის გადამუშავება, საბოლოო ვერსიის შემუშავება; რედაქტირება, კორექტირება.

გასათვალისწინებელია, რომ წერის პროცესს სწორხაზოვნება არ ახასიათებს – მისი ეტაპების თანამიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს: საბოლოო ვერსიაზე მუშაობის დროს მწერალმა შეიძლება ცვლილებები შეიტანოს გეგმის თავდაპირველ ვარიანტში, ჩაუმატოს ახალი პასაჟი/პასაჟები თავდაპირველ ვერსიაში, გადააადგილოს მისი ცალკეული ნაწილები და სხვა. წერის პროცესის ეს თავისებურება სქემატურად ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

წერის პროცესი



ზემოთ მოცემული ბორბლისმაგვარი სქემა თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს წერის პროცესის არალინეარულ (არასწორხაზოვან) ხასიათს – ორმხრივად მიმართული ისრები მიგვანიშნებს, რომ „წერის ბორბალი“ სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება „დატრიალდეს“.

ტრადიციულად, წერის სწავლება ფოკუსირებულია წერის შედეგზე – წერით ნამუშევარზე და არა თავად წერის პროცესზე. ამგვარად, მოსწავლეების ყურადღება, ძირითადად, მიმართულია იმაზე, თუ რა უნდა დაწერონ და არა იმაზე, თუ როგორ უნდა დაწერონ. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები ქმნიან წერით ნამუშევრებს, რომლებსაც მათ მასწავლებელი უსწორებს. მასწავლებლის შენიშვნებს, ჩასწორებებსა და კომენტარებს მოსწავლე, როგორც წესი, საკმაოდ ზერელედ ჩაათვალთქმობს და მალევე ივინწყება. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მასწავლებელი საგანგებო დროს დაუთმობს შეცდომების გასწორებაზე მუშაობას, მოსწავლე პასიურ პოზიციაში რჩება – იგი ასწორებს სხვის (მასწავლებლის) მიერ შემჩნეულ შეცდომებსა და ხარვეზებს.

წერის პროცესზე ორიენტირებული მიდგომა უფრო აქტიურს ხდის მოსწავლეს, ბიძგს აძლევს მის კრიტიკულ აზროვნებას, ავითარებს მეტაკოგნიტიურ უნარ-ჩვევებს – ამგვარად წარმართული მუშაობის დროს მოსწავლე აქტიურადაა ჩართული წერის პროცესის ყველა ეტაპზე და თავიდან ბოლომდე წარმართავს წერის პროცესს – ადგენს გეგმას, ქმნის ნამუშევარს, ხელახლა უბრუნდება მას რედაქტირების მიზნით – თავად ცდილობს, აღმოაჩინოს შეცდომები, იპოვოს ხარვეზები, აანალიზებს და ცდილობს მათ გამოსწორებას, ქმნის შუალედურ ვერსიას/ვერსიებს; დასასრულს, ქმნის წერით ნამუშევარს საბოლოო სახით.

მოსწავლეების წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას ძალზე შეუწყობს ხელს როგორც უშუალოდ წერით ნამუშევარზე, ანუ პროდუქტზე ორიენტირებული, ისე მთლიანად წერის პროცესზე ორიენტირებული მიდგომის გააზრებული გამოყენება სასწავლო პროცესში. ცხადია, წერის პროცესზე ორიენტირებული მიდგომა შედარებით დიდ დროს მოითხოვს. მოსწავლეებს დრო დასჭირდებათ არა მხოლოდ პირველადი ვერსიის შესაქმნელად, არამედ რედაქტირებისა და შემდგომი ვერსიის/ვერსიების შესაქმნელადაც. ამიტომ მასწავლებელს შეიძლება არ ჰქონდეს მისი ხშირად გამოყენების საშუალება სასწავლო პროცესში. თუმცა ეს სავსებით შესაძლებელია სწორი დაგეგმვის, შესაბამისი სტრატეგიებისა და კარგად შერჩეული აქტივობების მეშვეობით. წერის პროცესზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების შედეგად მოსწავლეები უკეთ გააზრებენ წერის პროცესის თითოეულ ეტაპს და, ამასთანავე, გააცნობიერებენ ამ ეტაპების ერთიანობას.

საშუალო საფეხურზე სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სწავლების ამ ეტაპზე წერითი მეტყველების განვითარება უნდა წარიმართოს აკადემიური წერისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების გზით. ეროვნული სასწავლო გეგმის დამამთავრებელი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტში საკმაოდ ადგილი ეთმობა აკადემიური წერის საბაზისო უნარ-ჩვევების განვითარებას, რასაც პირველხარისხოვანი

მნიშვნელობა ენიჭება განათლების შემდგომ საფეხურზე, უმაღლეს სასწავლებელში სწავლებისას¹⁴.

წერის წინა ეტაპი

ამ ეტაპზე მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას მთავარი თემის შესახებ, თავს უყრიან და ორგანიზებას უკეთებენ თავიანთ იდეებს. შესაბამისად, კლასში შექმნილი უნდა იყოს ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს იდეების სტიმულირებას, საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, წამოაყენონ და ერთმანეთს გაუზიარონ აზრები და შეხედულებები. ბიძგის მისაცემად მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მაპროვოცირებელი საშუალებები (მაგ., ამბავი, ფილმი, სურათი, შეკითხვები, მისთ.). იმის გამო, რომ, ფაქტობრივად, სწორედ ამ ეტაპზე იქმნება მომავალი წერიტი ნამუშევარი, წერისათვის განკუთვნილი დროის დიდი ნაწილი სწორედ ამ ეტაპს უნდა დაეთმოს.

წერის დაწყებამდე მოსწავლის მთავარი ამოცანაა გადაწყვიტოს, რის შესახებ უნდა დაწეროს, ანუ შეიმუშაოს კონკრეტული იდეა. წერიტი ნამუშევრის შესაქმნელად შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი თემა.

ამ ეტაპზე შესასრულებელ უმნიშვნელოვანეს სამუშაოს წარმოადგენს წერიტი ნამუშევრის დაგეგმვა. მართლაც, წერის დაწყებამდე კვალიფიცი-

¹⁴ ძირითად განსხვავებას აკადემიურ წერასა და წერის სხვა სახეებს შორის განსაზღვრავს მიმართება აკადემიურ ნაშრომსა და აუდიტორიას, ანუ მკითხველს შორის. აკადემიური წერის შემთხვევაში, მკითხველი (აუდიტორია) არის პროფესორი, ლექტორი ან თანაკურსელი/თანაკლასელი, რომლებიც შეაფასებენ ნაშრომის ხარისხს გარკვეული სტანდარტების მიხედვით – ნიშნით და/ან წერილობითი კომენტარით. აკადემიურ ნაწერში უნდა იკვეთებოდეს ობიექტური მიდგომა, განსახილველი საკითხის საფუძვლიანი კვლევა, რომელსაც შედეგად მოჰყვება ფრთხილი, განონასწორებელი ანალიზი. აკადემიური ნაწერის შექმნისას აუცილებელია კრიტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა. „კრიტიკული“ ამ შემთხვევაში არ ნიშნავს მხოლოდ რაიმეს გაკრიტიკებას, ნეგატიური დამოკიდებულების გამოვლენას. „კრიტიკული“ აკადემიური წერის შემთხვევაში ნიშნავს:

- თეორიის ცოდნისა და გაგების გამოვლინებას;
- ჩვენებას იმისა, რომ ავტორმა იცის, რა არის ნათქვამი/დაწერილი განსახილველი საკითხის შესახებ;
- სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინებას;
- საფუძვლიან შეფასებას (შეფასების საფუძველში არსებული მიზეზის ჩვენებას);
- იდეების გაზიარებას მათი დეტალური განხილვის შემდეგ (ან მათ უარყოფას დეტალური განხილვის შემდეგ);
- საკუთარ დასკვნამდე მისვლას;
- საკუთარი მიდგომის, საკუთარი ხედვის დემონსტრირებასა და გამოყენებას.

იგივე მიდგომა გამოიყენება აკადემიური ტექსტის კითხვის დროსაც, რომლის დროსაც მკითხველს ესაჭიროება:

- არგუმენტების გაანალიზება;
- ფარული/ნაგულისხმევი წანამძღვრების ამოცნობა;
- იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტურია არგუმენტის დასაბუთებისათვის მოყვანილი მტკიცებულება.

ამას გარდა, აკადემიური წერის დროს აუცილებელია წყაროებზე მითითებისა და მათი ციტირების წესების დაცვა (A. Gillett, A. Hammand, M. Martala, Inside Track, Successful Academic Writing, Pearson Education, 2009, გვ. 2-3).

ურმა ავტორმაც უნდა გაიაზროს, რის შესახებ აპირებს დაწერას (რა უნდა დაწეროს). ამ მიზნით მან, შესაძლებელია, შეადგინოს წერილობითი გეგმა, რომელსაც შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი სახე ჰქონდეს¹⁵. ზოგ შემთხვევაში ესაა დეტალური ჩამონათვალი კომენტარებითა და შენიშვნებით, ზოგჯერ კი – მხოლოდ სიტყვები (შესაძლებელია, უსისტემოდაც).

ითვლება, რომ კარგად შედგენილი გეგმა კარგად გააზრებული ნამუშევრის აუცილებელი წინაპირობაა, თუმცა ხშირად მოსწავლეების ნაწილს უძნელდება ამ სამუშაოს შესრულება. „როგორ შევადგინო გეგმა, მე ხომ ჯერ არ ვიცი, რას დავწერ?“ – ესაა შეკითხვა, რომელიც ხშირად უჩნდებათ მოსწავლეებს. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დასახმარებლად შესთავაზოს წინასწარ მომზადებული სქემები, რომლებიც მათ დაეხმარება თემის დაკონკრეტებასა და ნაშრომის აგებაში.

წერის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა დააფიქროს იმაზე, თუ რის დაწერას აპირებენ ისინი. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ და დაგეგმონ მომავალი ნამუშევრის შინაარსი და მიმდევრობა. ამისათვის არსებობს სხვადასხვა საშუალება, დაწყებული გონებრივი იერიშით (როდესაც მოსწავლეები დისკუსიის ან აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე წამოაყენებენ რაც შეიძლება მეტ იდეას წყვილებში, ჯგუფებში და/ან მთელი კლასის მუშაობის დროს), დამთავრებული მასწავლებლის მიერ მართული კონკრეტული ამოცანების შესრულებით. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა აქტივობას, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება მომავალი სამუშაოს დაგეგმვაში. დაგეგმვისას მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მხოლოდ მომავალი ნაშრომის შინაარსზე, არამედ ნაშრომის მიზანზეც და აუდიტორიაზეც – რისთვის წერენ ან ვინ იქნება მკითხველი. ამის საფუძველზე უნდა შეირჩეს სათანადო ენა (ოფიციალური, ან არაოფიციალური სტილი) და შინაარსობრივი სტრუქტურა (ფაქტების, იდეების, არგუმენტების თანამიმდევრობა).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტექსტის ტიპი ან სახე, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ. რა უნდა დაწერონ მოსწავლეებმა – მოთხრობა, წერილი, ლექსი თუ ესე? წერილი აქტივობა სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლეები ეცნობიან და ამუშავენ ფორმითა და შინაარსით მრავალფეროვან ტექსტებს და თანდათან იძენენ ცოდნას სხვადასხვა ჟანრისა და მათი მახასიათებლების შესახებ. ამ გზით მოსწავლეები შეძლებენ იმის გააზრებასაც, თუ როგორ უნდა შექმნან სხვადასხვა სახის წერილი ნამუშევრები.

¹⁵ სიტყვა „შესაძლებელია“ აქ მიგვითითებს, რომ კვალიფიციური, გამოცდილი მწერლისათვის გეგმის შედგენა გარდაუვალ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ იგი გაუაზრებლად მოქმედებს. უბრალოდ, ასეთ შემთხვევაში, მომავალი წერილი ნამუშევრის გეგმა მის გონებაში არსებობს. მოსწავლეთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ხშირად სასურველია, რომ მასწავლებელმა ისინი საგანგებოდ ამუშაოს წერილი ნამუშევრის გეგმის შედგენაზე.

წერის ეტაპი

ესაა უშუალოდ წერის პროცესი. ამ დროს მოსწავლეები წერითი მეტყველების გზით გადმოსცემენ თავიანთ იდეებსა და მოსაზრებებს ამა თუ იმ თემის შესახებ, რომლებიც მათ წერის წინა ეტაპზე დაამუშავეს. წერის დროს მოსწავლეები დამატებით ამახვილებენ ყურადღებას იმგვარ საკითხებზე, როგორებიცაა: წინადადების სტრუქტურა, პუნქტუაცია, სიტყვების შერჩევა, მართლწერა, სხვ. საბოლოოდ, წერის ეტაპზე იქმნება პირველადი ნაწერი – ნაშრომის პირველადი ვერსია, რომელიც საჭიროებს შემდგომ რედაქტირებას – სხვადასხვა ჩასწორებას, ცვლილებას, ამა თუ იმ ელემენტის ჩამატება-ამოღებას და სხვ.

წერა, როგორც ასეთი, მრავალი სხვადასხვა ამოცანის შესრულებას გულისხმობს. ზოგიერთი მათგანის შესასრულებლად შემოქმედებითი უნარებია საჭირო, ზოგიერთისთვის კი – მიუკერძოებლობა და კრიტიკული აზროვნების უნარი. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა – ძნელია ერთდროულად იყო შემოქმედებითიც და კრიტიკულიც.

ამ კონფლიქტური ხასიათის ამოცანების ერთმანეთისაგან გამიჯვნა მოსწავლეებს ხშირად უძნელდებათ. დასახმარებლად მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს წარმოდგინონ ორი ადამიანი, რომლებიც ორ სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ. მოსწავლეებს წერა შეიძლება უფრო გაუადვილდეთ, თუკი წარმოდგენენ, რომ მათში არის ორი ადამიანი, რომლებიც წერენ რიგრიგობით. ერთი მათგანია „შემოქმედი“, ხოლო მეორე – „კრიტიკოსი“.¹⁶

„შემოქმედი“ მუშაობს პირველადი ვერსიის შექმნაზე, რისთვისაც წარმოსახვის ძალას იყენებს. მისი მუშაობის შედეგია იდეები, ინდივიდუალობა, ანალოგიები, მეტაფორები, თხრობის მანერა, განწყობა, ორგანიზაციული მთლიანობა, აბზაცები, წინადადებები, სტილი, ლექსიკა, ენობრივი არჩევანი, აზრის მთლიანობა და მისთ. „კრიტიკოსი“ მუშაობს ნაშრომის ორგანიზებასა და რედაქტირებაზე. იგი ნყვეტს, თუ როდის, სად ან რა სიხშირით უნდა იმუშაოს „შემოქმედმა“; ადგენს გეგმას, აანალიზებს და აფასებს პირველად ვერსიას; პოულობს და შეარჩევს კონკრეტულ დეტალს ან სიტყვას იმ შემთხვევაში, თუკი „შემოქმედის“ ვარიანტი მოიკოჭლებს; ზრუნავს მართლწერისა და გრამატიკული ნორმების დაცვაზე; ხვენს და წარადგენს საბოლოო ვერსიას.

მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით უნდა გააცნობიერონ ორი ძირითადი წესი:

1. აუცილებელია „შემოქმედისა“ და „კრიტიკოსის“ ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

თითოეულ მათგან აქვს თავისი სამუშაო, რომელთა აღრევა არ შეიძლება. მაგ., არ შეიძლება ერთმანეთში აგვერიოს მიდგომები, რომლებიც საჭიროა პირველადი ვერსიის შესაქმნელად და მიდგომები, რომლებიც აუცილებელია

¹⁶ ერთ-ერთი პირველი, ვინც წერის ორგვარ ბუნებაზე საუბრობდა, იყო რომაელი პოეტი ვერგილიუსი (ძვ. წ.-აღ. 70-19 წ.წ.). საუკუნეების განმავლობაში მწერალსა და წერის ორმხრივ (შემოქმედებით და კრიტიკულ) ბუნებას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: „შემოქმედი“ და „კრიტიკოსი“, „მწერალი“ და „რედაქტორი“, ტვინის „მარჯვენა ნახევარსფერო“ და „მარცხენა ნახევარსფერო“, „არაცნობიერი“ და „ცნობიერი“.

რედაქტირებისათვის. პირველადი ვერსიის შესაქმნელად საჭიროა სიტყვების ნაკადი („შემოქმედის“ სამუშაო), რედაქტირებისათვის კი – შეფასება („კრიტიკოსის“ სამუშაო). კრიტიკოსის საქმეა მართლწერის ნორმების, პუნქტუაციისა და გრამატიკის წესების დაცვა. მათზე გულდასმით მუშაობა იწყება არა პირველადი ვერსიის შექმნის დროს, არამედ მომდევნო ეტაპზე – რედაქტირება-კორექტირების დროს. მანამდე, ვიდრე მოსწავლეები კარგად არ გაიაზრებენ წერის პროცესს და გაინაფებიან წერაში, სასურველია, რომ მუშაობა ამ ორ ეტაპზე ერთმანეთის მიყოლებით – ერთსა და იმავე გაკვეთილზე არ წარიმართოს (მაგ. ერთ დღეს იმუშაონ პირველად ვერსიაზე, მეორე დღეს – რედაქტირებაზე).

2. „შემოქმედისა“ და „კრიტიკოსის“ სამუშაო თანაბრად მნიშვნელოვანია წერის დროს.

ერთი მათგანის ცუდი მუშაობა, საბოლოო ჯამში, ორივე მათგანის ცუდ მუშაობას ნიშნავს, რადგან შედეგად ცუდად შესრულებულ წერით ნამუშევარს ვლტებულობთ. მაგ., თუკი „კრიტიკოსი“ მეტისმეტად მკაცრია და/ან მეტისმეტად ხშირად ერევა საქმეში, „შემოქმედის“ მუშაობა შეფერხდება. ეს კი ნიშნავს, რომ ნაწერს მოაკლდება ინდივიდუალობა, ორგანიზაციული მთლიანობა და სხვ. ამის საპირისპიროდ, თუკი „კრიტიკოსი“ ცუდად იმუშავებს, „შემოქმედმა“ შეიძლება ვერასოდეს დაასრულოს მუშაობა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ წერითი ნამუშევრის შექმნის პროცესში აუცილებელია ორივე მათგანის ჰარმონიულად მუშაობა.

წერის დროს მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალურად გაესაუბროს მოსწავლეებს (თუკი ამის საჭიროებას დაინახავს). ამგვარი საუბარი, როგორც წესი, ამოიწურება სულ ერთი-ორი ფრაზით და აქვს სრულიად არაფორმალური, ექსპრომტის ხასიათი. მაგ., საკლასო წერითი დავალების შესრულებისას მასწავლებელს, რომელიც ამ დროს კლასში მოძრაობს და თვალყურს ადევნებს მოსწავლეებს, შეუძლია ერთი-ორი წინადადებით გაესაუბროს რომელიმე მათგანს გეზის მისაცემად, გასამხნეველად და სხვ. მიზანშეწონილია, მასწავლებელმა ამ დროს იმოქმედოს მკითხველის და არა ყოველმცოდნე მრისხანე კრიტიკოსის პოზიციიდან. მის შენიშვნებში უნდა იკვეთებოდეს, რომ ესაა მისი, როგორც მკითხველის, პირადი პოზიცია (მაგ., „ეს რომ წავიკითხე, ვიფიქრე...“, „წავიკითხე, მაგრამ კარგად ვერ გავიგე, მეორე აბზაცში რისი თქმა გსურს...“, სხვ.).

წერის შემდგომი ეტაპი

1. რედაქტირება

წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას მიმართავს მათ მიერ შესრულებულ ნამუშევრებზე; სთავაზობს მათ, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ ნაწერზე – მოსწავლეებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ნაწერი წარმოადგენს პირველად, სამუშაო ვერსიას, რომელიც, სავარაუდოდ, შესწორებებსა და შემდგომ სრულყოფას საჭიროებს; უხსნის მათ, რომ საბოლოო, დასრულებული სახის მისაღებად ნაწერი საჭიროებს რე-

დაქტირებას – ცვლილებების შეტანას ერთ ან რამდენიმე ეტაპად (საჭიროების მიხედვით) იმ მიზნით, რომ ნაწერი გახდეს უფრო ცხადი, აზრობრივად თუ ლოგიკურად გამართული და საინტერესო. ამისთვის მოსწავლეებს შეიძლება დასჭირდეთ პირველადი ვერსიის შემოკლება ან გავრცობა, ცალკეული ნაწილების ჩასწორება და/ან შეცვლა, ნაწილების გადაადგილება, ახალი ინფორმაციით შევსება, სტილის დახვეწა, კორექტირება, სხვ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ წერის ეტაპი არის არა დასასრული, არამედ – დასაწყისი. სწორედ წერის შემდგომ ეტაპზე ჩატარებული სამუშაოების შემდეგ იქნეს წერითი ნამუშევარი საბოლოო სახეს.

რედაქტირება უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გრამატიკული და/ან ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება. კარგად შესრულებული სარედაქტორო სამუშაო უფრო გამოკვეთს ნაშრომის ესთეტიკურ ღირებულებას, მეტ სიცხადეს სძენს მის მხატვრულ და შემოქმედებით მხარეებს. რედაქტირების ეტაპი ორ საფეხურად იყოფა. ესენია: ა) ნაშრომის შესწორება-გადამუშავება – ნამუშევრის სტრუქტურის, აზრის სიცხადის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით ავტორი მუშაობს მანამდე, ვიდრე კმაყოფილი არ იქნება თავისი ნამუშევრით. ფაქტობრივად, ესაა წერის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი – წერითი ნამუშევარი, ძირითადად, სწორედ ამ საფეხურზე იქნეს საბოლოო სახეს. ამ დროს ავტორი ისევ აგრძელებს წერას და შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მას საკმაოდ გრძელი გზა აქვს დარჩენილი სამუშაოს დამთავრებამდე. ბ) ნაშრომის დახვეწა-სრულყოფა, რომელიც გულისხმობს მუშაობას წინადადებების სტრუქტურაზე, ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაზე. აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოს კარგად შესრულება ყოველთვის არ მოითხოვს წერით უნარებს, მაგალითად, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ნორმების ზედმიწევნით კარგად მცოდნე ადამიანი შეიძლება უხეირო მწერალი იყოს და, პირიქით, ნიჭიერი მწერალი შეიძლება ბოლომდე კარგად არ იცნობდეს ამ ნორმებს. თუმცა ეს, ცხადია, არ გულისხმობს, რომ ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების ცოდნა მნიშვნელოვანი არ არის.

მოსწავლეები ხშირად ვერ ასხვავებენ წერის უნარს წერითი ნამუშევრის სრულყოფა-დახვეწისათვის საჭირო უნარისაგან. ბევრი მათგანი თვლის, რომ არ შეუძლია წერა, რადგან კარგად არ იცნობს ორთოგრაფია-პუნქტუაციის წესებს, გრამატიკულ ნორმებს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოსწავლეებს შეუძლია ცალკე გაკვეთილი დაუთმოს ნაშრომის რედაქტირებას, ცალკე – ნაშრომის დახვეწა-სრულყოფაზე მუშაობას. ამ გზით მოსწავლეები შეძლებენ არა მხოლოდ წერისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დიფერენცირებას, არამედ დაძლევენ „წერის შიშს“, აღმოაჩენენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს და განივითარებენ მეტაკოგნიტურ უნარებს („კარგი იდეა მაქვს, მაგრამ დასაბუთება მქონია სუსტი. კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითი დამჭირდება. და კიდევ, განკერძოებულ გამონათქვამებთან რომ მძიმეები იწერება, არ უნდა დამავინყდეს, ასევე უნდა გავიმეორო ფუძემონაცვლე ზმნები“, სხვ.). საბოლოო ჯამში, ამ გზით წარმართული მუშაობა დაეხმარება მოსწავლეებს, მიზანმიმართულად იმუშაონ საკუთარი ძლიერი მხარეების სრულყოფასა და ნაკლის აღმოფხვრაზე.

რედაქტირება შესაძლებელია წარმართოს ინდივიდუალური და/ან წყვილებში მუშაობის გზით. წყვილებში რედაქტირება ესაა კლასელის ნაწილის კითხვისა და კომენტარების ინტერაქტიული პროცესი. მუშაობის დაწყებამდე, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნობიერებინოს, რომ რედაქტირება არ ნიშნავს უბრალოდ გაკრიტიკებას. მწვავე კრიტიკის შედეგად მოსწავლეებს შეიძლება ერთგვარი უნდობლობა გაუჩნდეთ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. ამიტომ აუცილებელია, გამოიკვეთოს მოსწავლის ნამუშევრის არა მარტო სუსტი, არამედ ძლიერი მხარეებიც. ამ ეტაპზე მოსწავლეები ხელახლა გადაიკითხავენ ნაშრომებს და ქმნიან საბოლოო ვერსიას (პირველადი ვერსიის გადამუშავების გზით). წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობის დროს მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს კლასელების ნაშრომებში შესატანი ცვლილებების შესახებ (თავის კომენტარებს კლასელი-რედაქტორი არშიებზე წერს). შესაძლებელია, რედაქტორი და ავტორი ერთობლივად შეთანხმდნენ იმ შენიშვნებზე, რომლებიც ავტორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. ამ გზით იქმნება საბოლოო ვერსია, რომელიც შეიძლება ძალზე განსხვავდებოდეს პირველადი ვერსიისაგან. საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე შეიძლება შეიქმნას გარდამავალი სამუშაო ვერსია/ვერსიები, რომლებშიც ასახული იქნება რედაქტირებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპი.

ყველა შემთხვევაში მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ უპირველეს ყოვლისა, გამოსაკვეთია წერიტი ნამუშევრის ძლიერი მხარეები, შენიშვნები კი გამოთქმული უნდა იყოს კორექტული ფორმით (მაგ., „შენს ადგილზე მე ასე გავაკეთებდი“, მისთ.), რჩევის სახით.

რედაქტირების სწავლებისა და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება შესაძლებელია ადეკვატურად შერჩეული ნიმუშის ჩვენებით.

რედაქტირება-კორექტირების ეტაპზე შეასრულებელი სამუშაოები ცხრილის სახით ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

რედაქტირების პროცესი		
ტიპი	საქმიანობა	აქტივობები
შესწორება-გადამუშავება	ხელახლა წაკითხვა	მოსწავლეები მენწყვილესთან ერთად კითხულობენ თავიანთ პირველად ვერსიებს, მენწყვილე აფასებს ნამუშევარს და სვამს კითხვებს.
	სიტყვების შერჩევა	მოსწავლეები თავიანთ პირველად ვერსიაში ირჩევენ 5-10 სიტყვას და ეძებენ უფრო კონკრეტულ და ძლიერ სინონიმებს ლექსიკონის, კლასელების შეთავაზებების, სხვ. გამოყენების გზით.
	სტრუქტურის გაუმჯობესება	მოსწავლეები ხატავენ გრაფიკს ან დიაგრამას თავიანთი ნაწერების სტრუქტურის ილუსტრირებისათვის და ჩასწორებები შეაქვთ საწყის ვერსიებში (იმ შემთხვევაში, თუკი ნაწერის სტრუქტურა ადეკვატური არ არის)

	ორგანიზება	მოსწავლეები იყენებენ „მარკერებს“ მასწავლებლის მითითების შესაბამისად თავიანთი საწყისი ვერსიების მოსანიშნად. მაგ., მოსწავლეებმა შეიძლება მონიშნონ ე.წ. გადასვლები, ემოციის გამომხატველი დეტალები; ლექსიკა და სხვა ენობრივი საშუალებები, რომლებიც ქმნის ავტორის ინდივიდუალურ სტილს, სხვ.
	სტილის გაუმჯობესება	ნაწერის სტილის გასაუმჯობესებლად მოსწავლეები ირჩევენ თავიანთი საწყისი ვერსიის მონაკვეთს ბევრი მოკლე წინადადებით და ცდილობენ, გააერთიანონ წინადადებები და/ან პირიქით: ძალზე გრძელ წინადადებებს ყოფენ ორ ან მეტ წინადადებად, სხვ.
კორექტირება	ორთოგრაფია	მოსწავლეები მენეჯილესთან ერთად ამოიცნობენ არასწორად დაწერილ სიტყვებს და სწორი ფორმის დასადგენად იყენებენ ლექსიკონს, სხვ.
	პუნქტუაცია	მოსწავლეები ამონმეზენ თავიანთ ნაწერს სასვენი ნიშნების გამოყენების კუთხით, ასწორებენ შეცდომებს.
	წინადადებების სტრუქტურა	მოსწავლეები აანალიზებენ წინადადებებს პირველად ვერსიაში და აჯგუფებენ მათ მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებებად, აკვირდებიან მათ სტრუქტურას. ამის შემდეგ მათ შეაქვთ საჭირო ცვლილებები ნაწერში.

მოსწავლეთა მუშაობა უფრო ეფექტური იქნება, თუ ისინი გარკვეული ხნით გვერდზე გადადებენ ნაწერს რედაქტირების დაწყებამდე – უშუალოდ წერის დასრულების შემდეგ მათ შეიძლება გაუჭირდეთ შეცდომებისა და ხარვეზების აღმოჩენა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც გაჩნდება ერთგვარი დისტანცია მათსა და შესრულებულ ნამუშევრებს შორის, მოსწავლეები უკეთ შეძლებენ რედაქტირებას „უცხო თვალით“. რედაქტირების ეტაპზე მოსწავლეები ახორციელებენ ორ აქტივობას. ესენია: ა) კითხვა შეცდომების აღმოსაჩენად, ბ) აღმოჩენილი შეცდომების გასწორება.

2. კითხვა შეცდომების გასწორების მიზნით.

მოსწავლეები კითხულობენ თავიანთ ნამუშევრებს შესაძლო შეცდომების აღმოსაჩენად და მოსანიშნად. ამ დროს მოსწავლეები კითხულობენ თითოეულ სიტყვას, შეცდომების აღმოსაჩენად და არა აზრის გასაგებად (საკმაოდ რთულია კონცენტრაცია ამ სამუშაოზე, რადგან ადამიანისათვის უფრო ბუნებრივია კითხვა აზრის გამოსატანად). გამოცდილი კორექტორებიც კი ხშირად ყურადღების კონცენტრირებას ახდენენ ტექსტის გაგებაზე და ვერ ამჩნევენ იმ შეცდომებს, რომლებიც ხელს არ უშლის შინაარსის აღქმას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აუხსნას მოსწავლეებს, რას წარმოადგენს კითხვა კორექტირების მიზნით და რითი განსხვავდება ის ჩვეულებრივი კითხვისგან.

მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ რედაქტირება-კორექტირების ეტაპი ისევე მნიშვნელოვანია წერიტი ნამუშევრის შესაქმნელად, როგორც უშუალოდ წერის და/ან წერის წინა ეტაპები. ეს დაეხმარება მათ, მეტი პა-

სუბსიმგებლობით მოეკიდონ რედაქტირება-კორექტირების პროცესს და ეფექტურად იმუშაონ თავიანთი ნამუშევრების დახვეწაზე. მეორე მხრივ, არის იმის საშიშროებაც, რომ მოსწავლეებს ერთგვარად ზერელე დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეთ უშუალოდ წერის პროცესის მიმართ („მთავარია, რაღაც დაწერო. მერე, მასწავლებლის და/ან სხვების დახმარებით, დაინერება საბოლოო, „კარგი“ ნამუშევარი“). ამიტომ აუცილებელია, რომ მოსწავლეები თანაბარი პასუხისმგებლობით მუშაობდნენ წერის სამივე ეტაპზე.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად ერკვეოდეს ამ ეტაპისათვის გამიზნულ აქტივობებში. ზოგჯერ რედაქტირება შეიძლება გულისხმობდეს მთელი ნაშრომის ხელახლა შედგენას. ამის საჭიროება თავს იჩენს იმ შემთხვევებში, თუკი პირველ ვერსიაზე მუშაობის დროს მოსწავლეს გაუჩნდება რაიმე ახალი იდეა. სხვა შემთხვევებში რედაქტირება გულისხმობს შინაარსის გადამუშავებას, ნაშრომის რეორგანიზებას, ადეკვატური ლექსიკური ერთეულების შერჩევას, წინადადებების სტრუქტურის დახვეწას, ნაწერის სრულყოფას ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით, პუნქტუაციური ხარვეზების აღმოფხვრასა და სხვ.

მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ, როგორ გადაამუშავონ თავიანთი ნაწერი. ამ ეტაპზე მათ შეუძლიათ მენყვილეებს გაუზიარონ თავიანთი თვალსაზრისი, დაუსვან შეკითხვები თავიანთი ნამუშევრის ამა თუ იმ ნაწილის სრულყოფის და/ან ინფორმაციის დაზუსტების მიზნით. მოსწავლეებს ხელმძღვანელობა სჭირდებათ, აგრეთვე, იმის სასწავლებლად, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათ რედაქტირების და/ან კორექტირების დროს საბოლოო ვერსიის („კარგი ნაწერის“) შექმნის მიზნით. როდესაც მოსწავლე კმაყოფილია თავისი პირველი ვერსიით, რედაქტირება გულისხმობს ზრუნვას ნაწერის იმგვარ მხარეებზე, როგორებიცაა: აკურატულობა, პუნქტუაცია, ხელწერა, მართლწერა, მისთ.

რედაქტირება-კორექტირება მასწავლებელმა შეიძლება წარმართოს ინსტრუქციების მეშვეობით. მაგ., „გახაზე ის სიტყვები, რომელთა მართლწერაში დარწმუნებული არ ხარ“, „იპოვე წინადადება, რომელშიც გამოყენებული გაქვს არასაჭირო სიტყვა და ხელახლა დაწერე წინადადება ამ სიტყვის გარეშე“. საწყის ეტაპზე ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ ნაწერის ერთ-ორ ასპექტს. თანდათანობით, მოსწავლეთა გამოცდილებისა და ცოდნის ზრდასთან ერთად, შეიძლება შემუშავდეს კრიტერიუმების ჩამონათვალი (კითხვარის ფორმატის), რომლითაც მოსწავლე ისარგებლებს წერის ამ ეტაპზე – ნაწერში ცვლილებების შეტანის და/ან რედაქტირება-კორექტირების მიზნით.

ნიმუში. ნაშრომში შესატანი შესაძლო ცვლილებების კრიტერიუმების ჩამონათვალი:

- ✓ აქვს თუ არა ნაშრომს სათანადო დასაწყისი?
- ✓ გამოვიყენე თუ არა საკმარისი რაოდენობით დამატებითი ინფორმაცია?
- ✓ არის თუ არა ჩემი დასკვნა ლოგიკური?
- ✓ შეიძლება თუ არა დავამატო რაიმე ახალი?
- ✓ აუცილებელია თუ არა ტექსტის სხვაგვარად ორგანიზება?

ნიმუში. რედაქტირების/კორექტირების კრიტერიუმების ჩამონათვალი:

- ✓ დავნერე თუ არა ყველა სიტყვა მართებული ფორმით?
- ✓ გამოხატავს თუ არა ყველა წინადადება დასრულებულ აზრს?
- ✓ გამოვყავი თუ არა ყველა აბზაცი?

ნაკლები წერიტი გამოცდილების მქონე მოსწავლეებთან რედაქტირება-კორექტირების დროს განსაკუთრებით ეფექტურია წყვილებში მუშაობა. ამ შემთხვევაში მოსწავლეები ერთად განიხილავენ თავიანთ ნაშრომებს (თითოეული კითხულობს თავისი მენწყილის ნამუშევარს). განხილვის შემდეგ კი, მენწყილის შენიშვნებისა და რჩევების გათვალისწინებით, ავტორებს ცვლილებები შეაქვთ საკუთარ ნამუშევრებში. უფრო განაფულ მოსწავლეებს შეუძლიათ მცირე ჯგუფებში და/ან ინდივიდუალურად მუშაობა. ყველა შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ რედაქტირება-კორექტირების კრიტერიუმების ჩამონათვალი განსაზღვრული იყოს მოსწავლეების თანამონაწილეობით. შესაძლებელია, რომ კრიტერიუმების ჩამონათვალი კედელზე იყოს გაკრული, რათა მოსწავლეებს მუშაობისას მხედველობიდან არ გამოორჩეთ არცერთი მათგანი.

ნიმუში. კრიტერიუმები წყვილური სამუშაოსთვის:

- ✓ მოსწავლეები ცდილობენ თავიანთი შენიშვნებითა და კომენტარებით დაეხმარონ ერთმანეთს;
- ✓ მოსწავლეები ერთმანეთს აძლევენ აზრის გამოხატვის საშუალებას; ლაპარაკობენ რიგრიგობით;
- ✓ მოსწავლეები მენწყილის ნამუშევრის შეფასებას იწყებენ და ამთავრებენ დადებითი კომენტარით;
- ✓ ავტორი ისმენს და იწერს შენიშვნებსა და კომენტარებს;
- ✓ ავტორი გაიაზრებს შენიშვნებსა და კომენტარებს; წყვეტს, რომელ მათგანს გაითვალისწინებს ნაშრომის საბოლოო რედაქციის მომზადების დროს.

კრიტერიუმების ჩამონათვალი შეიძლება საჭიროებისამებრ შეიცვალოს. მთავარია, მასწავლებელი ხედავდეს, რომ ამგვარად წარმართული და დაგეგმილი მუშაობა რეალურად ეხმარება მოსწავლეებს ნაშრომის სრულყოფაში.

3. რედაქტირება მასწავლებლის ხელმძღვანელობით

რედაქტირება შეიძლება ჩატარდეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მუშაობს ეტაპობრივად, ხანმოკლე სესიების ფორმატში. ერთი სესიის განმავლობაში მუშაობა ფოკუსირებული უნდა იყოს მხოლოდ ერთ საკითხზე, რომელსაც მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს საჭიროების მიხედვით. სესიის დასაწყისში მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს კრიტერიუმებს და შესთავაზებს მოსწავლეებს, მათი გათვალისწინებით ხელახლა გადაიკითხონ და ჩაასწორონ თავიანთი ნამუშევრები.

პირველი ვერსიის რედაქტირების გაადვილების მიზნით მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება შესთავაზოს:

- ✓ დაწერონ ნამუშევრის პირველი ვერსია ფანქრით;

- ✓ გამოტოვონ თითო სტრიქონი პირველი ვერსიის წერის დროს;
- ✓ ჩაასწორონ ნაწერი განსხვავებული ფერის ფანქრით ან კალმით (თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ ერთი რომელიმე ფერი);
- ✓ დაამატონ ახალი მასალა გამოტოვებულ სტრიქონებზე, ან მის ზემოთ/ქვემოთ.

მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რედაქტირება ენობრივ-სტილისტური ნორმების, გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენებისა სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამ დროს მოსწავლეები, თავიანთი პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან წინადადებების სტრუქტურასთან, პუნქტუაციასთან, სტილისტიკასთან და ა.შ. დაკავშირებულ ნორმებზე. მასწავლებელმა რედაქტირების პროცესი უნდა წარმართოს ლაკონიური, ცხადი და კონკრეტული ინსტრუქციების მიცემის გზით.

4. რედაქტირება მასწავლებლის რეცენზიის საფუძველზე

წერიტი ნამუშევრის საბოლოო ვერსიის შემუშავებაში მოსწავლეებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მასწავლებლის წერილობითი შენიშვნები, კომენტარები და რეკომენდაციები, რასაც შეიძლება ჰქონდეს ერთგვარი რეცენზიის ფორმაც. ამ შემთხვევაში, მასწავლებელმა უპირველესად უნდა აღნიშნოს ნამუშევრის დადებითი მხარეები, შემდეგ – შენიშვნები და რეკომენდაციები ნაშრომის შემდგომი სრულყოფისათვის.

5. გაზიარება

სასურველია, რომ ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ფართო არჩევანი ჰქონდეთ თავიანთი ნაშრომების გაზიარების თვალსაზრისით. ეს შეიძლება იყოს: ნაშრომის თანაკლასელებისათვის გაცნობა საკლასო ოთახში, გაკვეთილის მსვლელობის დროს; საჯარო პრეზენტაცია; ნაწერების გამოფენა საკლასო ოთახში ან სკოლაში; პორტფოლიოები; ინდივიდუალური, ჯგუფური ან საკლასო ბუკლეტები; წიგნების დამზადება; ნაშრომის გამოქვეყნება მოსწავლეთა ჟურნალებში, სასკოლო ან საზოგადოებრივ გაზეთებში; გამოქვეყნება სკოლის ვებგვერდზე, სხვ.

საბოლოო ვერსიების გაზიარება ამა თუ იმ აუდიტორიისათვის ერთგვარად „აცოცხლებს“ მოსწავლეთა ნაწერებს. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაწერების კლასელების, სხვა მოსწავლეების, მშობლებისა და საზოგადოების აუდიტორიისათვის წაკითხვის დროს მოსწავლეები თავს ნამდვილ ავტორებად აღიქვამენ.

წერის პროცესის გააზრება და მისი ეტაპების გაცნობიერება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა წერიტი მეტყველების განვითარებას. როგორც აღინიშნა, ამისათვის მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ წერის პროცესის ცალკეულ ეტაპებთან დაკავშირებული საქმიანობები. მაგ., წერის წინა ეტაპზე, წერის დაწყებამდე, მათ უნდა შეეძლოთ იდეების ჩამოყალიბება; გამოყენება ცალკეული სქემებისა, რომლებიც მათ დაეხმარებათ თე-

მების შერჩევაში, სხვადასხვა ასპექტზე ფოკუსირებაში. რედაქტირების ეტაპზე ყურადღება ექცევა სტილისტიკის, მართლწერისა და გრამატიკის საკითხებს, წარდგენის ეტაპზე კი ყურადღება მახვილდება აუდიტორიაზე, საპრეზენტაციო ტექნოლოგიებზე და ა.შ.

წერის ეტაპების უკეთ გასაცნობიერებლად სასკოლო გამოცდილებაში არსებობს წერის ცალკეულ ეტაპებზე ფოკუსირების პრაქტიკა მათი დეტალური გაცნობის გზით, როდესაც კვირის ესა თუ ის დღე მთლიანად ეთმობა ერთ-ერთ მათგანს, მაგ. ორშაბათი – წერის წინა ეტაპს, სამშაბათი – პირველადი ვერსიის მომზადებას, ოთხშაბათი – რედაქტირებას, ხუთშაბათი – წარდგენას. თუმცა აუცილებელია აქვე აღინიშნოს, რომ ამგვარი მიდგომა გარკვეულ ზომიერებას მოითხოვს მასწავლებლისაგან – გადაჭარბების შემთხვევაში, არსებობს რისკი იმისა, რომ წერის ეტაპების სწავლებამ მექანიკური სახე მიიღოს, მოსწავლეებმა ნაკლები ყურადღება დაუთმონ ნამუშევრის ხარისხს. შედეგად, შეიძლება მივიღოთ ნამუშევრები, რომლებშიც ასახულია წერის პროცესის ყველა ნაბიჯი, მაგრამ მათი შესრულების ხარისხი არც ისე მაღალია.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა წარმატებით გაართვან თავი სირთულეებს, საჭიროა, რომ მასწავლებლებმა სტრატეგიულად იფიქრონ და დაგეგმონ წერის სწავლების პროცესი. მათ წინასწარ უნდა განსაზღვრონ, თუ რა შედეგის მიღება სურთ ყოველი აქტივობიდან და როგორ უნდა გახადონ ეს შედეგი მნიშვნელოვანი არა მხოლოდ კონკრეტული დავალების შემთხვევაში, არამედ, ზოგადად, მოსწავლეთა ცხოვრებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტრატეგიების გამოყენება საკმარისი არ არის. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს სტრატეგიის არსის გააზრებაში, გააცნობიერებინოს მათ, რომ სტრატეგიები დამხმარე საშუალებაა დასახული მიზნის მისაღწევად.

მეთოდური მიდგომები წერის სწავლებაში

მოდელირებული წერა

ესაა პროცესი, რომლის დროსაც ტექსტის შეთხზავზე მუშაობს მასწავლებელი. მუშაობის დროს მასწავლებელი ფიქრობს „ხმამალა“ იმ მიზნით, რომ თვალსაჩინოდ წარმოუდგინოს მოსწავლეებს წერის – ტექსტის შეთხზვის პროცესი. ამ სტრატეგიას „ხმამალა წერის“ სტრატეგიასაც უწოდებენ. იგი ეფექტურად მუშაობს როგორც სრულიად გამოუცდელ, ისე შედარებით მდიდარი წერითი გამოცდილების მქონე მოსწავლეებთან. „მოდელირებული წერის“ მეშვეობით მასწავლებელი თვალსაჩინოს, ცხადსა და კონკრეტულს ხდის წერის პროცესს, რომელსაც თანამიმდევრული ნაბიჯების სახით წარმოუდგენს მოსწავლეებს. ამ გზით მოსწავლეები ხედავენ, როგორ მუშაობს გამოცდილი მწერალი (მასწავლებელი) წერის დროს, რაც ძალზე უწყობს ხელს მოსწავლეების დაოსტატების პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სტრატეგიის გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია პირდაპირი გზით უჩვენოს მოსწავლეებს, როგორ მიმდინარეობს მუშაობა წერითი ნამუშევრის შექმნაზე და, ამდენად, უფიქრებლად მათ წერის ძირითად უნარ-ჩვევებს.

მოდელირებული წერის სტრატეგიის გამოყენება შეიძლება აგრეთვე რე-

დაქტირების ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოების სადემონსტრაციოდ.

სწრაფად წერა

ეს მოდელი გულისხმობს წერის სამ-ოთხნუთიანი, მოკლე სესიის ჩატარებას, რომლის დროსაც მოსწავლეებს ქალაქზე გადააქვთ პირველი ემოცია, იდეა, ფიქრი, მოსაზრება, რომლებიც მათ გაუჩნდებათ მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ თემაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იდეები და სხვ., რომლებიც პირველად მოგვდის თავში, გარკვეულ შემთხვევებში საუკეთესოა ხოლმე. მასწავლებელმა უნდა გააცნობიერებინოს მოსწავლეებს, რომ ამ სესიების დროს მათი ამოცანაა, პირდაპირ დაწერონ ის, რაც თავში გაუელვებთ; ამ დროს საჭირო ზრუნვა იმაზე, რომ ნაწერი შეძლებისდაგვარად გამართული გამოვიდეს. ამ დროს უკვე დაწერილის გადახაზვა და რაიმეს შეცვლა რეკომენდებული არ არის. იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს მაინც აქვს სურვილი, რომ რაიმე შეცვალოს, ახალი ვერსია მან ფურცლის არშიებზე უნდა ჩაინიშნოს. მოსწავლეთა წერიტი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით აღნიშნული მოდელი, რომელსაც „ღრუბელ აქტივობებსაც“¹⁷ უწოდებენ, შეიძლება გამოვიყენოთ სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, კერძოდ: ახალი მასალის წარდგენისას, ნასწავლი მასალის შეჯამებისას, განვლილი მასალის განმტკიცებისას.

თავისუფალი წერა

ეს მოდელი გამოიყენება წერის წინა ეტაპზე. ესაა წერა კალმის აულებლად, შეუჩერებლად – ამა თუ იმ შეთავაზებულ თემაზე. მოსწავლეები წერენ იმას და იმგვარად, როგორც ფიქრობენ, დროს არ ხარჯავენ იმაზე ფიქრში, სწორადაა თუ არა აგებული მათი წინადადებები, არ ფიქრობენ მართლწერის ნორმებზე, სტილზე და მისთ.; ამ დროს შესაძლებელია არასრული წინადადებების და/ან ფრაზების გამოყენებაც. აღნიშნული სტრატეგიის მთავარი მიზანია, კალამმა შეუჩერებლად იმოძრაოს. წერის ამ სტრატეგიისათვის შესაძლებელია შეირჩეს თემები, რომლებიც ერთი კონკრეტული ფაქტისა თუ მოვლენის აღწერას გულისხმობს, მაგალითად, „როგორ შევხვდი ახალ წელს“, „როგორ აღვნიშნე ჩემი დაბადების დღე“ და ა.შ.

საზიარო წერა

საზიარო წერა არის პროცესი, რომლის დროსაც მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად ქმნიან ტექსტს („ხმამალა ფიქრის“, „ერთად ფიქრის“ სტრატეგიის გამოყენებით). მასწავლებელი ამ შემთხვევაში მწერლის როლს ითავსებს. „საზიარო წერის“ მიზანია, მასწავლებელმა თვალსაჩინოდ და კონკრეტულად წარმოუდგინოს მოსწავლეებს წერის პროცესი, აჩვენოს მათ

¹⁷ ე.წ. „ღრუბელი აქტივობები“ გამოიყენება დროის ინტერვალების შესავსებად. მათი მეშვეობით ინტერვალები, რომლებიც დროის კარგვისთვის იყო განწირული, ტრანსფორმირდება სასწავლო ქმედებისათვის გამიზნულ დროდ.

სტრატეგიები, რომლებსაც გამოცდილი მწერლები იყენებენ წერიტი ნამუშევრის შექმნის დროს; გააცნოს მოსწავლეებს წერიტი მეტყველების ნორმები.

მოსწავლეები ეუბნებიან მასწავლებელს, რისი თქმაც სურთ. ამისთვის კი მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მოსწავლეებს – უსვამს მათ შეკითხვებს იმ მიზნით, რომ ალაპარაკოს ისინი ამა თუ იმ იდეაზე, გაამახვილოს მათი ყურადღება საჭირო თემაზე/თემებზე. მასწავლებელი დაფაზე იწერს მოსწავლეების ნათქვამს, ხმამაღლა იმეორებს დაწერილ სიტყვებს და წინადადების დასრულების შემდეგ აკეთებს მოკლე კომენტარს წერისას გამოყენებული წესების შესახებ: ხსნის, რატომ დაწერა ესა თუ ის სიტყვა ამ ფორმით, რატომ დაწერა სიტყვები ამ მიმდევრობით და სხვ. ამის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს დაწერილ ტექსტს (კითხვისას აყოლებს ტექსტს საჩვენებელ ჯოხს ან თითს). საზიარო წერის სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა ფორმის და ჟანრის შესწავლის დროს.

ინტერაქტიული წერა

ინტერაქტიული წერის დროს მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად განწყვეტენ, რა უნდა ითქვას ტექსტით. შემდეგ ყველანი ერთობლივად წერენ ტექსტს, კითხულობენ, იმეორებენ, ასწორებენ მას. ამასობაში მასწავლებელი „ხმამაღლა ფიქრობს“ წერის პროცესის დემონსტრირების მიზნით.

წერა მასწავლებლის ხელმძღვანელობით

როდესაც მოსწავლეები თხზულებაზე მუშაობენ, მასწავლებელი ეხმარება მათ, სტიმულს აძლევს წერის პროცესს, ჩართულია ამ პროცესში და მყისიერად რეაგირებს ზეპირი კომენტარების, ასევე შენიშვნების და რჩევების მიცემის გზით; ზოგადად, ხელმძღვანელობს და წარმართავს მოსწავლეთა მუშაობას.

დამოუკიდებლად წერა

მოსწავლეები წერენ საკუთარ თხზულებებს მოდელირებული, საზიარო და მასწავლებლის ხელმძღვანელობით ჩატარებული წერიტი გაკვეთილებისას შექმნილი ცოდნისა და უნარების გამოყენებით. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს როგორც წერის წინა ეტაპზე (კონსულტაციების მეშვეობით), ისე უშუალოდ წერის პროცესის დროს (მოსწავლეთა ნახალისებით, რჩევის მიცემით, საჭირო ახსნა-განმარტებით, სხვ.).

ერთობლივი წერა

ესაა პროცესი, როდესაც ჯგუფებად (ან წყვილებად) დაყოფილი მოსწავლეები მუშაობენ ერთად, როგორც თანაავტორები. მაგალითად, მათ შეუძლიათ ჯგუფური აბზაცის ან ლექსის შედგენა მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ან ჯგუფის მიერ შექმნილი ძირითადი იდეის გამომხატველ წინადადებაზე (პირველ სტრიქონზე) დაყრდნობით. ქალაქის ერთი ფურცლის გამოყენებით მოსწავლეები რიგრიგობით ადგენენ წინადადებებს ან სტრიქონებს. ჯგუფი

ქმნის თხზულებას, საჭიროების შემთხვევაში, ამატებს იდეებს ან „გადააღაგებს“ მათ იმისათვის, რომ თხზულება აზრობრივად გამართული გამოვიდეს და/ან დასრულებული სახე მიეცეს.

კვლევითი წერა

კვლევითი წერა გულისხმობს რესურსებზე დამყარებულ სწავლას, რომელიც ეფექტურად ავითარებს მოსწავლეების კვლევით უნარ-ჩვევებს სხვადასხვა სახის ინფორმაციის წვდომის, მოძიების, დახარისხებისა და გამოყენების მეშვეობით.

აუცილებელია, რომ აქტივობები ხორციელდებოდეს შინაარსიან კონტექსტში, კონკრეტული დავალებების, ამოცანებისა თუ საკითხების სახით. ინფორმაციის მოძიებისა და კვლევის პროცესი მრავალმხრივ სასარგებლოა მოსწავლეებისთვის. ისინი იკმაყოფილებენ ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, აქტიურებენ და თავს უყრიან ადრეულ ცოდნას, ფიქრობენ და განსაზღვრავენ, რა ნაბიჯები უნდა გადადგან ან რა ამოცანები უნდა გადაწყვიტონ ინფორმაციის მოსაძიებლად; აგროვებენ და აფასებენ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისობას კონკრეტულ მიზნებთან, იყენებენ უკვე ნასწავლ მასალას, უჩნდებათ ახალ-ახალი შეკითხვები, რის შედეგადაც უვითარდებათ არაერთი სასწავლო უნარი. მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს სხვადასხვა ტექნოლოგიისა და რესურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით, ასევე აათვისებინოს მათ ინფორმაციის მოპოვებისა და შეფასების სტრატეგიები.

წერა წყვილებში/ჯგუფებში

წყვილებში/ჯგუფებში წერა ყველაზე ეფექტური და შედეგისმომტანია მაშინ, როდესაც ამ წყვილებს/ჯგუფებს დაევალებათ რაიმეს დაწერა უშუალოდ ახალი მასალის შესწავლის შემდეგ. სამუშაოს ორგანიზების თვალსაზრისით, არსებობს ორი მიდგომა: 1. წინასწარი შერჩევა – მასწავლებელი წინასწარი შერჩევით დააჯგუფებს მოსწავლეებს წყვილებად/ ჯგუფებად. ამ დროს მენყვილებად/სამუშაო ჯგუფის წევრებად შეირჩევიან მოსწავლეები, რომლებიც, მასწავლებლის აზრით, კარგად „შეაფასებენ“ ერთმანეთს (მაგ., შემოქმედებითი, იდეებით აღსავსე მოსწავლე დისლექსიის ნიშნებით და მუყაითი, მცოდნე მოსწავლე „შემსრულებლის“ ტიპისა); 2. შემთხვევითი შერჩევა – მოსწავლეები თვითონ ირჩევენ პარტნიორს ან ერთიანდებიან წყვილებში/ჯგუფებში ადგილების მიხედვით (წყვილებში/ჯგუფებში ერთიანდებიან ერთმანეთის გვერდით და/ან ახლოს მსხდომი მოსწავლეები). აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა აითვისონ წყვილებში/ჯგუფებში მუშაობისთვის საჭირო ტრადიციული გზა: ა) რეპეტიცია – მოსწავლეები თავდაპირველად ზეპირად ჩამოაყალიბებენ თავიანთ ნააზრევს (რაც უნდა დაწერონ); ბ) წერა – წერს ერთი, სხვა ეხმარება ან ყველანი წერენ საკუთარ ვერსიას (ეს უკანასკნელი კარგი საშუალებაა კინკლაობის თავიდან ასარიდებლად); გ) კითხვა – მოსწავლეები კითხულობენ ნამუშევარს, შეაქვთ მასში შესწორებები და ამზადებენ ნამუშევრის საბოლოო ვერსიას.

წყვილებში/ჯგუფებში მუშაობას გაკვეთილზე დროის მცირე მონაკვეთი უნდა დაეთმოს. საჭიროა ხაზგასმა, რომ სამუშაო სწრაფად უნდა შესრულდეს – მოსწავლეებმა არ უნდა იფიქრონ, რომ დრო ბევრი აქვთ, რათა არ მოადუნონ ყურადღება. თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, მოსწავლეებს შეიძლება გაეზარდოთ სამუშაო დრო.

წერის სემინარები

სემინარები წერის სწავლების ეფექტური საშუალებაა. ისინი ხელს უწყობს წერისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, ეხმარება მოსწავლეებს წერის სტრატეგიების დაუფლებაში. წერის სემინარების გრაფიკი დეტალურად უნდა იყოს განერილი. სემინარების ჩატარებისას მოსწავლეები სამ ძირითად საქმიანობაში არიან ჩაბმული:

- მინი-გაკვეთილები (მასწავლებლები ატარებენ მოკლე გაკვეთილებს, რომლებიც ფოკუსირებულია წერის სტრატეგიებზე, უნარებსა და პროცედურებზე);
- დამოუკიდებელი წერა (მოსწავლეები მუშაობენ კონკრეტულ წერით დავალებაზე);
- გაზიარება (მიმდინარე სამუშაო ვერსიას ან ნაწერის საბოლოო ვერსიას მოსწავლეები გააცნობენ მცირე ჯგუფს ან მთელ კლასს).

დღიურის წარმოება

დღიურის წარმოება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წერითი მეტყველების განვითარებას. დღიურში ავტორი წერს იმ თემებზე, რომლებიც მას რეალურად აინტერესებს ან აღეგვებს. ამ დროს იგი, ძირითადად, კონცენტრირებულია შინაარსზე – იმაზე, რომ რაც შეიძლება სრულად და ადეკვატურად გადმოსცეს თავისი ფიქრები, ემოციები, აზრები; ნაკლებ ყურადღებას აქცევს ენობრივი ნორმების სრულყოფილად დაცვას, ტექსტის სტრუქტურასა და/ან ორგანიზაციულ ყალიბს. თავისუფლების ამგვარი ხარისხი კარგ შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, დაუკავშიროს წერის გამოცდილება რეალურ ცხოვრებას, თამამად იმუშაოს სიტყვებზე, ფრაზებზე, აღმოაჩინოს მათი მნიშვნელობის ახალი ნახ-ნაგები, გაიმდიდროს ლექსიკა, გამოიმუშაოს წერის საკუთარი სტილი.

წერის სტრატეგიები და უნარ-ჩვევები:

წერის სტრატეგიები ის ინსტრუმენტებია, რომლებსაც მოსწავლეები მიზანმიმართულად იყენებენ ეფექტური ნაწარმოებების შესაქმნელად. როგორც უკვე ითქვა, მოსწავლეები ბევრ ერთსა და იმავე სტრატეგიას იყენებენ როგორც კითხვისთვის, ისე წერისთვის (ადრეული ცოდნის გააქტიურება, კითხვების დასმა, შეფასება, სხვ.). წერის დროს გამოიყენება შემდეგი სტრატეგიები:

წერის წინა ეტაპის სტრატეგიები. მოსწავლეები იყენებენ შესაბამის სტრატეგიებს, როგორებიცაა, მაგალითად: წერის დაწყებამდე იდეების შემუშავება და მათი ორგანიზება, გეგმის, გეგმა-მონახაზის შედგენა, კატეგორიზაცია, სხვ.

პროექტის შედეგის სტრატეგიები. მოსწავლეები იყენებენ სანყისი ვარიანტის წერისას იდეებზე ყურადღების კონცენტრირების მიზნით (მაგ., თემის დაკონკრეტება, წყაროების მოძიება, მაგალითების წარმოდგენა, სხვ.).

რედაქტირება-კორექტირების სტრატეგიები. მოსწავლეები იყენებენ ჩასწორებების შეტანის სტრატეგიებს თავიანთი იდეების უფრო ეფექტურად გამოსაცემად. ასეთებია, მაგალითად: ხელახალი კითხვა, პრობლემების აღმოჩენა, იდეების დახვეწა, წინადადებების გაერთიანება და ზუსტი სიტყვების შერჩევა; მართლწერაში დაშვებული შეცდომებისა თუ სხვა მექანიკური შეცდომების გასწორებისათვის (მაგ., კითხვა შეცდომების აღმოჩენის მიზნით).

წერიტი ნამუშევრის გაზიარების სტრატეგიები. მოსწავლეები იყენებენ თავიანთი ნამუშევრების საბოლოო ვარიანტების მოსამზადებლად და კლასელებსა თუ სხვა აუდიტორიებისთვის გასაზიარებლად. ასეთებია, მაგალითად, პროექტის შედეგა და წარდგენა ადეკვატურად შერჩეული ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით, სხვ.

წერილობითი ტექსტის სტრუქტურა

აბზაცი

ყველა წერიტი ნამუშევარი აბზაცებისაგან შედგება. ამდენად, კარგად სტრუქტურირებული, გააზრებული წერიტი ნამუშევრის დასაწერად აუცილებელია, რომ მოსწავლემ კარგად გააცნობიეროს აბზაცის – წერიტი ნამუშევრის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულის რაობა, სახეები და აგებულება.

აბზაცის რაობა და სტრუქტურა

აბზაცი არის ერთობლიობა წინადადებებისა, რომლებიც გაერთიანებულია ორი ნიშნით. ესენია: ა) თემის ერთიანობა; ბ) აზრობრივი შესაბამისობა. ამდენად, აბზაცში წარმოდგენილია წინადადებები, რომლებიც უკავშირდება ერთსა და იმავე თემას და აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს.

ფუნქციური თვალსაზრისით განარჩევენ აბზაცის ორ სახეს – დამოუკიდებელსა და დამხმარეს. დამოუკიდებელი აბზაცის ფუნქციაა, მიანოდოს მკითხველს ფაქტობრივი ან კონცეპტუალური ინფორმაცია, დამხმარე აბზაცი კი შეაჯამებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს, ამზადებს მკითხველს მომდევნო ნაწილზე გადასასვლელად.

წაწერის სათანადოდ ორგანიზების უნარ-ჩვევების ასათვისებლად აუცილებელია, მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმაროს აბზაცის ცნებისა და სტრუქტურის გააზრებაში – აუხსნას მათ, რომ: ა) აბზაცი არის ერთმანეთთან დაკავშირებული წინადადებების ერთობლიობა, რომლებშიც განვითარებულია ერთი აზრი; ბ) აბზაცი შედგება სამი ნაწილისაგან. ესენია, კერძოდ: 1. თემატური წინადადება – მასში გამოხატულია აბზაცის ძირითადი იდეა, მთავარი აზრი. იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს აბზაცის დასაწყისსა ან

ბოლოში;¹⁸ 2. რამდენიმე დამხმარე წინადადება – მათში გადმოცემულია თემასთან/ძირითად იდეასთან დაკავშირებული ინფორმაცია; 3. დასკვნითი წინადადება – იგი შეაჯამებს ძირითად აზრს ან სხვა სიტყვებით გადმოგვცემს თემატურ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. კლასიკური, ტრადიციული აგებულების მქონე აბზაცის გრაფიკულ სქემას, მისი გარეგნული იერსახის გამო, „სენდვიჩის“ უწოდებენ. სქემატურად აბზაცის სტრუქტურა ამგვარად შეიძლება გამოისახოს:



სქემის ზედა და ქვედა ნაწილები – „სენდვიჩის“ პურის ნაჭრები – ესაა თემატური წინადადება და დასკვნითი წინადადება, რომელთა შუაში „მოთავსებულია“ დამხმარე წინადადებები.¹⁹ განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. თემატური წინადადება

თემატური წინადადება აბზაცის უმნიშვნელოვანესი ერთეულია. იგი მკითხველს წარმოდგენას უქმნის თემის შესახებ, უადვილებს მას ნაწერის აღქმასა და გაგებას. მას ორი ნაწილი აქვს. ესენია: ა) თემა – ტრადიციულად, იგი წარმოდგენილია ქვემდებართა და მასთან დაკავშირებული წინადადების წევრებით; ბ) შემომსახვრელი იდეა, რომელიც გადმოცემულია შემასმენლით

¹⁸ ჩვენ აქ ძირითადად განვიხილავთ იმგვარ მოდელს, რომლებშიც თემატური წინადადება აბზაცის დასაწყისშია წარმოდგენილი – ცნობილია, რომ სანყის ეტაპზე მოსწავლეები უფრო ხშირად სწორედ ამგვარი სტრუქტურის მქონე აბზაცებს იყენებენ (იხ. Laurie G. Kiszner & Stephen R. Mandell, *Patterns for College Writing, A Rhetorical Reader and Guide*, BEDFORD/ST. MARTIN'S, 2012, გვ. 55).

¹⁹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თემატური წინადადება ზოგჯერ შეიძლება არც იყოს წარმოდგენილი აბზაცში (განსაკუთრებით, თხრობით აბზაცებში). ამ შემთხვევებში აბზაცი წარმოადგენს ერთი იდეის/თემის საფუძველზე შეკავშირებული წინადადებების ერთობლიობას, რომელშიც იმპლიციტურადაა გადმოცემული აბზაცის მთავარი იდეა ან, უბრალოდ, გრძელდება წინა აბზაცის თემა. აქ ჩვენ ამგვარ შემთხვევებზე ცალკე არ შევჩერდებით.

და მასთან დაკავშირებული წინადადების წევრებით (იხ. ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილი სქემა). თემატური წინადადების შედგენისას შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვა სინტაქსური კონსტრუქციებიც, მაგ., ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება, სხვ.

თემატური წინადადების პირველი ნაწილი წარმოგვიდგენს, ასახელებს აბზაცის თემას; შემომსაზღვრელი იდეა კი, ერთი მხრივ, ნათელყოფს, რას გვეტყვის აბზაცი ამ კონკრეტული თემის შესახებ, მეორე მხრივ, შემოსაზღვრავს თემას კონკრეტული თვალსაზრისის საფუძველზე, გამოკვეთს რაკურსს – ავტორის ხედვის კუთხეს. საზოგადოდ, ადეკვატური თემატური წინადადების მიზანია, გააცნოს მკითხველს თემა ისე, რომ არ გამოიყენოს არცერთი დეტალი. ქვემოთ ნიმუშების სახით წარმოდგენილია საერთო თემის მქონე თემატური წინადადებები განსხვავებული განმსაზღვრელი იდეებით.

თემატური წინადადება	თემა	შემომსაზღვრელი იდეა
1. ზოგიერთი ქორწილი ძალზე უბრალოდ ტარდება.	ზოგიერთი ქორწილი	ძალზე უბრალოდ ტარდება
2. ზოგიერთი ქორწილი ძალზე მდიდრულად ტარდება.	ზოგიერთი ქორწილი	ძალზე მდიდრულად ტარდება
3. ზოგიერთი ქორწილი უჩვეულო, ეგზოტიკურ გარემოში ტარდება.	ზოგიერთი ქორწილი	უჩვეულო, ეგზოტიკურ გარემოში ტარდება

ტრადიციულად, თემატური წინადადება აბზაცის პირველ ადგილზე დგას, თუმცა იგი, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება აბზაცის ბოლოშიც შეგვხვდეს. აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი: თემატური წინადადება არ უნდა იყოს არც მეტისმეტად ზოგადი, არც მეტისმეტად კონკრეტული. სათანადოდ შედგენილი თემატური წინადადება მკითხველს აცნობს აბზაცის შინაარსს, მაგრამ არ სთავაზობს დეტალებს.

განვიხილოთ თემატური წინადადებების ნიმუშები:

1. ძალზე ზოგადი თემატური წინადადება

1.1. სათაური: „როდის გაქვთ ქორწილი? ანუ ქორწინება ქართულად“

„ქორწინება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ადამიანის პირად ცხოვრებაში“ – წინადადება ძალზე ზოგადია: მკითხველი ვერ შეიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, კონკრეტულად, რაზე იქნება ლაპარაკი. ერთადერთი დასკვნა, რომელსაც მკითხველი გამოიტანს, ისაა, რომ ადამიანები ქორწინდებიან.

1. 2. სათაური: „ნამდვილი მეგობარი“

„მეგობრობა ციდან მოვლენილი ნიჭია, რომელიც ადამიანის გულს სითბოთი ავსებს“ – წინადადება ძალზე ბუნდოვანია, ვერ უქმნის მკითხველს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ, კონკრეტულად, რაზე იქნება აბზაცში ლაპარაკი.

2. ძალზე კონკრეტული თემატური წინადადება.

2.1. სათაური: „როდის გაქვთ ქორწილი? ანუ ქორწინება ქართულად“

„საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა 20-25 წლის ასაკში ქორწინდება“ – წინადადებაში ლაპარაკია კონკრეტულ დეტალზე, რომელიც, წესით, შემდეგში (აბზაცის შუა ნაწილში) უნდა იყოს მოყვანილი.

2.2. სათაური: „ნამდვილი მეგობარი“.

„ნამდვილი მეგობრის პოვნა ძალიან ძნელია“ – წინადადებაში ლაპარაკია კონკრეტულ პრობლემაზე, რომელზეც, წესით, შეიძლება ლაპარაკი იყოს აბზაცის შუა ნაწილში.

3. ადეკვატური თემატური წინადადება.

3.1. სათაური: „როდის გაქვთ ქორწილი? ანუ ქორწინება ქართულად“.

„საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის მანძილზე“ – წინადადება მკითხველს აცნობს, ერთი მხრივ, თემას (ქორწინება, საქორწინო ასაკი), მეორე მხრივ, წარმოდგენას უქმნის იმაზე, თუ კონკრეტულად, როგორ განვითარდება თემატური წინადადება, რაზე იქნება ლაპარაკი აბზაცში (საშუალო საქორწინო ასაკის ცვლილებაზე).

3.2. სათაური: „ნამდვილი მეგობარი“.

„ნამდვილ მეგობარს სამი თვისება გამოარჩევს“ – წინადადება მკითხველს აცნობს თემას; ამასთან, წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ როგორ იქნება აგებული აბზაცი: მასში, წესით, ლაპარაკი უნდა იყოს ნამდვილი მეგობრის დამახასიათებელ სამ თვისებაზე.

II. დამხმარე წინადადებები

აბზაცის შუა ნაწილის წინადადებებში მოყვანილია დამატებითი ინფორმაცია თემატურ წინადადებაში ასახული მთავარი იდეის შესახებ: მაგალითები, ფაქტები მონაცემები, დეტალები, რომლებიც ადასტურებს თემატურ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. მაგ., ზემოთ მოცემული თემატური წინადადებისათვის დამატებით ინფორმაციად შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკური მონაცემები, კონკრეტული დამატებითი ინფორმაცია, ესა თუ ის კონკრეტული ფაქტი, მისთ.

ადეკვატური დამხმარე წინადადებების დასაწერად თემატურ წინადადებას უნდა დაუფსვავთ შეკითხვა. ესაა ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზა თემატური წინადადების დამხმარე წინადადებების დასაწერად. მაგ.: ა) თემატური წინადადება: „საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის მანძილზე“. შეკითხვები: რის საფუძველზე ვასკვნით ამას? რა მონაცემებს ვეყრდნობით? როგორია საშუალო საქორწინო ასაკი დღეისათვის? როგორი იყო საშუალო საქორწინო ასაკი ათი წლის წინათ? მისთ.; ბ) თემატური წინადადება: „ნამდვილ მეგობარს სამი თვისება გამოარჩევს“. შეკითხვები: კერძოდ, რა თვისებებზეა ლაპარაკი? რომელია პირველი, მეორე ან მესამე თვისება?, მისთ.

ნიმუში. აბზაცის შუა ნაწილი: დამხმარე წინადადებები – დამატებითი ინფორმაცია.

❖ სათაური: „როდის გაქვთ ქორწილი? ანუ ქორწინება ქართულად“

„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს დაქორწინებული მოქალაქეების საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალი იყო ათი წლის წინათ – ამავე სამსახურის ინფორმაციით, 2002 წელს დაქორწინებულთა საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა“.

❖ სათაური: „ნამდვილი მეგობარი“.

1-ლი თვისება (მაგ., შეუძლია საიდუმლოს შენახვა)

მე-2 თვისება (მაგ., არის ერთგული)

მე-3 თვისება (მაგ., ყოველთვის მზადაა დასახმარებლად)

III. დასკვნითი წინადადება

ტრადიციულად, დასკვნითი წინადადება წარმოდგენილია აბზაცის ბოლოში. დასკვნითი წინადადება მკითხველს შეახსენებს აბზაცის ძირითად იდეას – ამ მიზნით დასკვნით წინადადებაში გამოორებულია თემატურ წინადადებაში გამოთქმული აზრი სხვა (თემატური წინადადებისაგან განსხვავებული) სიტყვების გამოყენებით. ხშირ შემთხვევებში, ბოლო წინადადებაში ვხვდებით სიტყვებს ან შესიტყვებებს, რომლებიც გამოყენებულია აბზაცში გატარებული აზრის შესაჯამებლად: „ამგვარად“, „ამდენად“, „აქედან ჩანს, რომ...“ „ნათელია, რომ...“ „ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ...“

ნიმუში. აბზაცის დასკვნითი წინადადება.

❖ სათაური: „როდის გაქვთ ქორწილი? ანუ ქორწინება ქართულად“.

„ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი უკანასკნელ ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა“.

❖ სათაური: „ნამდვილი მეგობარი“.

„აი, ის ძირითადი თვისებები, რომლებიც ნამდვილ მეგობარს განასხვავებს ცრუ მეგობრისაგან“.

წინადადებების გადაბმვა

აბზაცში გაერთიანებული წინადადებები აზრობრივად უნდა ებმოდეს ერთმანეთს. არსებობს წინადადებების გადაბმის ორი სახე: ჯაჭვური და პარალელური.

ჯაჭვური გადაბმის დროს ყოველი მომდევნო წინადადება აგრძელებს, ავითარებს ან განმარტავს წინამავალ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. მაგ., „გუშინ სპექტაკლი ვნახეთ. სპექტაკლი ყველას ძალიან მოგვეწონა“.

მოყვანილ წინადადებებში ლაპარაკია ერთსა და იმავე საგანზე – სპექტაკლზე. ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად მეორე წინადადებაში საერთო

საგნის აღმნიშვნელი სიტყვა შეიძლება ჩანაცვლდეს სინონიმით ან ნაცვალ-სახელით. მაგ.,

- „გუშინ სპექტაკლი ვნახეთ. იგი ყველას ძალიან მოგვეწონა“.
- „გუშინ სპექტაკლი ვნახეთ. წარმოდგენა ყველას ძალიან მოგვეწონა“.

პარალელური გადაბმის შემთხვევაში წინადადებები ერთმანეთთან თემატურადაა დაკავშირებული. გადაბმის ეს სახეობა ხშირად გამოიყენება აღწერით ტექსტებში. მაგალითად: „მზე ნელ-ნელა ძალას იკრებდა. გაღმა ფერდობზე ცხვრის ფარა გამოჩნდა. უცებ ავტომანქანის საყვირის ხმა გავიგონეთ“.

შესაძლებელია წინადადებების გადაბმის ამ ორი სახის **კომბინირებაც**, როდესაც ავტორი, საჭიროებიდან გამომდინარე, ერთი აბზაცის ფარგლებში იყენებს როგორც ჯაჭვურ, ისე პარალელურ გადაბმას (მაგ., ჯაჭვური გადაბმის მქონე თხრობით ტექსტში „ჩართავს“ მოკლე აღწერას, რომელშიც გამოყენებულია პარალელური გადაბმა).

ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციები²⁰

აბზაცში გაერთიანებული წინადადებები ხშირად ერთმანეთთან დაკავშირებულია ცალკეული სიტყვებით თუ ენობრივი კონსტრუქციებით, რომლებშიც ასახულია ლოგიკური კავშირები აბზაცში გაერთიანებულ წინადადებებს შორის. ეს სიტყვებია: *მაგალითად, ამდენად, ამას გარდა, მეორეც, შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, თუმცა, დასასრულ, მეორეც, აქედან გამომდინარე და ა.შ.* ამგვარი „გადასვლები“ ძალზე უადვილებს მკითხველს ტექსტში მოცემული სხვადასხვა ინფორმაციის აღქმას, მათ შორის არსებული კავშირებისა და მიმართებების გაგება-გააზრებას.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ მათ წერის დაწყებამდე უნდა შეიმუშაონ კონკრეტული იდეა, რადგან ნებისმიერი თხზულება – მხატვრული თუ არამხატვრული, არ წარმოადგენს აბზაცების მექანიკურ გაერთიანებას. ცალკეულ აბზაცებს აერთიანებს ერთი კონკრეტული საერთო იდეა.

აბზაცის სახეები

თხრობითი აბზაცი

ტრადიციულად, თხრობით აბზაცში მოვლენები აღწერილია დროითი თანამიმდევრობის დაცვით – პირველად მოხსენებულია ფაქტი ან მოვლენა, რომელიც მოხდა თხრობის დასაწყისში, მეორე ადგილზეა ფაქტი ან მოვლენა, რომელიც მოჰყვა მას და ა.შ. თხრობით ტექსტს სხვაგვარად ნარატიულ ტექსტსაც უწოდებენ (ლათ. სიტყვიდან *narratio* – თხრობა).

მოვლენათა დროითი თანამიმდევრობის გადმოსაცემად ამ ტიპის აბზაცებ-

²⁰ ამასთან დაკავშირებით დამატებით იხ. ზემოთ, ზეპირი გამოსვლა, „ლოგიკური მიმართებები“.

ში გამოიყენება შემდეგი სიტყვები და/ან ფრაზები: *ჯერ, თავდაპირველად/პირველად, თავიდან/სულ თავიდან; დასაწყისში, მოგვიანებით, შემდეგ, ცოტა ხანში/ცოტა ხნის შემდეგ, მერე, მალე; ახლა, ამასობაში, შემდეგ; ბოლოს/სულ ბოლოს, დასასრულ, დიდ ხანს არ გაუვლია..., ამის შემდეგ, ...-(ი)ს დაწყებამდე, პირველ დღეს, მეორე დღეს, მისთ.* ტრადიციულად, თხრობითი ტექსტის აბზაცები დროითი თანამიმდევრობის შესაბამისად არის ორგანიზებული.

აღწერითი აბზაცი

აღწერითი, ანუ დესკრიპციული (ლათ. სიტყვიდან *descriptio* -აღწერა) აბზაცი აღწერს ვინმეს ან რაიმეს – მოვლენას, საგანს, ადგილს, გამოცდილებას (რეალურს ან მოგონილს), სხვ. იგი გადმოგვცემს, კერძოდ, აღსაწერი ობიექტის გარეგნულ იერსახეს, ფერს, სურნელს, ხმიანობას, ქცევას, ხასიათის თვისებებსა და სხვ. ამ ტიპის ტექსტების მიზანია, მკითხველმა ცხადად, თვალნათლივ წარმოიდგინოს აღსაწერი ობიექტი. ამიტომაც, რომ აღწერით ტექსტებს *სიტყვიერ სურათებსაც* უწოდებენ.

აღწერითი ტექსტის აბზაცებში, ძირითადად, გამოიყენება სივრცული ორგანიზაციული ყალიბი, რომელიც აღსაწერ ობიექტს წარმოგვიდგენს სივრცეში მისი მდებარეობის მიხედვით. ამ ყალიბის გამოყენებისას ავტორის გადასაწყვეტია, კონკრეტულად, რა მიმდევრობით უნდა წარიმართოს აღწერა, ვთქვათ: ავტორის ხედვის კუთხიდან მარცხნიდან მარჯვნივ თუ პირიქით; ქვემოდან ზემოთ თუ პირიქით; გარედან შიგნით თუ პირიქით; ახლოდან შორს თუ პირიქით, სხვ. მაგ., თუკი ტექსტში აღწერილია ოთახი (მაგ., წერილი დავალება „ჩემი ოთახი“), ავტორს შეუძლია აღწეროს ჯერ ის ნივთები, რომლებიც ოთახის კარიდან მარცხნივაა განლაგებული, შემდეგ – მარჯვნივ განლაგებული (ან პირიქით – აღწეროს ჯერ მარცხნივ განლაგებული ნივთები, შემდეგ – მარჯვნივ განლაგებული). ამა თუ იმ ხედვის აღწერის დროს (მაგ., წერილი დავალება „ხედი ჩემი ოთახის ფანჯრიდან“) კი ავტორს შეუძლია აღწეროს ჯერ ის საგნები, რომლებიც მოჩანს ყველაზე შორს, შემდეგ თანდათანობით გადმონაცვლოს თხრობა იმ საგნებზე, რომლებიც უფრო ახლოა მთხრობელთან (ან პირიქით – აღწეროს ჯერ ახლომდებარე საგნები).

სივრცული ორგანიზაციული ყალიბის მქონე აღწერითი აბზაცების შედგენისას გამოიყენება შემდეგი სიტყვები და ფრაზები: *შუაში/ცენტრში, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, შიგნით, გარეთ, ...-ის გვერდით, ...-ის თავზე, ...-ის ქვემოთ, ...-ის შუა/შორის, ...-ის გასწვრივ, შორს, ახლოს, მისთ.*

აღწერითი აბზაცის თემატური წინადადება. თემატურ წინადადებაში აუცილებლად უნდა დასახელდეს თემა, შემომსაზღვრელი იდეა კი უნდა იძლეოდეს ზოგად შთაბეჭდილებას აღსაწერ ობიექტზე.

ნიმუში:

- „სახლი ნამდვილი ციხესიმაგრეა გარესამყაროსაგან თავდასაცავად“.
- „ავტობუსით მგზავრობა პიკის საათებში მძიმე გამოცდაა ადამიანის ნერვული სისტემისათვის“.
- „ჩვენი სკოლის ბუფეტი შესვენებაზე ფუტკრების სკას წააგავს“.

აღწერიითი აბზაცის დამხმარე წინადადებები. ისინი გადმოგვცემენ დეტალებს, რაც გულისხმობს აღსაწერი ობიექტის/ობიექტების გარეგნული ნიშნების, თვისებების, სხვ. აღწერას კონკრეტული დეტალის/დეტალების ჩვენებით. დეტალები ეხმარება მკითხველს, უფრო ნათლად წარმოიდგინოს აღსაწერი ობიექტი, საჭიროების შემთხვევაში კი დაარწმუნოს მკითხველი ტექსტში ასახული მოვლენის უტყუარობაში. სრული აღწერისას გამოყენებული დეტალები უნდა მიემართებოდეს ადამიანის ხუთ გრძნობას (სმენას, მხედველობას, შეხებას, ყნოსვას, გემოს). მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს, როგორ გამოიყურება აღსაწერი ობიექტი, როგორი სურნელი, ხმიანობა თუ გემო აქვს მას და ა.შ.

გასათვალისწინებელია შემდეგი: მართალია, დეტალები შინაარსობრივად უფრო ამდიდრებს ტექსტს, მაგრამ მათმა გადმოცემამ მეტისმეტად არ უნდა გაგვიტაცოს – საჭიროა გვახსოვდეს, რომ ტექსტის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებელს მისი მთლიანობა წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ ტექსტის თითოეული წინადადება მთავარ თემას, ძირითად იდეას უნდა უკავშირდებოდეს.

დამარწმუნებელი აბზაცი

დამარწმუნებელი აბზაცის მიზანია, დაარწმუნოს მკითხველი ავტორის თვალსაზრისის მართებულობაში, რისთვისაც აუცილებელია დასაბუთება არგუმენტების მოშველიებით. არგუმენტები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს: მაგალითები ლიტერატურული, პირადი და/ან სხვისი გამოცდილებიდან, შესაბამისი ფაქტი/ფაქტები, სტატისტიკური მონაცემები, ლოგიკაზე დაფუძნებული არგუმენტები. მკითხველის დარწმუნების მიზნით იყენებენ აგრეთვე ისეთ ხერხებს, რომლებიც ზემოქმედებს მკითხველის ემოციებსა და/ან ფსიქიკაზე. არგუმენტირებული წერის დროს ავტორმა უნდა აჩვენოს, რომ მისი პოზიცია გააზრებულია და კარგადაა აწონ-დაწონილი. ამისათვის ეფექტური იქნება საწინააღმდეგო პოზიციის არგუმენტის/არგუმენტების მოყვანა და მათი უარყოფა / ხარვეზების წარმოჩენა.

ლოგიკური მიმართებების ამსახველი აბზაცი

ლოგიკური მიმართებების ამსახველი აბზაცი წარმოაჩენს სხვადასხვა სახის ლოგიკურ შესაბამისობას (მიზეზშედეგობრიობას, გვარსახეობრიობას და ა.შ.) საგნებს/მოვლენებს შორის, განსაზღვრავს ძირითად მახასიათებლებს და მათ ურთიერთმიმართებებს, მისთ.

იდევნის ლოგიკური შესაბამისობა არის ორგანიზაციული ყალიბი, რომელიც გულისხმობს თემის დაყოფას ცალკეულ მახასიათებლებად, შემდეგ კი თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვას.

ამ სახის აბზაცის თემატური წინადადება უნდა ასახავდეს სათანადო ლოგიკურ შესაბამისობას.

ნიმუში:

- „კარგ მასწავლებელს სამი თვისება გამოარჩევს“.

- „პატარა ქალაქში ცხოვრებას მრავალი უპირატესობა აქვს“.
- „ძველი ბერძნული კერამიკული ნაწარმი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა“.

ზემოთ მოყვანილ პირველ და მესამე თემატურ წინადადებებში გამოთქმული აზრის გასაგრძელებლად დასახელებული თვისებები, მახასიათებლები თუ ნაწილები სათითაოდ უნდა იყოს განხილული. რაც შეეხება მეორე წინადადებას, საკმარისი იქნება, თუკი განვიხილავთ სამს მაინც.

ამ ორგანიზაციული ყალიბის გამოყენების შემთხვევაში გამოსადეგია შემდეგი ენობრივი კონსტრუქციები: *უპირველეს ყოვლისა, მაგალითად, კერძოდ, მეორე ჯგუფია, პირველი უპირატესობა, გარდა ამისა, ასევე/აგრეთვე* და მისთ. სასურველია, რომ თითოეული ეს მოსაზრება განვამტკიცოთ დამატებითი დეტალებით (მაგ., ღირებულების, მოგების, სარგებლიანობის, პროცენტული წილის და ა.შ. შესახებ).

ლოგიკური მამართებების შემცველი აბზაცი, ტრადიციულად, მთავრდება ერთგვარი დასკვნით ან შეჯამებით (*მოკლედ, ამდენად, ამიტომ, ამგვარად, ცხადია, მისთ.*).

კარგად შედგენილი ლოგიკური მიმართებების ამსახველი აბზაცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარამეტრია მისი თანამიმდევრულობა. ეს ნიშნავს, რომ ერთი წინადადება მეორეზე ბუნებრივად გადადის, რაც მკითხველს ძალზე უადვილებს ტექსტის აღქმას. თანამიმდევრულობა შეიძლება გამოიკვეთოს სათანადო სიტყვებით ან ფრაზებით: *თავდაპირველად, მეორე მხრივ, რომ შევაჯამოთ, სხვ.* ზოგიერთი მათგანის გამოყენება შესაძლებელია დროითი ან სივრცული თანამიმდევრულობის აღწერის დროსაც.

მიზეზშედეგობრივი მიმართებების ამსახველი აბზაცის მიზანია, აუხსნას მკითხველს, რატომ მოხდა ესა თუ ის ფაქტი/მოვლენა, სხვ., აჩვენოს მას, როგორ მოქმედებს ან რა ზეგავლენას ახდენს ერთი საგანი თუ მოვლენა მეორეზე. მიზეზშედეგობრივი აბზაცი იწყება თემატური წინადადებით, რომელიც აწვდის მკითხველს ინფორმაციას იმის შესახებ, რაზე იქნება აბზაცი ფოკუსირებული – მიზეზზე თუ შედეგზე (მაგ., მიზეზი: „გლობალური დათბობა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომელსაც განაპირობებს სამი ძირითადი მიზეზი“; შედეგი: „გლობალური დათბობა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კლიმატურ მოვლენებზე“)²¹.

საინსტრუქციო აბზაცი

საინსტრუქციო აბზაცი პროცესზეა ფოკუსირებული და აგვიწერს, როგორ უნდა განვახორციელოთ ესა თუ ის პროცესი, შევასრულოთ რაიმე ქმედება. იმისათვის, რომ პროცესი ნათელი გახდეს ტექსტის მკითხველისათვის, იგი უნდა დაიყოს სათანადო ეტაპებად და აღიწეროს ცალ-ცალკე, დროით თანა-

²¹ დამატებით იხ. აგრეთვე ქვემოთ „მიზეზშედეგობრივი მიმართების ამსახველი ესე“.

მიმდევრობაზე დაყრდნობით (თავდაპირველად ვაკეთებთ ამას, შემდეგ ამას, ... სულ ბოლოს ამას). ამ ტიპის ტექსტებს ხშირად ვხვდებით სხვადასხვა პროდუქტის შეფუთვის ქალაქდზე, კულინარიულ რეცეპტებში, სხვ.

საინსტრუქციო აბზაცი იწყება თემატური წინადადებით, რომელიც მკითხველს აცნობს თემას და სთავაზობს მას, გაეცნოს მთლიანი პროცესის თითოეულ ეტაპს (პროცედურას).

ნიმუში. საინსტრუქციო აბზაციის თემატური წინადადებები:

- „გემრიელი და ნოყიერი გუფთის მომზადება ძნელი არ არის, თუკი გაითვალისწინებთ ამ რჩევებს“.

- „საკარნავალო ნიღბის დასამზადებლად ასე უნდა მოიქცეთ“.

ამის შემდეგ თემატური წინადადება გრძელდება წინადადებებით, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი თითოეული ნაბიჯი დროით თანამიმდევრობაზე დაყრდნობით.

საინსტრუქციო აბზაციის ბოლო წინადადება შეიძლება იყოს ან ბოლო ნაბიჯი (და ტექსტი ამით მთავრდებოდეს), ან შედეგის ჩვენება (მაგ., „წამოადულეთ 2-3 წუთი“ ან „და აი, გემრიელი და სურნელოვანი გუფთაც მზადაა“).

მსგავსება-განსხვავების ამსახველი აბზაცი

მსგავსება-განსხვავების ამსახველი აბზაცი იწერება ორი ან მეტი საგნის, მოვლენის, ფაქტის, პიროვნების, სხვ. შედარების საფუძველზე. შესაძლებელია, ამ ტიპის ტექსტი ფოკუსირებული იყოს ორი ან მეტი საგნის მსგავსებაზე ან განსხვავებაზე; შესაძლებელია, ერთდროულად იყოს საუბარი მსგავსებაზეც და განსხვავებაზე.

ამ ტიპის ტექსტების შედგენისას, ძირითადად, გამოიყენება ორი ორგანიზაციული ყალიბი: ა) მსგავსება-განსხვავების ბლოკები; ბ) ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერა ქვეთემების მიხედვით. მათი არჩევა ავტორის ნებაზეა დამოკიდებული (მიზანშეწონილების გათვალისწინებით).

დავუშვათ, საჭიროა დადგინდეს, რა მსგავსება-განსხვავებებია ორ საკონდიტრო ფირმას შორის. პირველი საორგანიზაციო ყალიბის გამოყენების შემთხვევაში ორივე ფირმის ყველა მსგავსი მახასიათებელი ჯგუფდება ერთად და ერთი მთლიანი ბლოკის (მსგავსებების ბლოკი) სახით აისახება ტექსტში; შემდეგ ერთად დაჯგუფდება ამ საწარმოთა ყველა განმასხვავებელი ნიშანი და იქმნება „განსხვავებათა“ ბლოკი.

მეორე ყალიბის გამოყენების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ქვეთემები (შესადარებელი ობიექტების ცალკეული მახასიათებლები). შემდეგ ამ ქვეთემების მიხედვით დაჯგუფდება მსგავსებები და განსხვავებები. მაგ., ზემოთ ნახსენები საკონდიტრო ფირმების შედარების შემთხვევაში, შეიძლება გამოიყოს ისეთი ქვეთემები, როგორებიცაა: პროდუქციის საშუალო ღირებულება, პროდუქციის ხარისხი, მომსახურების ხარისხი და სხვ. შემდეგ კი აღინეროს, რა მსგავსება-განსხვავებაა ამ ქვეთემების მიხედვით. სქემატურად აღნიშნული ყალიბები შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:

ნიმუში.

მსგავსება-განსხვავების აბზაცი. ორგანიზაციული ყალიბები:

ა)

- მსგავსებათა ბლოკი
- განსხვავებათა ბლოკი

ბ)

- პროდუქციის საშუალო ღირებულება
(მსგავსებები, განსხვავებები)
- პროდუქციის ხარისხი
(მსგავსებები, განსხვავებები)
- მომსახურების ხარისხი
(მსგავსებები, განსხვავებები)

მსგავსება-განსხვავების ამსახველი აბზაციის თემატური წინადადება უნდა ასახელებდეს თემას, აგრეთვე, მიგვითითებდეს მსგავსება-განსხვავების კრიტერიუმებზე. მაგალითად: „საკონდიტრო ფირმის პროდუქციის ყიდვის დროს გასათვალისწინებელია 3 ძირითადი ფაქტორი“. დასკვნითი წინადადება შეიძლება აჯამებდეს შედარების შედეგებს, მაგალითად, „ამდენად, პირველი საკონდიტრო ფირმა ორი ძირითადი ფაქტორით – პროდუქციის ხარისხითა და მომსახურების ხარისხით ბევრად აღემატება მეორეს“. შესაძლებელია, დასკვნით წინადადებას ჰქონდეს ერთგვარი რეკომენდაციის სახეც: „ამდენად, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუკი მომხმარებლები შეიძენენ პირველი საკონდიტრო ფირმის ნაწარმს“.²²

განსაზღვრებითი აბზაცი

განსაზღვრებითი აბზაცი განმარტავს რაიმეს და ხსნის მის მნიშვნელობას. განსაზღვრებითი ტიპის ტექსტებს განეკუთვნება, მაგალითად, სალექსიკონო სტატიები.

განსაზღვრებითი აბზაციის თემატური წინადადება უნდა შეიცავდეს 3 სახის ინფორმაციას. კერძოდ, მასში დასახელებული უნდა იყოს:

1. სიტყვა, საგანი, რომელიც უნდა განმარტოთ ან განვსაზღვროთ (თემა);
2. კატეგორია, გვარი, რომელსაც მიეკუთვნება განსამარტავი ან განსაზღვრავი სიტყვა, საგანი;
3. დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომლებითაც განსამარტავი სიტყვა (ან განსაზღვრავი საგანი) განსხვავდება შესაბამისი კატეგორიის ან გვარის სხვა წევრებისაგან.

²² ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლისას ამგვარი ორგანიზაციული ყალიბები შეიძლება გამოვიყენოთ, მაგ., პერსონაჟების შედარებითი დახასიათებისას.

ნიმუშის სახით მოვიყვანთ განსაზღვრებითი ტექსტის თემატური წინადადების მაგალითს. ფრჩხილებში ჩასმული ციფრები მიგვითითებს, რა სახის ინფორმაციას შეესატყვისება კონკრეტული სიტყვა ან წინადადების ნაწილი.

(1) დედამინა

არის

(2) მზის სისტემის პლანეტა,

(3) რომელზედაც არსებობს ორგანული სიცოცხლე.

როგორც ვხედავთ, შეთავაზებულ წინადადებაში:

1. დასახელებულია საგანი (დედამინა);
2. დასახელებულია გვარი (სისტემა, რომლის ნაწილიცაა დედამინა);
3. დასახელებულია საგნის (დედამინის) განმასხვავებელი ნიშან-თვისება (ამ სისტემის სხვა პლანეტებზე ორგანული სიცოცხლე არ არსებობს).

წერიტი ნამუშევრები

ტრადიციული წერიტი ნამუშევარი, რომელსაც ესეს ვუნოდებთ, სამი ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილებია: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა²³. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, შედგება აბზაცებისაგან, რომლებიც აგებული უნდა იყოს ზემოთ განხილული პრინციპების გათვალისწინებით²⁴. ესე არ წარმოადგენს აბზაცების მექანიკურ გაერთიანებას. მისი აუცილებელი მახასიათებლებია მთლიანობა და აზრობრივი შესაბამისობა (ანუ იგივე მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია აბზაცებისათვისაც). ეს გულისხმობს, რომ: ა) ესეს აბზაცებს შორის უნდა იყოს თემატური ერთიანობა; ბ) ესეს აბზაცები აზრობრივად უნდა შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. თითოეული აბზაცი, თავის მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს მთლიანობისა და აზრობრივი შესაბამისობის მოთხოვნებს.

გააზრებული წერიტი ნამუშევრის შესაქმნელად საკმარისი არ არის ცალკეული, თუნდაც კარგად სტრუქტურირებული აბზაცების შედგენა: მნიშ-

²³ ტრადიციული 5-აბზაციანი ესე სტრუქტურულად ამ მოდელს ეყრდნობა: შესავალი – 1 აბზაცი, ძირითადი ნაწილი – 3 აბზაცი, დასკვნითი ნაწილი – 1 აბზაცი. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე გზამკვლევაში სხვადასხვა სახის ესეს სტრუქტურისა და ორგანიზაციული ყალიბის მიმოხილვისას ვეყრდნობით სასკოლო ესეს ტრადიციულ ფორმატს.

²⁴ იხ. ზემოთ, ქვეთავი ”აბზაცის სტრუქტურა”.

ვნელოვანია, რომ ეს აბზაცები იზოლირებული არ იყოს ერთმანეთისაგან. ამისთვის ავტორს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რა კავშირია ცალკეულ აბზაცებს შორის და მკითხველისათვისაც თვალსაჩინო გახადოს ეს კავშირი – გამოკვეთოს მაკავშირებელი სიტყვების/ფრაზების გამოყენებით (მაგ., ამ დადებითი მხარეების გარდა, ...-ს აქვს ორი უარყოფითი მხარეც; ...-ს კიდევ ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს...; მეორე მხრივ...; მისთ.).

შესავალი ნაწილი – შესავალი ნაწილი ესეს პირველ აბზაცს წარმოადგენს (ესაა ნამყვანი აბზაცი²⁵, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს 4-5 ან მეტ წინადადებას). ამ ნაწილის ამოცანაა, მოამზადოს მკითხველი ესეს წასაკითხად, მიიპყროს მკითხველის ყურადღება და დაინტერესოს იგი ნამუშევრით. შესაბამისად, შესავალში ვხვდებით ესეში განხილული საკითხების აღსაქმელად აუცილებელ ინფორმაციას, აგრეთვე თეზისის შემცველ წინადადებას, რომელშიც გამოხატულია ნამუშევრის მთავარი იდეა. ესეს დანარჩენი ნაწილები აზრობრივად აუცილებლად უნდა შეესატყვისებოდეს თეზისის შემცველ წინადადებას – იგია ერთგვარი კამერტონი, რომლის შესაბამისადაც უნდა „აიწყოს“ მთელი ნამუშევარი. თეზისის შემცველი წინადადება ასახავს კონკრეტული ხასიათის მქონე თვალსაზრისს, რომელიც ნათლად იქნება ფორმულირებული ადეკვატური ლექსიკისა და სხვა ენობრივი საშუალებების გამოყენებით. არაეფექტურია თეზისის სახით ძალზე ზოგადი დებულებების წამოყენება, რადგან ამგვარად მკითხველი ნათელ წარმოდგენას ვერ შეიქმნის ნამუშევრის ძირითად იდეაზე.²⁶ ჩვეულებრივ, თეზისის შემცველი წინადადება აბზაცის ბოლოშია ხოლმე წარმოდგენილი, თუმცა, მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, ავტორს შეუძლია მისი მოთავსება დასაწყისშიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესავლის ერთ-ერთ ფუნქციას მკითხველის დაინტერესება წარმოადგენს. ამისთვის ავტორი, აუდიტორიის გათვალისწინებით, უნდა შეეცადოს მასალის მიწოდებას ახალი ან უჩვეულო რაკურსით, ახალი ან ნაკლებად ცნობილი ინფორმაციის წარმოდგენას; საკითხის აქტუალობის/სიმწვავის ჩვენებას, სხვ.²⁷

შესავალი ნაწილის დასაწერად იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას. ავტორს, კერძოდ, შეუძლია დაიწყოს:

ა) ნარატივით, თხრობითი პასაჟით – ავტორი მოგვითხრობს სათანადო ფაქტს/ამბავს პირადი გამოცდილებიდან, გადმოგვცემს ფაქტს/ამბავს, რომლის შესახებაც შეიტყო სხვა პირისგან ან მასმედიით, სხვ.

ბ) შეკითხვით/შეკითხვების სერიით – სხარტად ფორმულირებული ერთი ან მეტი შეკითხვა მკითხველის პროვოცირების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, ბადებს ესეს წაკითხვის სურვილს – მკითხველს, ბუნებრივია, აქვს მოლოდინი, რომ პასუხს ამ საინტერესო კითხვაზე ესეში იპოვის.

გ) ზოგადი ინფორმაციით – მიმოხილვითი სახის ინფორმაციის მიწოდება,

²⁵ ტერმინები: ნამყვანი აბზაცი, დამატებითი აბზაცი გვხვდება ესე-ში. იხ. ქართ. VII. 9. , ინდიკატორი 4.

²⁶ შდრ. ზემოთ, „მიმართულება: წერა, აბზაცი, თემატური წინადადება“.

²⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აქტივობა „ვადგენთ თემატურ წინადადებას“.

რომელიც მოამზადებს მკითხველს ესეში განხილული საკითხების აღსაქმელად და გასააზრებლად.

დ) ციტატით – ნამუშევრის თემისა თუ მასში განხილული საკითხების შესაფერისი, გონივრულად შერჩეული ციტატის, გამონათქვამის, მისთ. გამოყენებით ავტორი წარმატებით შეძლებს მკითხველის ყურადღების მიპყრობას, განსახილველი საკითხის მასშტაბისა და/ან მნიშვნელობის წარმოჩენას.

ძირითადი ნაწილი – ამ ნაწილში, ტრადიციულად, წარმოდგენილია 1-3 აბზაცი. თითოეულ მათგანში, შესაბამისად, განხილულია ესეს თემასთან დაკავშირებული ცალკეული ქვეთემები. ძირითადი ნაწილის ცალკეულ აბზაცში, როგორც წესი, განიხილება ერთი ქვეთემა.


დასკვნა – დასკვნა, ტრადიციულად, მოიცავს ერთ აბზაცს, რომელიც წარმოდგენილია ესეს ბოლოში. ამ ნაწილში შეჯამებულია / მოკლედაა მიმოხილული ძირითად ნაწილში განხილული ქვეთემები. აქვეა წარმოდგენილი დასკვნითი წინადადება, რომელიც შეაჯამებს ან სხვა სიტყვებით იმეორებს თეზისს.

შესაბამისობა აბზაცსა და ესეს შორის – მასწავლებელმა სანყის ეტაპზევე უნდა გამოკვეთოს ის შესაბამისობა, რომელიც არსებობს აბზაცსა და ესეს შორის, გააცნობიერებინოს მოსწავლეებს, რომ აბზაცი, ფაქტობრივად, ესეს მინი-მოდელს წარმოადგენს.

სქემატური სახით შესაბამისობა ესესა და აბზაცებს შორის ამგვარად შეიძლება გამოვსახოთ:

ესე და აბზაცი – მიმართებათა სქემა

ესე



სქემაზე ცხადად ჩანს, რომ აბზაცი არის ესეს ერთგვარი მინიმოდელი, რომელიც მგავს პრინციპებზეა აგებული, კერძოდ: ესეს მსგავსად, აბზაცში წარმოდგენილია ერთი მთავარი იდეა და დასკვნა. აბზაცის მთავარი იდეა გამოთქმულია თემატურ წინადადებაში, რომელსაც კონკრეტული ინფორმაციით (დეტალებით, მაგალითებით, მონაცემებით, ფაქტებით, მისთ.) ადასტურებს აბზაცის დანარჩენი წინადადებები. მთელი ეს ინფორმაცია ერთგვარად შეჯამებულია ან გამეორებულია დასკვნით წინადადებაში, რომელიც ასრულებს აბზაცს. ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციები ეხმარება მკითხველს, აზრობრივად მისდიოს აბზაცის განვითარებას.

შეჯამების სახით წამოვადგენთ ესეს ძირითადი ნაწილების გეგმას.

შესავალი – ესეს I აბზაცი. მასში გამოთქმულია მთავარი იდეა, ანუ თეზისი.

ძირითადი ნაწილი: 1-3 აბზაცი. მათი მიზანია თეზისის დადასტურება (თეზისის დამადასტურებელი ინფორმაციის წარმოდგენა).

- ძირითადი ნაწილის I აბზაცი – შეიცავს თემატურ წინადადებას (რომელშიც გამოთქმულია თეზისთან დაკავშირებული პირველი მოსაზრება), მასში გამოთქმული მოსაზრების დამადასტურებელ ინფორმაციასა და დასკვნით წინადადებას, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღნიშნული აბზაცის თემატურ წინადადებასთან.
- ძირითადი ნაწილის II აბზაცი – შეიცავს თემატურ წინადადებას (რომელშიც გამოთქმულია თეზისთან დაკავშირებული მეორე მოსაზრება), ამ უკანასკნელის დამადასტურებელ ინფორმაციასა და დასკვნით წინადადებას, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღნიშნული აბზაცის თემატურ წინადადებასთან.
- ძირითადი ნაწილის III აბზაცი – შეიცავს თემატურ წინადადებას (რომელშიც გამოთქმულია თეზისთან დაკავშირებული მესამე მოსაზრება), ამ უკანასკნელის დამადასტურებელ ინფორმაციასა და დასკვნით წინადადებას, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღნიშნული აბზაცის თემატურ წინადადებასთან.

დასკვნა – 1 აბზაცი. იგი შეიცავს დასკვნით წინადადებას, რომელიც სხვა სიტყვებით იმეორებს თეზისს ან შეაჯამებს მთავარ იდეას/თეზისს. აქვე შეიძლება იყოს წარმოდგენილი ავტორის შემაჯამებელი შენიშვნები, რეკომენდაცია, ვარაუდი მოვლენების მოსალოდნელი განვითარების შესახებ, მისთ.

აბზაცების ერთმანეთთან დაკავშირება – ესეს სხვადასხვა ნაწილებს/პასაჟებს შორის არსებული მიმართებების საჩვენებლად, აბზაცების ერთმანეთთან დასაკავშირებლად თუ ესეს მთლიანობის გამოსაკვეთად გამოიყენება ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციები, რომლებიც, მიზანშეწონილების შესაბამისად, გამოიყენება აბზაცების დასაწყისში, შუაში ან ბოლოში.²⁸ ეს კონსტრუქციები ეხმარება მკითხველს, მისდიოს ავტორის აზრის მსვლელობას.

²⁸ ამასთან დაკავშირებით დამატებით იხ. ზემოთ, ”მიმართულება: წერა, აბზაცის სახეობები“.

წერიტი ნამუშევრების ძირითადი სახეები

ტრადიციული სასკოლო ესე, როგორც უკვე აღინიშნა, სამი ნაწილისაგან შედგება. ესენია: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. როგორც წესი, შესავალი და დასკვნითი ნაწილი თითო-თითო აბზაციტაა ხოლმე წარმოდგენილი; ძირითადი ნაწილის აბზაციების რაოდენობა კი, დასახული მიზნისა და ამოცანის შესაბამისად, შეიძლება სხვადასხვა (1-3 აბზაცი ან მეტი) იყოს. იმ შემთხვევაში, თუკი ძირითად ნაწილს სამი აბზაცი უკავია, მივიღებთ ტრადიციულ ხუთაბზაციან ესეს (I აბზაცი – შესავალი, II-IV აბზაციები – ძირითადი ნაწილი, V აბზაცი – შესავალი).

თხრობითი ესე – თხრობით ტექსტებს ადამიანი ადრეულ ბავშვობაშივე ეცნობა ხალხური თუ ლიტერატურული ზღაპრების სახით. ესაა ტექსტის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობა. ისტორიები, ნარატიული ბიოგრაფიები და ავტობიოგრაფიები თხრობით ტექსტების სახეობას განეკუთვნება. ხშირ შემთხვევებში თხრობითი ხასიათი აქვს რადიოთი და/ან ტელევიზიით გადმოცემულ ახალ ამბებსაც.

თხრობის მიზანია ამბის/ამბების გადმოცემა, კონკრეტული შთაბეჭდილები-სა თუ განწყობის შექმნა. თხრობისას საჭიროა გამოვიყენოთ ცოცხალი, მეტყველი დეტალები, რომლებიც მკითხველის თვალწინ გააცოცხლებს გადმოცემულ ამბავს (იგივე ამოცანა დგას ავტორის წინაშე აღწერიტი ტექსტის შექმნის დროსაც. ამის თაობაზე იხ. ქვემოთ).

თხრობით ესეში მოვლენები, ძირითადად, ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვითაა მოწოდებული.²⁹ თუმცა თხრობის მიზნის შესაბამისად შესაძლებელია სხვა ვარიანტების გამოყენებაც, მაგალითად, მკითხველის დაინტერესების მიზნით ავტორმა თხრობა შეიძლება დაიწყოს ამბის ბოლოდან ან შუა ნაწილიდან (ანუ იმ ფაქტით/მოვლენით, რომელიც ქრონოლოგიურად აღწერილი ამბის შუაში ან ბოლოში მოხდა). იმისათვის, რომ მკითხველს გაუადვილდეს გადმოცემული ამბის აღქმა, საჭიროა სათანადო ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციებისა და ზმნური დროითი ფორმების გამოყენება.

თხრობითი ესე მოგვითხრობს პიროვნების უნიკალური, ინდივიდუალური გამოცდილების (თავს გადახდენილი ამბის, განცდილის, მისთ.) შესახებ. რაც უფრო მეტყველია დეტალები, ცოცხლად არის აღწერილი ყოფითი სიტუაციები, ბუნებრივია ავტორის თხრობის მანერა, მით უფრო საინტერესოა ესე მკითხველებისათვის. როგორც აღინიშნა, ამ სახის ესეების წერის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება ქრონოლოგიური ორგანიზაციული ყალიბი, რომელიც მოვლენებს დროითი თანამიმდევრობის დაცვით გადმოგვცემს. ამ-

²⁹ თხრობითი ესეების წერის შედეგად განვითარებული უნარ-ჩვევები მოსწავლეებს გამოადგებათ არა მხოლოდ ლიტერატურის გაკვეთილებზე, არამედ სხვა საგნების შესწავლის დროსაც, მაგ., ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე, ლაბორატორიული ცდის წერილობით აღწერისას, რადგან პროცესის აღწერის ყალიბი ძალზე წააგავს თხრობის ყალიბს – ორივე მათგანი დროით თანამიმდევრობაზეა დაფუძნებული; ან ისტორიის გაკვეთილზე, როდესაც მოსწავლეს ევალება, მაგ., წერილობით გადმოსცეს ამა თუ იმ ისტორიული პირის ცხოვრება და ა.შ.

დენად, სასურველია, რომ მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული ნარატიული ტექსტების ამ „უხილავი საათის“ მექანიზმის მუშაობის პრინციპები.

თხრობითი ესე, ტრადიციულად, შედგება სამი ნაწილისაგან. ესენია: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. თეზისის შემცველი წინადადება, როგორც წესი, პირველ ნაწილშია წარმოდგენილი. ძირითად ნაწილში (თუკი ესეს მიზანია მოვლენების აღწერა, რაიმე ამბის მოყოლა მკითხველისთვის) მოვლენები უმეტესწილად წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ რიგ შემთხვევებში, ამა თუ იმ კონკრეტული მიზნით, ავტორები იყენებენ ე.წ. „ფლეშბექებსაც“³⁰ – წარსულში გადანაცვლებებს, ანუ რეტროსპექტიულ ეპიზოდებს, როდესაც აწყობი მიმდინარე ამბის თხრობისას ავტორი იხსენებს წარსულში მომხდარს. დასკვნით ნაწილში სხვა სიტყვებითაა გამეორებული თეზისი ან შეჯამებულია წინა ნაწილებში მონოდებული ინფორმაცია.

დაბოლოს, თხრობითი ესეს წერისას ავტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ თხრობა არ იყოს მონოტონური. ამის რისკი კი ნამდვილად არსებობს მოვლენების ჯაჭვის გადმოცემისას. მონოტონურობის თავიდან აცილება შესაძლებელია სხვადასხვაგვარი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით³¹.

აღწერითი ესე – აღწერა შეიძლება იყოს ორი სახისა: ობიექტური და სუბიექტური. *ობიექტური აღწერის* დროს ავტორის ყურადღება ფოკუსირებულია მთლიანად აღწერის ობიექტზე. მისი მიზანია, აღწეროს საგანი/მოვლენა, სხვ. მაქსიმალური სიზუსტითა და ობიექტურობით; დაუხატოს მკითხველს ზედმიწევნითი სურათი; ავტორის პერსონალური დამოკიდებულება ობიექტის მიმართ ერთგვარად იგნორირებულია. ამ ტიპის აღწერას ძალზე ხშირად იყენებენ სამეცნიერო დისკურსში, მაგ., ფიზიოლოგიური ცვლილებების აღწერისას, მიკროსკოპში დანახული სურათის აღწერისას და მისთ. ობიექტური აღწერის მიზანი, ერთი შეხედვით, თითქოსდა მარტივია, მაგრამ მისი მიღწევა საკმაოდ ძნელია. მართლაც, ავტორმა შეიძლება მოახერხოს დისტანცირება აღსაწერი საგნისაგან, მაგრამ მისი სუბიექტურობა აღწერისას მაშინვე წარმოჩნდება, თუკი იგი კონკრეტულად ერთ რომელიმე დეტალზე გაამახვილებს ყურადღებას, შეარჩევს ან გამოტოვებს რომელიმე მათგანს აღწერისას, ფოკუსირებული იქნება ერთ რომელიმე ასპექტზე და მისთ.

სუბიექტური აღწერა – აღწერს საგანს/მოვლენას და ა.შ. ავტორის მიმართების, შთაბეჭდილების, ემოციების პერსონალური აღქმის ჩვენებით. ამ ტიპის აღწერისათვის დამახასიათებელია მდიდარი ლექსიკის, მრავალფეროვანი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება. ავტორი თამამად სვამს აქცენტებს, წარმოაჩენს საკუთარი ხედვის კუთხეს, იყენებს მეტაფორებს, ეპითეტებს და სხვა მხატვრულ ხერხებს პირადი ემოციური

³⁰ ინგლ. Flashback (სიტყვ. გაელვება/განათება უკანა მიმართულებით) – წარსულის ნათელი, ცხადი მოგონება. ამგვარი რეტროსპექტიული ჩანართები ხშირად გამოიყენება კინემატოგრაფიაში (მაგ., ფილმის გმირი იხსენებს ბავშვობას ან წარსულში მომხდარ მოვლენას, სხვ.).

³¹ დამატებით იხ. ზემოთ, მიმართულება: წერა, „თხრობითი აბზაცი“.

დამოკიდებულებისა თუ შთაბეჭდილების გადმოსაცემად. ამგვარი აღწერის ნიმუშებს წარმოადგენს, მაგ., მყინვარისა და თერგის აღწერა ილია ჭავჭავაძის თხზულებაში „მგზავრის წერილები“. პრაქტიკაში თითქმის არ არსებობს აღწერის რომელიმე ტიპი წმინდა სახით. ობიექტური აღწერა ხშირად იყენებს სუბიექტური აღწერის ელემენტებს, სუბიექტური აღწერა კი – ობიექტური აღწერის ელემენტებს რეალობის განცდის, რეალურობასთან კავშირის გასაძლიერებლად. ოპტიმალური იქნება, თუკი აღწერის დროს ნაწერის მიზნის, თემისა და აუდიტორიის გათვალისწინებით დაცული იქნება გონივრული ბალანსი.

აღწერითი ესეს წერის დროს ავტორის მიზანია, დაანახოს მკითხველს აღსანიერი ობიექტი ცოცხალი, მეტყველი დეტალების გადმოცემით. მაგალითად, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ნაკლებად გამოცდილი მწერლები ხშირად იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „მშვენიერი“, „დიდებული“, მაგრამ ეფექტური აღწერისათვის საკმარისი არ არის, უბრალოდ, იმის თქმა, რომ ის, რასაც აღწერთ, დიდებულია. აღწერა უნდა წარიმართოს იმგვარად შერჩეული კონკრეტული დეტალებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით, რომ მკითხველი თავად მივიდეს ამ დასკვნამდე (*ის, რაც ავტორმა აღწერა, დიდებულია*).

აღწერითი ესე იწყება შესავალი ნაწილით, რომელშიც წარმოდგენილია თეზისის შემცველი წინადადება ან გამოკვეთილია დომინანტური შთაბეჭდილება, რომლებიც დაკონკრეტდება ესეს ძირითად ნაწილში წარმოდგენილი დეტალებით. ძირითადი ნაწილის დეტალები უნდა შეესატყვისებოდეს შესავალ ნაწილში წარმოდგენილ თეზისს ან დომინანტურ შთაბეჭდილებას. დასკვნით ნაწილში შეიძლება ხელახლა გამეორდეს თეზისში გადმოცემული აზრი ან დომინანტური შთაბეჭდილება სხვა სიტყვების გამოყენებით (მაგ., კარგად მიგნებული მეტაფორის და/ან სხვა მხატვრული ხერხის გამოყენებით). დეტალების გადმოცემისას აღწერითი ესეში, როგორც წესი, იყენებენ სივრცულ ორგანიზაციულ ყალიბს.³²

საინფორმაციო ესე – ინფორმაციას აწვდის მკითხველს ამა თუ იმ კონკრეტული საგნის/თემის შესახებ. საინფორმაციო ესეს ამოცანას წარმოადგენს რაიმეს განსაზღვრა, კლასიფიცირება, ინფორმაციის შეჯამება, მსგავსება-შედარების შედეგების, მიზეზშედეგობრიობის ჩვენება; ამა თუ იმ თემაზე საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დასაბუთება. ამ სახის ესეები, მათი მრავალგვარი ფუნქციების წყალობით, ფართოდ გამოიყენება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლეს სკოლაში. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს გასანაფავად ხშირად მივცეთ საინფორმაციო ესეების წერის შესაძლებლობა. ეს ძალზე შეუწყობს ხელს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას, კვლევითი და ანალიტიკური მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ბიძგს მისცემს ცოდნის ინტეგრირების პროცესს; დაბოლოს, დაეხმარება მოსწავლეებს აკადემიური წერის საბაზისო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

³² ამ ყალიბის შესახებ იხ. ზემოთ, მიმართულება: წერა, „აღწერითი აბზაცი“.

საინფორმაციო ესეები, ძირითადად, ფოკუსირებულია ფაქტებსა და მათ ანალიზზე, თუმცა მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ იმ მიმართულებითაც, რომ მათი ნაშრომი საინტერესო წასაკითხი გახდეს მკითხველისათვის.

განვიხილოთ საინფორმაციო ესეების ძირითადი სახეები ცალ-ცალკე.

➤ **პროცესზე ფოკუსირებული ესე** – განმარტავს, როგორ ხდება ან როგორ კეთდება რაიმე. მასში ნაჩვენებია თანამიმდევრული ნაბიჯები, რომელსაც რაიმე კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ. თხრობითის მსგავსად, პროცესზე ფოკუსირებულ ესეში მოვლენები ქრონოლოგიური მიმდევრობის დაცვითაა ხოლმე წარმოდგენილი, მაგრამ მისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი წარმოგვიდგენს კონკრეტულ მოვლენათა თანამიმდევრობას, რომელსაც ერთსა და იმავე შედეგამდე მივყავართ ნებისმიერ შემთხვევაში.

მიზნის შესაბამისად, პროცესზე ფოკუსირებული ესე შეიძლება წარმოადგენდეს ინსტრუქციების ერთობლიობას ან აღწერდეს რაიმე პროცესს ეტაპობრივი თანამიმდევრობის ჩვენებით.

იმის გამო, რომ ამ ტიპის ესეს მკითხველმა შეიძლება თვითონაც გაიმეოროს პროცესი ან მისდიოს ინსტრუქციას, აუცილებელია, რომ ავტორს ზედმინევით ზუსტად ჰქონდეს გამოკვეთილი ნაბიჯების თანამიმდევრობა, მათი ურთიერთმიმართება და ზუსტი წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს პროცესზე, როგორც ერთ მთლიანობაზე. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადეკვატური ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებას, აგრეთვე ქრონოლოგიური თანამიმდევრობის ცხადად გამოკვეთას.

სხვა ესეების მსგავსად, პროცესზე ფოკუსირებული ესე, ტრადიციულად, სამი ნაწილისაგან შედგება. შესავალში განსაზღვრულია პროცესის არსი და ნაჩვენებია, როგორ და/ან რა ვითარებაში უნდა განვხორციელოთ იგი. აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ: ის მასალები და/ან წინასწარი სამუშაოები, რომლებიც აუცილებელია პროცესისათვის; პროცესის ზოგადი მიმოხილვა, მისი ძირითადი ეტაპები. ამავე ნაწილში წარმოდგენილია თეზისის შემცველი წინადადებაც. ესეს ძირითადი ნაწილის ცალკეულ აბზაცებში ასახულია პროცესის თითოეული ეტაპი. დასკვნით ნაწილში (ბოლო აბზაცში) კი შეიძლება სხვა სიტყვებით გავიმეოროთ თეზისი ან წარმოვადგინოთ პროცესის მოკლე შეჯამება, ძირითადი მიმოხილვა.³³

➤ **მიზეზშედეგობრივი მიმართებების ამსახველი ესე** – გვიჩვენებს რაიმე მოვლენის/მომხდარი ფაქტის მიზეზებსა თუ შედეგებს, ან ორივეს ერთად. თხრობითი ნარატივის მსგავსად, მიზეზშედეგობრივი ესე აჯგუფებს მოვლენებსა და სიტუაციებს დროითი პარამეტრის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მიზეზები დროში წინ უსწრებს შედეგებს³⁴, თუმცა მიზეზშედეგობრივი მიმართების დად-

³³ დამატებით იხ. ზემოთ, ქვეთავი „საინსტრუქციო აბზაცი“.

³⁴ გასათვალისწინებელია შემდეგი: ერთი მოვლენა არ შეიძლება მივიჩნიოთ მეორის მიზეზად მხოლოდ იმის გამო, რომ იგი დროში წინ უსწრებს ამ უკანასკნელს. ამ ტიპის შეცდომის შესახებ იხ. ზემოთ, თავი ზეპირმეტყველება, ქვეთავი 6.2. შესაძლო ლოგიკური შეცდომები არგუმენტაციაში.

გენა არ გულისხმობს მხოლოდ დროითი შესაბამისობის განსაზღვრას. აუცილებელია იმის დადგენაც, თუ რატომ მოხდა რაიმე, აგრეთვე დასაბუთებული ვარაუდის გამოთქმა იმის თაობაზე, თუ რა მოხდება მომავალში.

ამ სახის ესეებზე მუშაობისას მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ერთ შედეგს ზოგჯერ შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს. მაგ., შედეგს – „საქართველოს მოქალაქეთა შორის ძალზე დიდია საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა რიცხვი“ შეიძლება განაპირობებდეს შემდეგი მიზეზები: ა) უკეთესი განათლების მიღების სურვილი; ბ) ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის სურვილი; გ) მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი; დ) საზღვარგარეთ მყოფ ოჯახის წევრთან/წევრებთან ერთად ცხოვრების სურვილი და სხვ. ასევეა მიზეზების შემთხვევაშიც – შესაძლებელია, ერთი მიზეზი რამდენიმე შედეგს განაპირობებდეს. მაგ., მიზეზს – „საქართველოში ძალზე მაღალია ემიგრაციის დონე“ აქვს სხვადასხვა შედეგი. ნეგატიური შედეგებიდან შეიძლება დავასახელოთ: ა) დემოგრაფიული სურათის შეცვლა (მოსახლეობის შემცირება); ბ) ქვეყნის განვითარების ტემპის შეფერხება; გ) ქვეყნის ბიუჯეტის შემცირება (საგადასახადო წილის შემცირების ხარჯზე), მისთ.

რამდენიმე მიზეზისა თუ შედეგის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომელია მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი (რომელია მთავარი მიზეზი, რომელი – ნაკლებად მნიშვნელოვანი; რომელია მთავარი შედეგი, რომელი – ნაკლებად მნიშვნელოვანი). ზოგჯერ ეს ამკარაა, ზოგჯერ კი ამის გარკვევას საგანგებო კვლევა-ძიება სჭირდება. ნათქვამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ორი მაგალითი: 1. „მშობელთა უმრავლესობა მოითხოვს მკაცრად სტრუქტურირებული გაკვეთილის შეცვლას შედარებით თავისუფალი სტრუქტურის მქონე გაკვეთილით, რადგან იგი მოსწავლეს აძლევს დამოუკიდებლად თამაშის, რელაქსაციისა და შემოქმედებითობის გამოვლენის ფართო შესაძლებლობებს“. ჩამოთვლილი სამი პოზიტიური შედეგიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მესამე შეიძლება მივიჩნიოთ – შემოქმედებითობა ერთ-ერთი ყველაზე ღირებული უნარია და, შესაბამისად, მის განვითარებაზე ზრუნვას მეტი მნიშვნელობა აქვს. 2. „საქართველოში ემიგრაციის მაღალ დონეს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს“. ამ შემთხვევაში საგანგებო მოკვლევა იქნება საჭირო იმის გასარკვევად, თუ ამ მიზეზთაგან რომელია ყველაზე არსებითი. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ, მაგ., სტატისტიკური მონაცემები და დავადგინოთ, რამდენი პროცენტი მიდის სასწავლებლად, რამდენი – სამუშაოდ, რამდენი – საზღვარგარეთ მცხოვრებ ოჯახის წევრთან და ა.შ.

მიზეზების ჯაჭვი – ზოგჯერ შედეგი შეიძლება თვითონ გადაიქცეს სხვა მოვლენის მიზეზად, მისი შედეგი კი, თავის მხრივ, მიზეზი გახდეს სხვა მოვლენისა და ა.შ. ამგვარ მიმართებებს მიზეზების ჯაჭვს უწოდებენ. გრაფიკულად ეს მიმართება შეიძლება ამგვარად გამოვსახოთ:

A

მიზეზი → B

შედეგი

(მიზეზი) → C

შედეგი

(მიზეზი) → D

შედეგი

(მიზეზი) → E

შედეგი

და ა.შ.

სხვა ესეების მსგავსად, მიზეზშედეგობრიობის ამსახველ ესეს აქვს სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. მასალის ორგანიზების თვალსაზრისით, ესეში არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა: 1. ქრონოლოგიური მიმდევრობის დაცვა – შედეგებისა და მიზეზების წარმოდგენა იმ დროითი თანამიმდევრობის შესაბამისად, რომლითაც ისინი გვევლინებიან რეალობაში; 2. დაწყება ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზით ან შედეგით, გაგრძელება ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზეზებით ან შედეგებით; 3. დაწყება ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზეზებით/შედეგებით და დასრულება ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზის/შედეგის წარმოჩენით; 4. დაწყება ცრუ, მოჩვენებითი მიზეზების უარყოფით და დასრულება რეალური მიზეზის ჩვენებით. ამას გარდა, თუკი ავტორს სურს პოზიტიური შედეგების ხაზგასმა, მას შეუძლია დასაწყისში მოკლედ მიმოიხილოს ნეგატიური შედეგები, რათა შემდეგ ვრცლად შეჩერდეს პოზიტიურ შედეგზე/შედეგებზე და პირიქით – უარყოფითი შედეგების ხაზგასამელად დასაწყისში მოკლედ უნდა მიმოიხილოს დადებითი შედეგები, რათა შემდეგ მეტი ყურადღება დაუთმოს უარყოფით შედეგებს. ცალკეული წერითი ნამუშევრის შედგენისას, მიზანშეწონილების გათვალისწინებით, ავტორმა თავად უნდა გადაწყვიტოს, მასალის ორგანიზების რომელი ხერხი იქნება მისთვის ოპტიმალური.³⁵

➤ **მსგავსება-განსხვავების ამსახველი ესე** შესაძლებელია, ფოკუსირებული იყოს ორი ან მეტი საგნის მსგავსებაზე ან განსხვავებაზე; შესაძლებელია, ერთდროულად იყოს საუბარი მსგავსებაზეც და განსხვავებაზე (ერთი მხრივ, რითი ჰგავს; მეორე მხრივ, რით განსხვავდება).

სასურველია, რომ მოსწავლეებმა კარგად გააცნობიერონ შედარების სტრატეგიების მნიშვნელობა – შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს ადამიანი, ძირითადად, შეიმეცნებს საგნებს/მოვლენებს/ფაქტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენის გზით. ასევეა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც: ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია, ერთმანეთს შევუდაროთ და გავიაზროთ ყველა შესაძლო ალტერნატივა. სად უნდა ჩავაბარო, ბიზნესის

³⁵ იხ. აგრეთვე ზემოთ, მიმართულება: წერა, „მიზეზშედეგობრივი მიმართების ამსახველი აბზაცი“.

მენეჯმენტის ფაკულტეტზე თუ გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე? რომელ უნივერსიტეტშია უკეთესი პირობები განათლების მისაღებად? რომელი სპეციალობა მომცემს დასაქმების მეტ შესაძლებლობას? ამ და მსგავს შეკითხვებზე პასუხების გასაცემად მოსწავლეებს აუცილებლად მოუწევთ ალტერნატიული ვარიანტების ერთმანეთთან შედარება.

ამა თუ იმ საგნის, ფაქტის ან მოვლენის ახსნის დროს საკმაოდ ხშირად გამოიყენება მსგავსების სპეციფიკური ფორმა, რომელსაც **ანალოგია** ეწოდება. ანალოგიის გამოყენების დროს ნაკლებად ცნობილი საგნის, ობიექტის ან მოვლენის ასახსნელად მას უდარებენ სხვა, უფრო კარგად ცნობილ საგანს, ფაქტს ან მოვლენას.

მსგავსება-განსხვავების ამსახველი ტექსტის შედგენისას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმაში დარწმუნება, რომ შედარებისათვის საკმარისი საფუძველი არსებობს, ანუ შესაძარებელ საგნებს/ფაქტებს/მოვლენებს, სხვ. აქვთ რაღაც გარკვეული საერთო საფუძველი. მაგ., ძალი და კატა ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათ აქვთ მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებლები: ორივენი არიან ხერხემლიანები, ძუძუმწოვრები; აქვთ ოთხი თათი; მიეკუთვნებიან შინაური ცხოველების ჯგუფს და ა.შ. რომ არა ეს საერთო მახასიათებლები, არ გვექნებოდა საკმარისი საფუძველი მათ შესადარებლად, რაც ნიშნავს, რომ ბევრი არაფერი იქნებოდა განსახილველი. რაც უფრო დაცილებულია ორი შესადარებელი ობიექტი ერთმანეთისაგან, მით უფრო აზრსმოკლებულია მათი ერთმანეთთან შედარება. მართლაც, განა რა შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაში, თუკი ერთმანეთს შევეუდარებთ მაგ., ელვასა და ჭიქას? საერთო მათ არაფერი აქვთ, განსხვავებები კი იმდენია, რომ მათი ჩამონათვალი თითქმის უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ორი საგნის ერთმანეთთან შედარება აზრსმოკლებულია.

ნებისმიერი სხვა ტიპის ესეს მსგავსად, შედარებაზე ფოკუსირებული ესე შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან. ესენია: შესავალი (I), ძირითადი ნაწილი (II), დასკვნა (III).

შედარებაზე ფოკუსირებული ტექსტების შედგენისას, ძირითადად, გამოიყენება შედარების ორი სტრატეგია: ა) ორი საგნის/მოვლენის/ფაქტის/თემის, სხვ. ერთმანეთთან შედარება; ბ) ორი ცალკეული მახასიათებლის/თვისების ერთმანეთთან შედარება. როგორც წესი, პირველი სტრატეგია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი ესეს მიზანია ყველა მსგავსებისა და განსხვავების მთლიანობაში ჩვენება; მეორე კი მაშინ, თუკი საჭიროა მსგავსებისა და განსხვავების ცალკეული მახასიათებლების ხაზგასმა.³⁶

➤ **არგუმენტირებული ესე** – ამ ტიპის ნაშრომში ასახულია ავტორის დასაბუთებული, არგუმენტირებული მოსაზრება ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე. არგუმენტაციას ავტორი მიმართავს იმისათვის, რომ: დაარწმუნოს მკითხველი თავისი პოზიციის მართებულობაში; ან, სულ მცირე, აჩვენოს, რომ

³⁶ დამატებით იხ. აგრეთვე ზემოთ, ქვეთავები: „მსგავსება-განსხვავების ამსახველი აბზაცი“, „მსგავსება-განსხვავების ამსახველი ესე“.

მისი პოზიცია დასაბუთებული, ღირებული და ანგარიშგასაწევია; დაიცვას თავისი პოზიცია და შეეცადოს სხვების დარწმუნებას მის მართებულობაში; აგრეთვე იმ მოსაზრების უარსაყოფად, რომელიც მას მცდარად ან სახიფათოდ მიაჩნია.

განსხვავება დამარწმუნებელ და არგუმენტირებულ ტექსტებს შორის

დამარწმუნებელი ტექსტი თანამედროვე ყოფის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი ყოველდღიურობა, ფაქტობრივად, გაჯერებულია დამარწმუნებელი ტექსტების იმგვარი ნიმუშებით, როგორებიცაა სარეკლამო განცხადებები, ბროშურები, ბუკლეტები და სხვ.³⁷

დამარწმუნებელი ნაწერის ძირითად მიზანს წარმოადგენს მკითხველის დარწმუნება ავტორის თვალსაზრისის მართებულობაში. ამ მიზნით ავტორი მიმართავს სხვადასხვა სტრატეგიას. ასეთებია, მაგალითად: ლოგიკური არგუმენტების გამოყენება, მკითხველში გარკვეული ემოციების გააქტიურება, საკუთარი კომპეტენტურობის და/ან პოზიციის ობიექტურობის ნათელყოფა, გამოყენებული წყაროების, მაგალითების სარწმუნოების წარმოჩენა და სხვ. იმისათვის, რომ კარგად გავაცნობიეროთ განსხვავება არგუმენტირებულ და დამარწმუნებელ ნაწერებს შორის, აუცილებელია კარგად გავიაზროთ დარწმუნების სტრატეგიების არსი.

დარწმუნების სტრატეგიები

არგუმენტირების და, ზოგადად, დარწმუნების სტრატეგიების უკეთ გასააზრებლად, სასურველია, მოსწავლეებს თუნდაც ზოგადი წარმოდგენა შევუქმნათ ე.წ. რიტორიკულ სამკუთხედზე, რომელიც ნათლად წარმოგვიჩენს დარწმუნების სტრატეგიების არსს და მჭიდროდაა დაკავშირებული ძველი ბერძენ-


³⁷ დამარწმუნებელი ტექსტების შესწავლა და მათი პროდუცირება (სამოდელო ტექსტზე დაყრდნობით), აგრეთვე დარწმუნების სტრატეგიების გაცნობა დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ ის ხერხები, რომლებითაც ამ ტიპის ტექსტების ავტორები ცდილობენ მკითხველზე ზემოქმედებას და განივითარონ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები. მსგავსი ტექსტების შესაქმნელად ძალზე ეფექტურია გამჭოლ კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება და სასწავლო გეგმის სხვადასხვა საგნის შესწავლის შედეგად ათვისებული ცოდნის ინტეგრირება, მაგ.:

- მშობლიური ქალაქის, სოფლის, რეგიონის ხალხური ლეგენდების, გადმოცემების, ფოლკლორის, ისტორიის შესწავლა და/ან ადგილობრივი მუზეუმის მონახულების შედეგად მიღებული ინფორმაცია მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ ტურისტებისათვის განკუთვნილი ბროშურის, ბუკლეტის და ა.შ. შესაქმნელად.
- ბუნებისმეტყველების შესწავლის შედეგად შექმნილი ცოდნა ადამიანის ორგანიზმის თავისებურებებზე, ანატომიაზე, ფიზიოლოგიაზე შეიძლება საფუძვლად დაედოს ბროშურას, ბუკლეტს ან პლაკატს ჯანმრთელი ცხოვრების წესის დაცვის აუცილებლობის შესახებ.
- სამოქალაქო განათლების შესწავლის შედეგად შექმნილი ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნას ბროშურის, ბუკლეტის, პლაკატის და ა.შ. შესაქმნელად სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

ნი ფილოსოფოსის, არისტოტელეს მოძღვრებასთან რიტორიკის შესახებ³⁸ (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი სქემა)³⁹.

სქემა. რიტორიკული სამკუთხედი.

სარწმუნოობა – სანდოობა



სამკუთხედის სამი წვერო გამოსახავს ლოგიკას, სარწმუნოობას და ემოციას – „იარაღებს“, რომელთა გამოყენებითაც შესაძებელია ადამიანის დარწმუნება, მასზე ზეგავლენის მოხდენა (ცხადია, აუცილებელი არ არის, ერთ ნაწერში სამივე მათგანი იყოს გამოყენებული).

ქვემოთ ჩამოვთვლით ძირითად საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება დამარწმუნებელ ტექსტებში. ესენია:

- სიცხადე — თავისი თვალსაზრისი ავტორს ცხადად, ნათლად უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი.
- ლოგიკა — მოყვანილი უნდა იყოს სათანადო ფაქტები, მონაცემები, რიცხვები, ანალოგიები, მაგალითები. მაგ., „ერთი ღერი სიგარეტი შეიცავს 6 მგ. კუპრს; 0, 5 მგ. ნიკოტინს, 7 მგ. მხუთავ აირს, რაც საზიანოა ჯანმრთელობისთვის“.
- ემოცია – მკითხველში გარკვეული ემოციისა თუ განცდის (კმაყოფილების, ბედნიერების, მწუხარების, მრისხანების, სხვ.) აღძვრა არგუმენტაციის გასამყარებლად, მკითხველის დასარწმუნებლად. მაგ., „თქვენ მიერ განხორციელებული ერთი ზარი დაეხმარება მზუნველობამოკლებულ ბავშვებს, მხიარულად შეხვდნენ ახალი წლის ღამეს და მიიღონ საჩუქრები თოვლის პაპისაგან“.

³⁸ იხ. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმან, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თ. კუკავამ, თბილისი, 1981, გვ. 36.

³⁹ დარწმუნების სტრატეგიებთან დაკავშირებით დამატებით იხ. ზემოთ, „მიმართულება: ზეპირმეტყველება, დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლა“.

- სარწმუნოება – თუკი ადამიანებს სჯერათ და სწამთ თქვენი, უფრო ადვილად შეძლებთ მათ დარწმუნებას. მაგ. „მე იქ ვიყავი და ეს ყველაფერი ჩემი თვალთ ვნახე“ (ასე რომ ჩემზე უკეთ არავინ იცის, როგორ მოხდა სინამდვილეში ეს ყველაფერი).
- აქტუალობა – მკითხველის დარწმუნება იმაში, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა დაუყოვნებლივ მოქმედება. მაგ., „იჩქარეთ! გრანდიოზული ფასდაკლება მხოლოდ 1 დღით. შეიძინეთ საქონელი ექსკლუზიურ ფასად“.
- ავტორიტეტები – გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამების, ბრძნული შეგონებების (სენტენციების), ანდაზების და მისთ. გამოყენება მეტი დამაჯერებლობისათვის, არგუმენტის გასამყარებლად. მაგ., „როგორც ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა,.....“, „ამასვე გვასწავლის ერთი ძველი ქართული ანდაზა: ...“.
- კვლევის შედეგები – კვლევების მონაცემების მოშველიება მეტ სანდოობას სძენს ტექსტში გამოთქმულ თვალსაზრისს. მაგ., „ახლახან ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ...“.

არგუმენტირებული ესეს წერისას ავტორი, ძირითადად, ეყრდნობა ლოგიკას და ფოკუსირებულია ლოგიკურ არგუმენტებზე. დამარწმუნებელ ნაწერში კი, მკითხველზე ზემოქმედების მიზნით, ავტორი აქტიურად იყენებს სხვადასხვა ხერხს იმისათვის, რომ მკითხველში აღძრას გარკვეული ემოცია. ესაა ის ძირითადი განსხვავება, რომელიც თავს იჩენს ამ ტიპის ნაწერების ერთმანეთთან შედარებისას.

პრაქტიკაში ხშირად მკვეთრად არ არის გამიჯნული ზღვარი ამ ორი ტიპის ნაწერს შორის – მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად ავტორები ერთდროულად იყენებენ სხვადასხვა სახის არგუმენტებს (გამონაკლისს წარმოადგენს სამეცნიერო დისკურსი, რომელიც როგორც წესი, მთლიანად ლოგიკურ არგუმენტაციას ეფუძნება). მასწავლებელმა, მთავარი, ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ განსახილველი საკითხი კარგად იყოს მოსწავლის მიერ გააზრებული, მოყვანილი იყოს სათანადო არგუმენტები და დამხმარე მასალა (ფაქტები, მაგალითები, სტატისტიკური და/ან სხვ. სახის მონაცემები, მისთ.).

არგუმენტირებული ესეს წერისას მნიშვნელოვანია, ავტორმა წარმოიდგინოს რეალური აუდიტორია, შეეცადოს გაიაზროს, როგორი მოთხოვნები, შეხედულებები, პოზიცია შეიძლება ჰქონდეთ მის მკითხველებს⁴⁰. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ავტორი უფრო მიზანმიმართულად იმუშავებს და წარმატებით გაართმევს თავს დასახულ ამოცანას.

ავტორის მიერ შერჩეული არგუმენტები უნდა შეესაბამებოდეს მის პოზიციას და იყოს რეპრეზენტატიული. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ავტორს ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს ყველა მნიშვნელოვანი არგუმენტი.

⁴⁰ დამატებით იხ. ზემოთ, მასლოუს ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდა (III თავი, მიმართულება: ზეპირმეტყველება, № 2).

ენელოვანი მხარის მოსაზრება: მაგ., ცხოველების ვივისექციაზე⁴¹ მსჯელობისას უნდა მოიყვანოს არა მხოლოდ ცხოველთა დაცვის საზოგადოებების წარმომადგენელთა მოსაზრება, არამედ მეცნიერ-ექსპერიმენტატორების, ექიმებისა და ავადმყოფების თვალსაზრისიც. დაბოლოს, თავისი პოზიციის დასადასტურებლად ავტორს არგუმენტები საკმარისი რაოდენობით უნდა ჰქონდეს მოყვანილი.

არგუმენტების მოყვანის დროს ავტორს შეუძლია გამოიყენოს დასაბუთების ორი მეთოდი: **დედუქციური** და **ინდუქციური**. პირველი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში დასაბუთება იწყება ზოგადი დებულებიდან და მთავრდება კონკრეტული დასკვნით (მაგ., განსაზღვრულია ცნება *კულტურული მემკვიდრეობა* და შემდეგ განხილულია, რამდენად ეთანადება ესა თუ ის კონკრეტული საგანი ამ ცნებას). ინდუქციური დასაბუთების შემთხვევაში კი, პირიქით, ავტორი იწყებს დასაბუთებას კონკრეტული, ინდივიდუალური დაკვირვებიდან და ასრულებს ამ პროცესს ზოგადი სახის დასკვნით (მაგ., ამა თუ იმ კონკრეტული ძეგლის მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს კულტურული მემკვიდრეობის ცნების ინტერპრეტაციას).

არგუმენტირებული ესე, სხვა სახის ესეების მსგავსად, სამნაწილიანია და შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია თეზისის შემცველი წინადადება, ძირითად ნაწილში წარმოდგენილია თეზისის დამადასტურებელი მასალა, საპირისპირო მხარის არგუმენტები; დასკვნით ნაწილში, სხვა სიტყვების გამოყენებით, მეორდება თეზისში გამოთქმული აზრი. წარმოდგენილ არგუმენტებს შორის არსებული მიმართებების აღქმას მკითხველს ძალზე გაუადვილებს შესაბამისი ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციები (მაგ., *ამის შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ამდენად, მაგალითად* და სხვ. მისთ.).

საინფორმაციო ესეების წერის დროს შესაძლებელია ორი მიდგომის გამოყენება: ა) ტექსტის დაწყება ზოგადი თეზისის წამოყენებით (მაგ., „სწრაფი კვების პროდუქტების ხშირი გამოყენება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ახალგაზრდების ჯანმრთელობას“; ბ) ტექსტის დაწყება კონკრეტული ინფორმაციით (მაგალითით, ფაქტით...) და დასრულება ზოგადი პრინციპების გამოკვეთით, რასაც შეიძლება დასკვნის სახეც ჰქონდეს (მაგ., ”ჩემი მეზობელი სანდრო ყოველდღიურად 1-2 ბოთლს „კოკა-კოლას“ სვამს და თითქმის ყოველდღე მიირთმევს სწრაფი კვების პროდუქტებს. სანდრო წელს სკოლას ამთავრებს, ცდილობს, კარგად მოემზადოს გამოცდებისათვის, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, სწრაფად იღლება მეცადინეობის დროს და უჭირს ნაკითხული ინფორმაციის დამახსოვრება. სამწუხაროდ, სანდრო გამონაკლისი არ არის – მრავალ ახალგაზრდას ანუხებს იგივე პრობლემა...“). ამგვარი ყალიბი ეფუძნება ინდუქციის მეთოდს, რომელიც, ზოგადად, ხელს უწყობს ადრეული ცოდნის გააქტიურებას და შეესაბამება ადამიანის გონების ბუნებრივ ნიშან-თვისებას – მოიძიოს და მეხსიერებაში „დაამაგროს“ გარკვეული სქემები.⁴²

⁴¹ ვივისექცია – ცოცხალ ცხოველზე ოპერაციის ჩატარება სხვადასხვა ორგანოს ფუნქციის შესწავლის მიზნით.

⁴² დამატებით იხ. აგრეთვე ზემოთ, „წერიტი ნამუშევრები: შესავალი ნაწილი“.

პირადი დამოკიდებულების ამსახველი ესე – პირადი დამოკიდებულების ამსახველ ნაწერში ავტორი აღწერს და აანალიზებს თავის შეხედულებებს, აზრებსა და ემოციებს ნაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ესეც ეს სახეობა კითხვაზეა დაფუძნებული და საუკეთესოდ წარმოაჩენს მკითხველისა და ტექსტის ურთიერთობას – კავშირს ნაკითხულ ტექსტში ასახულ იდეებს, დამოკიდებულებებსა და მკითხველის შეხედულებებს, ღირებულებებსა და გამოცდილებას შორის. ესეც ავტორი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რასაც კითხულობს და შემდეგ ჰკითხოს საკუთარ თავს, რატომ ფიქრობს ასე (მოეწონა თუ არა ნაკითხული? რატომ მოეწონა / არ მოეწონა? ეთანხმება თუ არა ავტორს? რა ემოციები ან მოგონებები აღუძრა ნაკითხულმა? მისთ.). ამ ტიპის სასკოლო ესეების მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ნაკითხულ ტექსტთან დაკავშირებული აზრებისა თუ შთაბეჭდილებების აღწერისა და გაანალიზების უნარ-ჩვევები. ავტორმა უნდა წარმოაჩინოს თავისი იდეები, მოსაზრებები და ემოციები, რომლებიც გაუჩნდა ტექსტის კითხვისას, ახსნას მათი მიზეზები, მოიყვანოს სათანადო დამატებითი მასალა (მაგ., პირადი გამოცდილებიდან მოხმობილი მაგალითები). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირადი გამოცდილებიდან მოხმობილი მაგალითების მოყვანისას აუცილებელია ზომიერების დაცვა. ცხადია, ამ ტიპის მაგალითები შესანიშნავი დამატებითი მასალაა ესესათვის, მაგრამ ავტორს უნდა ახსოვდეს, რომ მისი ნაწერი ნაკითხულ ტექსტზე იყოს ფოკუსირებული. პირადი დამოკიდებულების ამსახველ ესეს აქვს ტრადიციული ფორმატი – შედგება სამი ნაწილისაგან. ესენია: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

ნაკითხულის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა შესაძლებელია აგრეთვე ახალი ტექსტის შექმნით. ეს შეიძლება იყოს ტრადიციული წერილობითი სახის ნამუშევარი (ლექსი, ჩანახატი, მოთხრობა) ან მულტიმედიაური ტექსტი (კოლაჟი, ნახატი, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი, გრაფიკა, მისთ.). ამ ტექსტების ძირითადი მიზანია, გამოიწვიოს მკითხველში, მსმენელში ან მაყურებელში ისეთივე ემოცია, როგორც თავად ავტორს დაებადა კითხვის დროს. ამ ტიპის ტექსტებზე მუშაობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ანალიტიკური ლიტერატურული ესე – მისი ამოცანაა ლიტერატურულ ნაწარმოებში ან მის ფრაგმენტში ასახული თემების, იდეებისა და პრობლემატიკის გაანალიზება და ინტერპრეტაცია. ლიტერატურული ესე, რომლის მიზანიცაა ნაწარმოების ინტერპრეტაცია, თავისი არსით ახლოს დგას არგუმენტირებულ წერასთან.⁴³ წერისას შეიძლება გამოყენებულ იქნას დასაბუთების ორი გზა: დედუქციური (ჯერ ზოგადი დებულების წამოყენება, შემდეგ კი კონკრეტული ფაქტების/მოვლენების მოყვანა ტექსტიდან) ან ინდუქციური (ჯერ კონკრეტული ფაქტების/მოვლენების მოყვანა ტექსტიდან, შემდეგ კი მათი განზოგადება). მაგ., პიესის კითხვის დროს მკითხველს შეუძლია შენიშნოს, რომ მთავარი გმირი მელანქოლიურია მთელი პირველი მოქმედების მანძილზე, მეორე მოქმედებაში – თითქმის ყოველთვის; მესამე მოქმედებაში იგი ოთხ შემთხვევაში

⁴³ ვგულისხმობთ დარწმუნების ხერხებს, რომლებიც გამოიყენება წამოყენებული იდეების დასაბუთებლად.

ავლენს მელანქოლიას, მეოთხე მოქმედებაში – ორჯერ, მეხუთე მოქმედებაში კი მისი მელანქოლია უკვალოდ ქრება. ამ მონაცემების მოყვანის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მთავარი გმირი დასაწყისში წარმოგვიდგება მელანქოლიურ ადამიანად, მოქმედების განვითარებასთან ერთად კი მისი მელანქოლია თანდათან კლებულობს და საბოლოოდ უკვალოდ ქრება (ინდუქცია).

გამოთქმული თვალსაზრისის დამაჯერებელი დასაბუთებლად საკმარისი რაოდენობით უნდა მოვიყვანოთ ფაქტები (სათანადო ადგილები ტექსტიდან). თუმცა ამისათვის აუცილებელი არ არის უკლებლივ ყველა შესაბამისი ფაქტის მოყვანა – საკმარისია მოვიყვანოთ ტიპური ფაქტები (და არა იზოლირებული, ცალკე მდგარი); ასევე გავითვალისწინოთ ის ფაქტებიც, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ წამოყენებულ მოსაზრებას – უნდა გვახსოვდეს, რომ თუკი ამგვარ ფაქტებს დუმილით ავუვლით გვერდს, ჩვენი დასაბუთება მკითხველისათვის დამაჯერებელი არ იქნება (მაგ., შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მართალია, ერთ შემთხვევაში მთავარი გმირი ძალზე მხიარულია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის – ესაა მხოლოდ ნიღაბი, რომლითაც იგი ცდილობს თავისი მელანქოლიის დამალვას, სხვ.).

დამადასტურებელი დამონშემები ტექსტიდან – დამონშემების მოყვანა ტექსტიდან შესაძლებელია რამდენიმე გზით:

ა) ტექსტის მიმდევრობის დაცვით – ფაქტების მოყვანა იმ თანამიმდევრობით, როგორც მათ ვხვდებით ტექსტში;

ბ) ქრონოლოგიური მიმდევრობის დაცვით – ფაქტების მოყვანა დროითი თანამიმდევრობის დაცვით. ეს მიმდევრობა ხან ემთხვევა სივრცულს,⁴⁴ ხან კი არა – ნაწარმოები შეიძლება ისე იყოს აგებული, რომ გვიანდელი მოვლენები წინ უსწრებდეს ადრეულს (მაგ., გმირმა გაიხსენოს წარსული, მწერალმა გამოიყენოს ე.წ. ცნობიერების ნაკადი, სხვ.). ამ შემთხვევაში ქრონოლოგიური და სივრცული მიმდევრობა, ცხადია, ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება.

გ) მზარდი მნიშვნელობის მიხედვით – დაწყება ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტებით და/ან მოსაზრებებით, დასრულება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტებით და/ან მოვლენებით. ამგვარი წყობა მკითხველს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს და ეფექტურია მისი ყურადღების შესანარჩუნებლად.

დ) მწერლის ლოგიკის შესაბამისად – ფაქტების და/ან მოვლენების წარმოდგენა იმ რიგით, რომ ისინი შეესაბამებოდნენ მწერლის აზრის მსვლელობას, მის ლოგიკას.

მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე – იმ შემთხვევაში, თუკი ავტორის ამოცანაა ორი ნაწარმოების ერთმანეთთან შედარება, გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) აუცილებელია ერთი და იმავე ასპექტების შედარება – მაგ., თუკი ესეში განხილულია ერთ ნაწარმოებში გამოყენებული მხატვრული ხერხები, აუცილებელია მეორე ნაწარმოებში გამოყენებულ მხატვრული ხერხების გაანალიზებაც;

⁴⁴ აქ ვგულისხმობთ ადგილს, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ ფაქტს უკავია ტექსტში (მაგ., ტექსტის დასაწყისში, შუა ნაწილში, ბოლოში და ა.შ.).

ბ) აღქმის გაადვილების მიზნით საჭიროა ერთი და იმავე მიმდევრობის დაცვა. მაგ., თუკი პირველ ნაწარმოებში გაანალიზებულია ჯერ მხატვრული ხერხები, შემდეგ სიუჟეტის განვითარების ეტაპები, ბოლოს კი – ენობრივი საშუალებები, ეს საკითხები მეორე ნაწარმოებშიც ამავე რიგით უნდა გაანალიზდეს (შდრ. ქვემოთ წარმოდგენილი გეგმა).

მსგავსება-განსხვავება – სქემა:⁴⁵

I ვარიანტი

- ა) ნაწარმოები № 1
 - მხატვრული ხერხები
 - სიუჟეტის განვითარება
 - ენობრივი საშუალებები
 - სხვ.
- ბ) ნაწარმოები № 2
 - მხატვრული ხერხები
 - სიუჟეტის განვითარება
 - ენობრივი საშუალებები
 - სხვ.

II ვარიანტი

- ა) მხატვრული ხერხები
 - ნაწარმოები № 1
 - ნაწარმოები № 2
- ბ) სიუჟეტის განვითარება
 - ნაწარმოები № 1
 - ნაწარმოები № 2
- გ) ენობრივი საშუალებები
 - ნაწარმოები № 1
 - ნაწარმოები № 2

III ვარიანტი

- ა) განსხვავებები № 1 და № 2 ნაწარმოებებს შორის:
 - განსხვავებული მხატვრული ხერხები
 - განსხვავებები სიუჟეტის განვითარებაში
 - განსხვავებული ენობრივი საშუალებები
 - სხვ.

⁴⁵ მსგავსება-განსხვავების ამსახველ ნამუშევრებთან დაკავშირებით დამატებით იხ. ზემოთ, „მიმართულება: წერა, მსგავსება-განსხვავების ამსახველი აბზაცი“.

ბ) მსგავსებები № 1 და № 2 ნაწარმოებებს შორის:

- მსგავსი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები
- მსგავსებები სიუჟეტის განვითარებაში
- მსგავსი ენობრივი საშუალებები
- სხვ.

შენიშვნა: სურვილისამებრ, პუნქტების წარმოდგენა შესაძლებელია სხვა რიგითაც: ა) მსგავსებები; ბ) განსხვავებები⁴⁶.

შემოქმედებითი წერიტი ნამუშევარი – ამ სახის წერიტი ნამუშევრების ძირითადი მიზანია ავტორის თვითგამოხატვა, მისი აზრების, განცდების, ღირებულებების ასახვა სხვადასხვა მხატვრული ფორმის (ლექსის, პოემის, ჩანახატის, მოთხრობის, სხვ.) გამოყენებით. ამავე მიზნით შეიძლება შეიქმნას აგრეთვე მულტიმედიური ტექსტებიც, რომლებშიც წერილობით ტექსტთან ერთად ავტორი გამოიყენებს მუსიკას, ნახატს და ა.შ. ამ სახის ტექსტების შექმნა განსაკუთრებით უწყობს ხელს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

კომბინირება – ამა თუ იმ სახის წერიტი ნამუშევრების შედგენისას, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია კომბინირების სტრატეგიის გამოყენება, რაც გულისხმობს ერთი რომელიმე სახის ტექსტში განსხვავებული სახის მქონე ცალკეული პასაჟებისა და/ან ცალკეული აბზაცების ჩართვას. ასე მაგალითად, თხრობითი ესეს წერისას შეიძლება საჭირო გახდეს რაიმეს აღწერა, მიზეზშედეგობრივი კავშირის ჩვენება მოვლენებსა თუ ფაქტებს შორის, რაიმეს განმარტება, ორი ან მეტი საგნის ან მოვლენის შედარება; არგუმენტირებული ესეს წერის დროს კი – თხრობითი პასაჟების გამოყენება, კერძოდ: ესეში, რომლის მიზანია, დაასაბუთოს ცეცხლსასროლი იარაღის სახლში შენახვის აკრძალვის აუცილებლობა, შეიძლება თხრობითი აბზაცის ჩართვა კონკრეტული ფაქტის გადმოცემით (მაგ., როგორ შეინირა პატარა ბავშვის სიცოცხლე სახლში შენახულ იარაღთან გაუფრთხილებელმა მოპყრობამ); მიზეზშედეგობრივ ესეში, რომლის მიზანია, გვიჩვენოს, რატომ ერთიანდებიან ადამიანები რელიგიურ სექტებში, შესაძლებელია ჩართული იყოს პროცესზე ფოკუსირებული აბზაცი იმის ჩვენებით, თუ როგორ მუშაობენ თანამედროვე სექტები ახალი წევრების მოსაზიდად, შედარებითი სახის პასაჟი/აბზაცი იმის ჩვენებით, თუ რა განასხვავებს რელიგიურ სექტებს ტრადიციული რელიგიებისაგან და ა.შ. ცხადია, რომ კომბინირების მიუხედავად, ყველა ასეთ შემთხვევაში მკაცრად უნდა იყოს დაცული შესაბამისობა წერიტი ნამუშევრის მიზანთან და თეზისთან.

⁴⁶ მსგავსება-განსხვავების ორგანიზაციული ყალიბის შესახებ დამატებით იხ. ზემოთ, მიმართულება: წერა, „მსგავსება-განსხვავების ამსახველი აბზაცი“.

III. 4. კავშირი ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის მიმართულებებს შორის

ენის ექსპრესიული (ლაპარაკი, წერა) და რეცეფციული გამოყენება (მოსმენა, კითხვა, ვიზუალიზაცია) დიდ ზეგავლენას ახდენს ერთმანეთზე. ამდენად, საგნობრივი სტანდარტის სამივე მიმართულება (ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა) მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მოსმენისა და ლაპარაკის, აგრეთვე კითხვისა და წერის დროს მიღებული გამოცდილება ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს: კითხვაცა და წერაც დინამიკური, ინტერაქტიული პროცესებია, რომლებიც აზრის გამოტანაში ეხმარება მოსწავლეებს. მაგალითად, ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების ნაკითხვის შედეგად მოსწავლეს შეიძლება გაუჩნდეს იდეა წერიტი ნამუშევრის დასაწერად, წერის დროს მიღებული გამოცდილება კი ნაკითხულის უკეთ გააზრებაში დაეხმაროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვკითხულობთ იმისათვის, რომ უკეთ ვწეროთ, ხოლო ვწერთ იმისათვის, რომ უკეთ წავიკითხოთ. დაბოლოს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კითხვისა და წერის დროს რიგ შემთხვევებში ერთი და იგივე სტრატეგიები გამოიყენება (მაგ., ადრეული ცოდნის გააქტიურება, შეკითხვების დასმა, სხვ.).

მოსწავლეები, რომლებიც წერენ იმის შესახებ, რაც წაკითხეს, უკეთ იმახსოვრებენ ნაკითხულს, არიან უფრო კრიტიკული მკითხველები. წერის უნარ-ჩვევების გასავითარებლად კი, თავის მხრივ, ძალზე ეფექტურია კითხვის გამოყენება: მოსწავლეები უკეთ მოემზადებიან წერისათვის, თუკი სამუშაოს დაწყებამდე გაეცნობიან და კრიტიკულად გააანალიზებენ სამოდელო ტექსტს (ენობრივი საშუალებების გამოყენების, ტექსტის სტრუქტურის, მასალის ორგანიზების, სხვ. თვალსაზრისით), რომელიც წინასწარ უნდა იყოს შერჩეული შესასრულებელი წერიტი დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბუნებრივად მიმდინარე სასწავლო პროცესში საგნობრივი პროგრამის მიმართულებები (ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა) ინტეგრირებულად გამოიყენება: მაგ., წერის ზოგიერთი სახეობა შეიძლება ისწავლებოდეს დამოუკიდებლად, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ წერა მასწავლებელმა გამოიყენოს კითხვის წინა აქტივობის, კითხვის დროს ჩართული აქტივობის და/ან კითხვის შემდგომი აქტივობის სახით. კითხვისა და წერის წინა ეტაპზე გამოყენებული მრავალი საკლასო აქტივობა მოსწავლეებს იმავდროულად ავარჯიშებს მოსმენასა და ლაპარაკშიც, რადგან ისინი ზეპირი გზით წარიმართება და ზეპირმეტყველების უნარების გააქტიურებას მოითხოვს (მაგ., გონებრივი იერიში, ფორმალური ან არაფორმალური საკლასო დისკუსია, კითხვა-პასუხი, გასაუბრება, სხვ.). ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების გამოყენება ხშირად აუცილებელი აგრეთვე წერიტი ნამუშევრის ან კითხვის დასრულების შემდეგ (მაგ., წერიტი ნამუშევრების ზეპირი პრეზენტაცია, გასაუბრება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა; ზეპირი მსჯელობა, დისკუსია ნაკითხულის შესახებ; წინასწარი ვარაუდის გამოთქმა ტექსტის სიუჟეტის შესაძლო განვითარების შესახებ და მისი დასაბუთება, სხვ.). თავის მხრივ, ზეპირმეტყველებაზე მუშაობის დროს შეიძლება საჭირო გახდეს წერის უნარ-ჩვევების გამოყენებაც. ასე მაგ., საინფორმაციო და/ან კრიტიკული მოსმენის დროს, ინფორმაციის უკეთ დამახსოვრების მიზნით, მოსწავლეები ხშირად აკეთებენ წერილობით ჩანა-

წერებს; წერის შემდგომი რედაქტირების ეტაპი მოსწავლეებისგან კითხვის უნარების გააქტიურებას მოითხოვს და ა.შ.

ამდენად, სასწავლო პროცესის წარმატებულად მართვის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია კლასში შექმნას გარემო, რომელშიც კომბინირებული იქნება მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა. ამ გზით შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაახლოება რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, რაც ძალზე სასარგებლო იქნება მოსწავლეებისათვის.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კარგად უნდა აცნობიერებდეს კავშირს არა მხოლოდ საგნობრივი სტანდარტის ცალკეულ მიმართულებებს, არამედ, ზოგადად, თავის საგანსა და სხვა სასკოლო საგნებს შორისაც. მართლაც, საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო, ზუსტი მეცნიერებებისა თუ ხელოვნების შესწავლა მოსწავლისაგან მოითხოვს წიგნიერების იმავე უნარებს, რომლებიც აუცილებელია მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესასწავლადაც. აქედან გამომდინარე, საბაზო და საშუალო საფეხურის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული ინტერდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობა წიგნიერების ზოგადი უნარების განვითარების საქმეში. სასკოლო საგნების ღრმად, საფუძვლიანად შესწავლა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება მოსწავლისაგან მოითხოვს კითხვის დასმის, კრიტიკული აზროვნების, კვლევითი, პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაწყვეტის უნარების გამოვლენას, რაც წიგნიერების უნარების ინტეგრირებას გულისხმობს.⁴⁷ ეს, თავის მხრივ, განავითარებს პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევებს, რაც ძალზე შეუწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნული მომნიშვნელობის პროცესს. ამ გზით მოსწავლეები შეძლებენ პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებას და მზად იქნებიან იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებსაც მათ ზრდასრული ცხოვრება შესთავაზებს.

⁴⁷ ინტეგრირებისათვის ძალზე ეფექტურია თემატური მიდგომის გამოყენება. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა დავაჯგუფოთ ეროვნული სასწავლო გეგმის სხვადასხვა საგნები ერთი კონკრეტული თემის ირგვლივ. მაგ. „ადამიანი ბუნების პირისპირ“, „მოგზაურობა ზღვაზე“ და სხვ.

თავი IV

სანიმუშო აქტივობები

საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის გამიზნული აქტივობები, რომლებიც წინამდებარე თავშია წარმოდგენილი, მცირე გამონაკლისის გარდა, კომპლექსური სახისაა და ერთდროულად ფარავს ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის ორ ან სამივე მიმართულებას (ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა). თითოეულ აქტივობას ახლავს რუბრიკა „შეფასება“, რომელშიც წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ძირითადი კრიტერიუმები.

სასწავლო აქტივობები, რომლებშიც ინტეგრირებულია სტანდარტის ორი ან სამივე მიმართულება, ვფიქრობთ, უკეთ შეესატყვისება ბუნებრივ სასწავლო პროცესს. მართლაც, მხოლოდ კითხვის, მხოლოდ ლაპარაკის ან მხოლოდ მოსმენის უნარ-ჩვევებზე ფოკუსირება უმეტესწილად ხელოვნურად შექმნილი სასწავლო გარემოსთვისაა დამახასიათებელი (როგორცაა, მაგ., მოსწავლეთა შეფასება, გამოცდა, ტესტირება, მისთ.), ან გამოიყენება ცალკეული კონკრეტული საკითხის სწავლების მიზნით.

რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც მოსწავლეებს უმეტესად ინტეგრირებულად უნევთ სკოლაში ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება: ამა თუ იმ ამოცანის შესასრულებლად, დასახული მიზნის მისაღწევად თუ პრობლემების გადასაჭრელად მათ, როგორც წესი, კომბინირებულად უნდა გამოიყენონ ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები¹. იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეთა მომზადება რეალური ცხოვრებისათვის, სკოლის ფარგლებს გარეთ არსებული სამყაროსათვის სწავლა-სწავლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, აუცილებელია, მოსწავლეებს შევთავაზოთ შინაარსიანი კონტექსტის მქონე სასწავლო ამოცანები – ამოცანები, რომელთა შესრულებაც შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირებულად გამოყენებას მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე გზამკვლევაში შესატანად უპირატესობა მიენიჭა კომპლექსურ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს, ენის გამოყენების ავთენტურ კონტექსტში განივითარონ უნარ-ჩვევები და შეივსონ ცოდნის მარაგი.

¹ შდრ. ზემოთ, III. 4. კავშირი საგნობრივ მიმართულებებს შორის.

საბაზო საფეხური

მიმართულება: ზეპირმეტყველება

აქტივობა № 1: მიამბეთ!

ვარიანტი ა

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს ზეპირი მეტყველებისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებას (ინფორმაციის დახარისხების უნარის გაქტიურების გზით). აქტივობა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, უფრო ღრმად ჩანვდნენ ტექსტის შინაარსს და უკეთ გაიაზრონ იგი (ტექსტი). აქტივობის მეშვეობით მოსწავლეები გაითავისებენ თხზულების/ამბის დასაწყისისა და დასასრულის, გარემოს, მოქმედი პირებისა და სიუჟეტური ხაზების მნიშვნელოვან ასპექტებს; აძლევს მოსწავლეებს იმის სტიმულს, რომ შეარჩიონ ადეკვატური და ეფექტური ლექსიკა, მოძებნონ აუდიტორიის დაინტერესების, მასზე ზემოქმედების ხერხები და საშუალებები (მაგ., ყესტები, მიმიკა, ხმის ტონის მონაცვლეობა და სხვ.). აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს ზეპირმეტყველებისა და კითხვის მიმართულებებს.

აქტივობის მიზნები:

- ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: პროზაული ტექსტი, აუდიო-, ვიდეოჩანაწერი.

აქტივობის აღწერა:

პირველ ეტაპზე, სანამ მოსწავლეები თავად დაიწყებენ ამ თუ იმ სახის (დეტალური თხრობა, მოკლე შინაარსის თხრობა, გამოკრებილი შინაარსის თხრობა, თხრობა მთხრობელის შეცვლით) თხრობითი აქტივობების გამოყენებას, მათ უნდა მიეცეთ საშუალება, მოუსმინონ სხვა, უფრო გამოცდილ მთხრობლებს, რომელთა მოსმენა სიამოვნებას მიანიჭებს მოსწავლეებს, გაამდიდრებს მათ გამოცდილებას. ამ მიზნით სასურველია გაკვეთილებზე ცნობილი ადამიანების მონვევა, აგრეთვე, ვიდეო- და/ან აუდიოჩანაწერების გამოყენება.

შესაძლებელია მოსწავლეებმა უპირატესობა მიანიჭონ იმის მოყოლას, რაც თავს გადახდათ; ან რაც გამოიგონეს (და არა ნაკითხული მოთხრობის შინაარსის გადმოცემას); ან მოისურვონ გაგონილი მოთხრობის/ამბის, ნანახი ფილმის შინაარსის გადმოცემა. ასეთი ინიციატივები მასწავლებელმა უნდა წახალისოს, რათა მოსწავლეს მოეხსნას შიშის ან უხერხულობის განცდა, შეეჩვიოს აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და ეფექტური თხრობის საშუალებების გამოყენებას. პირადი ამბები შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, მოსწავლის პირად თავგადასავალს, საოჯახო რელიკვიებს, წინაპრების ამბებს, შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ ისტორიებსა და ა.შ. შეიძლება მოსწავლეებმა თავად მოისურვონ მოთხრობების შექმნა. ეს ინიციატივაც უნდა წახალისდეს. მათ შეუძლიათ:

- ტრადიციული ან ე. წ. მთავარი სიუჟეტების, თემების გამოყენება (სესხება);
- რამდენიმე ვერსიიდან ერთ-ერთის აღება ან ამ ვერსიების გაერთიანება;
- ამბის / მოთხრობის გადანაცვლება დროში: წარსულიდან აწმყოში ან მომავალში;
- ამბის / მოთხრობის გადანაცვლება ერთი გეოგრაფიული გარემოდან სხვაში და ა.შ.

მოთხრობელს უნდა ჰქონდეს მოხერხებული მდგომარეობა. იგი პირდაპირ უნდა უყურებდეს აუდიტორიას, რათა ადვილად დაამყაროს მხედველობითი კონტაქტი მსმენელებთან.

მოთხრობელს შეუძლია მოაწყოს თხრობისთვის შესაფერისი გარემო: სპეციალური განათება, მუსიკა, თხრობის ეფექტურობის გამაძლიერებელი ვიზუალური საშუალებები, მაგ., შესაბამისი ტანისამოსი, თუნდაც რომელიმე ატრიბუტი: ქუდი, შარფი, მანტია ან სხვა რამ; ილუსტრაციები, ფილმები და ა.შ. მსგავს „დახმარებას“ რამდენიმე უპირატესობა აქვს. იგი:

- ხელს უწყობს მოსწავლის მოტივირებას, ინტერესის აღძვრას;
- ახდენს ვიზუალური და სიტყვიერი ინფორმაციის სინთეზირებას;
- უზრუნველყოფს მორცხვი მოთხრობელის მხარდაჭერას (მორცხვ მოთხრობელს აძლევს საყრდენს, რაც სითამამეს ჰმატებს მას).

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მოსმენილის/ნანახი ფილმის, პირადი და/ან ლიტერატურული გამოცდილების ზეპირად თხრობის უნარი;
- წარმოსახვით შექმნილი ამბის ზეპირად გადმოცემის უნარი.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 1.

აქტივობა № 2. სასაუბრო წრეები

აქტივობის შესახებ: სასაუბრო წრეები ქმნის ხელშემწყობ გარემოს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაბედულად შეძლონ თავიანთი აზრების სხვებისათვის გაზიარება. იგი ეფექტურად მოამზადებს მოსწავლეებს საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად. სასაუბრო წრეები განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც მოსწავლეები განიხილავენ მორალურ ან ეთიკურ საკითხებს.

რესურსები: იმიტირებული მიკროფონი.

აქტივობის აღწერა: მოსწავლეები რკალურად სხედან, ყოველ მათგანს აქვს საუბრის საშუალება. თუკი წრე დიდია, მაშინ უმჯობესია წრე დავეყოთ ორ-სამკაცრიან ჯგუფებად. იმისათვის, რომ ყველას მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება და ვინმემ არ დაიკავოს დომინირებული მდგომარეობა, თავი დაგაღწიოთ უნესრიგობასა და ხმაურს, მოსწავლეებს (მოსწავლეთა ჯგუფებს)

შეიძლება მიეცეთ მიკროფონი (ან რამე ნივთი მიკროფონის „ფუნქციით“). მხოლოდ მას უნდა მიეცეს ლაპარაკის უფლება, ვინც ამ საგანს იმ წუთში ფლობს, შემდეგ „მიკროფონი“ სხვა მოსწავლეს (ჯგუფს) გადაეცემა. ეს მანამდე გრძელდება, სანამ წრეში მყოფ ყველა მოსწავლეს (ყველა ჯგუფს) არ მიეცემა ლაპარაკის საშუალება. აუცილებელია იმ წესის დაცვა, რომ მხოლოდ ერთი მოსწავლე / ჯგუფის წარმომადგენელი საუბრობდეს, დანარჩენები კი ჩუმად ისმენდნენ და ყოველგვარი შეფასებებისაგან თავს იკავებდნენ; ნებადართული უნდა იყოს ის, რომ მოსწავლემ / ჯგუფმა თქვას „გამოვტოვებ“, თუკი მას არაფერი აქვს სათქმელი. ნამყვანის როლს შეიძლება მასწავლებელი ან მოსწავლე ასრულებდეს. ნამყვანი:

- უზრუნველყოფს ინსტრუქციების შესრულებას;
- ყურადღების გარეშე არ ტოვებს არცერთი მონაწილის წვლილს, შეტანილს საუბარში (თუნდაც ასეთი ფრაზით: „გმადლობთ თქვენი აზრებისათვის / წვლილისათვის“);
- საჭიროების შემთხვევაში აზუსტებს, განმარტავს კომენტარს / შენიშვნებს / მოსაზრებებს (მაგალითად, „თუ სწორად გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ“ . . .).

სასურველია, მოსწავლეებს ვურჩიოთ, რომ მათ თავიანთი კომენტარები, შენიშვნები თუ მოსაზრებები გადმოსცენ რაც შეიძლება უფრო მარტივად და გასაგებად (სათქმელის ნათლად წარმოსაჩენად გამოიყენონ პირადი გამოცდილება, ეფექტურობისათვის – პარალელები, შედარებები და სხვა); ვთხოვთ მსმენელებს, რომ გამომსვლელს ინტერესითა და ყურადღებით მოუსმინონ, ფოკუსირება გააკეთონ გამომსვლელის საუბარზე და არა იმაზე, თუ რას იტყვიან, როდესაც მათი ჯერი დადგება.

შეფასება: შეფასდება ზეპირი გამოსვლის, არგუმენტირების უნარი, აზრის სიზუსტე და ლაკონიურობა; დადგენილი წესების დაცვის, ჯგუფური მუშაობის უნარი.

მეთოდური მითითება: თემები უნდა შეირჩეს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა ”გონებრივი იერიშის” გამოყენებით წინასწარ დაადგინოს, რა თემებზე სურთ საუბარი.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 4.

აქტივობა № 3. აბა, გამოიცანი!

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს კრიტიკული მოსმენისა და კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარებას.

აქტივობის მიზნები:

- მოსმენის უნარის განვითარება;
- კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: ტექსტების აუდიოჩანაწერები.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს მოკლე, კონკრეტული კონტექსტიდან ამოღებულ ნაწყვეტს, მაგალითად, დიალოგის ან დისკუსიის ნაწილს, საუბრის ფრაგმენტს. შინაარსის, საუბრის სტილის, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურისა და სხვა ენობრივი ნიშნების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები, თუ ვისთვისაა გამიზნული მოსმენილი ტექსტი / რა აუდიტორიისთვისაა გამიზნული, აღადგინონ კონტექსტი, განსაზღვრონ საკომუნიკაციო სიტუაცია. მოსწავლეებმა მოსმენილი ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე, რა მინიშნებას ეყრდნობიან აზრის გამოთქმისას.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ენობრივ-გრამატიკულ ფორმებზე დაკვირვების გზით აუდიტორიის განსაზღვრა;
- კრიტიკული მოსმენა.

მეთოდური მითითება: მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსასმენი მასალა არ იყოს ძალიან ნათელი, ანუ იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქტივობა უინტერესო გამოვა.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VIII. 2.

მიმართულება: ზეპირმეტყველება, წერა

აქტივობა № 1. დავაკვირდეთ სხეულის ენას

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეების მოსმენის უნარებისა და კრიტიკული შეფასების უნარ-ჩვევების განვითარებას. იგი მათ დაეხმარება, გაეცნონ კომუნიკაციის დროს გამოყენებულ სხვადასხვა არავერბალურ საშუალებებს, დააკვირდნენ მათი გამოყენების პრაქტიკას სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. საბოლოო ჯამში, ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, გააცნობიერონ არავერბალური საშუალებების მნიშვნელობა და განვიითარონ მათი ადეკვატურად გამოყენების უნარ-ჩვევები. აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებს.

აქტივობის პირველი, „ა“ ცხრილი, შედგენილია 2 პირს შორის მიმდინარე საკომუნიკაციო სიტუაციის გასაანალიზებლად, მეორე ცხრილი კი – საჯარო გამოსვლის გასაანალიზებლად.

აქტივობის მიზნები:

- ზეპირმეტყველების უნარების განვითარება;
- კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარება.

რესურსები: ამა თუ იმ პირის (პოლიტიკოსის, ხელოვანის, მეცნიერის, სხვ.) საჯარო გამოსვლის 8-10-წუთიანი ვიდეოჩანაწერი, ან ამავე ქრონომეტრაჟის სატელევიზიო დისკუსიის, დებატების ვიდეოჩანაწერი, წინასწარ შერჩეული მასწავლებლის მიერ, ქაღალდებზე ამოებჭდილი ცხრილები (მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად), სანერი კალმები.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

აქტივობის აღწერა: დაფაზე გამოსახულია არავერბალურ საშუალებებზე დაკვირვების ცხრილი. მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს აქტივობის მიზანზე, გააცნობს მათ შესასრულებელ სამუშაოს, ცხრილის შევსების წესებს; ბოლოს დაურიგებს მოსწავლეებს ამავე ცხრილის ქალაღზე ამობეჭდილ ვერსიებს.

მასწავლებელი ჩართავს წინასწარ შერჩეულ ჩანაწერს. ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი ჩანაწერის მიმდინარეობის დროს შეავსებს ცხრილს პირველი ორი მონაცემით, შემდეგ შეაჩერებს ჩანაწერის ჩვენებას და დამატებით ახსნა-განმარტებებს მისცემს მოსწავლეებს ცხრილის შევსების წესის შესახებ: მოლაპარაკის მიერ გამოყენებული ყოველი არავერბალური საშუალება სათანადო გრაფაში აღინიშნება X-ით (მაგ., გამოყენებული ფესტი X ნიშნით აღინიშნება გრაფაში „ფესტები“). იმ შემთხვევაში, თუკი მოსაუბრე, ვთქვათ, 5-ჯერ გამოიყენებს სხვადასხვა ფესტს, გრაფაში „ფესტები“ 5-ჯერ ჩაინერება X. საბოლოოდ, აღნიშნული გრაფა მიიღებს შემდეგ სახეს: XXXXX. სასურველია, სათანადო კომენტარის თანხლებით. ამის შემდეგ ჩანაწერის ჩვენება გაგრძელდება. მოსწავლეები უყურებენ ჩანაწერს და ავსებენ ცხრილს.

სულ ბოლოს ივსება ცხრილის ბოლო სვეტი „დასკვნა“. ამისათვის მოსწავლეები აკვირდებიან ცხრილის პირველ-მეორე სვეტებს, გაიაზრებენ და შეაჯამებენ მათ მონაცემებს და მიღებულ შედეგებს ჩანაწერს სვეტში „დასკვნა“ (მაგ., „ყველა ხშირად იყენებს ფესტებს“, „არ ცვლის სახის გამომეტყველებას“, „ხშირად უწევს ხმას“ და მისთ).

მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს ზეპირი გზით. მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში იძლევა დამატებით ახსნა-განმარტებებს.

ნიმუში ა. ცხრილი.

I მოლაპარაკე		
საშუალებები	გამოყენებულია	დასკვნა
ფესტები		
მხედველობითი კონტაქტი		
მკაფიო მეტყველება		
ხმის აწვე-დანევა		
გამომეტყველების ცვლილება		

II მოლაპარაკე		
ჟესტები		
მხედველობითი კონტაქტი		
მკაფიო მეტყველება		
ხმის ანევი-დანევა		
გამომეტყველების ცვლილება		

ნიმუში ბ.

გამომსვლელი (სახელი, გვარი):		
საშუალებები	გამოყენებულია	დასკვნა
ჟესტები		
მხედველობითი კონტაქტი		
მკაფიო მეტყველება		
ხმის ანევი-დანევა		
გამომეტყველების ცვლილება		

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში იძლევა დამატებით ახსნა-განმარტებებს, აკეთებს კომენტარებს.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12– 15 წუთი.

შეფასება: აღნიშნული აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- არავერბალური საშუალებების ამოცნობა და დახარისხება;
- კრიტიკული აზროვნება;
- მოცემული მოდელის მიხედვით წერიტი სამუშაოს შესრულება.

მეთოდური მითითება:

▪ დასკვნების სვეტში შესაძლებელია ჩაინეროს აგრეთვე ზოგადი დასკვნაც ამა თუ იმ მონაწილის ქცევის/არავერბალური მეტყველების შესახებ, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს მარცხენა და შუა სვეტში მოთავსებული დაკვირვებებიდან (მაგ., დაკარგა კონტროლის უნარი ან ბოლომდე აკონტროლებს თავს, ბოლომდე შეინარჩუნა სიმშვიდე და მისთ.).

- თავისი შეხედულებისამებრ, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს ცხრილის მოდიფიცირებული ვარიანტი – ორსვეტიანი ცხრილი, რომელსაც არ ექნება მესამე, „დასკვნების“ სვეტი. ამ შემთხვევაში მოსწავლეები ზეპირი გზით შეაჯერებენ ცხრილში ჩანერილ მონაცემებს.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 2; ქართ. VII. 11.

აქტივობა № 2. მსმენელის გზამკვლევი

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეების კრიტიკული მოსმენის უნარებისა და, ზოგადად, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებას. იგი დაეხმარება მოსწავლეებს, განვიითარონ ზეპირად მოსმენილი ინფორმაციის ადეკვატურად გაგებისა და გააზრების უნარ-ჩვევები. აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებს.

აქტივობის მიზნები:

- ზეპირმეტყველების უნარების განვითარება;
- კრიტიკული მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება;
- კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარება.

რესურსები: ამა თუ იმ პირის (პოლიტიკოსის, ხელოვანის, მეცნიერის, სხვ.) საჯარო გამოსვლის 8-10-წუთიანი ვიდეოჩანაწერი, ან ამავე ქრონომეტრაჟის სატელევიზიო დისკუსიის, დებატების ვიდეოჩანაწერი, შერჩეული მასწავლებლის მიერ, ქალაქებზე ამობეჭდილი კითხვარი (საჭირო რაოდენობით), სანერი კალმები.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილური.

აქტივობის აღწერა: მსმენელის გზამკვლევის/კითხვარის ტექსტი დანერილია დაფაზე (დაფაზე გაკრულ დიდი ფორმატის ქალაქებზე). მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს აქტივობის მიზანზე, გააცნობს მათ შესასრულებელ სამუშაოს; ბოლოს დაყოფს მოსწავლეებს წყვილებად და დაურიგებს ქალაქებზე ამობეჭდილ კითხვარს.

მასწავლებელი ჩართავს წინასწარ შერჩეულ ჩანაწერს. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და ავსებენ კითხვარს წყვილებში მუშაობის გზით.

ნიმუში. მსმენელის გზამკვლევი:

მსმენელის სახელი, გვარი:

მოლაპარაკის სახელი, გვარი:

თარიღი:

- დაასახელეთ ძირითადი თემა
- დაასახელეთ ძირითადი საკითხი/საკითხები
- დაასახელეთ, რომელი ორგანიზაციული ყალიბია გამოყენებული
- დაასახელეთ „გადასვლებისათვის“ გამოყენებული 3-4 სიტყვა/შესიტყვება²
- ჩამოაყალიბეთ მოლაპარაკის მიერ გამოთქმული ძირითადი მოსაზრება (გამოიყენეთ არა უმეტეს 3-4 წინადადებისა)

² აქ ვგულისხმობთ ლოგიკური მიმართებების ამსახველ ენობრივ კონსტრუქციებს (მათ შესახებ დამატებით იხ. ზემოთ, „მიმართულება: ზეპირმეტყველება, დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლა, ლოგიკური მიმართებები“.

- გადმოცით თქვენი პირადი შთაბეჭდილება (გამოიყენეთ არა უმეტეს 4-5 წინადადებისა)

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში იძლევა დამატებით ახსნა-განმარტებებს, აკეთებს კომენტარებს.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12– 15 წუთი.

შეფასება: აღნიშნული აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კრიტიკული მოსმენა;
- მოსმენილი ინფორმაციის დახარისხება და შეჯამება;
- მოსმენილი ინფორმაციის წერილობით გადმოცემა სათანადო ფორმით;
- თანამშრომლობა.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. IX. 1; ქართ. IX. 9, 10.

აქტივობა № 3. არაფორმალური კამათი

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს კამათის, დისკუსიის უნარ-ჩვევების განვითარებას. იგი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მოუსმინონ თანაკლასელების მოსაზრებებს და გამოთქვან საკუთარი აზრი მათთვის საინტერესო საკითხებზე, ჩამოყალიბდნენ კრიტიკულ მსმენელებად; მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, განივითარონ არგუმენტირების, აგრეთვე გუნდური მუშაობის უნარი. აქტივობა ტარდება 2 ეტაპად: 1-ლ ეტაპზე ტარდება კამათი, მე-2 ეტაპზე კი მოსწავლეები შეაფასებენ კამათის მსვლელობას.

აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული მოსმენის უნარების განვითარება;
- არგუმენტირების უნარის განვითარება;
- ეტიკეტური მეტყველებისა და ქცევის უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: ადამიანური რესურსები.

აქტივობის აღწერა:

1 ეტაპი – საკამათო თემის შერჩევის შემდეგ მოსწავლეები ორ ჯგუფად დაიყოფიან (სასურველია, თემა შეირჩეს მოსწავლეთა აზრის გათვალისწინებით). მზადდება ინსტრუქციების ჩამონათვალი/ნუსხა, რომელშიც ასახული იქნება კამათის ნაყოფიერად წარმართვისათვის აუცილებელი პირობები (დროითი რეგლამენტი; რიგითობის დაცვის, ყურადღებით მოსმენის, ჯგუფის წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა და სხვ.). ჯგუფებში მოსწავლეები განაწილდებიან იმისდა მიხედვით, თუ რა პოზიცია ექნებათ საკამათო თემასთან დაკავშირებით. მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ არგუმენტებს თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად და გააცნობენ თანაგუნდელებს (ამისათვის გუნდებს ეძლევათ 15-20 წუთი). გუნდი არგუმენტების განხილვის

შემდეგ შეარჩევს ამა თუ იმ კონკრეტული არგუმენტის წარმომთქმელს. არგუმენტების წარმომთქმელები რიგ-რიგობით საუბრობენ, მოსწავლეები უნდა დარწმუნდნენ, რომ: ა) ჩანერილი აქვთ ყველა არგუმენტი; ბ) არ იმეორებენ უკვე წარმომთქმულ არგუმენტს. კამათი გრძელდება მანამდე, სანამ არგუმენტები არ ამოიწურება.

II ეტაპი – შეფასებისათვის გუნდებს მასწავლებელი დაურიგებს კითხვარს, რომელსაც შემდეგი სახე შეიძლება ჰქონდეს.

კითხვარის ნიმუში:

- რომელი არგუმენტები იყო ყველაზე სარწმუნო და დამაჯერებელი?
- დახარჯეს თუ არა მონაწილეებმა დრო და ენერჯია მთავარი პრობლემა-სათვის ნაკლებად მნიშვნელოვან მოსაზრებებზე?
- თქვენი აზრით, რომელი არგუმენტი/არგუმენტები იყო იმდენად დამაჯერებელი, რომ შეეძლო ზოგიერთი მოსწავლის მოსაზრების შეცვლა?

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კრიტიკული მოსმენა;
- საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება;
- ეტიკეტური ქცევა და მეტყველება;
- მოსმენილი ინფორმაციის/სამეტყველო სიტუაციის შეჯამება და შეფასება წერილობითი გზით.

მეთოდური მითითებები:

- რეკომენდებული არ არის კამათში „გამარჯვებული“ გუნდის გამოცხადება, მაგრამ თუკი მოსწავლეები მოისურვებენ გამარჯვებულის გამოვლენას, ეს შეიძლება მოხდეს შემდეგი გზით: ა) განსაკუთრებით ძლიერი და/ან ორიგინალური არგუმენტებისათვის ჯგუფი ქულას მიიღებს; ბ) თუ არგუმენტი გამეორდა, ჯგუფი ქულას არ მიიღებს. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს.
- საკამათოდ შერჩეული თემა შესაძლებელია რომელიმე შესწავლილი ნაწარმოების პრობლემატიკას/თემატიკას უკავშირდებოდეს. ამ შემთხვევაში აქტივობა ეროვნული სასწავლო გეგმის სამივე მიმართულებას (ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა) დაფარავს.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. IX. 1, 2, 3, 4, 5; ქართ. IX. 9.

მიმართულება: ზეპირმეტყველება, კითხვა

აქტივობა № 1. კონკურსი გამომეტყველებით კითხვაში

რესურსი: შეფასების კრიტერიუმების ქსეროასლები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, მოაწყო კონკურსი გამომსახველობით კითხვაში. სასურველია, პირველ ჯერზე, კონკურსში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყოს. ის, ვინც არ მიიღებს მონაწილეობას კონკურსში, იქნება შემფასებელთა ჯგუფში, რომელიც ერთობლივად შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასებს კონკურსის მონაწილეებს. შესაძლებელია, კონკურსი ჩატარდეს ორ „ტურად“. მონაწილეები ჯერ კითხულობენ ერთსა და იმავე ნაწარმოებს, შემდეგ ირჩევენ ტექსტს საკუთარი სურვილით.

შეფასება: შეფასება შეიძლება მოხდეს იმის მიხედვით, იყო თუ არა:

- ყველა სიტყვა მკაფიოდ წარმოთქმული;
- გაკეთებული აქცენტი საკვანძო სიტყვებზე;
- გადმოცემული ავტორისეული განწყობილება და გრძნობები;
- სწორად გაგებული პუნქტუაცია;
- დაცული სათანადო ტემპი;
- ეფექტურად გამოყენებული ხმის ტონი;
- შენარჩუნებული მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან;
- შენარჩუნებული ზომიერება გრძნობების გამოხატვისას.

მეთოდური მითითება: სავარაუდოდ, იმ მოსწავლეების ნაწილი მაინც, რომლებიც არ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას, მომავალში დაინტერესდება და სხვების მაგალითით ჩაერთვება. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი შეფასებისას დახვეწენ საკუთარ გემოვნებას, კიდევ ერთხელ გაიაზრებენ ნაკითხულს / მოსმენილს. იმისათვის, რომ მოსწავლეები უფრო გაბედულად ჩაერთონ გამომსახველობითი კითხვის კონკურსში, რეკომენდებულია, ხშირად მოვასმენინოთ ქართველ მსახიობთა მიერ ნაკითხული ნაწარმოებების აუდიოჩანაწერები და ვასაუბროთ შთაბეჭდილებებზე.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 2, 3; ქართ. VII. 7.

აქტივობა № 2. მხატვრული კითხვის დღე

აქტივობის შესახებ: აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, გამოიმუშაონ კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში შესაბამისი ქცევის უნარი. იგი ხელს უწყობს, ერთი მხრივ, გამომეტყველებითი კითხვის, მეორე მხრივ, კრიტიკული მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებას (თანაკლასელების გამოსვლებზე დაკვირვებისა და შეფასების გზით). გარდა ამისა, აქტივობა ეფექტურია კრიტიკული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისითაც – იგი ბიძგს აძლევს მოსწავლეებს, ღრმად გაიაზრონ ტექსტის შინაარსი.

აქტივობის მიზენი:

- კრიტიკული აზროვნების/კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- გამომეტყველებითი კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- კრიტიკული მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: სათანადო პროზაული და პოეტური ნაწარმოებები / ფრაგმენტები ნაწარმოებებიდან.

აქტივობის აღწერა:

საგანგებოდ შერჩეულ დღეს კლასში ცხადდება „**მხატვრული კითხვის დღე**“.

მოსწავლეებს სახლიდან მოაქვთ თავიანთი საყვარელი წიგნები და თანაკლასელებს გამოთქმით და საჭირო აქცენტების დასმით უკითხავენ ლექსებსა და მოთხრობებს. ასევე, შესაძლებელია ე.წ. „ავტორის სკამის“ მეთოდის გამოყენებაც, როდესაც გამომსვლელი/მკითხველი დაჯდება ოთახის შუაგულში ან მერხების წინ საგანგებოდ დადგმულ სკამზე და ისე უკითხავს ნაწარმოების ნაწყვეტს თანაკლასელებს. მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ გამომსვლელს და ცდილობენ შეაფასონ, რა მოეწონათ და რა – არა. მაგალითად, ცვლიდა თუ არა მკითხველი ინტონაციას მოდალობის მიხედვით, შეძლო თუ არა მან ნაწარმოების/პერსონაჟთა განწყობის გადმოცემა, აკეთებდა თუ არა პაუზებს საჭირო ადგილას, იყენებდა თუ არა ჟესტსა და მიმიკას და ა.შ. შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი (შესაძლებელია, რომ კრიტერიუმები მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთობლივად შეიმუშაონ).

შესაძლებელია, ამ დღეს სკოლაში მოიწვიონ რომელიმე მწერალიც, რომელიც წაუკითხავს თავის ნაწარმოებს მოსწავლეებს, ან მსახიობი, რომელიც აჩვენებს ბავშვებს მხატვრული კითხვის მაგალითს.

შეფასება: ამგვარი აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტის სათანადოდ გააზრება;
- გამომეტყველებით კითხვა;
- ხმამაღლა კითხვის დროს შესაბამისი ინტონაციის შერჩევა;
- ჟესტებისა და მიმიკის ადეკვატურად გამოყენება;
- მოცემული კრიტერიუმების გამოყენებით თანაკლასელის გამოსვლის ადეკვატურად შეფასება.

მეთოდური მითითება: სასურველია, რომ ასეთ გაკვეთილებს ერთგვარი ტრადიციის სახე მიეცეს.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 3; ქართ. VII. 7.

აქტივობა №3. ლიტერატურული წრე

აქტივობის შესახებ: ლიტერატურული წრე ხელს უწყობს მოსწავლეებს, უფრო მეტი შეიტყონ სხვადასხვა ტიპის, ჟანრისა და სტილის ტექსტების შესახებ; შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეუძლიათ ზეპირად გამოხატონ პირადი დამოკიდებულება წაკითხულის

მიმართ: კითხვის შედეგად აღძრული განცდები, შთაბეჭდილებები, განწყობა. აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს კითხვისა და ზეპირმეტყველების მიმართულებებს.

აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- საკუთარი მოსაზრების/დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს. შესაძლებელია მოენწყოს სადისკუსიო წიგნის ირგვლივ შექმნილი / მოძიებული მასალების (ილუსტრაციები, პლაკატები) გამოფენაც.

აქტივობის აღწერა: ლიტერატურულ წრეში მოსწავლეთა მცირე ჯგუფები ერთსა და იმავე ვადებში კითხულობენ წიგნს და რეგულარულად განიხილავენ უკვე წაკითხულ ცალკეულ ეპიზოდს, მონაკვეთს. მათ შეუძლიათ თავად გადანივითონ, ერთსა და იმავე წიგნს წაიკითხავენ თუ სხვადასხვა წიგნს ერთსა და იმავე თემაზე. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ წიგნის კითხვას, მოენწყობა დისკუსია.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მხატვრული ტექსტის ანალიზი და შეფასება;
- საკუთარი მოსაზრების, დამოკიდებულების გამოხატვა და დასაბუთება.

მეთოდური მითითება: სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს არდადეგებზე შესთავაზოს წასაკითხი წიგნების ჩამონათვალი. თუ ლიტერატურულ წრეში სასწავლო პროცესის დროს კითხულობენ წიგნს, მასწავლებელმა უნდა განუსაზღვროს მოსწავლეებს კითხვისთვის საჭირო დრო.

კავშირი სხვა საგნებთან: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (შესაბამისი რესურსების: პლაკატების, ილუსტრაციების, მისთ. გამოყენების შემთხვევაში).

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 3, 5, 7, 8, 9, 10;

ქართ. VIII. 1, 5, 6, 7, 8; ქართ. IX. 2, 3, 6, 7, 8.

აქტივობა № 4. მეორე პლანის პერსონაჟების საიდუმლო ცხოვრება

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ზეპირმეტყველებისა (მოსმენის, ლაპარაკის) და კრიტიკული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას; იგი ბიძგს აძლევს მოსწავლეთა წარმოსახვის უნარს, უყალიბებს ემპათიის განცდას და ეხმარება მათ, სხვადასხვა კუთხიდან/პოზიციიდან შეაფასონ წაკითხული. აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს ზეპირმეტყველებისა და კითხვის მიმართულებებს.

აქტივობის მიზნები:

- ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- კრიტიკული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წარმოსახვის უნარის განვითარება.

რესურსები: ადამიანური რესურსები.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიხსონ ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟის როლი, რომლის შესახებაც ტექსტში მცირე ინფორმაციას ვხვდებით. მოსწავლეების მიზანია, შეავსონ პერსონაჟის ბიოგრაფიის „თეთრი ლაქები“ თანაკლასელების შეკითხვებსა და საკუთარ წარმოსახვაზე დაყრდნობით.

მასწავლებელი ასახელებს მეორე პლანის რომელიმე პერსონაჟს ნაწარმოებიდან, რომელიც მოსწავლეებს უკვე შესწავლილი აქვთ ან იმჟამად სწავლობენ (მაგ., ძონძეში გახვეული პატარა ბიჭი ან ლამაზი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“, ხუმარა აკაკი წერეთლის პოემიდან „თორნიკე ერისთავი“, სხვ.). კარგი იქნება, თუკი პერსონაჟის შერჩევაში მოსწავლეებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ერთ-ერთი მოსწავლე გამოდის კლასის წინ, ჯდება სკამზე, „მოირგებს“ დასახელებული პერსონაჟის როლს და პასუხობს თანაკლასელების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ამ პერსონაჟისთვისაა გამიზნული. ნიმუშის საჩვენებლად და/ან აქტივობის გამოსაცოცხლებლად მასწავლებელი შეიძლება თვითონაც ჩაერთოს აქტივობაში და შეკითხვები დაუსვას „პერსონაჟს“.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12– 15 წუთი.

შეფასება: აღნიშნული აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კრიტიკული კითხვა;
- კრიტიკული აზროვნება;
- აზრის სათანადოდ გადმოცემა ზეპირი გზით;
- წარმოსახვის უნარის გამოყენება.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 5, 6, 7; ქართ. VIII. 1, 5, 8, ქართ. IX. 6.

აქტივობა № 5. ემოციური კომენტარი

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს ესთეტიკური კითხვის, ნაკითხულის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვისა და წარმოსახვის უნარების განვითარებას. აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს სტანდარტის სამივე მიმართულებას.

აქტივობის მიზნები:

- შემოქმედებითი მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ესთეტიკური კითხვისა და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარება;
- საკუთარი ემოციებისა და შთაბეჭდილების ზეპირად გადმოცემის უნარის განვითარება;
- თვითგამოხატვა.

რესურსები: ლექსების აუდიოჩანაწერები, ფურცლები ლექსების ჩამონათვალით.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს სხვადასხვა პოეტის იმ ლექსების ჩამონათვალს, რომელთა აუდიოჩანაწერიც უნდა მოისმინონ და სთხოვს მათ, თითოეული ტექსტის გასწვრივ ჩანერონ, რა განწყობას გამოხატავს ცალკეული მათგანი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ პირველ დავალებას, მასწავლებელი ხელახლა მოასმენინებს მათ ჩანაწერს. ამჯერად მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებზე, რომელი ლექსი/ნაწყვეტი მოეწონათ და რატომ.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12– 15 წუთი.

შეფასება: აღნიშნული აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ესთეტიკური კითხვა და შეფასება;
- წარმოსახვის უნარის გამოყენება;
- თვითგამოხატვა.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 2, 5, 7; ქართ. VIII. 2, 6, 7, 8.

მიმართულება: ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა

აქტივობა № 1. დისკუსია

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარის განვითარებას. ავარჯიშებს მოსწავლეებს აზრების მწყობრად გამოხატვასა და დასკვნების გამოტანაში, სადავო საკითხების გადაჭრასა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების მოძებნაში. აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს სამივე მიმართულებას.

აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება;
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევების განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ეტიკეტური მეტყველების, კორექტული ქცევის უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: სასურველია, მოსწავლეთათვის თვალსაჩინო ადგილას იყოს გამოკრული დისკუსიის წესები.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური.

აქტივობის აღწერა:

- დისკუსიის დაწყებამდე მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს დისკუსიის წარმართვის წესებსა და სათანადო ქცევის ნორმებს. დისკუსიებში მოსწავლეებს მოეთხოვებათ არგუმენტირებული მსჯელობა; გადან-

ყვეტილების მიღება, დისკუსიის წესების დაცვა (სასურველია, ეს წესები თავად მოსწავლეებმა შეიმუშაონ. მაგალითად: როცა რამის თქმა გვსურს, ხელი უნდა ავნიოთ; არ შევანყვეტინოთ ერთმანეთს სიტყვა; დავიცვათ რეგლამენტი და ა.შ.). სავარაუდოდ, დისკუსიისას მოსწავლეები მოისმენენ სხვადასხვა თვალსაზრისს და რწმუნდებიან, რომ არსებობს უამრავი პრობლემა, რომელთაც არა აქვთ მხოლოდ ერთი გადაწყვეტა. დისკუსიისათვის ეფექტურია სამ-ხუთ წევრიანი ჯგუფების გამოყენება, რადგანაც ყველას ექნება შესაძლებლობა წვლილი შეიტანოს დისკუსიაში როგორც მსმენელმა და როგორც სიტყვით გამომსვლელმა. გარდა ამისა, პატარა ჯგუფები სალაპარაკოდ გამოიწვევს გაუბედავ და პასიურ მოსწავლეებსაც, რომლებიც, როგორც წესი, დიდ ჯგუფებში გამართულ განხილვაში არ იღებენ ხოლმე მონაწილეობას. მცირე სადისკუსიო ჯგუფებში მოსწავლეებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრები და გაააქტიურონ სუბიექტური გამოცდილება. ვითარებიდან გამომდინარე, ჯგუფები შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მოსწავლეების სურვილის გათვალისწინებით;
- სტიქიურად (მაგალითად, მოსწავლეებს ვურიგებთ ნახატებიან / სხვადასხვა ფერის ბარათებს. ერთნაირნახატიანი / ერთი ფერის ბარათების მფლობელები ერთიანდებიან ერთ ჯგუფში);
- ჯგუფების შემადგენლობა შეიძლება განსაზღვროს თავად მასწავლებელმა.

რეკომენდებულია თითოეული ჯგუფის წევრისათვის კონკრეტული მოვალეობის დაკისრება (მაგალითად, ერთი არგუმენტებს ჩამოწერს, მეორე ეძებს დამატებით მასალას, მესამე შეკითხვებს ამზადებს, მეოთხე წარმოადგენს ჯგუფის საერთო აზრს და ა.შ.). ჯგუფები დროდადრო უნდა გადახალისდეს, რათა მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება სხვა თანატოლებთან ერთადაც იმუშაონ.

სადისკუსიოდ უნდა შეირჩეს ისეთი საკითხი, რომლის ირგვლივაც განსხვავებული თვალსაზრისები შეიძლება არსებობდეს ან დაისვას ისეთი პრობლემა, რომლის გადაჭრის ალტერნატიული გზები არსებობს. დისკუსიისას მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ:

- არ არსებობს მცდარი და სწორი აზრი; არსებობს დაუსაბუთებელი და დასაბუთებული მოსაზრება;
- დისკუსიის მიზნები და წესები წინასწარ არის განსაზღვრული;
- დისკუსიის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ჯგუფს განსახილველი საკითხის შესახებ ცოდნის გამომჟღავნებასა და პრობლემის გადაწყვეტისათვის ამ ცოდნის გამოყენებაში;
- დისკუსია პასუხების განუსაზღვრელ რაოდენობას წარმოშობს და არ მოითხოვს ერთადერთ დასკვნას;
- რადგანაც არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, საკუთარი თვალსაზრისის დაცვასთან ერთად სხვების თვალსაზრისსაც უნდა სცენ პატივი;
- აკრიტიკებენ აზრებს და არა ადამიანებს;
- დისკუსიის დროს საჭიროა მოსწავლეებს ხელი შეუწყოთ იმაში, რომ მათ:

- ყურადღებით მოისმინონ ყველა აზრი;
- დასვან შეკითხვები;
- პერიფრაზირების, კითხვის დასმის გზით დააზუსტონ გამოთქმული თვალსაზრისი (მაგალითად, „თუ სწორად გავიგე, შენ ამბობ, რომ...“);
- იკამათონ კონსტრუქციულად;
- შეაჯამონ დისკუსიისას გამოთქმული აზრი;
- გადაამოწმონ ვარიანტები.

შეფასება: დისკუსიის დროს მასწავლებელი აკონტროლებს, იცავენ თუ არა მონაწილეები დისკუსიის წესებს და ინიშნავს მათ პასუხებს, რათა შეაფასოს მოსწავლეები. არ არის მიზანშეწონილი, რომ მასწავლებელმა დისკუსიაში აშკარად გამოხატოს საკუთარი პოზიცია. მან უნდა შეაფასოს არგუმენტები და არა პოზიციის მართებულობა. სასურველია გამოვიყენოთ ჯგუფის შეფასების ანკეტა, რომელიც შეიძლება შეავსოს ჯგუფის ერთმა წევრმა (ჯგუფის საერთო პოზიციის გამოსახატავად) ან ჯგუფის თითოეულმა წევრმა.

ანკეტის ნიმუში:

	დიახ	არა	ზოგჯერ
დისკუსიაში მონაწილეობდა და აზრს გამოთქვამდა ჯგუფის ყველა წევრი. კომუნიკაცია ინტერაქტიული იყო.			
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრის დასაზუსტებლად და/ან პროცესის გააქტიურების მიზნით.			
დისკუსია არ გასცილებია თემას.			
დაცული იყო დისკუსიის წესები.			

მეთოდური მითითებები:

- სასურველია, დისკუსიის ჩატარებას წინ უძღოდეს მოსამზადებელი ეტაპი დისკუსიის თემის შესაბამისი სხვადასხვა სახის მასალების მოძიებითა და გაცნობით. მოსამზადებელი სამუშაოები შეიძლება წარიმართოს მასწავლებლის ხელმძღვანელობით (მაგ., მასწავლებელმა დაუსახელოს მოსწავლეებს სათანადო მასალები/წყაროები, სხვ.).
- ამა თუ იმ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის მოწყობას სასურველია მიეცეს სისტემატური სახე.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 3, 4; ქართ. VII. 7, 10; ქართ. VII. 11, 12.

აქტივობა № 2: მიაშვებო!

ვარიანტი (ბ)

დეტალური თხრობა შეიძლება იყოს ორი სახის: თავისუფალი, რომელიც უკავშირდება ნაკითხული ან მოსმენილი ნაწარმოებით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებას. მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ნაწარმოების დეტალურ შინაარსს; დანარჩენები უსმენენ და აფასებენ, რამდენად ზუსტად და თანამიმდევრობით არის გადმოცემული შინაარსი, ხომ არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი მოვლენა / ფაქტი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მოისმენენ ამა თუ იმ ნაწარმოებს, მათ შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა აღადგინონ ტექსტის შინაარსი. დეტალური თხრობის მეორე სახე გულისხმობს იმას, თუ რამდენად ახლოს არის მოსწავლის მონათხრობი ავტორისეულ ვერსიასთან არა მარტო შინაარსით, არამედ მწერლის ენის თვალსაზრისით. კერძოდ, იყენებს თუ არა მოსწავლე ავტორისეულ ლექსიკას, მხატვრულ საშუალებებს.

შეფასება: დეტალური თხრობის დროს ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ნაკითხული ტექსტის რეალიების ზუსტად გადმოცემა;
- თხრობისას თანამიმდევრულობის დაცვა;
- მწერლისეული ლექსიკისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება (მეორე სახის დეტალური თხრობის შემთხვევაში).

მეთოდური მითითება: დეტალური თხრობა არ გულისხმობს ტექსტის ზეპირად დასწავლას. ეს აქტივობა ერთდროულად ამოწმებს გააზრებული კითხვის უნარს (თუ მოსწავლეს ტექსტს წავაკითხებთ), მოსმენისა და ყურადღების კონცენტრირების, აგრეთვე, მოსმენილი ინფორმაციის დამახსოვრების უნარს (თუ მოსწავლეს მოვასმენინებთ ტექსტს).

ვარიანტი (გ)

მოკლე შინაარსის თხრობა

მოკლე შინაარსის გადმოცემა გაცილებით რთულია, ვიდრე დეტალური შინაარსისა, რადგან მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის იმგვარად „შეკუმშვა“, რომ არ დაიკარგოს თხრობის ლოგიკა, მხატვრული ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები. სხვა სიტყვებით, მოსწავლემ უნდა შეძლოს მთავარისა და არსებითის გარჩევა მეორეხარისხოვანისაგან. ამისათვის აუცილებელია წინასწარი მომზადება: აბზაცის ან თავის/ქვეთავის მთავარი აზრის განსაზღვრა, ამის საფუძველზე გეგმის შედგენა და შედგენილი გეგმის ისევ თხრობით ტექსტად გადაქცევა. მაგალითად, თუ მოსწავლეს ვთხოვთ, გვიამბოს „ოთარაანთ ქვრივის“ შინაარსი, ამისათვის საჭიროა, რომ მან სათაურებზე დაყრდნობით თითოეული თავიდან ამოიღოს მთავარი. შეიძლება კლასში მოვისმინოთ ალტერნატიული ვარიანტები და შევჩერდეთ ისეთზე, რომელშიც ყველაზე დაწურულად იქნება შენარჩუნებული მთავარი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

³ აღნიშნული აქტივობა წარმოგვიდგენს ზეპირმეტყველების მიმართულების № 1 აქტივობის ორ მოდიფიცირებულ (ბ, გ) ვარიანტს. იხ. ზემოთ, მიმართულება: ზეპირმეტყველება, „აქტივობა № 1. მიაშვებო!“.

- თანამიმდევრული თხრობა;
- არსებითისა და არაარსებითის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

მეთოდური მითითება: ეს აქტივობა კომპლექსურია, რადგან იგი ზეპირმეტყველების უნარის განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობს გააზრებული კითხვისა და წერის უნარის განვითარებასაც იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები თხრობის გეგმას წერილობით შეადგენენ.

გამოკრებილი შინაარსი

ეს არის ტექსტის ცალკეული ფრაგმენტის თხრობა მასწავლებლის მითითების საფუძველზე (მაგალითად, *მთაბე ის მონაკვეთი, რომელშიც აღწერილია თათქარიძის დაოჯახების ამბავი; მთაბე, როგორ მოკვდა ორბელაძე, მისთ.*).

რესურსი: ტექსტი სახელმძღვანელოდან.

შეფასება: შეფასდება, ახერხებს თუ არა მოსწავლე მთლიანი ტექსტიდან მითითებული ადგილის ზუსტად ამოღებასა და მის დეტალურად გადმოცემას (ისე, რომ არ დაკარგოს ყველაზე მნიშვნელოვანი).

მეთოდური მითითება: იმისათვის რომ შემოწმდეს, რამდენად კარგად აქვს მოსწავლეს ტექსტი გააზრებული, შესაძლებელია დავალების პირობის გაართულება რაიმე სახის დამატებითი მინიშნებით. მაგალითად, „მთაბე ის ეპიზოდი, რომელშიც ჩანს თორნიკე ერისთავის კაცთმოყვარეობა“.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 1; ქართ. VII. 7; ქართ. VII. 14.

მიმართულება: კითხვა, წერა

აქტივობა №1. ვექმნით რეკლამას

აქტივობის შესახებ: აქტივობა ემსახურება ფუნქციური/მიზნობრივი ტექსტების წერის უნარ-ჩვევების განვითარებას; ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების, აგრეთვე დარწმუნების სტრატეგიების ამოცნობა-გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას სარეკლამო ტექსტების გაანალიზებისა და შექმნის გზით. აქტივობა განავითარებს წიგნიერების, მედიაწიგნიერების, სემიოტიკური წიგნიერების უნარ-ჩვევებს; გარკვეულ შემთხვევებში კი – პლურილინგვური წიგნიერების უნარ-ჩვევებს (დარგობრივი ლექსიკის გამოყენების გზით). აქტივობა ტარდება 4 ეტაპად.

აქტივობის მიზნები:

- ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- დარწმუნების სტრატეგიების ამოცნობისა და გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოდელის მიხედვით ფუნქციური ტექსტის შექმნის უნარის განვითარება;
- წერილი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წიგნიერების, მედიაწიგნიერებისა და სემიოტიკური წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება;
- პლურილინგვური წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის მონაწილეობით (III ეტაპი), ინდივიდუალური (IV ეტაპი).

რესურსები: წინასწარ შერჩეული სარეკლამო ტექსტი, საწერი ბარათები, დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალამი, რვეული.

აქტივობის აღწერა:

I ეტაპი – მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს რეკლამებზე, სარეკლამო ტექსტებზე, ზეპირად გამოჰკითხავს მოსწავლეებს მათი საყვარელი/მათთვის საინტერესო რეკლამების შესახებ; დაინტერესდება, რატომ მოსწონს ამა თუ იმ მოსწავლეს კონკრეტული რეკლამა, ესმის თუ არა მისი გზავნილი (მაგ., ვიყიდოთ ესა თუ ის პროდუქცია, მატერიალურად დავეხმაროთ ამა თუ იმ წამოწყებას/ორგანიზაციას; გავხდეთ ამა თუ იმ საზოგადოების/ასოციაციის წევრები, გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია კონკრეტულ საკითხზე და სხვ.). საუბარს მასწავლებელი წარმართავს იქითკენ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ სარეკლამო ტექსტების მთავარი მიზანი – აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენა. სარეკლამო ტექსტის ამოცანაა, დაარწმუნოს აუდიტორია იმაში, რომ აუცილებელია/კარგია/სასარგებლოა რაიმე კონკრეტული ქმედების განხორციელება. მაგ., მკითხველის / მსმენელის / მაყურებლის დარწმუნება იმაში, რომ იყიდონ კონკრეტული ნივთი, ხმა მისცენ კონკრეტულ კანდიდატს, დაეხმარონ კონკრეტულ ადამიანს და სხვ. რეკლამამ უნდა დაარწმუნოს ადამიანები, რომ თუკი გააკეთებენ იმას, რისკენაც რეკლამა მოგვიწოდებს, მათი ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება, ისინი უფრო ჯანმრთელები (ლამაზები) იქნებიან, მიიღებენ სიამოვნებას, მიაღწევენ წარმატებას და სხვ.

მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას გაამახვილებს აგრეთვე სარეკლამო ტექსტების ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელზე – ლაკონიურობაზე. გრძელ, არასაჭირო დეტალებით გადატვირთულ სარეკლამო ტექსტს ადამიანის გონება ძნელად აღიქვამს. ამგვარად, ასეთი რეკლამა მიზანს ვერ მიაღწევს.

II ეტაპი – მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს დარწმუნების სტრატეგიებზე. დაფაზე გამოსახავს და გააცნობს მათ დარწმუნების სტრატეგიების ამსახველ რიტორიკულ სამკუთხედს⁴.

ამის შემდეგ მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს წინასწარ შერჩეულ მოკლე სარეკლამო ტექსტს – წაიკითხავს მას ხმამაღლა, შემდეგ დაწერს დაფაზე ან დაურიგებს მოსწავლეებს წინასწარ მომზადებულ ბარათებს, რომლებზედაც ეს ტექსტია დაწერილი. სასურველია, შეირჩეს იმგვარი ტექსტი, რომელშიც დარწმუნების სამივე ხერხია (ემოცია, სარწმუნოება, ლოგიკა) გამოყენებული. შესაძლებელია მასწავლებელმა საგანგებოდ შეთხზას მოკლე სარეკლამო ტექსტი სასწავლო მიზნის შესაბამისად (იხ. ქვემოთ ნიმუში).

⁴ რიტორიკულ სამკუთხედთან დაკავშირებით იხ. ზემოთ, მიმართულება: წერა, წერიითი ნამუშევრების ძირითადი სახეობები: არგუმენტირებული ესე, II. დარწმუნების სტრატეგიები.

ნიმუში. სარეკლამო ტექსტი:

„ცნობილი საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანია „ABC“ წარმოგიდგენთ ნამდვილ სიახლეს სტომატოლოგიაში – კბილის პასტას „ალუბლიკოს“!!! „ალუბლიკო“ შექმნილია უნიკალური ტექნოლოგიით – ბუნებრივი პროდუქტის გამოყენებით. ალუბლის ნატურალურ წვენზე დამზადებული კბილის პასტა გაგრძობინებთ ალუბლის – ამ უგემრიელესი ხილის სასიამოვნო არომატსა და გემოს, ხოლო C და A ვიტამინი, რომლებითაც მდიდარია ალუბალი, საიმედოდ დაიცავს თქვენს ღრძილებს სისხლნაკლებობისაგან. გამოიყენეთ „ალუბლიკო“, რათა დატკბეთ ზაფხულის არომატით და გაიღიმოთ მუდამ თამამად.

„ალუბლიკო“ – მოწონებულია საქართველოს სტომატოლოგთა კავშირის მიერ“.

III ეტაპი – შეთავაზებულ სარეკლამო ტექსტს მასწავლებელი მოსწავლეთა თანამონაწილეობით დაამუშავებს დაფაზე „რიტორიკული სამკუთხედის“ გამოყენებით. ამისათვის იგი დაფაზე ჩამოწერს „რიტორიკულ სამკუთხედზე“ წარმოდგენილ სამივე ხერხს, შემდეგ კი თითოეულ მათგანს მიუწერს შესაბამის ადგილებს სანიმუშო ტექსტიდან (ამ სამუშაოს შესასრულებლად მასწავლებელმა შეიძლება დაფასთან მოსწავლეები გამოიყვანოს). საბოლოოდ სანიმუშო სარეკლამო ტექსტი ამგვარ სახეს მიიღებს:

1. ემოცია: გაგრძობინებთ ალუბლის – ამ უგემრიელესი ხილის სასიამოვნო არომატსა და გემოს; დატკბებით ზაფხულის არომატით; გაიღიმებთ ყოველთვის თამამად.

2. სარწმუნოება: (ანარმოებს) ცნობილი საერთაშორისო კომპანია; ნამდვილი სიახლეა; შექმნილია უნიკალური ტექნოლოგიით – ბუნებრივი პროდუქტის გამოყენებით; ალუბლის ნატურალურ წვენზეა დამზადებული; მოწონებულია საქართველოს სტომატოლოგთა კავშირის მიერ.

3. ლოგოკა: მდიდარია C და A ვიტამინებით. ვიტამინები საიმედოდ იცავს ღრძილებს სისხლნაკლებობისაგან.

დაბოლოს, შეჯამების სახით, მასწავლებელი მოსწავლეების თანამონაწილეობით გააანალიზებს, რომ სარეკლამო ტექსტში ამა თუ იმ წინადადების ცალკეული ნაწილები შეიძლება დარწმუნების სხვადასხვა სტრატეგიას შეესაბამებოდეს. მაგ. წინადადება: „ალუბლის ნატურალურ წვენზე დამზადებული კბილის პასტა გაგრძობინებთ ალუბლის – ამ უგემრიელესი ხილის სასიამოვნო არომატსა და გემოს“. პირველი ოთხი სიტყვა „სარწმუნოების“ ჯგუფისაა, ბოლო 6 სიტყვა – „ემოციის“ ჯგუფისა.

სარეკლამო ტექსტზე მუშაობისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ტექსტის სასვენი ნიშნებით გაფორმებაზე. მაგ., ძახილის ნიშანი სანიმუშო სარეკლამო ტექსტის პირველი წინადადების ბოლოს ძლიერი ემოციური მუხტის შესაქმნელადაა გამოყენებული; ტირე მეორე წინადადებაში გამოკვეთს ლოგიკურ კავშირს წინადადების პირველ და მეორე ნაწილებს შორის (ცხადყოფს უნიკალური ტექნოლოგიის არსს, რომელიც ნატურალური პროდუქტის გამოყენებაში მდგომარეობს).

IV ეტაპი – მოსწავლეები რვეულებში გადაინერენ დაფაზე გამოსახულ რიტორიკულ სამკუთხედსა და ჩანაწერებს, აგრეთვე მომზადებულ სარეკლამო ტექსტს.

საშინაო დავალების სახით მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოამზადონ სარეკლამო ტექსტი რიტორიკულ სამკუთხედზე გამოსახული სამი ხერხის გამოყენებით. „სარეკლამო პროდუქცია“ მოსწავლეებმა შეიძლება კლასშივე შეარჩიონ ზეპირი გზით (მასწავლებლის ხელმძღვანელობით). შეიძლება შეირჩეს სამი-ოთხი ან მეტი სახის „პროდუქცია“, რათა მოსწავლეებს მეტი საშუალება ჰქონდეთ ასარჩევად. სარეკლამო ტექსტის მომზადებისას მოსწავლეებმა არ უნდა დაივიწყონ სარეკლამო ტექსტის შემქმნელის/ავტორის (კომპანიის, ორგანიზაციის, მისთ.) მითითებაც. შინ მუშაობის დროს მოსწავლეებს რეკლამის გასაფორმებლად შეუძლიათ გამოიყენონ სურათები, ფოტოები, მოამზადონ ნახატები, დახატონ „სარეკლამო პროდუქციის“ მწარმოებელი კომპანიის ლოგო; შეარჩიონ მუსიკა, რომლის თანხლებითაც წაიკითხავენ ტექსტს და მისთ.

აქტივობის ხანგრძლივობა: 20-25 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ფუნქციური/მიზნობრივი ტექსტის გაანალიზება;
- დარწმუნების სტრატეგიების ამოცნობა;
- დარწმუნების სტრატეგიების გამოყენება;
- ფუნქციური ტექსტის შექმნა მოდელის მიხედვით;
- სათანადო დარგობრივი ლექსიკის გამოყენება;
- ფუნქციური ტექსტის გაფორმება შესაბამისი დიზაინით.

მეთოდური მითითებები:

სარეკლამო ტექსტის შესაქმნელად შესაძლებელია საჭირო გახდეს დარგობრივი ლექსიკის გამოყენება. მაგ., სანიმუშო სარეკლამო ტექსტში გამოყენებულია დარგობრივი ლექსიკა: „ფარმაცევტული“, „სტომატოლოგთა კავშირი“, „A და C ვიტამინები“, „სისხლნაკლებობა“. გაკვეთილზე შერჩეული „სარეკლამო პროდუქციის“ რაობის შესაბამისად, მასწავლებელმა შეიძლება წინასწარ გაამახვილოს მოსწავლეების ყურადღება საშინაო დავალების შესასრულებლად საჭირო დარგობრივ ლექსიკაზე.

კავშირი სხვა საგნებთან: მუსიკა, ხელოვნება (სარეკლამო ტექსტის გაფორმება), მეცნიერება (მეცნიერების ისტორია). ამას გარდა, აქტივობა ავითარებს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს, რომლებიც თანაბრად საჭიროა მეცნიერების ნებისმიერი დარგის შესწავლისას.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 7, 8; ქართ. VII. 11, 12.

აქტივობა № 2. ვნერთ თხრობით ტექსტს⁵

აქტივობის შესახებ: აქტივობა ემსახურება ფუნქციური/მიზნობრივი ტექსტების წერის უნარ-ჩვევების განვითარებას; ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, ინფორმაციის ქრონოლოგიური ნიშნით დახარისხების უნარ-ჩვევების განვითარებას, წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას. აქტივობა განავითარებს სემიოტიკური ნიგნიერების უნარ-ჩვევებს (გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენების გზით). იგი გამიზნულია წერის წინა და წერის შემდგომი ეტაპებისათვის.

აქტივობის მიზნები:

- ფუნქციური ტექსტების წერის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების, ინფორმაციის ქრონოლოგიური ნიშნით დახარისხების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- სემიოტიკური ნიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის მონაწილეობით (I ეტაპი), ინდივიდუალური (II ეტაპი).

რესურსები: წინასწარ შერჩეული თხრობითი ტექსტი, დაფა, ცარცი/მარკერი, სანერი კალამი, რვეული.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს თხრობით ხასიათის ტექსტებზე – ისინი გადმოგვცემს ავტორისათვის მნიშვნელოვან ამბავს, მოვლენას/ფაქტს. მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად ტექსტი უნდა შეიცავდეს დეტალებს, რომლებიც შეესატყვისება 6 კითხვას: ვინ? რა? სად? რატომ? როგორ? როდის? (ვის შეემთხვა/ვინ მონაწილეობდა, რა მოხდა, სად მოხდა, რატომ მოხდა, როგორ მოხდა, როდის მოხდა).

წინასწარ შერჩეული მოკლე თხრობითი ტექსტის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას გაამახვილებს ამ სახის ტექსტების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელზე. ესაა ფაქტების/მოვლენების გადმოცემა დროითი თანამიმდევრობის დაცვით – პირველად მოხსენიებულია ფაქტი/მოვლენა, რომელიც მოხდა თხრობის დასაწყისში, მეორე ადგილზეა მოვლენა/ფაქტი, რომელიც მოჰყვა მას და ა.შ.; შეახსენებს აგრეთვე თხრობითი ტექსტის სამნაწილიან სტრუქტურას (შესავალი, შუა ნაწილი, დასასრული).


ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ თხრობითი ტექსტი „ექსკურსიაზე“ (უახლოეს წარსულში ორგანიზებულ ექსკურსიაზე, რომელიც მოსწავლეებს კარგად ემახსოვრებათ).

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, ერთად გაიხსენონ ექსკურსიის დღე და დაფაზე გამოსახავს დროითი თანამიმდევრობის გრაფიკულ მაორგანიზებელს – ე.წ. „დროის ისარს“. „დროის ისარი“ შეივსება ზეპირი გზით, მთელი კლასის მონაწილეობით (შესავსებად მასწავლებელმა შეიძლება დაფასთან გამოიყვანოს

⁵ დამატებით იხ. ზემოთ, „აბზაცის სახეები: აღწერითი აბზაცი“, აგრეთვე „წერიტი ნამუშევრის ძირითადი სახეები: აღწერითი ესე“.

მოსწავლეები). მუშაობის დროს მასწავლებელი კითხვებს უსვამს მოსწავლეებს, ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გამოსახატავად იყენებს დროის ზმნიზედებს: თავდაპირველად, ჯერ, მერე, ამის შემდეგ, ბოლოს და მისთ. (პირველად რა მოხდა? ამის შემდეგ რა მოხდა? ამ დროს რა მოხდა? და მისთ.)

დროის ისრის პირველი პუნქტზე წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ძირითადი კითხვა (ვინ? რა? სად? რატომ? როგორ?), რომელიც დაკავშირებული იქნება პუნქტთან „შესავალი“.



მუშაობა დეტალებზე. „დროის ისრის“ შევსების შემდეგ მასწავლებელი შეარჩევს ერთ-ერთ პუნქტს, გამოსახულს დროით ისარზე (მაგ., „შეკრება გამგზავრების ადგილზე“) და ჰკითხავს მოსწავლეებს, ხომ არ ახსოვთ, მოხდა თუ არა რაიმე საინტერესო, უჩვეულო/სასაცილო ამ დროს; ან რამ მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება. გამოკითხვა გაგრძელდება მანამდე, სანამდე მოსწავლეები არ გაიხსენებენ ერთ-ორ დეტალს, რომლებსაც მასწავლებელი სანიმუშოდ დაიტანს „დროის ისრის“ შესაბამის პუნქტთან. შემდეგ აუხსნის მოსწავლეებს ამ დეტალების (საინტერესო ფაქტი/ფაქტები, უჩვეულო/სასაცილო შემთხვევა, ძლიერი პირადი შთაბეჭდილება, ემოცია, სხვ.) მნიშვნელობას – მათ გარეშე თხრობა გამოვა მშრალი, უინტერესო, თანაც ყველა მოსწავლის ნაწერი შეიძლება ძალიან დაემსგავსოს ერთმანეთს. მოსწავლეებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ წერიტი ნამუშევრის შედგენისას მათი ამოცანაა, შეიძლებისდაგვარად გაამდიდრონ დროის ისარზე გამოსახული თითოეული პუნქტი ამა თუ იმ სახის შესაბამისი დეტალებით.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ თხრობითი ტექსტი. გააფრთხილებს მათ, რომ წერისას მათ უნდა:

1. სრულად გამოიყენონ „დროის ისარზე“ ასახული ინფორმაცია;
2. დაიცვან დროითი თანამიმდევრობა – გაყვნენ „დროის ისარს“;
3. „დროის ისრის“ პირველი პუნქტის მითითებები (ვინ? რა? სად? რატომ? როგორ?) გამოიყენონ ტექსტის შესავალი ნაწილის დასაწერად (მაგ., „14 ოქტომბერს მთელი ჩვენი კლასი სასკოლო ავტობუსით გაემგზავრა ექსკურსიაზე მცხეთაში. წინ გრძელი გზა გველოდა/გვექონდა, ამიტომ ყველანი დილის 7 საათზე შევიკრიბეთ სკოლის წინ, ჩავსხედით ავტობუსში და გავემართეთ მცხეთისაკენ“).
4. გამოიყენონ დროითი თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები (ჯერ, მერე, სულ ბოლოს, მისთ.);
5. დაამატონ რაც შეიძლება მეტი დეტალი (პირადი შთაბეჭდილება, ემოცია, კონკრეტული ფაქტი, სხვ.) „დროის ისარზე“ გამოსახულ თითოეულ პუნქტს.

ინსტრუქციის მიცემის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ თხრობითი ტექსტი „დროის ისარზე“ ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

სამუშაოს შესრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი შეაფასებს მათ ნამუშევრებს პოზიტიური მხარეების გამოკვეთით; საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს აძლევს დამატებით მითითებებსა და რჩევებს.

დასასრულ, მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, დაწერონ სახლში თხრობითი ხასიათის თხზულება (მაგ., „ერთი უჩვეულო დღე“). შეახსენებს მათ, რომ წერისას დაიცვან დროითი თანამიმდევრობა, გამოიყენონ დეტალები და დროის აღმნიშვნელი ზმნიზედები; სთხოვს მათ, მოამზადონ ტექსტის შესაბამისი „დროის ისარი“.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12-15 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ინფორმაციის დახარისხება ქრონოლოგიური ნიშნით;
- გრაფიკული მათემატიკის გამოყენება;
- თხრობითი ტექსტის ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება;
- თხრობითი ტექსტის შექმნა მოცემული მოდელისა და მითითებების მიხედვით.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 9; ქართ. VII. 13, 14.

აქტივობა № 3. მე და ჩემი თანაავტორი

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამიზნულია წერის ეტაპისათვის. იგი ხელს უწყობს პიროვნული და/ან ლიტერატურული გამოცდილების წერილობით გადმოცემის, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას; სტიმულს აძლევს მოსწავლეთა მხატვრულ წარმოსახვას, მათი თვითგამოხატვის პროცესს. აქტივობის მიმდინარეობისას მოსწავლეები მუშაობენ ერთმანეთთან თანაავტორობით და საერთო ძალისხმევით ქმნიან მხატვრულ ტექსტს.

აქტივობის მიზნები:

- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- მხატვრული წარმოსახვის განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილური/ჯგუფური.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, სანერი ფურცელი, კალამი.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, დაწერონ/შეთხზან მხატვრული ტექსტი იმ დასაწყისის საფუძველზე, რომელსაც იგი დაფაზე დაწერს (ეს

შეიძლება იყოს ერთი ან მეტი წინადადება, ერთი აბზაცი...). შეთავაზებული დასაწყისი შეიძლება შეთხზული იყოს თავად მასწავლებლის მიერ ან ალებული იყოს რომელიმე თხზულებიდან, რომელსაც მოსწავლეები არ იცნობენ.

მოსწავლეებმა უნდა გააგრძელონ ამბის თხრობა წყვილებში (ან ჯგუფებში) მუშაობის გზით. თითოეულ წყვილს მასწავლებელი დაურიგებს თითო-თითო სანერ ფურცელს და გააცნობს მოსწავლეებს სამუშაოს შესრულების წესს; აფრთხილებს მათ, რომ ტექსტზე სამუშაოდ მათ აქვთ 18-20 წუთი.

ტექსტის შექმნაზე მენწყვილები მუშაობენ რიგრიგობით, იყენებენ ერთსა და იმავე ფურცელს – ჯერ ერთი მენწყვილე დაწერს წინადადებას/წინადადებებს ან აბზაცს, გადასცემს ფურცელს თავის მენწყვილს, რომელიც გაეცნობა მეგობრის ნაწერს და გააგრძელებს ამბის თხრობას. შემდეგ ფურცელი ისევ დაუბრუნდება პირველ მენწყვილს, რომელიც გაეცნობა, რა დაწერა მისმა მეგობარმა (მეორე მენწყვილემ), გააგრძელებს მის თხრობას და ა.შ.

მენწყვილებმა უნდა გამოკვეთონ და დაიცვან სიუჟეტური ხაზი, გაგრძელებები არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი – ესაა აუცილებელი მოთხოვნა, რომელსაც მასწავლებელი წერის დაწყებამდე გააცნობს მოსწავლეებს. სასურველია, რომ მენწყვილების მიერ შექმნილ ტექსტში აღრეული არ იყოს ენობრივი, სტილისტური, ჟანრული და ან ფორმობრივი მახასიათებლები.

სამუშაოს დასრულებამდე 5 წუთით ადრე მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ დრო იწურება („გაფრთხილებთ, რომ დაგრჩათ 5 წუთი“) და მოუწოდებს მათ, გამოიყენონ დარჩენილი დრო ტექსტის დასასრულებლად.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა წაიკითხავენ თავიანთ თხზულებებს. წაკითხვის შემდეგ გაიმართება მსჯელობა მოსმენილი თხზულებების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული დასაწყისი რომელიმე თხზულებიდანაა ალებული, მასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ გააცნობს მის შინაარსს (ან დაავალებს აღნიშნული თხზულების წაკითხვას საშინაო დავალების სახით).

აქტივობის ხანგრძლივობა: 18-20 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მხატვრული წარმოსახვის უნარის გამოვლენა წერის დროს;
- სიუჟეტური ხაზის აგება და დაცვა;
- ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამოვლენა;
- ენობრივ-სტილისტური და ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება;
- თანამშრომლობა.

მეთოდური მითითება: აქტივობის ჩატარება შეიძლება აგრეთვე მოსწავლეების მცირე ჯგუფებად დაყოფის გზით.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 3; ქართ. VII. 7, 9; ქართ. VII. 11, 13, 14.

აქტივობა № 4. დავარწმუნოთ პატარები, დავარწმუნოთ დიდები

აქტივობის შესახებ: აქტივობა ემსახურება ფუნქციური/მიზნობრივი ტექსტების წერის უნარ-ჩვევების განვითარებას; ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების, აგრეთვე დარწმუნების სტრატეგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას (სხვადასხვა აუდიტორიისათვის გამიზნული სარეკლამო ტექსტების შექმნის გზით). აქტივობა განვითარებს წიგნიერების, მედიანიგნიერების, სემიოტიკური წიგნიერების უნარ-ჩვევებს; გარკვეულ შემთხვევებში – პლურილინგუური წიგნიერების უნარ-ჩვევებს (დარგობრივი ლექსიკის გამოყენების გზით). აქტივობა გამიზნული წერის წინა და წერის შემდეგომი ეტაპებისათვის.

აქტივობის მიზნები:

- ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- დარწმუნების სტრატეგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- კონკრეტული აუდიტორიის შესაბამისი ფუნქციური/მიზნობრივი ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წიგნიერების, მედიანიგნიერებისა და სემიოტიკური წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის მუშაობა (I ეტაპი); წყვილური (III ეტაპი).

რესურსები: წინასწარ შერჩეული სარეკლამო ტექსტები, საწერი ბარათები, დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალამი, რვეული.

აქტივობის აღწერა:

აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს დარწმუნების სამ სტრატეგიას, სარეკლამო ტექსტის ძირითად მახასიათებლებს და შესთავაზებს მათ, დაწერონ 2 სარეკლამო ტექსტი: 1. რეკლამა, რომელიც ბავშვებისათვის იქნება გამიზნული; 2. რეკლამა, რომელიც უფროსებისათვის იქნება გამიზნული.

I ეტაპი – მასწავლებელი დაფის ზედა ნაწილში გამოსახავს დარწმუნების სამ სტრატეგიას, შემდეგ დაფის თავისუფალ არეს გაყოფს ორ ნაწილად. მარცხენა სვეტში დაწერს: „ბავშვები“, მარჯვენა სვეტში – „უფროსები“. გონებრივი იერიშის გზით, მთელი კლასის თანამონაწილეობით, დაიწყება მუშაობა სვეტების შევსებაზე. მარცხენა სვეტში ჩაინერება, რა არის მნიშვნელოვანი ბავშვებისათვის/რა უყვართ ბავშვებს (მაგ., გართობა, თამაში, არდადეგები, სპორტი, ნაყინი, ტკბილი წვენი, სასუნავი, მისთ.), მარჯვენა სვეტში – რა არის მნიშვნელოვანი უფროსებისათვის /რა უყვართ უფროსებს (ჯანმრთელი კვება, ჯანმრთელობის დაცვა, გემრიელი საკვები, პრესტიჟულობა, გარეგნული სილამაზე, მისთ.).

გონებრივი იერიშის დასრულების შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს შედეგებს. სავარაუდოდ, აღმოჩნდება, რომ სვეტებში არის როგორც საერთო, ისე განსხვავებული სიტყვები (მაგ., ჯანმრთელობის დაცვა, ნატურალური პროდუქტების გამოყენება, ზაფხულის არდადეგები, მისთ.). დარწმუნების სტრა-

ტეგების თვალსაზრისით კი გამოიკვეთება, რომ ბავშვებისათვის წამყვანია ემოციები, უფროსებისათვის კი – სარწმუნოება და ლოგიკა.

მასწავლებელი გააცნობიერებინებს ბავშვებს, რომ სარეკლამო ტექსტის დაწერისას მათ უნდა გაითვალისწინონ მიღებული შედეგები. ბავშვებისათვის გამიზნულ სარეკლამო ტექსტში ყურადღება უნდა მიექცეს ემოციურ მხარეს, უფროსებისათვის გამიზნულ ტექსტში კი – სარწმუნოებასა და ლოგიკას.

II ეტაპი – ამის შემდეგ იწყება მუშაობა სარეკლამო ტექსტის სამუშაო ვარიანტზე. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მოსწავლეებისათვის უკვე ნაცნობი სარეკლამო ტექსტი. იგი ხმამაღლა წაუკითხავს მოსწავლეებს ამ ტექსტს და შესთავაზებს მათ, შეუდარონ მასში ასახული ინფორმაცია სვეტების მონაცემებს.

მუშაობა უნდა დაიწყოს „უფროსების“ სვეტით. ტექსტის და სვეტის მონაცემების ურთიერთშედარების გზით გაირკვევა, რომ აღნიშნული სარეკლამო ტექსტი, ძირითადად, აკმაყოფილებს „უფროსების“ სვეტის მოთხოვნებს (სარწმუნოება, სანდოობა, სოციალური პრესტიჟი, გარეგნული მხარე). ამდენად, მასწავლებელი მოსწავლეების თანამონაწილეობით, დაასკვნის, რომ აღნიშნული სარეკლამო ტექსტი უფროსებზეა გათვლილი.

ამის შემდეგ მუშაობა გაგრძელდება იმ მიზნით, რომ ტექსტი გადააკეთდეს ბავშვებისათვის. ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელს შეუძლია მოდელირების /ხმამაღლა ფიქრის სტრატეგიის გამოყენებით დაფაზე დაწეროს ტექსტი ბავშვებისათვის (ბავშვებისათვის გადააკეთოს სამუშაო ტექსტი) – გააძლიეროს „ემოციის“ მხარე.

ნიმუში. ტექსტი ბავშვებისათვის:

„გიყვარს გართობა? გინდა, რომ კბილების მოსაბეზრებელი გამოხეხვა ნამდვილ თამაშად გადაიქცეს? მაშინ გამოიყენე „ალუბლიკო“ – ახალი კბილის პასტა ბავშვებისათვის. აქაფებული „ალუბლიკოს“ პანანინა ფერად-ფერადი ბუშტები გაგახსენებს მხიარულ გართობას საპნის ბუშტებით, ალუბლის სასიამოვნო გემო კი – შენს საყვარელ ზაფხულის არდადეგებს. კომპანია „ABC“ – გავერთოთ ერთად!“

(გამოყენებულია მარცხენა სვეტის სიტყვები: გართობა, მხიარულება, არდადეგები, გემრიელი საკვები).

მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა გაამახვილოს ყურადღება განსხვავებულ ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე, რომლებიც გამოყენებულია 2 სარეკლამო ტექსტში. პატარების რეკლამა დაწერილია უშუალო სტილით, ენერგიული რიტმით (დილოგური მეტყველება, შეკითხვების დასმა, მხოლოდითი რიცხვის ზმნური ფორმების გამოყენება); უფროსების რეკლამა – საინფორმაციო ტექსტის სტილის დაცვით. ბავშვებისათვის შექმნილ ტექსტში ამოღებულია მთელი რიგი სიტყვები/ფრაზები საწყისი ტექსტიდან. ესენია: ცნობილი საერთაშორისო კომპანია, ვიტამინები, თამამი ღიმილი (ვიზუალური ეფექტი), ჯანმრთელობის დაცვა, რადგან ეს ინფორმაცია ბავშვისათვის ნაკლებად საინტერესოა. აქცენტი გაკეთებულია გართობაზე, მხიარულებაზე,

თვით პროდუქციის მწარმოებელი კომპანია ც კი ტექსტში ჩნდება თანატოლის/მეგობრის სახით, რომელიც ბავშვებს ერთად გართობას სთავაზობს, პასტა კი მონოდებულია, როგორც „კბილის პასტა ბავშვებისათვის“.

III ეტაპი – მოსწავლეები დაიყოფიან წყვილებად. მასწავლებელი დაურიგებს მათ ბარათებს წინასწარ მომზადებული მოკლე სარეკლამო ტექსტით, რომელიც დიდებისთვის ან პატარებისთვისაა გამიზნული. მენწყვილებმა უნდა გადააკეთონ ტექსტი, შესაბამისად, უფროსი ან უმცროსი ასაკის აუდიტორიისათვის. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი მათ შეაფასებს პოზიტიური მხარეების გამოკვეთით. წარადგენას შეიძლება მიეცეს ერთგვარი შეჯიბრის სახეც, რომლის შედეგად გამოვლინდება საუკეთესო ნამუშევარი/ნამუშევრები.

საშინაო დავალების სახით მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, მოამზადონ 2 რეკლამა ერთსა და იმავე პროდუქციაზე/თემაზე: ერთი დიდებისათვის, მეორე პატარებისათვის. სარეკლამო ტექსტის მომზადებისას მოსწავლეებმა არ უნდა დაივიწყონ სარეკლამო ტექსტის შემქმნელის/ავტორის (კომპანიის, ორგანიზაციის, მისთ.) მითითებაც. შინ მუშაობის დროს მოსწავლეებს რეკლამის გასაფორმებლად შეუძლიათ გამოიყენონ სურათები, ფოტოები, მოამზადონ ნახატები, დახატონ „სარეკლამო პროდუქციის“ მწარმოებელი კომპანიის ლოგო; შეარჩიონ მუსიკა, რომლის თანხლებითაც ნაიკითხავენ ტექსტს და მისთ.

აქტივობის ხანგრძლივობა: 20-25 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ფუნქციური ტექსტის გაანალიზება;
- დარწმუნების სტრატეგიების გამოყენება;
- ფუნქციური ტექსტის შექმნა მოდელის მიხედვით;
- ფუნქციური ტექსტის შექმნა სხვადასხვა აუდიტორიისათვის;
- ფუნქციური ტექსტის გაფორმება შესაბამისი დიზაინით.

მეთოდური მითითებები: აქტივობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსწავლეები კარგად გააცნობიერებენ დარწმუნების სტრატეგიებს; ექნებათ გარკვეული გამოცდილება სარეკლამო ტექსტების შეთხზვისა ე.წ. რიტორიკული სამკუთხედის გამოყენებით (იხ. ამასთან დაკავშირებით აქტივობა „ვექმნით რეკლამას“, ქართ. VII, 11, № 1).

კავშირი სხვა საგნებთან: მუსიკა, ხელოვნება (სარეკლამო ტექსტის გაფორმება). ამას გარდა, აქტივობა ავითარებს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს, რომლებიც თანაბრად საჭიროა მეცნიერების ნებისმიერი დარგის შესწავლის დროს.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII, 7, 8; ქართ. VII, 11, 12.

აქტივობა № 5. მოდით, აღწეროთ⁶

აქტივობის შესახებ: აქტივობა კომპლექსური სახისაა და მოიცავს კითხვისა და წერის მიმართულებებს. იგი ემსახურება კითხვისა და ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარებას, ფუნქციური წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას. აქტივობა ხელს უწყობს აგრეთვე კატეგორიზაციისა და სემიოტიკური წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას (ტექსტისა და გრაფიკული მაორგანიზებლის მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირების გზით).

აქტივობა ტარდება 2 ეტაპად: მისი ორგანიზება შეიძლება ორ სხვადასხვა გაკვეთილზე (პირველი ეტაპი – ერთი გაკვეთილის ნაწილი, მეორე ეტაპი – მეორე დღის გაკვეთილის ნაწილი) ან ერთ გაკვეთილზე (ამ შემთხვევაში აქტივობის ჩატარებას დასჭირდება ერთი სრული გაკვეთილი).

აქტივობის მიზნები:

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის დახარისხების, კატეგორიზაციის უნარ-ჩვევების განვითარება;
- სემიოტიკური წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ფუნქციური წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილური.

რესურსები: დაფა ან დიდი ფორმატის ქაღალდი, ცარცი/მარკერი, ფურცლები სამუშაო ტექსტითა და სქემით (წინასწარ გათვლილი რაოდენობით), სანერი კალმები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი გაესაუბრება ბავშვებს აღწერიტი ტიპის ტექსტებზე, რომლებსაც სხვაგვარად „სიტყვიერ სურათებსაც“ უწოდებენ და საგანგებოდ გაამახვილებს ყურადღებას: ა) აღწერიტი ტექსტების მიზანზე – რაც შეიძლება უფრო ნათლად და ცოცხლად წარმოუდგინოს მკითხველს აღსაწერი ობიექტი ცალკეული დეტალების ჩვენების მეშვეობით. დეტალები მიემართება ადამიანის ხუთ სენსორულ ორგანოს და ასახავს, როგორია აღსაწერი ობიექტის გარეგნული იერსახე, სურნელი, ხმიანობა, ფაქტურა (მაგარი, რბილი) და გემო; ბ) აღწერიტი ტექსტების სივრცულ ორგანიზაციულ ყალიბზე, რომლის გამოყენების დროს აღსაწერი ობიექტი/ობიექტები წარმოდგენილია სივრცეში მისი/მათი მდებარეობისა თუ განლაგების მიხედვით. მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ავტორის გადასაწყვეტია, კონკრეტულად, რა მიმდევრობით/მიმართულებით უნდა წარიმართოს აღწერა: ავტორის ხედვის კუთხიდან მარცხნიდან მარჯვნივ თუ პირიქით; ქვემოდან ზემოთ თუ პირიქით, გარედან შიგნით თუ პირიქით, ახლოდან შორს თუ პირიქით, სხვ.

1 ეტაპი – მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, წაიკითხონ შერჩეული აღწერიტი ტექსტი და გააანალიზონ იგი მოცემული სქემის მიხედვით; შემდეგ

⁶ დამატებით იხ. ზემოთ, „აზვაციის სახეები: აღწერიტი აზვაცია“, აგრეთვე „წერიტი ნამუშევრის ძირითადი სახეები: აღწერიტი ესე“.

დაყოფს კლასს წყვილებად და დაურიგებს მათ აღწერითი ტიპის ტექსტსა და სქემას (იხ. ქვემოთ).

იგივე სქემა უნდა იყოს გამოსახული დაფაზე ან დიდი ფორმატის ქაღალდზე, რომელსაც მასწავლებელი დაფაზე გააკრავს.

სქემა.

ადამიანის ხუთი გრძნობის ორგანო	წინადადებები, ფრაზები, სიტყვები
მხედველობა	<ul style="list-style-type: none"> • ზომა, მოცულობა: • ფერი: • სიგრძე, სიგანე:
სმენა	
შეხება	
ყნოსვა	
გემო	
აღწერის მიმართულება	<p>წინადადებები, ფრაზები, სიტყვები</p> <p>(მიმდევრობის დაცვით)</p>
მარჯვნიდან მარცხნივ ⁷	

მასწავლებელი ხმამაღლა წაუკითხავს მოსწავლეებს წინასწარ შერჩეულ ტექსტს და განუმარტავს მოსწავლეებს, როგორ უნდა შეავსონ სქემა. ნიმუშის საჩვენებლად თავად შეავსებს სქემას ერთი-ორი მონაცემით. ამის შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეებს, გააგრძელონ სქემის შევსება წყვილებში მუშაობის გზით.

ნიმუში. აღწერითი ტექსტი

ჩემი საყვარელი ნივთი

ჩემი წიგნების თაროზე დგას პატარა მხიარული კლოუნი – ჩემი ბავშვობის საყვარელი სათამაშო, რომელიც ბიძაჩემმა მაჩუქა ერთ ახალ წელს. სათამაშოს თავზე ახურავს წითელი და ყვითელი რბილი ნაჭრებისგან შეკერილი პატარა ქუდი. კლოუნის ფუმფულა თმები ყვითელი ფერის ძაფითაა მოქსოვილი და მთლიანად ფარავს შუბლს. შუბლის ქვემოთ გრძელი შავი წარბებია, წარბების ქვემოთ – დიდი მწვანე თვალები. ლოყები, ცხვირი და ტუჩები კლოუნს წითლად აქვს შეღებილი. იგი მხიარულად იღიმება და თეთრი კბილები მოუჩანს.

⁷ აქ ეს მიმართულება ჩანერილია ნიმუშის საჩვენებლად. ამ ადგილზე უნდა ჩაინეროს ის მიმართულება, რომელიც შეესატყვისება შერჩეული აღწერითი ტექსტის მონაცემებს.

ტანზე კლოუნს აცვია მუქი მწვანე კომბინეზონი განიერი ჯიბეებითა და ყვითელი ქამრით. მას მარცხენა ხელში უჭირავს ფორთოხლისფერი ბურთი, რომელსაც ნამდვილი ფორთოხლის სუნი ასდის, მარჯვენა ხელში – ოთხკუთხა ნითელი კოლოფი. ახლა ეს კოლოფი ცარიელია, მაგრამ როდესაც მაჩუქეს, სავსე იყო შოკოლადის მრგვალი, უგემრიელესი კანფეტებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, მაშინვე შევჭამე. მარჯვენა ფეხის მუხლზე კლოუნს მრგვალი ლილაკი აქვს დაკერებული. თუკი ამ ლილას ხელს დააჭერ, მხიარული სიცილის ხმას გაიგონებ. ფეხებზე კლოუნს აცვია დიდი შავი ფეხსაცმელები, რომლებზეც ნითელი ფერის ბაფთებია დამაგრებული.

ყოველთვის, როდესაც ჩემს ოთახში შევდივარ და ვხედავ მხიარული კლოუნის პატარა ფიგურას, კარგ ხასიათზე ვდგები. მახსენდება ახალი წელი, ბავშვობა და ბიძაჩემი, რომელიც ახლა სხვა ქვეყანაში ცხოვრობს და დიდი ხანია, არ მინახავს.

საბოლოოდ, შევსებული სქემა ამგვარ სახე მიიღებს:

თემა: ჩემი საყვარელი ნივთი	
ადამიანის ხუთი გრძნობის ორგანო	წინადადებები, ფრაზები, სიტყვები
მხედველობა	<ul style="list-style-type: none"> • ზომა, მოცულობა: პატარა კლოუნი, პატარა ქუდი, დიდი თვალები, დიდი ლილაკი, დიდი ფეხსაცმელები, პატარა ფიგურა • ფერი: ნითელი და ყვითელი ნაჭრები, ყვითელი ფერის ძაფი, მუქი მწვანე კომბინეზონი, მწვანე თვალები, შავი ფეხსაცმელები, ნითლად შეღებილი ლოყები, ცხვირი და ტუჩები, თეთრი კბილები, მწვანე კომბინეზონი, ყვითელი ქამარი, ფორთოხლისფერი ბურთი, შავი ფეხსაცმელები, ნითელი კოლოფი, ნითელი ფერის ბაფთები • სიგრძე, სიგანე: გრძელი ნარბები, განიერი ჯიბეები • ფორმა: მრგვალი ლილაკი, მრგვალი კანფეტები, ოთხკუთხა კოლოფი
სმენა	მხიარული სიცილის ხმა
კანი / შეხება	რბილი ნაჭრები, ფუმფულა თმები
ყნოსვა	ფორთოხლის სუნი
გემო	ტკბილი, უგემრიელესი კანფეტები
აღწერის მიმართულება	<p>წინადადებები, ფრაზები, სიტყვები</p> <p>(მიმდევრობის დაცვით)</p>
ზემოდან ქვემოთ	თავი, თმა, შუბლი, ნარბები, თვალები, ლოყები, ცხვირი, ტუჩები, ტანი, მარცხენა ხელი, მარჯვენა ხელი, მარჯვენა ფეხის მუხლი, ფეხების ტერფები

მოსწავლეები შეუდგებიან მუშაობას წყვილებში. მასწავლებელი წინასწარ გააფრთხილებს მათ, რამდენი დრო ეძლევათ სამუშაოს შესასრულებლად (სამუშაო დრო განისაზღვრება კლასის დონის მიხედვით). ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელს შეუძლია თავად შეავსოს დაფაზე გამოსახული ცხრილი ერთი-ორი მონაცემით, რის შემდეგაც მოსწავლეები დამოუკიდებლად გააგრძელებენ მუშაობას.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი ზეპირად გამოიკითხავს შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში დამატებით განუმარტავს მოსწავლეებს ცალკეულ საკითხებს, გააკეთებს კომენტარებს და მისთ.

II ეტაპი – ამ ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ აღწერითი ტექსტი „იდეალური საკლასო ოთახი“, რომელიც შედგენილი იქნება ადამიანის 5 გრძნობის ორგანოს ფუნქციების გათვალისწინებით, ერთი რომელიმე სივრცული ორგანიზაციული ყალიბის დაცვით (ქვემოდან ზემოთ ან პირიქით, მარცხნიდან მარჯვნივ ან პირიქით, სხვ.). ნამუშევრის შექმნისას მოსწავლეებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ სქემით, რომელსაც ისინი აქტივობის პირველ ეტაპზე გაეცნენ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი შეაფასებს მათ ზეპირი შენიშვნებისა და კომენტარების გზით. საუკეთესო ნამუშევრის გამოსავლენად შეიძლება მოენწყოს ერთგვარი კონკურსიც მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით.

აქტივობის ხანგრძლივობა: 40 წუთი (ორივე ეტაპისათვის).

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტის გაანალიზება (ძიებითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით);
- ინფორმაციის დახარისხება და კატეგორიზაცია;
- გრაფიკული მათემატიკის გამოყენება ტექსტის გასაანალიზებლად;
- ფუნქციური წერითი მეტყველება მოდელის მიხედვით;
- თანამშრომლობა;
- შემოქმედებითი უნარების გამოყენება.

მეთოდური მითითებები:

- მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება სთხოვოს აღწერითი სახის ტექსტის შედგენა ამავე თემაზე („ჩემი საყვარელი ნივთი“), განხილული მოდელის მიხედვით.
- საშინაო დავალებაში („იდეალური საკლასო ოთახი“) შეხებასთან, გემოსა და ყნოსვასთან დაკავშირებული სენსორიკის ასახვა შეიძლება შემდეგი გზით: კლასში არის ამა თუ იმ არომატის მქონე ყვავილები, კლასის ჰაერი არომატიზებულია ამა თუ იმ სურნელით, მერხებზე აწყვია გემრიელი შოკოლადები, სურნელოვანი ციტრუსი, ტკბილი ნვენები; მერხების ნაცვლად ფუმფულა, რბილი სავარძლებია და სხვ.
- მასწავლებელს საშინაო დავალებად შეუძლია მოსწავლეებს დაავალოს ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის ილია ჭავჭავაძისეული აღწერის გაანალიზება მოცემული სქემის მიხედვით.

კავშირი სხვა საგნებთან: აქტივობა ავითარებს ინფორმაციის დახარისხება-კატეგორიზაციისა და ფუნქციური ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევებს, რომლებიც გამოსადეგია მეცნიერების ნებისმიერი დარგის შესწავლის დროს. აქტივობა მჭიდრო კავშირშია ბუნებისმეტყველებასთან (5 გრძნობის ორგანო და მათი ფუნქციები).

ვარიანტი (ბ)

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს სამუშაოდ შესთავაზოს ცხრილი, რომელსაც დამატებული აქვს „მოგონებების“ კომპონენტი (აღნიშნული ცხრილის ნიმუში იხ. ქვემოთ). ამ შემთხვევაში საშინაო დავალებაც, შესაბამისად, უნდა მომზადდეს ბ ვარიანტის ცხრილზე დაყრდნობით. აღნიშნული ცხრილის გამოყენებისას მუშაობა დამატებით მიმდინარეობს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ პირადი გამოცდილების, პერსონალური დამოკიდებულების/მიმართებების, მისთ. წერილობით გამოხატვის უნარ-ჩვევები.

ცხრილი. ვარიანტი (ბ)

თემა: ჩემი საყვარელი ნივთი	
ადამიანის ხუთი გრძნობის ორგანო	წინადადებები, ფრაზები, სიტყვები
მხედველობა	<ul style="list-style-type: none"> ○ ზომა, მოცულობა: პატარა კლოუნი, პატარა ქუდი, დიდი თვალები, დიდი ღილაკი, დიდი ფეხსაცმელები, პატარა ფიგურა ○ ფერი: წითელი და ყვითელი ნაჭრები, ყვითელი ფერის ძაფი, მუქი მწვანე კომბინეზონი, მწვანე თვალები, შავი ფეხსაცმელები, წითლად შეღებილი ლოყები, ცხვირი და ტუჩები, თეთრი კბილები, მწვანე კომბინეზონი, ყვითელი ქამარი, ფორთოხლის-ფერი ბურთი, შავი ფეხსაცმელები, წითელი კოლოფი, წითელი ფერის ბაფთები ○ სიგრძე, სიგანე: გრძელი წარბები, განიერი ჯიბეები ○ ფორმა: მრგვალი ღილაკი, მრგვალი კანფეტები, ოთხკუთხა კოლოფი
სმენა	მხიარული სიცილის ხმა
კანი / შეხება	რბილი ნაჭრები, ფუმფულა თმები
ყნოსვა	ფორთოხლის სუნი
გემო	ტკბილი, უგემრიელესი კანფეტები
აღწერის მიმართულება	წინადადებები, ფრაზები, სიტყვები (მიმდევრობის დაცვით)
ზემოდან ქვემოთ	თავი, თმა, შუბლი, წარბები, თვალები, ლოყები, ცხვირი, ტუჩები, ტანი, მარცხენა ხელი, მარჯვენა ხელი, მარჯვენა ფეხის მუხლი, ფეხების ტერფები
ტექსტთან ან მის ნაწილთან დაკავშირებული მოგონება/გახსენება	წინადადებები, ფრაზები, სიტყვები (მიმდევრობის დაცვით)
ცარიელი კოლოფი	შოკოლადის კანფეტები
პატარა კლოუნი	ახალი წელი, ბავშვობა, ბიძა

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 7, 9, 10; ქართ. VII. 11, 13, 14.

აქტივობა № 6. მოვემზადოთ წერისათვის: ვადგენთ გეგმას

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამიზნულია წერის წინა ეტაპისათვის. იგი ხელს უწყობს წერითი მეტყველების განვითარებას, ინფორმაციის დახარისხებისა და კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევებს. იგი ააქტიურებს იდეების გენერირების პროცესს, ხელს უწყობს წერის პროცესის ეტაპებისა და წერის სტრატეგიების გაცნობიერებას, დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს კითხვისა და წერის მიმართულებებს. იგი ტარდება 2 ეტაპად.

აქტივობის მიზნები:

- წერის პროცესის ეტაპების გააზრება;
- წერის სტრატეგიების გაცნობიერება;
- წერითი მეტყველების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის მონაწილეობით (პირველი ეტაპი), ინდივიდუალური (მეორე ეტაპი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალამი, რვეული.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს წერითი ნამუშევრის შესაქმნელად საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებზე; აუხსნის, რამდენად მნიშვნელოვანია ნამუშევრის შედგენის წინ გეგმის/ჩამონათვლის შედგენა – იგი ეხმარება ავტორს, უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი/დეტალი, სხვ.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ თხზულება „იაკობ გოგებაშვილი“ (მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ფაქტებს მოსწავლეები წინასწარ უნდა გაეცნონ მასწავლებლის დავალებით); შესთავაზებს მათ, ერთობლივად შეადგინონ გეგმა/ჩამონათვალი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ფაქტების მითითებით.

გონებრივი იერიშის გზით მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეთა შეთავაზებულ ვარიანტებს (ან დაფასთან იძახებს მოსწავლეებს ცალკეული პუნქტების დასაწერად). მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთა თანამონაწილეობით შეაჯერებს მიღებულ შედეგებს და დაფაზე დაწერს საბოლოო ვერსიას.

მოსწავლეები რვეულებში გადაინერენ ჩამონათვლის საბოლოო ვერსიას.

საშინაო დავალებად მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დაწერონ თხზულება შემუშავებული გეგმის მიხედვით.

აქტივობის ხანგრძლივობა: 13-15 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- იდეების გენერირება წერითი ნამუშევრის შესაქმნელად;
- წერის სტრატეგიების ეფექტური გამოყენება;
- წერითი ნამუშევრის შექმნა მოდელის მიხედვით.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 7, 9, 10; ქართ. VII. 11, 14.

აქტივობა № 7. ვმუშაობთ აბზაცზე: ვადგენთ დამხმარე წინადადებებს⁸

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. აქტივობა ტარდება სამ ეტაპად. იგი კომპლექსური სახისაა და ფარავს კითხვისა (I ეტაპი) და წერის (II-III ეტაპები) მიმართულებებს.

აქტივობის მიზნები:

- მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოსწავლეთა კითხვისა და წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის მონაწილეობით (I-II ეტაპები), წყვილური (III ეტაპი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეულები, კალმები, წინასწარ მომზადებული ცხრილები წყვილებში სამუშაოდ.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს კარგად სტრუქტურირებული აბზაცის წინასწარ შერჩეულ ნიმუშს. შემდეგ, აღნიშნულ ტექსტზე დაკვირვების გზით, შეახსენებს მოსწავლეებს აბზაცის სამნაწილიან სტრუქტურას (1. თემატური წინადადება, 2. დამხმარე წინადადებები, 3. დასკვნითი წინადადება) და გაამახვილებს მათ ყურადღებას აბზაცის შუა ნაწილზე – დამხმარე წინადადებებზე; შეახსენებს მოსწავლეებს, რომ დამხმარე წინადადებებში მოყვანილია დამატებითი ინფორმაცია თემატურ წინადადებაში ასახული მთავარი იდეის შესახებ: კონკრეტული მაგალითები, დეტალები, დამაზუსტებელი მონაცემები, მისთ.

1 ეტაპი: მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს აქტივობის მიზანს – ესაა ადეკვატური დამხმარე წინადადებების დაწერის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი ხერხის ათვისება. იგი, კერძოდ, გულისხმობს დამხმარე წინადადებების დაწერას კონკრეტული თემატური წინადადებისათვის შეკითხვების დასმის გზით. ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი დაფაზე დაწერს წინასწარ შერჩეულ თემატურ წინადადებას/წინადადებებს და ზეპირი გზით, მოსწავლეთა აქტიური თანამონაწილეობით, დაუსვამს შეკითხვებს თემატურ წინადადებას/წინადადებებს. (შესაძლო შეკითხვები: რატომ? რის საფუძველზე ვამბობ ამას? რა მონაცემებს ვეყრდნობი? რა მაგალითები მაქვს ამისათვის? კონკრეტულად რას ვგულისხმობ?)

ნიმუში.

ა) თემატური წინადადება: „საქართველოში ბოლო ათი წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა შობადობის მაჩვენებელი“.

შეკითხვები: რის საფუძველზე ვასკვნით ამას/რა მონაცემებს ვეყრდნობით? როგორია შობადობის მაჩვენებელი ამჟამად? როგორი იყო ათი წლის წინათ?...

⁸ დამატებით იხ. ზემოთ, „აბზაცის სტრუქტურა“.

მოფიქრებულ შეკითხვებს მასწავლებელი ჩამოწერს დაფის მარცხენა ნახევარში (შეკითხვები შეიძლება დაფასთან რიგრიგობით გადახებულმა მოსწავლეებმაც ჩამოწერონ).

II ეტაპი: მოფიქრებულ შეკითხვებზე მასწავლებელი, მოსწავლეთა აქტიური თანამონაწილეობით, პასუხს გასცემს ჯერ ზეპირად, შემდეგ წერილობით – დაფის მარჯვენა ნახევარზე (პასუხები დაფაზე შეიძლება რიგრიგობით გადახებულმა მოსწავლეებმაც დაწერონ). ამისათვის მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეები უნდა დააფიქროს იმაზე, თუ რა ტიპის მონაცემები შეიძლება გამოდგეს თემატურ წინადადებაში გამოთქმული აზრის მხარდასაჭერად; საბოლოოდ, უნდა მივიდნენ ერთობლივ დასკვნამდე, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე შესაფერისია სტატისტიკური მონაცემები.

ნიმუში. პასუხები:

სტატისტიკური მონაცემებით / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2012 წელს საქართველოში დაიბადა 100. 000 ბავშვი. ეს მაჩვენებელი 35. 000-ით აღემატება ათი წლის წინანდელ მონაცემს – ამავე სააგენტოს ინფორმაციით, 2002 წელს საქართველოში დაბადებული ბავშვების რიცხვი 65. 000-ს არ აღემატებოდა.

პასუხების დაწერის შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს შესრულებულ სამუშაოს: კერძოდ, გაამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას იმაზე, რომ აბზაცის შუა ნაწილი, ფაქტობრივად, უკვე დაინერა მას მერე, რაც მოსწავლეებმა უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. თვალსაჩინოებისათვის მასწავლებელი დაფის მარჯვენა ნახევარში დაწერილ პასუხებს წინ ნაუძღვარებს თემატურ წინადადებას – ამ გზით მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ აბზაცის შუა ნაწილზე (დამხმარე წინადადებები) მუშაობა უკვე დასრულებულია.

III ეტაპი: აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს წყვილებად, დაურიგებს მათ წინასწარ მომზადებულ ცხრლებს და მენყვილებს სთხოვს შეესებას (დაახლ. 7-8 წუთში).

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი შეაფასებს მათ პოზიტიური მხარეების გამოკვეთით, საჭიროების შემთხვევაში მისცემს მოსწავლეებს სათანადო შენიშვნებსა და რჩევებს.

ნიმუში. ცხრილი:

თემატური წინადადება:	შეკითხვა:	დამხმარე წინადადებები
1. ჩვენი სკოლის ბუფეტი შესვენებაზე ფუტკრების სკას ჰგავს.	რატომ? რის საფუძველზე ვამბობ ამას?	ეს ადგილი, სადაც გაკვეთილების დროს საოცარი სიმშვიდეა, ზარის დარეკვისთანავე გადაიქცევა ძალზე ხმაურიან ადგილად, რომელიც სავსეა შესვენებაზე გამოსული მოსწავლეებით. აქ ყველა ერთდროულად ლაპარაკობს, მოძრაობს, იცინის, ხმაურით ირჩევს საჭმელს...
2. ნამდვილ მასწავლებელს სამი თვისება გამოარჩევს.	კონკრეტულად რომელ თვისებებს ვგულისხმობ?	ეს თვისებებია/ესენია: 1. ..., 2. ..., 3. ...

საშინაო დავალების სახით მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს, ამ-
ავე გზით მოიფიქრონ და შეადგინონ დამხმარე წინადადებები თემატურ წინა-
დადებებზე, რომლებსაც მოსწავლეები რვეულებში ჩაინერენ მასწავლებლის
კარნახით (ეს წინადადებები მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეარჩიოს).

აქტივობის ხანგრძლივობა: 17-18 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კრიტიკული აზროვნება;
- ტექსტის შედგენა შეთავაზებული ნიმუშის მიხედვით;
- თანამშრომლობა.

მეთოდური მითითებები:

- შობადობასთან დაკავშირებული ციფრები არ შეესატყვისება რეალურ სტატისტიკურ მონაცემებს (აქ ისინი მოყვანილია მხოლოდ ნიმუშის/ მოდელის საჩვენებლად).
- აქტივობის დროს გამოიყენება დარგობრივი ლექსიკის ერთეულები (სტატისტიკა, სტატისტიკური მონაცემები, შობადობა, სტატისტიკოსი). მასწავლებელმა შეიძლება მათზე წინასწარ გაამახვილოს მოსწავლეების ყურადღება ან განუმარტოს მოსწავლეებს მათი მნიშვნელობა აქტივობის მსვლელობის დროს.

კავშირი სხვა საგნებთან: აქტივობა ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-
ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერი სხვა საგნის შესასწავლად.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 9, 10; ქართ. VII. 11, 13.

აქტივობა № 8. ფაქტები და მოსაზრებები

აქტივობის შესახებ: აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა კრიტიკული აზ-
როვნებისა და სემიოტიკური წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას. იგი
ხელს შეუწყობს აგრეთვე არგუმენტირების, საკუთარი მოსაზრების დასა-
ბუთების უნარის განვითარებას

მნიშვნელოვანია, რომ აქტივობა სასწავლო მასალად იყენებს ვიზუალურ
მასალას (ფოტოებს, სურათებს, პოსტერებს, სხვ.) და არა ტრადიციული სახის
წერილობით ტექსტს. ამგვარად, მოსწავლეებს ფაქტი წარმოუდგებათ კონ-
კრეტული მტკიცებულების – კონკრეტული ვიზუალური სურათ-ხატის სახით,
რაც ეფექტური იქნება იმის გათვალისწინებით, რომ ამ ასაკის მოსწავლეები-
სათვის უმეტესწილად კონკრეტული აზროვნებაა დამახასიათებელი.

აქტივობის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ: 1. ფაქტია ის,
რასაც გააჩნია კონკრეტული მტკიცებულება – ვიზუალური სურათ-ხატი/რა-
საც ვხედავთ, რაც თვალისთვის ხილულია (მოძრაობა, ფესტი, სახის გამო-
მეტყველება, დრო, ადგილმდებარეობა, ჩაცმულობა, ანტურაჟი, სხვ.); 2. მო-
საზრებაა ის, რასაც არ გააჩნია ამგვარი კონკრეტული ვიზუალური სურათ-
ხატი (თუმცა იგი უნდა ეფუძნებოდეს ფაქტს).

აქტივობის მიზნები:

- არავერბალური საშუალებით (ვიზუალური მასალით) გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების უნარის განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- არგუმენტირების უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: ვიზუალური მასალა (ფოტო/სურათი/რეპროდუქცია), დაფა/დიდი ფორმატის ქაღალდი, ცარცი/მარკერი, ცხრილის ნიმუშები ჯგუფური/წყვილური მუშაობისათვის (სათანადო რაოდენობით).

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური (ან წყვილური).

აქტივობის აღწერა: აქტივობა ორ ძირითად ეტაპად იყოფა. პირველი მათგანი აქტივობის მოსამზადებელი ეტაპია, მეორე კი – აქტივობის ჩატარების ეტაპი.

I ეტაპი – მომზადება აქტივობის ჩასატარებლად: ვიზუალური მასალის შერჩევა.

მასწავლებელი შეარჩევს სათანადო ფოტოებს/სურათებს/ რეპროდუქციებს/პოსტერებს, სხვ.; მოამზადებს ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის ნიმუშებს ყველა ჯგუფისათვის/წყვილისათვის (მათი რაოდენობა მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს).

შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვოს, შინიდან მოიტანონ ფოტოები, სურათები და სხვა ვიზუალური მასალა, რომლებსაც აქტივობის დროს გამოიყენებენ მათი თანაკლასელები. აუცილებელია, შერჩეული ვიზუალური მასალა გადანაწილდეს იმგვარად, რომ ყველა ჯგუფს/წყვილს გასაანალიზებლად შეხვდეს მისთვის უცნობი მასალა.

II ეტაპი – აქტივობის მიმდინარეობა:

1. ნიმუშის ჩვენება – მასწავლებელი გააკრავს ერთ რომელიმე სურათს/ფოტოს გასაანალიზებლად და დაფაზე გადახაზავს ცხრილს (ან გააკრავს დიდ ფორმატზე დახაზულ ცხრილს გასაანალიზებელი ფოტოს/სურათის გვერდით); შემდეგ მოსწავლეთა ყურადღებას გაამახვილებს ცხრილის მარცხენა სვეტში ჩანერილ მახასიათებლებზე (ადგილი, დრო, გარეგნული მხარე, ემოცია/განწყობა). ამის შემდეგ მოსწავლეთა თანამონაწილეობით შეავსებს ცხრილს; დასასრულ, ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობითა და მოსწავლეთა აზრის გათვალისწინებით, დაასათაურებს ვიზუალურ მასალას.

ნიმუში. ცხრილი.

ფოტო	ფაქტი	მოსაზრება
ადგილი		
დრო		
გამოსახული პირები		
ემოცია/განწყობა		
ფოტოს სათაური:		

დავუშვათ, დასამუშავებლად შეირჩა სურათი, რომელიც მოცემული 4 პარამეტრის მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება აღინეროს:

1. ადგილი: ზღვის სანაპირო.

ფოტოზე მოჩანს პალმის ხეები, შორს – ზღვა.

2. დრო: ზაფხული.

ცხელა – მზე ანათებს და ყველას საზაფხულო ტანსაცმელი აცვია.

3. გარეგნული მხარე, ანტურაჟი:

სურათზე ხუთი ადამიანია. ცენტრში, ერთმანეთის გვერდით, დგანან ახალგაზრდა ქალი და კაცი. ქალს ხელში ჩვილი ბავშვი უჭირავს. ქალის და კაცის წინ დგანან ბიჭი და გოგო (10-12 წლის). სამივე ბავშვი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეს ერთი ოჯახი უნდა იყოს.

4. ემოცია/განწყობა:

ეს ბედნიერი ოჯახია: ჩანს, რომ ოჯახის წევრებს ერთმანეთი ძალიან უყვართ – ხელში აყვანილი ბავშვი დედას ეხუტება; გოგო და ბიჭი ხელი-ხელჩაკიდებულნი დგანან; კაცს ერთი ხელი ქალის მხარზე უდევს, მეორე ხელით კი წინ მდგარი ბიჭის მხარზე; ხელში აყვანილი ბავშვი ილიმება, დანარჩენები მხიარულად იცინიან.

ცხრილის შევსების დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოსწავლეებმა კარგად გააცნობიერონ განსხვავება ფაქტსა და მოსაზრებას შორის და შეძლონ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მუშაობის შედეგად ცხრილი ამგვარ სახეს მიიღებს.

ნიმუში. შევსებული ცხრილი

ფოტო	ფაქტი	მოსაზრება
ადგილი	ფოტოზე ჩანს სუბტროპიკული მცენარეები: პალმის ხეები, და სხვ.	ზღვის სანაპიროა.
დრო	მზე ანათებს, ხალხს აცვია საზაფხულო ტანსაცმელი: მოკლე შარვლები, სანდლები, მოკლესახელოებიანი ქრელი მაისურები.	ზაფხულის ცხელი დღეა.
გამოსახული პირები	<ul style="list-style-type: none"> ○ სურათის ცენტრში ერთმანეთის გვერდით დგანან ახალგაზრდა ქალი და კაცი. მათთან სამი ბავშვია: ჩვილი ბავშვი და მასზე უფროსი გოგო და ბიჭი. სამივე ბავშვი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ○ კაცს ერთი ხელი ქალის მხარზე უდევს, მეორე ხელი კი – მის წინ მდგარი ბიჭის მხარზე. ○ უფროსი გოგო და ბიჭი ხელიხელჩაკიდებულები დგანან 	<ul style="list-style-type: none"> ○ ეს ერთი ოჯახი უნდა იყოს (ბავშვების მსგავსება). ○ უფროსი გოგო და ბიჭი 10-12 წლისანი იქნებიან; ალბათ, სკოლის მოსწავლეები არიან (შეიძლება, ზაფხულის არდადეგები აქვთ?). ○ შეიძლება ეს ოჯახი ზღვაზე დასასვენებლად არის წასული. ○ სხვ.
ემოცია/განწყობა	<ul style="list-style-type: none"> ○ ხელში აყვანილი პატარა ბავშვი დედას ეხუტება. ○ პატარა ბავშვი იღიმება, დანარჩენები მსიარულად იციინიან. 	<ul style="list-style-type: none"> ○ უყვართ ერთმანეთი ○ ბედნიერები არიან ○ უხარიათ ერთად ყოფნა (შეიძლება ხშირად არ არიან ერთად?) ○ სხვ.
ფოტოს სახელწოდება: ბედნიერი ოჯახის ზაფხული ზღვის სანაპიროზე.		

2. მუშაობა ნიმუშის მიხედვით

მასწავლებელი დაურიგებს ჯგუფებს/წყვილებს წინასწარ შერჩეულ ვიზუალურ მასალას, აგრეთვე ზემოთ მოცემული ცხრილის ნიმუშებს და სთხოვს მოსწავლეებს, მცირე ხნით ჩუმად დააკვირდნენ სურათებს. შემდეგ ჯგუფის/წყვილის წევრები ჩამოწერენ ნებისმიერ აზრს, მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რა ხდება სურათზე/ფოტოზე. რა არის ასახული ვიზუალურ მასალაზე. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასაბუთონ წამოყენებული მოსაზრება სურათზე ასახული ფაქტებით (რაც შეიძლება მეტი ოდენობის ფაქტებით) და ჩამოწერონ ისინი ფურცლებზე. დასასრულ, მოსწავლეებმა უნდა დაასათაურონ ფოტო ფაქტებზე დაყრდნობით.

III ეტაპი – სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ჯგუფების/წყვილების წარმომადგენლებს, წარმოადგინონ ვიზუალური მასალა, შევსებული ცხრილი და ზეპირი გზით გააცნონ თანაკლასელებს ჩატარებული

ანალიზის შედეგები. მოსწავლეთა თანამონაწილეობით, მასწავლებელი დაასახელებს საუკეთესო ნამუშევრებს.

აქტივობის ხანგრძლივობა: 20-22 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- არავერბალური საშუალებით (ვიზუალური მასალით) გადმოცემული ინფორმაციის გააზრება და ინტერპრეტირება;
- ფაქტებისა და მოსაზრების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ვიზუალური მასალის საფუძველზე;
- ვიზუალურ მასალაზე გადმოცემული ინფორმაციის დახარისხება და წარმოდგენა ცხრილის სახით.

მეთოდური რეკომენდაცია:

ზოგ შემთხვევაში გარეგნული მხარე (ტანსაცმელი, ადამიანთა გარეგნული იერსახე, სხვ.) შეიძლება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდეს დროის/ეპოქის და ადგილის დასადგენად. მაგ., გრძელი კაბები და პირბადიანი შლაპები, ვთქვამთ, მიგვანიშნებდეს მე-19 საუკუნეზე (დრო), ფრინველების ბუმბულებისგან და/ან ცხოველის ტყავისაგან დამზადებული სამოსი აფრიკაზე (ადგილი) იმ შემთხვევებში, თუკი დროის/ადგილის დასადგენად სხვა ფაქტორივი მიმანიშნებელი არ არის.

კავშირი სხვა საგნებთან: ხელოვნება (ვიზუალური მასალის წაკითხვა-გაანალიზება). ამას გარდა, აქტივობა ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა მეცნიერების ნებისმიერი სხვა დარგის შესწავლის დროსაც.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VIII. 9; ქართ. VIII. 10, 13.

აქტივობა № 9. ვმუშაობთ წერილობით წყაროებზე

აქტივობის შესახებ: აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს კითხვისა და წერის მიმართულებებს. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა კითხვისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებას; ეხმარება მოსწავლეებს თემასთან დაკავშირებული კითხვების გენერირებასა და ნაწერის ორგანიზებაში.

საანალიზო ცხრილის გამოყენების სტრატეგია აერთიანებს სამ საფეხურს, თითოეული საფეხურის აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს მოცემული თემის შეფასებაში. ესენია: 1) დაგეგმვა; 2) ინტერაქცია; 3) ინტეგრირება/შეფასება.

საანალიზო ცხრილის გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალურად, წყვილებში/მცირე ჯგუფებში, აგრეთვე მთელ კლასთან მუშაობის დროს. აღნიშნული სტრატეგია დაეხმარება მასწავლებელს, დაადგინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები და შეაფასოს, რამდენად ესმის მას შერჩეული თემა.

აქტივობის მიზნები:

- კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;

- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის სინთეზირების უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის მონაწილეობით (I ეტაპი), წყვილებში (მცირე ჯგუფებში) (II ეტაპი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალმები, რვეულები; წყაროების ასლები (საჭირო რაოდენობით), საანალიზო ცხრილების ასლები (საჭირო რაოდენობით).

აქტივობის აღწერა: აქტივობის ჩასატარებლად მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეარჩიოს თემა და შესაბამისი რესურსები (მხატვრული და/ან არამხატვრული ნაწარმოებები წიგნებიდან, ჟურნალებიდან, ინტერნეტრესურსებიდან).

აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს შესასრულებელ სამუშაოზე – მოსწავლეები უნდა გაეცნონ მასწავლებლის მიერ მომზადებულ წყაროებს და შეაჯამონ მათში მოცემული ინფორმაცია. ამოცანის გაადვილების მიზნით მასწავლებელი მიმართავს ინფორმაციის ამოკრებისა და შეჯამების პროცესის მოდელირების სტრატეგიას.

I ეტაპი – მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს წყაროების ანალიზის რუბრიკებს, დაყოფს კლასს წყვილებად და დაურიგებს მათ ერთ რომელიმე თემასთან დაკავშირებული წყაროების წინასწარ მომზადებული ასლებს. მოსწავლეები გაეცნობიან №1 წყაროს. ამის შემდეგ მასწავლებელი ზეპირი გზით, მთელი კლასის მონაწილეობით, განსაზღვრავს წყაროს თემას და შეავსებს დაფაზე ჩამოწერილ რუბრიკებს (ან დაფასთან გამოიძახებს მოსწავლეებს რუბრიკების შესავსებად).

აქტივობის მიმდინარეობის ფაზები:

1-ლი ფაზა: თემის განსაზღვრა, შეკითხვების ჩამოყალიბება და ცხრილის შესაბამის სვეტში ჩანერა; შეკითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო მასალების შეგროვება.

მე-2 ფაზა: ადრეული/წინარე ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ფაქტების გაზიარება, ხელახლა ნაკითხვა.

მე-3 ფაზა: მოკვლევის/ძიების ჩატარება, შედარება, შეჯამება, შედეგების წერილობით გადმოცემა. ამ ფაზისათვის მოსწავლეებს გარკვეული დრო დასჭირდებათ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო ინფორმაციის მოსაძებნად სხვადასხვა წყაროში. წყაროებიდან ინფორმაციის მოგროვების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ჩანერონ ერთი-ორი ლაკონიური წინადადება იმის თაობაზე, რა გაიგეს თითოეული დასმული შეკითხვის შესახებ. მასწავლებელმა შეიძლება სთხოვოს მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ სხვა შეკითხვები წინააღმდეგობრივი ხასიათის ინფორმაციაზე ან თემასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციაზე, რომელიც არ გვხვდება წყაროებში.

ცხრილის შევსება მოსწავლეებს დაეხმარება, დაწერონ საინფორმაციო ესე იმ თემაზე, რომელიც მათ შეარჩიეს გამოსაკვლევად, აგრეთვე ნაწერის ორგანიზებაში. აქტივობა დახმარებას აღმოუჩენს მოსწავლეებს აგრეთვე კვლევაზე დაფუძნებულ პროექტებზე მუშაობის პროცესში.

მაგალითად, წყვილებში წასაკითხად მასწავლებელმა შეიძლება შეარჩიოს რომელიმე მონაკვეთი „ბაში-აჩუკიდან“.

ნიმუში. წყაროების ანალიზის ცხრილი.

შეკითხვა	I წყარო: „ბაში-აჩუკი“	II წყარო: საქართველოს ისტორია ⁹	შეჯამება
I შეკითხვა: რა იყო აჯანყების მიზეზი?	შაჰ-აბასმა კახეთი ააოხრა, ასი ათასობით ქართველი გადაასახლა, ჩამოსახლა ულუსები, განადგურებას გადარჩენილი მოსახლეობა გალარიბდა, ბევრი ქართველი ზნეობრივად გადაგვარდა, უკმაყოფილო გლეხობა მზად იყო აჯანყებისათვის, ელოდა მხოლოდ წინამძღოლს.	ორად გაყოფილ კახეთს მართავდნენ ირანელები, რომლებმაც თურქმენები ჩამოსახლეს, ციხეებში ირანელთა ჯარები იდგა, მეურნეობა განადგურდა, უკმაყოფილოები იყვნენ ფეოდალებიცა და გლეხებიც.	ირანელების აგრესიული პოლიტიკა, მოსახლეობის გალარიბება.
II შეკითხვა: როგორ მოქმედებდნენ აჯანყებულები?	მთავარსარდალმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა ჯარი ორად დაყო, ერთი ნახევარი თავისთან დაიტოვა, მეორე ნახევარი ცალკეულ რაზმებად დაანანილა და სხვადასხვა მხარეს გაგზავნა. აჯანყებულებმა ერთდროულად შეუტიეს ირანელებს. ბახტრიონი აიღეს ფშავ-ხევსურებმა, ბაში-აჩუკის რაზმმა ულუსები გაჟლიტა, მთავარმა ჯარმა ვიწრო ხეობაში გაჟლიტა ირანელების მხედრობა.	აჯანყებულებმა თითქმის ერთდროულად შეუტიეს ალავერდსა და ბახტრიონს. ქართველთა ჯარმა აიღო ბახტრიონი, კახელებმა აიღეს ალავერდი, ალავერდიდან გამოქცეული ირანელები ქართველებმა ალვანის მინდორზე გაანადგურეს, შემდეგ აჯანყებულები სხვა ადგილებში დასახლებულ ელებს დაესხნენ თავს (გვ. 241-242)	აჯანყებულები მოქმედებდნენ კარგად მოფიქრებული სამხედრო გეგმის მიხედვით: ერთდროულად შეუტიეს ირანელებს სხვადასხვა ადგილებზე, იყენებდნენ მოულოდნელობის ეფექტს.

⁹ იხ. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, მეორე გამოცემა, ტ. III, თბილისი, 2012, გვ. 239-243.

III შეკითხვა: რა შედეგები ჰქონდა აჯანყებას?	კახეთი გათავისუფლდა ირანელები-საგან, გაიღო და-კეტილი ეკლესიები, კახეთის გამარჯვებამ ქართლიც გაახარა.	კახეთი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, მაგრამ ირანელების ბატონობისაგან მთლიანად მაინც ვერ გათავისუფლდა (გვ. 243)	კახეთი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა.
სხვა შეკითხვა: რა ბედი ეწია ზაალ ერისთავს?	არაფერია ნათქვამი.	შაჰის ბრძანებით, ვახტანგ V-მ ზაალი მოაკვლევინა მისივე ძმისშვილებს (გვ. 242).	
საინტერესო ფაქტები	კირილე მღვდლის სიზმარი: ალავერდის ტაძარს გველუშაპი დაეპატრონა.	ირანელებმა ალავერდის ტაძრის გალავანი ციხედ გადააკეთეს და თავიანთი ჯარი ჩააყენეს (გვ. 240)	ისტორიული ფაქტი სიმბოლურადაა ასახული პერსონაჟის – კირილე მღვდლის სიზმარში (გველუშაპი – მოძალადე ირანელები)

II ეტაპი – I წყაროს ანალიზის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გააგრძელონ მუშაობა წყვილებში. მენყვილები შეავსებენ რუბრიკებს დანარჩენი წყაროების საფუძველზე.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი შეაფასებს მათ, საჭიროების შემთხვევაში გამოთქვამს შენიშვნებს, აკეთებს კომენტარებს.

სახლში სამუშაოდ მოსწავლეებს დაევალებათ მასწავლებლის მიერ წინასწარ შერჩეული 2 წყაროს გაანალიზება ზემოთ მოცემული სქემის გამოყენებით.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტში მოცემული ინფორმაციის დახარისხება-კატეგორიზაცია;
- სხვადასხვა ტექსტში მოცემული ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზება;
- კითხვის სტრატეგიების გამოყენება;
- ინფორმაციის სინთეზირება.

მეთოდური მითითებები:

- წყაროების რაოდენობა, აგრეთვე მათი ტიპები და სირთულის დონე მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს კლასის მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით;
- მუშაობის გაადვილების მიზნით, სასურველია, წყაროები დაინომროს რიგითი მიმდევრობის აღნიშვნით (მაგ., „I წყარო“, „II წყარო“ და ა.შ.).

კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VIII. 5, 9; ქართ. VIII. 10, 12, 13.

აქტივობა №10. ვნერთ ბიოგრაფიას

აქტივობის შესახებ: აქტივობა კომპლექსური სახისაა და მიემართება წერილსა და კითხვის მიმართულებებს. იგი ემსახურება კრიტიკული კითხვის, წერილი სტრატეგიების გამოყენების უნარის გამომუშავებას, აგრეთვე, აკადემიური წერისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. აქტივობა ნაწილობრივ ფარავს აგრეთვე VII კლასის მე-11 შედეგს (ქართ. VII. 11).

აქტივობის მიზნები:

- ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოვლენებისა და ფაქტების თანამიმდევრულად გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერილი მეტყველების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსები: სანიმუშოდ შერჩეული ბიოგრაფიული ტექსტი, წყაროები ბიოგრაფიული ტექსტის შესაქმნელად, კალამი, რვეული.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი მოსწავლეებს გაესაუბრება ბიოგრაფიული ტექსტების, მათი სპეციფიკის შესახებ; შეახსენებს მათ, რომ ბიოგრაფიის სუბიექტი (=პირი, ვისზეცაა შედგენილი ბიოგრაფია) შეიძლება იყოს როგორც მეტ-ნაკლებად ცნობილი ისტორიული პირი, ისე თანამედროვე ადამიანი.¹⁰

სანიმუშოდ მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ერთ-ერთ ბიოგრაფიულ ტექსტს, რომელსაც კლასში წაიკითხავენ. მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეები დააკვირდებიან ბიოგრაფიული ტექსტის ენობრივ, სტილისტურ და სტრუქტურულ თავისებურებებს (აღწერითი ხასიათი, ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა, თხრობა მესამე პირში, სხვ.).

¹⁰ ბიოგრაფია (ისევე როგორც ავტობიოგრაფია), საზოგადოდ, წარმოადგენს აღწერითი ტიპის ტექსტს, რომელშიც გამოყენებულია აგრეთვე ნარატიული ტიპის ტექსტის გარკვეული ელემენტები. ბიოგრაფიის ტიპის ტექსტების შედგენისას, ძირითადად, გამოიყენება 3 მეთოდი/მიდგომა. ესენია: 1. ისტორიული – იგი ფოკუსირებულია თარიღებისა და მოვლენების გადმოცემაზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით. ამ ტიპის ბიოგრაფიული ტექსტები ყველაზე ფართოდაა გავრცელებული; 2. სოციოლოგიური – იგი სუბიექტის ცხოვრების გადმოცემისას ფართოდ იყენებს ისტორიულ კონტექსტს (სათანადო პერიოდის საოჯახო ცხოვრება, კვება და საკვები პროდუქტები, მედიცინა, სატრანსპორტო საშუალებები, ეკონომიკა, განათლების სისტემა, მოდა, სამეურნეო სისტემა, არქიტექტურა და ა.შ.); 3. ფსიქოლოგიური – სუბიექტის ცხოვრების გადმოცემისას ფოკუსირებულია კონფლიქტებზე, რომელიც ბიოგრაფიის სუბიექტს აქვს სხვებთან – ოჯახის და/ან საზოგადოების წევრებთან, ბუნებასთან, საკუთარ თავთან, სხვ. ამ ტიპის ბიოგრაფიებში შეიძლება აღწერილი იყოს არა სუბიექტის მთელი ცხოვრება, არამედ მისი ერთი რომელიმე ეტაპი/ეპიზოდი, რომელშიც, ავტორის აზრით, უკეთ იკვეთება ბიოგრაფიის სუბიექტის ხასიათი. ზემოთ წარმოდგენილი აქტივობა ფოკუსირებულია ისტორიული ბიოგრაფიის ტიპზე, რომელიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადმოგვცემს მოვლენებსა და ფაქტებს.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, დაწერონ ბიოგრაფიული ტექსტი. მოსწავლეები შეარჩევენ ბიოგრაფიის სუბიექტს. იგი შეიძლება იყოს მწერალი, რომლის ნაწარმოებსაც მოსწავლეები სწავლობენ, ისტორიული პირი, სპორტსმენი, მსახიობი, მუსიკოსი და ა.შ.

ბიოგრაფიული ტექსტის შესაქმნელად მოსწავლეები, პირველ რიგში, უნდა გაეცნონ მასალებს შერჩეული სუბიექტის შესახებ. მოსწავლეები განსაზღვრავენ, რა წყაროებით ისარგებლებენ ტექსტის შესაქმნელად (ბიოგრაფიის წყაროების შესახებ იხ. მეთოდური მითითებები, №1). ამ ეტაპზე მოსწავლეებს შეუძლიათ შემოიფარგლონ 2-3 წყაროთი.

მასალების ანალიზის, დახარისხებისა და ორგანიზების პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, მუშაობის დროს მოამზადონ:

ა) „ცხოვრების ხაზი“ – მოსწავლეები შექმნიან სუბიექტის ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღების ჩამონათვალს დაბადებიდან სიკვდილამდე / ცხოვრების გარკვეულ ეტაპამდე. ეს ჩამონათვალი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 6-8 მოვლენას/ფაქტს;

ბ) პორტრეტი – მოსწავლეები დახატავენ სუბიექტის პორტრეტს; მიუთითებენ, რას ფიქრობდა სუბიექტი თავისი ცხოვრების სამ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაზე;

გ) ციტატები – მოსწავლეებმა უნდა მოიყვანონ, სულ მცირე, ორი ციტატა – სუბიექტის აზრები, გამონათქვამები, რომლებიც, ბიოგრაფიის ავტორის აზრით, საუკეთესოდ ასახავს სუბიექტის ლაპარაკის მანერას, მის აზრებსა და შეხედულებებს.

დ) მაორგანიზებელი „გულის რუკა“ – ესაა გრძნობების, ემოციების, დამოკიდებულებების ამსახველი გრაფიკული მაორგანიზებელი. მოსწავლეები გამოსახავენ გულს. შემდეგ ამ გამოსახულებას შეავსებენ სიტყვებით ან სურათებით, რომლებიც ასახავენ სუბიექტის გრძნობებს, ემოციებს, დამოკიდებულებებს ადამიანების/საგნების/მოვლენების, სხვ. მიმართ. კერძოდ, „გულის რუკაზე“ შეიძლება, მაგ., გამოისახოს: ბიოგრაფიის სუბიექტის საყვარელი წიგნის სახელწოდება; ეკლესია (თუკი ბიოგრაფიის სუბიექტი რელიგიური ადამიანია), სუბიექტის ოჯახის ამა თუ იმ წევრის, მეგობრის, მასწავლებლის სახელები (თუკი მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ სუბიექტის ცხოვრებაში), სუბიექტის ჰობი (მაგ., შეიძლება გამოისახოს თევზი და/ან ანკესი, თუკი სუბიექტი გატაცებულია თევზაობით); სახელები იმ ადამიანებისა, რომელთა მოღვაწეობამ/შემოქმედებამ გავლენა მოახდინა სუბიექტზე, სხვ.

ამგვარად ორგანიზებული ინფორმაცია ცალკეული თემების და მათთან დაკავშირებული დეტალების სახით შევა ბიოგრაფიულ ტექსტში. საჭიროებისამებრ, ტექსტის შედგენისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ მიზეზშედეგობრივი და/ან სხვა მიმართებების ამსახველი კავშირები/კონსტრუქციები (მაგ., „...-ის გამო N-მა გადაწყვიტა, რომ...“, სხვ.)

მასალების ანალიზის, დახარისხებისა და ორგანიზების დროს მიღებული მონაცემებისა და დასკვნების საფუძველზე მოსწავლეები დაწერენ ბიოგრაფიულ ტექსტს.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ბიოგრაფიული ტექსტის სტრუქტურის გააზრება;
- ინფორმაციის მოძიება, გაანალიზება, დახარისხება და ორგანიზება;
- მოვლენების/ფაქტების გადმოცემა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით;
- ორგანიზებული ინფორმაციის ნაშრომში ასახვა (თემების სახით);
- სათანადო ენობრივ-სტილისტური ნორმების გამოყენება, ირიბი ნათქვამისა და ციტირების მართებულად გამოყენება, მიზეზშედეგობრივი და/ან სხვა ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციების მართებულად გამოყენება.

მეთოდური მითითებები:

- ბიოგრაფიული ტექსტის შედგენისას ავტორი ეცნობა და ამუშავებს წყაროებს სუბიექტის შესახებ. წყაროები ორი ტიპისაა: ა) პირველადი წყაროები: თავად ბიოგრაფიის სუბიექტი (თუკი ბიოგრაფია იწერება თანამედროვე ადამიანზე, საუკეთესო საშუალებაა, ავტორი პირადად შეხვდეს და გაესაუბროს მას), დღიურები, წერილები, ინტერვიუები ბიოგრაფიის სუბიექტთან, ავტობიოგრაფია/ავტობიოგრაფიული ჩანაწერები (დანერვილი ბიოგრაფიის სუბიექტის მიერ), სამახსოვრო ჩანაწერები, ფოტოები, საისტორიო წყაროები/ცნობები; მოგონებები იმ პირებისა, რომლებიც იცნობდნენ ბიოგრაფიის სუბიექტს. მეორადი წყაროები: წიგნები, ალბომები, ვებგვერდები და სხვა ელექტრონული რესურსები, საჟურნალო/საგაზეთო/სტატიები, სხვ. – ზოგადად, მთელი ის მასალა, რომელიც მოგვითხრობს ბიოგრაფიის სუბიექტის შესახებ.
- მოსწავლეების უკეთ ორიენტაციის მიზნით, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს აჩვენოს მასალის ორგანიზების მოდელი. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია, კლასში წაკითხულ ბიოგრაფიულ ტექსტზე დაყრდნობით, მოამზადოს და დაფაზე გამოსახოს „ცხოვრების ხაზი“, „გულის რუკა“ და სხვ. კარგი იქნება, თუკი ამ პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან მოსწავლეებიც.

კავშირი სხვა საგნებთან: აქტივობა ავითარებს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს, რომლებიც თანაბრად საჭიროა ნებისმიერი ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების შესწავლის დროს.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VIII. 5, 7, 9; ქართ. VIII. 10, 12, 13.

აქტივობა № 11. მოვემზადოთ წერისათვის: ვსწავლობთ ინფორმაციის დახარისხებასა და დაგეგმვას

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე. იგი ავითარებს წერის სტრატეგიების გამოყენების უნარ-ჩვევებს, ინფორმაციის დახარისხების და კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევებს; ხელს უწყობს წერის პროცესის ეტაპებისა და წერის სტრატეგიების გაცნობიერებას, აგრეთვე დამოუ-

კიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

აქტივობის მიზნები:

- ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- საგნის/მოვლენის/ფაქტის ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა-გააზრება;
- ინფორმაციის დახარისხების უნარის განვითარება;
- წერის სტრატეგიების გაცნობიერება-გააზრება;
- წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა:

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალამი, რვეული.

აქტივობის აღწერა:


მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს წერიტი ნამუშევრის შესაქმნელად საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებზე, კერძოდ, დაგეგმვაზე, რომელიც ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მომავალი ნამუშევრის ორგანიზაციული ყალიბის გამოსაკვეთად, ეხმარება ავტორს, უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი/დეტალი, სხვ.; აუხსნის მოსწავლეებს, რომ დაგეგმვა იგივეა, რაც არქიტექტორის ნახაზი მომავალი ნაგებობისათვის.

მასწავლებელი შესთავაზებს ბავშვებს, დაწერონ წერიტი ნამუშევარი „მუსიკალური სტილი და მოდა“ (აქტივობის ჩატარებამდე სასურველია, მოსწავლეებმა მოიძიონ და გეცნონ სხვადასხვა სახის მასალებს თანამედროვე მუსიკის შესახებ). გაეცნონ მასალებს. მანამდე, სანამ მოსწავლეები მუშაობას შეუდგებიან მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, ერთად შეადგინონ გეგმა მომავალი ნამუშევრისათვის. მუშაობა წარიმართება მთელი კლასის თანამონაწილეობით, ობობისებური სქემის გამოყენებით.

სქემის ცენტრალურ რგოლში გამოსახულია ძირითადი კონცეპტი („თანამედროვე პოპულარული მუსიკა და მოდა“) და მასთან დაკავშირებული, კატეგორიებად დახარისხებული ინფორმაცია. ძირითადი კონცეპტი სქემაზე წარმოდგენილია ცენტრში მდებარე დიდი ზომის რგოლის სახით; კატეგორიებად დახარისხებული ინფორმაცია კი _ პატარა ზომის რგოლებით, რომლებიც ცენტრალური რგოლიდან გამომავალი სხივების მეშვეობით უკავშირდება ამ უკანასკნელს (ძირითად კონცეპტს). პატარა ზომის რგოლები (საგნების/მოვლენების კატეგორიები), თავის მხრივ, ქმნის მისგან გამომავალი სხივების სისტემას. ეს მიგვითითებს, რომ სქემა შეიძლება განვითარდეს _ დაემატოს საგნების/მოვლენების ჩამონათვალი კატეგორიების მიხედვით და/ან ქვეკატეგორიები (დამატებითი პატარა რგოლების სახით). საბოლოო ფაშში, ეს ობობას ქსელის-მაგვარ გრაფიკულ ნახაზს გვაძლევს.

მოვლენების ქრონოლოგიას ანუ დროით თანამიმდევრობას აღნიშნულ სქემაზე ყურადღება არ ექცევა. ინფორმაცია წარმოდგენილია კატეგორიების მიხედვით.

ნიმუში. სქემა „ობობას ქსელი“



I ეტაპი – მუშაობა წარმართება გონებრივი იერიშის გზით. მასწავლებელი მოსწავლეთა თანამონაწილეობით ჩამოწერს ცალკეული მუსიკალური სტილებისათვის დამახასიათებელ აქსესუარებსა და ჩაცმულობის სტილს. საბოლოოდ სქემა შეივსება შემდეგნაირად.

ნიმუში. შევსებული სქემა.

ა) პანკების სტილი

1. ზღარბის ეკლების ფორმისებური თმა;
2. თეატრალური მაკიაჟი;
3. ინგლისური ქინძისთავების გამოყენება აქსესუარის სახით;
4. დახეული ტანსაცმელი;
5. სხეულის პირსინგი.

ბ) ჰიპ-ჰოპის სტილი

1. ტომრისებური ჩაჩაჩული ჯინსები;
2. კაპიუშონიანი სვიტერები;
3. დიდი ზომის ნაქსოვი ქუდები;
4. თავზე ნაკრული ბენდენები, შარფები.

გ) როკის სტილი

1. გახეხილი ჯინსები;
2. გრძელი პერანგები;
3. ტყავის ქურთუკები;
4. გრძელი სწორი თმა;
5. მიძიმე ჩექმები.

ამდენად, ზემოთ მოყვანილ სქემაზე წარმოდგენილია თანამედროვე მუსიკის 3 მიმართულება: პანკების მუსიკა, ჰიპ-ჰოპის მუსიკა, როკ-მუსიკა. თითოეულ მიმდინარეობასთან მითითებულია მის მიმდევართა ჩაცმულობის სტილი (4-5 მახასიათებელი).

მასწავლებელი ზეპირად შეაჯამებს მუშაობის შედეგებს და გააანალიზებს სქემას: ცენტრალურ რგოლში ჩანერილია ძირითადი თემა/ სათაური („თანამედროვე პოპულარული მუსიკა და ჩაცმულობა“), მასთან დაკავშირებულ მომცრო ზომის რგოლებში კი ქვეთემები: „პანკების სტილი“, „ჰიპ-ჰოპის სტილი“, „როკის სტილი“. თითოეულ მომცრო რგოლს სხივებით უკავშირდება შესაბამისი სტილის მიმდევართა ჩაცმულობის სტილის ძირითადი მახასიათებლები. მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ცენტრალურ რგოლში ჩანერილი სიტყვები სათაურია, მომცრო ზომის რგოლებში ჩანერილი სიტყვები – ქვეთემები, რომლებიც უნდა აისახოს ცალკეულ აბზაცებში; მომცრო რგოლებთან სხივებით დაკავშირებული სიტყვები წარმოადგენს დეტალებს – ქვეთემებთან დაკავშირებულ მასალას.

ნაწერის სტრუქტურა: მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მოცემული სქემის მიხედვით შედგენილი ნაშრომი 5 აბზაცისაგან უნდა შედგებოდეს. ესენია: შესავალი ნაწილი თემატური წინადადებით (1 აბზაცი); 3-აბზაციანი ძირითადი ნაწილი (I აბზაცი – პანკების სტილი, II აბზაცი – ჰიპ-ჰოპის სტილი; III აბზაცი – როკის სტილი), დასკვნითი ნაწილი (1 აბზაცი).

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს აგრეთვე წერითი ნამუშევრის შესავალ ნაწილის თემატურ წინადადებაზე, რომელშიც უნდა აისახოს თემა და ქვეთემები. კერძოდ, ზემოთ მოცემული სქემის შესაბამისი თემატური წინადადება შეიძლება იყოს ამგვარი: „თანამედროვე პოპულარული მუსიკის თითოეული მიმართულების მიმდევრებს განსაკუთრებული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ჩაცმულობის სტილი აქვთ“. ბოლო აბზაცის (დასკვნითი ნაწილის) თემატური წინადადება კი, რომელიც შესავალი ნაწილის თემატურ წინადადებას უნდა უკავშირდებოდეს, ვთქვათ, ამგვარი: „[ასე რომ] ჩაცმულობის სტილის მიხედვით თავისუფლად შეიძლება დაადგინო, ვინ რა სტილის მუსიკას უსმენს“.

II ეტაპი – სქემის შევსების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაინერონ რვეულებში შევსებული სქემა. შემდეგ კი მის საფუძველზე შეადგინონ წერითი ნამუშევარი „თანამედროვე პოპულარული მუსიკა და მოდა“.

III ეტაპი – ნამუშევრის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ნაიკითხავენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი შეაფასებს მათ კომენტარებითა და შენიშვნებით (პოზიტიური მხარეების გამოკვეთით).

აქტივობის ხანგრძლივობა: 18-20 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ანალიტიკური აზროვნება;
- ინფორმაციის დახარისხება;
- მოდელის მიხედვით წერითი ნამუშევრის შედგენა

სახლში სამუშაოდ მასწავლებელი მოსწავლეებს დაავალებს წერითი ნამუშევრის შედგენას გეგმის მიხედვით (მოსწავლის მიერ შერჩეულ თემაზე).

კავშირი სხვა საგნებთან: მუსიკა.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VIII. 5, 8, 9; ქართ. VIII. 10, 12, 13.

აქტივობა № 12. პოეზიის 15 წუთი: ვქმნით მეტაფორას

აქტივობის შესახებ: აქტივობა კომპლექსური სახისაა. ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს მოსწავლეებს მხატვრული მეტყველების თავისებურების გაცნობიერებაში; ეხმარება მათ, გაიაზრონ მხატვრული მეტყველების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის – მეტაფორის რაობა და ჩანვდნენ მის არსს, ბიძგს აძლევს მოსწავლეთა წარმოსახვისა უნარისა და ფანტაზიის განვითარებას. მეორე მხრივ, აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაიაზრონ და გაიაქტიურონ შესწავლილი, გამოიმუშაონ და განვიითარონ ლიტერატურული მასალის პერსონალური აღქმის უნარი. აქტივობის ჩატარება შესაძლებელია ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან ცალკეული ნაწარმოების შესწავლის შემდეგ.

აქტივობა საშუალებას მისცემს მოსწავლეს, მოახდინოს ცოდნის ავტომატიზება, „გააცოცხლოს“ ფორმალურად ნასწავლი მასალა, პრაქტიკაში გამოიყენოს იგი და „დაამკვიდროს“ პირად გამოცდილებაში. ამისთვის მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, გაიმეორონ /გამოიყენონ ადრე შესწავლილი ან ახლად ნასწავლი მასალა (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, ლექსიკა, სხვ.), რაც ხელს შეუწყობს მათი (მოსწავლეების) შემოქმედებითი უნარების განვითარებას, წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების სრულყოფას. აქტივობა სტიმულს მისცემს მოსწავლეებს, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება და გამოავლინონ პირადი ინიციატივა თუ შემოქმედებითობა.

აქტივობის მიზნები:

- ინდივიდუალური მიდგომის, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- მხატვრული მეტყველების ელემენტების რაობის გაცნობიერება;
- ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარების განვითარება;
- შემოქმედებითი წერის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: დაფა (დიდი ფორმატის ქალაქი), ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაწერონ მიძღვნიტი ხასიათის ლექსი, რომლის თითოეულ ტაეპში თითო მეტაფორა იქნება წარმოდგენილი. ლექსი შეიძლება ეძღვნებოდეს ამა თუ იმ მწერალს ან ლიტერატურულ პერსონაჟს.

ამ შემთხვევაში სავსებით მისაღები იქნება, თუკი ლექსი დაწერილი იქნება ვერლიბრის (თავისუფალი ლექსის) ფორმით. მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა გააფრთხილოს მოსწავლეები, რომ მათ არ მოეთხოვებათ ტრადიციული გართმული ლექსის დაწერა – ისინი მთლიანად უნდა იყვნენ კონცენტრირებულნი ლექსის შინაარსზე და კონკრეტულად, მეტაფორების შეთხზვაზე. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლეებს ეკრძალებათ ფიქრი ტაეპების გართმვაზე – უბრალოდ, მოსწავლეების უმრავლესობისთვის ეს დაუძლეველი ამო-

ცანა იქნება დროის იმ მცირე ინტერვალში, რომელიც დაეთმობა აღნიშნულ აქტივობას. რა თქმა უნდა, თუკი რომელიმე მოსწავლე შეძლებს ნამუშევრის ამა თუ იმ სახით გართმევას, მასწავლებელმა დავალება შესრულებულად უნდა ჩათვალოს – ამასთან, ამ შემთხვევაში პოზიტიურად უნდა გამოკვეთოს ნამუშევრის ფორმა (გალექსილი).

მოსწავლეების დასახმარებლად მასწავლებელი დაფაზე გამოსახავს სქემას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები დაწერენ ლექსს (ან დაფაზე გააკრავს დიდი ფორმატის ქალაქდზე ჩამონერილ, წინასწარ მომზადებულ სქემას).

სქემა უნდა იყოს დეტალური, შედგენილი იმგვარად, რომ მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ, კონკრეტულად რა უნდა დაწერონ ამა თუ იმ ტაეპში. ნიმუში. სავარაუდო სქემა:

1-ლი სტრ. – ვის ეძღვნება? (ვინაობა/პირის სახელი მიცემით ბრუნვაში)

მე-2 სტრ. – წელიწადის რომელი დრო (თვე) იქნებოდა ეს პიროვნება? (ზაფხული, ივნისი, ნოემბერი, სხვ.)

მე-3 სტრ. – როგორი ამინდი იქნებოდა იგი? (ჭექა-ქუხილი, ჟუჟუნა წვიმა, სხვ.)

მე-4 სტრ. – დღე-ღამის რომელი მონაკვეთი იქნებოდა ეს პიროვნება? (დალღილი საღამო, ხალისიანი დილა, მშვიდი შუადღე...)

მე-5 სტრ. – როგორი ნაგებობა იქნებოდა ეს პირი? (შეუვალი ციხე-სიმაგრე, მყუდრო სახლი, მოჩუქურთმებული აივანი...)

მე-6 სტრ. – რა ნივთი (ვარ. სამოსი) იქნებოდა იგი? (სანადიმო მაგიდა, ბასრი ხანჯალი, თბილი მოსასხამი, მტკიცე აბჯარი, მფარველი ნაბადი...)

მე-7 სტრ. – რა სახის სასმელი ან საჭმელი იქნებოდა იგი? (ანკარა წყაროს წყალი, სურნელოვანი პური, შუშხუნა ღვინო...)

მე-8 სტრ. – დასკვნითი ტაეპი (სურვილისამებრ).

1. -ს

2. შენ ხარ (რომელიც)....

3. (შენ ხარ)..... (რომელიც)....

4. (შენ ხარ).... (რომელიც)....

5. (შენ ხარ) (რომელიც)....

6. (შენ ხარ).... (რომელიც)....

7. (შენ ხარ)... (რომელიც)....

8. (შეჯამება, დასკვნა, ემოცია, სხვ.).

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ლექსის შეთხზვისას ისინი, სასურველია, არ დაკმაყოფილდნენ დასმულ შეკითხვებზე მარტივი პასუხის გაცემით. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ აგრეთვე ზედსართავებიც – დეტალებისა და დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთის მიზნით (მაგ., მხოლოდ „შენ ხარ იანვარი...“ კი არა, ვთქვათ, „შენ ხარ იანვარი, ცივი და სუსხიანი...“).

მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა წარუდგინოს (შესაძლებელია, დაფაზე დაწეროს) აღნიშნული სქემის მიხედვით შედგენილი მარტივი ლექსი, რომელიც მათ ნიმუშად გამოადგებათ.

ნიმუში.

1. სულხან-საბა ორბელიანს
2. შენ ხარ მშვიდი შემოდგომა,
3. ნათელი, მზიანი დღის
4. წყნარი საღამო;
5. ჭრიალა ხის კარი, რომელიც ბაღში გადის,
6. ძველებური ზარდახშა, რომელიც ყველაფერს დაიტევს;
7. ანკარა წყაროს წყალი, რომელიც ყველას მოუკლავს წყურვილს.
8. შენი ტყუილიც კი სიმართლეა, სულხან-საბა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განმარტონ, რატომ გამოიყენეს ესა თუ ის მეტაფორა (რისი ხაზგასმა სურდათ გამოყენებული მეტაფორით). დასასრულ, მოსწავლეების აზრის გათვალისწინებით, მასწავლებელი გამოავლენს საუკეთესო ნამუშევარს.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12– 15 წუთი.

შეფასება: აღნიშნული აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- შესწავლილი მასალის გაანალიზება;
- ინდივიდუალური მიდგომის გამოხატვა;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა;
- ტროპული მეტყველების ელემენტის – მეტაფორის ადეკვატური გამოყენება.

მეთოდური მითითებები:

1. ლექსის შეთხზვისას ფრჩხილებში ჩასმული სიტყვების გამოყენება სავალდებულო არ არის – მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვა ენობრივი კონსტრუქციებიც (მაგ., „სულხან-საბა – მშვიდი შემოდგომა,/ ნათელი, მზიანი დღის წყნარი საღამო და ა.შ.). მთავარია, ლექსის შეთხზვისას მოსწავლეებმა დაიცვან შინაარსობრივი მოთხოვნები.

2. სავალდებულო არ არის მე-8 ტაეპის შეთხზვა. შესაძლებელია, მასწავლებელმა შემაჯამებელი ტაეპი თვითონვე შესთავაზოს მოსწავლეებს, რაც მათ ერთგვარ ორიენტირად გამოადგებათ.

3. აღნიშნულ აქტივობას შეიძლება მიეცეს ერთგვარი თამაშისა და შეჯიბრის სახე.

4. ზემოთ მოყვანილი სქემა წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს სხვა პარამეტრების შემცველი სქემა/სქემები.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. IX. 6, 8; ქართ. IX. 9, 13.

აქტივობა № 13. პოეზიის 15 წუთი: ვნერთ ეპიტაფიას

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს ცოდნის გააქტიურებას და შესწავლილი მასალის გააზრებას ძირითადი ასპექტების გამოკვეთის გზით. იგი დაეხმარება მოსწავლეებს ნასწავლი მასალის განზოგადებასა და შეფასებაში, ზიგს მისცემს დამოუკიდებელი მიდგომისა და წარმოსახვის უნარების გამოვლენა-განვითარებას. აქტივობა აგრეთვე დაეხმარება მოსწავლეებს, გამოიმუშაონ სათანადო სტილური მოთხოვნების დაცვის უნარი (კერძოდ, დაიცვან ლაკონიურობა).

აღნიშნული აქტივობის ჩატარება შესაძლებელია ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან ცალკეული ნაწარმოების შესწავლის შემდეგ.

აქტივობის მიზნები:

- ინფორმაციის დახარისხებისა და განზოგადების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ნაკითხულის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- შემოქმედებითი წერის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური/წყვილური.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოკლედ გაესაუბრება მოსწავლეებს ეპიტაფიის შესახებ. გაახსენებს მათ არსენ იყალთოელის ეპიტაფიას (იმ შემთხვევაში, თუკი იგი შესწავლილი აქვთ).

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს დაწერონ ეპიტაფია მათთვის ნაცნობ მწერალზე ან ლიტერატურულ პერსონაჟზე. ეპიტაფიაში შეიძლება გამოიკვეთოს მწერლის თუ პერსონაჟის ხასიათი/ჩვეულებები, მისი საქმეები (ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი), გარდაცვალება (როგორ გარდაიცვალა იგი); ან შეჯამდეს/შეფასდეს მწერლის თუ პერსონაჟის ცხოვრება. შესაძლებელია მასწავლებელმა წინასწარ შეათანხმოს მოსწავლეებთან, რომელ ასპექტზე უნდა გაამახვილონ ყურადღება სამუშაოს შესრულების დროს; შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ უნდა დაიცვან ლაკონიურობა ეპიტაფიის წერის დროს.

მოსწავლეთა დასახმარებლად მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს შეთანხმებული პუნქტებს და მოთხოვნებს.

ვარიანტი. მასწავლებელმა შეიძლება სთხოვოს მოსწავლეებს ეპიტაფიისთვის ციტატის შერჩევა. ეს უნდა იყოს, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი სტროფი ან მოკლე პროზაული ფრაგმენტი შერჩეული მწერლის შემოქმედებიდან.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს; საჭიროების შემთხვევაში აკეთებენ დამატებით კომენტარებს.

დასასრულ, მოსწავლეების აზრის გათვალისწინებით, მასწავლებელი გამოავლენს საუკეთესო ნამუშევარს.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12– 15 წუთი

შეფასება: აღნიშნული აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ინფორმაციის დახარისხება;
- შესწავლილი მასალის კრიტიკული გაანალიზება;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ინდივიდუალური მიდგომის გამოვლენა;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა;
- თანამშრომლობა (წყვილური მუშაობის ფორმატში);
- სათანადო სტილური მოთხოვნების დაცვა წერის დროს.

მეთოდური მითითებები:

1. აქტივობის ორგანიზება შესაძლებელია აგრეთვე წყვილებში მუშაობის გზით.

2. მოსწავლეთა უნარებისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით, ეპიტაფიის წერის დროს მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება დამატებით შესთავაზოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების – ალიტერაციისა და ასონანსის გამოყენება, მაგ., **თორნიკე ერისთავი – ერისთვის თავდადებული; თეთრწვერა და თეთრმიანი ერისკაცი...; მარიტა – მშვენიერი მაგნოლია; ტანი ტატანი ტალახად ქცეული... (ალიტერაცია); თორნიკე ერისთავი – ერის ერთგული ბერი და მეომარი; ბარდა დაამარცხა ჯვრითა და მახვილით...; მარიტა – ადამიანთა სამართლით ამოდ დასჯილი... (ასონანსი) და სხვ.**

3. აღნიშნულ აქტივობას შეიძლება მიეცეს ერთგვარი თამაშისა და შეჯიბრის სახე.

კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია (იმ შემთხვევებში, თუკი: პერსონაჟი ისტორიული პირია და/ან გამოყენებული იქნება მწერლის შემოქმედების და/ან ნაწარმოებში აღწერილი ამბის ისტორიული კონტექსტი).

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. IX. 6, 8; ქართ. IX. 9, 13.

აქტივობა № 14. გაპიროვნებული ლექსი

აქტივობის შესახებ: აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, გაააქტიურონ ცოდნა, გაიაზრონ შესწავლილი მასალა, გამოიმუშაონ ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონალური აღქმისა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი; აგრეთვე პერსონაჟების თანაგანცდის (ემპათიის) უნარი.

აქტივობა ბიძგს აძლევს მოსწავლეთა წარმოსახვის უნარისა და ფანტაზიის განვითარებას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენას, ხელს უწყობს წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას.

აქტივობის ჩატარება შესაძლებელია ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან ცალკეული ნაწარმოების შესწავლის შემდეგ.

აქტივობის მიზნები:

- ინფორმაციის დახარისხებისა და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარება;

- ნაკითხულის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანაგანცდის (ემპათიის) უნარ-ჩვევების განვითარება;
- შემოქმედებითი წერის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური / წყვილური.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი მოკლედ გაესაუბრება მოსწავლეებს იმ მწერლის/ნაწარმოების პერსონაჟის შესახებ, რომელიც ლექსისთვისაა შერჩეული; შეახსენებს მათ ტროპული მეტყველების ერთ-ერთი სახის – გაპიროვნების არსს კონკრეტული მაგალითების მოხმობით.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს დავალების არსს – მოსწავლეების ამოცანაა, გაპიროვნების ხერხის გამოყენებით შეთხზან ოთხტაეპიანი ლექსი მწერალზე/პერსონაჟზე (მასწავლებლის შერჩევით). წარმოსახვის უნარისა და ემპათიის განცდის გასაქტიურებლად მასწავლებელი მათ სთავაზობს ლექსის პირველ პირში დაწერას; სთხოვს მათ, გაამახვილონ ყურადღება პერსონაჟის განცდებზე, მის სულიერ სამყაროზე.

სამუშაოს დაწყების წინ მასწავლებელი გააკრავს დიდი ფორმატის ქაღალდზე დაწერილ მარტივ გეგმას (ან დაწერს დაფაზე), რომლითაც მოსწავლეები იხელმძღვანელებენ ლექსის წერის დროს და მისცემს მათ საჭირო განმარტებებს.

ამ შემთხვევაში სავსებით მისაღები იქნება, თუკი ლექსი დაწერილი იქნება ვერლიბრის (თავისუფალი ლექსის) ფორმით. მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა გააფრთხილოს მოსწავლეები, რომ მათ არ მოეთხოვებათ ტრადიციული გართიმული ლექსის დაწერა – ისინი მთლიანად უნდა იყვნენ კონცენტრირებული ლექსის შინაარსზე – პერსონაჟის ემოციებისა და სულიერი სამყაროს გადმოცემაზე.

ნიმუში. გეგმა:

1. ვინ ვარ მე? (სახელდება, პერსონაჟის ვინაობა);
2. როგორია ჩემი გამოცდილება/ცხოვრება? (ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი პერსონაჟის გამოცდილებიდან, ცხოვრებიდან);
3. რას ვგრძნობდი, როდესაც (სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობის / კონფლიქტის დროს);
4. რა არის ჩემი მთავარი სათქმელი? (შეჯამება, განზოგადება, სხვ.).

ნიმუში. გაპიროვნებული ლექსი:

1. მე – მარიტა,
2. ვირზე უკულმა შესმული, ტალახით მოსვრილი,
3. ვერაფერს ვგრძნობდი, თითქოს გავქვავდი.
4. ვაი, რა სასტიკია (/უსამართლოა) ბრბოს სამართალი.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12– 15 წუთი.

შეფასება: აღნიშნული აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ინფორმაციის დახარისხება;
- შესწავლილი მასალის განზოგადება და შეფასება;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- ინდივიდუალური მიდგომის გამოვლენა;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა;
- თანამშრომლობა (წყვილური მუშაობის გზით);
- სათანადო სტილური მოთხოვნების დაცვა წერის დროს.

მეთოდური მითითებები: აქტივობის ორგანიზება შესაძლებელია აგრეთვე წყვილებში მუშაობის გზით.

კავშირი სხვა საგნებთან: კავშირშია ისტორიასთან (იმ შემთხვევებში, თუკი პერსონაჟი ისტორიული პირია და/ან გამოყენებული იქნება მწერლის შემოქმედების, ნაწარმოებში აღწერილი ამბის ისტორიული კონტექსტი).

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. IX. 6, 8; ქართ. IX. 9, 13.

აქტივობა № 15. გამოვხატო ჩვენი თვალსაზრისი

აქტივობის შესახებ: მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, დაწერონ ტექსტი, რომელშიც დასაბუთებული იქნება ზოოპარკის საჭიროება თანამედროვე ეპოქაში (მაგ., „საჭიროა თუ არა დღეს ზოოპარკი?“ „თანამედროვე ზოოპარკები და ადამიანები“). აქტივობა მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა და დასაბუთება.

აქტივობა ტარდება 3 ეტაპად. იგი კომპლექსური სახისაა და ფარავს ზეპირმეტყველებისა (I– II ეტაპები) და წერის (III ეტაპი) მიმართულებებს. აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე.

აქტივობის მიზნები:

- ინფორმაციის დახარისხების უნარის განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ზეპირმეტყველებითი უნარ-ჩვევების განვითარება (საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა და დასაბუთება);
- წერითი მეტყველების განვითარება (საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა და დასაბუთება).

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის მონაწილეობით.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, სანერი კალმები, რვეულები.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი გაეცხადება მოსწავლეებს ზოოპარკების თემაზე (აქტივობის ჩატარებამდე სასურველია, მოსწავლეები გაეცნონ სხვადასხვა სახის ტექ-

სტებს/მასალებს თანამედროვე ზოოპარკების შესახებ). მაპროვოცირებელი შეკითხვების დასმით მოსწავლეები დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა ფუნქციას ასრულებენ ზოოპარკები თანამედროვე ეპოქაში (როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა ზოოპარკები თანამედროვე ეპოქაში?, სხვ.). მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს, დაასაბუთონ, რომ ზოოპარკები დღესაც საჭირო და მნიშვნელოვანია. ამისათვის კი აუცილებელია იმის გააზრება, თუ რა ადგილი უკავია ზოოპარკს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში.

I ეტაპი – გონებრივი იერიშის გზით მოსწავლეები ნამოაყენებენ იდეებს, რომელთაც მასწავლებელი დანერს დაფის მარცხენა ნაწილში/დაფის მარცხენა ფრთაზე. დავუშვათ, რომ საბოლოოდ ჩამონათვალმა ამგვარი სახე მიიღო.

ნიმუში. ჩამონათვალი:

- ✓ ადამიანები ნახულობენ ეგზოტიკურ ცხოველებს
- ✓ მხოლოდ ზოოპარკში შეიძლება მტაცებელი ცხოველების ნახვა
- ✓ ბავშვები ათვალეობენ და ეცნობიან გარეულ ცხოველებს
- ✓ ზოოპარკებში კვლევითი ლაბორატორიებია, რომლებშიც ნებისმიერ ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება
- ✓ ადამიანები ეცნობიან სხვადასხვა სახეობის ცხოველებს
- ✓ ბავშვები კარგად ერთობიან
- ✓ უფროსები დადიან სასეირნოდ
- ✓ ბავშვები სწავლობენ ცხოველების სიყვარულს
- ✓ მეცნიერები სწავლობენ ცხოველებს
- ✓ ყოველდღე შეუძლიათ ექსპერიმენტების ჩატარება ცხოველებზე
- ✓ ცხოველები უსაფრთხოდ არიან
- ✓ ყველა ცხოველი დაცულია
- ✓ ცხოველები სიცოცხლეს ინარჩუნებენ
- ✓ ცხოველები ცალ-ცალკე სხედან და ერთმანეთს თავს არ ესხმიან
- ✓ ცხოველებს აქვთ საკმარისი საკვები და წყალი
- ✓ დაავადებულ ცხოველებს ზოოპარკებში მკურნალობენ

II ეტაპი – მასწავლებელი, მოსწავლეთა აქტიური თანამონაწილეობით, მუშაობს ჩამონათვალში წარმოდგენილი იდეების კატეგორიზაციაზე. სამუშაოს გასაადვილებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გრაფიკული მაორგანიზებელი „ობობას ქსელი“. დაფის მარჯვენა ნაწილში მასწავლებელი დანერს სიტყვას „ზოოპარკი“ და შემოაჩარჩოებს მას რგოლისებრი ხაზით. ამის შემდეგ მასწავლებელი, მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით, განსაზღვრავს ჩამონათვლის ცალკეული იდეის შესაბამის კატეგორიას. საწყის ეტაპზე, სასურველია, ჩამონათვლიდან შეირჩეს ერთი და იმავე კატეგორიის ორი იდეა: მაგ., „ცხოველებს აქვთ საკმარისი საკვები და წყალი“ და „დაავადებულ ცხოველებს ზოოპარკებში მკურნალობენ“, რომლებიც გაერთიანდება კატეგორიაში „ცხოველების დაცულობა“ (ამ გზით მოსწავლეები უკეთ გააცნობიერებენ შესასრულებელი სამუშაოს არსს). კატეგორიზაციის პროცესი გრძელდება – ჩამონათვალში წარმოდგენილი ყველა

იდეა სათანადო ადგილს დაიკავებს სქემაზე – დაუკავშირდება შესაბამის კატეგორიას. ობობისებური სქემას ნაბიჯ-ნაბიჯ იტოტება. საბოლოოდ ჩამონათვლის გადამუშავებული ვერსია – ობობისებური სქემა ამგვარ სახე მიიღებს.

აღზრდა-განათლება:

- ✓ ადამიანები ნახულობენ ეგზოტიკურ ცხოველებს
- ✓ მხოლოდ ზოოპარკში შეიძლება მტაცებელი ცხოველების ნახვა
- ✓ ბავშვები ათვალერებენ და ეცნობიან გარეულ ცხოველებს
- ✓ ადამიანები ეცნობიან სხვადასხვა სახეობის ცხოველებს
- ✓ ბავშვები სწავლობენ ცხოველების სიყვარულს

გართობა, დასვენება:

- ✓ ბავშვები კარგად ერთობიან
- ✓ უფროსები დადიან სასეირნოდ

მეცნიერების განვითარება:

- ✓ მეცნიერები სწავლობენ ცხოველებს
- ✓ ყოველდღიური ექსპერიმენტები, ზოოპარკებში კვლევითი ლაბორატორიებია

ცხოველების დაცულობა:

- ✓ ცხოველებს აქვთ საკმარისი საკვები და წყალი
- ✓ დაავადებულ ცხოველებს ზოოპარკებში მკურნალობენ
- ✓ ყველა ცხოველი დაცულია
- ✓ ცხოველები ცალ-ცალკე სხედან და ერთმანეთს თავს არ ესხმიან
- ✓ ცხოველები სიცოცხლეს ინარჩუნებენ
- ✓ ცხოველები უსაფრთხოდ არიან

III ეტაპი – კატეგორიზაცია დასრულებულია. მოსწავლეებს რვეულებში გადააქვთ ობობასებური სქემა. მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეები საბოლოოდ შეაჯამებენ ახალმიღებულ ინფორმაციასა და ჩატარებული სამუშაოს შედეგებს.

სახლში სამუშაოდ მოსწავლეებს დაევალებათ, დაწერონ ტექსტი ზოოპარკების თემაზე. მოსწავლეებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, რომ ობობის ქსელისებური სქემა (რომელიც მათ ერთობლივად შეადგინეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით), ფაქტობრივად, იგივეა, რაც ნაშრომის გეგმა: კატეგორიზაციის შედეგად მიღებული თითოეული პუნქტი შეესატყვისება მომავალი ნაშრომის ერთ რომელიმე საკითხს. თითოეული კატეგორია, მასში გაერთიანებული ინფორმაციით, წარმოადგენს მომავალი წერიტი ნამუშევრის ძირითადი ნაწილის ერთ ცალკეულ აბზაცს.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და დასაბუთება;
- კრიტიკული მოსმენა;
- ინფორმაციის დახარისხება;
- საკუთარი მოსაზრების წერილობით გამოხატვა და სათანადოდ არგუმენტირება;
- წერილობითი ტექსტის შექმნა მოცემული საყრდენების მიხედვით.

მეთოდური მითითებები:

- აქტივობის ჩატარების მეორე ეტაპზე (მუშაობა კატეგორიზაციაზე) შეიძლება საჭირო გახდეს ხანმოკლე, კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსირებული დისკუსიის, კითხვა-პასუხის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის ხანმოკლე სესიების ჩატარება.
- ზემოთ შემოთავაზებულ მოდელზე დაყრდნობით მასწავლებელს შემდგომში შეუძლია ჩაატაროს ასევე აქტივობა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ალტერნატიულ აზრზე („ზოოპარკებში ცხოველების დამწყვევა არაჰუმანურია/სისასტიკეა“) და მის არგუმენტირებაზე. ამ გზით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ იმის უნარი, რომ შეხედონ საკითხს სხვადასხვა პოზიციიდან, განუვითარდებათ არგუმენტირებისა და, ზოგადად, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.

კავშირი სხვა საგნებთან: ბუნებისმეტყველება. ამას გარდა, აქტივობა ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა მეცნიერების ნებისმიერი სხვა დარგის შესწავლის დროსაც.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. IX. 6, 8; ქართ. IX. 9, 10, 12, 13.

მიმართულება: წერა

აქტივობა № 1: ტავტოლოგიის დამარცხებისათვის

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება ტექსტის რედაქტირებისა და გამართული წერიტი მეტყველებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული აქტივობის ჩატარების დროს მოსწავლეები საკუთარ ნაწერს აფასებენ უკვე მკითხველის (აუდიტორიის) პოზიციიდან. მკითხველის როლში ყოფნა ავალდებულებს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდნენ საკუთარი ნაშრომის შინაარსსა და სტრუქტურას, მის ენობრივ-სტილისტურ მხარეებს, ჩაწვდნენ კონტექტს; შეაფასონ, რამდენად გასაგებად, ცხადად და გამართულად აქვთ გამოთქმული ესა თუ ის აზრი/თვალსაზრისი/იდეა; თვალსაჩინოდ დაინახონ თავიანთი ნაშრომების ნაკლი და ღირსება. ეს ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას და სტიმულს აძლევს მეტაკოგნიტური უნარების განვითარების პროცესს.

აქტივობის მიზნები:

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება; კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერისას სათანადო ენობრივ-სტილისტური ნორმების მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შევსება; ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ნაწერის რედაქტირების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- თვითშეფასების უნარის განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური (პირველი-მესამე ნაწილები), წყვილური/ჯგუფური (მეორე ნაწილი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

აქტივობის აღწერა:

ნაწერში ტავტოლოგიების აღმოფხვრის მიზნით მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, გაყონ თავიანთ რვეულებში ერთი გვერდი ორ ნაწილად; ერთ სვეტში ჩამოწერონ მათ მიერ გამოყენებული ზმნები/არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, მეორე სვეტში კი მიუთითონ (არაბული ციფრებით), რამდენჯერ აქვთ გამოყენებული შესაბამისი სიტყვა.

ნიმუში:

ძლიერი	<p>7-ჯერ</p> <p>სინონიმები:</p> <p>ლონიერი, ძლევამოსილი, უზარმაზარი ძალის მქონე, დევგმირი, დიდი ჯან-ლონის პატრონი</p>
--------	---

ამგვარი ცხრილი თვალსაჩინოდ დაანახებს მოსწავლეებს, რომ ხშირად გამოყენებული სიტყვა სინონიმითაა შესაცვლელი. სინონიმების ძიებაზე მოსწავლეებმა შეიძლება წყვილებში/ჯგუფებში იმუშაონ ერთობლივად, ლექსიკონის დახმარებით.

სინონიმების მოძებნის შემდეგ მოსწავლეებს დაევალებათ, შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, მოძიებული სინონიმებით ჩაანაცვლონ ხშირად გამოყენებული სიტყვა და ამ სახით დაწერონ წინადადებები.

აქტივობის ხანგრძლივობა: 15-18 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ლექსიკონის გამოყენება;
- წინადადების აგებისას ადეკვატური ლექსიკური ერთეულების გამოყენება;
- სინონიმების მოძიება, კონტექსტის მიხედვით შერჩევა და სათანადოდ გამოყენება;

- ნაწერის რედაქტირების მარტივი ხერხების გამოყენება;
- წერის სტრატეგიების გამოყენება;
- თვითშეფასება;
- თანამშრომლობა.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VIII. 12.

აქტივობა № 2: სიტყვების „რახარუხის“ წინააღმდეგ

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება ტექსტის გააზრების, რედაქტირების, გამართული წერითი მეტყველებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

აქტივობის მიზნები:

- ტექსტის გააზრების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი მეტყველებისას სათანადო ენობრივ-გრამატიკული, სინტაქსური და სტილისტური ნორმების მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ნაწერის რედაქტირების უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური (პირველი ნაწილი), წყვილური /ჯგუფური (მეორე ნაწილი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

აქტივობის აღწერა:

აქტივობა ნათლად დაანახებს მოსწავლეებს, რომ წერისას ისინი საკმაოდ ხშირად იყენებენ ზედმეტ, არაფრისმთქმელ სიტყვებს, რის გამოც წინადადებები მოუქნელი და სინტაქსურად გაუმართავი გამოდის.

მოსწავლეთა ნაწერების სინტაქსურად გამართვის მიზნით, მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომ რვეულის გვერდი ორ ნაწილად გაყოფონ. პირველ ნაწილში მოსწავლეებმა უნდა ჩამოწერონ წინადადებების რიცხვითი შესატყვისები (1., 2., 3...) და ყოველ წინადადებაში დათვალონ სიტყვათა რაოდენობა; სქემის მეორე მხარეს კი, თითოეულ წინადადებასთან, აღნიშნონ/მიუწერონ, რამდენი სიტყვისგან შედგება იგი (იხ. ნიმუში).

სიტყვების დათვლის შემდეგ მოსწავლეები ყურადღებას გაამახვილებენ გრძელ წინადადებებზე. სავარაუდოდ, გრძელი წინადადებები სინტაქსურად გაუმართავი იქნება. ამის დადგენის შემდეგ მასწავლებელი წყვილებში/ჯგუფებში გადაანაწილებს მოსწავლეებს. წყვილის/ჯგუფის წევრები ამგვარ წინადადებებს ხმამაღლა წაუკითხავენ ერთმანეთს და შეეცდებიან მათ შემოკლებას, გამართვას, დახვეწას და ნაწერის გასუფთავებას სიტყვების „რახარუხისაგან“.

ნიმუში:

წინადადება №1	5 სიტყვა
წინადადება №2	7 სიტყვა
წინადადება №3	12– სიტყვა
წინადადება №4	6 -სიტყვა
წინადადება №5	14– სიტყვა
წინადადება №6	9 -სიტყვა
წინადადება №7	11 —სიტყვა

აქტივობის ხანგრძლივობა: 15-18 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- წინადადების აგებისას სწორი გრამატიკური ფორმების გამოყენება,
- ზმნური კონსტრუქციების მართებულად გამოყენება;
- ადეკვატური ლექსიკური ერთეულების გამოყენება;
- ნაწერის რედაქტირების სტრატეგიების გამოყენება;
- თანამშრომლობა.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VIII. 12.

აქტივობა № 3. მოვემზადოთ წერისათვის: ვირჩევთ თემას

აქტივობის შესახებ: აქტივობა ე.წ. ფოკუსირებული თავისუფალი წერის ნიმუშს წარმოგვიდგენს და გამიზნულია წერის წინა ეტაპისათვის. აქტივობა ხელს უწყობს წერთი მეტყველების განვითარებას, ავითარებს ინფორმაციის დახარისხებისა და კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევებს; ააქტიურებს იდეების გენერირების პროცესს, ხელს უწყობს წერის პროცესის ეტაპებისა და წერის სტრატეგიების გაცნობიერებას, დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

აქტივობის მიზნები:

- იდეების გენერირების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის დახარისხებისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერის პროცესის ეტაპების გააზრება;
- წერის სტრატეგიების გაცნობიერება;
- წერთი მეტყველების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსები: რვეული, სანერი კალამი.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ თხზულება ერთ-ერთ დღეზე, რომელიც მათ განსაკუთრებით დაამახსოვრდათ. მომავალი ნამუშევრის იდეის მოსაფიქრებლად კი მოაწყობს ე.წ. ფოკუსირებული თავისუფალი წერის ხანმოკლე სესიას. იგი წინასწარ გააფრთხილებს მოსწავლეებს დროითი რეგლამენტის შესახებ (5-10 წუთი). სესიის დაწყებამდე მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს ფოკუსირებული თავისუფალი წერის არსს (იხ. წერის მიმართულება, შესავალი ნაწილი, აგრეთვე ქვემოთ, პუნქტი „მეთოდური მითითებები“).

I ეტაპი – მოსწავლეები შეუდგებიან წერას.

II ეტაპი – დანიშნული დროის ამონურვის შემდეგ შემდეგ მოსწავლეები გადახედავენ თავიანთ ნამუშევრებს და შეარჩევენ იდეას მომავალი ნამუშევრისათვის (არასაჭირო სიტყვებს გადახაზავენ).

III ეტაპი – შერჩეული თემის შესაბამისად მოსწავლეები მოიფიქრებენ თავიანთი მომავალი ნამუშევრის სათაურს და შეადგენენ გეგმას, რომელშიც ჩამოწერენ მოვლენებს ქრონოლოგიის დაცვით. სამუშაოს დასრულების შემდეგ წარადგენენ ნამუშევრებს.

სახლში შესასრულებლად მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადგინონ წერიტი ნამუშევარი შერჩეული სათაურისა და გეგმის შესაბამისად.

ნიმუში. ფოკუსირებული თავისუფალი წერა (სტილი დაცულია)

„დღე რომელიც დამამახსოვრდა დამამახსოვრდა დღე. დაბადების დღე ახალი წელი. კიდეც რა დღე შეიძლება? ფეხბურთზე რომ ვიყავი. კიდეც რა? კიდეც უნდა რალაცა მოვიფიქრო დაბადების დღეზე დაწერს ალბათ ყველა. რალაცა სხვა უნდა მოვიფიქრო. მოვიფიქრო. მოვიფიქრო. ახალი წელი რომ ავიღო დასაწერად ან ზღვაზე რომ ვიყავით, მაგრამ ერთი დღეა დასაწერი. რომელი ახალი წელი დავწერო ბაბუ რომ ჩვენთან იყო მაშინ ის რომ დავწერო? მაშინ ცოცხალი იყო. ბაბუ ბაბუ მოკლე რალაცას დავწერ. რომ ახალ წელს ბაბუასთან ერთად შევხვდით. ვერაფერს ვერ ვფიქრობ. თან არ შეიძლება გაჩერება. აკვავარკში რომ ვიყავით ყველანი ის ხომ არ დავწერო? ძაან კარგი იყო მაგრამ დიდი ხნის წინ იყო თან მაშინ ბევრი უნდა დავწერო. ბაბუ რომ ...“

ნიმუში. ნამუშევრის სათაური და გეგმა

„ახალი წლის დღეს“

1. შარშანდელი ახალი წლის დღეა.
2. საახალწლო საჩუქრების მიღება. ბაბუას საჩუქარი.
3. ნათესავების სტუმრობა.
4. სადღესასწაულო სადილი.
5. სასეირნოდ წასვლა ბაბუასთან ერთად.
6. რითი იყო ეს ახალი წელი განსაკუთრებული.

აქტივობის ხანგრძლივობა: 17-20 წუთი

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- იდეების გენერირება;
- ინფორმაციის დახარისხება;
- კრიტიკული აზროვნება;
- წერის სტრატეგიების გამოყენება.

მეთოდური მითითებები:

▪ თავისუფალი წერა ერთ-ერთი საშუალებაა წერიტი ნამუშევრისათვის საჭირო იდეების გენერირებისათვის. ზემოთ აღწერილი აქტივობა წარმოგვიდგენს ე.წ. ფოკუსირებული თავისუფალი წერის ნიმუშს (თავისუფალი წერა კონკრეტულ თემაზე). მასწავლებელი წინასწარ უნდა განუსაზღვროს მოსწავლეებს დრო თავისუფალი წერისათვის (მაგ., 5-10 წუთი). აუცილებელია, რომ წერის პროცესი მიდიოდეს შეფერხებების გარეშე, მშვიდ გარემოში. მოსწავლეები უნდა წერდნენ შეუსვენებლად, არ იფიქრონ გრამატიკული ნორმების დაცვაზე – უნდა გვახსოვდეს, რომ თავისუფალი წერის არსი წერისა და ფიქრის პროცესის მაქსიმალური დაახლოებაა. სხვა სიტყვებით, მოსწავლეებმა უნდა „გადმოღვარონ“ თავიანთი ფიქრები ქალაქდზე; წერონ ისე, როგორც ფიქრობენ და რასაც ფიქრობენ, ენობრივი თუ სხვა სახის კორექტირებების გარეშე. აქედან გამომდინარე, თავისუფალი წერისას დასაშვებია არასრული წინადადებების და/ან ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელი წინადადებების, ცალკეული სიტყვების, ფრაზების გამოყენება.

- თუკი მოსწავლემ არ იცის, როგორ გააგრძელოს წერა, მას შეუძლია გააგრძელოს ბოლო სიტყვის წერა მანამდე, სანამ ახალის აზრი (სიტყვა) არ გაუჩნდება (იხ. ზემოთ მოყვანილი ნიმუში);
- ნამუშევრის საბოლოო ვერსიაში თავისუფალი წერის დროს დაწერილი ტექსტი, ცხადია, სრული სახით არ აისახება.
- „თავისუფალი წერის“ სტრატეგიის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია პერსონალური ესეს, პირადი დამოკიდებულების ამსახველი ესესა და/ან შემოქმედებითი წერის დროს.

კავშირი სხვა საგნებთან: აქტივობა ავითარებს კრიტიკულ აზროვნებასა და მეტაკოგნიტურ უნარებს (წერის პროცესის ეტაპების გააზრების გზით), რომლებიც საჭიროა მეცნიერების ნებისმიერი სხვა დარგის შესასწავლად.

ვარიანტი (ბ)

დაწეროთ პირველი წინადადება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ იმაზე თუ რატომ უჭირთ წერა/რატომ ვერ წერენ. მოსწავლემ უნდა აღწეროს, როგორ და/ან რატომ უჭირს წერა და „დაატრიალოს“ სათაური რამდენჯერმე. ამ დროს პირველი წინადადება შეიძლება „თავისით მოვიდეს“.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VIII. 10, 12, 13.

აქტივობა № 4. დავებმართო მკითხველს გზის გაკვალვაში

აქტივობის შესახებ: აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების გააზრებაში, ავარჯიშებს მათ ე.წ. გადასვლების – ნაწერის ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან დასაკავშირებელი ენობრივი ფორმულებისა და კონსტრუქციების გამოყენებაში. აქტივობა ასევე ხელს უწყობს ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარებას ტექსტების ორგანიზაციულ ყალიბზე (დროითი, ლოგიკური, სხვ.) ფოკუსირების გზით. აქტივობა წარმოდგენილია 2 ვარიანტად: ა ვარიანტი შედგენილია მიზეზშედეგობრივი მიმართების ამსახველი ტექსტისათვის, ბ ვარიანტი – დროითი მიმართების ამსახველი ტექსტისათვის. აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე.

აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი მეტყველების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის მონაწილეობით (I ეტაპი), ინდივიდუალური (II ეტაპი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალმები, რვეულები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს გაესაუბრება ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციების მნიშვნელობაზე. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ მათი მნიშვნელობა, შესაძლებელია შემდეგი ანალოგიის მოყვანა: ტექსტის მკითხველი ესაა ტურისტი, რომელიც უცხო ქვეყანაში მოგზაურობს. იმისათვის, რომ მას გზა არ აებნას, აუცილებელია „საგზაო ნიშნების“ გამოყენება – ტექსტის წერის დროს გამოყენებული ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციები ერთგვარი საგზაო ნიშნებია, რომელთა დახმარებით მკითხველი შეძლებს თავისუფლად „გადაადგილებას“ ტექსტში.

ამ კონსტრუქციების ადეკვატურად გამოყენებაზე სავარჯიშოდ მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს, დაწერონ მცირე ზომის ტექსტი, რომელშიც გამოიყენებენ ტექსტის ტიპისა და ორგანიზაციული ყალიბის შესაბამის ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივ საშუალებებს (მაქსიმალური რაოდენობით).

I ეტაპი – წერის დაწყებამდე მასწავლებელი მიმართავს გონებრივი იერიშის სტრატეგიას და მოსწავლეთა აქტიური თანამონაწილეობით დაფაზე ჩამოწერს ენობრივ ფორმულებსა და კონსტრუქციებს (სამუშაოდ შერჩეული ტექსტის ტიპის შესაბამისად), რომლებიც მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ტექსტის შეთხზვის დროს.

ნიმუში:

ვარიანტი ა. მიზეზშედეგობრივი მიმართების ამსახველი ტექსტისათვის: *ამიტომ, იმიტომ, რადგან, აქედან გამომოდინარე, შედეგად, რადგანაც, ასე რომ, ...-ის მიზეზით, ...-ის შედეგად, ...-ის გამოისობით და ა.შ.*

ვარიანტი ბ. დროითი მიმართების /თანამიმდევრობის ამსახველი ტექსტი-

სათვის: თავიდან, თავდაპირველად, პირველად, პირველ რიგში, შემდეგ, ...-ის შემდეგ, ამ დროს, ...-ის დროს, ამასობაში, მეორედ, ბოლოს, ...-ის ბოლოს, საბოლოოდ და ა.შ.

II ეტაპი – მოსწავლეები წერენ მცირე ზომის თხზულებას დაფაზე დანერილი ენობრივი კონსტრუქციებისა და კლიშეების გამოყენებით.

ნიმუში:

ვარიანტი ა. მიზეზშედეგობრივი მიმართების ამსახველი ტექსტი მიზეზები-სა და შედეგების დეტალური ჩვენებით.

შესაძლო თემები: სიცრუის მიზეზები და შედეგები, მეგობრობის მიზეზები და შედეგები, ცუდად სწავლის მიზეზები და შედეგები, სხვ.

ვარიანტი ბ. დროითი თანამიმდევრობის ამსახველი საინსტრუქციო ტექსტი მოქმედების ეტაპების დეტალური ჩვენებით.

შესაძლო თემები: როგორ მოვემზადოთ გამოცდისათვის/სპორტული შეჯიბრებისათვის, როგორ გავატაროთ ზაფხულის არდადეგები, როგორ დავისვენოთ ზღვაზე და მისთ.

თუკი მასწავლებელი მიზანშეწონილად ჩათვლის, შესაძლებელია სახუმარო თემების შეთავაზებაც, მაგ.: როგორ ავირიდოთ თავიდან საოჯახო დავალების შესრულება, როგორ დავკარგოთ საუკეთესო მეგობარი, როგორ ჩავიჭრათ გამოცდაზე, როგორ მოვიმატოთ 7 დღეში 14 კგ. და მისთ.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12-15 წუთი.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტის ორგანიზაციული ყალიბის გააზრება;
- ტექსტის ტიპის შესაფერისი ენობრივი ფორმულებისა და კონსტრუქციების გამოყენება;
- შეთავაზებული მოდელის მიხედვით მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი იძლევა დამატებით ახსნა-განმარტებებს, შენიშვნებს, აკეთებს კომენტარებს.

მეთოდური მითითება: აქტივობის ჩატარებამდე, სასურველია, მოსწავლეები გაეცნონ სათანადო ტექსტს, რომელშიც გამოყენებული იქნება ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი კონსტრუქციები (ე.წ. **გადასვლები**).

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. VII. 9; ქართ. VII. 11, 13, 14; ქართ. VIII. 9; ქართ. VIII. 12, 13; ქართ. IX. 7, 8; ქართ. IX. 11, 12, 13.

საშუალო საფეხური

მიმართულება: ზეპირმეტყველება, წერა

აქტივობა. მოვუსმინოთ და გავიაზროთ

აქტივობის შესახებ:

აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა სმენის უნარების, აგრეთვე კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებას. იგი დაეხმარება მოსწავლეებს, გამოიმუშაონ მოსმენილი ინფორმაციის სათანადოდ აღქმის, დახარისხებისა და კატეგორიზაციის უნარები მარტივი ცხრილის შევსების გზით, რომელშიც მოსმენილი ინფორმაცია ორ სვეტში იქნება ორგანიზებული. ამგვარი ორგანიზება მოსწავლეებს დაეხმარება მოსმენილი ინფორმაციის გააზრებაში, დახარისხება-კატეგორიზაციასა და შეჯამებაში. აქტივობა ტარდება ორ ეტაპად. იგი კომპლექსური სახისაა და ფარავს ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებს.

აქტივობა წარმოდგენილია ორი (ა, ბ) ვარიანტის სახით. მეორე (ბ) ვარიანტი პირველის გართულებულ სახესხვაობას წარმოადგენს.

აქტივობის მიზანი:

- ზეპირად მოსმენილი ინფორმაციის აღქმისა და გააზრების უნარ-ჩვევების განვითარება;
- სმენის უნარის განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების, კატეგორიზაციის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი მეტყველების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური (I ეტაპი), წყვილური (II ეტაპი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეულები, საწერი კალმები, ნაბეჭდი ფურცლები (საჭირო რაოდენობით).

აქტივობის აღწერა:

I ეტაპი – მოსმენამდე:

მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს წინასწარ მომზადებულ ფურცლებს, რომლებზედაც გამოსახულია მარტივი ორსვეტიანი ცხრილი (ცხრილის ნიმუში იხ. ქვემოთ). ამავე ცხრილს მასწავლებელი დახაზავს დაფაზე და განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ორსვეტიანი ცხრილი მოსმენილი ინფორმაციის დამახსოვრებისა და გააზრებისთვის არის საჭირო. ცხრილის მარცხენა (1-ლი) სვეტი წარმოადგენს მთავარი იდეების სვეტს – აქ ჩაინერება ძირითადი, მთავარი იდეა/იდეები, მარჯვენა (მე-2) სვეტი – შენიშვნების/დამადასტურებელი მასალის სვეტია. მასწავლებელი დეტალურად უხსნის მოსწავლეებს, როგორ უნდა იმუშაონ ცხრილის შევსებაზე, კერძოდ:

- მოსმენის დროს მოსწავლეები ავსებენ მხოლოდ მეორე, მარჯვენა სვეტს (დამადასტურებელი ფაქტები და მოვლენები);

- მოსმენის შემდეგ მოსწავლეები ავსებენ პირველ სვეტს. ამისთვის მათ უნდა დაახარისხონ პირველ სვეტში არსებული ჩანაწერები და შესაბამისად გააკეთონ ჩანაწერები მარცხენა (1-ლ) სვეტში.

ნიმუში. ორსვეტიანი ჩანაწერის სქემა.

თემა:	
მთავარი იდეები	დამადასტურებელი ფაქტები და მოვლენები
•	<ul style="list-style-type: none"> • • • • • • • და ა.შ.

II ეტაპი – მოსმენის დროს:

მასწავლებელი კლასს უკითხავს წინასწარ მომზადებულ ტექსტს, რომელიც შერჩეული უნდა იყოს მოსწავლეთა ცოდნის დონისა და უნარების გათვალისწინებით. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და ავსებენ მარჯვენა სვეტს.

მოსმენის შემდეგ: მოსწავლეები გადაიკითხავენ თავიანთ ჩანაწერებს და ავსებენ მარცხენა სვეტს.

III ეტაპი – შევსებულ ცხრილს მოსწავლეები გააცნობენ მენეჯერებს, მოკლე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მენეჯერები თანხმდებიან საბოლოო ვარიანტზე.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მენეჯერები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი რიგრიგობით ეცნობა მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებს. ერთ-ერთი მენეჯერე ზეპირად წარადგენს ნამუშევარს, მეორე მენეჯერე კი დაფასთან გადის ცხრილის შესავსებად. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი აკეთებს კომენტარებს, იძლევა ახსნა-განმარტებას და მისთ. მასწავლებლის შენიშვნების გათვალისწინებით თანდათან ივსება დაფაზე გამოსახული ორსვეტიანი ცხრილი. საბოლოო ვარიანტი მოსწავლეებს გადააქვთ რვეულბუში.

ვარიანტი (ბ):

შერჩეულია ტექსტი, რომელშიც ერთზე მეტი მთავარი იდეაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს შეიძლება დასჭირდეთ ორსვეტიანი ცხრილის შემავსებელი ჩანაწერების ორი ვერსიის (პირველადი და საბოლოო) მომზადება. პროცედურულად ბ ვარიანტი ისევე მიმდინარეობს, როგორც ა ვარიანტი – მოსმენის დროს მოსწავლეები ავსებენ მხოლოდ მარჯვენა სვეტს.

მოსმენის შემდეგ მოსწავლეები მიუბრუნდებიან მარჯვენა სვეტს, გადაიკითხავენ და გაიაზრებენ ყველა შენიშვნას, შემდეგ დააჯგუფებენ მათ სხვადასხვა სექციაში ამა თუ იმ კონკრეტული მთავარი იდეის გარშემო. მაგ., თუკი მოსწავლეებმა მოისმინეს ტექსტი ქართული რომანტიზმის შესახებ, მარცხენა სვეტში, სავარაუდოდ, შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი სექცია. სექცია **ა**: ქართული რომანტიზმის წარმოშობის მიზეზები; სექცია **ბ** – ქართველი რომანტიკოსი მწერლები. ჩანაწერების საბოლოო ვერსია კი ამგვარ სახეს მიიღებს:

ნიმუში.

თემა: ქართული რომანტიზმი	
მთავარი იდეები	ფაქტები და მოვლენები
ა) ქართული რომანტიზმის წარმოშობის მიზეზები	<ul style="list-style-type: none"> ○ ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა ○ ევროპული და რუსული ლიტერატურის გავლენა ○ სხვ.
ბ) ქართველი რომანტიკოსი მწერლები	<ul style="list-style-type: none"> ○ ალექსანდრე ჭავჭავაძე ○ გრიგოლ ორბელიანი ○ ნიკოლოზ ბარათაშვილი ○ სხვ.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მოსმენილი ინფორმაციის აღქმა და გააზრება;
- კრიტიკული აზროვნება.

მეთოდური მითითებები: თუკი ჩანაწერები არასრულია, მოსწავლეს შეუძლია შეავსოს ნაკლები ინფორმაცია შეკითხვის დასმის გზით (ჰკითხოს მენეჯერს და/ან მასწავლებელს). საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის შევსების მიზნით, მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს დაურიგოს მათ მიერ მოსმენილი ტექსტის ბეჭდური ვერსიაც (წინასწარ მომზადებული); მოსწავლეები წაიკითხავენ ტექსტს და შეავსებენ ნაკლებ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში ტექსტის დამუშავება შესაძლებელია მისი ცალკეული პასაჟების სხვადასხვა ფერის მარკერებით მონიშვნის გზით. ეს, ერთი მხრივ, გაუადვილებს მოსწავლეებს სამუშაოს, მეორე მხრივ, დამატებითი სტიმული იქნება კატეგორიზაციის უნარ-ჩვევების გასავითარებლად. მოსწავლეები ლურჯი ფერის მარკერით აღნიშნავენ თემასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ძირითად იდეებს – მწვანე ფერის მარკერით, ფაქტებსა და მოვლენებს – ყვითელი ფერის მარკერით (ცხადია, შესაძლებელია სხვა ფერის მარკერების გამოყენებაც. მთავარია, დავიცვათ პრინციპი: თითოეული ცალკეული პარამეტრი აღინიშნება ერთი რომელიმე ფერის მარკერით. მოსწავლეები და მასწავლებელი წინასწარ უნდა

შეთანხდნენ ფერებისა და პარამეტრების შესაბამისობების პრინციპზე). ამ შემთხვევაში აქტივობა კომპლექსურ სახე ლებულობს და ფარავს კითხვის მიმართულებასაც.

როდესაც მოსწავლეები მეტ-ნაკლებად აითვისებენ ჩანაწერების კეთების ტექნოლოგიას, მასწავლებელს შეუძლია მათ დაავალოს ჩანაწერების მომზადება მასწავლებლის მინილექციის, სხვა მოსწავლეების საჯარო გამოსვლებისა და/ან დებატების მოსმენის დროს.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. XI. 2, 4; ქართ. XI. 12, 14.

მიმართულება: კითხვა, წერა

აქტივობა № 1. გადმოვცეთ მხოლოდ არსებითი – ვადგენთ რეზიუმეს

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას. აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, განვიტარონ ინფორმაციის დახარისხების – მთავარისა და არამთავარის ერთმანეთისაგან გამიჯვნის უნარ-ჩვევები წერიტი ნამუშევრის რეზიუმირების გზით; გაეცნონ აკადემიური წერის საბაზისო მოთხოვნებს, კერძოდ, წყაროების სავალდებულო მითითების წესს. აქტივობა კომპლექსური სახისაა და მიემართება კითხვისა და წერის მიმართულებებს.

აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი მეტყველების განვითარება;
- თანამშრომლობა.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილური.

რესურსები: ამობეჭდილი სამოდულო ტექსტი (საჭირო რაოდენობით), რვეულები, საწერი კალმები, ფერადი მარკერები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს გაესაუბრება რეზიუმირების არსზე, გააცნობიერებინებს მათ, რომ რეზიუმირების დროს აუცილებელია, სათქმელი გადმოიცეს მოკლედ, მხოლოდ არსებით მხარეების გამოკვეთით. ეს, ძირითადად, გულისხმობს მთავარი და დამხმარე/დამატებითი ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნას. მასწავლებელი მოიყვანს პარალელს – რეზიუმირება ყველა ჩვენგანს უნევს ყოველდღე – რეზიუმირებას ვაკეთებთ, როდესაც ვყვებით რაიმე ამბავს, რომელიც შეგვემთხვა (შეუძლებელია ყველაფრის გადმოცემა სიტყვასიტყვით) და/ან მეგობარს ვუყვებით ფილმს. ამდენად, ეს საქმიანობა (რეზიუმირება) ყველა მოსწავლისათვისაა ნაცნობი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მეწყვილესთან ერთად გაეცნონ შეთავაზებულ ტექსტს და შეადგინონ რეზიუმე მასწავლებლის მიერ შედგენილი პირობების მიხედვით. სამუშაოს გასაადვილებლად მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს, ფერადი მარკერით მონიშნონ მთავარი საკითხები

ტექსტში (მთავარი საკითხების გამოყოფა შეიძლება აგრეთვე სიტყვების ქვეშ ხაზის გასმით).

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეების წყვილებს დაურიგებს შერჩეული ტექსტის ამობეჭდილ ვერსიას. ამავე ფურცელზე უნდა იყოს დაბეჭდილი რეზიუმეს შესადგენად აუცილებელი 4 პირობა (იხ. ქვემოთ).

ნიმუში:

www. hawa-hawaii

ჰავაიური ქორწილი

ჰავაიური ქორწილის უნიკალური იერსახე ჰავაის კუნძულზე არსებულ კულტურათა ურთიერთშერწყმის შედეგია. საქორწილო ზეიმს განსაკუთრებულ ელფერს სძენს ჰავაიური ტანსაცმელი, მუსიკა და ჰავაიური წეს-ჩვეულებები. პატარძალს აცვია გრძელი თეთრი ჰოლოკუ (საქორწინო კაბა), სიძეს კი – გრძელსახელოებიანი თეთრი პერანგი და წითელი შარვალი. ორივეს – პატარძალსაც და სიძესაც ყვავილწუნულების ყელსაბამები კიდიათ. პატარძლის ყელსაბამი თეთრი ყვავილებისგანაა დანზული, სიძის – მწვანე ყვავილებისგან. ჰავაიური ჩვეულებით, საქორწინო ცერემონიის დასაწყისში სიძე და პატარძალი სამჯერ ჩაბერავენ ზღვის დიდ ნიჟარაში. ჰავაიური ხალხური მუსიკა ჟღერს როგორც უშუალოდ ცერემონიის დროს, ისე მოგვიანებით, როდესაც იწვება საქორწინო სუფრისათვის აუცილებელი მწვადები. სტუმრები მღერიან, ცეკვავენ, ბედნიერებას უსურვებენ ახალდაქორწინებულებს.

სხვა წეს-ჩვეულებები, რომლებიც შეიძლება ჩართული იყოს საქორწილო ზეიმში, დამოკიდებულია სიძის ან პატარძლის ეთნიკურ წარმომავლობაზე. თუკი სიძე ან პატარძალი ეთნიკურად ჩინელია, შეიძლება გამოიყენებული იყოს ფეიერვერკი – ჩინური წესი, რომელიც ავსულებს აფრთხობს; იაპონური ორიგამი (სხვადასხვა ფორმით დაკეცილი ქალაღებები) გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი ახალდაქორწინებული იაპონელია. როცა ეთნიკურად ფილიპინელი ქორწინდება, გამოიყენებენ ფილიპინურ პანდანგოს – ფულის ბანკნოტებისაგან გაკეთებულ ერთგვარ ლენტს, რომელსაც სიძესა და პატარძალს შემოახვევენ პირველი საქორწინო ცეკვის დროს. ამ მრავალფეროვანი ტრადიციების წყალობით ჰავაიური ქორწილი ნამდვილად უჩვეულო მულტიკულტურულ მოვლენას წარმოადგენს.

დავალბა. დაწერეთ რეზიუმე ტექსტისა „ჰავაიური ქორწილი“.

რეზიუმეს შედგენისას გაითვალისწინეთ შემდეგი:

1. დასაწყისში მიუთითეთ ავტორი/წყარო. მომდევნო ხაზზე, ცენტრში, მოიყვანეთ ტექსტის სათაური. მომდევნო ხაზის ცენტრში, ფრჩხილებში, მიუთითეთ: „(რეზიუმე)“.
2. რეზიუმეს წერისას გამოიყენეთ მხოლოდ მთავარი ინფორმაცია, ნუ გაითვალისწინებთ დეტალებს;
3. გადმოეცით შინაარსი თქვენი სიტყვებით. ავტორის სიტყვები, ფრაზები მოიყვანეთ მხოლოდ ციტატის სახით;

4. არ დაუმატოთ ახალი აზრი, დაკმაყოფილდით მხოლოდ იმით, რაც წერია ტექსტში. თქვენი აზრები, თვალსაზრისი, პოზიცია რეზიუმეში არ უნდა ასახოთ.

მოსწავლეები ყურადღებით, აბზაც-აბზაც ეცნობიან ტექსტს, ფერადი მარკერით მონიშნავენ ტექსტში მთავარ ინფორმაციას. თეზისის შემცველ წინადადებას, თემატურ წინადადებას და ძირითადი ინფორმაციის შემცველ სხვა ადგილებს.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ფერადი მარკერით მონიშნულ ადგილებს, შემდეგ თავიანთი სიტყვებით გადმოსცემენ იმ ინფორმაციას, რომელიც მოყვანილია ამ (ფერადი მარკერით მონიშნულ) ნაწილებში...

შესრულებული დავალების ნიმუში:

www.hawa-hawaii

ჰავაიური ქორწილი

(რეზიუმე)

ჰავაიურ საქორწილო რიტუალში სხვადასხვა კულტურაა შერწყმული. ჰავაიურ კულტურას მიეკუთვნება ნეფე-პატარძლის ჩაცმულობა, ყვავილწუნულების გამოყენების ჩვეულება, მუსიკა და ცერემონია ქორწილის დაწყების წინ. ჰავაიურ ქორწილში შეიძლება ჩართული იყოს აგრეთვე ჩინური, იაპონური და ფილიპინური წეს-ჩვეულებებიც – იმ შემთხვევაში, თუკი სიძე ან პატარძალი რომელიმე ამ ნაციონალობის წარმომადგენელია.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს მათ შენიშვნებს, აწვდის დამატებით ახსნა-განმარტებებს.

შეფასება: ამ აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კრიტიკული კითხვა;
- ინფორმაციის დახარისხება;
- ფუნქციური წერითი ნამუშევრის შექმნა მოცემული პირობის მიხედვით;
- აკადემიური წერის საბაზისო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. X. 6, 7, 10; ქართ. X. 16.

აქტივობა № 2. ვადგენთ თემატურ წინადადებას

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარებას, ზოგადად, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებას. წერითი ნამუშევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – თეზისის შემცველი წინადადების შედგენაზე ვარჯიში დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთ გააცნობიერონ კავშირი წერითი ნამუშევრის სხვადასხვა კომპონენტს (თემა, ტექსტის სტრუქტურული ელემენტები, ცალკეული წინადადებები, სხვ.) შორის. აქტივობა კომპლექსური სახისაა, ტარდება 3 ეტაპად და მიემართება კითხვისა და წერის მიმართულებებს.

აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი ნამუშევრის სტრუქტურის გააზრება;
- წერიტი მეტყველების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილური.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეულები, საწერი კალმები. წინასწარ შერჩეული და ქალაქდზე ამობეჭდილი ტექსტი და 3 დავალება (საჭირო რაოდენობით)

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს გაესაუბრება თემატური წინადადების არსსა და მნიშვნელობაზე¹. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ: თემატურ წინადადებაში გამოთქმულია წერიტი ნამუშევრის მთავარი იდეა, რომელიც განხილულია ნამუშევარში; შეძლებისდაგვარად, თემატური წინადადება შედგენილი უნდა იყოს იმგვარად, რომ დააინტერესოს მკითხველი (განსაკუთრებით აქტუალურია გარკვეული ტიპის, მაგ.: თხრობითი და საინფორმაციო ტექსტებისათვის).

მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს ქალაქდზე ამობეჭდილს სამუშაო მასალას.

1 ეტაპი. ნიმუში:

ჰავაიური ქორწილი

ჰავაიური ქორწილის უნიკალური იერსახე ჰავაის კუნძულზე არსებულ კულტურათა ურთიერთშერწყმის შედეგია. საქორწილო ზეიმს განსაკუთრებულ ელფერს სძენს ჰავაიური ტანსაცმელი, მუსიკა და ჰავაიური წეს-ჩვეულებები. პატარძალს აცვია გრძელი თეთრი ჰოლოკუ (საქორწინო კაბა), სიძეს კი – გრძელსახელოებიანი თეთრი პერანგი და წითელი შარვალი. ორივეს – პატარძალსაც და სიძესაც ყვავილწულეების ყელსაბამები კიდიათ. პატარძლის ყელსაბამი თეთრი ყვავილებისგანაა დანსული, სიძის – მწვანე ყვავილებისგან. ჰავაიური ჩვეულებით, საქორწინო ცერემონიის დასაწყისში სიძე და პატარძალი სამჯერ ჩაბერავენ ზღვის დიდ ნიჟარაში. ჰავაიური ხალხური მუსიკა ჟღერს როგორც უშუალოდ ცერემონიის დროს, ისე მოგვიანებით, როდესაც წვავენ საქორწილო სუფრისათვის აუცილებელ მწვადს.

სხვა წეს-ჩვეულებები, რომლებიც შეიძლება ჩართული იყოს ზეიმში, დამოკიდებულია სიძის ან პატარძლის ეთნიკურ წარმომავლობაზე. თუკი სიძე ან პატარძალი ეტნიკურად ჩინელია, შეიძლება გამოყენებული იყოს ფეიერვერკი – ჩინური წესი, რომელიც ავსულებს აფრთხობს; იაპონური ორიგამი (სხვადასხვა ფორმით დაკეცილი ქალაქდები) გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი ახალდაქორწინებული იაპონელია. მაშინ კი, როდესაც ეთნიკურად ფილიპინელი ქორწინდება, იყენებენ ფილიპინურ პანდანგოს – ფულის ბანკნოტებისაგან გაკეთებულ ერთგვარი ლენტს, რომელსაც სიძესა და პატარძალს შემოახვევენ პირველი საქორწინო ცეკვის დროს. ამ მრავალფეროვანი ტრადიციების წყალობით ჰავაიური ქორწილი ნამდვილად უჩვეულო მულტიკულტურულ მოვლენას წარმოადგენს.

¹ ამ საკითხებთან დაკავშირებით დამატებით იხ. ზემოთ (წერის ეტაპი).

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს. მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას გაამახვილებს თემატური წინადადების (ესაა შეთავაზებული ტექსტის პირველი წინადადება) ნაწილებზე. ესენია: ა) თემა – ჰავაიური ქორწილის უნიკალური იერსახე; ბ) შემომსახვრელი იდეა – ჰავაის კუნძულზე არსებულ კულტურათა ურთიერთშერწყმა. აქცენტირებამ ჰავაიური საქორწილო რიტუალის უნიკალურ იერსახეზე კი, სავარაუდოდ, მკითხველში ინტერესი უნდა აღძვრას (მაინც რითია უნიკალური?)

II ეტაპი – მუშაობის მომდევნო ეტაპი ფოკუსირებულია იმაზე, რომ მოსწავლეებმა ამოიცნონ და გაიაზრონ კავშირი წინადადებასა და ტექსტის დანარჩენ ნაწილებს შორის: ფაქტობრივად, ტექსტის დანარჩენი ნაწილი (გარდა ბოლო დასკვნითი წინადადებისა) ემსახურება იმას, რომ გაგვაცნოს ჰავაიური საქორწილო რიტუალის დეტალები მათი მულტიკულტურული ხასიათის ჩვენებით. ყველა ეს დეტალი მოწოდებულია იმ მიზნით, რომ დადასტურდეს პირველ წინადადებაში გამოთქმული აზრი კულტურათა ურთიერთგავლენის შესახებ.

მოსწავლეების/მეწყვილების ამოცანაა, დააკვირდნენ, როგორ დასტურდება პირველ წინადადებაში გამოთქმული აზრი ტექსტის დანარჩენ ნაწილში. ამ მიზნით მათ უნდა მოიძიონ და დააჯგუფონ ტექსტში მოწოდებული დეტალური ინფორმაცია – საქორწილო რიტუალის დეტალები. აღნიშნული დეტალები, კერძოდ, ჯგუფდება იმისდა მიხედვით, თუ კულტურის რომელ ტიპს განეკუთვნება ისინი. შესრულებული დავალება ამგვარ სახეს მიიღებს:

ნიმუში. ჰავაიური ქორწილი (შესრულებული დავალება)

ჰავაიური: ტანსაცმელი, მუსიკა, აქსესუარები, ცერემონიის დაწყების რიტუალი.

ჩინური: ფეიერვერკი

ფილიპინური: პანდანგო

იაპონური: ორიგამი

შესრულებული სამუშაოს წარდგენის შემდეგ მასწავლებელი, შეაჯამებს შესრულებულ სამუშაოს და კიდევ ერთხელ გაამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას პირველ წინადადებასა და ტექსტის დანარჩენ ნაწილს შორის არსებულ კავშირზე (ტექსტის დანარჩენი ნაწილის ფუნქციაა, დაადასტუროს თემატურ წინადადებაში გამოთქმული აზრი).

III ეტაპი – მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს, შეადგინონ 2 თემატური წინადადება მოწოდებული მასალების (თემა, ავტორის პოზიცია/თვალსაზრისი) საფუძველზე. მუშაობა მიმდინარეობს წყვილებში.

ნიმუში.

დავალება 1.

ა) თემა: ქუჩის ბავშვების პრობლემა; ბ) ავტორის თვალსაზრისი/პოზიცია – ესაა თანამედროვე ცხოვრების პრობლემა; ქუჩაში ცხოვრებას ბავშვები, ძირითადად, სამი მიზეზის გამო იწყებენ.

თემატური წინადადება: ქუჩის ბავშვები თანამედროვეობის მწვავე პრობლემაა, რომელსაც სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს.

(სიტყვა „მწვავე“, რომელიც გამოყენებულია თემატურ წინადადებაში, გამოკვეთს პრობლემის აქტუალობას და, სავარაუდოდ, მიიქცევს მკითხველის ყურადღებას).

დავალება 2.

ა) **თემა:** თანამედროვე ზოოპარკები და მათი მნიშვნელობა (ფოკუსი: არის თუ არა მნიშვნელოვანი ზოოპარკების არსებობა დღეს); ბ) ავტორის თვალსაზრისი/პოზიცია: ზოოპარკების არსებობა მნიშვნელოვანია – მხოლოდ აქ შეიძლება სხვადასხვა გარეული ცხოველის ნახვა რეალობაში. ეს გამოცდილება კი ავითარებს ადამიანს, ასწავლის მას ბევრ ახალს.

თემატური წინადადება: ზოოპარკის მონახულება თანამედროვე ადამიანს აძლევს უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც მნიშვნელოვანია ცოდნის შექმნისა და პიროვნების განვითარებისათვის.

(სიტყვა „უნიკალური“, რომელიც გამოყენებულია თემატურ წინადადებაში, გამოკვეთს საკითხის მნიშვნელობას და, სავარაუდოდ, გამოიწვევს მკითხველის დაინტერესებას).

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კრიტიკული აზროვნება;
- სათქმელის ჩამოყალიბება და წერილობით გადმოცემა;
- წერილი ნამუშევრის ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირის გააზრება.

მეთოდური მითითებები: თემატური წინადადებების ერთ-ერთ ამოცანის – მკითხველის დაინტერესების საილუსტრაციოდ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს კონკრეტული ნიმუშები ცნობილი მწერლების/მოაზროვნეების ესეისტიკიდან: შეარჩიოს თემატური წინადადებები, რომლებიც მკითხველებში ინტერესს აღძრავს (მაგ., გერონტი ქიქოძე, „თამარ მეფის და შოთა რუსთაველის პორტრეტისათვის“ – როცა ადამიანი შოთა რუსთაველის და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე ფიქრობს, შეუძლებელია ის ერთმა გარემოებამ არ გააოცოს“; მისივე, „ალექსანდრე ყაზბეგი“ – ცხოვრების გზის სულ მცირეოდენ ნაწილზე ყაზბეგმა გრანდიოზული პირადი კატასტროფა განიცადა“; მისივე, „დავით კლდიაშვილი“ – როცა ადამიანი დავით კლდიაშვილის მემუარებს კითხულობს, რწმუნდება, რომ ავტორს მეტად ძვირად და თავისებური ცხოვრება შეხვედრია“, სხვ.). ნიმუშების გაცნობისას მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს ავტორის მიერ გამოყენებულ კონკრეტულ საშუალებებზე/ხერხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მკითხველის დაინტერესების თვალსაზრისით.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. XI. 8; ქართ. XI. 12, 13, 14.

აქტივობა № 3. ვსწავლობთ ინფორმაციის ორგანიზებას – ამოტრიალებული პირამიდა

აქტივობის შესახებ: საინფორმაციო ნაწერის ორგანიზების ერთ-ერთი ხერხი – „ამოტრიალებული პირამიდა“ ფართოდ გამოიყენება საგაზეთო ყურ-

ნალისტიკაში ახალი ამბების მონოდების დროს. როგორც მისი სახელწოდება მიუთითებს, წერის ეს ყალიბი „თავდაყირა“ აყენებს ნაწერის ორგანიზების ტრადიციულ წესს (თეზისის წამოყენება, არგუმენტის განვითარება დამხმარე დეტალების მოშველებით, დასკვნის გაკეთება).

„ამოტრიალებული პირამიდის“ გამოყენების დროს ნაწერი ორგანიზებულია მასალის მნიშვნელობის მიხედვით – იგი იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციით, გრძელდება ნაკლებად მნიშვნელოვანით და სრულდება ძირითადი საბაზისო ინფორმაციით. აღნიშნული ტექნიკა მე-20 საუკუნის დასაწყისში იქცა სტანდარტად ამერიკულ საგაზეთო ჟურნალისტიკაში. ეს ტექნიკა ძალზე გამოსადეგია საგაზეთო ჟურნალისტიკისათვის, რადგან მკითხველს შეუძლია შეწყვიტოს კითხვა ნებისმიერ ადგილზე, ისე, რომ უკვე ჰქონდეს მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამასთან, გაზეთში ადგილი ძალზე ძვირად ფასობს – შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სტატია შესამოკლებელია, რადგან დასაბუქდია უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია და/ან რეკლამა. „ამოტრიალებული პირამიდის“ ტექნიკით ნაწერი სტატია გაზეთის რედაქტორს შეუძლია შეამოკლოს ნებისმიერ ადგილზე – მოაჭრას ბოლო ნაწილი/ნაწილები ისე, რომ სტატია მნიშვნელოვნად არ დაზარალდეს: შეინარჩუნოს ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამდენად, ამ ყალიბის გამოყენების დროს ნაწერი იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მონოდებით (ვინ? რა? სად? როდის? როგორ/რატომ?); ამას მოსდევს დამატებითი დეტალები ცალკეული აბზაცების სახით (I დამატებითი ინფორმაცია, II დამატებითი ინფორმაცია, III დამატებითი ინფორმაცია და ა.შ.). მაგ. „გუშინ, 10 ივნისს, ორი ბავშვი დაზარალდა სამრევლო სკოლაში გაჩენილი ხანძრის შედეგად ქ. დეტროიტში (მიჩიგანის შტატი). როგორც ვარაუდობენ, ხანძარი გაჩნდა მოკლე ჩართვის შედეგად“. ახალი ამბების მოკლე ფორმატისათვის ეს სავსებით საკმარისია. საჭიროების შემთხვევაში კი წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება განვირცოვო: მაგ., დაემატოს თვითმხილველთა ნაამბობი, ინტერვიუ დაზარალებულებთან ან მათ მშობლებთან, მეხანძრეებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წევრებთან, სტატისტიკური მონაცემები მსგავსი შემთხვევების შესახებ და მისთ.

„ამოტრიალებული პირამიდა“ და მისი ვარიაციები ფართოდ გამოიყენება ახალი ამბების მონოდებისას, პრეს-რელიზების, მოკლე კვლევითი მოხსენებითი ტექსტებისა და სხვა ექსპოზიციური სახის ნაწერების შედგენის დროს.

აქტივობა გააცნობს მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტის ორგანიზების ერთ-ერთ ხერხს. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის დახარისხებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას; ზოგადად, წერიტი მეტყველების განვითარებას.

აქტივობის მიზნები:

- შეთავაზებული მოდელის მიხედვით საინფორმაციო ტექსტის ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერიტი მეტყველების განვითარება.


აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილური.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეულები, ფურცები სავარჯიშო ტექსტით (საჭირო რაოდენობით)

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს საინფორმაციო ნაწერის ორგანიზაციული ყალიბის – „ამოტრიალებული პირამიდის“ წარმოშობის ისტორიაზე, გააცნობს მისი გამოყენების კონკრეტულ ნიმუშებს.

თვალსაჩინოებისათვის მასწავლებელი დაფაზე გამოსახავს „ამოტრიალებული პირამიდის“ სქემატურ სურათსა და გეგმას (იხ. ქვემოთ); აუხსნის მათ, რომ „ამოტრიალებული პირამიდის“ ზედა, ყველაზე განიერ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი, არსებითი, საინტერესო ინფორმაცია. ამას მოსდევს ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია (პირამიდის შუა ნაწილი), ბოლოს კი – სხვა ძირითადი ინფორმაცია (პირამიდის ქვედა წვერო).

სქემა. ამოტრიალებული პირამიდა.



ამდენად, „ამოტრიალებული პირამიდის“ ორგანიზაციული ყალიბის გამოყენების შემთხვევაში, ნაწერი უნდა აიგოს შემდეგი გეგმის მიხედვით:

I – ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია (ვინ? სად? რა? როდის? რატომ/როგორ?);

II – დამატებითი ინფორმაცია:

III – დამატებითი ინფორმაცია:

IV – დამატებითი ინფორმაცია:

V – დამატებითი ინფორმაცია:

და ა.შ.

ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, ერთობლივად დაწერონ საინფორმაციო ტექსტი სქემისა და გეგმის საფუძველზე.

ტექსტის თემა: ბონუსის² პოლიტიკური ცხოვრების სიახლენი.

დასაწყისი: „ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა ბონუსის ოპოზიციის ლიდერი“, რომელსაც მოსდევს დამატებითი ინფორმაცია (მაგ., II – ბონუსის დედაქალაქის აეროპორტში ლიდერს შეეგება ათასობით მხარდამჭერი: ოპოზიციური პარტიის წევრები და სხვა მოქალაქეები, რომლებმაც იგი საზეიმოდ მიაცილეს სახლამდე. III – ლიდერის დაბრუნება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მმართველ პარტიასა და პრეზიდენტს, რომელთა რეიტინგი ძალზე შეირყა ბოლო წლებში გატარებული წარუმატებელი ეკონომიკური რეფორმების შედეგად. III – ძირითადი საბაზისო ინფორმაცია: გაეროს მონაცემებით, ბონუსიაში ბოლო ათი წლის მანძილზე მკვეთრად მოიმატა უმუშევართა რაოდენობამ, წარმოება შემცირდა 30 %-ით, სხვ.

II ეტაპი – ამის შემდეგ მასწავლებელი კლასს დაყოფს წყვილებად, დაურიგებს მათ წინასწარ მომზადებულ ფურცლებს, რომლებზედაც წარმოდგენილია 4-აბზაციანი საინფორმაციო ტექსტი (ტექსტი მოწოდებულია ცხრილის სახით).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ტექსტს და მენწყვილეთან შეთანხმებით, ცხრილის მარცხენა სვეტში მიუთითონ აბზაციების რიგითობა „ამოტრიალებული პირამიდის“ სქემაზე დაყრდნობით (რომელი აბზაცი უნდა იყოს პირველი, რომელი – მეორე და ა.შ.).

ნიმუში. 4-აბზაციანი საინფორმაციო ტექსტი.

კულტურის სიახლენი

აბზაცის №	ტექსტი
	კონკურს „საქართველოს ხმების“ წყალობით საზოგადოებამ უკვე გაიცნო არაერთი ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებელი. მათი ნაწილი დღეს წარმატებით მოღვაწეობს საერთაშორისო ასპარეზზე. 2007-2008 წლების გამარჯვებულები: თამარ ბერიძე და შორენა თავაძე ვენის საოპერო თეატრის სოლისტები არიან; 2022-2012 წლების პრიზიორები: გიორგი ნადირაძე, ვაჟა ადამია და ნესტან კარგარეთელი კი წარმატებით აგრძელებენ სწავლას დასავლეთის პრესტიჟულ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში, სადაც საოპერო მომღერლის რთულ პროფესიას ეუფლებიან.
	2013 წლის კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეს გადაეცა კონკურსის მთავარი პრიზი – ქართველ იუველირთა მიერ დამზადებული თასი და ფულადი ჯილდო 3000 ლარის ოდენობით. ამას გარდა, თათია ხატიაშვილი საქართველოს სახელით მიიღებს მონაწილეობას ახალგაზრდა ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში, რომელიც მომავალ წელს გაიმართება იტალიაში, ქ. სორენტოში.
	კონკურსის დანარჩენი პრიზიორები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფულადი ჯილდოებით. მეორე ადგილზე გასულ ზურაბ ნინუას გადაეცა 2000 ლარი, მესამე ადგილზე გასულ ნანა ვარდოსანიძეს კი – 1000 ლარი.

² აქ მოყვანილი გვაქვს ინფორმაცია არარსებული ქვეყნის – ბონუსის შესახებ.

	<p>თბილისის 250-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ, თათია ხატიაშვილმა, გაიმარჯვა ახალგაზრდა ქართველ ვოკალისტთა კონკურსში „საქართველოს ხმები“, რომლის ფინალი ჩატარდა ქ. ბათუმის სასტუმრო „შერატონში“ 2013 წლის 12 სექტემბერს. თბილისელმა მოსწავლემ კონკურსის მთავარი პრიზი მოიპოვა ქართული ხალხური სიმღერის „ჩელას“ ორიგინალური შესრულების წყალობით. კონკურსის ისტორიაში, რომელიც 7 წელს ითვლის, წლევანდელი გამარჯვებული ყველაზე ახალგაზრდაა კონკურსის პრიზიორთა შორის.</p>
--	--

სამუშაოს დასრულების შემდეგ ცხრილი ამგვარ სახეს მიიღებს (იხ. ქვემოთ).

აბზაცის №	ტექსტი
4	<p>კონკურს „საქართველოს ხმების“ წყალობით საზოგადოებამ უკვე გაიცნო არაერთი ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებელი. მათი ნაწილი დღეს წარმატებით მოღვაწეობს საერთაშორისო ასპარეზზე. 2007-2008 წლების გამარჯვებულები: თამარ ბერიძე და შორენა თავაძე ვენის საოპერო თეატრის სოლისტები არიან; 2022-2012 წლების პრიზიორები: გიორგი ნადირაძე, ვაჟა ადამია და ნესტან კარგარეთელი კი წარმატებით აგრძელებენ სწავლას დასავლეთის პრესტიჟულ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში, სადაც საოპერო მომღერლის რთულ პროფესიას ეუფლებიან.</p>
2	<p>2013 წლის კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეს გადაეცა კონკურსის მთავარი პრიზი – ქართველ იუველირთა მიერ დამზადებული თასი და ფულადი ჯილდო 3000 ლარის ოდენობით. ამას გარდა, თათია ხატიაშვილი საქართველოს სახელით მიიღებს მონაწილეობას ახალგაზრდა ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში, რომელიც მომავალ წელს გაიმართება იტალიაში, ქ. სორენტოში.</p>
3	<p>კონკურსის დანარჩენი პრიზიორები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფულადი ჯილდოებით. მეორე ადგილზე გასულ ზურაბ ნინუას გადაეცა 2000 ლარი, მესამე ადგილზე გასულ ნანა ვარდოსანიძეს კი – 1000 ლარი.</p>

1	<p>თბილისის 250-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ, თათია ხატიაშვილმა, გაიმარჯვა ახალგაზრდა ქართველ ვოკალისტთა კონკურსში „საქართველოს ხმები“, რომლის ფინალი ჩატარდა ქ. ბათუმის სასტუმრო „შერატონში“ 2013 წლის 12 სექტემბერს. თბილისელმა მოსწავლემ კონკურსის მთავარი პრიზი მოიპოვა ქართული ხალხური სიმღერის „ჩელას“ ორიგინალური შესრულების წყალობით. კონკურსის ისტორიაში, რომელიც 7 წელს ითვლის, წლევანდელი გამარჯვებული ყველაზე ახალგაზრდაა კონკურსის პრიზიორთა შორის.</p>
---	--

III ეტაპი – სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს, საჭიროების შემთხვევაში განმარტავენ და დაასაბუთებენ თავიანთ არჩევანს.

აქტივობის ხანგრძლივობა: 18-20 წუთი.

საშინაო დავალების სახით მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაწერონ საინფორმაციო ტექსტი „ამოტრიალებული პირამიდის“ სქემის გამოყენებით მათთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე (სპორტის, კინოს, პოპ-მუსიკის, სიახლენი, სხვ.).

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კრიტიკული აზროვნება;
- ინფორმაციის დახარისხება;
- საინფორმაციო ტექსტის შექმნა შეთავაზებული ყალიბის მიხედვით;
- თანამშრომლობა.

მეთოდური მითითებები:

- სასურველია, სამუშაოს დაწყებამდე მასწავლებელმა წინასწარ შეარჩიოს და მოსწავლეებს გააცნოს ტექსტი, რომელიც მათ „ამოტრიალებული პირამიდის“ ყალიბის გამოყენების სამოდელო ნიმუშად გამოადგებათ.
- აქტივობის პირველი ეტაპი წარიმართება დაფასთან, „ხმამალა ფიქრის“ სტრატეგიის გამოყენებით.

კავშირი სხვა საგნებთან: აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნებისა და საინფორმაციო ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც თანაბრად გამოსადეგია ნებისმიერი სხვა საგნის შესწავლის დროს.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. X. 6; ქართ. X. 11, 16; ქართ. XI. 12, 13, 14.

აქტივობა № 4. ვსწავლობთ სინთეზირებას

აქტივობის შესახებ:

აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ და აითვისონ სინთეზირების მეთოდი – ნაკითხულის გაგება-გააზრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგია, რომელიც იძლევა იდეების კომბინირებისა და ტექსტის ახლებურად გააზრების შესაძლებლობას. სინთეზირების დროს მოსწავლეებს მოეთხოვებათ ახალი ცოდნის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და მისი დაკავშირება ადრეულ ცოდნასთან (არსებულ კოგნიტიურ/აზრობრივ სქემებთან). სინთეზირების პროცესში ტექსტზე რეფლექსიის შედეგების, ტექსტის ცალკეული ელემენტებისა და ადრეული ცოდნის აზრობრივი სქემების გამთლიანების გზით ჩნდება ტექსტის გაგების/ინტერპრეტაციის ახალი შესაძლებლობები, იქმნება ახალი პროდუქტი.³

აქტივობა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სინთეზირებასთან ერთად, იგი გაავარჯიშებს მოსწავლეებს კითხვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიის, შეჯამების გამოყენებაში. ნაკითხულის გაგება-გააზრების ამ ორი მნიშვნელოვანი სტრატეგიების (სინთეზირება, შეჯამება) დაუფლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა კვლევითი უნარ-ჩვევების, აგრეთვე აკადემიური წერიტი მეტყველების უნარების განვითარებას.

აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს საგნობრივი სტანდარტის სამივე მიმართულებას. აქტივობა წარმოდგენილია ორ ვარიანტად. ა ვარიანტში მოსწავლეებს მოეთხოვებათ ორი წყაროს გამოყენება, ბ ვარიანტში – 3 წყაროს გამოყენება (აღნიშნული 3 წყარო შეირჩევა შეთავაზებული 6 წყაროდან).

აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- აკადემიური წერის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ზეპირმეტყველების (საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემისა და დასაბუთების, კრიტიკული მოსმენის) უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: წინასწარ შერჩეული, ქალაქებზე ამობეჭდილი ტექსტები/ვიზუალური მასალა და ცხრილი (საჭირო რაოდენობით), დაფა, ცარცი/მარკერი, ფერადი მარკერები.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური (I ეტაპი), მთელი კლასის მონაწილეობით (II ეტაპი)

აქტივობის აღწერა:

დაფაზე გამოსახულია წყაროების სინთეზირების გრაფიკული მაორგანიზებელი – სამსვეტიანი მარტივი ცხრილი (ან გაკრულია დიდი ფორმატის ქა-

³ ამ კუთხით სინთეზირება მნიშვნელოვნად განსხვავდება შეჯამებისაგან, რომელიც, უბრალოდ, ხელახლა იმეორებს ტექსტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამდენად, სინთეზირება, შეჯამებასთან შედარებით, უფრო მაღალი სააზროვნო დონის ამოცანაა, რომელიც ახალი პროდუქტის შექმნას გულისხმობს.

ლალდი ამავე ცხრილის გამოსახულებით). მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაწერონ სინთეზური ესე „ქალი და მამაკაცი: პრობლემა, დანახული ქალის თვალთ“ ორი შერჩეული წყაროს მიხედვით. ესენია ფრაგმენტები 2 მწერალი ქალის – ქართველი ბარბარე ჯორჯაძისა (I წყარო) და ინგლისელი ფემინისტი მწერლის, მერი უოლსტონკრაფტის (II წყარო) ნაწარმოებებიდან. გასათვალისწინებელია შემდეგი: მოსწავლეებს მოეთხოვებათ მსჯელობა მხოლოდ იმ საკითხებზე/პრობლემატიკაზე, რომლებიც უკავშირდება წერიტი დავალების თემას. ასევეა წყაროების შემთხვევაში – საჭირო არ არის ნამუშევარში აისახოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეებს შეიძლება გააჩნდეთ ამ წყაროებთან/ავტორებთან დაკავშირებით, თუკი ამ ინფორმაციას არ შეუსაბამებენ წერიტი დავალების თემას (მაგ., ბარბარე ჯორჯაძე არის ცნობილი ქართველი პოეტის, რაფიელ ერისთავის და. რაფიელ ერისთავი ავტორია ლექსისა „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც ქართველი ბავშვების ერთ-ერთი უსაყვარლესი ნაწარმოებია და მისთ).

მასწავლებელი მოკლედ გაესაუბრება მოსწავლეებს სინთეზირების არსზე და შესასრულებელ კონკრეტულ სამუშაოებზე. სასურველია, რომ ახსნა-განმარტება იყოს მარტივი, ადვილად გასაგები, ინსტრუქცია – ნათელი; შესასრულებელი სამუშაო კი დაიყოს კონკრეტულ ნაბიჯებად, მაგ.:

- გაიაზრეთ თემის სათაური (მომავალი ესეს თემა) და გაცეანით მასალებს: წყაროებს და ცხრილს;
- წყაროების გაცნობისას ყურადღებით წაიკითხეთ მოკლე საინფორმაციო ტექსტები, რომლებიც წინ უძღვის წყაროების ტექსტებს. მათში მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ მასალის გააზრებაში;
- თემის სათაურის გათვალისწინებით, შეარჩიეთ წყაროებიდან ცალკეული ნაწილები, რომლებიც, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია მოცემული დავალების შესასრულებლად;
- მონიშნეთ ტექსტებში შერჩეული ნაწილები ფერადი მარკერით;
- გადაინერეთ მონიშნული ადგილები ცხრილის მარცხენა სვეტში;
- გაიაზრეთ მონიშნული ადგილები და ჩაწერეთ მათი შეჯამება ცხრილის მარჯვენა სვეტში;
- დაწერეთ ესე შეჯამების შედეგებზე დაყრდნობით. საჭიროების შემთხვევაში, მარკერით მონიშნული ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ კონკრეტული მაგალითების და/ან ციტატების მოსაყვანად.

ითოთეულმა მოსწავლემ უნდა გაცნობიეროს, რომ:

- წერის დროს მან უნდა გადმოსცეს თავისი თვალსაზრისი, წყაროები კი უნდა გამოიყენოს დამხმარე მასალად – თავისი თვალსაზრისის დასასაბუთებლად, კონკრეტული მაგალითების, ფაქტების, მონაცემების მოსაყვანად. იგივე მიდგომა უნდა გამოიყენოს მოსწავლემ მაშინაც, როცა მისი თვალსაზრისი ეწინააღმდეგება წყაროებში გამოთქმულს – ამ შემთხვევაში მოსწავლე გადმოსცემს საკუთარ თვალსაზრისს, მოჰყავს წყაროების მასალა (მაგალითები, ფაქტები, მონაცემები) და არგუმენტირებულად აკრიტიკებს მას.

- არჩევანის გაკეთება, ტექსტიდან ცალკეული ნაწილების შერჩევა მთლიანად მოსწავლეზეა დამოკიდებული. მან, კერძოდ, უნდა გადაწყვიტოს, თავისი პოზიციის დასასაბუთებლად ტექსტების რომელი ნაწილებია ყველაზე არსებითი, მნიშვნელოვანი, საინტერესო, ეფექტური და მისთ. ასევე მისივე გადასაწყვეტია, რა მიმდევრობით ესეში იქნება წარმოდგენილი შერჩეული ნაწილები.

ნიმუშის მისაცემად მასწავლებელი ერთი რომელიმე წყაროს დასაწყისს (მაგ., პირველ აბზაცს ხმამაღლა) და შეავსებს დაფაზე გამოსახული ცხრილის პირველი მწკრივის ორივე სვეტს. ამის შემდეგ მოსწავლეები შეუდგებიან ინდივიდუალურ სამუშაოს.

წერით ნამუშევარში წყაროების მოხსენიება შესაძლებელია ორი გზით: ა) ავტორების/ნაწარმოებების მითითებით (მაგ., „ბარბარე ჯორჯაძის აზრით...“, მისთ.); ბ) წყაროების რიგითი მიმდევრობის დაცვით (მაგ., „I წყაროს თანახმად...“, „საეჭვოა II წყაროში გამოთქმული მოსაზრება, რადგან ...“, მისთ.).

II ეტაპი – სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს; ასაბუთებენ თავიანთ არჩევანს – მსჯელობენ, რატომ შეარჩიეს ესა თუ ის ნაწილი ტექსტიდან, მათი აზრით, რითია მნიშვნელოვანი შერჩეული ნაწილები.

ნიმუში. შერჩეული ორი წყარო

I წყარო

ქართველი მწერალი ბარბარე ჯორჯაძე (1833 – 1895 წწ.), ორიოდეს სიტყვა ყმანვილი კაცების საყურადღებოდ

პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველი ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდნენ, ეს თავისი ამხანაგი ყველანაირად დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდენ „შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშე, თვალები დახუჭე და იჯექ, ბუზმა რომ თვალები ამოგჩიჩქნოს, ხელი არ გაანძრიო; სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეა“. თვითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: „მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავე ცის კიდემდის, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭერმეტყველებ, ვისწავლი, ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო“.

გაიფართოვა გზა და დედაკაცი ვითომ ვალდებულებაში ჩააგდო, თუ მე არა, ლუკმას ვერ შესჭამო, რათა უფრო დაემონებინა. მართალია, დედაკაცისათვის თვით ბუნებას არ მიუცია ვრცელი ასპარეზი, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც შეიქმნება დედად და კისრად დაანება ოჯახის მოვალეობა; მაგრამ გათხოვებამდის კი უნდა ჰქონოდა ქალსაც თანასწორი აღზრდა და მიმართულება, რომ შესძლებოდა თავის თავის ცხოვრება და ქმრის უღელის განევა. მამაკაცმა ოჯახშია ცი არად ჩააგდო დედა-კაცის შრომა, უპირატესობა თვით დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: „თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძობა, არცარა გესმით,

გამოყრუებული და გამოფუტურებული ხართ, თქვენ თვალს თვალის ჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოლაღატენი და ვინ მოსთვლის, რა არ უნოდებია კაცს ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, და, ცოლი, და ასული. თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას! ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა მოსათინთლავის სიტყვებით: „მზე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამბახიო“...

დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა და აყვავებისა; ახლა მაინც ჩვენმა კაცებმაც დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდევ კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედა-კაცებს სამარის მეტი ველარა გაგვასწორებს – რა და ახალი თაობის ქალებიც ღვანლსა და შრომას არ შეუდრკებიან, თუ კი საქმეს უშველიან რასმე.

II წყარო

ინგლისელი მწერალი მერი უოლსტონკრაფტი (1759-1797 წწ.), ქალის უფლებების დაცვა

მამაკაცური ტირანიის ახსნისა და პატიების მიზნით მრავალი მახვილგონივრული არგუმენტი იყო წამოყენებული; არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ ღირსებების შეძენის დროს ორი სქესი სხვადასხვა სახის ღირსებების მოპოვებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს. უფრო ცხადად თუ ვილაპარაკებთ, ქალებს არ აძლევენ გონებრივი შესაძლებლობების განვითარების უფლებას. გონებრივი შესაძლებლობები კი არის ის, რასაც ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ ღირსება...

მამაკაცები სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს იმ წინდაუხედაობისა და კაპრიზების გამო, რომლებიც დამახასიათებელია ჩვენი სქესისათვის, მაგრამ ისინი არ დასცინიან ჩვენს ჯიუტ გრძნობებსა და მონურ მორჩილებას. აი, აქ უნდა ვთქვა, რომ ესაა [ქალების] უცოდინრობის ბუნებრივი შედეგი. ყოველთვის არამტკიცე იქნება გონება, რომელიც განისვენებს მხოლოდ წინასწარ შემუშავებულ აზრებზე...

ქალებს ბავშვობიდან ეუბნებიან შემდეგს (ამასვე სწავლობენ ისინი თავიანთი დედების მაგალითითაც): ისინი მამაკაცის მფარველობის მოპოვებას შეძლებენ ადამიანური სისუსტის მცირეოდენი ცოდნით, ხასიათის სირბილით, გარეგნული მორჩილებითა და საგანგებო ყურადღების მიქცევით უშინაარსო ნესიერებაზე. და კიდევ ერთიც: ისინი უნდა იყვნენ მშვენიერნი. სხვა ყველა დანარჩენი უსარგებლოა, ყოველ შემთხვევაში, მათი ცხოვრების პირველი ოცი წლის განმავლობაში...

როგორ უხეშ ტკივილს გვაყენებს ის, ვინც გვეუბნება, რომ ჩვენი ერთადერთი მოვალეობაა, ვიყოთ ნაზები.

ნიმუში. შევსებული ცხრილი:

ფრაგმენტები წყაროებიდან	შეჯამება
<p>I წყარო: თქვენ ქკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არცარა გესმით, გამოყრუებული და გამოფშუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თვალის ჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოლაღატენი.</p>	<p>მამაკაცის აზრით, ქალს აქვს მხოლოდ უარყოფითი თვისებები:</p>
<p>II წყარო: მამაკაცები სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს იმ წინდაუხედაობისა და კაპრიზების გამო, რომლებიც დამახასიათებელია ჩვენი სქესისათვის, მაგრამ ისინი არ დასცინიან ჩვენს ჯიუტ გრძნობებსა და მონურ მორჩილებას. აი, აქ უნდა ვთქვა, რომ ესაა [ქალების] უცოდინრობის ბუნებრივი შედეგი. ყოველთვის არამტკიცე იქნება გონება, რომელიც განისვენებს მხოლოდ წინასწარ შემუშავებულ აზრებზე...</p>	<p>ქალის ნეგატიური თვისებები უცოდინრობის, არამტკიცე გონების შედეგია.</p>
<p>I წყარო: ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველი ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდნენ, ეს თავისი ამხანაგი ყველანიარად დაეცათ და დაემდაბლებინათ.</p>	<p>მამაკაცს მუდამ ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა ქალის მიმართ.</p>
<p>I წყარო: სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო</p>	<p>მამაკაცების აზრით, ქალს არ სჭირდება განათლება და ენების შესწავლა.</p>
<p>II წყარო: ჩვენი ერთადერთი მოვალეობაა, ვიყოთ ნაზები.</p>	<p>მთავარი მოთხოვნა, რომელსაც მამაკაცი უყენებს ქალს, არის სინაზე.</p>
<p>I წყარო: შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშე, თვალეები დახუჭე და იჯექ, ბუზმა რომ თვალეები ამოგჩიჩნოს, ხელი არ გაანძრიო</p>	<p>ქალის ქცევის მოდელი, შეთავაზებული მამაკაცის მიერ: ჩუმად ყოფნა, პასიურობა, რეალობისაგან დისტანცირება, საკუთარი ნება-სურვილის არგამოხატვა.</p>
<p>II წყარო: ქალებს არ აძლევენ გონებრივი შესაძლებლობების განვითარების უფლებას. გონებრივი შესაძლებლობები კი არის ის, რასაც ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ ღირსება</p>	<p>ქალს უარს ეუბნებიან ღირსებაზე, რადგან არ აძლევენ გონებრივი შესაძლებლობების განვითარების საშუალებას.</p>

III ეტაპი – მოსწავლეები წერენ ნამუშევარს, რომელშიც სინთეზირებული იქნება ზემოთ მოყვანილი ორი წყაროს მასალა. ცხრილის მარცხენა სვეტში მოყვანილი ტექსტი (ამონარიდი წყაროდან) მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ციტირებისათვის.

შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კრიტიკული აზროვნება;
- სინთეზირება;
- თავისი მოსაზრების არგუმენტირება;
- წერიტი ნამუშევრის შედგენა მოცემული პირობის მიხედვით.

ვარიანტი (ბ)

აქტივობა № 5. ვწერთ სინთეზურ ესეს⁴

აქტივობის შესახებ:

სინთეზური ესე, თავისი არსით, იგივეა, რაც არგუმენტირებული ესე – ავტორი გადმოსცემს თავის თვალსაზრისს მოცემულ საკითხზე და ასაბუთებს მას. განსხვავება სინთეზურ ესესა და არგუმენტირებულ ესეს შორის თავს იჩენს იმაში, რომ ავტორს თავისი თვალსაზრისის გადმოსცემის დროს მოეთხოვება მიწოდებული წყაროების გამოყენება. წყაროები წინასწარაა შერჩეული და შეესაბამება ესეს თემატიკასა თუ პრობლემატიკას. ერთ-ერთი წყარო, როგორც წესი, არის ვიზუალური გამოსახულება (სურათი, კარიკატურა, ფოტო, ამა თუ იმ სახის გრაფიკული გამოსახულება, ცხრილი, სქემა). ავტორს შეუძლია, თავისი პოზიციის შესაბამისად, გაიზიაროს ან უარყოს წყაროებში ასახული თვალსაზრისი, თუმცა, შესაძლებელია, რომ იგი არ იზიარებდეს არცერთ შეთავაზებულ ვარიანტს. ყველა შემთხვევაში ავტორს მოეთხოვება თავისი თვალსაზრისი დასაბუთებულად წარმოდგენა. წერიტი ნამუშევარში წყაროების მოხსენიება შესაძლებელია ორი გზით: ა) ავტორების/წინამოებების მოთითებით (მაგ., „ბარბარე ჯორჯაძის აზრით...“, „ვაჟა-ფშაველას „კაი ყმის“ მიხედვით...“, მისთ.); ბ) წყაროების რიგითი მიმდევრობის დაცვით (მაგ., „I წყაროში ნათქვამია...“, „IV წყაროში გამოთქმული მოსაზრება საეჭვოა, რადგან...“, მისთ.).

აქტივობაში მოცემულია სინთეზური ესეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოდელი: მოსწავლეებს გასაცნობად ვთავაზობთ 6 წყაროს, რომელთაგან ერთ-ერთი ვიზუალური გამოსახულებაა. მათ ევალება, გადმოსცენ თავიანთი თვალსაზრისი შერჩეულ თემაზე და გამოიყენონ, სულ მცირე, სამი წყარო. ქვემოთ წარმოდგენილია 6 ფრაგმენტი ქართველი და უცხოელი მწერლების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებიდან. ვიზუალურ მასალად შეთავაზებულია ფრანგი მხატვრის, ჟაკ-ლუი დავიდის ერთ-ერთი ნამუშევარი. გასათვალისწინებელია შემდეგი: მოსწავლეებს მოეთხოვებათ მსჯელობა მხოლოდ იმ საკითხებზე/პრობლემატიკაზე, რომლებიც უკავშირდება წერიტი დავალების თემას. ასევეა წყაროების შემთხვევაში – საჭირო არ არის ნამუშევარში აისახოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეებს შეიძლება გააჩნდეთ ამ წყაროებთან/ავტორებთან დაკავშირებით, თუკი ამ ინფორმაციას არ დააკავშირებენ წერიტი დავალების თემასთან (მაგ., ბარბარე ჯორჯაძე არის ცნობილი ქართველი პოეტის, რაფიელ ერისთავის და. რაფიელ ერისთავი ავტორია ლექსისა „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც ქართველი ბავშვების

⁴ დამატებით იხ. წინამავალი აქტივობა „ვსწავლობთ სინთეზირებას“.

ერთ-ერთი უსაყვარლესი ნაწარმოებია; ან ფრანგი მხატვარი, ჟაკ-ლუი დავიდი ნეოკლასიციზტური მიმართულების წარმომადგენელია. მისი შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციასთან, რომელსაც მხატვარი აღფრთოვანებით შეეგება. ჟაკ-ლუი დავიდი დიდი პედაგოგიური ნიჭით იყო დაჯილდოებული: ცნობილია, რომ მას ჰყავდა 500-მდე მოწაფე და მისთ).

ქვემოთ წარმოვადგენთ სინთეზური ესეს წერის პროცესს თანამიმდევრული ნაბიჯების სახით.

მოსწავლეები:

- ნაიკითხავენ და გააცნობიერებენ წერითი დავალების პირობას, რომელშიც მოცემულია ესეს თემა;
- გაიაზრებენ თავიანთ პოზიციას მოცემული საკითხის მიმართ;
- კითხულობენ წყაროებს; ეცნობიან მოკლე საინფორმაციო ტექსტებს (დამატებით ინფორმაციას), რომლებიც წინ უძღვის თითოეულ წყაროს;
- თავიანთი სურვილისა და იდეის შესაბამისად, შეარჩევენ სამ წყაროს, რომლებსაც გამოიყენებენ ესეს წერის დროს (15-20 წუთი);
- წერენ ესეს. წერის დროს იყენებენ ინფორმაციას 3 შერჩეული წყაროდან;
- გადაათვალიერებენ ნამუშევარს, შეაქვთ მასში სარედაქტორო-კორექტურული ცვლილებები ნაშრომის გაუმჯობესების მიზნით.

სინთეზური ესე

საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა, რომ ქალებსა და მამაკაცებს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული თვისებები აქვთ. ტრადიციულ საზოგადოებებში ქალს მოეთხოვებოდა, ყოფილიყო „ქალური“, მამაკაცს კი – „მამაკაცური“. მაინც რას ნიშნავდა „მამაკაცურ“ კაცად ან „ქალურ“ ქალად ყოფნა ტრადიციული თვალთახედვით?

ყურადღებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ 6 წყაროს და დამატებით ინფორმაციას, რომელიც თან ახლავს თითოეულ მათგანს. შემდეგ დაწერეთ ესე, რომელშიც განმარტავთ, გააკრიტიკებთ ან დაიცავთ ტრადიციულ თვალსაზრისს. თქვენი მოსაზრების საილუსტრაციოდ და დასასაბუთებლად გამოიყენეთ, სულ მცირე, სამი წყარო.

წყაროები

I წყარო

ვაჟა-ფშაველა, ის კი არ არი ბიჭობა, წიგნში: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი, 1961, გვ. 177.

ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტი ქართველი მწერლის, ვაჟა-ფშაველას ((1861-1915 წწ.) ლექსიდან.

ის კი არ არი ბიჭობა,

რო გამაგრებდენ, ჰმაგრობდე;
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
თავისთავადა ჰვარგობდე.
არც ის მგონია ბიჭობა,
ვისაც ერევი, არჩობდე;
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
რომ სხვის დამრჩვალსა სწამლობდე.
მითხარ, ვის უთქვამ ბიჭობად,
დამჩაგვრელებსა სწყალობდე?
აბა, ბიჭობა ის არი,
დაჩაგრულთათვის სწვალობდე.

II წყარო

ჟაკ-ლუი დავიდი, ჰორაციუსთა ფიცი.

ფრანგი მხატვრის, ჟაკ-ლუი დავიდის (1748-1825 წწ.) ეს სურათი წარმოგვიდგენს სცენას ძველი რომის ცხოვრებიდან. სურათზე გამოსახული არიან ერთი ოჯახის წევრები – ჰორაციუსების საგვარეულოს წარმომადგენლები.



III ნყარო

ბარბარე ჯორჯაძე, ორიოდ სიტყვა ყმანვილი კაცების საყურადღებოდ,
<http://lib.ge/book.php?author=692&book=9789>

ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტი ქართველი მწერალი ქალის, ბარბარე ჯორჯაძის (1833 – 1895 წწ.) ნაწარმოებიდან, რომელიც შეეხება ქართველი ქალების მდგომარეობას.

პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველი ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდნენ, ეს თავისი ამხანაგი ყველანაირად დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდნენ „შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშე, თვალები დახუჭე და იჯექ, ბუზმა რომ თვალები ამოგჩიჩქნოს, ხელი არ გაანძრიო; სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო“. თვითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: „მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავ ცის კიდემდის, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭევრმეტყველებ, ვისწავლი, ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო“.

გაიფართოვა გზა და დედაკაცი ვითომ ვალდებულებაში ჩააგდო, თუ მე არა, ლუკმას ვერ შესჭამო, რათა უფრო დაემონებინა. მართალია, დედაკაცისათვის თვით ბუნებას არ მიუცია ვრცელი ასპარეზი, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც შეიქმნება დედად და კისრად დაანვება ოჯახის მოვალეობა; მაგრამ გათხოვებამდის კი უნდა ჰქონოდა ქალსაც თანასწორი აღზრდა და მიმართულება, რომ შესძლებოდა თავის თავის ცხოვრება და ქმრის უღელის განევა. მამაკაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედა-კაცის შრომა, უპირატესობა თვით დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: „თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არცარა გესმით, გამოყრუებული და გამოფშუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თვალის ჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოლალატენი და ვინ მოსთვლის, რა არ უწოდებია კაცს ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, და, ცოლი, და ასული. თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას! ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა მოსათინთლავის სიტყვებით: „მზე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამბახიო“.

IV ნყარო

მერი უოლსტონკრაფტი, ქალის უფლებების დაცვა.

<http://www.bartleby.com/144/2.html>

ქვემოთ მოცემულია ფრაგმენტი ინგლისელი ფემინისტი მწერლის, მერი უოლსტონკრაფტის (1759 – 1797 წწ.) თხზულებიდან:

მამაკაცური ტირანიის ახსნისა და პატიების მიზნით მრავალი მახვილგონივრული არგუმენტი იყო წამოყენებული; არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ ღირსებების შეძენის დროს ორი სქესი სხვადასხვა სახის ღირსებების მოპოვებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს. უფრო ცხადად თუ ვილაპარაკებთ, ქალებს არ აძლევენ გონებრივი შესაძლებლობების განვითარების უფლებას.

გონებრივი შესაძლებლობები კი არის ის, რასაც ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ ღირსება...

მამაკაცები სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს იმ წინდაუხედაობისა და კაპრიზების გამო, რომლებიც დამახასიათებელია ჩვენი სქესისათვის, მაგრამ ისინი არ დასცინიან ჩვენს ჯიუტ გრძნობებსა და მონურ მორჩილებას. აი, აქ უნდა ვთქვა, რომ ესაა [ქალების] უცოდინრობის ბუნებრივი შედეგი. ყოველთვის არამტკიცე იქნება გონება, რომელიც განისვენებს მხოლოდ წინასწარ შემუშავებულ აზრებზე...

ქალებს ბავშვობიდან ეუბნებიან შემდეგს (ამასვე სწავლობენ ისინი თავიანთი დედების მაგალითითაც): ისინი მამაკაცის მფარველობის მოპოვებას შეძლებენ ადამიანური სისუსტის მცირეოდენი ცოდნით, ხასიათის სირბილით, გარეგნული მორჩილებითა და საგანგებო ყურადღების მიქცევით უშინაარსო ნესიერებაზე. და კიდევ ერთიც: ისინი უნდა იყვნენ მშვენიერნი. სხვა ყველა დანარჩენი უსარგებლოა, ყოველ შემთხვევაში, მათი ცხოვრების პირველი ოცი წლის განმავლობაში...

როგორ უხემ ტკივილს გვაყენებს ის, ვინც გვეუბნება, რომ ჩვენი ერთადერთი მოვალეობაა, ვიყოთ ნაზები.

V წყარო

სიმონა დე ბოვუარი, სხვა სქესი

<http://www.marxists.org/reference/subject/ethics/de-beauvoir/2nd-sex/ch01.htm>

ქვემოთ მოცემულია ფრაგმენტი თხზულებიდან, რომლის ავტორია სიმონა დე ბოვუარი (1908 – 1986 წწ.) – ფრანგი მწერალი ქალი, ფილოსოფოსი და ფემინისტური მოძრაობის იდეოლოგი:

თავისთავად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვკითხულობ: „რა არის ქალი?“ კაცს ხომ არასდროს მოუვიდოდა აზრად, დაენერა წიგნი მამაკაცის განსაკუთრებულ ადგილზე ადამიანთა მოდგმაში. თუკი მე მოვისურვებ საკუთარი თავის განსაზღვრას, პირველ რიგში, უნდა ვთქვა: „მე ვარ ქალი“. ესაა ჭეშმარიტება, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ნებისმიერი სხვა მტკიცებისათვის. მამაკაცი არასოდეს დაიწყებს საკუთარი თავის განსაზღვრას იმის თქმით, რომ იგი გარკვეული სქესის მატარებელი არსებაა – თავისთავად ცხადია, რომ იგი მამაკაცია. რუბრიკები: „მამრობითი“ და „მდედრობითი“ თანაბარია მხოლოდ მერიის სარეგისტრაციო ჟურნალებსა და პირადობის მონობებში.

ორი სქესის დამოკიდებულება განსხვავდება იმ დამოკიდებულებისაგან, რომელიც არის ორ ელექტრონულ მუხტს ან ორ პოლუსს შორის. მამაკაცი ერთდროულად არის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სანყისი. მეტიც, ფრანგული სიტყვა *les hommes* აღნიშნავს ერთდროულად როგორც „მამაკაცებს“, ისე „ადამიანებს“...

ყოველთვის ვლიზიანდებოდი, როცა განყენებულ საკითხებზე დისკუსიის დროს რომელიმე მამაკაცი მეტყოდა ხოლმე: „თქვენ ასე ფიქრობთ იმიტომ, რომ ქალი ხართ“; თუმცა ვიცოდი, რომ ერთადერთი, რაც შეიძლებოდა მეთ-

ქვა თავის დასაცავად, იყო: „მე ასე ვფიქრობ იმიტომ, რომ ეს სიმართლეა“. მხოლოდ ამგვარად შემძლო, თავიდან ამერიდებინა ბრალდება სუბიექტურობაში. ლაპარაკიც კი არ იყო იმაზე, რომ მეთქვა: „თქვენ კი განსხვავებულად ფიქრობთ იმიტომ, რომ მამაკაცი ხართ“, რადგან იმგვარადაა დაწესებული, რომ მამაკაცად ყოფნა არ გულისხმობს არანაირ განსაკუთრებულობას.

მამაკაცი ყოველთვის მართალია იმის გამო, რომ ის მამაკაცია; ქალი არასოდეს არ არის მართალი... ძველი დროის მცხოვრებლებისათვის არსებობდა აბსოლუტური ვერტიკალი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა დახრილობა. ამის მსგავსად არსებობს ადამიანის აბსოლუტური ტიპი – მამაკაცის ტიპი... მამაკაცისათვის შეგრძნებით, მის სხეულს პირდაპირი და ნორმალური კავშირი აქვს სამყაროსთან; ქალის სხეული კი, მისი წარმოდგენით, სპეციფიკური თვისებებითაა დამიმებული და არის ერთგვარი დაბრკოლება, ციხე.

...კაცობრიობა შექმნილია მამრობითი სქესის მიერ. ეს საშუალებას აძლევს მამაკაცს, განსაზღვროს ქალი მხოლოდ მამაკაცთან მიმართებაში ... ქალი წარმოდგენს მხოლოდ იმას, რასაც მამაკაცი დაუწესებს მას... მამაკაცისათვის ქალი, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული სქესის მატარებელია... მამაკაცი არის სუბიექტი, მამაკაცი არის აბსოლუტი, ქალი – სხვა.

VI წყარო

ვაჟა-ფშაველა, კაი ყმა ნიგნში: ვაჟა-ფშაველა, თხულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი, 1961, გვ. 282.

ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტი ქართველი მწერლის, ვაჟა-ფშაველას ((1861-1915 წწ.) ლექსიდან.

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?

მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს,
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ – მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს...

ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,

სახე სისხლგადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
პირველად ომის დამწყები
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს;
სხვანი იყოფდენ ნადავლსა,
ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს;
მიძღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსვე სწირავდეს.
დარაჯად ედგას ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს...
სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,
კვდებოდეს, არა გმინავდეს;
თავის სამარხად, სუდრადა,
მარტო სახელსა სწირავდეს...

სინთეზური ესეს ნიმუში:

უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ვიდრე მე-20 საუკუნის ჩათვლით, ტრადიციული საზოგადოება რადიკალურად განსხვავებულ თვისებებს მიანერდა ქალებსა და მამაკაცებს, რის გამოც სრულიად სხვადასხვა შინაარსი ჰქონდათ სიტყვებს „მამაკაცური“ და „ქალური“. ამ თვისებებს განაპირობებდა განსხვავებული მდგომარეობა, რომელიც ტრადიციულ საზოგადოებებში ეკავათ მამაკაცებსა და ქალებს: მამაკაცი იყო საზოგადოების აქტიური წევრი, ქალი კი – პასიური. შესაბამისად, ცნებების: „მამაკაცურობისა“ და „ქალურობის“ კონკრეტული მნიშვნელობები მთლიანად იყო განპირობებული იმ განსხვავებული სოციალური როლებით, რომლებსაც ქალი და მამაკაცი ასრულებდნენ ტრადიციულ საზოგადოებებში.

ტრადიციულ საზოგადოებებში, მამაკაცის აქტიური როლის შესაბამისად, მამაკაცურობა გაიგივებული იყო სიმამაცესთან, ძლიერებასა და სიბრძნესთან. ტრადიციულ საზოგადოებას კაცი წარმოედგინა აქტიური მებრძოლის სახით, რომელიც უშიშრად იბრძვის თავისი თემისა თუ ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ეს ბრძოლა სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა ადგილზე მიმდინარეობს: ხან ბრძოლის ველზე, სადაც ფიზიკური ძალა და მეომრული თვისებებია აუცილებელი, ხან კი – სათათბიროში, სადაც ბრძნული რჩევის მიცემაა

საჭირო. ვაჟა-ფშაველას ლექსში „კაი ყმა“ (VI წყარო) ვხვდებით ტრადიციული მამაკაცური ღირსებების ვრცელ ჩამონათვალს, რომელშიც ძირითადი ადგილი მეომრულ თვისებებს უკავია. მსგავსი დამოკიდებულებაა ასახული ჟაკ-ლუი დავიდის სურათზეც (II წყარო), რომელზედაც ნაჩვენებია არიან უშიშარი მებრძოლი მამაკაცები. მოხუცი მამა ხმლებს უწვდის შვილებს, რომლებიც მხედრული საღმის პოზაში დგანან მამის წინაშე, თითქოს ფიცს დებენ, რომ მამაცურად იბრძოლებენ ომში. ვითარება არ შეცვლილა არც მოგვიანებით – საზოგადოების აქტიური, წამყვანი წევრების პოზიცია მამაკაცებმა მე-20 საუკუნეშიც შეინარჩუნეს: სიმონა დე ბოვუარის სიტყვებით (V წყარო), მამაკაცი იყო ყველაფრის საზომი – „აბსოლუტური ვერტიკალი“, ანუ სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მსჯელობდნენ ქალებზე. ეს საოცარი ერთიანობა, რომელიც იკვეთება სხვადასხვა ეპოქასა და გარემოში შექმნილ წყაროებში, მიგვანიშნებს, რომ ტრადიციულ საზოგადოებებში ასწლეულების მანძილზე არ შეცვლილა მამაკაცის სოციალური როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავისი პასიური როლიდან გამომდინარე, ქალი აღიქმებოდა მამაკაცისაგან სრულიად განსხვავებული თვისებების მქონე არსებად. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჟაკ-ლუი დავიდის სურათი (II წყარო) – უშიშარი ვაჟკაცების გვერდით გამოსახული ქალები საცოდავად ტირიან, რაც მათ უმწეობასა და გაუბედაობაზე მიგვითითებს. ქალების ჯგუფი უკანა პლანზეა წარმოდგენილი ბავშვებთან ერთად, რითაც ხაზგასმულია ქალების ძირითადი ფუნქცია – ბავშვებზე მზრუნველობა, აგრეთვე მათი მეორეხარისხოვანი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაინც რას მოითხოვდა ტრადიციული საზოგადოება ქალისაგან? – მე-18 საუკუნის ინგლისელი მწერლის (IV წყარო) სიტყვებით, ქალს მოეთხოვებოდა გარეგნული მშვენიერება, მორჩილება და უშიშარსო წესიერების დაცვა, მას აგრეთვე უნდა ჰქონოდა რბილი ხასიათი და ადამიანური სისუსტის მცირეოდენი ცოდნა. მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი ქალი (III წყარო) კი მორჩილების მოთხოვნაზე ამახვილებს ყურადღებას: „შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშე, თვალები დახუჭე და იჯექ, ბუზმა რომ თვალები ამოგჩიჩქნოს, ხელი არ გაანძრიო“ – წერს იგი. ამდენად, ის თვისებები, რომლებიც ნაკლად ჩაეთვლებოდა მამაკაცს – პასიურობა, უმწეობა, მონური მორჩილების უნარი, საკუთარი ნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის არქონა, მიჩნეული იყო ქალის უპირველეს ღირსებებად.

ტრადიციული საზოგადოების წამყვანი ძალა – მამაკაცი მთლიანად განაგებდა ქალების ბედს და ტონს აძლევდა ამ ორი სქესის ურთიერთობას. ეს იყო ორი პარალელური, მკაცრად იერარქიული სამყარო – უპირველესი იყო ზრდასრული მამაკაცების „სამყარო“, ქალებისა და ბავშვების „სამყარო“ კი მხოლოდ ფონი იყო პირველისათვის. დავიდის სურათიდან (II წყარო) ცხადად ჩანს, რომ გადამწყვეტი მოქმედების დროს, როცა აქტიური ქმედებაა საჭირო, ქალებს მხოლოდ ემოციების გამოხატვა მოეთხოვებათ. სურათზე ცალკე ჯგუფად გამოსახულ ქალებს მამაკაცებისაგან უხილავი საზღვარი გამოყოფს – ისინი ცალკე არიან და თითქოს თვალსაც კი ვერ უსწორებენ მამაკაცების „სამყაროს“. იგივე ასპარეზი ჰქონდათ ქალებს შემოსაზღვრული მშვიდობიან-

ნობის დროსაც – მზრუნველობა ოჯახსა და ბავშვებზე, მეტი არაფერი. ასეთ-მა ვინრო ასპარეზმა ქალი მთლიანად დაუმორჩილა მამაკაცს, გახადა მასზე დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება მიედინებოდა მამაკაცების მიერ დანესებული კანონებით, ნებისმიერი ახალი კანონის დამკვიდრება შესაძლებელი იყო მხოლოდ მამაკაცების თანხმობის შემთხვევაში. ბარბარე ჯორჯადის ნაწარმოების სათაური: „ორიოდე სიტყვა ყმანვილი კაცების საყურადღებოდ“ (III წყარო) მიგვითითებს, რომ თხზულების ადრესატია მამაკაცთა საზოგადოება. მერი უოლსტონკრაფტის თხზულებაც (IV წყარო) უმთავრესად მამაკაცებისთვის დაწერილად უნდა მივიჩნიოთ – მისი მიზანია, თვალი აუხილოს მამაკაცებს იმ უღირს მდგომარეობაზე, რომელშიც ქალები იმყოფებიან. ამდენად, ცხადი ხდება, რომ ზოგადად, რაიმე სიახლის დანერგვა ან ქალის ბედის ცვლილება მხოლოდ საზოგადოების ლიდერის – მამაკაცის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.

მამაკაცისა და ქალის რადიკალურად განსხვავებული სოციალური როლები უცვლელი იყო მრავალი ასწლეულის მანძილზე. აქედან გამომდინარე, სტაბილური იყო ცნებების – „ქალურობისა“ და „მამაკაცურობის“ კონტრასტული მნიშვნელობებიც, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა ეპოქასა და კულტურულ გარემოში შექმნილი წყაროებიდან. ქალის ძირითადი ფუნქცია იყო ოჯახზე ზრუნვა, ბავშვების აღზრდა, კომფორტული გარემოს შექმნა საზოგადოების ლიდერისათვის; მამაკაცის ფუნქცია კი – ბრძოლა საკუთარი და ქვეყნის ინტერესების დასაცავად, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება. ამ კონკრეტული სოციალური ფუნქციების შესაბამისად, ტრადიციულ საზოგადოებებში „ქალურობა“ გულისხმობდა პასიურობას, ემოციურობას, პასუხისმგებლობის აღების უუნარობას, მამაკაცურობა – აქტიურობას, სხვების მფარველობის უნარსა და სიბრძნეს.

წარმოდგენილი ნამუშევრის შესახებ:

სინთეზური ესეს ზემოთ მოყვანილი ნიმუში წარმოადგენს ტრადიციული სტრუქტურის მქონე ხუთაბზაციან წერით ნამუშევარს. იგი შედგება სამი ნაწილისაგან. ესენია: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

შესავალი ნაწილი:

- I აბზაცი – თეზისი

თეზისი: „ცნებების: „მამაკაცურობისა“ და „ქალურობის“ კონკრეტული მნიშვნელობები მთლიანად იყო განპირობებული იმ განსხვავებული სოციალური როლებით, რომლებსაც ქალი და მამაკაცი ასრულებდნენ ტრადიციულ საზოგადოებებში“.

ძირითადი ნაწილი:

- II აბზაცი – ქვეთემა: მამაკაცები

თემატური წინადადება – „ტრადიციულ საზოგადოებებში, მამაკაცის აქტიური როლის შესაბამისად, მამაკაცურობა გაიგივებული იყო სიმამაცესთან, ძლიერებასთან და სიბრძნესთან“.

დასკვნითი წინადადება: „სხვადასხვა ეპოქასა და გარემოში შექმნილ წყა-

რობებში, მიგვანიშნებს, რომ ეს საოცარი ერთიანობა, რომელიც იკვეთება ტრადიციულ საზოგადოებებში ასწლეულების მანძილზე არ შეცვლილა მამაკაცის სოციალური როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

- III აბზაცი – ქვეთემა: ქალები

თემატური წინადადება: „თავისი პასიური როლიდან გამომდინარე, ქალი აღიქმებოდა მამაკაცისაგან სრულიად განსხვავებული თვისებების მქონე არსებად“.

დასკვნითი წინადადება: „ამდენად, ის თვისებები, რომლებიც ნაკლად ჩაეთვლებოდა მამაკაცს – პასიურობა, მონური მორჩილების უნარი, საკუთარი ნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის არქონა, ქალის უპირველეს ღირსებებად იყო მიჩნეული“.

- IV აბზაცი – ქვეთემა: ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობა

თემატური წინადადება: „ტრადიციული საზოგადოების წამყვანი ძალა – მამაკაცი მთლიანად განაგებდა ქალების ბედს და ტონს აძლევდა ამ ორი სქესის ურთიერთობას“.

დასკვნითი წინადადება: „ზოგადად, რაიმე სიახლის დანერგვა ან ქალის ბედის ცვლილება მხოლოდ საზოგადოების ლიდერის – მამაკაცის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული“.

დასკვნითი ნაწილი:

- V აბზაცი – შეჯამება

თემატური წინადადება: „მამაკაცისა და ქალის რადიკალურად განსხვავებული სოციალური როლები უცვლელი იყო მრავალი ასწლეულის მანძილზე“.

დასკვნითი წინადადება: „ამ კონკრეტული სოციალური ფუნქციების შესაბამისად, ტრადიციულ საზოგადოებებში „ქალურობა“ გულისხმობდა პასიურობას, ემოციურობას, პასუხისმგებლობის აღების უუნარობას, მამაკაცურობა – აქტიურობას, სხვების მფარველობის უნარსა და სიბრძნეს“.

მეთოდური მითითებები:

- სინთეზურ ესეზე სამუშაოდ მოსწავლეებს ეძლევათ 60 წუთი: 20 წუთი ეთმობა წყაროების გაცნობას, 40 წუთი კი – ესეს დაწერას.
- თითოეულ წყაროსთან მითითებული უნდა იყოს: ავტორი/მხატვარი, ნაწარმოების/სურათის/სქემის, სხვ. დასახელება, წყარო (ნიგნი, გამოცემის წელი, გვერდი; ვებ-გვერდი) და რიგითი თანამიმდევრობის აღმნიშვნელი რომაული ციფრები („I წყარო“, „II წყარო“ და ა.შ.). ინფორმაცია, რომელიც მოყვანილია წყაროების დასაწყისში, უნდა შეიცავდეს ტექსტის გასააზრებლად საჭირო მინიმალურ მონაცემებს (მაგ., მითითება ეპოქაზე, ადგილზე და სხვ. – საჭიროების მიხედვით).
- სინთეზურ ესეზე სამუშაოდ გამოყოფილი დრო (60 წუთი) ხშირად შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს სრულყოფილი ესეის დასაწერად. მკაცრი დროითი ლიმიტის გამო მოსალოდნელია, რომ ცალკეული საკითხები თუ თემები ნაშრომში ამომწურავად და/ან მთელი სისავსით არ იყოს განხილული, რაც გასათვალისწინებელია ნაშრომის შეფასების დროს. შემ-

ფასებელს, კერძოდ, უნდა ახსოვდეს, რომ ესაა პირველი ვერსია, რომლითაც ფასდება: აქვს თუ არა მოსწავლეს გააზრებული ესეს სტრუქტურა, იცნობს თუ არა ტექსტის ორგანიზების ძირითად სტრატეგიებს; აქვს თუ მოსწავლეს იმის უნარი, რომ წამოაყენოს თეზისი, შეარჩიოს სათანადო მაგალითები ნათქვამის საილუსტრაციოდ და დაასაბუთოს წამოყენებული თეზისი, სულ მცირე, სამი წყაროს გამოყენებით.

- მოსწავლეებისათვის შეთავაზებული 6 წყაროდან ერთ-ერთი უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ სახის ვიზუალურ მასალას (ცხრილი, დიაგრამა, რეპროდუქცია, სქემა, ფოტო და ა.შ.). ამ ტიპის წყაროზე მუშაობა ძალზე შეუწყობს ხელს მოსწავლეთა სემიოტიკური წიგნიერების განვითარებას, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ გამჭოლ კომპეტენციას წარმოადგენს.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქართ. XI. 5, 8; ქართ. XI. 9, 10, 11, 12, 13, 14; ქართ. XII. 5, 6, 7, 9, 10; ქართ. XII. 13, 14.